

K 247.945  
3



მეცნიერ ბერძენიშვილი

**მასალები  
XIX საუკუნის  
პირველი ნახევრის  
ქართული  
საზოგადოებრიობის  
ისტორიისათვის**



« მეცნიერება »

მაცნიმე ბერძენიშვილი

მ ა ს ა ლ ე ბ ი

XIX საუკუნის პირველი ნახევრის  
ქართული საზოგადოებრიობის  
ისტორიისათვის

I

უზარძობის რაობისათვის

II

მასალები ბიოგრაფიული ლექსიკონისათვის  
(გ-ჰ)



გაერთიანებული „მეცნიერება“

თბილისი

1983

ნაშრომი გავრცელებულია მ. ბერძენიშვილის წიგნის  
„მასალები XIX ს-ის ჰორველი ნახევრის ქართული საზო-  
გადოებრიობის ისტორიისათვის“, რომელაც გამოს-  
ცა გამოცემლობა „მეცნიერება“ 1980 წ. მასში  
შესულია ნარკვევები ამ ხანის პოლიტიკურ-საზოგა-  
დოებრივ მოძრაობებში მონაწილე პირთა შესახებ  
ასახელია ძირითადი საზოგადოებრივი მოძრაობანი და  
შესწავლილია ცალკეულ პირთა როლი და მნიშვნელობა  
საზოგადოებრივი აზრის ისტორიაში. განსაკუთრებით გა-  
მახვილებულია ყურადღება 1832 წლის შეთქმულების  
მონაწილეთა ბიოგრაფიებზე.

რედაქციისაგან

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს გამომცემლობა „მეცნიერების“ მიერ 1980 წ. გამოცემული მაქსიმე ბერძნიშვილის წიგნის — „მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის“ — გაგრძელებას. იგი შეიცავს XIX ს. I ნახევრის ქართველ მოღვაწეთა ბიოგრაფიებს.

როგორც ამ წიგნის პირველი ნაწილის წინასიტყვაობაშია აღნიშნული, მაქსიმე ბერძნიშვილი განსაკუთრებით იყო დაინტერესებული 1832 წ. შეთქმულებით და ამირებდა პერსონალურად შეესწავლა ამ შეთქმულებასთან დაკავშირებული ყველა პირი. ამავდროს მის თვალსაწიერში რჩებოდნენ XIX ს. I ნახევრის სხვა პოლიტიკური ეპიზოდების — მთიულეთის 1804 წ. აჯანყების, კახეთის 1812 წ. აჯანყებისა და იმერეთის 1820 წ. აჯანყების — მონაწილენიც. ბიოგრაფიულ ლექსიკონში შევიდა XVIII ს. ბოლოსა და XIX ს. პირველ ნახევარში საქართველოსა და რუსეთში მცხოვრებ იმ ქართველ და არაქართველ მოღვაწეთა ბიოგრაფიები, რომელთა საქმიანობამ გარკვეული კვალი დააჩნია ამ ხანის კულტურული ცხოვრებისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიას.

ბიოგრაფიული ლექსიკონის I წიგნში შევიდა ბიოგრაფიები, დაწყებული აბაშიძე გიორგიტ და გათავებული ექვთიმე გენათელით. მეორე წიგნი იწყება ვაჩნაძე ადამის და თავდება ჯორჯაძე დავითის ბიოგრაფიით. სულ მოცემულია 300-მდე პირის ბიოგრაფიები. მათგანის შესახებ, ცხადია, ერთ-

საქართველოს  
ბიბლიოთეკის  
პროექტი

Y 24595  
3

ნაირი სიზუსტისა არ არის. ზოგის ბიოგრაფია დაწერილია დასრულებული ნარკვევის სახით, ზოგის შესახებ კი მხოლოდ რამდენიმე ცნობაა მოცემული. მაგრამ ამ სახითაც ეს შრომა გარკვეულ სამსახურს გაუწევს დაინტერესებულ მკითხველს.

ლექსიკონს, რამდენადაც იგი ძირითადად 1832 წ. შეთქმულების მონაწილეებს ეძღვნება, ვურთავთ მაქსიმე ბერძნიშვილის გამოუქვეყნებელ წერილს „ყაზარმობის რაობისათვის“ (დაწერილს 1959 წ.), რომელშიაც მოცემულია შეთქმულების სოციალურ-პოლიტიკური დედა-არსი.

## ყაზარმობის რაობისათვის

1820—1830-იანი წლების ქართული საზოგადოებრივი აზროვნების მთავარ მიმდინარეობათა გამორკვევა არსებითად არის 1832 წლის ქართველი ფეოდალური საზოგადოების შეთქმულების გარკვეულ მიმართულებათა დადგენა. ეს იმიტომ, რომ 1820-იანი და 1830-იანი წლების მიჯნაზე მცხოვრები და მოქმედი ქართველი ინტელიგენცია მეტად თუნაკლებად, ავად თუ კარგად გარეული იყო 1832 წლის შეთქმულებაში ანუ შემდეგ წოდებულ „ყაზარმობაში“.

ხოლო რას წარმოადგენდა ამ შეთქმულების სოციალურ-პოლიტიკური დედაარსი ძირითადად?

1832 წ. შეთქმულება არსებითად იყო ფეოდალურ-მონარქიული ნაციონალიზმის გამოვლენა. ამ მიმართულების წარმომადგენელი იყო, ჩვენი აზრით, ალექსანდრე (პუპლია) ვახტანგის ძე ორბელიანი, თეკლე ბატონიშვილის უფროსი ვაჟი. საგამომძიებლო მასალებით პუპლია სხვებზე მეტად ენამრავლობს; ბევრჯერ ეფიციება საგამომძიებლო კომისიას — უბრალო ვარ, სხვებმა ჩამითრიესო, ხან ოქროპირს აბრალებს, ხან თამარ ბატონიშვილს, ე. ი. თავის ალალ ბიძაშვილებს, მაგრამ ცხადია, ის პირველი ჭირისუფალია ბაგრატიონებისა საქართველოში და მონატრულია მათი რესტავრაციისა. ტყუილად კი არ უჩვენა სოლომონ დოდაშვილმა კომისიას, რომ „თავკაცი ან უფროსი პირი შეთქმულთა შორის არავინ გამოვციხადებია, მე კი უფროსად ვთვლიდი თავად ალექსანდრე ორბელიანს, რომელსაც მიწერ-მოწერა ჰქონდა გაქცეულ ალექსანდრე ბატონიშვილთან“ (რვ. VI, ფ. 1107—1110).

ენამრავლობის მიუხედავად პუპლია თავის ჩვენებაში ზოგჯერ თავის თავს ეწინააღმდეგება. ამიტომ ყველა მომენტისა და წვრილმანის გათვალისწინება არის საჭირო, რომ მის მიმართ ნაჩქარევი და მცდარი დასკვნა არ მიიღოს კაცმა. მაგალითად, 1833 წ. 16 თებერვალს კომისიას იგი უჩვენებს, რომ მას და მის თანამზრახველებს — ძმას ვახტანგს, ელიზბარ ერისთავს, გიორგი ერისთავსა და თამარ ბატონიშვილს — განზრახული ჰქონიათ ბაგრატიონთა რესტავრაცია. ხოლო როგორი უნდა ყოფილიყო პოლიტიკური წყობილება, ამაზე პუპლია არას ამბობს, ოღონდ შენიშნავს: „ალექსანდრე ბატონიშვილს რომ ჩამოვიყვანდით და სიონში პარაკლისს რომ გადაუხდით, ამის შემდეგ რამდენიმე დღისა უნდა მომხდარიყო



განკარგულება“. ხოლო არას ამბობს იმიტომ, რომ პუპლიასა და მისი სისათვის სხვა ფორმა პოლიტიკური მმართველობისა, ფეოდალურ-მონარქიულის გარდა, არც არსებობდა. პუპლიას ჩვენებით უნდა შექმნილიყო „რეგულის პოლკები“ და მათთვის „რიგი დაედოთ“, მხედართმთავრებად უნდა ყოფილიყვნენ ივანე აფხაზი, ალ. ჭავჭავაძე, ვასილ ბებუთოვი, გენერალი გიორგი ერისთავი და ლეონტი სავარსამიძე. სასამართლოც უნდა მოწყობილიყო, პრეზიდენტად იქნებოდა მუხრან-ბატონი, მის თანამემწეებად — გიორგი ჭილაშვილი და ნიკოლოზ ფალავანდიშვილი. ამის გარეთად ბაგრატიონთა რესტავრაცია უნდა ეთხოვათ ინგლისისა და საფრანგეთისათვის (გზლ. 364—356).

მაგრამ იგივე პუპლია ორბელიანი, ვითომდა როგორც საკუთარს, პირად აზრს კომისიას ასე უხატავდა სიტყვიერად 1833 წ. 15 აპრილს: „ეს განზრახვა იმაში მდგომარეობდა, რომ მიემხროთ გამოჩენილი პირნი და მათი საშუალებით ეთხოვათ იმპერატორისათვის აღდგინა ქართლ-კახეთის სამეფო ერთ-ერთი ბაგრატიონით სათავეში და ამ სამეფოზე უმაღლესი ძალა-უფლება იმპერატორს ექნებოდა“ (რე. XIII, ფ. 2147).

ახლა ერთი მეორეს შევადაროთ პუპლია ორბელიანის ეს ორი ჩვენება და ვნახავთ, რომ ის ძირითადად თავის აზრს არ ღალატობს: ერთითაც და მეორითაც ნათლად ჩანს, რომ პუპლია ბაგრატიონთა რესტავრაციის მოტრფიალე და მოწადინეა.

მაგრამ არ შეიძლება წინააღმდეგობა არ დავინახოთ იმაში, რომ ერთი ჩვენებით ის აღრეულობის მომხრეა, ხალხს უნდა ეთქვას: „თავისუფლება და სიხარული ყოველსა ერსა ზედა“, საფრანგეთსა და ინგლისშიაც კი უნდა ეთხოვათ ბაგრატიონთა სამეფოს აღდგენა, მეორეთი კი „ერთმთავარ ხელმწიფეს, დიდ იმპერატორს“ ეთხოვოთ „მეფის ბოძება ჩვენდა“ და „თვისი მფარველობა განავლინოს ჩვენს ზედა“; და თუ თხოვნას არ შეიწყნარებს, იმპერატორი, მაშინ „ვიყოთ, ვითარცა აქამომდე ვიყოფებოდით მფარველობასა ქვეშე მოწყალისა იმპერატორისა“.

ერთი ჩვენებით საკუთარი რეგულის პოლკები უნდა შექმნილიყო, მეორე ჩვენებით კი „ეთხოვოთ იმპერატორსა მთელი მოწყალეებითი მფარველობანი ჩვენსა ზედა, ესე იგი: ორი პოლკი, ხაზინა და კაცნი მმართველად“. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს წინააღმდეგობაა და მოითხოვს პუპლიას ნაკალმარის ყოველმხრივ შესწავლას. მაგრამ უამისოდაც შეიძლება უცდომლად ითქვას, რომ პუპლია ორბელიანი პირწმინდა გამომხატველია იმ მიმდინარეობისა, რომელსაც საბუთიერად ეწოდება „ფეოდალურ-მონარქიული ნაციონალიზმი“.

მაგრამ „ყაზარმობის“ ამ მთავარ ნაკადთან ერთად შეიმჩნევა მეორე მიმდინარეობაც, თუმცა ეს უკანასკნელი საგამომძიებლო მასალებში ძალიან სუსტად აისახა. ეს მეორე მიმდინარეობა არ შეიძლება ისევე რეაქციულად წარმოვიდგინოთ, როგორც პირველი, ფეოდალურ-მონარქიუ-



ლი. ეს მეორე მიმდინარეობა ადგილობრივი კი არ იყო, ე. ი. ადგილობრივ რიგ, საქართველოში, ფეხმოუცვლელად მცხოვრები ფეოდალურ-არისტოკრატიული ინტელიგენციის აზროვნებისა და გულისნადების გამომხატველი კი არ იყო, არამედ ასახავდა რუსეთში ნამყოფი ან კიდევ რუსული განათლება მიღებული ახალგაზრდობის სულიერ განწყობილებას და ნაზრევს, რომელსაც სიმოკლისათვის შეიძლება ვუწოდოთ უფრო გვიან განმტკიცებული ჩვენში ტერმინი „თერგდალეული“<sup>1</sup>.

უნდა შევნიშნოთ, რომ ტერმინი „თერგდალეული“ 1830-იან წლებში უკვე იხმარება. მაგალითად, გრიგოლ ორბელიანის ბიძის — ასლანის მეუღლე ელისაბედი (გიორგი — ხათა-გოგია ციციშვილის ასული და მარიამ დედოფლის ღვიძლი და) ასე ნახევრად ირონიულად სწერს ასონაკლულად გრიგოლს პულკოვოში: „მიკვირს თქვენი გულისაგან ჩვენი ასე დავიწყება. ერთხელ თქვენის წერილით გვასიამოვნე. მაგრამ თელგდალეულს (sic!) ვილა მოავონდება“!<sup>2</sup> ამიტომ ერთგვარი ფორმალური საბუთიცა ვვაქვს სიმოკლისათვის ამ ტერმინით აღვნიშნოთ როგორც რუსეთში ნამყოფი ან მცხოვრები ახალგაზრდობა, ისე რუსულ განათლებას აქ, საქართველოში, ზიარებული ქართველობა (მამაკაშვილი, ავთანდილოვი, ყიფიანი...)

ამ თერგდალეულებს ვერ გამოვრიცხავთ პუპლიას ჯურის ყაზარმელებისაგან, რადგან ორივე ამ მიმდინარეობას აერთებდა საქართველოს სიყვარული და სურვილი მის სასარგებლოდ მუშაობისა. მაგრამ სხვაობა ამათ შორის ის იყო, რომ სამშობლოს მომავალი პოლიტიკური წყობილება ფეოდალურ მონარქიად კი არ ეხატებოდათ, არამედ როგორც კონსტიტუციური, ე. ი. უფლება შეზღუდული მონარქია ან კიდევ — ნუ გავიკვირვებთ — როგორც რესპუბლიკური.

ზაზს ვუსვამთ, რომ ეს მეორე მიმდინარეობა საგამომძიებლო მასალებში სუსტად და ვაკვრით არის წარმოდგენილი, მაგრამ მაინც არის, მაინც შეიმჩნევა განსაკუთრებით სხვა, კომისიის გარეშე, საბუთებში.

შემთხვევითი არ არის, რომ კონსტიტუციურ მომენტს აღნიშნავენ ავთანდილოვი (თბილისის გიმნაზიის მასწავლებელი, დიმიტრი ყიფიანის მეგობარი და სოლ. დოდაშვილის ნამოწაფარი) და ტარასი ალექსი-მესხი-შვილი (მოსკოვ-პეტერბურგს 13 წელიწადს ნაცხოვრები და მერე საქართველოში დაბრუნებული), ხოლო რესპუბლიკური მომენტი ჩანს სოლომონ დოდაშვილის ჩვენებასა და გრიგოლ ორბელიანის დღიურში.

პუპლია ორბელიანისთანა ყაზარმელებისაგან ესენი განირჩევიან პირ-

<sup>1</sup> იხმარებოდა მეორე ტერმინიც „განათლებულნი“. გრ. ორბელიანის წერილში ვკითხულობთ „ერთბაშად ბევრნი შეიყარნენ თბილისში განათლებულნი, ამ სახელით უწოდებენ პეტერბუდიდან მოსულსა“ (ტ. 1. № 3, გვ. 5).

<sup>2</sup> საქ. ც. არქივი, ფონდი OBD, № 171, ფ. 100(91)





ველ ყოვლისა იმით, რომ ამათ აქვთ ახალი, უფრო ლიბერალური და ნაწილობრივად ნიპილისტური აზრები, უეპველად განსხვავდებიან ფეოდალური ტრადიციებისაგან, რომელნიც წარსული საუკუნის 30-იან წლებში საქართველოში საკმაოდ მტკიცე იყო. სხვა საკითხია, რამდენად ღრმა და სერიოზული იყო თერგდალეულთა ლიბერალიზმი. ეს კი უცილობელია, რომ ეს ლიბერალიზმი საქმით თუ არა, სიტყვით მაინც შეიმჩნეოდა ამ თერგდალეულთა წრეში და ობიექტურად ხელს უწყობდა ძველი ტრადიციების რღვევას, ახლის დანერგვას, ერთგვარ წინსვლას, გონებრივად გამოფხიზლებას, არსებულის კრიტიკულად განსჯას.

პროფ. პროკოფი რატიანის წყალობით ჩვენ ვიცნობთ ერთ დოკუმენტს, რომელიც ხელისუფლებისათვის ცნობილი შეიქნა მხოლოდ 1834 წლის დამლევის, როცა ყაზარმელთა საქმე მთლად დამთავრებული იყო და რეპრესირებული პირნი უკვე გადასახლებაში იყვნენ; მაგრამ ეს დოკუმენტი შეეხება 1829—1830 წ. მომხდარ ამბავს.

ყანდარმთა კორპუსის შეფს ბარონ ბენკენდორფს ხელთ ჩაუვარდა პეტერბურგის პაეტა კორპუსის ყოფილი პაეტის ალექსი ვლადიმერის ძე დოლგორუკის ჩანაწერი, რომელიც შეიცავდა იმავე კორპუსის პაეტის ბაგრატიონ-მუხრანსკის ნალაპარაკვესს. ეს დოკუმენტი რომ უფრო მეტად გასაგები იქნეს, უნდა ვთქვათ, რომ გამოძიების გამორკვევით დოლგორუკის ჩანაწერში აღნიშნული პაეი ბაგრატიონ-მუხრანსკი იყო ივანე კონსტანტინეს ძე, რომელიც პაეტა კორპუსის დამთავრების შემდეგ 1830 წელს პრაპორშჩიკის ჩინით გაიგზავნა ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში საქართველოში და გამოძიების დროსაც ისევ საქართველოში იმყოფებოდა, ოღონდ უკვე ლეიბგვარდიის დრაგუნთა პოლკში. ჩანაწერის ავტორი კი ალექსი დოლგორუკი ავადმყოფობის გამო პაეტა კორპუსიდან გავიდა 1830 წელს მარტში. ასე რომ, ბაგრატიონის ნალაპარაკევი მას უნდა ჩაეწერა ან 1829 წელს ან კიდევ 1830 წლის დამდეგს.

ახლა გავეცნოთ თვით ამ ჩანაწერს:

ზოგიერთი პაეტის განზრახვა

„იმ დროს, როდესაც მე ვიმყოფებოდი პაეტა კორპუსის ლაზარეთში, ერთხელ ბევრ პაეტს ვესაუბრე ხანგრძლივად, ამ პაეტაგან ერთმა, თავადმა ბაგრატიონ-მუხრანსკიმ დაიწყო ლაპარაკი 14 რიცხვის შესახებ და თქვა: როგორ არ ეპატიებათ ამ შეთქმულების უკვირიანეს მონაწილეებს, როგორც, მაგალითად, რილეევს, პესტელს და სხვებს, რომ ასე უკვირად მოიქცნენ 14 რიცხვში. რომ მას დიდიხანია აზრად მოსდის და უნდოდა კიდევ შეთქმულების მოწყობა მათზე ათჯერ უკეთესად აი როგორ: საქმე იმით უნდა დაიწყოს, რომ უპირველეს ყოვლისა პატარა პაეტებს ჩაენერგოს თავისუფლება, სიბუღვილი ხელმწიფისა და სამეფო საგვარეულოსადმი; შემდეგ შეიკრას შეთქმულება და ვინც შეთქმულთაგან კორპუსი-



დან გავა, უკვე როგორც ოფიცერი, ვალდებული უნდა იყოს სხვა ოფიცერებშიც მოიძებნოს ამ შეთქმულებაში და ჯარისკაცებში კი ჩახერგოს ხელმწიფის სიძულვილი, მიიზიდოს ისინი და ასე იმოქმედონ 10 ან 15 წელიწადი, ამ ხანში ზოგი კორპუსიდან გამოსული უკვე გენერალი იქნება ან შესაძლოა მინისტრიც და ე. ი. მაშინ უფრო ადვილი იქნება ჩვენი განზრახვის შესრულება. ამასთან საჭიროა პოლკების გადმობირება და იმისათვის, რომ ეჭვი თავიდან აიცილონ, თვითონაც უნდა შევიდნენ საილუმლო პოლიციაში და დანიშნულ დღეს ყოველგვარი ხმაურის გარეშე ყველამ ერთად დასძრას თავისი რაზმი საყარაულოებზე, ბატალიონმა დაიკავოს ციხე, შემდეგ შეცვივდნენ სასახლეში და ყველაფერი გათავდებდა<sup>3</sup>.

ამის მოლაპარაკე ივანე მუხრანსკი იყო შვილი თბილისის გუბერნიის მარშლის კონსტანტინე ივანეს ძე მუხრან-ბატონისა და შვილიშვილი ერეკლე მეფის ასულის ქეთევან ბატონიშვილისა. საგულისხმოა, რომ 1832 წლის შეთქმულებაში სამივე ამ პირს — ივანეს, კონსტანტინესა და ქეთევანს შორეული წილი სდებიათ.

ივანე შემდგომში თვითონაც გენერალი შეიქმნა და მამასავით იყო გუბერნიის წინამძღოლი, 1882 წლის 6 ივნისს წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარედაც იყო არჩეული.

კითხულობ ამ ადამიანის ჭაბუკობაში ნალაპარაკეც ამხანაგთა წრეში და უნებურად გავიეღვებს კითხვები: სად მოისმინა ამ ყმაწვილმა ეს აზრები? თავისით მოუვიდა თავში ეს გეგმა თუ იცნობდა პესტელის მიერ საილუმლო საზოგადოებისათვის შედგენილ პირველ წესდებას<sup>4</sup> გაცემბთ მისი სითამამე და თავდაჯერილობა: რილევის, პესტელის ამ უჭკვიანესი ადამიანების ასე სულელურად მოქცევა 14 დეკემბერსო! დიდი ხანია აზრი მომივიდა და მინდოდა ათჯერ მათზე მეტი და უკეთესი შეთქმულება მომეწყო! ეს აზრები ივანე მუხრანსკის, ჩვენის ფიქრით, მოსმენილი უნდა ჰქონდეს იმავე დიმიტრი ბატონიშვილთან, ვისთანაც მსგავს აზრებს ისმენდნენ მომავალი ყაზარმელები პეტერბურგში სწავლისას და ცხოვრებისას. დეკაბრისტებზე ყაზარმელებს სჯა-ბაასი ხომ თბილისშიაც ჰქონდათ!

მაგრამ ივანე მუხრანსკის ნალაპარაკევი სხვა მხრივ არის საინტერესო

<sup>3</sup> ლენინგრადის ცენტრალური არქივი, ფონდი, № 358, 1834 წ. ფურც. 1.  
<sup>4</sup> „პესტელმა შეადგინა ჩვენი საილუმლო საზოგადოებისათვის პირველი წესდება. ამ წესდებაში შესანიშნავი ის იყო, რომ საილუმლო საზოგადოებაში შესულს ევალებოდა არავითარ შემთხვევაში სამსახურისათვის თავი არ დაენებებინა და ეს იმისათვის, რომ შემდეგში ყველა მნიშვნელოვანი სამსახურის ადგილი — სამოქალაქო თუ სამხედრო ნაწილში — საილუმლო საზოგადოების განკარგულებაში ყოფილიყო“.

Записки М. Д. Якушкина. Записки, статьи бывш. декабриста М. Д. Якушкина, М., 1951, с. 13—14.



სო — ის გვიჩვენებს სულიერ განწყობილებას მაშინდელი პეტერბურგელი ქართველობისას. ყველას: პაეს, კადეტს, ჯარისკაცს, ოფიცერს ჩვეუ-  
ნერგოთ სიძულვილი ხელმწიფისაო — უთქვამს ივანეს.

ივანე მუხრანსკის ეპიზოდს კავშირი არა აქვს ყაზარმობასთან და, თუ ის გავიხსენებთ, მარტო იმ აზრით, რომ ნათლად წარმოგვედგინა რა-  
ნაირი ატმოსფერო იყო 1820-იანი წლების ბოლოს პეტერბურგის ქართვე-  
ლებში და როგორი იყო მისი განწყობილება ხელისუფლების მიმართ, განწყობილება, რომელიც არას გზით რეაქციულად არ ჩაითვლება.

და აი ვხედავთ კიდევ ამგვარი სულიერი განწყობილების გამოხმაუ-  
რებას საქართველოშიც ყაზარმობის სახით. ამ შეთქმულებაში აისახა რო-  
გორც „ფეოდალურ-ნაციონალური მონარქიზმი“, ისე პროგრესული ნა-  
კადიც.

აღბათ ამ ნაკადისაც არა გვეცოდინებოდა რა, რომ ძმასავით გულ-  
ახდილ ვახტანგ ორბელიანს სიტყვა „რესპუბლიკა“ არ წამოსცდენოდა  
გამოძიებაზე ან კომისიას რომ არ ჩაეარდნოდა ხელთ გრიგოლ ორბელი-  
ანის დღიური.

ჯერ ვახტანგ ორბელიანის ჩვენებას შევეხებით. ამ ჩვენებამ ჩვენს ლი-  
ტერატურაში აზრთა სხვაობა გამოიწვია: სიტყვა „რესპუბლიკის“ ხმარე-  
ბას ზოგი სოლომონ დოდაშვილს მიაწერდა, ზოგი — ოქროპირ ბატონი-  
შვილს. მაგრამ ეს აზრთა სხვაობა არ მოხდებოდა, რომ ავტორებს საგა-  
მომძიებლო მასალებში ჩაეხედათ და მარტო დაბეჭდილ-ცნობილს არ დას-  
ჯერებოდნენ.

ამიტომ გვმართებს ჩვენ მიინც ჩავიხედოთ ამ მასალებში, რომ ნამ-  
დვილი სურათი აღვადგინოთ. ვახტანგ ორბელიანმა საგამომძიებლო კომი-  
სიას გაუმხილა სოლ. დოდაშვილის ნალაპარაკევი ასეთი შინაარსისა:

„1832 წელში მე მოვისმინე დოდაევისაგან ასეთი სიტყვები: როდე-  
საც მე ვაცილებდი თბილისიდან ოქროპირ ბატონიშვილს, მაშინ მე მან  
მითხრა: დიხ, ბატონო ქართველებო, შეეცადეთ საქართველოს განთავი-  
სუფლებას. თუმცა მე მსურს საქართველოს თავისუფლება არა იმისათ-  
ვის, რომ იქ ვინმე ბაგრატიონთა საგვარეულოდან გამეფდეს, არამედ იმი-  
სათვის, რომ საქართველოში შეიქმნას რესპუბლიკის სახეობა“<sup>5</sup>.

ვახტანგ ორბელიანის ამ ჩვენების შესამოწმებლად საგამომძიებლო  
კომისიის დავალებით შეეკითხნენ პეტერბურგში ოქროპირ ბატონიშვილს.  
ოქროპირ ბატონიშვილის პასუხი კი ამაზე ასეთი იყო: „თავად ვახტანგ  
ორბელიანოვის ეს ჩვენება ცხადსა ხდის დოდაევის და მღვდელ-მონაზონ  
ფილადელფოსის თავდაპირველ ჩვენებათა უსამართლობას. ახლა დოდა-  
ევი ამბობს, რომ მე მინდოდა საქართველოში რესპუბლიკის დამყარება  
და სულაც არ მინდოდა ამ ქვეყნის არც ჩემთვის და არც ჩემი ოჯახისათვის

<sup>5</sup> საგამომძიებლო საქმე, რეველი IX, ფ. 1567.

ლაბრუნება; აღრე კი ის ირწმუნებოდა, თითქოს მე მისთვის შეფუთვას  
ჩაენერგა მას თავის მოწაფეებისათვის ბაგრატიონთა დაბრუნების<sup>30</sup> —  
და ცდილიყო აქედან მღვდლები რათა მათ ეკლესიაში ელოცათ ყო-  
ფილი სამეფო სახლისათვის. ფილადელფოსი კი პირდაპირ უჩვენებს,  
რომ თითქოს მე დავიბრდი მას მღვდელმთავრობას თუკი ბაგრატიონები  
ხელახლა გამეფდებოდნენ. როგორღა შევათანხმით ერთმანეთში ეს წინა-  
აღმდეგობანი? ჩვენებათა ეს შეუსაბამობა განა აშკარად არ უჩვენებს  
ჩემს უდანაშაულობას და ჩემს ბრალმდებელთა უსამართლობას, რასაც  
მე ყოველ ნაბიჯზე ფარდასა ვხდი.

ამრიგად, მე ვარწმუნებ კომისიას, რომ მე არასოდეს არ მიფიქრია  
არც საქართველოში მეფობის აღდგენაზე და არც რესპუბლიკის, ან მმარ-  
თველობის რაიმე სხვა სახეობის იქ დამყარებაზე“<sup>6</sup>.

აქედან ჩანს შემდეგი: 1. ვახტანგ ორბელიანი კომისიას მოახსენებს  
სოლ. დოდაშვილისაგან განაგონ ოქროპირ ბატონიშვილის ნათქვამს, ოქ-  
როპირის აზრსა და არა დოდაშვილისას, როგორც ზოგიერთი ფიქრობს;  
2. ეს დასტურდება იმით, რომ სავამომძიებლო კომისია ახსნა-განმარტე-  
ბას მოითხოვს ოქროპირ ბატონიშვილისაგან, როგორც ამ აზრის ავტო-  
რისაგან. 3. ოქროპირს აოცებს სოლ. დოდაშვილის ჩვენებათა წინააღ-  
მდეგობა: ჭერ ვითომ დავავალე მოწაფეებს ჩაუნერგე აზრი ბაგრატიონ-  
თა საქართველოში აღდგენისაო, მერე კიდევ ვუთხარ — საქართველოში  
რესპუბლიკა დაწესდეს, იგი არც მე მინდა და არც ჩემს ოჯახსაო. ეს ხომ  
წინააღმდეგობააო, ამბობს ოქროპირი და ბოლოს უარს ამბობს: მე არც  
ერთი მიფიქრია და არც მეორეო.

ამრიგად, რაკი ოქროპირი გადაკრით უარყოფდა ამ აზრს და უარ-  
ყოფდა საბუთიერად, რადგან დოდაშვილისადმი წინათქმულს ეწინააღ-  
მდეგებოდა, მაშინ ან ვახტანგ ორბელიანმა დასწამა ცილი დოდაშვილს  
ან თვით დოდაშვილისავე ეს აზრი.

გავიხსენოთ: ვახტანგის ჩვენება 24 თებერვალსაა მიცემული, შეკი-  
თხვა კომისიისა და ოქროპირის პასუხი კი 6 აპრილს პეტერბურგშივე, სა-  
ნამ ოქროპირს თბილისში ჩამოიყვანდნენ იმ აზრით, რომ ბრალდებულთ  
შორის რაიმე შეთანხმება არ მომხდარიყო.

და აი მხოლოდ ოთხი თვის შემდეგ, 7 აგვისტოს, შეეკითხებიან უკვე თვით  
სოლომონ დოდაშვილს. ესეც მეტად მოხერხებულ პასუხს აძლევს, პირდაპირ  
ვირტუოზულს: არც იმას ამბობს — ვახტანგი იგონებს და ცილსა მწამებსო,  
არც იმას ამბობს — ეგ არ მითქვიაო და იგონებს სრულიად ახალ ვერსიას,  
რომელიც მთლად ეგუება არათერგდალეულ ყაზარმელთა გულის პასუხს;  
მაგრამ სოლომონი ორ რამეს მაინც აღიარებს: ერთს იმას, რომ ოქროპირი-  
საგან რესპუბლიკის მსგავსი-რამ არ გამიგონიაო, და მეორე იმას, რომ სი-

<sup>6</sup> იქვე, რვეული XX, ფ. 3846—3847, 1833 წ. 6 აპრილი.

ტყვა რესპუბლიკა მგონი, ვთქვიო: „Кажется в заключении я тогда бы вышел род республиканского правления“.

ასეთი ოსტატური პასუხით კომისიისათვის საკითხი ამოიწურა და ზედმეტი შეიქნა ამაზე კვლავ დაკითხვა და ძიება, ალბათ დაასკვნა: დოდაშვილს რაღაც უთქვამს რესპუბლიკაზე, ვახტანგ ორბელიანს კი სწორედ არ გაუგიაო.

მაგრამ ჩვენი აზრი როგორიღა უნდა იქნეს ამ საკითხზე? ვიცი, რომ ვახტანგ ორბელიანი გულწრფელია და მიაბიტი, ცილი, ტყუილის გამოგონება მისთვის უცხოა. ამიტომ ვფიქრობთ, რომ ვახტანგის ჩვენება — დოდაშვილისაგან გავიგონე ესა და ეს ნათქვამიო — სწორია, არ არის მოგონილი. აკი თვითონ დოდაშვილიც აღიარებს: მგონი ესა ვთქვიო. ჩვენ ისიც გვწამს, რომ დოდაშვილმა ოქროპირიც დაუკავშირა რესპუბლიკას პუბლიკასა და ვახტანგთან საუბრისას მეტი უაპელაციოობისათვის. ამიტომ ვფიქრობთ, რომ ოქროპირისადმი დოდაშვილის მიერ მიწერილი სიტყვების აზრი თვითონ დოდაშვილისავეა. „მე მსურს საქართველოს თავისუფლება არა იმისათვის, რომ იქ ვინმე ბაგრატიონთა საგვარეულოდან გამეფდეს, არამედ იმისათვის, რომ საქართველოში შეიქნას რესპუბლიკის სახეობა“. ამ სიტყვების ავტორი სოლომონ დოდაშვილია და არა სხვა ვინმე, რადგან თვითონვე აცხადებს: „ბოლოს მგონი მე ვთქვი: მაშინ შეიქმნებოდა რესპუბლიკური მმართველობის სახეობა“.

რესპუბლიკური განწყობილება უფრო აშკარად ჩანს გრიგოლ ორბელიანის დღიურიდან. ასეთივე აზრები აქვს გამოთქმული გრიგოლ ორბელიანს კიდევ ორ ლექსში: „მისი სახელი კიცხვითა“ და „ლეკი, ოსმალო და სპარსი“. ეს ორივე ლექსი 1832 წლის საგამომძიებლო ფონდშია დაცული (რვ. XXI, 4052) და გ. გოზალიშვილს დაბეჭდილი აქვს „აღსარების“ თუ „გივი ამილახვარის აღსარების“ სათაურით თავის წიგნში (ვზლ 96—97). ეს „აღსარება“ კი—ცნობილი ამბავია — რილევის «Исповедь Наливайко»-ს თავისუფალ თარგმანს ანუ მიბაძვას თუ გადაკეთებას წარმოადგენს. გ. გოზალიშვილის გამოცემაში ორივე ეს ლექსი „აღსარებაშია“ შესული როგორც მისი ნაწილები. პაეღე ინგოროყვას კი ლექსი „მისი სახელი კიცხვითა“ ცალკე აქვს გამოყოფილი, ხოლო ლექსი „ლეკი, ოსმალო და სპარსი,“ ამასაც შეტანილა აქვს „აღსარებაში“.

«Жид, уннат, литвин, поляк—  
как стан кровожадных вранов  
терзают безпощадно нас.»

(К. Ф. Рилеев, Стихотворения, М—Л. 1948. с. 127.)

გრიგოლ ორბელიანს კი ასე აქვს გადაკეთებული:

„ლეკი, ოსმალო და სპარსი, ვით მგელნი განუძლომელნი,  
უწყალოდ ჰგლეჯენ ჩვენს მამულს, სისხლითა ჩვენით ლებულნი“.

რაც შეეხება მეორე ლექსს — „მისი სახელი კიციხეთა“ — იგი თქმულა შეთქმულების საგამომძიებლო ფონდში „ალსარების“ ნაწილად აზრის შესული და ამიტომაც პროფ. გ. გოზალიშვილმა უცვლელად იმავე სახით დაბეჭდა, როგორც უბოვეს სოლომონ დოდაშვილს (რე. XI, 1893, 1938), ჩვენი აზრით, ცალკეა გამოსაყოფი, რადგან რილევეის ტექსტს არ უდგება და მხოლოდ თემატურად არის მასთან დაკავშირებული.

მაგრამ აქაც არის აწმყოს ანასახი, მისი მძლავრი გმობა:

„ესაც ნუგეში, ცხოვრების იმედი არა მშთომოდეს,  
რომელ ოდესმე ცისკარი თავისუფლების აღმოჩნდეს,  
ვაი მას მხარეს, ძალა რა მსაჭლოვნობდეს,  
სად მსჯელზედ მქდომი ხანჯალი კანონთა აღასრულებდეს!“

აქ, ჩვენი აზრით, არა თუ აწმყოს მძლავრი გმობაა, არამედ ენერგიული პროტესტიც უღერს იმ ძალადობის წინააღმდეგ, რის თანამედროვე და მოწმე იყო გრიგოლ ორბელიანი.

მეტეც ითქმის: აქ გაისმის ყრუ მოწოდებაც მტრებზე ამხედრებისა. აბა ჩაუუკვირდეთ ამ სტრიქონებს, რომელნიც გრიგოლ ორბელიანს შთაჰბერა უეჭველად რილევეის „ნალივაიკომ“ და ამიტომაც არის მის თარგმან-მიბაძევაში ჩართული:

„მისი სახელი კიციხეთა მარადის იხსენებოდეს,  
ვინცა საღმრთოსა სიყვარულს მამულისადმი არ გრძობდეს,  
და ვინცა მისსა ტყვეობას გულსიგრილითა ჰხედავდეს,  
და მის დახსნისთვის უზრუნველ თავის სიცოცხლეს კი ჰზოგავდეს  
მტერსა, ხანჯალზედ აგებულს, ვინცა სიამით არ სჭვრეტდეს!  
და სმენა მისთა კენესათა გრძობათა არა უტეობდეს!“

მისი სახელი ყოველთვის გაკიციხეთ იქნეს მოგონებული, ვინც სიამონებით არ დახედავს ხანჯალზე აგებულ მტერს და ვინც არ დასტკებდა მისი კენესის სმენითაო — აი რას ამბობს აქ პოეტი. იქნებ პირად მტერზე გველაპარაკება პოეტი? არა. მამულის მტერსა გულისხმობს, იმ მამულისას, რომელიც ტყვეობაში იმყოფება.

პოეტის დროის იგივე გულმიუვალი აწმყო სამშობლოსი უფრო მეტი სიმძაფრით არის წარმოდგენილი ლექსში „ეპ ივერიაე!“

„ეპ, ივერიაე! ვიღრე იყო ქედმოდრეკილი  
ვიღრე მდის სხეთა ყვედრებითა გფარვიდეს ძალი  
რად არ გახსოვს ძეთა შენთა ზრმალთა კრალი,  
ძლევათა მათგან როს დიდებით იყავ მოსილიმ!  
წინაპართ სისხლი აწ ჩვენს შორის არლა მდინარებს,  
თავისუფლება განქრა ჩვენთვის, რალა გვახარებს!  
სადლა ეპკოვით სიწმინდე ჩვენთა ზნეთა,  
აწ იქების მოქმედი სიბილწეთა.“

ეს ნაყოფი მოსულთ მტერ-მოყვარეთა,  
 ვინ აღმოჩნდეს მომცემი წარსულთ დღეთა?  
 შორით მოსული ჩემს მამულში მყვედრის ცხოვრებას,  
 მოყვრულად გვმტრობს, გეტაცებს ყოველს, გვიშს აღურსობას...  
 ესე ნაყოფი აქვს შარადი იუდასა მონებას,  
 ბედო! ნუ გძინავს, განიღვიძე, ისმენდ ვაებას!  
 ცხოვარს ვემგავსეთ, რომელსაცა მწყემსი არ უფის,  
 ვითარცა მგლისა, ეგრეთ შვირ კაცის ეშინს,  
 ვინცა განაგდებს საღმრთოს ელსა და გზას პატოის,  
 დასასრულ მიიწე საშინელად ესრეთ წარხლების.“

რამდენი აზრი და გრძნობაა ჩაქსოვილი ამ ლექსის ყოველ სტრიქონში. „ეჰ, ივერიძე, ვიდრე იყო ქედმოდრეკილი“?! ნუთუ ეს კითხვა საბუთის იძლევა კაცმა პოეტს უსაყვედუროს — წარსულისკენ იტკირები, აწმყოს ზურგს უჩვენებო?! „თავისუფლება განჭრა ჩვენთვის, აღარ გვახარებს“. ესეც ხომ არასახარბიელო აწმყოის კონსტატაციაა. ან: „ბედო, ნუ გძინავს, განიღვიძე, ისმენდ ვაებას“ — ამ სიტყვებშიაც გაისმის აწმყოთი განაწამები ქართველის სურვილი დაკარგული თავისუფლების დაბრუნებისა.

ეს ლექსი მნიშვნელოვანია იმიტაც, რომ, აქ ვხედავთ ახალი ვითარების სურათსაც:

შორით მოსული ჩემს მამულში მყვედრის ცხოვრებას,  
 მოყვრულად გვმტრობს, გეტაცებს ყოველს, გვიშს აღურსობას.

ყურადსაღებია დაცემული და დაქვეითებული ქართველის ყოფის სურათიც:

„საღლა ეპოვით სიწმინდე ჩვენთა ზნეთა,  
 აწ იქების მოქმედი სიბილწეთა,  
 ეს ნაყოფი მოსულთ მტერ-მოყვარეთა!“-ო.

ეს კაბადონები გვაგონებენ გენერალ ივანე აფხაზის სიტყვებს, პოეტს რომ გაუზიარა ჩრდილო კავკასიაში შეხვედრისას: „აწინდელი ჩვენი საზოგადოება არს მკვდარ მამულისათვის. ჰსცხოვნებენ უსაგანოდ, დაეხეტებიან უგზოდ... ყოველი ფიქრობს საკუთარისა თვისისა სარგებლობისათვის, რომლისა მისაღებად არა მიხედვენ არცა სირცხვილსა, არცა უპატიურსა გზასა, ანგარება არს მათვის თაყვანსაცემი კერაჲ, რომლითაც გვეკარგება პატიოსნება. — გარნა ნუ გგონია — ეუბნება ივ. აფხაზი გრიგოლს — რომელ ესე იყოს ბუნებითი თვისება ქართველთა. არა! ესე არს მხოლოდ ნაყოფი ოცდაათის წლის შორჩილებისა“.

როგორ ემსგავსება აფხაზის ბოლო სიტყვები გრიგოლ ორბელიანის ლექსის ბოლო სტრიქონებს: „აწ იქების მოქმედი სიბილწეთა, ეს ნაყოფი მოსულთ მტერ-მოყვარეთა“.

ვახტანგ ორბელიანის ჩვენებაში მოტანილი სიტყვების „საქართველოში შეიქმნას რესპუბლიკის სახეობა“-ს თქმაზე, როგორც ვნახეთ, არ ამბობს სოლომონ დოდაშვილი. ამდენად ცხადი ხდება, რომ რესპუბლიკის აზრი სწორედ სოლომონ დოდაშვილის უტრიალებდა თავში. რაზნოხინეც-ინტელიგენტი საგან ეს ვასაკვირი და მოულოდნელი არც არის. ამგვარი, ყოველ შემთხვევაში, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული აზრების პატრონია პეტერბურგში დიმიტრი იულონ ბატონიშვილის ძე, რომელიც იქ ჩასულ ქართველ ახალგაზრდობაში ამ დემოკრატიული იდეების პროპაგანდას ეწეოდა სისტემატურად. ეს ცნობილი ამბავია და აქ მასზე აღარ შევყოვნდებით. გვინდა ისევ რესპუბლიკურ განწყობილებას დაუბრუნდეთ, რომელიც სოლომონ დოდაშვილის გარდა სხვა ინტელიგენტსაც ჰქონდა. მე აქ ვგულისხმობ გრიგოლ ორბელიანს, რომელმაც ასეთი განწყობილება გამოამყვანა თავის დღიურში. აქ 1831 წლის ოქტომბერში იგი ჩასწერს: „ნოვლოროდს გაველ მდინარესა მცირესა ვოლხოვს, რომელზედაც არის გადებული დიახ კარგი ხიდი, თუჯის პერილით, დაღამდა, რა შეველ ქალაქში და ვედარ მოვიტხოვე კვარტირა, ამისთვის დავედგეტალიანის ტრაზტირში. ფიქრმა ნოვლოროდისათვის არ დაამძინა დიდს ხანს. — გონებაში წარმომიდგა რესპუბლიკანური უწინდელი ამათი მმართველობა, სიმდიდრე, ვაჭრობა და მხნეობა ამის მოქალაქეთა, ვეჩევოსის ზარი, რომლითაც შეიკრიბებოდა ხალხი მძიმე საქმის გადასაწყვეტად, ნოვლოროდის რაყიფობა მოსკოვის მეფეებთან და შემდგომად დამზობა მისი მრისხანე იოანე მეფის მიერ. ვიდრე იყო რესპუბლიკა, ნოვლოროდი ყვაელოვნობდა ვაჭრობითა, მხნეობითა, სიმდიდრითა და იყო სხვათა რუსებზე უმეტეს განათლებულთა და თვით თათართ მონებასაცა გადურჩა. გარნა აწ აღარც აჩრდილი ჰსჩანს უწინდელისა მის შემძლებლობისა რკინის ხელმან შეიპყრა და განაქარვა ყოველი დიდება მისი“<sup>7</sup>.

ვფიქრობ, ყველასათვის, ვისაც კი ასხია თვალნი ხედვად და ყურნი სმენად, ცხადია და არა საცილობელი, თუ საითკენ არის გადახრილი 27 წლის ახალგაზრდა გრიგოლ ორბელიანის<sup>8</sup> პოლიტიკური სიმპათია, რა უფრო მოსწონს, „რკინის ხელი, რომელმაც შეიპყრა და განაქარვა ყოველი დიდება ნოვლოროდისა“ თუ „უწინდელი რესპუბლიკური მისი მმართველობა“, რა თქმა უნდა, მოსწონდა სწორედ უკანასკნელი, ნოვლოროდის რესპუბლიკური მმართველობა.

ამიტომაც „ფიქრმა ნოვლოროდისათვის“ არ დაამძინა დიდ ხანს. რატომ გაუკრთა ძილი პოეტს? არ დავივიწყოთ, რომ საქართველოდან წამოსვლამდე მან ყაზარმელების წინადადებით სთარგმნა, უკეთ, გადააკეთა

<sup>7</sup> გრ. ორბელიანის დღიური, 1959 წ. გამოცემა, გვ. 216.

<sup>8</sup> გრ. ორბელიანი დაიბადა 1804 წლის 2 ოქტომბერს. ი. გრ. იშაშვილი, ლიტერატურული ნარკვევები. თბ., 1952, გვ. 116.





კონდ. რილევის „ნალივიაკოს აღსარება“. რილევი კი და საერთოდ დეკაბრისტები ეტრფოდნენ ნოვგოროდს, იგი მათ მიაჩნდათ თავისუფალი პოლიტიკური წყობის სიმბოლოდ. სწორი იყო თუ მცდარი ამგვარი მათი შეხედულება ძველი რუსეთის ორ თავისუფალ ქალაქზე: ნოვგოროდსა და პსკოვზე, ეს სხვა საკითხია, რომლის განსჯა აქ სრულიად უადგილოა. უცილობელია ის, რომ დეკაბრისტებისათვის ნოვგოროდი და პსკოვი რუსეთის დაკარგულ თავისუფლებას განასახიერებდნენ. და ამ ქალაქებისადმი მათი ტრფიალი არსებითად იყო თავისუფლებისადმი ტრფიალი. აი რას წერს რილევი ნოვგოროდზე:

«Приветствую тебя, отечество Вадима\*,  
 С младенчества певцу любезная страна.  
 Приветствую тебя, о, славная страна,  
 Свободы колыбель, отечество Вадима».

(К. Ф. Рилеев. Стихотворения, М—Л., 1948. с. 30)

მეორე გამოჩენილი პოეტი-დეკაბრისტი ოდოევსკი ნოვგოროდსა და პსკოვს, ძველ რუსულ რესპუბლიკებს, აგრეთვე მიუძღვნის ლექსების მთელ წყებას: «Зосима», «Неведомая страница», «Кутья», «Послы Пскова», «Старица - пророчица».

იმავე რილევის დარჩა შავად, დაუმთავრებელი «Думы о Вадиме» და «Марфа Посадница».

დეკაბრისტების მარცხისა და ტრაგიკული დაღუპვის შემდეგ ნოვგოროდ-პსკოვის თემა თვითმპყრობელობასთან თავისუფლებისათვის ბრძოლის თემად იქცა, მეტადრე ა. ი. ოდოევსკის შემოქმედებაში. დეკაბრისტებისა და ერთობ მაშინდელი მოწინავე რუსი ინტელიგენციისათვის ნოვგოროდი და პსკოვი იყო სიმბოლო თავისუფლებისა.

გრიგოლ ორბელიანისა, ელიზბარ ერისთავისა და არაერთი ყაზარმელისათვის ცნობილი იყო ნოვგოროდისა და პსკოვის ამგვარი შეფასება რუსი ინტელიგენციის მიერ და სწორედ ამიტომ იყო, რომ რუსეთის ამ თავისუფლების აკვანში — ნოვგოროდში — ჩასვლისას გრიგოლ ორბელიანს ძილი გაუკრთო სწორედ „ფიჭრმა ნოვგოროდისათვის“.

პროფ. გ. ხაჭაპურიძეს არ მიაჩნია საკმარისად გრ. ორბელიანის დღიურში დაცული შეხედულებანი ნოვგოროდზე იმის დასამტკიცებლად, რომ გრ. ორბელიანი რესპუბლიკური იდეების მიმდევარი იყო, რადგან დღიურში მას მომავალი საქართველო სამეფოდა ჰყავს წარმოდგენილი და უზუნაესი ხელისუფლებით მოსილად ბაგრატიონებიო<sup>9</sup>. ეს მტკიცება ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. გრიგოლ ორბელიანი აფხაზთან საუბ-

<sup>9</sup> Г. Хачапуридзе, К истории Грузии первой половины XIX в., Тб., 1950 с. 60.



რისას არსად, არც ერთ ადგილას მომავალ საქართველოს არ წარმოადგენს სამეფოდ. პირიქით, ორგან ის ხაზგასმით ფრთხილად გამოსთქვამს თავის აზრს საქართველოს მომავალ მმართველებზე: „ამას (ე. ი. რეგულს) ადვილად მოახდენენ მაშინ ივინი, ვინც დარჩებიან ერის მმართველად“<sup>10</sup>, ან კიდევ: ამა ერისა (=ქართველებისა) სულისა დამდაბლებასა ადვილად აღზოცენ ივინი, ვინცა იქმნებიან შემდგომად რუსთა დაცემისა ერის მმართველნი, უკეთუ იქმნებიან გონებიან და შორსმხედველი“<sup>11</sup>. სადაა აქ სამეფო ან ბაგრატიონები? პირიქით, მრავლობითი რიცხვით საქართველოს მომავალი მმართველების მოხსენიება ამ ორ წინადადებაში უფრო მეტ საბუთს გვაძლევს იმის მტკიცებისათვის, რომ გრ. ორბელიანს მომავალი მმართველობა საქართველოსი სწორედ რესპუბლიკური ფორმით აქვს გააზრებული.

ამრიგად, 27 წლის გრიგოლ ორბელიანის სახით, სოლომონ დოდაშვი-გარდა, ჩვენ გვყავს კიდევ ერთი პროგრესულად მოაზროვნე ქართველი ინტელიგენტი 1832 წლის შეთქმულებაში. დააჩნია თუ არა რაიმე შესამჩნევი კვალი შეთქმულებამ ანუ ყაზარმებამ ქართველების ცხოვრებას, ისახელა თუ არა მან რომელიმე ფაქტით თავი?

ყაზარმელებმა გავლენა იქონიეს ჩვენს მწერლობაზე, ლიტერატურაზე, პერიოდიკაზე, თეატრზე; ყაზარმელების აქტივი ცდილობს სამშობლოს წარმატებისათვის როგორც კულტურის დარგში, ისე პრაქტიკულ სფეროში. ყაზარმელთა წრეში დაიბადა იდეა დაქსაქსული ქართველების გაერთიანებისა და იგივე წრე იყო დამაარსებელი ჩვენში პირველი საზოგადოებისა. ყაზარმელები იღწვიან აგრეთვე მრეწველობისა და მეურნეობის დარგში. ყაზარმელივე დიმიტრი ყიფიანი ახალ თაობასთან ერთად შექმნის ეკონომიურ ბაზას ქართველების კულტურული წინსვლისათვის: დააარსებს საადგილმამულო ბანკს.

ყოველივე ეს იმას ადასტურებს, რომ ყაზარმობამ შესამჩნევი კვალი დააჩნია ქართველების ცხოვრებას.

<sup>10</sup> დღიური, ქართული მწერლობა, 92.  
<sup>11</sup> იქვე, გვ. 250.



## მასალები გიორგაფიული ლექსიკონისათვის

3 — ჯ

ვანნაძე//ბებურიშვილი ადამ. ახლდა ალექსანდრე ბატონიშვილს თავ-რიზს 1799 წელს. 1801—1804 წლებში საქართველოს გარეთაა.

1804 წ. 29. VI-ს ყაზახის ალაღარ ნაგი-ბეგთან ერთად თავს დაესხა ბორჩალოს მემამულე ქანანოვს და მერე ყაზახს წავიდა. შემდეგ გამოქცეა ალექსანდრე ბატონიშვილს და როცა 1804 წ. ციციანოვმა გამოიძახა, საქართველოში დაბრუნდა, ციციანოვმა იგი დანიშნა მოურავად შურაგელის მხარეში. ამ თანამდებობაზე ორი წელი გაატარა.

მიიღო პრაპორშჩიკობა. 1812 წ. აჯანყების ლიკვიდაციაში მონაწილეობისათვის დაენიშნა პენსია.

1817 წელს ითხოვს კარდანახის მამულის დაბრუნებას. ეს მამული ჩამოერთვა მას 1803 წელს ალექსანდრე ბატონიშვილის ერთგულებაზე ფიცის მიღებისათვის.

კარდანახის მამული შედგებოდა 5 კომლი ყმა-გლეხისა (17 მამაკაცი და 10 ქალი), ქვის სახლისა და ხილის ზაღისაგან.

ვანნაძე ასლან (? — 1814). კახეთის 1812 წ. აჯანყების მონაწილე. ვანნაძეთა საგვარეულოს ონანაშვილთა შტოდან. კახთა მეფის მდივანი იყო.

1802 წლის ივლისში აწერს ხელს კელმეჩურის მუჯალამას (აქტები, I, გვ. 387). კახეთის აჯანყებაში მონაწილეობისათვის გადაასახლეს პერმში.

„პერმში მეთვალყურეობის ქვეშ მყოფ ქართველთაგან ასლან ვანნაძე გარდაიცვალა ამა თვის პირველ რიცხვში“ — შტუბინებს პერმის სამოქალაქო გუბერნატორი რტიშჩევს 1814 წლის 4 მაისს (საქართველოს ც. ა. ფონდი 2/8, საქმე 272, ფ. 14).

ვანნაძე (აგათოშვილი) გორჯასპი. კახეთის 1812 წ. აჯანყების მონაწილე. გადასახლეს ციმბირს. 1813 წლის მაისში ის უკვე ტობოლსკშია (საქართველოს ც. ა. ფონდი 2/8, საქმე 272, ფ. 4).

1818 წ. 16 აგვისტოს განკარგულებით იგი განთავისუფლებულია და ნება ეძლევა სამშობლოში დაბრუნებისა. ციმბირის გენერალ-გუბერნატორი მ. სპერანსკი შეკითხვას გზავნის პოლიციის სამინისტროში — ხომ არ შეიძლება აგათოშვილი გორჯასპი ციმბირიდან მოსკოვს ჩასული პე-

ტერბურგში ჩამოვიდესო. სამინისტრო აცნობებს გუბერნატორს, რომ უმჯობესია პირდაპირ საქართველოში წავიდესო (1818 წ. 10. XII, ფონდები 2, საქმე 486, ფ. 54).

ვაჩნაძე სიმონ სოლომონის ძე. დავითგარეჯის არქიმანდრიტის ილარიონ ვაჩნაძის ძმისწული.

ბავშვი გამოგზავნეს იოანე ბატონიშვილის რჩევით პეტერბურგში. აქ იოანე ბატონიშვილის ხელმძღვანელობით რუსულიდან თარგმნა „სწავლა ზნეობითი“ (H—1197). „სწავლა ზნეობითი“ ფრანგულიდან რუსულად თარგმნა ა. ბესტუჟევა, გამოცემულია პეტერბურგში 1807 წელს.

სიმონ ვაჩნაძეს ეკუთვნის ორი ლექსი.

1853 წელს ის პოდპოლკოვნიკია ერევნის პოლკისა, რომელიც ამ დროს მანგლისში ღვას (Сливичкий С. А. Древний храм в Манглисе, Тифлис, 1902, с. 9).

ვახვახიშვილი დარეჯან სულხანის ასული. გარსევან ჭავჭავაძის ბიძაშვილი<sup>1</sup>. გარსევანის პაპას, ასევე გარსევანს, სამი ვაჟი ჰყავდა: 1. ამბაკო (არქიმანდრიტი), 2. რევაზ (გარსევანის მამა), 3. სულხანი. ამ სულხანის ქალია დარეჯანი, გათხოვილი ბაზიერთუხუცეს ვახვახიშვილზე. 1795 წელს ტყვედ ჩაუვარდა აღამაჰმადხანს. გარსევანმა, მისმა ბიძაშვილმა, ის გამოიხსნა და თან წაიყვანა პეტერბურგში. 1799 წელს დარია ვახვახიშვილი მოჰყვება თან გარსევანის ოჯახს თბილისში. გარსევანის მეუღლის სახელზე გაცემულ პასპორტში მის თანამგზავრებთან ერთად ჩაწერილია „княгиня Дарья Сулхановна Вахвахиева“ (Цагарели, Грамоты.. т. II, В. II, 215).

საქართველოში დარია ვახვახიშვილს გიორგი XIII უნიშნავს „ბენციას 14 თუმანს“ (მასალები საქ. ეკ. ისტ. III, 144) და აღექსანდრე ჭავჭავაძეს აკისრებს ყოველწლიურად მიაღებინოს დარიას 80 მან. ფულად და 6 ხალვარი პური — სულ 140 მან (აქტები, II, ფ. 38).

დარია ვახვახიშვილი აღამაჰმადხანის შემოსევისას უკვე ქვრივია. მას ჰყავს ერთი ვაჟი — დიმიტრი, რომელიც 1804 წელს მთიულეთის აჯანყებაში იღებს მონაწილეობას. ამისათვის ის პერმს გადაასახლეს.

თვით დარეჯანიც ეტყობა ერთგვარად მონაწილეობდა ამ აჯანყებაში, რადგან იგი შეტანილია მთიულეთის აჯანყების გამო გამოძიებაში მყოფ პირთა სიაში № 206-ით (ფონდი 2, საქმე 105, ფ. 656r).

<sup>1</sup> ა. ცაგარელს ეს პირი სამიხელში შეეყვანილი ჰყავს როგორც გარსევანის ცოლსა, რადგან პასპორტში ის მოხსენიებულია გარსევანის მეუღლის დად. მაგრამ გარსევანის მეუღლე იფანეს ასული იყო; ეს დარეჯანი კი სულხანის ასულია. სულხანი გარსევანის მამა ერჭვა სახელად.



1810-იან წლებში დარეჯანი ისევ პეტერბურგშია. ალბათ ისაა, ვინც ვიდა თავის ბიძაშვილთან — გარსევან ჭავჭავაძესთან (რომელიც 1811 წლის აპრილში გარდაიცვალა). პეტერბურგში ყოფნისას ის ხელს უწყობდა ცნობილ იონა ხელაშვილს. ნიკოლოზ ბარნაბიშვილი, რომელმაც იონას მოღვაწეობას უძღვნა ვრცელი წერილი, აღნიშნავს: „იონა პეტერბურგის ახლო-მახლო მიდამოებში ხშირად მართავდა კათოლიკეთა და ლოთრანეგებთან ბაასს დარია ვახვახოვას დახმარებით“ („სახალხო გაზეთი“, 1911 წ. №№ 347, 348).

1811 წელს დარია თხოვნით მიმართავს იმპერატორს გაათავისუფლოს პერმში გადასახლებული მისი ვაჟი დიმიტრი. 1811 წ. სექტემბერში სენატისადმი გაცემულ ბრძანებაში ალექსანდრე I გადასახლებიდან დაბრუნების ნებას აძლევს პერმში გადასახლებულ 4 ქართველს: დიმიტრი ვახახიშვილს, სიმონ ქობულაშვილს, დიმიტრი ჩოლაყაშვილს და ზაალ კობიაშვილს. დარეჯანის ვაჟის შესახებ ამ ბრძანებაში ნათქვამია: „ყურად ვიღებთ რა ქართველი კნეინის ვახვახოვას თხოვნას..., თავისუფლებას ვუბოძებთ მის ვაჟს კოლუესკი ასესორს თავად დიმიტრი ვახვახოვს“ (აქტები, IV, 56).

„კალმასობა“-ში დაცული ცნობის მიხედვით, ერთ ღროს აპირებდნენ დარეჯან ჭავჭავაძე (შემდეგში ვახვახიშვილი) დავით ბატონიშვილისთვის შეერთოთ („კალმასობა“, ზ. ჭიჭინაძის გამოც., გვ. 13).

დავით რექტორმა დარეჯანს უძღვნა ლექსი „დარეჯან გარსევანა ეში-კალასბაშის ბიძაშვილს დარეჯანზედ ზმად თქმული შაირი“.

„სულისა ძალთა წამლებო, იღვისოს ველის ისარო,  
ხელქმნილთა ვტნისთ მომდებო, თუ შენ კერძ აღარ ისარო,  
ბრისთ მწყველუო გელისა, მუნთ მესროლო ისარო  
რად არე ჯანნი ტყვე ქმნილის ელატნი დამბრენ ისარო“.  
(გ. S—1735. 8r).

დავით რექტორმა ეს ლექსი დაწერა დავით ბატონიშვილის თხოვნით. რექტორი დარეჯანს მოიხსენიებს „ბაზიერთუხუცის რძლად“ — ე. ი. დარეჯანის მეუღლე ყოფილა ვაჟი ბაზიერთუხუცეს ვახვახიშვილისა.

დარეჯანისადმი მიძღვნილი ალ. ჭავჭავაძის ლექსი „ავადმყოფობის ეამს მოწერილი“.

„საწუხმან ხმან საწყინოდ კმან  
მამცრო მთიარის გაწლულობა...“  
(ალ. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ი. გრიშაშვილის გამოც. თბ., 1940. გვ. 115).

ამ ლექსის ერთ-ერთ ხელნაწერს (გრიგოლ ბატონიშვილის ანთოლოგიაში) აქვს ასეთი ლეგენდა: „სანკტპეტერბურგში ოდეს ალექსანდრე ჭავჭავაძე შევიდა თავის მამიდასთან კნეინა დარეჯანასთან და კნეინა იგი იყო თავმოხვეული, ქვეშაგებში იჯდა, ავად რასმე და უქეიფოდ იყო და თა-



ვის ძმისწულმა ალექსანდრემ მოახსენა ჩაბრახულით ლექსი ესე (H — 2130. ფ. 45r).

მთელი ერთი გვერდი აქვს დათმობილი ავთანდილ თუმანიშვილის ფრივოლურ პიესაში კნენინა დარიას (H — 2130. გვ. 120).

დარეჯანისადმივე უნდა იყოს მიძღვნილი ლექსი, „კნენინა დარია მოპატიჟა სადილად და მისწერა ესე მეფის ძემ იოანემ“.

„მოვედ დარაგ, სახითა დიაც,  
ჩვენ შორ გვეჯ, ვარდო და იჯ,  
მთოვარებ მზიაც, ზეჭირო, ნიაც,  
ბოლინათ შორის შენამსგავსიაც!  
იმსთუმლე ესე, სიბრძნის ბაღიაც!...“ და სხვ.

(S—3686 გვ. 106).

**ვახვახიშვილი დიმიტრი.** ანწუხელი. ილია ზურაბიშვილის წინაპარი. სოფ. კურდღელაურს მცხოვრები თავადი. მონაწილე 1812 წ. კახეთის აჯანყებისა. აჯანყების ლიკვიდაციის შემდეგ გაიქცა ალექსანდრე ბატონიშვილთან დაღესტანში. აქ ის სამი წელი ცხოვრობდა ლეკების სოფელ ანწუხში და იქვე გარდაიცვალა 1816 წელს. ამ დროისათვის მისი შვილებისაგან ცოცხალი იყო მხოლოდ ერთი ქალი — სოფიო, რომელიც თავის ბიძებსა — გრიგოლ და ივანესთან და ბიძაშვილებთან ცხოვრობდა სოფ. კურდღელაურში. დიმიტრი ვახვახიშვილის კუთვნილი მამული 1814 წლიდან ხაზინისაგან იყო წაღებული. 1819 წელს დიმიტრის ძმამ გრიგოლ ვახვახიშვილმა ითხოვა დიმიტრის წილი მამულის დაბრუნება. თელავის სასამართლომ 1820 წელს დაუბრუნა „მოღალატის ქალს“ მამის მამულის ნაწილი — სახელდობრ ამ მამულის მოსავლის ორი მესამედი გათხოვებამდე (ფონდი 2, საქმე 689, ფ. 7—8).

სოფიო დიმიტრის ასული ვახვახიშვილი მისთხოვდა არქიმანდრიტ ელეფთერის ვაჟს იოანე ზურაბიშვილს, შემდეგში მღვდელს. ამათ 1824 წელს ეყოლათ ვაჟი ელეფთერი. ელეფთერი შემდეგში ქართველთა ქვეითი დრუჟინის პრაპორშჩიკი იყო. ცოლად შეირთო მელანია ქაჯაია ტურინისციხიდან. ელეფთერ ზურაბიშვილისა და მელანიას მესამე ვაჟი იყო ჩვენი ბელეტრისტი ილია ელეფთერიძე — ზურაბიშვილი (1872—1955).

**ვახვახიშვილი დიმიტრი.** გარსევან კავჭავაძის ბიძაშვილის შვილი. კოლექსკი ასესორი.

ალ. კავჭავაძეს აქვს ლექსი, რომელიც იწყება სიტყვებით „მხოლობის და მოცლის ნაყოფს კალმით მდარით, მეგობარს გიძღვნი, გთხოვ მიიღო პირით მღიმარით“. ეს ლექსი ავტორისაგან მიძღვნილია დიმიტრი

ვ.-სადმი<sup>2</sup>. ლექსის გამომცემელი ი. გრიშაშვილი ფიქრობდა, რომ „დომიტრი ვ.“-თ იფულისხმებოდა დომიტრი ვახტანგის ძე ორბელიანი (თეკლე ბატონიშვილის ვაჟი, რომელიც დაბადებულია 1807 წელს). ამავე დროს ლექსის ადრესატი ავტორთან „შეერთებულია“ „სიყრმით ვიდრე დღევანდელამდე“. ლექსიდანვე ჩანს, რომ ავტორსა და ადრესატს მსგავსი „ცთომა“ ჰქონიათ „განუსჯელი სიჭაბუკის“ ეპოს. ლექსის ადრესატს ალ. ჭავჭავაძესთან გაუტარებია სიჭაბუკე. ასეთად კი დომიტრი ორბელიანი, ჭავჭავაძეზე 21 წლით უმცროსი, ცხადია, ვერ იქნებოდა. ჭავჭავაძის ლექსის ადრესატია დომიტრი ვახვახიშვილი, შვილი გარსევან ჭავჭავაძის ბიძაშვილის დარეჯან სულხანის ასულ ჭავჭავაძე-ვახვახიშვილისა და ბაზიერთუხუცესის ვახვახიშვილისა.

1795 სექტემბერში დომიტრის დედა დარეჯან ვახვახიშვილი ტყვედ ჩაუვარდა ალამაჰმადხანს (А. Цагарели, Грамоты... т. II. В. II, 104). დარეჯანი ტყვეობიდან დაიხსნა და პეტერბურგში თან წაიყვანა გარსევან ჭავჭავაძემ (იქვე, 209). სად იყო ამ დროს დარეჯანის ვაჟი დომიტრი, მასალები არაფერს გვეუბნებიან.

1801 წლის 8 იანვარს თბილისში ჩამოვიდნენ გიორგი ავალიშვილი და ელიაზარ (რევაზ) ფალავანიშვილი და თან ჩამოიტანეს პავლე I-ის მიერ დამტკიცებული „სათხოვარი მუხლები“ გიორგი XIII-ისა. პავლე I-ის სურვილის თანახმად საჭირო იყო მასთან დეპუტაციის გაგზავნა სათანადო მადლობის მოსახსენებლად და ორმხრივი აქტის დასადებად. 1801 წ. 18 იანვარს პეტერბურგში იგზავნება დეპუტაცია (7 დეპუტატის შემადგენლობით), რომლის რიცხვშია გარსევან ჭავჭავაძის მახლობელი პირი დომიტრი ვახვახიშვილი. დეპუტაციის პეტერბურგში ჩასვლამდე პავლე პირველის მანიფესტი საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ უკვე გამოცხადებული იყო, თვითონ პავლე აღარ იყო ცოცხალი, ზოლო აღექსანდრე I-მა — ხანგრძლივი ყოყმანის შემდეგ სექტემბრის 12-ს დაადასტურა მამის გადაწყვეტილება. დეპუტაცია კი ზემდეტი აღმოჩნდა. უკან გამობრუნებამდე დეპუტატებს სხვადასხვა ჯილდო მისცეს. მათ შორის დომ. ვახვახიშვილს — ბრილიანტის ბეჭედი (აქტები, 1, 760).

1801 წლის 5 ნოემბერს დომ. ვახვახიშვილმა ითხოვა, რათა „თვითო-თვითო-თა სახელოთა შინა განგვაწესოს“ და საქართველოში დაგვაბრუნონო (Фонд неперменного императорского совета, 1801 г. д. 266, л. 85). დეპუტატების თხოვნა მთავრობამ შეიწყნარა. სახელმწიფო საბჭოს 1802 წ. 4 იანვრის დადგენილებით გიორგი თუმანოვს, ოთარ ქობულოვს, დომიტრი ვახვახოვს, ივანე მალალოვს და აბესალომ ბებუთოვს მიეცათ კოლეცკი ასესორის ჩინი და

<sup>2</sup> ეს ლექსი დაწერილი უნდა იყოს 1826 წლის ივნის-სექტემბერში. იხ. აქვე, აღექსანდრე ჭავჭავაძის ბიოგრაფია.



800 მან. ვერცხლით (Архив Гос. Совета, т. III, в. II, СПб, 1878, с. 121), ამის შემდეგ დეპუტატები საქართველოსკენ გამოსწევენ.

მთიულეთის 1804 წლის აჯანყების დროს „1804 წლის სექტემბერში ალავერდობას, ალავერდის ტაძარში მრავალმა მლოცველმა მოიყარა თავი. აქედან 14-ში ღამით არქიმანდრიტმა ბესარიონ ერისთავმა, ალექსანდრე ჭავჭავაძემ მრავალი თავადისა და მსახურის თანხლებით ფარნაოზ ბატონიშვილისკენ გასწიეს“ (აქტები, II, 136). „კოლეჯსკი ასესორი თავადი დიმიტრი ვახვახოვი ფარნაოზ ბატონიშვილის პარტიაში წავიდა ალავერდობის დღეობის მერე. ჩარგალიდან მისწერა ფარნაოზ ბატონიშვილს წერილი და სთხოვა — ნება მომეცი შენ გეახლოო. მივიდა გუდამაყრის შესართავთან და აქ ელოდებოდნენ მთელი სამი დღე ბატონიშვილს. ფასანაურში თავადებმა ჩასჭიდეს ხელი მთიულეების მიერ მოტანილ დროშას და ფიცი დასდეს ბავრათიონთა გვარის ერთგულებაზე. მას (დიმიტრის) გადაწყვეტილი ჰქონდა სამუდამოდ დარჩენილიყო ბატონიშვილთან“ (ფონდი 2/8, საქმე 105, ფ. 648).

დიმიტრი ალავერდიდან ახმეტაზე გავლით 14 სექტემბერს წავა ფარნაოზ ბატონიშვილთან მთიულეთში. განუშორებლივ ახლავს ფარნაოზს და აჯანყების დამარცხების შემდეგ ფარნაოზს გაჰყვება სპარსეთში. მაგრამ გზაზე, ყაზახში, 1804 წ. 29 X-ს დიმიტრის, ალექსანდრე ჭავჭავაძეს და სხვებს შეიპყრობენ, თბილისში ჩამოიყვანენ. დიმიტრი პატიმრობაში იმყოფება ბინაზე (ფონდი 2/8, საქმე 105, ფ. 292).

გენერალ-მაიორი ნესვეტაევი, რომელიც ა/კავკასიის ჯარების სარდლად ითვლებოდა ციციანოვის მოკვლის მერე, გუდოვიჩს მოახსენებდა: „საქართველოს უმთავრესი თავადები დიდ მონაწილეობას იღებენ თ. ქობულოვის, კოლეჯსკი ასესორის დიმიტრი ვახვახოვის, თავად დიმ. ჩოლაყაევის, აზნაურ ზაალ კობიევის და ბერი იოსტოს ანდრონიკოვის ბედში და ითხოვენ, რომ მათი თავდებით ესენი გავათავისუფლოთ“ (ფონდი 16, საქმე 293, ფ. 64). გუდოვიჩის აზრით, აქ დასახლებული ოთხი კაცი (გარდა ბერი იოსტოსისა) ამბოხების უმთავრესი მეთაურები არიან და შეწყალების ღირსნი არ არიანო. 1806 წ. 31 დეკემბერს სახელმწიფო საბჭომ დაადგინა ოთხივე ეს პირი პერმში გადასახლებინათ (Архив Гос. Совета т. III, ч. II, с 1022). აი როგორ აღწერს ამ გადასახლებას ერთ-ერთი მონაწილე მთიულეთის აჯანყებისა: „1807 წელსა ჩვენ ეს ოთხნი გვამნი საქართველოს თავადნი დაგვკარგეს ჩვენის ქვეყნიდამ რუსთა: დამდეგს მარტს უეცრივ ღამე გამოგვისტუმრეს და დამდეგს თიბათვეს ციმბირის მამულში, პერმის ქალაქში მოგვყვანეს. და საწყალობელი ქობულოვი, მდივანი სვიმონ, სამს თიბათვეს ვარდიიცვალა. ამთენს მწუხარებასა და თელეგაში ვდებას ვერ გაუძლო და ეს სამნი გვამნი დავრჩით ჩოლაყოვი, თუშმოურავის შვილი დიმიტრი და ვახვახოვი, ბაზეირთხუცის



შეილი დიმიტრი და მე. არაგველი აზნაურიშვილი, მთიულეთის მრეწველობისაშვილი ზაალ<sup>3</sup> (H—1257. ფ. 1—5).

1811 წელს დიმიტრის დედამ დარეჯანმა თხოვნით მიმართა იმპერატორს გაეთავისუფლებინა მისი შვილი. 1811 წლის 8 სექტემბერს ალექსანდრე I-ის სენატისადმი გაცემული ბრძანებით კოლეცკი ასესორი დიმ. ვახვახოვი, კოლეცკი, სოვეტნიკი სიმონ ქობულოვი (ამ დროისათვის უკვე გარდაცვალებული), დიმიტრი ჩოლოყაევი და ზაალ კობიევი გათავისუფლდნენ გადასახლებიდან.

განთავისუფლებული ქართველები მალე საქართველოში დაბრუნდნენ.

1816 წლისათვის დიმ. ვახვახოვი თავის მშობლიურ თელავშია. ამ წელს გამოვიდა ყაზანის უნივერსიტეტის პროფესორის იოჰან-ქრისტეფორე ფინკეს (1773—1814) წიგნი «Естественное, частное, публичное и народное право», რომელსაც ბოლოში დართული აქვს წიგნის პრენუმერანტების (ხელისმომწერთა) სია. ამ სიის მიხედვით ეს წიგნი დაუკვეთია 316 კაცს, აქედან 44 ხელისმომწერი საქართველოდანაა; მათ შორისაა დიმიტრი ვახვახიშვილიც, რომელიც ხელს აწერს ამ წიგნის ორ ცალზე.

1819 წელს დიმ. ვახვახიშვილ თბილისშია. ამ წლის ზაფხულში ვიორჯი ავალიშვილმა თბილისი დასტოვა და იერუსალიმში გაემგზავრა. მას გამოსათხოვარი სადილი გაუმართა მისმა დისწულმა ალექსანდრე ჭავჭავაძემ მდ. ვერის პირას დარჩია ბებუთოვის ბაღში. ამ სადილს ესწრებოდა დიმ. ვახვახიშვილიც (S — 450).

1829 წელს რუსეთის მთავრობამ დაიწყო მოსახლეობაში მილიციის შესადგენად ხალხის მოგროვება, რასაც მოჰყვა გლეხობის მღელვარება, რადგან ეს ამბავი რეკრუტად გაწვევად მიიღეს. მღელვარების მოსასპობად პასკევიჩმა ალ. ჭავჭავაძეს დაავალა კახეთში გამგზავრება. იმავე წლის 18 მარტს ალ. ჭავჭავაძე მულანლოდან მოახსენებს პასკევიჩს: „ეზლა მივემგზავრები პატარძელს, თან მიმყავს მაიორი ქობულოვი, კოლეცკი ასესორი ვახვახოვი და მე-14 კლასის თადია ჩოლოყაევი“ (საისტორიო მოამბე, 1940, 2. გვ. 220) — დიმიტრი ვახვახიშვილი მონაწილეობს კახეთის გლეხობის დაწყნარებაში.

სოფ. ეგრისში ანუ ლარაძის სოფელში მართა შალიკაშვილის სახლში დაცული ყოფილა XVIII საუკ. ხელნაწერი ლოცვანი ქრონიკალური ჩანაწერებით. ერთ-ერთ ჩანაწერში ვკითხულობთ: „კნიაზ დიმიტრი ვახვახოვმან შეისვენა აგვისტოს ბ. კვირა დღეს, წელსა 1831-სა...“<sup>3</sup> დიმ. ვახვახოვი 1831 წელს გარდაცვლილა.

<sup>3</sup> Е. Такайшвили, Археологические экскурсии. Вып. IV, Тифлис 1913, с. 97.



ამ დიმიტრი ვახვახიშვილს უძღვნა ალ. ჭავჭავაძემ ლექსი „დიმიტრი ვახვახიშვილი“ და „კავკასია“.

„მსგავსება ფიქრთა, ხასიათთა და შემთხვევათა  
პრობს კაცთა შორის შესრულებას კავშირით მყარით“.

— ეუბნება მას პოეტი და აგონებს იმ დროს, როცა იმათ ერთად განიცადეს „განცხრომა გულის, შეშლა ქამის, ლალატი ბედის“.

ვოლხოვსკი ვლადიმერ დიმიტრის ძე (1798—1841). ღარიბი აზნაური პოეტავის გუბერნიიდან. პუშკინის ამხანაგი ლიცეუმით. დაჯილდოებული იყო იშვიათი ნიჭით, იყო მუყაითი, მტკიცე ხასიათისა. სუსტი აღნაგობა ჰქონდა. ამიტომ ამხანაგები მას ეძახდნენ „სუფროვს“. ლიცეუმი დაამთავრა პირველ მოწაფედ, ოქროს მედლით, მისი სახელი აღბეჭდილი იყო ლიცეის მარმარილოს დაფაზე. იგი გვარდიაში ჩაირიცხა და სამსახური დაიწყო გენერალურ შტაბში... იყო «Союз спасения»-ს და „ჩრდილოეთის კავშირის“ წევრი. ეს გარემოება მას არ უშლიდა ხელს ემსახურა როგორც მეფის რუსეთის ერთგულ ოფიცერს.

1826 წელს გამოგზავნილ იქნა პასკევიჩთან. მიიღო აქტიური მონაწილეობა რუსეთ-სპარსეთის ომში. 1828—1829 წლებში კავკასიის კორპუსის ობერკვარტირმეისტერია პოლკოვნიკის ჩინით და მეთაურობს საომარ ოპერაციებს. ყარსის, ახალციხისა და ახალქალაქის აღებაში მონაწილეობისათვის დააჯილდოვეს წმ. გიორგის IV ხარისხის ორდენით. ომის დამთავრების შემდეგ დაინიშნა გენერალურ კონსულად ეგვიპტეში. 1831 წელს მონაწილეობდა პოლონეთის აჯანყების ჩაქრობაში. პოლონეთში ის გენერლის ჩინით მსახურობდა ლიტვის კორპუსში, რომლის უფროსი იყო ბარონი გ. ვ. როზენი. როცა 1831 წ. აგვისტოში ეს უკანასკნელი დაინიშნა კავკასიის კორპუსის სარდლად, მან ვოლხოვსკისაც შესთავაზა კავკასიაში გადმოსვლა. 1832 წელს ის არის კავკასიის კორპუსის შტაბის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი. ამ თანამდებობაზე იგი მხოლოდ 1834 წელს დაამტკიცეს. შტაბის უფროსად ვოლხოვსკიმ იმსახურა 1838 წლამდე. მონაწილეობს 1832 წლის შეთქმულების გამოძიებაში (იესე ფალავანდიშვილმა მას მიუტანა შეთქმულების შესახები მასალა. გზლ. 258). ის არის სავამომძიებლო კომისიის წევრი.

1834 წელს ცოლად შეირთო ცარსკოე სელოს ლიცეუმის პირველი დირექტორის ვასილი თევდორეს ძე მალინოვსკის (1765—1814) ქალი—მარიამი, ვოლხოვსკის ლიცეუმის ამხანაგის — ივანე მალინოვსკის და (მალინოვსკის მეორე და ცოლად ჰყავდა დეკაბრისტ ა. ე. როზენს, რომელიც 1838 წელს კავკასიაში მოვიდა ციმბირის გადასახლებიდან) (А. Е. Розен, записки декабриста, СПб, 1907, с. 240). ვოლხოვსკი თბილისში ცხოვრობდა ერევნის მოედანზე (მის სახლში გაჩერდა ა. პუშკინი თბილისში ყოფნისას) გარდაიცვალა 1841 წ.

საქართველოს სსრ ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია ვოლხოვსკის მიმოწერა მამასთან (R № 41).

**ზაგურსკი ლეონარდ პეტრეს ძე (1827—1891).** კავკასიისმცოდნე. დაიბადა 1827 წ. 6 ნოემბერს ვოლინის გუბერნიის სოფ. ბაკშინოში. 1849 წელს დაამთავრა კიევის უნივერსიტეტი. 1850 წ. დაინიშნა ისტორიის მასწავლებლად თბილისის გიმნაზიასა და ამიერკავკასიის საქალაქო ინსტიტუტში. თბილისის ვაჟთა I გიმნაზიაში იმსახურა 20 წელი, შემდეგ 18 წელი — თბილისის რეალურ სასწავლებელში. 1888 წლიდან სიკვდილამდე იყო განსაკუთრებულ დავალებათა შემსრულებელი ჩინოვნიკი კავკასიის მთავარმართებელთან. იყო კავკასიისმცოდნეთა ჯგუფის წევრი. 1851 წ. აირჩიეს რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების (КОИРГО) წევრად. 1876 წლიდან იყო ამ განყოფილების საქმეთა მმართველი.

ბეჭდავდა წერილებს კავკასიისმცოდნეობის საკითხებზე შემდეგ გამოცემებში: «Сборник сведений о Кавказе», «Кавказский календарь», «Сборник материалов для описания Тифлисской губернии». გარდაიცვალა თბილისში 1891 წ. (იხ. ნ. ნიკოლაძე, ტ. I, გვ. 94).

**ზავილეისკი პეტრე დემიანის ძე (?—1843).** ყოფილი სამოქალაქო გუბერნატორი.

ფინანსთა სამინისტროს მოხელე. 1828 წ. კონკრინის რეკომენდაციით დაინიშნა საქართველოს სახაზინო ექსპედიციის უფროსად. კონკრინისაგან მას დავალებული ჰქონდა მეთვალყურეობა გაეწია ამიერკავკასიის მხარის კამერალური აღწერილობის შედგენისათვის. 1829 წ. 19. VII-ის „უკაზით“ ის საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორის თანამდებობაზეა სტატსკი სოვეტნიკის ჩინით. აქ მას მარცხი მოუვიდა, როცა შეეცადა ოსმალეთთან ომის გამო ქართული მილიცია შეედგინა. მის მიერ ამ მიმართულებით გადადგმულმა ნაბიჯებმა თითქმის აჩანყება გამოიწვიეს თბილისის მახლობელ სოფლებში. 1832 წ. იანვარში ის გადააყენეს გუბერნატორობიდან, ხოლო როცა გამომკვლავნდა შეთქმულება, იგი პასუხისგებაშიც მისცეს ამ შეთქმულებაში მონაწილეობისათვის. მას ედებოდა ბრალად ის, რომ თითქოს თავისი შემავიწროებელი ადმინისტრაციული განკარგულებებით განზრახ ჰქმნიდა ხალხში უკმაყოფილებას და უბიძგებდა მას რუსთა მმართველობის წინააღმდეგ. გამოძიებამ ვერ აღმოაჩინა ზავილეისკის მამხილებელი პირდაპირი საბუთები. საქმე დამთავრდა იმით, რომ სამსახურის გარეშე მყოფი ზავილეისკი დატოვეს პოლიციის საიდუმლო მეთვალყურეობის ქვეშ. შემდეგში ის კვლავ სამსახურში შევიდა და ფინანსთა სამინისტროს საბჭოს წევრის თანამდებობა მოიპოვა. გარდაიცვალა პეტერბურგში 1843 წ. 24 III-ს.

საქართველოში ყოფნისას ის იყო ამიერკავკასიის სავაჭრო პალატის დამაარსებელი და მთავარი მზრუნველი.

პორუჩიკმა ნათალოვმა უჩვენა, რომ 1832 წლის დასაწყისში მან შეიტყო ტიტულარული სოვეტნიკის მელნიკოვისაგან (მაშინდელი პოლიციებისტერის მოგვარისაგან) რომ თითქოს ზავილისკი ცდილობდა აეჯანყებინა ხალხი და ზოგი ჩინოვნიკიც მიიმხრო (ფონდი OBD, ს. 163, ფ. 219). (აქტები, VII, VIII). Н. Муравьев, Записки. Русский Архив, 1894. 1, III; Сафонович, Воспоминания, Русский Архив, 1903. IV.

**ზალდასტანიშვილი პატარკაცი, ასისთავი.** 1805 წელს მას დაბრალდა ალექსანდრე ბატონიშვილისაგან სპარსეთიდან გამოგზავნილი წერილების მიღება. ამ წერილებით ალექსანდრე ბატონიშვილი ქართველ თავადაზნაურობას აჯანყებისაკენ მოუწოდებდა. ამ დანაშაულისათვის პ. ზალდასტანიშვილს ციციანოვის წარდგინებით უნდა ჩამორთმეოდა აზნაურის ღირსება და სამუდამოდ გადასახლებინათ ციმბირში (Архив Гос. Совета, т. III, ч. II, გვ. 1019—1021). 1805 წლის 3 ივლისის განკარგულებით პატარკაცი ზალდასტანოს ჩამოერთვა აზნაურობა და გადაასახლეს ციმბირს სამუდამოდ.

**ზამანა მოლა.** მოლა ბორჩალოს დისტანციიდან. 1832 წ. შეთქმულებაში გარეული ალექსანდრე (პუბლია) ორბელიანის ყმა. ამ უკანასკნელის დავალებათა უყოყმანო შემსრულებელი. პირველი ჩვენება ჩამოერთვა 1832 წ. 15. XI-ს, ე. ი. ამის წინა დღეებშია დაპატიმრებული.

სავამომძიებლო კომისიამ იგი მიაკუთვნა III „რაზრიადს“. ანუ ისეთ დამნაშავეთ, რომელნიც მონაწილეობას იღებდნენ შეთქმულებაში და თანახმანი იყვნენ აჯანყებისა.

მოლა ზამანა გადაასახლეს არხანგელსკში საგუშაგო ბატალიონის ჯარისკაცად. გარდაიცვალა გადასახლებაშივე.

**ზარაპოვი ილია აბრამის ძე.** ცნობილია ნადიკვრელის ფსევდონიმით. ეკლესიის მამასახლისის შვილი. სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში 1868—1874 წლებში. სემინარიის დამთავრებისას მიენიჭა სემინარიის სტუდენტის ხარისხი. სენატის ბრძანებულებით (1879 წ. 10. VIII. № 105) კოლეგიის სეკრეტარის ჩინი მიეცა.

1879 წლიდან ასწავლიდა არითმეტიკას თელავის სასულიერო სასწავლებელში, ხოლო 1885 წლიდან — ქართულ ენას იმავე სასწავლებელში. ცოლად ჰყავდა სოფიო სულხანიშვილი. ამის ძმა ქრისტეფორე აბრამის ძე ზარაპოვი, ყაზანის სასულიერო სემინარიის სტუდენტი, 1871 წლიდან ასწავლიდა ლათინურ ენას გორის სასულიერო სასწავლებელში. 1884 წლიდან — კატეხიზისა და საღეთო ისტორიას. 1885 წლიდან რუსულსა და სლავურ ენებს თელავის სასულიერო სასწავლებელში.

სენატის ბრძანებულებით 1880 წელს მიენიჭა ტიტულარული მრჩევლის ჩინი.

ცოლად ჰყავდა ეფემია ქართველიშვილი. ჰყავდა ორი შვილი: დავითი (დაიბ. 1875 წ.) და ქეთევანი (დაიბ. 1878).

**ზეზემანი ედუარდ ედუარდის ძე** (1833—1902). პასტორის შვილი. დაიბადა კურლანდიის გუბერნიაში. სწავლობდა ლიბავის გიმნაზიაში, კიევის საინჟინრო სასწავლებელსა და საინჟინრო აკადემიაში.

1897 წ. დაინიშნა კავკასიის II არმიის კორპუსის სარდლად, ამ თანამდებობაზევე გარდაიცვალა 1902 წ. კუჭის კიბოთი.

მის ქალაქებში აღმოჩნდა ყარსის ოლქში მოგზაურობისა და ანისის ნანგრევების აღწერა, რაც გადაეცა «Известия КОИРГО»-ს რედაქციას.

**ზისერმანი არნოლდ ლევის ძე** (1824—1897). დაიბადა 1824 წ. 23 ივნისს პოდოლსკის გუბერნიაში ექიმის ოჯახში. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ 1842 წელს მიემგზავრება თბილისში. 1844 წ. დაინიშნა საქმისმწარმოებლად თუშ-ფშავ-ხევსურეთის ოკრუგში. სამსახურებრივი საქმეების გამო მოგზაურობდა ამ ოკრუგში და ახლოს გაეცნო ქართველ მთიელთა ყოფას და ზნეჩვეულებებს. დაბეჭდა რამდენიმე წერილი მათ შესახებ «Кавказ»-ში. ზისერმანმა იცოდა ქართული ენა. ამით მან მიიქცია მ. ვორონცოვის ყურადღება. 1849 წ. ვორონცოვის შუამდგომლობით ის დაინიშნა კავალერიის კორნეტად. 1851 წ. ჩაირიცხა დალესტნის ქვეითთა პოლკში, შემდეგ ყაბარდოს ეგერთა პოლკში, მაგრამ უფრო მეტად შტაბებში მუშაობდა, ნაკლებად მწყობარში. 1864 წ. პოდპოლკოვნიკის ჩინით დაინიშნა ყუბანის კაზაკთა I ბრიგადის სარდლად, 1865 წელს პოლკოვნიკობა მისცეს, 1866 წ. იძულებულია მიატოვოს სამსახური, რადგან აღმოუჩინეს უწესრიგობა ბრიგადის თანხებში. 1897 წელს ტულის გუბერნიის სოფ. ლუტოვლინოში დაიღუპა შემთხვევით — ტყის ჩეხვის დროს მოჭრილი ხის ქვეშ მოჰყვა. დასაფლავებულია იქვე. მას ეკუთვნის რამდენიმე შრომა, საინტერესო კავკასიის, კერძოდ, საქართველოს ისტორიისათვის: «История Кабардинского пехотного полка», т. т. I, II, III, М., 1889—1891; «25 лет на Кавказе», ч. ч. I, II, СПб., 1879; «Записки» — Русский Архив. 1896, XII; 1897, II; «Дела давно минувших лет» — Русский Архив, 1897, IV.

**ზუბალაშვილი ზაქარია მიქელის ძე** (1810—1877). სწავლობდა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში. 1826 წ. მშობლებმა გაგზავნეს ის დერპტში ვაჭრობისა და ბუხჰალტერიის შესასწავლად, იქ შეხვედრია შადინაშვილს, რომელსაც მისთვის ურჩევია ექიმობა შეისწავლეო. მართლაც, მას საექიმო განათლება მიუღია და საქართველოში დაბრუნდა მკურნალად. იყო დუშეთის, ახალციხის (1837) და თბილისის სამაზრო ექიმად

(1840), 1845 წ. დანიშნულ იქნა მოსკოვის უნივერსიტეტში შტაბ-მეურ-  
ნალად.

იყო კარგი მცოდნე ქართულსა. რუსულიდან ქართულად თარგმნი-  
და საექიმო წიგნაკებს. ღარიბებს უფასოდ მკურნალობდა, წამლებსა და  
სანოვაგებს უტოვებდა მათ. იცოდა აგრეთვე ევროპული ენები. დედანში  
კითხულობდა „აივენგოს“.

მან პირველმა შემოიღო საქართველოში ვაზისა და ყურძნის მკურნა-  
ლობა.

1854 წ. „კავკასიის საექიმო გამგეობამ“ გადაწყვიტა ქართულ ენაზე  
გამოეცა პატარ-პატარა ბროშურები სამედიცინო თემატიკისა. ეს საქმე  
გამგეობამ ზ. ზუბალაშვილს მიანდო.

ეს ერთადერთი ქართველი მკურნალი იყო იმ დროს (თუმცა პაკტ-  
ჰაუზენი თავის მარტყოფის ღვთაების აღწერაში მას სომეხს უწოდებს).

**თაბუკაშვილი კაციელა. სოლომონ II-ის დალაქი.**

როდესაც სოლომონ II გაქცევას აპირებდა, იმ ღამეს მის საძინე-  
ბელ ოთახში იმყოფებოდა მისი ფარეში კაციელა თაბუკაშვილი, რომელ-  
მაც იცოდა სოლომონის განზრახვა. წინა დღით მან სოლომონის სამეფო  
ტანისამოსი მიუტანა თბილისელ ვაჟარს ბეჟანა მუსაროვს, რომელიც  
სოლომონთან ხშირად მიდიმოდიოდა და ერთხელ მას ცხენის აღკაზმულო-  
ბა მიჰყიდა. ბეჟანა კაციელას შინ არ დახვდა, მისმა დამ სოლომონის ტანი-  
სამოსი კაციელას ბეჟანას ტანსაცმელზე გაუცვალა. ამ ტანსაცმელით  
გაიქცა სოლომონი ოსმალეთს.

თაბუკაშვილი სოლომონის გაქცევის ხელშეწყობისათვის სამუდამოდ  
გადასახლეს ციმბირში, დიდხანს არ უცოცხლია, გარდაიცვალა პერმში.  
(აქტები, VI—I, 857, 612).

**თამარ, გიორგი XIII-ისა და მარიამ დედოფლის ასული (1788—1851).**

1801 წ. 1 აპრილს, როდესაც დგებოდა საქართველოს სამეფო სახ-  
ლის წევრთა სია, თამარი იყო 13 წლისა (აქტები, I, 199—200), ე. ი.  
დაბადებულია 1788 წელს.

თამარი ყოფილა მაღალი ტანის, საქართველოდან რუსეთს გადასახ-  
ლებისას უღელტეხილზე ღამეს რომ ათევდა, ფეხები მოეყინა. ამის შემ-  
დეგ ორივე ფეხით დაკოჭლდა და უყავარჯნოდ ველარ დაიარებოდა. (ოლ-  
და ილია ბატონიშვილის ქალის (1840—1913) ნაამბობი, ჩაწერილი ინჟ.  
ირაკლი ლუკაშვილის მიერ. ინახება ნ. ბერძენიშვილის არქივში).

1850 წელს ნება მიეცა საქართველოში დაბრუნებისა. მოსკოვიდან სა-  
ქართველოში მომავალი გზად გარდაიცვალა ვორონეჟის ქალთა მონასტერში  
და იქვე დაასაფლავეს, 1851 წლის აპრილში. შემდეგ ნება მისცეს საქარ-  
თველოში გადმოსვენებისა (აქტები X, გვ. 831) და 1851 წ. 26 ივლისს



დაკრძალეს მცხეთას, დედის, მარიამ დედოფლის გვერდით. ნეკროლოგი  
 თამარ ბატონიშვილზე დაიბეჭდა «Северная пчела»-ში. «Кавказ»  
 მა მოათავსა ვრცელი ცნობა თამარის გარდაცვალებისა და დაკრძალვის  
 შესახებ (1851 წ. 3 აგვისტო, № 59. გვ. 241).

**თამარ, დავით მეფის ასული (17... — 1841).** იმერეთის მეფეს დავითს  
 ჰყავდა 3 ასული: მზეხათუნ, ათათო და თამარი. უფროსი, მზეხათუნ, იგი-  
 ვე ელისაბედ იყო ცოლი სახლთუხუცეს ზურაბ წერეთლის ვაჟის — კაპი-  
 ტან სიმონ წერეთლისა. გარდაიცვალა 46 წლისა 1829 წელს საჩხერეში  
 და დასაფლავებულია ჭრუჭის მონასტერში (Q — 259. ფურც. 114r).

მომდევნო ქალი ათათო სოლომონ II-ის უახლოესმა ნათესავმა გა-  
 ათხოვა დავით აგიაშვილზე — და ორივეს (მზეხათუნს და ათათოს) მზი-  
 თვად მისცა მამული და გლეხები.

თამარი მიათხოვა გურიის თავად სიმონ ერისთავს, მზითვის ვატანება  
 კი ვერ მოახერხა. თამარს იმპერატორისაგან დაენიშნა პენსია 800 მან.  
 ოლენობით.

როდესაც თამარ ბატონიშვილი გარდაიცვალა (1841 წ.), მისი პენსია  
 შეიღებეს გაუყვეს: ვაჟს გიორგი ერისთავს და გაუთხოვარ ქალებს. თა-  
 მარს ოთხი ქალი ჰყავდა: სოფიო (ალექსანდრე თავდგირიძის ცოლი), კე-  
 სარია, მარიამი (გიორგი დავითის ძე გურიელის ცოლი) და მანიკა (გი-  
 ორგი დავითის ძე მაჩუტაძის ცოლი) (საქართველოს ც. ა., ფონდი 16,  
 საქმე № 6227, ფ. 3—4).

**თამარ, ერეკლე II-ის ასული (1747—1786).** ერეკლე II-ის ასული  
 მეორე მეუღლისაგან ანა (აბაშიძე) დედოფლისაგან (რომელიც გარდაი-  
 ცვალა 1749 წელს). თამარი დაიბადა 1747 წელს მარტყოფს (პაპუნა,  
 გვ. 141).

1762 წელს მიათხოვეს სარდალ დავით ორბელიანს. დავით ორბე-  
 ლიანი იყო ძე რევაზ სარდლისა (გარდაიცვალა 1769 წლის 23 ნოემბერს),  
 დაიბადა 11 იანვარს 1739 წელს, გარდაიცვალა 59 წლისა 1796 წელს.

ჰყავდათ 8 შვილი: 1. ივანე სარდალი, 2. მარიამ, როსტომ დავითის  
 ძე ერისთავის მეუღლე, 3. ანა, აბელ ანდრონიკოვის მეუღლე, 4. ბარბარე,  
 ივანე//წინია ანდრონიკოვის მეუღლე, 5. თინათინ, სოლომონ მეითრის  
 (თარხნიშვილის) მეუღლე, 6. ეკატერინე, გიორგი ამილახვრის მეუღლე,  
 7. ქეთევან, თეიმურაზ გიორგის ძე ციციშვილის, მარიამ დედოფლის  
 ძმის, მეუღლე. 8. ყაფლანი, გარდაიცვალა უშვილოდ 1796 წელს.

თამარ ერეკლეს ასული, გარდაიცვალა 1786 წ. 4 VIII-ს, დასაფლავ-  
 ებულია სიონში.

თამარ იულონის ასული (1791—1857) 1832 წლის შეთქმულების აქტიური მონაწილე.

იულონ ერეკლე II-ის ძის ასული. დაიბადა 1791 წელს. მამა გარდაეცვალა 1816 წელს. დედა — 1827 წ. 1811 წელს, 20 წლისას მისცეს ფრეილინობა და დაუნიშნეს შესაფერისი ჯამაგირი.

ცხოვრობდა თბილისში, ანჩისხატის ქუჩაზე. აღთქმა ჰქონდა დადებული, რომ არ გათხოვდებოდა და ქრისტიანის მკაცრ ცხოვრებას ეწეოდა.

შეთქმულების კურსში იყო 1830 წლიდან. შეთქმულთა ერთი ჯგუფის აზრით თამარი, როგორც კი არეულობა მოხდებოდა, უნდა გამოეყვანათ და ხალხისათვის ეთქვათ, რომ იგი, როგორც ბაგრატიონი. იქნებოდა საქართველოს პირველი გამგებელი, სანამ ალექსანდრე, ოქროპირ ან დიმიტრი ბატონიშვილები მოვიდოდნენ. თამარი თანახმა იყო შეთქმულებაზე, თუ უსისხლოდ მოხდებოდა.

საგამომძიებლო კომისიამ თამარ იულონის ასული III კატეგორიის დამნაშავედ სცნო. ამ კატეგორიაში შევიდნენ ის პირნი, რომელნიც აქტიურად მონაწილეობდნენ შეთქმულებაში და თანახმანი იყვნენ აჯანყებისა. იგი დააპატიმრეს 1833 წ. 24 თებერვალს (გზლ—436), როგორც III კატეგორიის დამნაშავეს, თამარს სიმბირსკში გადასახლება მიესაჯა. მაგრამ შემდეგ სასჯელი შეუცვალეს — დატოვეს თბილისში პოლიციის მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ. პატიმრობისას ის ავადმყოფობდა.

თამარ იულონის ასული განაგრძობდა ასკეტურ ცხოვრებას. ორჯერ იყო იერუსალიმში. მეორედ იერუსალიმში იყო 1857 წლის გაზაფხულზე, იქიდან დაბრუნებული სისუსტეს უჩიოდა. გარდაიცვალა 1857 წ. 6 ოქტომბერს, 8 ოქტომბერს გადაასვენეს სიონის ტაძარში. დაასაფლავეს მცხეთას („კავკაზ“, 1857. 10. X. № 79).

თარხნიშვილი დავით ზაზას ძე (1762—1839). ერეკლე II-ის დროს მიმბაში<sup>4</sup>. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ პოლკოვნიკის ჩინი აქვს. იყო გორის მაზრის თავადაზნაურთა მარშალი. ამიტომ თარხნიშვილთა ამ ოჯახს „მარშლიანთ“ ან „ზაალიანთს“ ეძახდნენ.

დავით თარხნიშვილს ცოლად ჰყავდა ზურაბ წერეთლის ასული მაკრინე, ლევან დადიანის ცოლისდა.

სიმონოვიჩის დასახმარებლად იმერეთში გაგზავნეს დავით თარხნიშვილი, რომელსაც ტორმასოვი ახასიათებს როგორც რუსეთის უერთგულეს კაცს. მას ჯერ კიდევ გუდოვიჩმა გაანდო რუსეთის ზრახვები იმერეთის

<sup>4</sup> დავითის მამა ზაზა გარდაიცვალა 1782 წელს. იხეივ ოსეს ძე. ს. ქაქაბაძის გამ. 83. 125.



დამორჩილების თაობაზე. სიმონოვიჩს ებრძანა ემოქმედა დავით თარხნიშვილსა და ზურაბ წერეთელთან (დავითის სიმამრის) შეთანხმებით და მათთან ერთად მიეღო ზომები სოლომონ II-ის წინააღმდეგ (H. C. Аносов, გვ. 68).

დავით თარხნიშვილი, მიმბაში, იყო ნათლია დავით მემკვიდრის ცოლის — ელენესი.

1832 წლის შეთქმულების საგამომძიებლო კომისიამ იგი მიაკუთვნა X კატეგორიას, ანუ ისეთ პირთ, რომელთაც არავითარი ბრალი არ ედებათ. საშეთქმულებო მასალებში იგი ფიგურირებს როგორც ისეთი პირი, რომელმაც იცოდა შეთქმულების ამბავი (გზლ. 309, 354, 293, 259, 388).

გრ. ორბელიანი სწერს გორიდან ილია ორბელიანს 1839 წლის 23 XII-ს „დავით თარხნიშვილი საწყალი ბერიკაცი გარდაიცვალა ამიერით“ („წერილები“, ტ. I. № 28. გვ. 50). დასაფლავებულია ვრთაწმინდის ტაძარში, (Пл. Иоселиани, Описание Кватахевского монастыря, გვ. 106—107). ამისი ძმაა სოლომონ თარხნიშვილი (იხ.)

დ. თარხნიშვილს ჰყავდა ცხრა შვილი:

1. ილია — შტაბროტმისტრი, გარდაიცვალა 45 წლისა 1865 წ. დასაფლავებულია ალავერდის კარიბჭეში. 2. კონსტანტინე — დაღესტნის ოლქის უფროსი, მერე განჯის გუბერნატორი. 3. იოსებ — გენ. ადიუტანტი, გუნიბის ალბანისას ისახელა თავი. 4. ალექსანდრე — მარშალი. მისი ცოლია მარიამ, ბიძინა ერისთავის ასული. 5. მიხეილ — სამხედრო, მისი ცოლია ალექსანდრა, სოლომონ ერისთავის ასული. 6. მარიამ — მაჰუტაძის ცოლი. ამის ქალი იყო ელიზბარ დადიანის ცოლი, ამათი ქალი მარიამ მიათხოვეს სახელმწ. საბჭოს წევრს ანდრია ერისთავს. 7. თამარ — მეუღლე ლუკა თარხან-მოურავისა. 8. X — ჭავჭავიშვილის ცოლი. 9. მართა — გიორგი ერისთავის (გლუხარიჩის) მეორე ცოლი. მეგობარი იყო პლატონ იოსელიანის ქვრივის — ანა მუხრანსკისა.

თარხნიშვილი დიმიტრი გლაზას ძე (აკადემიკოს ივანე რამაზის ძე თარხანოვის პაპა).

კახეთის 1812 წ. აჯანყების მონაწილე. ამ დანაშაულისათვის ციმბირს გადაასახლეს. 1813 წლის იანვარში ჩერკასკიდან ტობოლსკს მიიყვანეს.

საქართველოში დარჩა ცოლი და მცირეწლოვანი შვილები რამაზ, ესტატე და ასლანი. ცოლი მალე გარდაიცვალა და შვილები დარჩნენ ბეზიის (დედის დედის) — მაია შალიკაშვილის ანაბარად. მაია შალიკაშვილი რტიშჩევის სახელზე წერს განცხადებას და ითხოვს შემწევობას აზოლი შვილიშვილების აღზრდაში.

დიმიტრი თარხნიშვილი 1818 წლის მანიფესტით საქართველოში  
ბრუნდა.



**თარხნიშვილი დიმიტრი ზაზას ძე.** დიმიტრი თარხნიშვილი ალექსანდრე ბატონიშვილს, მღვდელ ზებედე შატბერაშვილის თხოვნით, შეკრული ფონი გაუთავისუფლა, რომ უხეფათოდ გასულიყო კახეთისაკენ (პუპლია ორბელიანის მოგონება მამაზე). მაგრამ ეს შეცდომა უნდა იყოს. ფონი ეჭირა დიმიტრი ორბელიანს და არა დიმიტრი თარხნიშვილს.

1832 წ. შეთქმულების საგამომძიებლო კომისიამ იგი მიაკუთვნა IX კატეგორიას, ანუ ისეთ პირთ, ვიზედაც შეიძლება ეჭვის მიტანა შეთქმულებაში მონაწილეობისა ან არაკეთილგანზრახულ სიტყვების მოსმენაში.

1825 წელს კაპიტან მარტინცოვს დავალებული ჰქონდა გვარდიის დასაკომპლექტებლად საქართველოდან ხალხის წაყვანა. მან შეარჩია ესტატე დიმიტრის ძე თარხნიშვილი, შვილი დიმიტრი ზაზას ძისა, თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის მე-6 კლასის მოწაფე. იგი გაიგზავნა პეტერბურგს სათავადაზნაურო პოლკში სამსახურისათვის.

**თარხნიშვილი ესტატე ლუარსაბის ძე.** გიორგი XIII-ის ქალის — სოფიო ბატონიშვილისა და ლუარსაბ ზაზას ძე თარხნიშვილის ვაჟი. 1819 წ. სექტემბერში მან თავის დედას ზანდუკიდან ამოაცალა თურქეთის სულთნის ფირმანი თარხნიშვილებისადმი. 1819 წ. 18 ნოემბერს ახალქალაქიდან გაიქცა საზღვარგარეთ (ფ. 16, საქმე 2521, ფ. 6). აქედან აგზავნის წერილს, რომლითაც ითხოვს საქართველოში დაბრუნების ნებას.

1820 წ. 9 ივნისს ერმოლოვმა ნება მისცა დაბრუნებისა (იქვე, ფ. 2) აგვისტოში ე. თარხნიშვილი დაბრუნდა და ითხოვს ჩამორთმეული მამულის დაბრუნებას (იქვე, ფ. 3). (ამავე ხანებში ჩანს კიდევ სხვა ესტატე თარხნიშვილი, დიმიტრის ძე, რომელიც 1825 წელს თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის VI კლასის მოწაფეა და პეტერბურგში იგზავნება).

1827 წ. ის რუსეთში მიდის. 15 აგვისტოს იონა ხელაშვილი სწერს პარმენ მღვდელს მოსკოვში: „ავთრათი მოგართვი ხელითა თარხანოვისა ესტატესითა“ (H — 2226, ფ. 393). გრიგოლ ორბელიანი წერს თავის „დღიურში“ 1831 წ. 8 ოქტომბერს რომ ის შეხვედრია ესტატე თარხნიშვილს მოსკოვში, დიდ თეატრში (გრიგოლ ორბელიანი, თხზულებათა სრული კრებული, თბ., 1959. გვ. 186—187).

ცოლად ჰყავდა ედიშერ ციციშვილის ქალი სოფიო. ამასთან ჰყავდა ორი შვილი: ვაჟი ლუკა და ქალი ელისაბედ (შინაურობაში კეკე), რომელიც შემდეგში გათხოვდა ყაზბეგზე — იყო ალექსანდრე ყაზბეგის დედა. ესტატეს ვაჟს ლუკას ცოლად ჰყავდა დავით მინბაშის (თარხნიშვი-

ლის) ქალი თამარ. ამათი ქალი იყო ნინა თარხან-მოურავისა (იხ. ბიბლიოგრაფია ივერიისა. ტ. III, ნაკვ. I, 1963, № 44, 69).

ესტატე თარხნიშვილს 1838 წელს პრაპორშჩიკის ჩინით იხსენიებენ (ფონდი 2, საქმე 4909).

1845 წელს მას უმგზავრია რუსეთიდან თბილისს ტარასი ალექსი-მესხიშვილთან ერთად (იხ. ტარასის წერილები № 13).

**თარხნიშვილი იორამ.** კახეთის 1812 წლის აჯანყების მონაწილე. ამ დანაშაულისათვის გადაასახლეს ტობოლსკში 1813 წ. მაისში.

1832 წელს გორის მაზრის კეთილშობილთა წინამძღოლი შალვა ერისთავი ადგენს სიას „გაგზავნილთა სიბირის პოსელენიაში გორის უეზდიდგან თავადთა და აზნაურთა მოქალაქობის გარემოებით“. ამ სიაში მე-5 ნომრით აღნიშნულ იორამ თარხანოვზე ნათქვამია, რომ ის „მობრუნდა მანიფესტით“.

**თარხნიშვილი სოლომონ ზაალის ძე.** დავით ბატონიშვილის დაახლოებული პირი. მისი მამა ზაალი ყორ-იასაულბაშია (მასალები, გვ. 62), ძმა მისი დავით თარხნიშვილი — მიმბაშია; ცოლად ჰყავდა სარდალ ივანე ორბელიანის და თინათინი (თამარ ერეკლეს ასულის ქალი). (პუბლია. ს. კაკაბაძე, ისტორიული წერილები, გვ. 35).

ს. თარხნიშვილი იყო შამშადილუს მოურავი. ციციანოვმა, როგორც კი ჩამოვიდა საქართველოში, მას მექრთამეობა დასწამა და მოურაობიდან გადააყენა.

პ. ციციანოვის საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ ქართველები ადგენდნენ წერილს, რომლითაც მოითხოვდნენ არსებული მმართველობის შეცვლას. ამ წერილზე ხელისმოწერის ერთ-ერთი აქტიური სულისჩამდგმელი იყო ს. თარხნიშვილი (აქტები, II, № 361).

1803 წელს თავადაზნაურობის წინამძღოლად დასახელებული იყო 2 კანდიდატურა — გარსევან ჰევკვაძისა და ს. თარხნიშვილისა. 1803 წ. 14 ივლისს იმპერატორმა ალექსანდრე I-მა მარშლად დაამტკიცა გარსევან ჰევკვაძე (იქვე, № 362).

1803 წ. 3 ნოემბერს პ. ციციანოვი სწერს იმპერატორს: „თათბირები სოლომონ თარხანოვის სახლში ეწყობოდა; ეს კი იმას მიუთითებს, რომ თითონაც მონაწილეობდა ამ თათბირებში“ (აქტები, II, № 598).

1806 წელს შედგენილ გამოძიებაში მყოფთა სიაში ს. თარხნიშვილი 120-ე ნომრად არის ჩაწერილი («Список по секретной следственной комиссии, кой содержась под караулом назначены к выпуску в дома») (ფონდი, 2, საქმე 105. ფ. 651—657).

1812 წელს ს. თარხნიშვილი აწერს ხელს თავადაზნაურობის თხოვნას



პულუჩის დატოვების შესახებ (Журнал Кабинета министров 1891, გვ. 706).

ს. თარხნიშვილი არის ავტორი სალიტერატურო შრომისა „ისტორია ანუ მოთხრობა საპყარან ამარაშხასა და ბაბა ამარისა, გარდმოღებული სპარსულიდან ქართულს ენასა ზედა შამშადინის მოურავის თავადს სოლომონ თარხანოვისაგან თანაგულსმოდგენით შემწეობითათსა სვიმონ ალექსანდრის ძის მაყაყვის თანა“ (S — 950).

ეს ხელნაწერი გადაწერილია 1863 წელს. არსებობს სოლომონ თარხანოვის დანახარჯის ნუსხა, შედგენილი მისი უმცროსი ძმის ლუარსაბ თარხანოვის მიერ 1835 წლის ივლისში (ნუსხები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, III. № 324). ნუსხა შედგენილია სოლომონის გარდაცვალების შემდეგ (ე. ი. სოლომონი გარდაცვლილა 1835 წლის ივლისზე ადრე). ამ ნუსხით ს. თარხნიშვილი უპასუხისმგებლო და საერთო ქონების გამნიავებელ პირად გვევლინება.

თეიმურაზ ბატონიშვილი (1782—1846). გიორგი XIII-ის და მისი პირველი მეუღლის ქეთევან ანდრონიკაშვილის ვაჟი. დაიბადა 1782 წელს. მისი აღმზრდელი იყო პეტრე ლარაძე, მოძღვარი — დავით რექტორი.

დავით ბატონიშვილს დანიშნული ჰყავდა ოთარ ამილახვრის ქალი ელენე, მაგრამ არ შეიერთო. როცა ეს ნიშნობა ჩაიშალა, ამილახვრის ქალზე დავით ბატონიშვილის ძმა — თეიმურაზი დანიშნეს 1800 წელს.

თეიმურაზ ბატონიშვილი არ დაემორჩილა რუსეთის ხელისუფლების მოთხოვნას მისი რუსეთში გადასახლების შესახებ და 1803 წელს გაიქცა სპარსეთში, თავის ბიძა ალექსანდრე ბატონიშვილთან. თან რამდენიმე თავდაზნაური გაჰყვა. ცოლი მისი ელენე კი მამასთან დარჩა გორში.

1805 წ. იგი სპარსელთა რაზმშია. მონაწილეობს რუსეთ-სპარსეთის ბრძოლებში კარაკლისთან. 1810 წ. ის სარდლობს სპარსელთა საარტილერიო ნაწილს.

სპარსეთში ყოფნისას თეიმურაზი ეწეოდა სამეცნიერო მოღვაწეობასაც. 1805 წ. ითხოვს გამოუგზავნონ „ქართლის ცხოვრება“, ლექსიკონი და მთელი ქვეყნის რუკა, „თუნდაც ფრანგული, ოღონდ კარგი და გზაში აღვილად მოსახმარი“. თავრიზში მას დარჩა სხვა ნივთებთან ერთად 36 წიგნი, რომლებიც მან იოსებ ენიკოლოფოვს მიაბარა. შემდეგში მან და-

<sup>5</sup> თეიმურაზის სიმამრი ოთარ რევაზის ძე ამილახერი იყო ქართლის სარდალი და გოტის მოურავი ერეკლე II-სა და გიორგი XIII-ის დროს. მონაწილეობდა თბილისის დაცვაში 1795 წლის 11—13 სექტემბერს. მას ცოლად ჰყავდა იულონ ბატონიშვილის და სალომე. აპტომ 1801 წელს ის ემხრობოდა იულონ ბატონიშვილის კანდიდატურას საქართველოს სამეფო ტახტზე. დავით ბატონიშვილმა ის გენ. ლაზარეუს დააპყრონა, მაგრამ ციციანოვმა გაუშვა. მისცა გენ.-მაიორის ჩინი, 2100 მან. პენსია. გარდაიცვალა 1826 წელს თავის სოფელ ოთარაშენში, 70 წლისა. დასაფლავებულია სმთავისში.



ავალა სოლომონ რაზმაძეს თავრიზში მიეკითხა ენიკოლოფოვისათვის და ეს წიგნები წამოეღო. როცა რაზმაძე თავრიზში ჩავიდა, ენიკოლოფოვი მას გარდაცვლილი დახვდა. თეიმურაზის წიგნები კი ალექსანდრე ბატონიშვილს წამოეღო (საქართველოს ც. ა. ლენინგრადის ფონდი. რვ. X. ფ. 1737—1738).

თეიმურაზი თავისი ნებით გამოცხადდა ტორმასოვთან. ტორმასოვმა იგი პეტერბურგში გაგზავნა. პეტერბურგში თეიმურაზი სწავლობს ბერძნულსა და ლათინურ ენებს და სამეცნიერო მოღვაწეობას ეწევა.

პეტერბურგში იგი ცხოვრობს ნევის სანაპიროს მახლობლად. კარის მღვდლად მიიწვია იონა ხელაშვილი. იონა მისი კარის მღვდელი იყო 1825 წლამდე. 1824 წ. ნევის წყალდიდობისას თეიმურაზს სახლში წყალი შეუვარდა და ძვირფასი ბიბლიოთეკა დაუზიანა. იონა ხელაშვილი ამის შემდეგ მარიამ დედოფალთან გადაბარგდა (9 წელი ემსახურა მასაც), თეიმურაზმა კი კარის მღვდლად ტარასი ალექსი-მესხიშვილი მიიწვია. თეიმურაზი ფართო სამეცნიერო მოღვაწეობას ეწევა. მას გამუდმებული საქმიანი ურთიერთობა აქვს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიასა და პარიზის საზოგადოებასთან. დიდი შრომა გასწია ქართული შრიფტის დასამზადებლად.

1818 წელს დაიბეჭდა იოსებ იოანესოვის პეტერბურგის სტამბაში რუსულიდან თარგმნილი „განჰსჯანი არისტოტელისანი კეთილისათვის და ბოროტისათვის“.

1836 წელს იმოგზაურა ევროპაში.

1846 წ. 2 თებერვალს შეადგინა ანდერძი, რომლითაც ის თავის ქონებას მეუღლეს უტოვებდა, ბიბლიოთეკის შესახებ კი წერდა: „ერთი სახლი უნდა გაუკეთოთ და დაუწყოთ ყოველივე წიგნები საღმრთო თუ საერო, რომ საქართველოს ხალხის სახმარათ იქ ეწყოს საუკუნოთ“.

თეიმურაზი გარდაიცვალა 1846 წ. 25 ოქტომბერს. მისი მეუღლე ელენე გარდაიცვალა 1866 წელს, დასაფლავებულია ალექსანდრე ნეველის სასაფლაოზე.

თეიმურაზის სიკვდილზე მ. ბროსემ დაწერა ნეკროლოგი (დაიბეჭდა «Кавказ»-ში, 1846 წ. 23 XI-ს. № 47, გვ. 186—187).

1916 წ. 6 მარტს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების სხდომაზე პ. კარბელაშვილმა წაიკითხა მოხსენება „თეიმურაზ ბატონიშვილი“. დაიბეჭდა გვ. „საქართველოს“ 1916 წლის 29. VI-ის, 1. VII-ის, 2. VII-ის, 5. VII-ის ნომრებში.

1948 წ. დაიბეჭდა „კატალოგი წიგნთსაცავისა თეიმურაზ ბატონიშვილისა“.

1964 წ. — „თეიმურაზ ბავრატონის წერილები აკად. მ. ბროსესადმი“.



1945 წ. — „მოგზაურობა ჩემი ევროპისა სხვათა და სხვათა ადგილთა“.

ძირითადი შრომები თეიმურაზისა:

- 1) აღწერა აწინდელთა სპარსეთისა ყვენთა და გვარეულებისათვის ყაჯართა (1804—11).
- 2) ამბავი მაჰმადისი თარგმანთა შინა ფსალმუნთასა.
- 3) პოემა. 107 ტაეპი. უძღვნა თავის დისწულს გრიგოლ დადიანს.
- 4) განმარტება „ვეფხისტყაოსნის“ ლექსთა.
- 5) მოთხრობა ქალაქის თბილისის სპარსეთის ყვენის ყაჯარის აღამაჰმად-ხანისაგან აოხრებისა (დაბეჭდილია დ. ჩუბინოვის ქრესტომათიაში 1863 წელს. ცალკე დაიბეჭდა 1895 წ. ბროსემ დაბეჭდა ლითოგრაფიულად 1830 წ. პარიზში).
- 6) ისტორია დაწყებითგან ივერიისა, ესე იგი არს გიორგიისა, რომელ არს სრულიად საქართველომ (დაბეჭდა ბროსემ 1848 წ.).
- 7) წიგნი მცირე მოთხრობა აღშენებისათვის ივერიისა მონასტრისა.
- 8) წიგნი ქართული ანბანი.
- 9) მოთხრობა სამესხეთომასა დაპყრობისათვის ოსმალთა მიერ.

თეკლე ბატონიშვილი (1778—1846). ერეკლე II-ისა და დარეჯან დედოფლის უმცროსი ქალი. ქართველი მკითხველი საზოგადოება მას კარგა ხანია იცნობს აკაკი და გიორგი წერეთლების პატარა წერილების მიხედვით და იმ ეპისტოლარული მასალით, „კვალში“<sup>6</sup> რომ გამოქვეყნდა 1897 წელს, აგრეთვე ს. კაკაბაძის ნაშრომით, რომელიც დაიბეჭდა 1914 წ. „წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის“ წიგნი I. აი ამ დროიდან ცნობილია, რომ ერეკლეს ეს ბოლონა ასული განსაკუთრებით სასიყვარულო ყოფილა ოჯახისა საერთოდ, მეტადრე კი სახელოვანი მამისათვის. ეს ცხადია იმ პაწია წერილით, რომლითაც მამამ — მეფემ, ბიძამ — კათალიკოსმა და ძმებმა მას ბიჭობა უბოძეს. ამ დროიდან ყველამ იცის, რომ თეკლე ბატონიშვილი პატარაობისას „თეკლა ბიჭი“ ყოფილა თავისიანებისათვის.

თეკლე დაიბადა 1778 წელს. მისი ვაჟის — პუბლიას სიტყვით, 16 წლამდე მას ვაჟური ტანისამოსი სცმია და კარგი მოჯირითე ყოფილა.

1800 წლის 7 სექტემბერს მისთხოვდა ვახტანგ ორბელიანს. ვახტანგ ორბელიანი იყო საგარეჯო-სართიჭალის მოურავი. 1812 წლის 1 მარტს ვახტანგი მოკლეს აჯანყებულ კახელებთან ბრძოლაში.

<sup>6</sup> ეს წერილები „კვალში“ რედაქციას გადასცა ნინო ქობულაშვილმა. ეს იყო ცნობილი ყაზარმელის ელიზბარ ერისთავის ასული და მეუღლე გენო დავითის რე ქობულაშვილისა, გენო კი შვილიშვილი იყო პუბლიას — პუბლიას ქალი დარიყო გენოს დედა იყო. უაპყველია ამ გზით მოხდა თეკლას წერილები ქობულაშვილებში.



თეკლეს სამი ვაჟი დარჩა: ალექსანდრე (იხ.), დიმიტრი (იხ.) და ვანია ტანგი (იხ.).

თეკლეს სამივე ვაჟი 1832 წლის შეთქმულების მონაწილეა.

როგორც შეთქმულების მონაწილე ზ. ჩოლოყაშვილი უჩვენებს საგამომძიებლო კომისიას, თეკლე ბატონიშვილმა იცოდა შეთქმულების ამბავი (გზლ. 146). როზენი 1833 წ. იანვარში სწერდა ჩერნიშოვს, რომ როგორც საგამომძიებლო კომისიამ დაადგინა, თეკლეს საწინააღმდეგო ჩვენება ჩოლოყაშვილის გარდა არავის მიუცია. მაინც თეკლეს ბრალად სდებდნენ რომ ალექსანდრე ბატონიშვილთან გაგზავნილი პირველი წერილი მისი ხელით იყო ნაწერი (ფონდი OBD, საქმე 163. ფ. 67).

საგამომძიებლო კომისიამ თეკლე მე-7 ჯგუფის დამნაშავედ სცნო (ანუ ისეთ პირად, ვინც იცოდა შეთქმულების ამბავი, მაგრამ არ იზიარებდა), როზენმა კი მას გადაუწყვიტა ისეთივე სასჯელი, როგორც მე-3 ჯგუფის დამნაშავეთა მიმართ იყო გათვალისწინებული („ვინც აქტურად მოქმედებდა შეთქმულებაში და აჯანყების თანახმა იყო“). ეს სასჯელი იყო გადასახლება. თეკლე ავადმყოფობის მიზეზით ითხოვდა იმპერატორისაგან შეწყალებას, მაგრამ სანამ იმპერატორისაგან მის თხოვნაზე პასუხი მოვიდოდა, როზენმა ის გადაასახლა კალუგაში, სადაც გადასახლებული იყო მისი შუათანა შვილი დიმიტრი.

თეკლეს შვილიშვილის — მარიამ ვახტანგის ასული ორბელიანის მოგონებით, თეკლე დიდ საჩუქრებს უგზავნიდა როზენის ცოლს, მაგრამ მაინც გადასახლება არ ასცდა არც მას და არც მის შვილებს. როზენი მიზანშეწონილად თვლიდა თეკლე ერთი წლით მაინც გაეჩერებინათ გადასახლებაში (აქტები, VIII, 412).

1834 წ. 9 ოქტომბერს თეკლე კალუგაში ჩავიდა თავისი უმცროსი ვაჟით ვახტანგითურთ. კალუგაში გუბერნატორად იყო ბიბიკოვი, რომელსაც ცოლად ჰყავდა ეკატერინე ივანეს ასული მურავიოვა, დეკაბრისტ სერგი ივანეს ძე მურავიოვ-აპოსტოლის და. ორივე ცოლ-ქმარი პატივით ეკიდებოდა თეკლეს და მის ორ ვაჟს.

უკვე 1834 წ. 12 დეკემბერს ის იღებს იმპერატორის ნებართვას უკან დაბრუნებაზე (ლიტ. მუზეუმი, № 282). მაგრამ მხოლოდ გაზაფხულზე მოახერხა მან კალუგიდან წამოსვლა. 1835 წ. 6 ივნისს ის უკვე თბილისშია (Sd—2217). „საქართველოში როგორც მე მოველ, შენც ისე მოსულიყო“ — უსურვა თეკლემ ორენბურგში გადასახლებულ თავის პირმშოს — პუპლიას (Sd—2229).

თეკლე გარდაიცვალა 1846 წ. 10 თუ 11 მარტს („კავკაზ“, 1846. № 11).

თეკლეს გარდაცვალებასა და დასაფლავებაზე რამდენიმე „სიტყვა“ დაიბეჭდა „ცისკრის“ 1860 წლის № 11-ში (გვ. 441—443).

თეკლე ბატონიშვილი ცნობილია როგორც პოეტი. „ცისკრის“ 1860 წ. პირველ ნომერში დაბეჭდილია მის მიერ კალუგაში შეთხზული „იანბიკო ღეთისმშობლისადმი უცხოებაში მყოფი საქართველოს მეფის ირაკლის მეორის ასული თეკლა“ (გვ. 63—66).

აკაკი წერეთლის სიტყვით თეკლეს ეკუთვნოდა ლექსი „ჩრდილოთ ვიხილე შავი ღრუბელი“ („გახსენება“ ბ. ჯორჯაძის გამო. „კვალი“. 1893. № 14. გვ. 1—4), მაგრამ ეს ლექსი სინამდვილეში ქეთევან ბატონიშვილს ეკუთვნის (ლ. ასათიანი. პოეტი ქალები).

თეკლეს და, ქეთევან ბატონიშვილი, იოანე მუხრან ბატონის ქვრივი, უკმაყოფილო იყო ახალი მმართველობისა. დავით ბატონიშვილისაგან ჩამორთმეული სოფელი კარალეთი ახალმა მმართველობამაც ჩამორთმეულად სცნო და დაუბრუნა ქსნის ერისთავებს, რომელთაც 1770-იან წლებში, ერეკლე II-მ წაართვა ეს სოფელი და ქეთევანს მისცა მზითვად. ციციანოვმა ს. კარალეთის სანაცვლოდ შეაძლია ჯამაგირი. ამაზე ქეთევანმა უარი განაცხადა. ამავე დროს მას 1804 წელს, მთიულეთის აჯანყების ხანებში წერილი მიუწერია ძმისათვის — ალექსანდრე ბატონიშვილისათვის — ჩამოდი, მარჯვე დროათ. აი ამიტომ ციციანოვმა იგი დააბატიმრა — 1805 წლის დამდეგს, გუშაგები მიუყენა — იმპერატორის დასტურით. პატიმარი ქეთევანი წერს გაფს, რომელიც თეკლე ბატონიშვილს უძღვნა.

თეკლემაც მისი საპასუხო გაფი შექმნა (დაბეჭდა ლევან ასათიანმა 1935 წ. „ლიტერატურული შემკვიდრობა“, გვ. 453—454). თეკლეს საპასუხო გაფი იგივე მოთქმა და გოდებაა, რაც ქეთევანის გაფი. ყურადღებას იპყრობს ლექსის რეფრენი:

„რად გვირის პატიმარს მწუხარებანი  
მეორეს ხანს ღბინთა გამწარებანი?“

და აგრეთვე:

„რადგან ჩრდილოთ მზემ ესრეთ ინება  
კრძალვით ითმინო სახმილთ გზნებანი“  
-ნუ სწუხ: დაშრტება ცეცხლთა ღებანი“.

თეკლე ნუგეშს სცემს პატიმარ დას: ღბინი გაგემწარდა მხოლოდ მეორე ხნითო, და რჩევას აძლევს: მოითმინე „სახმილთ გზნებანი“. თეკლე ფრთხილობს, ეშინია, რომ მისი ლექსი არ ჩაუვარდეს ხელთ ციციანოვს, ამიტომ ლექსში რთავს ლოიალურ ფრაზასაც:

„რადგან ჩრდილოთ მზემ (— ე. ი. იმპერატორმა) ესრეთ ინება,  
კრძალვით ითმინე სახმილთ გზნებანი“.

თეკლეს პოეზიაში ისმის წარსულით თავმოწონების პანგები:



„განგებულთ ყოველთ ჩემნი თქმანია,  
ჩვენ ვპყვოდით ვითა ედემთ კმანია,  
დაგვნატრიდენ ყოვლნი სხვანია“

მაგრამ ერეკლე II-ის სიკვდილით იცვლება მისი სამშობლოს სვე-  
ბედი:

„მოვალდით მას, ვით ვაზთ ნასხლეე.ხევანი,  
მუნით იწყო სვე-ბედის დარღვევანი,  
მისთვის მსურის გლოვით ცრემლთა ფრქვევანი!“

**თუმანიშვილი ბირთველ გიორგის ძე (1760—1836). ტიტულარნი სო-  
ვეტნიკი.**

ბირთველის მამა გიორგი არ მსახურობდა, ცხოვრობდა ხელთუბანს.  
ბირთველი დაიბადა 1760 წელს.

იყო მდივანი ერეკლესი და გიორგისა.

1800—1801 წ. ვახტანგ აღმასხანთან მდივნობდა დუშეთს.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ გახდა „გუბერნიის სე-  
კრეტარი“ (1802).

ბირთველს ვახტანგ ბატონიშვილმა მოუხატლა შვილი გიორგი 1801 წ.

ბირთველის პირველი ცოლი იყო გორის მამასახლისის ბაბალოვის ქალი.  
მისგან ჰყავდა შვილი აეთანდილი (დაიბადა 1795 წ.) — ავტორი ნაშრომისა  
*Описание Грузинского города Гори* (СПб., 1816).

მეორე ცოლი ბირთველისა იყო ათანასე მირიმანოვის ქალი ანა. მას-  
თან ბირთველს ჰყავდა 9 შვილი:

1. გიორგი (1801—1831),
2. ელისაბედ (1801—1832 წ. შემდეგ),
3. გრიგოლ (1807—1838),
4. კონსტანტინე (1810— ბავშვი გარდაიცვალა),
5. ალექსანდრე (1813—?),
6. ივანე 1815— ყრმა გარდაიცვალა),
7. ვა-  
სილ (1816—1845),
8. მიხეილი (1818—1875) — მიხეილ ხელთუბნელი,
9. ნინიკა (1815—?).

ბირთველი ერთხანს იყო გორის გოროდნიჩი, მერე თავი გაანება სამ-  
სახურს, შინ საქმიანობდა,

ბირთველის პორტრეტი, რომელიც დახატა მიხეილ თუმანიშვილმა  
დაბეჭდილია ხელთუბნელის წიგნში „წარსულიდან“, გვ. 12—13 შუა. ბირ-  
თველი ცოლის გავლენით, შვილების უკეთ აღზრდის მიზნით, გადმოსა-  
ხლდა თბილისს. აეთანდილ, ბირთველის ვაჟი პირველი ცოლისაგან, პე-  
ტერბურგს მსახურობდა დავით ბატონიშვილთან. 1819 წელს იგი დააბა-  
ტიმრეს და გაგზავნილ იქნა ბობრუსკის ციხეში.

თ. ბ. 1832 წლის შეთქმულების კურსში იყო. მაგრამ ჩვენებების  
მიცემის დროს საქმეს ისე სახავეს, თითქოს დიდხანს არაფერი იცოდა. სა-  
გამომძიებლო კომისიამ VII კატეგორიის დამნაშავედ სცნო (ამ კატეგო-  
რიაში შევიდნენ ის პირნი, ვინც იცოდა შეთქმულების ამბავი. მაგრამ

არ ეთანხმებოდა მას). სასტიკი მეთვალყურეობის ქვეშ დატოვეს ლისში.

საგამომძიებლო კომისიას უჩვენებს, რომ პასკევიჩის დროს შვილი დამიპირეს და იმის ელდაზედ ცოლი მომიკვდაო (გზლ. 253). მაგრამ ეს ჩვენება ტყუილია: პირველი ცოლი დიდი ხნის მკვდარი ჰყავდა ამ დროს (ქართულ მეფეების დროს მოკვდა), მეორე კი ბირთველის სიკვდილის შემდეგ გარდაიცვალა.

თუმანიშვილი ბირთველ გარდაიცვალა 1836 წელს.

**თუმანიშვილი გიორგი ეგნატეს ძე** (1774—1837). სტატსკი სოვეტნიკი. დაიბადა 1774 წ. 18 დეკემბერს (H-395. გვ. 298). 1801 წ. 27 მარტს ჩავიდა პეტერბურგს დელეგაციასთან ერთად (A. Цагарели, Грамоты. т. II. в. II. № 201). სხვებთან ერთად ებოძა ბრილიანტის ბეჭედი (S—2910. 67 v).

დავით ბატონიშვილი მოითხოვდა ეგნატესა და მისი შვილის გიორგის რუსეთში გაქვებას. ციციანოვის აზრი კი იყო „რომ კოლეგიის სეკრეტარი ეგნატე თუმანოვი და მისი ვაჟი კოლეგიის ასესორი გიორგი სულით და გულით ყოველთვის რუსეთის ერთგულნი იყვნენ და... ყოველთვის რუსეთს გულწრფელად ემსახურებოდნენ“ (აქტები, II, № 337).

გიორგი თუმანიშვილი მუშაობს საბაჟოს დირექტორად. თავისი ხარჯით ჩამოასვენა ბაქოდან მოკლული პ. ციციანოვის ცხედარი, რისთვისაც უმაღლესი მადლობა დაიმსახურა.

1820 წელს სტატსკი სოვეტნიკია, 1823 წ. სამსახურიდან გადადგა. 1830 წლიდან წევრია ყალბი საბუთების გამომამაჟკარავებელი კომისიისა. ამ კომისიაში მუშაობს უჯამაგიროდ. 1836 წელს ქართული საოლქო სტატისტიკური კომიტეტის წევრ-კორესპონდენტია.

გ. თუმანიშვილი იყო ქართული სალიტერატურო მუშაობის ხელშემწყობი. მისი ხელისშეწყობით პეტრე ლარაძე და დავით რექტორი გადასწერენ გიორგისათვის მრავალ წიგნს.

იგი არის ავტორი სპარსულ ყაიდაზე დაწერილი მრავალი ლექსისა. გარდაიცვალა 1837 წელს (პლ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი XIII-ისა. გვ. 280, სქოლიო).

1832 წლის შეთქმულების საგამომძიებლო კომისიამ იგი ჩათვალა X კატეგორიის დამნაშავედ, ანუ ისეთ პირად, რომელიც არავითარ ეჭვს არ იწვევს.

**თუმანიშვილი დიმიტრი იოსების ძე** (17... — 1820). თუმანიშვილი დიმიტრის მამა იოსები იყო ერეკლე II-ის კარის მდივანმწიგნობარი (საქსიძე. III, № 535). იოსებს 7 ვაჟი ჰყავდა (დიმიტრი, ზაქარია, გიორგი,



დავითი, სიმონი, ივანე და სპირიდონი). იოსები 1809 წლისათვის გარდაცვლილა. ფონდი 8, საქმე 620, ფ. 18).

დიმიტრი თუმანიშვილი მდივანია. მისი შემოსავალი ქართველი მეფეების დროს 25 თუმანი იყო წელიწადში (Hd-3327). მას აქვს კოლეგიის ასესორის ჩინი (Hd-14586) 1816წ-სთვის. იგი მთავრობისაგან ითხოვს 8.147 მანეთსა და 55 1/2 კაპიკს ვერცხლით. ეს თანხა გიორგი მეფეს გამოურთმევია (8 ათასი მანეთი) დიმიტრის მამა იოსებისათვის ლეკთა დამხმარე ჯარის შესანახად.

1818 წ. 5 აგვისტოს ბრძანებულებით იმპერატორი ალექსანდრე დიმიტრი თუმანოვს მეფეთა ვალის ნაცვლად და რუსეთის მთავრობის ერთგულებისათვის უნიშნავს სიკვდილამდე 600 ვერცხლის მანეთს წელიწადში 250 მანეთის პენსიის დამატებით.

ამ განკარგულებას აპროტესტებს დიმიტრის ძმა — თბილისის გარნიზონის ბატალიონის მაიორი სიმონ თუმანოვი. იგი სწერს ერმოლოვს, რომ მათი ძმა დიმიტრი ხელმწიფისაგან დანიშნულ თანხას უკვე იღებს „ჩვენ კი, ძმებს, არაფერს გვაძლევს. ვალი კი ქართველ მეფეებს მამაჩვენმა მისცა“ (იქვე, ფურც. 14).

1820 წლის თებერვალში დიმ. თუმანიშვილი გარდაიცვალა (იქვე, ფურც. 28), ქერივი მისი — სალომე ცდილობს, რომ მისი ქმრისთვის დანიშნული თანხა 600 მან. წელიწადში ახლა მას უხადონ. მაგრამ მთავრობა უარს ეუბნება.

**თუმანიშვილი ეგნატე ბაინდურის ძე (1746—1820).** ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის მდივანი. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ კოლეგიის სოვეტნიკი (სენატის უკაზი 1804 წ. მაისისა, № 10). დაიბადა 1746 წ. 15 ივლისს, გარდაიცვალა 1820 წელს 21 მარტს (H — 395). ცოლად ჰყავდა მარიამ (S — 155, ფ. 179v).

ეგნატესა და მარიამს ჰყავდათ ხუთი შვილი:

1. გიორგი, დაიბადა 18. XII. 1774. 2. იესე, დაიბადა 1. VI. 1777.— ამის ფორმულარი იხ. ფ. 16. საქმე 9805. 3. დავითი, დაიბადა 16. X. 1780. როცა 1828 წელს დგებოდა თბილისის გეგმა, დავითი ცოცხალი აღარ ყოფილა. ამ გეგმის ექსპლიკაციებში ნათქვამია: „განსვ. თავად დავით თუმანოვის სახლთან მთის ქუჩას უერთდება ფეთხაინის ქუჩა“.
4. ანა, დაიბადა 24. III. 1788. ამ ანას ჰყავდა შვილები: ალექსანდრე (დაიბადა 1805 წ.) და ნინო (დაიბადა 1806 წ.).
5. ელისაბედ, დაიბადა 11. V. 1789. გარდაიცვალა 20. I. 1809 წ. გათხოვდა 1807 წელს 1 ივლისს (Hd — 3864), ჰყავდა შვილი სოფიო — დაბადებული 22. IX. 1808 (H — 395).

ეგნატეს პორტრეტი საღებავებით ნახატი, მეტეხის მუზეუმში ინახებოდა (გ. ხელთუბნელი, წარსულიდან, გვ. 175 (შენ). გვ. 11).

**თუმანიშვილი იესე ეგნატეს ძე** (1777—1821-ის შემდეგ). საეროობა პოლიციის გორის გამგეობის „ზასედატელი“, პრაპორშჩიკი. გორისა და თბილისის მაზრებში და ბორჩალოს დისტანციაზე ფლობდა მამულებს და გლეხებს ძმებთან გაუყოფლად.

ტორმასოვის წარდგინებით მიეცა პრაპორშჩიკობა 1811 წ.

როდესაც 1810 წ. 31 ივლისს იულონ ბატონიშვილის ვაჟი ლევანი ოსებთან ერთად თავს ესხმოდა სოფ. ცხინვალს, იასე თუმანიშვილი ვოლონტიორად ჩაერია ლევანის თავდასხმის მოსაგერიებლად. ლევანი მთებში უკუავადეს.

„ზასედატელად“ საეროობა გამგეობაში თავადაზნაურობა ირჩევდა სამი წლით. როდესაც ამ თანამდებობიდან გადააყენეს ელიზბარ ციციშვილი, ზასედატელად დააყენეს ი. თუმანოვი 1819 წ. 8 ოქტომბერს. 1821 წლის იანვარში ი. თუმანოვი ისევ აირჩიეს „ზასედატელად“ შემდეგი სამი წლის ვადით (ფ. 16. საქმე 9805. ფურც. 8—9).

იასეს ქალი მარიამ ითხოვა პრაპორშჩიკმა ივანე ბარათოვმა („მასალები საქართველოს ეკ. ისტ.“ წ. III. გვ. 533).

**თუმანიშვილი ისაკ შიოშის ძე** (1804 — ?). ვასილ ოსიბის ძე ბებუთოვის ადიუტანტი 1834 წ.; გვარდიის პრაპორშჩიკი. ისაკის პაპა სულხანი სწერს თავის ძმას მანუჩარს 1804 წლის 24 აგვისტოს: „პატარა ისაკ ლუა მაჩაბელს მოვანათვლინეთ და ჩვენს სახლში რაც დაეტეოდა, სტუმრობა გარდვიხადეთ“ (საქართველოს ც. ა. ფონდი 226, № 7714). აქედან ირკვევა ისაკის დაბადების თარიღი დაახლოებით.

1834 წ. თან ახლავს ალექსანდრე ბატონიშვილის ცოლს მარიამ საპაკ ალაბაბოვის ქალს და მის ვაჟს ირაკლის პეტერბურგში (აქტები, VIII. გვ. 226).

ისაკ თუმანოვმა შემდეგ გენერლის ჩინი მიიღო.

**თუმანიშვილი მანუჩარ გორჯასპის ძე** (1760 (?)—1819). ერეკლე II-ისა და გიორგი XIII-ის დროს მდივანი და ლაშქარნივისი.

პირველად ჯვარი დაიწერა 1779 წლის 21 თებერვალს მდივან სოლომონ ბევთაბეგოვის ქალ ხანუშაზე. ხანუმა გარდაიცვალა 1788 წლის 17 აპრილს, დასაფლავებულია ციხის ეკლესიის მარჯვენა სვეტთან.

ხანუმასთან მანუჩარს ეყოლა შვილები:

1. გრივოლ 2. ქეთევან, 3. დავით, 4. ჯიმშერ — დაიბადა 1784 წ. 14 XI-ს. 1818 წ. 17 თებერვალს ჯვარი დაიწერა შიუანთ ალას ქალ თინათინზე. თინათინი გარდაიცვალა 1830 წლის 14 აგვისტოს ვეძისში. ჯიმშერი კოლეჯის ასესორის ჩინით გარდაიცვალა იმავე წლის 19 აგვისტოს. დასაფლავდა თბილისში. ამათი შვილი იასონი — გუბერნიის სეკრეტარი მეფისნაცვალის კანცელარიის პირველი განყოფილების სტოლონჩაღნიკის უმცროსი თანა-



შემწეა (Кавказский календарь, 1848. გვ. 5), 5 ელისაბედ—~~ლიბანაძე~~  
1786 წ. 20 თებერვალს.

მანუჩარმა მეორე ცოლად შეირთო აბიმელიქოვის ასული ელისაბედ  
1793 წ. 2 თებერვალს. ელისაბედთან მანუჩარს ეყოლა 10 შვილი:  
1. დავითი (1794—1840). ცოლად ითხოვა მათა ლორისმელიქოვი 1831  
წ. 11 თებერვალს. იყო „ნადვორნი სოვეტნიკი“ ნახჩევანში, იქვე გარდა-  
ცვალა და დაასაფლავეს. 2. რევაზ (1795 10. V — 1796 10. III). 3. ნინო.  
დაიბადა 1797 წ. 25 ივლისს გორში. ჯვარი დაიწერა შამირ ხანზედ 1821  
წ. 15. I-ს. 4. სალომე (1799—1802). 5. ქეთევან. დაიბადა 1801 წ. 1819 წ.  
გათხოვდა ზაქარია აქიმოვზე. 6. ეფემია (1803. I. X — ?). 7. სალომე  
(1805— ბავშვი დაასაფლავეს გარეთუბანს). 8. გრიგოლ (1808. III —?).  
9. მიხეილ (1812—1830). 10. სალომე დაიბადა 1814 წ. 15. III. გათხოვდა  
1820 წ. პროპორშიკ დავით სულხანოვზე, დავით დასაფლავებულია ტირ-  
ძნისს (Qd—7902).

თუმანიშვილი სულხან გორჯასხის ძე (17...—1812). ერეკლე II-ის  
და გიორგის XIII-ის დროის მდივანი. სახელმწიფო დავალებების შემ-  
სრულებელი.

მანუჩარ დაშქარნივისის უფროსი ძმა.

სამეფო სამსახურზე წასულია რუსეთს 1789—1790 წლებში. (საქარ-  
თველოს სიძვ. III. № 545, 546, 548, 549).

საქართველოში ბრუნდება 1792 წელს. (Hd—13164).

სულხანის მეუღლეა მარიამ (საქ. სიძვ. III. № 410). შვილი — შიოშ.

1812 წ. 13 დეკემბერს იოანე ბატონიშვილი პეტერბურგიდან სამ-  
ძიმრის წერილს უგზავნის მანუჩარ და შიოშ თუმანიშვილებს: „თქვენ  
უწყით, რაოდენ საგრძნო იქნებოდა სულხან მდივნისა ამიერ ხორცთაგან  
განსვლა“ (H—3254. № 20).

თუმანიშვილი შიოშ სულხანის ძე (17...—1828). მდივანი ქართველ-  
მეფეთა დროს.

ერეკლემ ქართლის ფეშქაშნივისობა უბოძა 1791 წ.; ერია გიორგი  
XIII-ის ღალატში (პლ. იოსელიანი, 245). ერთგულების ფიცი მისცა მე-  
ფეს მოღონინის ეკლესიაში. მიღებულ იქნა რუსი მთავრობისგანაც. 1804  
წლის იანვარში მიიღო კოლეგიის სეკრეტრის ჩინი (აქტები, II, № 62). მისი  
შემოსავალი ქართველ მეფეთა დროს შეფასებული იყო 15 თუმნად წე-  
ლიწადში (Hd—3327). რუსეთის მთავრობამ 1804 წ. დაუნიშნა პენსიონი  
148 მან. 50 კაპ. ვერცხლით, ასიგნაციებით 534 მან. 60 კაპ. კიდევ დამა-  
ტებით დაენიშნა 198 მან. ვერცხლით.

დავით ბატონიშვილი მიზეზის დაუსახელებლად აცხადებდა, რომ  
საქართველოს სიმშვიდისათვის აუცილებელია შიოშის რუსეთს გაგზავ-



ნა. ციციანოვის აზრით, შიოში იყო „არამზადა და არასაიმედო პირი, მაგრამ სანამ არ გამოაშკარავდება მისი ეს თვისება, ისე მისი პიროვნების ხელყოფა უსამართლობა იქნებოდა“ (აქტები, II, № 337).

პუპლიას სიტყვით, შიოში შეგობრობს ელიზბარ ერისთავს (ს. კაკაბაძე, წერილები და მასალები. გვ. 51. შენ.).

ცოლად ჰყავდა ოსეფა ყორღანაშვილის ქალი (საქ. სიძე. III. № 304) მართა. მართა კათოლიკე იყო. გარდაიცვალა 1807 წლის მარტში. (Brosset, Voyage, V, p. 25). შვილი მისი ისაყ (იხ.) ბოლოს გენერალი გახდა.

შიოში მუდმივად ცხოვრობდა თბილისში და იქვე გარდაიცვალა 1828 წლის 28 იანვარს (საქ. ც. ა. ფ. 16 (152), ს. 4100. ფურც. 13).

**თუხარელი იპოლიტე.** აზნაური. 1814 წ. 27 აგვისტოს გადაასახლეს ტობოლსკში, როგორც კახეთის 1812 წ. აჯანყების მონაწილე. (ფონდი. 16 (152), საქმე № 1768, ფ. 3).

ტობოლსკის სამოქალაქო გუბერნატორი ატყობინებს რტიშჩევს 1815 წ. 31 ივლისს, რომ დამნაშავე იპოლიტე თუხარელი მოიყვანეს ტობოლსკში და მან ტობოლსკის გოროდნიჩის დაავალა მკაცრი ყარაულობა გაეწია მასზე (ფონდი 2/8, საქმე 272, ფ. 46—47).

ხელნაწერთა ინსტიტუტში H ფონდში 728 ნომრით დაცულია „დაუჯდომელი“, გადაწერილი XIX ს-ში. ხელნაწერს აქვს გადაწერის ანდერძი:

„დაიწერა დაუჯდომელი ესე თუხარელი იპოლიტესაგან მოსახსენებლად მამისა და დედისა ჩემისა და ჩემად მოსახსენებლად. ტყუეობასა და მწუხარებასა შინა მყოფი ვწერ ღთისა სადიდებლად. ამინ. დამიხსენ მე გუელისა მის გვლარძნილისაგან“.

მის შესახებ „სიბირის პოსელენიაში გაგზავნილთა“ სიაში ნათქვამია, რომ იგი „მობრუნდა მანიფესტითა“ (ფონდი. 16 (152), საქმე № 4073, ფ. 60).

**იალღუზიძე ივანე** (? — 1830). ოსი ტომით. ერეკლე II-მ მისცა აზნაურობა. იყო იოანე წილკნელის (ქარუმიძის) გაზრდილი. იალღუზიძეს წილკნელთან უსწავლია ქართულ ენაზე გრამატიკა, რიტორიკა, ფიზიკა, მეტაფიზიკა და კატეგორია (საქართველოს ც. ა. ფონდი 440, საქმე 5, ფ. 203).

„კალმასობაში“ იალღუზიძე ასეა დახასიათებული: „იოანე ოსყოფილი, რომელმანც მიიღო ფილოსოფია და სთარგმნა ოსთა ენათა ზედა კონდაკი და ლოცვანი; და მრავალნიცა დაიმოწაფნა“ („კალმასობა“, II, გვ. 197).

იოანე იალღუზიძე იყო გრიგოლის — იოანე ბატონიშვილის ძის — ოსტატი. დიდი როლი შეასრულა ოსების გაქრისტიანებაში.



ოსეთის საბოქაულოს დაწესების შემდეგ იალღუზიძემ ითხოვა მისი თანამდებობა, მაგრამ არ შეიწყნარეს. ის თბილისის სემინარიაში ასწავლიდა ოსურ ენას და ვერ შეეღივნ (საქართველოს ც. ა., ფონდი 488, № 508. ფ. 4—28).

1820 წლის 20 მაისს ის თავის საქმიანობის შესახებ შემდეგს მოახსენებს თეოფილაქტე ეგზარქოსს: „...თქვენისა უსამღვდელოებისა მიერ ბრძანებულ იყო ჩემდა, რათა გარდამეღო ქართულით ოვსურსა ენასა ზედა რაოდენნიმე საეკლესიო ლოცვანი. გარდვიღე ლოცვანი საციცკონი და სამწუხრონი, შემოკლებული კატეხიზმოსი და ქრისტიანებრი ზნეობითი სწავლანი, რომელნიცა ყოველნი დაბეჭდილ არიან ერთ წიგნად ქართულსა და ოვსურსა ენასა ზედა ქართულის საეკლესიო ასოთი... შევადგინე ოვსური ანბანი, მპყრობელი თვის შორის ლზ (37) ასოთა, რომელთაგანნი — ლ (30) — არიან ქართულითა ასოთაგან, — ე (5) — ახლად პოვნილ არს და — ბ (2) მიღებულ არს როსსიულისა ენისაგან“ (საქართველოს ც. ა., საქმე № 446).

ი. იალღუზიძემ მიიღო „გუბერნიის სეკრეტრის“ ჩინი (საქართველოს ც. ა., ფონდი 448, ს. № 433, ფ. 66) და დაენიშნა წელიწადში 118 მან. 80 კაპ. ვერცხლით.

გარდაიცვალა 1830 წ. 5 აგვისტოს ხოლერის დროს.

მის ქვრივს, მარიამ იალღუზიძეს დაენიშნა პენსია „მისი ქმრის განსაკუთრებული დამსახურების გამო ოსების გაქრისტიანებაში“ (საქართველოს ც. ა. ფონდი 16, საქმე 9898, ფ. 9).

დარჩა სამი შვილი: ერთი ქალი — გათხოვილი მამის სიცოცხლეშივე და ორი ვაჟი, რომელთაგან უფროსი მამის სიცოცხლეშივე სასულიერო უწყებაში იყო ჩარიცხული, უმცროსი კი 15 წლისა ი. იალღუზიძის სიკვდილის დროს სასულიერო სემინარიაში სწავლობდა (იქვე, ფურც. 8).

**ილია ბატონიშვილი** (1790—1854). გიორგი XIII-ის და მარიამ დედოფლის შვილი. დაიბადა 1790 წლის 2 სექტემბერს თბილისში.

1803 წლიდან იმყოფება რუსეთში. სწავლობდა I კადეტთა კორპუსში, სადაც სწავლა შეასრულა 1810 წელს, სამსახური დაიწყო ლეიბ-გვარდიის ეგერთა პოლკში.

1812 წლის ივლისში პეტრე ბაგრატიონი წერილით სთხოვს ა. პ. ერმოლოვს რომ მან ილია ბატონიშვილი ეგერთა გვარდიის პოლკში ჩარიცხოს (Записки А. П. Ермолова, ч. I, с. 172).

ილია პოლკოვნიკის ჩინით გარდაიცვალა მოსკოვში 1854 წლის 18 ივლისს. დასაფლავებულია მოსკოვის პოკროვის მონასტრის მიტროპოლიტ იონას სახ. ეკლესიაში.

1824 წელს ცოლად შეირთო ანასტასია გრიგოლის ასული ობოლენ-

სკია (1805—1887). მასთან ჰყავდა 9 ქალი და 4 ვაჟი. მისი შვილები  
თ. გრუზინსკის გვარს ატარებდნენ.

ილიას ვაჟები:

1. გრიგოლ გრუზინსკი (1833—1899), ცოლად ჰყავდა ოლღა ფრო-  
ლოვა. მასთან შეეძინა 3 ვაჟი: ალექსანდრე, ილია, პეტრე. 2. პეტრე გრუ-  
ზინსკი (1836—1855). მეცნიერლოვანი ჩაირიცხა პაყად. 1855 წ. პაყთა  
კორპუსის დამთავრების შემდეგ 19 წლისას მიეცა პრაპორშჩიკის ჩინი.  
ჩაირიცხა პრინც ვირტემბურგის დრაგუნთა პოლკში თურქეთის საზღვარ-  
თან მომქმედ არმიასში. 17 სექტემბერს ყარსის შტურმის დროს მოკლეს.  
მოასვენეს თბილისში და დაასაფლავეს მცხეთას. 3. დიმიტრი გრუზინსკი.  
მოკლეს ლეკებთან ბრძოლაში. 4. ნიკოლოზ გრუზინსკი. ცოლად ჰყავდა  
მარიამ კატენინა. ჰყავდა ერთი ვაჟი — მიხეილი.

ილია ბატონიშვილის ქალები:

1. ეკატერინე. 2. ანა (1828—1905), დავით ჰავჭავაძის მეუღლე. იყო  
ტყვედ შამილთან 1854—1855 წლებში. 3. ნადეჟდა — მ. ა. პისარევის  
მეუღლე. 4. ბარბარე (? — 1884). ილია ორბელიანის ცოლი, იყო ტყვედ  
შამილთან 1854—55 წ.წ. 5. ალექსანდრა — იმპერატრიცას ფრეილინა.  
6. გაიანე (1832—1903) — 1855 წ. ებოძა ფრეილინობა. 7. ელისაბედ.  
ფრეილინა. არკადი დიმიტრის ძე ბაშმაკოვის ცოლი. ბაშმაკოვი იყო  
1850 წ. კავკასიის მთავარმართებლის განსაკუთრებულ დავალებათა პო-  
რუჩიკი. 1855 წ. მონაწილეობდა ყარსის შტურმში... 8. ოლღა (1840 —  
1913), მწერლობდა „გულბათ“-ის ფსევდონიმით. 9. ვერა — სვიატო-  
პოლკ მირსკის ცოლი.

ილია ბატონიშვილმა 1844 წელს ფრანგულიდან თარგმნა „ბაასი ორთა  
უჩინებულესთა ფილოსოფოსთა ევროპისათა კლარკ და ლეიბნიცისა“. უძ-  
ღნა თავის ძმას თეიმურაზს. დაცულია ყოფ. სააზიო მუზეუმში. (P. Ор-  
бели, Собрание Грузинских рукописей Института Востоковедения,  
Ученые записки ИВ т. IX, 1954. с. 48).

ილიანსკი ვასილი ივანეს ძე (1789—1845). სასამართლოსა და გან-  
ჩინების ექსპედიციის უფროსი 1823—1844 წლებში იმ დროს, როცა იქ  
ნიკ. ბარათაშვილი მსახურობდა. დაიბადა 1789 წ. კურსკში.

სამსახური დაიწყო 1802 წ. 1810 წელს ტორმასოვმა გამოითხოვა  
ის საქართველოს მთავარმართებლის კანცელარიის შტატში. 1813 წ. ტი-  
ტულარნი სოვეტნიკია. 1816 წ. — კოლეგიის ასესორი. 1820 წ. — „ნა-  
დვორნი სოვეტნიკი“. 1823 წლიდან სასამართლოს და განჩინების ექსპე-  
დიციის უფროსი. 1842 წ. — დეისტეიტელნი სტატსკი სოვეტნიკი.  
1848 წ. სამსახურიდან გადადგა (აქტები, IX. გვ. XXI).

კახეთში სამსახურის დროს მოეწონა ერთი გათხოვილი ქალი ელიო-  
ზაშვილი მარიამ ივანეს ასული, რომელიც ქმარს გაეყარა და ილიანსკიზე



გათხოვდა. ამ ქალმა ააგო ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესია (1846 წელს), თვითონაც და მისი ქმარიც ამ ეკლესიაში დასაფლავდნენ.

ილიინსკების უფროსი ქალი ეკატერინე ცოლად ჰყავდა ვახტანგ ვახტანგის ძე ორბელიანს. მათი მეორე ქალი ნინო ჯერ გათხოვილი იყო ბოლტენკოვზე, შემდეგ გერმანელ მეზღვაურ ოფიცერზე — ფონ ჰერშელმანზე (მარიამ ვახტანგის ასულ ორბელიანის მემუარები).

ეკატერინე ვასილის ასული ორბელიანი 1828 წ. დაიბადა, გარდაიცვალა 1883 წ. დასაფლავებულია სიონში, თავისი ქმრის — ვახტანგ ორბელიანის ფერხით.

**იოაკიმ არქიმანდრიტი.** მოძღვართმოძღვარი. 1802 წლის მუჯალამას აწერს ხელს (42 ნომრით) (აქტები, I, გვ. 387). სხვებთან ერთად აწერს ხელს წერილს გარსევან ჭავჭავაძისადმი (აქტები, I, გვ. 389). 1801 წელს ის არის შუამთის არქიმანდრიტი (A—403).

**იოაკიმ ეპისკოპოსი.** ბერძენი, არქიმანდრიტი ახტალისა. ახტალის საბადოს ოსტატთა თხოვნით ეპისკოპოსობა მისცეს. ახტალის ეპისკოპოსად აკურთხეს სიონში, 1802 წ. 13 ოქტომბერს (П. Иоселиани, Описание древностей Тифлиса, გვ. 260). იმპერატორ ალექსანდრე I-ის ბრძანებით იოაკიმს გამოეყო საეპისკოპოსო შესამოსელი, ხოლო ახტალის ქარხნის შემოსავლიდან დაენიშნა წელიწადში 1 ათასი მანეთი (აქტები, I, №636. გვ. 523). †

იოაკიმე ახტალელი არის მთავარმართებლის ციციანოვის აგენტი. (აქტები, II, № 818).

იოაკიმე შავი ჭირის ეპიდემიის დროს სინოდის ნებართვის გარეშე მიატოვა ახტალის ეპარქია და იმერეთში გაემგზავრა. იმერეთში ის ჩავიდა 1803 წ. 15 ივლისს და დარჩა იქ 1805 წლის დეკემბრამდე (საქართველოს ც. ა., ფონდი 2/8, საქმე 105, ფ. 580).

იმერეთში ის თითქოს იყო იმერეთის ვარძიის არქიმანდრიტიც. 1881 წ. 23 დეკემბერს გაზეთ „შრომის“ მე-17 ნომერში დაიბეჭდა „ძველი საბუთი“ (წმინდა კიკოს მონასტრის არქიმანდრიტ იოაკიმეს თავგადასავალი).

1883 წელს „დროებაში“ №№ 24, 25 და 26-ში დაიბეჭდა დ. დ.-ს (ეს არის დავით ღამბაშიძე) წერილები: „კიკოს მონასტრის გლეხების მდგომარეობა იმერეთის სოფ. ვარძიაში“.

ა. ნ. მურავიოვის ცნობით, „იოაკიმე ახტალელი გარდაიცვალა არაუგვიანეს 1821 წლისა, დასაფლავებულია ახტალის მონასტერში“ (А. Н. Муравьев, Грузия и Армения, ч. II, გვ. 321, 327). მაგრამ ეს თარიღი სწორი არ არის, რადგან 1852 წლის „კავკასიის კალენდარში“ ვკითხულობთ: „ახტალის მონასტერში იყო საეპისკოპოსო კათედრა, რომელიც გაუქმდა 1828 წ. იოაკიმე ეპისკოპოსის გარდაცვალების შემდეგ“ (გვ. 256).



იოანე ბატონიშვილი (1768—1830). გიორგი XIII-ის შვილი. დაიბადა 1768 წლის 16 მაისს (H—1334). 1768 წლის 13 დეკემბრის სიგელში ის უკვე იხსენიება („საქ. სიძვ.“ I, გვ. 14).

„1787 წ. 1 ივლისს ჯვარი დაიწერეს იოანემ და ქეთევანმა, იოანე იყო 20 წლისა, ქეთევან 14-ისა“ (ქუთაისის მუზეუმის ხელნაწ. № 197. აღწერა, I, გვ. 364).

იოანე ბატონიშვილის მეუღლე ზურაბ წერეთლის ასული ქეთევან დაიბადა 1773 წელს, გარდაიცვალა 1823 წლის 10 მარტს.

იოანეს ოსტატი იყო იოანე იაღღუზიძე. 1801 წელს გადასახლდა პეტერბურგს. პეტერბურგში იონა ხელაშვილი ასწავლიდა მას გრამატიკას, რიტორიკას, ლოგიკას, მეტაფიზიკას.

1832 წლის შეთქმულების ჩონჩილე ს. დოდაშვილს უბოვეს იოანე ბატონიშვილის ლექსი:

„სკიით წაგართვეს ნაღვლ ქვეყანა  
 არც კი მოგვეს კაცი ერთი;  
 ქართლ-კახეთსა არ დამაჯრდნენ,  
 ზედ დაიდეს იფრთვი;  
 მწერლობაში დავგლაპაკდით.  
 შემწე არ გყავს, მისამართი.  
 შეიბოვთ ზენას სპარსთაღოს,  
 ენახოთ, ვითა განაჰეს დმერითი“.

(დონდი OBD, რე. X, ფ. 1836).

როგორც ს. დოდაშვილმა კომისიას უჩვენა, ეს ლექსი მან მიიღო იონა ხელაშვილისაგან პეტერბურგიდან გამოგზავნილ წიგნში ჩადებული (OBD, რე. XI, 1893).

ელენე ვრცხინსკაიასთან დაცულ ოთხთავს მიწერილი აქვს: „წმ. მათე მახარებელი მეფის ძემ იოანე დაეხატე, წელსა 1814“. „წმ. მარკოზ მახარებელი მეფის ძემ დაეხატე წელსა ჩყიდ“ (ე. თაყაიშვილი. არქეოლ. მოგზაურობა და შენიშვნები. წ. I. ტფ. 1907. გვ. 211. № III).

იოანე ბატონიშვილი გარდაიცვალა 1830 წლის 15 თებერვალს, დასაფლავებულია პეტერბურგის ალექსანდრე ნეველის ლავრის ხარების ეკლესიაში. საფლავის ქვაზე აქვს წარწერა: „Родился Царевич Иоанн Георгиевич в 1768 г. в Тифлисе, скончался в Санкт Петербурге 15 февраля 1830 г. от внучат“. წარწერა გაკეთებულია от внучат იმიტომ, რომ იოანეს ერთადერთი შვილიც გრიგოლი იმავე 1830 წ. 21 სექტემბერს გარდაიცვალა და ვეღარ მოასწრებდა მამის საფლავზე ქვის დადებას.

ი. ბატონიშვილი არის ავტორი „კალმასობისა“. დაამთავრა მისი წერა პეტერბურგს 1828 წელს.

მასვე ეკუთვნის ქართლ-კახეთის სახელმწიფო წყობილების პროექტი „სჯულდება“.



იოანე, ეპისკოპოსი გორისა (ავალიანი) (1783—1858). 1840 წელს

შედგენილ ფორმულარში ის ნაჩვენებია 57 წლისად, ე. ი. დაიბადა 1783 წელს.

სწავლობდა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში.

1807. 8. II-ს აკურთხეს დიაკვნად სიონში. 1814 წ. მღვდლად ეკურთხა. 1819 წ. მისცეს დეკანოზობა. 1818 წლიდან არის ოსეთის საეკლესიო კომისიის მჭადაგებელი. 1826 წლის იანვრიდან არის წვევრი თბილისის ზნეობითი სასამართლოსი. 1826 წ. ებოძა ხავერდის კუჩუღა. 1830 წელს დაჯილდოვდა წმ. ანას III ხარისხის ორდენით. 1831 წ. მიეცა ენჭერი. 1833 წელს სამხედრო ხელისუფლების მოთხოვნით დაინიშნა ქართველი სამღვდლოების დეპუტატად კომისიაში, რომელიც იკვლევდა ქართლსა და იმერეთში ყალბი საბუთების შემკმნელთ. 1834 წელს დაინიშნა სინოდალური კანტორის წვევრად და ამავე დროს კურთხეულ იქნა დავითგარეჯის უღაბნოს წინამძღვრად. მანამდე, 1834 წ. 7 ივლისს ბერად აღიკვეცა მარტყოფის ღვთაების ტაძარში საქართველოს ვიკარის, რუსთავის არქი-ეპისკოპოსის სტეფანეს მიერ. 1834 წ. 9 სექტემბერს აკურთხეს არქიმანდრიტად. 1840 წელს ვიკარის ვაკანსია დაიჭირა (საქართველოს ც. ა. ფონდი 488, საქმე 6334).

1852 წ. გორის ეპისკოპოსად აკურთხეს.

გარდაიცვალა 1858 წ. 6 აპრილს, დასაფლავებულია სიონში. გრიგოლ ორბელიანი სწერს დიმ. ჯორჯაძეს 1858 წ. 13 აპრილს: „საბრალო ჩუენი ვიკარიი დაეპარხეთ სიონში“. „წერილები“, ტ. II, № 361.

იოანე მიტროპოლიტი ბოდბელი (მაყაშვილი) (1744—1837). ბოდბის

წმ. ნინოს მონასტრის მიტროპოლიტი. 1831 წელს სარეკომენდაციო წერილი მისცა საეკლესიო გლეხს ტალიაშვილს სოლომონ დოდაშვილთან, რათა ის დახმარებოდა ტალიაშვილს პეტერბურგში სასწავლებლად გამგზავრებაში. ს. დოდაშვილმა ტალიაშვილი ოქრობირ ბატონიშვილთან გაგზავნა.

1912 წ. „თემი“-ს 76-ე ნომერში დაიბეჭდა ალ. მირიანაშვილის კორესპონდენცია — იკარგება ორი სურათი: იონა ბერისა და იოანე ბოდბელი მიტროპოლიტისა. იოანეს სურათი აქვთ იყალთოში, ნიკოლოზ და პაშა გრიგოლის ძეთ მაყაშვილებს. ნამდვილი სურათი იოანე მაყაშვილისა (ბოდბელისა) ბოდბის მონასტერშია, ნინო საფლავის ახლოს მარჯვენა სვეტზე.

ბოდბელის სურათი 1914 წელს საეკლესიო მუზეუმშია. (М. Джанашвили Каталог предметам Церковного Музея, 1914 г. с 53, № 18).

იოანე ნეკრესელი (? —1764). ნეკრესელად ჩანს 1740—1751 წლებში.

ბოდბელად 1751—1764 წლებში.

„ქსა უკდ (1736) წინამძღვრად დავედ მე, ცოდვილი იოანე ენისელთ მოურავისა გივისა“ (A—186). „ახლა ჩვენ კურთხევა მოვიწოდომეთ და ბისონის ჩაცმა“ — სწერს ნეკრესელი ეპისკოპოსი იოანე ნიკოლოზ ალავერდელს 1740 წელს (თ. ქორღანია, ქართლ-კახეთის ეკლესია-მონასტრების საბუთები. გვ. 255).

„იოანე ნეკრესელი ბისონით ეკურთხა და ნიტრას იხურავს ალავერდელის შენდობით“ (იქვე, გვ. 253). 1746 წ. 13 აპრილს იოვანე იხსენიება ნეკრესელ მიტროპოლიტად და დავით გარეჯის მამად (იქვე, გვ. 98). იოანე ბოდბელად ჩანს 1751 წ. ნოემბერს (იქვე, 103). 1764 წ. 6 III-ს ბოდბელს ანდერძი ექნა (იქვე, გვ. 204).

იოანეს ადვილას ბოდბელად დაინიშნა დავით (A—269), იგი ბოდბელად იყო 1764—1783 წლებში, მერე კი კირილე (1784—1792 წლებში).

იოანე ოსეს ძე (1750—1802-ს შემდეგ). სიონის ეკლესიის დეკანოზი, ძმა მემუარისტის იესე ოსეს ძისა.

1771 წლიდან ის ხუცესია, 1785, 1792 წელს იხსენიება სიონის იკონომოსად და დეკანოზად.

1801 წ. 23 იანვარს დააპატიმრეს და დაკითხეს. დაკითხვაზე უჩვენა: „ღამამკამდბანისაგან თბილისის აოხრების შემდეგ წაველ მე ჩემს სულიერ შვილთან ვახტანგ ბატონიშვილთან, ვახლდი მას, ვიყავ მისი მდივანი“. როცა ვახტანგ და იულონ ბატონიშვილები გაემგზავრნენ ქიზიყს, რათა იქაური მცხოვრებლები იულონის ერთგულებაზე დაეფიცებინათ, იოანე ოსეს ძე დარჩა დუშეთში ბატონიშვილ მირიანთან; იოანე ბატონიშვილს მისი თავისთან ყოლა სწაღდა, მირიანი კი ვერ ელეოდა. ბოლოს იოანემ ის ძალათ წაიყვანა (აქტები, I, 235).

იოანე ოსეს ძე — გვარად შიქაძე — დარეჯან დედოფლის ჩარევით გაათავისუფლეს პატიმრობიდან (მლ. იოსელიანი, ცხ. გიორგი XIII-სა, გვ. 273).

ამისი შვილია სოლომონ მიქაძე, სიონის ეკლესიის სახლთუხუცესი, არსენი თბილელისაგან გადაყენებული და ანტონ II-საგან აღდგენილი ამ თანამდებობაზე. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ მიეცა კოლეჯიის რეგისტრატორის ჩინი.

იოანე ოსეს ძეზე „კალმასობაში“ ნათქვამია: „ღიარ მეცნიერი კაცია და არსენი თბილელი ყურს არ უგდებს და მწუხარებაშიაც ჰყავს“ (გვ. 357).

„ღიაკვანმა (ი. ხელაშვილმა) აქო იოანე ოსეს შვილისაგან ქმნილი ეპიტაფია კათალიკოს ანტონის პირველზედ თქმული, რომელსა შინა გამოეყვანა იანბიკოდ ათორშეტნი ზოდიაქნი, შზისა ეტლნი“ („კალმასობა“, 1936 წ. გამოც. გვ. 267).



პლ. იოსელიანის სიტყვით, იოანე ოსეს ძე გარდაიცვალა 1801 წელს (Пл. Иоселиани, Описание древностей Тифлиса, გვ. 164). მაგრამ 1802 წ. 16 მარტს ის წერს სიგელს (თ. უორდანიას, ქართლ-კახეთის ეკლესია-მონასტრების საბუთები, გვ. 178). ე. ი. იოანე ოსეს ძე გარდაიცვალა 1802 წლის მარტის შემდეგ.

**იოანე წილკნელი** (ქარუმიძე) (1762—1802). აზნაური. შვილი სქემოსნის ონისიფორე ქარუმიძისა<sup>7</sup>. იყო ბერად აღკვეცილი. ერეკლე II-ის ნებით გამოიყვანეს მონასტრიდან და 1793 წელს მღვდელმთავრად აკურთხეს. ერეკლე II-ის ბრძანებით დაუწყებია მისიონერობა. ჯერ კიდევ მონასტერში ყოფნისას ასწავლიდა ერეკლეს ბრძანებით „წიგნსა, წერასა და მეცნიერებასა“ ერთ ოსის ყმაწვილს 12 წლისას. მღვდელმთავრად კურთხევის შემდეგ ეს ყმაწვილი ერეკლემ იოანეს უბოძა. ამან ეს ოსი გააწესა დუშეთს, შეუტრია 30 სული თავის სამწყსოდან „რათა ასწაოს მათ წიგნი სრულად და წერა, რამეთუ ვიხილე არამცირედი ნაკლებობა სამღვდელთა კავკასიისა მთასა შინა სამწყსოსა ჩემსა“ იოანესგან გამოზრდილი და განსწავლული ეს ოსი არის იოანე იალღუზის ძე.

იოანე იხსენიება სამთავროს და წილკნის არქივებისკოპოსად. კნორინგის სიტყვით მან „თავი გამოიჩინა ერთგული სამსახურით საქართველოში ჯანყის და სხვა შემთხვევების დროს“, რისთვისაც იგი (1802 წ. 25 აგვისტოს წარდგინებით) დააჯილდოვეს წმ. ანას მე-2 ხარისხის ორდენით (აქტები, I, № 1131).

იოანე წილკნელი გარდაიცვალა 1803 წლის იანვარში. დაასაფლავეს 27 იანვარს (აქტები, II, № 509).

1800 წლის 1 მარტს იოანე კათალიკოსმა შეადგინა მოხსენება კათალიკოს ანტონ II-სადმი, ამ მოხსენებაში იგი აღწერს თავის საქმიანობას დღიდან მღვდელმთავრად კურთხევისა (1793 წლიდან). მოხსენების ქართული ტექსტი დაბეჭდილია „სასულიერო მახარებელი“, 1866 წ. № 7—8—9. გვ. 221—229. რუსული თარგმანი მოთავსებულია „აქტებში“ I, № 650. გვ. 531—534.

იოანე წილკნელს ეკუთვნის „ლოცვა, რომელი აღმოსთქვა აზნაურს, რა ეამს მიეგება ჭუარსა ნინასსა, წელსა 1802, აპრილის 6-ს“ (S—1612 ზ).

**იოანე, ჯვარის დეკანოზი**, გარსევან დეკანოზის შვილი. 1765 წელს ის იხსენიება ერეკლე მეფის და დარეჯან დედოფლის მოძღვრად (საქართველოს ც. ა. ხელნაწ. № 301. აღწ. I, 270).

<sup>7</sup> ონისიფორე ქარუმიძე, სქემოსან-მონაზონი მიიყვალა წელსა 1786-სა, თუესა იანვარსა, რიცხესა შვექუსესა“ (H—436; 35v). ამ ხელნაწერში მოთავსებულია იერომონაზ გაბრიელისაგან შედგენილი „სქემოსან ონისიფორეს ცხოვრება“. ფ. 17—36.

1746 წელს იოანე ჯვარის საყდრის მღვდელია (ს. კაკაბაძე, *ისტორიული ბუთები*, V, გვ. 67).

ჯვარის დეკანოზი იოანე იესე ჩუბინაშვილს ასწავლიდა გადაწერას (A. Цагарели, *Сведения...* III, გვ. LXIII).

ბარათაშვილისეული „ქართლის ცხოვრება“ გადაწერილია ჯვარის დეკანოზ იოანეს მიერ 1761 წ. 24.IV-ს (S-3666).

მისივე გადაწერილია „სენაქსარი“ 1757 წ. (S-64), „დილაქტკა“ — 1760 წ. (S—131); „სპეკალი“ — 1752 წ. (A — 1743); ქალაქის ჯვარის საყდრის დეკანოზს იოანეს 1758 წ. გადაუწერია „სჯულის კანონი“ (H—1373), 1760 წელს — პროკლე დიადოხი (A—1162).

1766 წელს უმოგზაურია იერუსალიმს. იერუსალიმის ჯვარის მონასტრის № 146 ხელნაწერზე სხვა მინაწერთა შორის არის ასეთი მინაწერი: „ჩღაგ ქს აქეთ, ოკლომბერს, მე, იოანე ულირსი მოძღვარი ღირს ვიქმენ წმ. ამას აღდგომასა მოსვლად... და თაყვანისცემად“ (A. Цагарели, *Памятники грузинской старины в Святой Земле и на Синае, Палестинский Сборник, X вып. 1888. с. 189*). ეს იოანე მოძღვარი უნდა იყოს იოანე ჯვარის დეკანოზი, მეფის მოძღვარი.

იონა ბერი — იხ. ხელაშვილი იონა

იონა მროველი, გედევანიშვილი (1737—1821). რუისის მიტროპოლიტი. მისი ბიოგრაფია დაბეჭდილია „მწყემსში“, 1898. № 4, გვ. 6.

კათალიკოსის სარდლის გაბრიელ გედევანიშვილის შვილი (ერისკაცობაში ივანე) — იონა დაიბადა 1737 წ. ანტონ კათალიკოსმა 1753 წ. აკურთხა იეროდიაკონად. როცა ანტონი რუსეთს გაემგზავრა, იონაც თან გაჰყვა და შემდეგ მასთან ერთად მობრუნდა საქართველოში. ის აკურთხეს მცხეთის ჯვარის მონასტრის არქიმანდრიტად. 1775 წ. აირჩიეს რუისის მიტროპოლიტად. 1780 წელს საეკლესიო კრებამ იონა რალაც დანაშაულისათვის მიტროპოლიტობისაგან დაამხო და მღვდლობისაგან განჰკვეთა და დავით გარეჯის უდაბნოში დაამწყვდია. იონა იქიდან გაიპარა და იმერეთს მივიდა, მაგრამ რაკი არც იქ შეიწყნარეს, ისევ ქართლს დაბრუნდა. ახლა მას გარეთუბნის წმ. გიორგის ეკლესიის ეზოში მიუსაჯეს ცხოვრება. იონა აქედანაც გაიპარა და გადავიდა ახალციხეს. ახალციხის ფაშამ იგი კონსტანტინეპოლს გააგზავნა. საქართველოში მიღებული ცნობებით ის აპირებდა ანტიოქიის პატრიარქისაგან ჭავახეთის ეპარქიის მიღებას. ანტონ კათალიკოსი სწერს კონსტანტინეპოლის პატრიარქს წერილს, რომლითაც აფრთხილებს მას, რომ „მღვდლობისაგან განშიშვლებულმა“ იონამ ვერ მოახერხოს კონსტანტინეპოლის და ანტიოქიის პატრიარქთა მოტყუება (H—2510. ფ. 12v). იონა მაინც ახერხებს კონსტანტინეპოლის და იერუსალიმის პატრიარქებისაგან კურთხევის წიგნ-

ბის მიღებას. მან 4 თვე დაჰყო სტამბოლს, 1785 წ. დეკემბერში მიტროპოლიტად დაინიშნა, შემდეგ შემოვიღის ტუზლას, იაფას, იერუსალიმს, დამასკოს, ანტიოქიას, ბეირუთს, ეგვიპტეს. 1787 წ. ჩადის ელადას, ნეაპოლსა და ტრიესტში ყოფნის შემდეგ მიდის ვენეციას, შემდეგ ალექსანდრიაშია, მერე სინას მთაზე 7 წელი იმოგზაურა ზღვით. 1790 წ. ოქტომბერში ვენაშია. აქედან იასით მოლდავეთში მოვიდა, სადაც ნახა ბესარიონ გაბაონი. მოლდავეთში პოტიომკინის კარზე შეხვდა ერეკლეს ელჩი გაიოზ არქიმანდრიტი. 1792 წელს ეკატერინე II-მ მას დაუნიშნა პენსია, ხოლო სინოდმა ნება მისცა კიევში ცხოვრებისა. კიევში დაჰყო 3 წელი, შემდეგ მოსკოვს გაემგზავრა და ჩუღოვოს მონასტერში დაიდო ბინა. გარდაიცვალა 1821 წელს.

იონა მიტროპოლიტმა თავისი მოგზაურობა აღწერა ცალკე წიგნად. იგი გამოსცა პლ. იოსელიანმა 1852 წელს სათაურით: „მიმოსვლა ანუ მოგზაურობა იონა რუისის მიტროპოლიტისა“. იონას მოგზაურობა დაწერილი უნდა იყოს 1807 წლამდე, რადგან აქ დარეჯან დედოფალი ცოცხლად არის მოხსენიებული (დარეჯანი გარდაიცვალა 1807 წლის 8 ნოემბერს). ამავე დროს პავლე დიმიტრის ძე ციციანოვს ის გარადეცილიად მოიხსენიებს (გვ. 148), ციციანოვი კი გარდაიცვალა 1806 წ. თებერვალში. ე. ი. იონას მოგზაურობა დაწერილია 1806—7 წლებში.

1803 წელს რუსეთში ჩასულ დარეჯან დედოფალს იონა შეეგებება დიდის პატივით. იგი დაესწრო დარეჯანის გარდაცვალებასაც 1807 წლის 8 ნოემბერს, რასაც 24 ნოემბერს წერილით ატყობინებს ანტონ II-ს (S—1543. ფ. 99/191).

**იოსებ დეკანოზი** — ალექსი-მესხიშვილი (1739—1816 წ. წინ). კვირაცხოვლის საყდრის დეკანოზი. შვილი ალექსი-მესხიშვილის. დეკანოზის იოანესი. მარიამ დედოფლის ჩვენებით 1806 წ. 67 წლისაა, ე. ი. დაბადებულია 1739 წელს.

1762 წელს ეკურთხა მღვდლად. იყო მარიამის, ბატონიშვილ გიორგის მეუღლის (—შემდეგში მარიამ დედოფალი) მოძღვარი.

1803 წლის მაისში ქალაქიდან წამოვიდა, 29 მაისს დედოფალ მარიამს ეახლა სტავროპოლს. 17 ივნისს ბელგოროდს მივიდნენ.

მარიამ დედოფლის ბრძანებით 1804 წლის 7 სექტემბრიდან იწყებს დედოფლისათვის წირვას კვირაში ორჯერ, რისთვისაც იღებს გასამრჯელოს (საქ. ც. ა. ფ. 233. № 2. ფ. 24).

მარიამ დედოფალი 1806 წლის 1 სექტემბერს წერილით სთხოვს კურსკის არქიეპისკოპოსს თეოქტისტეს დაეხმაროს იოსებ დეკანოზს საქართველოში დაბრუნებასა, მისთვის პროტოპაპის ჯვარის მიცემასა და სამგზავრო ხარჯის დანიშვნაში (Канцелария МВД по упр. Грузией, 1806 г. № 33-41, ფ. 87).



იოსებ დეკანოზის შვილი ეფრემი ვარლამ ეგზარქოსმა 1816 წ. აკურთხა მღვდლად, ამ დროს იოსები ცოცხალი აღარაა (საქ. ც. ა., ფონდი 16/152. საქმე 1874, ფ. 6).

3. კარბელაშვილს წიგნში „ძველი ანჩისბატის ტაძარი“ 48 გვერდზე მოჰყავს არასწორი ცნობა იოსებ დეკანოზზე. მისი სიტყვით, იოსებ დეკანოზი „მოკლეს სპარსთა 12 სექტემბერს 1795 წ. სიონის ვალავანში“.

იოსებ ეპისკოპოსი (1821—1890). ერობაში ივანე ივანეს ძე ჩეპიგოვსკი, ყირიმელი მღვდლის შვილი. სწავლობდა ხარკოვის სასულიერო სემინარიაში 1838—1843 წლებში. დაამთავრა აკადემია ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით. 1848 წელს თბილისის სემინარიის მღვდელი და მასწავლებელია. 1854 წელს დაქვრივდა, ბერად აღიკვეცა და დაინიშნა თბილისის სემინარიის ინსპექტორად. 1857 წელს ისიდორე ეგზარქოსის წარდგენით იოსებ მღვდელ-მონაზონი დაინიშნა ოსეთის სამრევლოთა უფროსის თანამდებობაზე (ეს ახლად შექმნილი თანამდებობა იყო, ბლალოჩინების ზემდგომი) არქიმანდრიტის ხარისხში აღზევებით. 1875 წ. აკურთხეს ვლადიკავკაზის ეპისკოპოსად, ამ თანამდებობაზე დაჰყო 1889 წლამდე.

გარდაიცვალა მოსკოვის „ნოვოსპასკის“ მონასტერში 1890 წელს. ნეკროლოგი მის შესახებ დაიბეჭდა „მწყემსში“, 1890. № 15—16.

ოსეთის სამრევლოთა უფროსად ყოფნისას ცხოვრობდა ალაგირში, მას ეხელქვეითებოდა კავკავის სასულიერო სასწავლებელი და ოსეთის სკოლები.

იოსებ მისკარბაში (ბებუთაშვილი) (1760—1822)<sup>8</sup> ალა ბებუთაშვილის უმცროსი შვილი. ერეკლე II-სა და გიორგი XIII-ს დროს ჰქონდა მისკარბაშის თანამდებობა. ამისი ძმა ავეტიქ ქალაქის მელიქ-მამასახლისია 1769—1795 წლებში.

ცოლად ჰყავდა ოსეთა ყორღანაშვილის — მილახერის ქალი — ქალუა. ამათი შვილი ვასილი შემდგეში ცნობილი გენერალია. (ვასილ ოსიპის ძე ბებუთოვი).

1795 წელს ერეკლეს წინააღმდეგ არის განწყობილი. იგი გიორგი ბატონიშვილს ახელებს მამის წინააღმდეგ. იოსების „ორგულობის“ ხმამ ერეკლემდე მიღწია. მეფე საყვედურს უთვლის იოსებს: „ისარს ისერი, შვილდს კი მალავო“. ამის პასუხად იოსები მოახსენებდა: „ღმერთმან

<sup>8</sup> ალა ბებუთაშვილს სამი ვაჟა ჰყავდა: ავეტიქ, ოჰანუზ და იოსებ. 1758 წლის საბუთში იხსენიება აღას მხოლოდ ორი შვილი ავეტიქ და ოჰანუზ. (დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის, 1. № 230). ე. ი. იოსებ ამ დროს ჯერ დაბადებული არ ყოფილა. ის იხსენიება 1766 წ. საბუთში (იქვე, № 245); ე. ი. იოსების დაბადების თარიღი 1759—65 წწ. შუალედშია საძებნი.



საერთველო ისარი მუდამ მასროლინოსო“ (საქ. სიძვ. III, № 375). ერეკლე-  
ლესთან დამბეზღებლად იოსები სოლომონ ლიონიძეს თვლიდა და 1796  
წლის აგვისტოში თავისი სიმამრის — მილახვარ ოსეფა ყორღანოვის დაბ-  
მარებით შეძლო მოწინააღმდეგის დამარცხება. ერეკლე მეფემ სოლომონ  
მსაჯული ყველა თანამდებობიდან გადააყენა და თავიდან მოიშორა. ამის  
გამო მეფის სიძე იოანე მუხრან-ბატონი სწერდა იოსებს: „ხომ გაიმარჯ-  
ვეთ და კარგია, რაღა გინდათ? ნულარ აწუხებთ ბატონს, გამოეცალეთ“.  
(საქ. სიძვ. III, № 90).

გიორგი XIII თბილისში ცხოვრობდა ი. ბებუთოვის სახლებში,  
კლდის უბანში, კათოლიკური ეკლესიის სიახლოვეს (რადგან მეფის სა-  
სახლე აღამაჰმადხანის შემოსევის შემდეგ დანგრეული იყო).

ციციანოვი იოსებ მიშკარბაშს ასე ახასიათებს: „მან თავისი ერთვე-  
ლება დამიმტკიცა მრავალი შავი დასმენით, რომელთა საშუალებით მე  
გამოვარჯევე მთავრობის მნიშვნელოვანი მოლაღატენი“ (აქტები, II,  
№ 337).

ი. მისკარბაში 1812 წელს იყო ყაზახის მოურავი. ყაზახ-შამშადილუს  
ჯარით ნიუხდა და დაარბია ქიზიცი, სადაც გამაგრებული იყო ალექსანდ-  
რე ბატონიშვილი (კახეთის აჯანყების დროს) (ბაგრატ ბატონიშვილი,  
ახალი მოთხრობა, თ. ლომოურის გამოც, თბ., 1941, გვ. 132).

გარდაიცვალა 1822 წელს.

**იოსებ სამებელი და წილყნელი**, თამაზ ქვაბულისძის ძე (1676—  
1750). მე-18 საუკუნეში, ჩრდ. კავკასიაში, — ინგუშებსა და ოსებში რუ-  
სული მისიონერობის ინიციატორები იყვნენ მოსკოვის „ზნამენსკის“ მო-  
ნასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტი ნიკოლოზი და სამებელი და წილყ-  
ნელი იოსები. ორივე ქართველი იყო. ნიკოლოზი გაემგზავრა რუსეთს  
1724 წ. იმ 42 სამღვდელო პირთ შორის, რომელნიც ვახტანგ VI-ს ახლდ-  
ნენ. ნიკოლოზი 1738 წ. დაინიშნა „ზნამენსკის“ წინამძღვრად (ლენინ-  
გრადის ც. ს. ა. სინოდის საქმე 1749 წ. № 466/249. ფ. 8); იოსები, რო-  
მელიც ერთხანს ლეკებთან იყო ტყვედ, რუსეთში უფრო გვიან მოხვდა.  
1731 წელს დეკემბერში გამოემგზავრა საქართველოდან რუსეთში, მოს-  
კოვში დაყო 3 წელი, შემდეგ გადაყვანილ იქნა პეტერბურგში და დაი-  
ნიშნა ნევის მონასტერში ეკატერინე ივანეს ასულის, დიდი მთავრის, სუ-  
ლის მოსახსენებლად. 1741 წელს იოსებ დაინიშნა „ზნამენსკის“ მონას-  
ტრის არქიმანდრიტად.

1749 წელს ითხოვა გაეგზავნათ ის ყიზლარში, რათა იოანე მანგლელთან  
ერთად მისიონერული პროპაგანდა გაეწია ჩრდ. კავკასიაში. იოსები მოსკო-  
ვიდან ყიზლარს გამოემგზავრა 1750 წ. 7 ივლისს, შავრამ გზაში გარდაიცვალა  
იმავე წლის 1 სექტემბერს სარატოვში (Г. Кокнев, Несколько замечаний

по поводу «Первой печатной осетинской книги», Изв. Сев. НИИ, т. IV, Срджоникидзе, 1934. с. 158; А. Цагарели, Сведения... III, 61).

ხელნაწერთა ინსტიტუტის A ფონდში დაცულია სამღვდელმთავრო კონდაკი, გადაწერილი იოსებ წილკნელ-სამებლის ხელით 1738 წ. კონდაკს აქვს გაღამწერის ასეთი ანდერძი:

„იესუ ქრისტე, აღიდევ... სამებელ-ყოფილი იოსებ კახი, ქვაბულისძის ძე, თამაზის ძე, რომელმან აღეწერე წიგნი ესე პეტრებურხს, ... წელი გარდმეწლო ორმოცდათვრამეტი. ქეწს აქეთ ჩლდდ ივლისს ი“. (93v)  
„ქრისტეს აქეთ წელი გასრულ იყნეს ჩლდმ“ (97v).

რაკი 1834 წელს ის 58 წლისა ყოფილა, მას დაბადებულა 1776 წელს.

იოსელიანი ეგნატე ონისიმეს ძე (? —1843). ონისიმე იოსელიანი იყო კარის მოძღვარი სამი უკანასკნელი ქართველი მეფისა. 1805 წ. ალექსანდრე I-მა ციციანოვის წარდგინებით ონისიმე იოსელიანს დაუნიშნა პენსია წელიწადში 200 მან. რაოდენობით (აქტები, II, №2093). ონისიმეს ჰყავდა 3 ვაჟი: ზაქარია, სოფრონ და ეგნატე.

ეგნატეც მამასავით მღვდელი იყო.

ნიკ. ბარათაშვილი სწერს გრიგოლ ორბელიანს 1843 წ. 21 აგვისტოს: „...მამა ეგნატიმ თავი დაგიკრა იმიერსოფლითგან. ერთი თვეა, რაც გარდაიცვალა. საწყალი“. «Вот человек, который по своему положению в свете, более всех страдал. Минувшее проходило перед ним и волновалось как море-океан».

ეგნატეს ფიზიონომიისათვის იხ. პლ. იოსელიანი, „ცხოვრება გიორგი XIII-სა“. გვ. 251—252.

1832 წ. შეთქმულების საგამომძიებლო კომისიამ დეკანოზი ეგნატე იოსელიანი მიაკუთვნა დამნაშავეთა IX კატეგორიას, ანუ ისეთ პირთ, რომელთაც ბრალად ედებათ მონაწილეობა ან მოსმენა არაკეთილსაიმედო სიტყვებისა.

იოსელიანი პლატონ ეგნატეს ძე (1809—1875). შვილი გიორგი XIII-ის მოძღვრის ეგნატე ონისიმეს ძე იოსელიანისა. დაიბადა 1809 წ. სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში (ს. დოდაშვილთან ერთად). სემინარია დაამთავრა 1829 წელს. ერთხანს მასწავლებლობდა, შემდეგ თბილისის სასულიერო სასწავლებლების ინსპექტორი იყო. 1831 წელს სამსახურს თავი გაანება და პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში დიპლომით სწავლა. აკადემია დაამთავრა 1835 წელს. ის ინიშნება თბილისის სემინარიაში ფილოსოფიისა და ფიზიკის მასწავლებლად. პარალელურად ბეჭდავს წიგნებს, მუშაობს ქართული შრიფტის გაუმჯობესებაზე<sup>9</sup>. 1836 წელს ის ინიშნება სემინარიის

<sup>9</sup> პლ. იოსელიანის მოღვაწეობა ამ ხანაში იხ. მ. ბერძენიშვილის „მასალები XIX ს. I. ნახ. ქართული-სახოგადოებრიობის ისტორიისათვის“, თბ., 1980, I, გვ. 54—60.

უკონომად. მაგრამ მისივე თხოვნით იგი გაათავისუფლეს ამ თანხმ  
დებობიდან 1837 წლის იანვარში (საქართველოს ც. ა. ფონდი 112, საქმე  
112, ფ. 118).

1842 წ. გადასახლდა პეტერბურგში და დაინიშნა განსაკუთრებულ დავა-  
ლებათა ჩინოვნიკად სინოდის ობერპროკურორ პროტასოვთან. 1844 წლის  
ბოლოდან ის კვლავ სამშობლოშია საქართველო-იმერეთის სინოდალური კან-  
ტორის ჩინოვნიკად. 1845-1855 წლებში იყო რედაქტორი „ზაკავასკი ვეს-  
ტნიკ“-ისა. გარდაცვალებამდე მუშაობდა განსაკუთრებულ დავალებათა ჩი-  
ნოვნიკად მეფის ნაცვალთან. ჯერ კიდევ სემინარიის მასწავლებლად ყოფნი-  
სას პ. იოსელიანმა მიიპყრო ყურადღება სამეცნიერო მოღვაწეობით, ხოლო  
პეტერბურგში გადასახლების შემდეგ ის სისტემატურად ბეჭდავდა სტა-  
ტიებს სახალხო განათლების სამინისტროსა და საგარეო საქმეთა  
სამინისტროს ეურნალებში. ამ დროისაა მისი «Михетский храм в Грузии»  
(1842), «Краткая история груз. церкви» (1843), «Города, существова-  
вшие и существующие в Грузии» (1844), «Древние памятники Тифли-  
са» (1844) და სხვ. როცა მის ხელთ მოექცა „ზაკ. ვესტნიკის“ რედაქცია,  
იგი აქ რეგულარულად აქვეყნებდა თავის როგორც წერილ, ასევე მსხვილ  
ნაშრომებს—ქართულ სიძველეთა აღწერილობის სახით (კაცხი, მარტყოფი,  
მცხეთა, შიო-მღვიმე), მგზავრის წერილების სახით (კახეთში, თბილისიდან  
ახტალამდე მოგზაურობისას), სხვადასხვა წერილებს. იყენებდა სხვადასხვა  
სახის საისტორიო წყაროებს, პ. იოსელიანი იყო მეტად ნაკითხი, რაც კარგად  
ისახებოდა მის ნაწერებში, ხოლო მისმა ფილოსოფიურ-ღვთისმეტყველურ-  
მა მსჯელობებმა და ანტიკურ სამყაროსთან შედარებების მიდრეკილებამ  
კლასიკოსთა ციტაციასთან ერთად მოუპოვეს მას დიდად განათლებული ადა-  
მიანიისა და ფილოსოფოსის რეპუტაცია.

პლ. იოსელიანი ადრევე გახდა პოპულარული ქართველობაში. ეს  
გამოწვეული იყო ერთის მხრით იმით, რომ მან იწყო ძველი ქართული  
მწერლობის ტექსტების (შავთელი, ჩახრუხაძე), ანბანებისა და გრამატიკის  
გამოცემა, და მეორეს მხრით იმით, რომ მან აქტიურად დაუჭირა მხარი  
თბილისის სემინარისტებს 1840 წელს. ამ წელს თბილისის სემინარისტებ-  
ში მღელვარება დაიწყო, რაც გამოწვეული იყო სემინარიის ინსპექტო-  
რის იგუმენ პორფირის უხეში მოქმედებით (მან სცემა მძინარე მოწაფეს  
ღვით თინკაშვილს იქამდე, რომ სისხლი ადინა). იგუმენ პორფირის  
მფარველობდა მაშინდელი ეგზარქოსი ევგენი. სემინარიელთა მღელვა-  
რება გადაიზარდა მოსწავლეთა ბრძოლაში თავისი ყოფისა და სწავლების  
გაუმჯობესებისათვის. სემინარიელთა მღელვარებას მხარს უჭერდნენ პლ.  
იოსელიანის გარდა რუსი მასწავლებლებიც (კანევი, სოკოლოვი, დრო-  
ზდოვი, დმიტრიევი). სემინარიელთა მღელვარებას მოჰყვა მრავალი გამო-  
ძიება და რევიზია. საბოლოოდ ინსპექტორი პორფირი სამსახურიდან და-

ითხოვეს, ეგზარქოსი ევეგნი კი ასტრახანის კათედრაზე გადაიყვანეს.  
პლ. იოსელიანს ეკუთვნის აზრი გამოეყენებინათ ისტორიული მეცნიერებისათვის ეკლესია-მონასტრების საბუთები. მ. ბროსეს შუამდგომლობით სინოდმა თბილისში — საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორასთან შექმნა კომისია, რომელსაც უნდა გადაედო ასლები ამ დოკუმენტებიდან.

პლ. იოსელიანის კაპიტალური შრომაა „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“, დაწერილი ქართულად.

1840 წლის დეკემბერში დაქვრივდა. მეორე ცოლად ჰყავდა ანა, ნიკოლოზ ბაგრატიონ-მუხრანსკის ასული (1828—1913), რომელიც დაქვრივების შემდეგ მონაზვნად აღიკვეცა, დასაფლავებულია მცხეთაში, სამთავროს მონასტერში.

ჰყავდა შვილი ევეგნი.

პლ. იოსელიანი გარდაიცვალა 1875 წ. დასაფლავებული იყო მის მიერ 1851 წელს სოლოლაკში აშენებულ ამაღლების ეკლესიაში (დავითაშვილის ქუჩაზე). შემდეგ გადაასვენეს დიდუბის პანთეონში.

**იოსელიანი როსტომ.** პრაპორშჩიკი ნიევეგოროდის დრაგუნთა პოლკისა. ახლდა სამეგრელოს დედოფალს ნინო დადიანს, გიორგი მეფის ასულს, ვორონეჟში (გზლ. 315).

როსტომ იოსელიანის გადაწერილია ქართლის ცხოვრების ერთი ნუსხა (S—5316), რომელსაც აქვს გადამწერის ასეთი მინაწერი: „ვერ ურჩ ვექმენ ბრძანებასა მეგრელის დედოფლის ნინასი. ამისთვის გადმოვსწერე ცხოვრება ესე უმეტნაკლებოდ ვითარცა დედანსა შინა აღწერილიყო. წელსა 1722 თვესა სეკდემბერსა 1 რიაზანს. როსტომ იოსელიანი“.

როსტომ იოსელიანს ურთიერთობა ჰქონდა 1832 წლის შეთქმულების მონაწილეებთან. საგამომძიებლო კომისიამ იგი მიაკუთვნა X კატეგორიას, ანუ ისეთ პირთ, ვიზედაც არავითარი ეჭვი არ არის მიტანილი.

**იულონ ბატონიშვილი (1760—1816).** ერეკლე II-ისა და დარეჯან დედოფლის მეორე ვაჟი. დაიბადა 1760 წელს. 1778 წელს ცოლად შერთეს რევაზ ამილახვრის ასული სალომე (Qd—839). (სალომე იყო და ოთარ ამილახვრისა).

იულონსა და სალომეს ჰყავდათ 4 შვილი: ლევან (1785—1811), ლუარსაბ (1788—1850), თამარ (1791—1857), დიმიტრი (1803—1845).

ერეკლე II-ის ანდერძის თანახმად, მეფობა უნდა გადასულიყო ძმიდან ძმაზე. გიორგი XIII-ის მემკვიდრე უნდა ყოფილიყო მისი ძმა იულონი (რაკი იულონის უფროსი ძმა ლევანი უკვე გარდაცვლილი იყო). იულონი არ დაემორჩილა 1801 წლის მანიფესტს. დარეჯან დედოფლის ხელშეწყობით ცდილობდა მეფობის მოპოვებას. საზოგადოების გარკვე-



ულმა ნაწილმა დაიფიცა მის ერთგულებაზე. იულონი გაიხიზნა კაპიტანად და შეტეს, შემდეგ კახეთს. იწვევდა დასახმარებლად ომარხანს. 1801 წ. თებერვალში ფარნაოზ ბატონიშვილთან ერთად იმერეთს გადავიდა სოლომონ II-სთან. 1802 წ. აგვისტოში უშედეგოდ ცდილობს ჯარით შეიჭრას ქართლ-კახეთში. 1804 წ. მთიულეთის აჯანყებისას იმერეთიდან ქართლში გადმოდის და მთიულეთისკენ გაქრას ლაშობს. ბოლოს იგი კვლავ იმერეთს ბრუნდება. ეწერაში თავს ესხმის მას რუსთა ჯარი, რომელმაც იგი ტყვედ იგდო და თბილისს ჩამოიყვანა.

1805 წ. გადაასახლეს რუსეთს. თავდაპირველად იმყოფებოდა ტულას, როგორც პატიმარი. 1806 წელს გაათავისუფლეს. დასახლდა პეტერბურგში, სადაც გარდაიცვალა 1816 წელს. დასაფლავებულია ალექსანდრე ნეველის ლავრის იოანე ოქროპირის ეკლესიაში.

**კაკუშაძე პეტრე.** იმერელი დიაკონი. მღვდლად ეკურთხა პეტერბურგს. განწესებული იყო მღვდლად მარიამ დედოფლის — სოლომონ II-ის ქვრივის, კაცია დადიანის ასულის საყდარში.

1827 წელს მარიამ იმერეთის დედოფალმა „პეტრე დიაჩოქი“ გაგზავნა მოსკოვიდან პეტერბურგს იონასთან (H—2226. ფ. 152).

ფარნაოზ ბატონიშვილი 1830 წ. საქართველოს ეგზარქოს იონას სთხოვს პეტრე კაკუშაძის მღვდლად კურთხევის ნება მიეცა. ეგზარქოსმა „მისწერა ნების მიცემა და აკურთხეს პეტერბურგში“ — აჩვენებს ტარასი არქიმანდრიტი 1832 წლის შეთქმულების საგამომძიებლო კომისიას. (ლენინგრადის ფონდი, IV რკ., ფ. 663—664. 1833., 18 იანვრის ჩვენება).

1841 წლის 19 მარტს პეტერბურგს გარდაიცვალა იმერეთის დედოფალი მარიამ. დედოფლის სიკვდილის შემდეგ პეტრე კაკუშაძე საქართველოში გამოისტუმრეს, თან გამოატანეს დედოფლის საყდრის დარჩენილი ზოგი სამკაული. ფარნაოზ ბატონიშვილმა თან დაადევნა სარეკომენდაციო წერილები მთავარმმართველთან და ეგზარქოსთან (Sd—2248/S 103) — სწერს ფარნაოზ ბატონიშვილი თეკლე ბატონიშვილსაც. საქართველოში ჩამოსული პეტრე დიაკონი თეკლე ბატონიშვილმა მოწყალებით მიიღო (Sd—2249/3 1631).

1843 წელს პ. კაკუშაძე რუსეთს დაბრუნდა. ორი წლის შემდეგ, 1845 წ. 14 დეკემბერს (Sd—2257 5/1631) გარდაიცვალა. ამ ფაქტმა ძალიან დააღონა პეტერბურგელი ქართველები „იფიქრეთ, როგორც დიდათ შევსწუხდებოდით. ქართველი ღვდელი აღარავინა გყავს“ — სწერს

ფარნაოზ ბატონიშვილი თეკლეს 1845 წ. 17 დეკემბერს (Sd—2257  $\frac{5}{1631}$ ).

კალატონიშვილი დავით. აზნაური. კახეთის 1812 წ. აჯანყების მო-  
წაწილე გადაასახლეს პერში 1813 წ. 1 მარტს.

1818 წ. 11 აპრილის დადგენილებით ეპატია დანაშაული და სამშობ-  
ლოში დაბრუნების ნება მიეცა.

კალატონიშვილი იოსებ ანდრიაშ ძე. აზნაური. ქარხნის მუშრები. ეს  
თანამდებობა, რომელიც მანამდე მის ბიძა აბელს ჰქონდა, მისცა მას გიორგი  
XIII-მ (ფონდი 2/8, საქმე 49. 418). ბაგრატი ბატონიშვილი წერს: რომ  
„ამან განდიდებისათვის თავისა თვისისა აბირა მოქალაქესა გიედავაშვილსა  
ზურაბს და მოიყიდა იგი თეთრითა“ („ახალი მოთხრობა“ § 54. გვ. 84).  
გიედავაშვილი რუსული საბუთებით — «Тифл, гражданин Зураб Явангу-  
лов» -ია (აქტები, II, გვ. 116. 118). აღ. ორბელიანი (პუბლია) მას უწო-  
დებს „ციციანოვის შპიონს“ (S—1656/ბ, გვ. 23).

იოსებ კალატონიშვილმა გასცა მარიამ დედოფალი — უნდა გაქცე-  
ვო (პლ. იოსელიანი, ცხ. გიორგი XIII-სა. გვ. 321).

1805 წ. იოსებ კალატონიშვილი გორის ნაცვალაია და აქვს კოლეჯის  
ასესორის ჩინი. ამან დაასმინა სოლომონ თარხნიშვილი (მეითარი) ალექ-  
სანდრე ბატონიშვილთან აქვს მიწერ-მოწერაო.

1813 წელს ნადვორნი სოვეტნიკ კალატონიშვილს, იმ დამსახურები-  
სათვის, რაც მან გამოიჩინა ქ. ელისავეტოპოლის პოლიციის უფროსობაში,  
პოდპოლკოვნიკობა ებოძა (ფონდი 2/8, საქმე 368, ფ. 45).

ნ. ნ. მურავიოვს მოთხრობილი აქვს, რომ როცა 1826 წელს შეიკრიბა  
ლაშქარი, გორის, დუშეთის და თბილისის მაზრებიდან გამოყვანილ ცხენოსა-  
ნთა ლაშქარს სარდლობდა მაიორი დავით თარხანოვი (გორის მაზრის მარ-  
შალი). კალატონიშვილმა არ მოინდომა დამორჩილებოდა დავით თარხანოვს,  
რადგან თარხანოვი ჩინით მხოლოდ მაიორი იყო, კალატონიშვილი კი პოდპოლკოვ-  
ნიკი. ჩხუბმა ამ ორ მოხუცს შორის თანდათან გადაინაცვლა ლაშქარშიაც.  
მურავიოვს დიდი შრომა დაუხარჯავს ამ ორი მოხუცის მოსაჩვენებელ დამო-  
შმინებაში (Записки Н. Н. Муравьева, сентябрь 1826 г. Русский Ар-  
хив, 1889, I, გვ. 592—593).

კახანოვი აპოლონ ვახილას ძე. პოლიცმეისტერი ვრმილოვის დროს. ეს  
პოლიცმეისტერი „გაბედვით სცემდა არამც თუ სამსახურს გარეთ მყოფ მო-  
მოლაქეებს, თითონ მღვდლებსაც“ („საქართველოს მოამბე“ 1863, № 1,  
გვ. 142). „პოლიცმეისტერი კახანოვი ისე ეჯავრება მთელ თბილისს, რომ  
მცხოვრებლები მზად არიან პოლიცმეისტერი სადმე გადამალონ. კახანოვი კი  
თავს კარგად ართმევს საქმეს; აფართოვებს ქუჩებს, ამენებს სახლებს, ამასთან  
ყურადღებას სრულიად არ აქცევს იმას, რომ მცხოვრებნი იჩავრებიან, რად-  
გან ის აიძულებს სრულიად უქონელ მოქალაქეებს ორსართულიანი სახლები



აშენონ... მას განუსაზღვრელი ძალაუფლება აქვს მინიჭებული და ამიტომ სარგებლობს, რათა უფრო მეტად შეავიწროვოს მცხოვრებლები“ (Записки Н. Н. Муравьева, Русский Архив, 1886, г., III, 327). „კახანოვი აშკარა ქრთამს არ იღებს, სამაგიეროდ მას სხვა საშუალება აქვს გასამდიდრებლად — ის ათავისუფლებს მდგმურის ჩაყენებისაგან იმ მოქალაქეს, რომელიც მას ან რაიმეს დაპირდება და ან მისი სახლის შენებაში დაეხმარება. კახანოვი თავდაპირველად ასტრახანში ცხოვრობდა. მერე ის ქურდობისა და უპატიოსნო მოქცევისათვის ასტრახანიდან გამოაგდეს, ჩამოდის თბილისში უკაპიკოდ და მალე იწყებს აქ მდიდრულ ცხოვრებას. ტყუილებით, დასმენებით და უსამართლობით ის ახერხებს მოიპოვოს მთავარმართებლის (ერ-მოლოვის) ნდობა“ (იქვე, გვ 435—436).

**კეყერაშვილი (ბადრიძე) ქრისტეფორე (17...—1812).** ერეკლე II-ისა და გიორგი XIII-ის კარის მღვდელი. მარტყოფელი... ერეკლე II-ს ახლდა ერევანზე ლაშქრობისას. ისწავლა მეისტამბეობა. „14000 სამღვთო წიგნი დაგვიბეჭდე“ — ნათქვამია გიორგი XIII-ის სიგელში (Qd—67). როცა ერეკლე II საოფლეთი იყო ავად, ქრისტესია 40 დღე თავს ადგამას. როცა განჯის ხანმა განჯის ციხეში დატყვევებული ქართველების განთავისუფლება აღუთქვა ერეკლეს, მეფემ განჯას გაგზავნა ქრისტეფორე კეყერაშვილი და მისკარბაში იოსები, რათა მათ განჯის ციხეში გადამალული ტყვეები მოეძიათ; ამათი დამსახურებით 700 ქრისტიანი ტყვე გამოიყვანეს განჯის ციხიდან (Qd—67). ერეკლე II რომ გარდაიცვალა თელავს, მცხეთას ვერ წამოასვენეს, რადგან დიდი ჭირი იყო. კეყერაშვილი ახლდა თან. ალამაჰმადხანის შემოსევისას დამწვარი სტამბა აღადგინა. ყველა ამ დამსახურის სანაცვლოდ გიორგი XIII-მ აზნაურობა განუხაზა. კეყერაშვილები ადრე ბადრიძეები ყოფილან. ერთ-ერთი ბადრიძე მარტყოფს დასახლებულა კეყერაანთ საგლეხო მამულზე და თვითონაც გაგლეხებულა. ახლა გიორგი XIII მათ უახლებს ბადრიძეობას. და აზნაურიშვილობას, თანაც უბოძებს ზემო ნორიოში 5 საკომლო ბენითალმანს. ბადრიძეების გვარს ვალად ადევთ მარტყოფის ნაცვლობა. გიორგი XIII-ის დროს მარტყოფის ნაცვლის სახელო ქრისტესიას ძმას ნიკოლოზს აქვს (Qd—67. 1799 წ. 22 დეკემბრის სიგელი).

„აქტების“ II წიგნში № 2055-დ დაბეჭდილია ყორღანაშვილი დავით მუშრბის წერილი ციციანოვისადმი 1803 წ. 12 აპრილის თარიღით, რომელშიაც ის მოგვითხრობს თბილისის სტამბის ისტორიას, მის და კეყერაშვილის როლს ამ სტამბის ისტორიაში. ამ სტამბაში დაიბეჭდა დავით ბატონიშვილის „ნარკვევი“ და „ღენერალისა კნორინგისაგან მეფობისა გაუქმებისა გამო განცხადება ქართველთადმი“ (პლ. იოსელიანი, ცხ. გიორგი XIII-სა. ავ. გაწერელის გამოც., გვ. 166).

1780 წელს იმოგზაურა სინას მთასა და იერუსალიმში. სინას მთის ქართულ მონასტერში ხატზე გააკეთებინა ქართული ასომთავრული წერა: „ქ. ყამსა მას, ოდეს განაგებდა მეფე ირაკლი მეორე სრულიად საქართველოსა, მის სიმაღლეს მოვახსენე მე, ცოდვილმან მისის კარის ხუცესმან, მარტყოფელმან კეყერაშვილმან ქრისტეფორემ, წარმოსვლად სინა მთად... მოვედ და თაყვანი ვეც სულისა ჩემისა საოხად და პატრონისა ჩემისა... მეფის ირაკლის და თანამეცხედრისა მისისა... ღარიას ვასაძლიერებლად და ძეთა ამათთა... და ასულთა ამათთა... აღსაზრდელად... აღიწერა სინა მთას ოკდომბერს კვ ქკს უამ“ (ი. მეგრელიძე, ერეკლე მეორის 24 შვილი, „ცისკარი“, 1958. № 10, გვ. 170); „კალმასობაში“ ბატონი ეუბნება ქრისტესია კეყერაშვილს: „რადგან შენ ვიცი ბაბილოვნსა, ეგვიპტეს, როდოს, იერუსალიმს, ეფესოს და სხვათა ადგილთა შინა მუნ მხრისათა ანუ ვითარ გენახოს და ან როგორ გსმენოდეს“ („კალმასობა“, ალ. ბარამიძის გამოც, გვ. 179).

კახეთის 1801—1802 წ. აღწერაში შეტანილია „ნორიოს სახასო მემკვიდრენი ბატონის კარის მღვდელი ბადრიძე აზნაურიშვილი ქრისტეფორე, ძმა ამისი მარტყოფის ნაცვალი ნიკოლოზ, ძმისწული დიონოსი“ („საქართველოს არქივი“, წ. III, გვ. 137).

1800 წ. 12 თებერვლის საბუთით, ქრისტესია კეყერაშვილი ცხოვრობს თბილისში მოძღვრიანთ ქუჩაზე (საქ. ც. ა. ფ. 1450, დავთარი 19, საბ. № 41).

1812 წელს კახეთის აჯანყების დროს აჯანყებულებსა და რუსის ჯართან ბრძოლაში მოკლეს სოლომონ მაღალაშვილი, რომელიც რუსის ჯარის მხარეზე იბრძოდა. აჯანყებულები არ ანებებდნენ მაღალაშვილს დასამარხავად, მისი გვამი შაშაბურთან იდო. „ამჟამად მოიძებნა მცირე ავჭალის მღვდელი ქრისტესია, რომელიც თანახმაა გამოიტანოს გვამი მაგრამ იმ პირობით, თუ მას არ ჩათვლიან აჯანყებულთა პარტიის თანამონაწილედ“ — სწერს საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელს ს. ვ. ვასილიევს მცხეთის კარანტინის უფროსი ნ. დიაკონოვი 1812 წლის 16 თებერვალს (OBD, საქმე № 61, ფ. 79—80).

ქრისტესია კეყერაშვილი გამოდის შუამავლად აჯანყების მონაწილეთა და მთავრობას შორის. იგი შუამდგომლობს ავჭალის მახლობლად მიმალულ აჯანყებულებს. საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორის მარკ მალინსკის 1812 წ. თებერვლის მიმართვაში ნათქვამია: „ავჭალაში მცხოვრებელნი! თქვენგან გამოგზავნილი ქრისტესია მღვდელი და პაპუაშვილი მოვიდნენ ჩემთან და გამომიცხადეს თქვენი არზა...“ (A—1543. ფ. 1) რუსული ტექსტი ამ მიმართვისა იხ. ფონდი OBD. საქმე, № 61, ფ. 105.

1813 წლის 7 მარტს გენერალ-ლეიტენანტ ორბელიანს ებრძანა ჩამოერთმია ჩვენება მარტყოფელი მღვდლის ქრისტესია კეყერაშვილისა-





თვის — მართლა მან დაწერა თუ არა გიორგი XIII-ის სიგელი ბოქსიურ  
 ლი სოფიოსადმი. მაგრამ გამოირკვა, რომ ამ დროისთვის მართლაც  
 მღვდელი უკვე გარდაცვლილი იყო (ფონდი 2/8. საქმე 302. ფ. 308).

ქრისტეფორე ბადრიძეზე წერილი ილია ხირსელისა (1882—1906)  
 დაბეჭდილია „ცნობის ფურცლის“ 1906 წ. 5 იანვრის ნომერში. „ივე-  
 რიის“ 1900 წლის 8 აგვისტოს № 171-ში დაბეჭდილია გ. ფარიდაშვი-  
 ლის წერილი „მეფე ერეკლე II-ისა და გიორგი XIII-ის მოძღვარი —  
 მღვდელი ქრისტეფორე ბადრიძე“.

ქრისტეფორეს ჰყავდა ორი შვილი. უფროსი დიონოზი, რომელიც  
 მამასავით წიგნის ბეჭდვის ოსტატია (1790 წელს ის მონაწილეობს „და-  
 უჯლომელის“ დაბეჭდვაში: „აღესრულა ოკდომბერს, ქორონიკონს უოს  
 კელითა მესტამბე რაზმაძე რომანოზ ზუბაშვილისათა, მწერლობითა  
 ქრისტესია ხუცის ძის დიონოზისათა... და დაზვის მმართველობითა... კა-  
 რის ხუცის ქრისტეფორესითა“ (ქართული წიგნი № 69. პირი ამ წიგნისა—  
 H—441), ხოლო უმცროსი პანტელეიმონი, მამასავით მღვდელია („ტიფ-  
 ლისკიე ვედომოსტი“-ს 1829 წ. 20 სექტემბრის 38-ე ნომერში დაბეჭ-  
 დილია: „მღვდელი პანტელეიმონ ბადრიძე მოიკლა ბრძოლაში“).

კიკნაძე ფილადელფოს (1793—1833). ფილადელფოს კიკნაძის სა-  
 ხელი ერობაში იყო ნიკიფორე. მამა — იოანე — იმერეთის სახასო აზ-  
 ნაური იყო, დედა — თინათინი — იყო ასული თავად სეხნია აბაშიძისა.

1833 წელს ის საგამომძიებლო კომისიას უჩვენებს 40 წლისა ვარო,  
 მამ ის დაბადებულია 1793 წელს. 1799—1800 წლებში იგი მამამ მიიყვან-  
 ნა ნათლისმცემლის მონასტერში სასწავლებლად. ამ მონასტრის წინა-  
 მძღვარი ექვთიმე არქიმანდრიტი რუსოფილობით იყო ცნობილი.

1813 წელს დავითგარეჯის უდაბნოში სალოცავად ჩამოვიდა ხირსის  
 არქიმანდრიტი ნიკიფორე. მან ნათლისმცემლის მონასტერში ყურად-  
 ლება მიაქცია მკვირცხლ და გონიერ ჰაბუკს ნიკიფორეს და თავისთან  
 წამოიყვანა ხირსაზე. 1817 წელს ბოდბელმა მიტროპოლიტმა იოანემ  
 ახალგაზრდა კიკნაძე შემოსა ბერად და მას ნიკოლოზ ეწოდა. 1818 წელს  
 იმავე ბოდბელმა იოანემ იგი იეროდიაკონად აკურთხა.

ნიკიფორე ხირსელმა კი, რაკი ხედავდა, რომ კიკნაძე ნიკიფორი და  
 გონიერი ყმაწვილი იყო, სასწავლებლად შიბაბრა იმ დროის ცნობილ  
 ღვთისმეტყველს იოსტოს ანდრონიკაშვილს ვეჯინის მაცხოვრის ეკლეს-  
 სიაში. იოსტოსთან განსწავლის შემდეგ ბერი ნიკოლოზ კიკნაძე იმავე  
 იოანე ბოდბელმა აკურთხა მღვდელმონაზონად 1822 წ. 4 ოქტომბერს.  
 ღვდელმონაზონად კურთხევისას მას ახალი სახელიც — ფილადელფო-  
 სი — უწოდეს.

ფილადელფოსი არ სჯერდება შეძენილ ცოდნას. მას სურს ის-  
 წავლოს რუსულიც. 1826 წელს, აპრილში ნიკიფორე არქიმანდრიტის

შემწეობით გადმოცემის თბილისში დარჩის მონასტერში, სადაც 1821 წლიდან რუსი ეგზარქოსის თეოფილაქტეს თაოსნობით გაიხსნა ფერისცვალების მონასტერი.

ამ ხანებში ანტონ II ეგზარქოს იონას უგზავნის წერილს ნიენ-ნოვგოროდიდან. ამ წერილთა ანტონი ითხოვს მღვდელ-მონაზონისა და იეროდიაკონის გამოგზავნას ქართული წირვა-ლოცვის შესასრულებლად. ასეთად იონა ეგზარქოსმა აირჩია ფილადელფოს კიკნაძე და შუამთის მონასტრის იეროდიაკონი დანიელი (ანდრთონიკაშვილი). ეს ბერები იონამ საქართველოდან გაისტუმრა 21 ივლისს, ხოლო ჩავიდნენ ნიენნოვგოროდს და ეახლნენ ანტონ კათალიკოსს 5 ოქტომბერს. კათალიკოსი ფილადელფოსს მალე უკანვე, საქართველოში ისტუმრებს 1827 წლის 20 იანვარს. ანტონმა საყვედური მისწერა იონა ეგზარქოსს: „ფილადელფოს ჩემი ვუნებისა არ გამოდგა, მოუსვენარიო“. იონა თავს იმართლებდა — თქვენი დის — თეკლეს თანხმობით და იონა ბოდბელის რჩევით გამოგზავნენ ფილადელფოსიო. თანაც ფილადელფოსისა და დანიელის გარდა სხვამ არავინ ისურვა მანდეთ წამოსვლაო (S—1491, საბ. № 12).

როგორც ჩანს, ფილადელფოსს მოსკოვისაკენ გაუხვევია. ის აქ შეხვედრია ოქროპირ, ილია, მიხეილ და ირაკლი ბატონიშვილებს. მოსკოვში ის დააპატიმრეს და 6 კვირის ციხეში ჯდომის შემდეგ ბორკილებდადებული ნიენნოვგოროდს გამოგზავნეს — სასამართლოში მისაცემად, რადგან მან ცილი დასწამა კათალიკოსის კარის მოურავს კათალიკოსისავე დისწულს ესტატე ციცოშვილს და იეროდიაკონს დანიელს<sup>10</sup>. ამ ხანებში კათალიკოსი გარდაიცვალა (1827 წ. 21. XII) და 1828 წლის იანვარში უმაღლესი ბრძანებით ფილადელფოსს ათავისუფლებენ და საქართველოში აბრუნებენ.

1828 წლის 24 აპრილს ფილადელფოსი თბილისშია, იგი ერთხანს ისევ დარჩის მონასტერში ჩერდება, მაგრამ ხოლერობის გამო ანებებს თავს აქაურობას და შუამთას გადადის 1830 წლის 1 ნოემბერს (ფონდი OBD, საქმე № 170, ფ. 313). შუამთაში მასთან მოწაფედ მიიყვანეს რაფერისტაფი.

1832 წლის შეთქმულების გამომკვლავების შემდეგ (დეკემბერში) როცა ყველა შეთქმული დააპატიმრეს, ფილადელფოს კიკნაძეც შუამთის მონასტერში დააპატიმრებული თბილისს, პოკროვის ყაზარმებში ჩამოიყვანეს. აქ ის დაკითხვების შემდეგ გარდაიცვალა 1833 წ. 2 სექტემბერს. იღუმენ იონანეს გარჯით დასაფლავდა დარჩის მონასტრის ეზოში.

ფილადელფოსი არის „აქტი გონიერულის“ ავტორი (თუმცა დაკითხვაზე ამბობდა, რომ ეს აქტი მან დავით ბატონიშვილის დაწერილისა-

<sup>10</sup> ფილადელფოსს დასწამეს, თითქოს მას ეთქვას, რომ დანიელი მეტად უხამსი სიტყვებით ამკობდა ხელმწიფეს (ფონდი 488, ს. 2042, ფ. 23).

გან გადააკეთა), მან შექმნა საიდუმლო ანბანი შეთქმულთა მიწერ-მოწერისათვის. საერთოდ მისი საქმიანობა შეთქმულებაში მნიშვნელოვანია (გზლ. 31—32).

როზენი სწერდა ეგზარქოს მოსეს 1833 წ. 4 იანვარს: „შუამთის მონასტერში მყოფი იეროდიაკონ ფილადელფოს კიკნაძეს შეუდგენია რაღაც ფარული საზოგადოება და ერთობ საეკვო მიწერ-მოწერა ჰქონდა მიხვილ ბატონიშვილთან... ამიტომ მე მივაგლინე გენ. ლეიტენანტი რეუტი კახეთში ამ იეროდიაკონის საკითხის გამო და აგრეთვე იმისათვის, რომ მან დაწვრილებით გამოიძიოს შუამთის მონასტერი და თუ იქ სასულიერო პირთაგან სხვებიც აღმოჩნდებიან ამ საქმეში გარეული, მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ ისინიც თბილისში ჩამოიყვანოს“ (ფ. 488. საქმე № 3209). ფ. კიკნაძე იყო „აქტი გონივრულის“ გამაგრებლებელიც. 1832 წ. ივნისში მან გადასცა „აქტი“ გიორგი ერისთავს. 15 ივნისს გიორგი ერისთავი უკვე ულოცავს ფილადელფოსს სხვადასხვა პირთა „აქტის ჩლენობას“ (გზლ. 102).

ამ ხანებშია გადაცემული აქტი ს. დოდაშვილისადმიც (გზლ. 248).

ფ. კიკნაძემ საგამომძიებლო კომისიას ჩვენებები მისცა 1833 წ. 28 იანვარს (რვ. V. 892—893), 7 თებერვალს (VII, 1223—25), 24 თებერვალს (II 1571), 7 მარტს (1781), 15 მარტს (XII, 2174), 7 ივლისს (XII, 4152).

ამ ჩვენებათა საფუძველზე კომისიამ იგი ჩათვალა IV კატეგორიის დამნაშავედ. ამ კატეგორიას მიაკუთვნეს ის „პირნი რომელნიც თანახმა იყვნენ განზრახულისა, მაგრამ მონაწილეობდნენ მასში არა სავსებით, ან მხოლოდ ორიდან ერთ-ერთი წლის განმავლობაში, აჯანყების მოწყობის განზრახვა კი ნაწილობრივ იცოდნენ“.

„გამომძიებლის სწორედ დამთავრების წინ ეს ბერი ავადმყოფობით გარდაიცვალა“ (აქტები, XIII, 403<sup>2</sup>).

1833 წ. 17 იანვარს შუამთის მონასტერში გაიგზავნა პრაპორშჩიკი ჩერკასოვი, რათა მას გაეჩხრიკა ფილადელფოსის სენაკი (Hd—11.161). ჩერკასოვმა ფილადელფოსის სენაკში იპოვა „პატარა ხულოსა შინა წითელის თალათინის ყდებიანი ტედრატი და წარგზავნილ იქმნა სამის ბექდის დასმითა ჩემისა, ოკრუჟნის ნაჩალნიკისა და მის ჩერკეზოვისა“ — სწერს შუამთის მონასტრის წინამძღვარი ქრისტეფორე 1833 წლის 19 იანვარს (საქართველოს ც. ა. ფ. 488/439, საქმე 3209, ფ. 11). ამ თალათინის ყდიან „ტეტრადში“ აღმოჩნდა „აქტი გონივრული“.

ს. დოდაშვილმა საგამომძიებლო კომისიას უჩვენა, რომ „მას არ წაუკითხავს ფილადელფოსის მიერ შეთხზული აქტი“ (რვ. III, 330); აგრეთვე უჩვენებს, რომ „მან ვაიციო ფილადელფოსი 1831 წელს ნიკიფორე არხიმანდრიტთან ხირსის მონასტერში“ (იქვე). ამავე დროს კი არსებობს ს. დოდაშვილის წერილი ფილადელფოსისადმი, დაწერილი 1826



წელს, საიდანაც ჩანს, რომ სოლომონი 1826 წელზე ადრეც იცნობდა ფილადელფოსს: „დროთა განვლეს საშუალო პირისპირ თქვენთანა ხილვისა ჩემისა ვიდრე აქამომდე. თქვენ ხართ ქვემარტივი გულითადი იგი მეგობარი რომელსა ვსურდათ ნათელი ჩემდა მომართ და კეთილისა მოცემა“ (1826, 20, XII).

ფილადელფოსი ყოფილა „საკვირველი ნიჭიერი, მოლექსე და ხელოვანი, ასე რომ, რას არ მოიგონებდა მეხანიკურს და რას არ ვააკეთებდა. მე ვნახე ს. ქისტაურს თ. კიაზო ერისთავის სახლში იმისგნით მარმარილოს ქვაზედ ამოჭრილი მზის საათი ქართულის რიცხვებით... ყოფილა მოშიაჩრე, არ არის ეჭვი ბევრი ლექსები დარჩებოდა, მაგრამ ვერას გზით ვერ ვიშოვნე... — „წერს ივანე კერესელიძე („ცისკარი“, 1861, VIII, გვ. 353—355).

1860 წელს გადაწერილი ერთი ხელნაწერი წიგნის (H—454) 82-ე გვერდზე ჩაწერილია ლექსი „შეთხზული კიკნაძე ბერისაგან“. იყალთოს წმიდა შიოს ეკლესიას აწერია შემდეგი ეპიტაფია:

„საქართველომ თქვა: მეც ვიყავ, დრო მქონდა კეთილყოფელი  
ვადიდნი ჩემნი მოსაენი, ეტანჯნი უარის მყოფელნი  
ვევაილი სამოთხის მსგავსად, არ ვიყავ ვასაყოფელი,  
და ვინც ახლა მნახონ, გასინჯეთ, რა ამაოა სოფელი.  
ნეტარ დროსა, რომელსა იყავ შენ აღშენებული  
აღესილის მადლის წყაროთი და სიბრძნით განათლებული,  
შემკული ყოვლის წესითა და ესრეთ გაბრწყინებული,  
და ვინ არ გიტროს რა გნახოს აწ ესე გაუღებელი“.

ამ ლექსში კარგად ჩანს ფ. კიკნაძის გუნებ-განწყობილება.

ხელნაწერ H—168-ის პირველ ფურცელზე მოთავსებულია „იანბიკო კიკნაძესაგან თქმული“. ხოლო H—2130-ის 88-ე ფურცელზე „კიკნაძე ბერისაგან ნათქვამი თეჯნიში ტულუაშვილს ოსეთაზედ“.

„აბ, შენი სერთუქი, ვაროტნივი სოსანი  
ნათისფერი მადლი, ღილი პატიოსანი,  
ქვეშ ფილეტკა შალისა, აშთა ოჭროსანი,  
ეგელა დაგრჩომია მამა-პაპის დროსანი!  
პანტალონი კუპწური, ძველებური მოდისა  
მანიშკა ფრანციული პარფის ზავოდისა  
ნემეცური ქოჩორი და წასმა პომადისა!  
შვილო, ბრონზის მედალი და კეთილშობილობა  
რუსეთში გიმოვნია, რომ გქონია ცდილობა.  
ნეტარ ვითარ მოიხმარ, რომ არა ვაქვს ზრდილობა?  
ვინალო არ შეარცხენო მამაშენის წილობა!  
ოსეთ, ნუ გეწყინება: ბრიყვის სწავლა კარგია,  
ნეტარ, რატომ დაადგე სასწორო და ადლია?  
გინდა ესე გეწყინოს, გინდა დამიბადლია  
ამხანავს ვერ ვაიტან, ხარ კარუს ბადალია“.



(იოსებ ტულუევი მელექსე იყო თბილისში XIX-ს პირველ მესამედიანაში)  
 E. C. Такаишвили, Описание рукописей... II, с. 453—455, 457—458).

კობიაშვილი ზაალ. მთიულეთის მოურავი. ფარნაოზ ბატონიშვილის ამალიდან.

1804 წ. 29 ოქტომბერს დააპატიმრეს ფარნაოზ ბატონიშვილთან ერთად (აქტები, II, № 675). ციციანოვის ბრძანებით დაპატიმრებული ზაალ კობიაშვილი არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეხვდეს მთიულეთის აჯანყების გამო დაპატიმრებულ 12 აჯანყებულს (ფონდი 16. საქმე 176. ფურც. 2).

1807 წლის ივნისში ჩაიყვანეს პერსს. გადასახლებაში „უსაქმობისათვის მოიგონა „დაუჯდომელის“ გარდმოწერა“. გადაწერა დაუჯდომელი (H—1257) და ამავე დროს წერა-კითხვა ასწავლა კონდოლეულ გოგია ალადაშვილს, სეიმონ ქობულაშვილის ყმას, რომელიც თავის ნებით გადაპყვა თავის ბატონს გადასახლებაში.

1811 წ. 8 სექტემბერს გამოიკა ბრძანება ზაალ კობიევის განთავისუფლების შესახებ (აქტები, IV, გვ. 56).

განთავისუფლებული „ზაალ მთიულეთის მოურავი და გიორგი ჭონქაძე წამოვიდნენ მანდა“. 1812. 28. V (Sd—5404).

კოვალენსკი პეტრე ივანეს ძე. საქართველოს ყოფილი გამგებელი.

1799 წ. ნოემბერში საქართველოში შემოვიდა რუსეთის დამხმარე ლეგიონი გენ. ლაზარევის სარდლობით. ამ ლეგიონს მოჰყვა რუსეთის წარმომადგენელი გიორგი XIII-ის კარზე — მინისტრი კოვალენსკი.

თბილისში ჩამოსვლის შემდეგ კოვალენსკი რამდენიმე დღე არ ეახლა მეფეს. ხოლო როცა გადაწყვიტა მეფესთან წასვლა, შეუთვალა, რომ მისთვის განსაკუთრებით სავარძლები მოემზადებინათ. კოვალენსკი მეფესთან მივიდა ქურქში და სამგზავრო ქუდით, სავარძელი ახლოს მისწია მეფესთან ისე, რომ მისი მუხლები გიორგი XIII-ის მუხლებს ეხებოდა (აქტები, II № 3).

გიორგი XIII-მ კოვალენსკისაგან საიდუმლოდ გაგზავნა თხოვნა რუსეთის სამეფო კარზე მინისტრის უკან გაწვევის შესახებ.

კოვალენსკის გადაყენება-გაწვევის რესკრიპტი 1800 წ. 3 აგვისტოს იქნა ხელმოწერილი (აქტები, I, № 29). 28 სექტემბერს კოვალენსკიმ მიიღო ბრძანება თავის ჩინოფნიკებიანათ დაეტოვებინა საქართველო (А. Цагарели, Грамоты. II—2, გვ. 216). 6 ოქტომბერს გენ. ლაზარევი მას „ყოფილ მინისტრად“ იხსენიებს. კოვალენსკი, საქართველოშია 1800 წლის 19 ოქტომბრის შემდეგაც. ეს ჩანს შემდეგიდან. თბილისის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს წიგნი: «О спокойстве и удовольствии человеческом. Иоанна

Адольфа Германа», ч. I и II, с нем. перев. г. Сергеем Волчковым, СПб, 1780. წიგნის ამ ეგზემპლარს აქვს ასეთი წარწერა: «Его светлости Грузинскому царевичу Иоанну Георгиевичу бывший в Грузии Российско-императорским министром Коваленский оставляет в дар сию книгу в особенный памятник признательности его к дружбе и приятни, коим он со стороны Его Светлости имел честь пользоваться. Тифлис, октября 19 дня, 1800 года».

კოვალენსკი საქართველოშია 1800 წლის 28 ოქტომბერსაც, ამ დღეს ის წერს ბარათს ლაზარევისადმი სახელმძღვანელოდ (Е. Шмурло, Митрополит Евгений как ученый, СПб, 1888. გვ. 342 შენ). კოვალენსკი ითხოვდა დახმარებას, რათა იგი მინისტრად დაეტოვებინათ. იგი პირდებოდა მარიამ დედოფალს 3 ათას მანეთს, ალექსანდრე მაყაშვილს — 2 ათას, ჭავჭავაძის მეუღლეს — 7 ათას (აქტები, II, 421).

1802 წლის 8 მაისს თბილისში გაიხსნა რუსეთის მმართველობა. საქართველოს მმართველად დაინიშნა კოვალენსკი.

კოვალენსკის — საქართველოს გამგებელის (მმართველის) თარჯიმანი იყო ჭილაძე ეგორ მათეს ძე.

კოვალენსკი ამ თანამდებობიდან გადააყენეს 1803 წელს.

ლენინგრადის შინაგან საქმეთა მინისტრის კანცელარიის არქივში დაცულია საქმე «по следствию о разных злоупотреблениях бывшего правителя Коваленского» (1802 г. № 12).

ყოფილი მმართველი კოვალენსკი საქართველოშია 1803 წლის 20 ოქტომბერს. ამ დღეს ციციანოვი სწერს გაბრიელ ყაზბეგს: „მე გავიგე, რომ გუშინ დუშეთში ერთი ხიდი ჩავარდნილა, თუ შეიძლება, მალე აღადგინე... მე უნდა პეტრე ივანეს ძე კოვალენსკი გავატარო...“ (აქტები, II, № 421).

კოლუბანსკი კონსტანტინე მიხეილის ძე (1839—1891). თბილისის საქალაქო დუმის ხმოსანი. წარმოშობით ქართველი იყო. მისი წინაპრები კალოუბნის ეკლესიის ღვთისმსახურნი იყვნენ და კოლუბანსკის გვარიც აქედან მიიღეს.

1869 წელს არის სამხედრო დაწყებითი სკოლის მასწავლებელი („კავკასკი კალენდარ“, 1869. გვ. 94).

კოტე კოლუბანსკი ქართული ენის მასწავლებელი იყო. აქვეყნებდა წერილებს, ლექსებს, თარგმანებს ქურნ. „ცისკარში“. მისი ნაწერები იხ. ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, I. დაწერილი აქვს პიესა „სიყვარული ახალგაზრდა ქალისა“, რომელიც პირველად წარმოადგინეს 1885 წელს.

კოტე კოლუბანსკი იყო სცენისმოყვარე. „მზის დაბნელებაში“ საუ-



ცხოვრებას დასრულებდა გეორგიას როლს (ი. გრიშაშვილის შენიშვნა, ცაგარელის „კომედიების“ 47 გვ.ზე. თბ., 1936).

მისი ბიოგრაფია დაიბეჭდა გვ. „კავკაზ“-ში 1891 წ. № 294.

კომაროვსკის მეუღლის სახლი. 1832 წლის შეთქმულების საგამომძიებლო მასალებში ხშირად იხსენიება გენერალ კომაროვსკის მეუღლის სახლი.

ს. დოდაშვილი უჩვენებს 1832 წლის 19 დეკემბერს: „გაზეთის გამოცემის შესახებ ვლადიკავკაზში ხოლმე გენერალ კომაროვსკის მეუღლის სახლში“ (რე. II, 158). „თურქეთის ელჩი 1831 წლის ბოლოს ცხოვრობდა ჩემი ბინის მეზობლად, გენერალმა კომაროვსკაიას სახლში“ (რე. XXIII, 4518).

ამ ცნობებიდან ირკვევა, რომ გენერალ კომაროვსკის მეუღლეს სახლი სოლ. დოდაშვილის ბინის მეზობლად მდგარა.

სოლ. დოდაშვილმა კი თბილისში რამდენჯერმე გამოიცვალა ბინა.

1) 1830 წლის ოქტომბერში იგი ცხოვრობს დარჩია მელიქის ბებუთოვის სახლში, ჯვარიშაძის ეკლესიის გვერდით („ტიფლისკიე ველომოსტი“, 1830. № 80).

2) 1831 წელს ის ცხოვრობს კომაროვსკის სახლში.

3) 1832 წელს სოლ. დოდაშვილი ბინადრობს ანჩისხატის უბანში, ახვერდოვის სახლში (ახვერდოვს ორი სახლი ჰქონდა: ერთი გარეთუბანს; არსენალის ქუჩის — აწ. შიო ჩიტაძის ქუჩისბოლოს; მეორე — ანჩისხატის უბანში. აწ. ჩახრუხაძის ქუჩაზე, ს. დოდაშვილი ამ მეორე სახლში ცხოვრობდა).

კომაროვსკის სახლი კი მდებარეობდა გარეთუბანს. „ვერისაკენ მიმავალ გზის დაწყებასვე, მარცხნივ, გზას ზემოთ, კომაროვსკის სახლებთან არის უგუმბათო ეკლესია წმ. გიორგის, ზირკინანთ საყდარი. მოქალაქე ყამაზოვებმა ააშენეს 1717 წელს“ (S—3034) — აქედან ჩანს, რომ კომაროვსკის სახლი ზირკინანთ ეკლესიის გვერდზე ყოფილა. ეს ეკლესია მდებარეობდა „ზარია ვოსტოკას“ დღევანდელი რედაქციის შენობის უკან, ძველად კომენდანტის, ახლა გრიბოედოვის, ქუჩაზე. ამავე ქუჩაზე ყოფილა კომაროვსკის სახლი და ე. ი. ს. დოდაშვილსაც იქ უცხოვრია 1831 წელს.

კონსტანტინე დავითის ძე (1793—1844). იმერეთის მეფის დავით გიორგის ძისა და ანა მათეს (მამუკას) ასული ორბელიანის ვაჟი.

დავით გიორგის ძემ სოლომონ II-ს მისცა თავისი შვილი მძევლად. 1803 წ. სოლომონ II-მ გაათავისუფლა, ბრონევსკიმ ჩამოიყვანა ის თბილისში და ციციანოვმა დრომდე ჩააბარა მის ბიძას — თამაზ ორბელიანს.

1804 წ. 7 მაისს კონსტანტინე აღიარეს იმერეთის ტახტის მემკვიდ-



რედ (აქტები, II, 379). სოლომონს კონსტანტინეს განთავისუფლებისათვის მიეცა ალექსანდრე ნეველის ორდენი აღმასებით მოოქვილი.

დედის თხოვნით ციცინაოვმა კონსტანტინე გაუშვა ს. ლამისყანას საზაფხულოდ. აქედან ის 1804 წ. 12 ივნისს გაიქცა იმერეთში, სოლომონ II-სთან.

1810 წელს, როცა სოლომონი თურქეთს გაიქცა, კონსტანტინე თვითონ მიუვიდა რუსებს და რუსეთში გადასახლების ნება ითხოვა. კონსტანტინე გადასახლდა რუსეთს, ცხოვრობს პეტერბურგში, შემდეგ მოსკოვში, ღელასთან ერთად. პენსიად დაუნიშნეს 6000 მან. ასიგნაციებით. 1812 წელს შევიდა სამხედრო სამსახურში. ამასთან დაკავშირებით პენსია გაუდიდეს 10000 მანეთამდე.

1814 წ. 14 მარტს კონსტანტინეს მეუღლეს ანასტასია გიორგი აბაშიძის ასულს ნება მიეცა პეტერბურგში ჩასვლისა. (კონსტანტინემ ანასტასია აბაშიძეზე ჯვარი დაიწერა სოფ. ვახანში, აქტები, V, 486). 1814 წლის იანვარში რტიშჩევი მოახსენებს იმპერატორს, რომ ანასტასია ბუნტის დროს ორი მცირეწლოვანი ვაჟით იმერეთიდან გადავიდა თბილისს, სადაც ერთი შვილი მოუკვდა (აქტები, V, 472). ანასტასია ერთი შვილით — გიორგით ჩადის პეტერბურგში. ანასტასია გარდაიცვალა 1831 წ. 15 სექტემბერს.

მის შემდეგ კონსტანტინემ ცოლად შეირთო პეტერბურგში პორტუგალიის ელჩი ლოპესის ქალი (საქ. ც. ა. ფ. 2. საქმე № 4909. ფურც. 154). კონსტანტინეს მესამე ცოლად ჰყავდა ეკატერინე სერგის ასული სტრახოვა.

კონსტანტინე დავითის ძის ვაჟები (ატარებდნენ იმერეთის კის გვარს): 1. გიორგი (1809—1819), 2. კონსტანტინე (1827—1885), 3. ნიკოლოზ, 4. ალექსანდრე, ვარშავის გენ.-გუბერნატორი (1837—1900).

კონსტანტინე დავითის ძე გენერალ-მაიორის ჩინით გარდაიცვალა მოსკოვში 1844 წ. 3 მაისს. დასაფლავებულია მირჰმის ეკლესიაში. (ნ. ს. მადზე, Летопись Грузии, в. I, Тифлис, 1913, с. 361) «კვალის» 1895 წლის № 41-ში დაიბეჭდა წერილი «იმერეთის დედოფალი და ძე მისი კონსტანტინე».

კონსტანტინეს დედისაგან დარჩა მრავალი ქართული ხელნაწერი და წიგნი, რაც მან დაანიავა. ზოგი რამ სააზიო მუზეუმს მიჰყიდა (მათ შორის ვახუშტის რუკების ასლი).

**კოტოვი. ბიბლიოთეკარი.**

1832 წლის შეთქმულების საგამომძიებლო კომისიას ს. დოდაშვილმა უჩვენა, რომ მის მიერ ჩაწერილი ეფრემ ალექსი-მესხიშვილის ცნობები საქართველოს სიძველეთა და ზნე-ჩვეულებათა შესახებ „შეიძლება





მიიღოთ კოტოვისაგან, ყველაფერი ეს მასთან ინახება“ (საქმე OBD 1825 X. 1825).

„ტიფლისივე ვედომოსტი“-ს 1830 წლის ორმოცდამეათე ნომერში დაბეჭდილია ასეთი განცხადება: „ეკატერინე კოტოვა ხსნის ბიბლიოთეკას სახაზინო სახლში პოლიციის მოედანზე, სინოდალური კანტორის პირდაპირ“.

ეკატერინე კოტოვა „კოლეჯის რეგისტრატორმა“ აპირებდა 1831 წელს თბილისში გამოეცა ისტორიული, სტატისტიკური, ეთნოგრაფიული და თანამედროვე ცნობები ამიერკავკასიის მხარის შესახებ. 1831 წლის 2 ივნისს თბილისის სამოქალაქო გუბერნატორმა მისცა ნება დაებეჭდა მას განცხადება და ბილეთები. (საპოლიციო არქივი 10).

კოტოვას ჰქონდა კერძო სამკითხველო ბიბლიოთეკა და წიგნის მაღაზია (აქტები, VIII. № 7).

კრუპსკი იაკობ. 1828 წელს დაამთავრა ს. პეტერბურგის უნივერსიტეტის ფილოსოფიურ-იურიდიული ფაკულტეტი კანდიდატის ხარისხით. 1828 წელს კანდიდატის ხარისხით ექვსმა დაამთავრა უნივერსიტეტი. ამ ექვსში პირველია კრუპსკი (კრუპსკი, ჩივილევი ალექსანდრე, არისტოკრატის ივანე, ნიკიტენკო ალექსანდრე, ზენკოვიჩი, მიხაილოვი მიხეილი). (В. В. Григорьев, Императорский Санктпетербургский университет, СПб, 1870. с. LXIX).

კრუპსკი უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა მასწავლებლად კალუგის გიმნაზიაში. ამ თანამდებობაზევე გარდაიცვალა. მას დაუწერია და დაუბეჭდავს «Логика» (П. Плетнев, История СПб университета, с. 39).

კრუპსკისთან ნაცნობობა ჰქონია სოლ. დოდაშვილს უნივერსიტეტში სწავლისას. იგი წერს 1828 წ. 2 ოქტომბერს: „...იაკობ კრუპსკი, რომელიც იყო სტუდენტად, სადა არს, ვითარ სცხოვრებს და რატომ წიგნს არა მწერს? ხომ არ მიდის ფრანციაში? და ვითარება მისი წერილად მომწეროს (იღამ ღირსიემა)...“

ლაღინსკი. როცა 1818 წელს ალექსანდრე ბატონიშვილი ახალციხეში გაიპარა, რუსეთის მთავრობა წინასწარ გაფრთხილებული იყო, ყველა ფონი მტკვარზე შეკრული ჰქონდათ და ყველგან კაზაკთა ყარაული იყო დაყენებული: მიუხედავად ამისა ალექსანდრე ბატონიშვილმა 24 კაცი თ მაინც მოახერხა ახალციხეს გაპარვა. ბატონიშვილმა მტკვარი გადალახა იქ, სადაც პოლკოვნიკი ლაღინსკი იყო ჩაყენებული. ნ. ნ. მურავიოვი ფიქრობდა, რომ ლაღინსკი შეკრული იყო ამ ადგილის იმ მცხოვრებლებთან, რომლებიც მოსყიდული იყვნენ, რათა მათ ალექსანდრე ბატონიშვილი გაეტარებინათ. მურავიოვი წერს: „ლაღინსკის მოქმედება ამკარად მტყვევებს იმაზე, რომ ის მოლაპარაკებული იყო გაეტარებინა ბატონიშვილი. მაგრამ არ შეიძლება ასეთი დანაშაული დააბრალო ვინმეს, თუ

სარწმუნო საბუთები არა გაქვს. მაგრამ რაკი ვიცი, რომ ლადინსკი უსვილად  
დისოა, მზადა ვარ ესეც დავიჯერო“ („Русский Архив“, 1886, III, გვ.  
328—329).

1818 წლის 9 სექტემბერს გენ.-ლ. ველიამინოვი სწერდა პოლკოვნიკ  
ლადინსკის: „ეცადეთ, სიცოცხლე შეუნარჩუნოთ ბატონიშვილს (ალექ-  
სანდრეს)... ამასთან გიგზავნით 20 ან 25 კარგად შეიარაღებულ მამაც  
კაზაკს... თუ ღმერთი ინებებს და თქვენ მოახერხებთ შეიპყროთ ბატო-  
ნიშვილი, არ განოგზავნოთ ის თბილისში, ამას ბევრი მითქმამოთქმა მო-  
ჰყვება: მე განკარგულებას გავცემ, რომ იგი სოფლების გავლით ანანურ-  
ში და შემდეგ მოზდოკში მიიყვანონ“ („Русский Архив“, 1883. № 3.  
გვ. 204).

ნ. მურავიოვი იძლევა მის დასახასიათებლად ერთ საინტერესო ცნო-  
ბას: „მთავარსარდალმა დამავალა მეშოვნა ლადინსკის ხელით ქართულად  
დაწერილი რამე. ერთ ეხლა გახსნილ საქმეში, როგორც ჩანს, მასაც მიუ-  
ძღვის ბრალი: უცხოეთის მთავრობასთან რაღაც მნიშვნელოვანი და  
დანაშაულებრივი მიწერ-მოწერა უწარმოებია. ახლა სურდათ შეედა-  
რებინათ მისი ხელი ამ ნაწერთან. მე თავი ავარიდე ამ დავალების შესრუ-  
ლებას, ალბათ სხვები გამოჩნდებიან, ვინც ჩემზე უკეთ შეასრულებენ ამ  
საქმეს“ („Русский Архив“, 1888, III, с. 19).

1846 წ. ლადინსკი არის კავკასიის მხარის სამოქალაქო სამმართვე-  
ლოს უფროსი.

მ. ვორონცოვთან მუშაობისას იგი ცდილობდა ფაქტები დამახინჯე-  
ბულად წარმოედგინა მისთვის, შეცდომაში შეჰყავდა ის. ვორონცოვი ვერ  
შეიგუა მას და 1847 წ. 8 ნოემბრის ბრძანებით ლადინსკი გადაყენებულ  
იქმნა. მის ადგილზე დაინიშნა ვ. ო. ბებუთოვი. ვორონცოვი სწერდა  
1848 წ. ერმოლოვს: „იუდა ლადინსკის დროს მე ორმაგი სამუშაო მქონ-  
და, რადგან შეუძლებელი იყო რამეში ვნდობოდი მას (РА. 1890, № 3,  
გვ. 342).

ერმოლოვი სწერს მოსკოვიდან ვორონცოვს 1846 წლის თებერვალ-  
ში: „როგორც გავიგე, მატყუარებსა და არაშაადებს შენი ძალზედ ეშინი-  
ათ. აქ უკვე გამოჩნდა საქართველოდან გამოქცეულთა ავანგარდი. ამ-  
ბობენ, შენი სამოქალაქო ნაწილის შტაბის უფროსი ლადინსკიც ველარ  
ეგუება საქართველოს ჰავას და სურს რა გაუფრთხილდეს თავის ძვირ-  
ფას ჯანმრთელობას, მხოლოდ მთებში გზების გახსნას ელოდება... არ  
ვიცი, სად შეიძინა მან სამოქალაქო საქმეების ცოდნა, ადრე მას თუ კი  
რაიმეს ნიჭი ეტყობოდა, ეს მხოლოდ სურსათთან დაკავშირებით“.  
(Архив кн. Воронцова, книга 36, М., 1890, с. 290).

ლაზარევი ივანე პეტრეს ძე (1765—1803) დაიბადა 1765 წ. 26 აგვი-  
სტოს. სამსახური დაიწყო 1775 წლიდან. 1799 წელს საქართველოში შე-

მოვიდა რუსეთის ლეგიონი, რომელსაც ლაზარევი სარდლობდა. ლაზარევი თბილისში შემოვიდა 1799 წლის დეკემბერში. მანამდე მას ორი კვირის განმავლობაში მოუკვდა ცოლი ქსენია სტეფანეს ასული საველიევა (1779—1. XII. 1799) და ახლადშობილი ასული ალექსანდრა (24. XI—7. XII. 1799). გიორგი XIII-ის გარდაცვალების შემდეგ გენ. ლაზარევი განაგებდა ადგილობრივ მმართველობას (1800 წ. XII—1801 წ. I). 1801 წ. მაისიდან არის დროებითი მმართველობის თავმჯდომარე (დროებით მმართველობაში შედიოდნენ: ლაზარევი, ზაალ ბარათაშვილი, იოანე ჩოლოყაშვილი, სულხან თუმანიშვილი, ეგნატე თუმანიშვილი).

1803 წ. ის ახორციელებდა რუსეთის მეფის გადაწყვეტილებას საქართველოს სამეფო კარის რუსეთში გადასახლების შესახებ. 1803 წ. 19 აპრილს ის შეიჭრა გიორგი XIII-ის ქვრივის, მარიამ დედოფლის სასახლეში და ძალით სურდა მისი გამოყვანა. მარიამ დედოფალმა იგი ხანჯლით მოკლა.

დასაფლავებულია სიონში, მასთან ერთად იმავე სამარხში დაკრძალულ იქნენ მისი ცოლი და შვილი (Brosset, Voyage, II, გვ. 40).

**ლაშქარევი სერგი ლაზარეს ძე** (1739—1814). მისი მამა ლაზარევი გრიგოლის ძე 18 წლისა გადასახლდა რუსეთში ვახტანგ VI-სთან ერთად. დასახლდა მოსკოვს, ცოლად შეირთო რუსი აზნაურის ქალი. ამათ 1739 წელს ეყოლათ ვაჟი სერგი.

სერგი ლაშქარევი იცოდა ენები: იტალიური, ფრანგული, თურქული, არაბული, სპარსული, ბერძნული, სომხური. ქართული ენა ამ ენების შესწავლაზე ადრე იცოდა. 1787—1791 წ. წ. თურქეთის ომში ის იყო მესამე სრულუფლებიანი წარმომადგენელი, ესწრებოდა იასის კონფერენციას და დაესწრო საზავო ხელშეკრულების დადებასაც. ამის შემდეგ ს. ლაშქარევის დაევალა სააზიო საქმეების მართვა და მიენიჭა უფლება პირადად გაეკეთებინა მოხსენებები ეკატერინე II-სთვის.

1798 წლის 27 ივნისს გიორგი XIII-მ უწყალობა მას მამული სოფ. ტირძნისში, რომელიც ადრე მის წინაპრებს ეკუთვნოდათ. მაგრამ რადგან საქართველოში აღარ ცხოვრობდნენ, ხაზინისთვის იყო გადაცემული.

ის აწარმოებდა მოლაპარაკებას საქართველოს სამეფოს რუსეთთან შეერთების შესახებ. თვით ლაშქარევი არ იზიარებდა საერთოდ გავრცელებულ აზრს საქართველოს საბოლოოდ შემოერთების სარგებლიანობის შესახებ. მისი აზრით ჯერ უნდა დაემორჩილებინათ კავკასიის მთიელები, უამისოდ „საქართველო ჩვენ ბევრ სისხლად და დიდ ფულად დაგვიჯდებოდა“. მიუხედავად ასეთი აზრისა, იგი მაინც მონდომებით იღვწოდა საქართველოს რუსეთთან საბოლოო შეერთებისათვის, რაშიაც მას პირდაპირდნენ ალექსანდრე ნეველის ორდენს, 1000 სულ ყმაგლეხს, მისი ასულისათვის ფრეილინობას და ვაჟებს მალტიის ჯვრებს.



1804 წ. 4 იანვარს მისი თხოვნის თანახმად განთავისუფლდა სამხრეთიდან. მაგრამ 1807 წელს ისევ დაიწყო სამსახური — მართავდა მოლდავეთისა და ვლახეთის სამთავროებს.

დასახლდა თავის მამულში ვიტებსკის გუბერნიის სოფ. დიმოვში. გარდაიცვალა ვიტებსკში 1814 წლის 6 ოქტომბერს, როცა თავის ერთი მამულიდან მეორეში მიემგზავრებოდა.

ცოლად ჰყავდა ქენევის რესპუბლიკის გენერალური კონსულის დუნანტის ქალი კონსტანცია ივანეს ასული, იშვიათი სილამაზით განთქმული. ეკატერინე II-ს ბრძანებით იგი მას წარუდგა ბერძნული სამოსით, რომელსაც სტამბოლსა და მოლდავეთში ატარებდა. ეს სამოსი მას არ გაუხდია სიკვდილამდე (1782 წლის 31. XII). ლაშქარეც დარჩა 6 ვაჟი (პავლე<sup>11</sup>, ივანე, ალექსანდრე, სერგი, ანდრია, გრიგოლი) და ერთი ქალი, გათხოვილი ტაინი სოვეტნიკ კორნეესკიზე. (Русский Архив, 1884. кн. II, с. 5—32).

ლევან ბატონიშვილი (1756—1781). ერეკლე II-ისა და დარეჯან დედოფლის პირველი ვაჟი. დაიბადა 1756 წ. 1 თებერვალს.

18 წლისა დაქორწილეს ნინო ქაიხოსროს ასულ ანდრონიკაშვილზე. 1774 წ. 22 ოქტომბერს ერეკლე მეფე სწერს იოანე აბაშიძეს, ქეშიკჩიბაშს (ერეკლე II-ის მეორე მეუღლის ანა აბაშიძის ძმას): „ჩვენს შვილს ლეონს ქორწილს უპირებთ ამ ცოტას ხანში. შენც უნდა გვეწვიო და შენი სახლობაც უნდა მოიყვანო. გოორგობის თვის ექვს ან შვიდს გასულს აქ უნდა მოხვიდეთ“.

„გავლილის მაისის თვეში მეფე ერეკლემ დაქორწინა თავისი მეორე შვილი ლევან“. აცნობებს პატრი დომინიკე რომს 1775 წ. 24 ნოემბერს (მთხ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა, ტფ. 1902. გვ. 388).

1772 წ. იანვრიდან 1774 წ. აგვისტომდე ლევანი ელჩად არის რუსეთს. „წელსა ჩლობ (1772) მეფემან წარგზავნა რუსეთად ძე თვისი ლევან და კათალიკოსი ანტონი“ („შედეგი კახეთის ცხოვრებისა“, ზ. ჭიჭინაძის გამოც. გვ. 286).

ლევანი „მორიგე ჯარის“ ერთ-ერთი ორგანიზატორი და მოთავეა. თავის უფროს ძმა ვახტანგთან ერთად განაგებდა არაგვის საერისთავოს. ლევანი მთიულეთისათვის აღგენს სამართლის წიგნს „მთებში დადებულ განჩინებას“, რომელსაც 1782 წ. განაახლებს მისი უმცროსი ძმა ვახტანგი (საქ. სიძე. I, № 194).

1781 წლის თებერვალში ლევანი მოჰკლეს კახეთს ს. ვეჟინში, ივანე აბაშიძის სახლში. ბუტკოვის სიტყვით «Леван убит 7. II. 1781 г. некоторым грузином за осквернение его ложа» (Бутков, Материалы... II, 156).

<sup>11</sup> პავლე სერგის ძე ლაშქარევი შემდეგში გენერალ-მაიორი იყო, მონაწილეობდა ბორჯომის ომში, ბრძოლაში მიღებული ჭრილობით ორივე თვალით დაბრმავდა.



დავით რექტორის დაუწერია „ლეონისათვის თქმულნი ათნი სიტყვანი იამბიკოდ“ (S—105).

გადმოცემით ლევანი ეტრფიალა ასათ ვაჩნაძის ახალგაზრდა მეუღლეს, ქალი ქორწილიდან გააპარეს კარდანახს. ლევანიც აედევნა. ქალმა ლევანი მუცელში დანით დასჭრა. დაჭრილი ლევანი ვეჯინს დაბრუნდა, უკახშმოდ დაიძინა აბაშიძიანთ კოშკში და იმ ღამესვე გარდაიცვალა. მეორე ვარიანტით ლევანი დასჭრა ასათ ვაჩნაძემ და მანვე მოაკლევინა ის შერმაზან აფხაზის მკვლელებსო (პ. ცხვილოელი, ლევან ბატონიშვილის სიკვდილი ს. ვეჯინში, იოანე აბაშიძის, ქეშიქიბაშის ოჯახში).

**ლევან ბატონიშვილი, იულონის ძე (1785—1811).** იულონ ბატონიშვილის (ერეკლე II-ის ძის) და სალომე რევაზის ას. ამილახვრის უფროსი ვაჟი. დაიბადა 1785 წელს.

მისი აღმზრდელი იყო დეკანოზი იოანე ქართველიშვილი, რომელსაც ლევანმა მოუწიათლა შვილი გაბრიელი 1800 წელს.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ განაგრძობდა ბრძოლას მამის—იულონის გასამეფებლად, დაუცხრომელი ბრძოლის გამო რუსი მოხელეები მას «ВОЗМУТНТЕЛЬ», «РАЗНИЖНИК»-ს ეძახიან.

1804 წელს იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილებთან ერთად ცდილობს აჯანყებული მთიულეთისაკენ გაქრას, რასაც ვერ ახერხებენ და უკან, იმერეთში, ბრუნდებიან. იმერეთიდან ფარნაოზთან ერთად აწყურს გაიქცა, აქედან ახალციხის გავლით ბამბაკს მივიდა, სადაც ბაბა-ხანი და ალექსანდრე ბატონიშვილი იდგნენ. ბაბა-ხანმა 6000 ჯარით გამოგზავნა ალექსანდრე და ფარნაოზ ბატონიშვილები ყაზახ-შამშადილში რუსეთის ძალების გასადევნად და ქართველ მეფეთა აღსადგენად. მათთანაა ლევან ბატონიშვილიც.

1810 წელს ლევან ბატონიშვილი ოსეთშია. იქიდან აჯანყებს ხალხს. მისი მამა იულონი, ამ დროს უკვე რუსეთში გადასახლებული, სთხოვს მთავრობას როგორმე ხელთ იგდონ ლევანი და რუსეთს გამოამგზავრონ. აქედან ატყობინებენ მას, რომ ლევანს თავისი მამის სახელის გაგონებაც კი არ უნდა, მას შემდეგ, რაც მან ბრძოლას ტახტისათვის თავი გაანება და რუსეთს გადასახლდა. რუსეთის მთავრობა რამდენჯერმე შეეცადა მისი მხლებლების მოტყუების თუ მოსყიდვის გზით ლევანის ხელში ჩაგდებას. 1810 წელს ტორმასოვი ახვერდოვის საშუალებით ავალებს იოანე ქართველიშვილს დაიყოლიოს ლევან ბატონიშვილი რუსეთის მთავრობასთან ნებაყოფლობით გამოცხადებაზე (აქტები, IV, № 145). მაგრამ ლევანმა განუცხადა ქართველიშვილს — მე ერთხელ და სამუდამოდ ხელი ავიღე ჩემს დედ-მამაზედაც და ნათესავეებზედაცო (აქტები, IV, № 640).

1811 წელს ლევანი მთიულეთშია. აქედან აპირებს ის ახალციხეში გასვლას და ალექსანდრე ბატონიშვილთან შეერთებას. გზათ მიმავალი

იგი ლალათით მოჰკლეს ლეკებმა პეტრეს ციხესთან (— გოგიას ციხესთან). მისი მოჭრილი თავი, იარაღი და ტანისამოსი ახალციხის ფაშას მიუტანეს. ახალციხეში ამ დროს იმყოფებოდნენ პაულუჩის მზვერავები — იოსებ ანდრონიკაშვილი და ბერძენი პორფირი, რომელნიც დაესწრნენ ფაშასთან ლევანის თავის მიტანას. იოსებ ანდრონიკაშვილმა ლევანის იარაღში იცნო თოფი, რომელიც მას ადრე უჩუქებია ლევანისათვის (აქტები, V, № 66).

ლევანი დასაფლავებულია აწყურის ტაძრის გალავანში (ა. ფრონელი, დიდებული მესხეთი, გვ. 139—140). სხვა ცნობით — ყინწვისის მონასტერში (პლ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი XIII-სა. გვ. 161. სქ.).

ლევან ბატონიშვილზე ცაველმა დაწერა პოემა „ლევან ბატონიშვილი“. ნაწყვეტები ამ პოემიდან დაიბეჭდა 1870 წელს „მნათობში“.

**ლეონიძე სოლომონ (17 — 1811).** გადმოცემით სოლომონ ლეონიძის პაპა იყო ლეკი, რომელიც მოინათლა საქართველოში და საქართველოს მკვიდრი გახდა. მისი ვაჟი ანდრია — მღვდელი იყო თელავში. სოლომონი 24 წლამდე იმყოფებოდა თელავში, აქ მამა ასწავლიდა მას რუსულ და აზიურ ენებს. თბილისში გადმოსახლების შემდეგ სოლომონი ერეკლე მეფის დასთან, ანასთან მსახურობდა. ანას რჩევით ერეკლემ სოლომონი თავისთან წაიყვანა ჯერ მწერლად, მერე კი მდივნის თანამდებობა მისცა. ბოლოს სოლომონს მსაჯულის წოდება მისცეს. ბურნაშოვის საქართველოში ყოფნისას სოლომონს მეფემ თავადობა უბოძა. ამავ დროს მას ებოძა მამულებიც.

ს. ლეონიძემ თავისი ჰკუისა და ცოდნის წყალობით მოიპოვა ერეკლე II-ის დიდი ნდობა და სიყვარული. იგი მონაწილეობს სახელმწიფო საქმეების გადაწყვეტაში. 1790 წელს მისი ინიციატივის შედეგად იდება „ტრაქტატი ივერიელთა მეფეთა და მთავართაგან დამტკიცებული ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისა, აღწერილი სამეფოსა ქალაქსა თფილისს“.

ს. ლეონიძეს ფეშქაშნივისის თანამდებობაც ჰქონია. ერეკლე II-ის სიკვდილის შემდეგ გიორგი XIII-მ მას ეს თანამდებობა ჩამოართვა და ალექსი-მესხიშვილს მისცა (შ. მესხია, მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის ისტორიისათვის. მსკი, 1948. გვ. 22).

1795—96 წლებში ს. ლეონიძესა და ერეკლეს შორის უთანხმოებაა. ს. ლეონიძეს აბრალებენ ერეკლეს წინააღმდეგ გიორგი ბატონიშვილის განწყობას. მოეწყო სასამართლო, რომელმაც ს. ლეონიძე დამნაშავედ იდიარა. სოლომონს ჩამოართვეს თანამდებობა და მამული<sup>12</sup>. შემდეგ მას

<sup>12</sup> „ყმა და მამული იმისი ფარნაოზ ბატონიშვილს უბოძა“ (საქართველოს ც. ა. ფ. 1448. № 4641).



აპატიეს, მას მეფესთან ხლების უფლება მიეცა, საქმეებს კი არაპატიმრებდნენ.

გიორგი XIII-ს დროს მას არა ჰქონდა მეფესთან შესვლის უფლება.

1801 წლის იანვარში, როცა გიორგი XIII-ის გარდაცვალების შემდეგ ლაზარევა პავლე I-ის სიტყვები გამოაცხადა და განაცხადა საქართველოს შემდგომ ბედს იმპერატორი გადასწყვეტსო, ს. ლეონიძემ საკუთრივ შეთხზა მანიფესტი დავით მემკვიდრის ტახტზე ასვლის შესახებ და ქუჩა-ქუჩა დაჰქონდა და ხალხს აკითხებდა, იგი მიიჭრა დავით ბატონიშვილთან, მერე დარეჯან დედოფალთან, ზოლოს ეგნატე თუმანოვთან და ალ. ჭავჭავაძის დედასთან — მაია ჭავჭავაძესთან. აქ ჩანს ს. ლეონიძის შორისმჭერეულობა—იგი ხედავს, თუ რა შეიძლება მოჰყვეს პავლე I-ის სიტყვების გამოცხადებას და ცდილობს ყველას თვალი აუხილოს, დაანახოს საფრთხე დამოუკიდებლობის დაკარგვისა. ამის თაობაზე სოკოლოვი მოახსენებდა კურიაკინს: „თ. ლეონიძემ მოინდომა შური ეძია ჭავჭავაძის ცოლსა და ეგნატე თუმანოვზე მათი რუსეთის მომხრეობისათვის“ და გადაწყვიტა ხანჯლით აეკუწა ისინი (Архив Мин. Иностр. дел, I—5; 1802—1803 г. № 1) და თითქოს იმისათვის, რომ ეს პირნი ლეონიძისაგან დაეცვათ, ლაზარევა ბრძანა ს. ლეონიძის დაპატიმრება. დავით ბატონიშვილის თანხმობით ს. ლეონიძე დააპატიმრეს 1801 წლის 19 იანვარს (აქტები I, № 427).

ს. ლეონიძე გაათავისუფლა კნორინგმა 1801 წ. მაისში. ს. ლეონიძე მიდის იმერეთში.

დარეჯან დედოფალი სთხოვს კოვალენსკის იმუამდგომლოს კნორინგთან, რათა მან ლეონიძეს თბილისში ნათესაუების საწახადად ჩამოსვლის ნება მისცეს. 1802 წელს ივლისის პირველ რიცხვებში თბილისში გამოჩნდა ს. ლეონიძე, მან ჩამოიტანა ბაბახანის ორი ფირმანი, რომლითაც ბაბახანი იულონს სცნობდა ქართლ-კახეთის მეფედ. ლეონიძეს სურდა აეტყულებინა ქართველები აერჩიათ მეფედ იულონი. 1802 წლის აგვისტოს სოლომონი იმერეთს ბრუნდება (А. И. Соколов, Путешествие мое в Имеретию... 138).

1803 წლის მაისში ს. ლეონიძე კვლავ ჩამოვიდა თბილისში. ამჯერად ის ჩამოჰყვა კონსტანტინე ბატონიშვილს (აქტები, II, № 703). 1803 წ. სექტემბერში ლეონიძე პეტერბურგშია (იქვე, № 716). ამის შემდეგ სოლომონს ისევ სოლომონ II-თან ვხვდავთ.

ლიტვინოვი ატყობინებს ციციანოვს 1805 წ. 23 X-ს, რომ „ლეონიძეს იმერეთის მეფესთან მაგალითად მოჰყავს პოლონეთი, ყირიმი და საქართველო, რომ ყველა ამ ქვეყანაში რუსეთის ხელმწიფემ მოსპო მეფის ხელისუფლება და თავისთვის მიითვისა; იმერეთშიაც ამასვე უნდა ელოდოვო“ (აქტები, II, № 884).

1809 წელს სოლომონი წერილს სწერს თავის დისწულს არტემ მოძღვრიშვილს, რომელსაც გიორგი მეფის დროს ლაშქარნივისის თანამდგ-



ბობა ჰქონდა. ამ წერილში ლეონიძე სთხოვს არტემს გააკეთებინოს ოსტატ ხეჩატურას სოლომონ მეორისათვის ხმალი და ხანჯალი. ამაზედ არტემი პასუხობს სოლომონს: „მაგის უმაღლესობის მეფისათვის ხმალი და ხანჯალი რომ გებძანათ ხეჩატურასაგან გაკეთებულისა, ორსავე ვაკეთებინებ ხეჩატურას... მაგრამ ვის გამოვატანო, თქვენ მიბძანეთ, რომ გზახედ არ დაიკარგოს“ (საქ. ც. ა. ფ. 1448, № 6524).

1810 წლის 7 დეკემბერს ს. ლეონიძე წერილს უგზავნის „სრულიად ირანის ყაიმადამს“; წერილში სოლომონი აგონებს მას „დიდებულს ხელმწიფესთან თვით თქვენ ბრძანდებოდიტ როგორ ჩემს უღირსათ მოწყალებით მიმიღო და ესეც მოხსენებული გაქვსთ და იცით წელიწადში სამასი თუმანი მოვაჯიბი ბეჯითის ფარმანით მეზობა“. და ახლა ს. ლეონიძე ითხოვს ეს დაპირებული სამასი თუმანი „გაურთიგონ“ (Hd—5258).

1810 წლის მაისში სოლომონ II თბილისიდან ახალციხეს გაიპარა. ამ მას ელოდებოდნენ სოლომონ ლეონიძე და მალხაზ ანდრონიკაშვილი. ს. ლეონიძე 1811 წლის აგვისტოში გარდაცვლილად იხსენიება (აქტები, IV. 384).

ს. ლეონიძის ნაწერები:

ს. ლეონიძის წერილი ერეკლე მეფეს 1797 წ. „მოამბე“, 1894. № 1.

ს. ლეონიძის წერილი ზურაბ წერეთელს 1806 წ. აკ. წერეთლის პუბლიკაცია და შენიშვნები. ვაზ. „შრომა“ 6. X. 1882. № 39.

„გლოვა ირაქლისი“ — S—50, S—1630 დ, H—608, H—2138. ზ. ჭიჭინაძის გამოც. 1877. ამ გამოცემაზე რეცენზია — „დროება“, 1877. 27. IV. № 46.

სიტყვა ს. ლეონიძისა — შესხმა ალექსანდრე I-სა. H—3011.

სამიძირის წიგნი ვკატერინე იმპერატრიცას სიკვდილის გამო (დაბეჭდა გ. ლეონიძემ „ბახტრიონში“, 1922. 17. XII. № 23).

**ლეტელიე ვიქტორ.** საფრანგეთის საკონსულოს მდივანი თბილისში. მდივნად მუშაობდა კონსულ გამბასთან (გამბა კონსულად იყო თბილისში 1820—1824 წლებში).

ლეტელიე თბილისშია 1829 წლიდან 1831 წლის ბოლომდე. 1832 წ. ის სამშობლოში გაემგზავრა.

იცოდა კარგად ქართული ენა. შეადგინა „ფრანგული გრამატიკა ქართულად ახსნილი“, რომელიც განკუთვნილი იყო ქართულ სკოლებში სახმარად. ლეტელიე ამ შრომის წინასიტყვაობაში (რომელიც დაიწერა თბილისში 1830 წლის 20 მარტს) აღნიშნავს, რომ მან იგი თავდაპირველად ფრანგულად შეადგინა, შემდეგ იგი მისმა თანამშრომელმა ახალგაზრდა ქართველმა გადააკეთა, ხოლო სხვა ქართველებმა შეამოწმეს რამდენად ნათლად იყო გადმოცემული აზრი. როგორც დამატება ამ გრამატიკისა გამოიცემა დაწყე-





ბითი სასწავლო წიგნი ფრანგულ ენაზე; სიტყვები რომლებიც ნახმათააჲმ წიგნში, შეტანილ იქნება ცალკე ლექსიკონში (А. Цагарели, Сведения... т. I, в. 3, СПб. 1894, 269).

1831 წლის ბოლოს ლეტელიე სთხოვდა როზენს მიეცა მისი ცოლისთვის პანსიონის უფროსის (содержательница) ადგილი. ეს ადგილი კი როზენს უკვე შეთავაზებული ჰქონდა „სტაცკაია სოვეტნიცა“ დანილვეიჩევასთვის, რადგან იგი უცხოელი კი არ იყო, არამედ კარგად განათლებული რუსი ქალი (ფ. OBD, საქმე 163, ფ. 135).

ვ. ლეტელიემ ჯერ კიდევ პეტერბურგში ცოლად შეირთო მადამ რავერეი, რომელიც ადრე ასწავლიდა ალექსანდრე ჭავჭავაძის ბავშვებს (ფ. 1457, XVI, 2922). რავერეი იყო აგრეთვე პასკევიჩის ბავშვების გუვერნანტკა (საქ. ც. ა. ფ. OBD, ს. 165).

ლეტელიეს ურთიერთობა ჰქონდა 1832 წლის შეთქმულების მონაწილეებთან.

გიორგი რევაზის ძე ერისთავმა იგი გაიცნო პეტერბურგში, ფარნაოზ ბატონიშვილთან; გიორგი ერისთავმა გააცნო დიმიტრი ორბელიანს. ალ. ჭავჭავაძემ იგი გაიცნო თბილისში 1829 წელს. ვახტანგ ორბელიანმა ლეტელიე გაიცნო გლუხარჩის საშუალებით, იგი მას ებაასებოდა ქართული ლიტერატურის, მის მიერ შედგენილ გრამატიკის, მოწამეთა დავით და კონსტანტინეს შესახებ და აგრეთვე ლეტელიეს იმერეთში მოგზაურობის თაობაზე (ფ. OBD, რვ. XIII, 1409).

თეიმურაზ ბატონიშვილი 1833 წ. 15 თებერვალს პეტერბურგიდან იწერება: „უფალი ლეტელიე მოგვიკითხე დიდის სიყვარულით თავისი მეუღლითურთ. დაბეჭდა თავისი ლექსიკონი თუ ჯერ არა. როგორ მშვიდობით არის“.

ლეტელიე საგამომძიებლო კომისიას არ დაუკითხავს, რადგან ის ამ დროს (—1832 წ. ბოლოს) უკვე წასული იყო პეტერბურგში. ამის თაობაზე როზენი ატყობინებდა ჩერნიშევს: „აქ მყოფი ფრანგების შეთქმულებაში მონაწილეობის შესახებ იმ შემთხვევაში შეიძლება ლაპარაკი, თუ კი აღმოჩნდებოდა რაიმე საეჭვო ფრანგ ლეტელიეზე, კონსულ გამბასთან რომ იმყოფებოდა; მაგრამ ჯერჯერობით მასზე ვიცით მხოლოდ კორნეტი გიორგი ერისთავისა და პრაპორშჩიკი დიმიტრი ორბელიანის განცხადებები იმის შესახებ, რომ ისინი რამდენჯერმე შეხვდნენ და ებასნენ ლეტელიეს პეტერბურგში“ (ფ. OBD, ს. 163, ფ. 135).

ლეტელიეს ჰკუთვნებია ამჟამად პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცული ქართული ხელნაწერები:

1. კრებული (№ 1), გადაწერილი 1725 წ.
2. ომანიანი (№ 13), გადაწერილი დავით რექტორის მიერ 1782 წ.
3. მირიანი (№ 14), გადაწერილი 1770 წ.

4. საბას ლექსიკონი (№ 17), გადაწერილი იოანე იაღუჭისძის მიერ 1812 წ.

5. ალზირა ანუ ამერიკელნი, ტრალედია (№ 16), გადაწერილი 1819 წლის ფილიგრანიან ქაღალდზე.

(ე. თაყაიშვილი, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და 20 საიდუმლო დამწერლობის წიგნი. პარიზი. 1933).

**ლიხოვსკი ივანე.** საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორის მდივანი. „ნადვორნი სოვეტნიკი“.

ასლო ურთიერთობა პქონდა სოლომონ დოდაშვილთან. იყო მიმრტმელი სოლომონის მეორე ვაჟის კონსტანტინესი (რომელიც დაიბადა 1832 წ. დეკემბერში).

1832 წ. 10 დეკემბერს ლიხოვსკი და ჩოლოყაშვილი ვახშმად არიან ს. დოდაშვილთან (ფონდი 489/138. საქმე 4420. ფურც. 9).

**ლორისმელიქოვი სტეფანე.** მას მეორე სახელად „ხელოქას“ ეძახდნენ. ხელოქა დავით ბატონიშვილის ვეზირია („კალმასობა“, გვ. 420).

1813 წლის სექტემბერში სტეფანე ლორის მელიქი ტაინოვი სთხოვს რტიშჩევს მისცენ მას ღირსიჭალაში საბაღე ადგილი „გოგილას ბაღი“, რომელიც ადრე ს. ლეონიძეს ეკუთვნოდა და ხაზინისაგან იყო წალებული (ფონდი 16, საქმე 9741. ფ. 2).

ეფრემ ალექსი-მესხიშვილი 1832 წლის შეთქმულების საგამომძიებლო კომისიას კითხვაზე: „რამდენჯერ ნახა ოქროპირ ბატონიშვილი“ პასუხობს: ოქროპირ მეფის ძესთან... ორჯერ მე მიველ, ერთხელ იოანე კარაევი და სტეფანე ლორისმელიქოვი იყვნენ (მასთან)... (გზლ. 299).

თვით სტ. ლორისმელიქოვმა საგამომძიებლო კომისიაში უარყო ევსეი ფალავანდოვის ჩვენება, რომ თითქოს მას ლორისმელიქოვისათვის ეჩვენებინოს გენერალ ბენკენდორფთან პეტერბურგში გასაგზავნი წერილი (გზლ. 429—430).

1841 წელს სტეფანე ლორისმელიქოვი იყო იმ დელეგაციის შემადგენლობაში, რომელიც გაგზავნეს ნიკოლოზ I-თან ამიერკავკასიაში სამოქალაქო მმართველობის შემოღებისათვის მადლობის სათქმელად. ამ დელეგაციას ხელმძღვანელობდა შტაბს-კაპიტანი დავით ივანეს ძე აფხაზი. ლორისმელიქოვის გარდა ამ დელეგაციაში შედიოდნენ მოქალაქენი: მიხეილ სარაჯევი და სოლომონ აბესალომოვი (აქტები, XI, 28).

სტეფანე ლორისმელიქოვი — ხელოქა ტაინოვი არის ლექსების ავტორი. მისი ლექსი იხ. H—101, 85; „თქმული ჭკვიანის ხელოქ სტეფან ლორის მელიქი ტაინოვის ძველად მეფისა... ლექსი არის თავის საყვარელთან მიწერილი“ (ალ. ჭავჭავაძე, ი. გრიშაშვილის გამოც., გვ. 285. სქოლიო).

6. მაქსიმე ბერძნიშვილი

მადათოვი ვალერიან გრიგოლის ძე (1782—1829). ნაპოლეონის ომების დროს იყო პოდპოლკოვნიკი. კავკასიაში ის ჩამოვიდა ერმოლოვის ერთად. ჰქონდა ამიერკავკასიის მუსლიმანური სახანოების მმართველის თანამდებობა. მოსპო ამ სახანოთა ავტონომია, დაიმორჩილა ტაბასარანი, ყარაჯაქაიკი, ყაზიყუმუხი. რუსეთ-სპარსეთის ომში თავი გამოიჩინა შამქორისა და ელიზავეტოპოლის ბრძოლებში.

კავკასია მან დასტოვა ერმოლოვთან ერთად.

რუსეთ-თურქეთის ომში 1829 წ. ის სარდლობდა ჰესართა დივიზიას დუნაიზე. გარდაიცვალა მძიმე და ხანმოკლე ავადმყოფობით 1829 წელს თურქების ციხესიმაგრის შემლის ალყის დროს.

თურქებმა თვითონ შესთავაზეს დაესაფლავებინათ მადათოვი შემლის ქრისტიანულ ეკლესიაში და გახსნეს ციხის კარები, რათა გაეტარებინათ ცხედარი თანმხლები ჯარის ნაწილით.

მამაცაშვილი იოსებ ჭაიხოსროს ძე (1809—1874). იოსებ ჭაიხოსროს ძე (რუსულ საბუთებში: ქრისტეფორეს ძე) მამაცაშვილი დაიბადა 1809 წელს; მამა ამისი იყო საეკლესიო აზნაური ჭაიხოსრო იოსების ძე მამაცაშვილი, დედა ელისაბედ ამაშუკელი იმერეთიდან. ქართლ-კახეთის სამეფოს არსებობის დროს მამაცაშვილების გვარის წარმომადგენლები ასრულებდნენ რუისის მიტროპოლიტის — პროველის სახლთუხუცესის თანამდებობას.

ი. მამაცაშვილი, მისივე სიტყვით (1832 წლის შეთქმულების საგამომძიებლო კომისიაში მიცემული ჩვენებით), სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში 1820 წლიდან 1827 წლამდე. სემინარია კი სრულკომპლექტიანი შეიქმნა მხოლოდ 1827 წლიდან, როცა აქ გაიხსნა უკანასკნელი, ე. ი. მაღალი განყოფილება ანუ საღვთისმეტყველო კლასი და ამის პირველი გამოშვება იყო მხოლოდ 1829 წელს, უნდა დავასკვნათ, რომ იოსებს სემინარიის სრული კურსი არ დაუშთავრებია.

1827 წლის ნოემბერში იოსები იწყებს სამსახურს კანცელარიის მონაგვად გორის საოლქო სასამართლოში, ხოლო 1829 წლის 25 თებერვალს გადმოჰყავთ თბილისში სამოქალაქო ნაწილის თარჯიმნის თანამდებობის აღმასრულებლად საქართველოს უზენაესი მთავრობის „სუდა ი რასპრავის“ ექსპედიციაში. 1832 წლის დეკემბერში სამოქალაქო გუბერნატორი ნიკოლოზ ფალავანდიშვილი დიმიტრი თამაზის ძე ორბელიანის რეკომენდაციით მას თავის კანცელარიაში ასევე თარჯიმნად უპირებდა გადაყვანას, მაგრამ 30 დეკემბერს იოსები დააპატიმრეს და პასუხისგებაში მისცეს 32 წლის შეთქმულებაში მონაწილეობისათვის. გამოძიების დამთავრების შემდეგ როზენის წარდგინებით 1833 წლის 1 ნოემბერს იოსებ მამაცაშვილი განწესებულ იქმნა სამოქალაქო სამსახურში ქალაქ ვიატკაში გაგზავნით.

თბილისიდან იოსები გაგზავნეს 1833 წლის 26 დეკემბერს და 1834 წლის 4 თებერვალს უკვე ქ. ვიატკაშია. აქ მან დაპყო 2 წელი და 1 1826 წლის მარტში იგი დააბრუნეს ამიერკავკასიის მხარეში სამსახურად. იოსების დაბრუნება სამშობლოში ოფიციალურად დასაბუთებული იყო შემდეგით: „შერყეული ჯანმრთელობისა და ამასთანავე სამშობლოში მოხუცი მშობლებისა და საკუთარი ოჯახის დატოვების გამო მას მიეცა უფლება იმსახუროს ამიერკავკასიის მხარეში, ოღონდ პოლიციის საიდუმლო მეთვალყურეობის ქვეშ“. იოსები 1836 წელს მსახურობს საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორის კანცელარიაში ზავიდის უფროსად (სტოლონაჩალიკად) და აქვს 300 მან. ჯამაგირი.

1836 წ. 3 ივნისს დიმიტრი ვახტანგის ძე ორბელიანი კალუგიდან ატყობინებს ორბელურგის მხარეში გადაკარგულ თავის ძმას ალექსანდრეს საქართველოდან. დედისაგან მიღებულ ამბავს: „ბატონიშვილის წიგნი მოგვივიდა, საცა იწერება... იმასაც, რომ მამაცოვი დაუთხოვიათ“ (ლიტერატურული მუზეუმი, ინვ. № 613). 1836 წ. 13 ივლისს პუპლია სწერს თავის ცოლს ეკატერინეს: „ანტონისას, მამუკასას და მამაცოვის მოსვლას იწერები და ავთანდილოვსაც მოვლიანო“ (იქვე, ინვ. № 623).

შემდეგში ი. მამაცაშვილი გორის მაზრის მოსამართლეა და X კლასის ჩინსაც იღებს 1841 წლიდან. გრიგოლ ორბელიანი ამის თაობაზე სწერს თავის ძმას ზაქარიას: „გიორგი ერისთავი გამოსძლომია საზოგადოობასა და ნეიდლარდისთვის მადლობა მოუხსენებია მამაცოვის სუდიად დანიშვისათვის“ (გრ. ორბელიანი, წერილები, ტ. I, გვ. 76. 1843. 14. VII).

მოსამართლის თანამდებობაზე ი. მ-ლს ნაყოფიერად უმუშავნია. პუპლია ორბელიანი იგონებს: „იოსებ მამაცაშვილი გორის უეზდის სუდიით რომ იყო, რამეთუნი პირნი მოარიგა ერთმანეთში წარმოებული საქმე, ვინ იცის რამდენი ხნისა! მგონი 400 საქმედისინ მოსპო მშვიდობის რჩევით, რომელსაცა ამისთვის მისცა... ნეიდგარდმა ჯილდოდ ანნას ჯვარი“ („ქართველების ძველი დრო“. — „ცისკარი“, 1861. XI. გვ. 227—228).

60-იანი წლების ცნობილ რეფორმათა შემდეგ ი. მამაცაშვილი არის წევრი საგლეხო საქმეთა საგუბერნიო საკრებულოსი შემამულეთა მხრით (კავკასიის კალენდარი, 1865, გვ. 131). ამავე დროს იგი არის სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სასამართლოს პალატის მრჩეველი, თავდაზნაურობის დეპუტატი გორის მაზრიდან, დეპუტატი საკრებულოში, 1869 წელს მას აქვს გენერლის ჩინი — დეისტეტიელნი სტატსკი სოვეტნიკია, „ცისკარი“ ბეჭდავს სამეურნეო გაზეთს „გუთნის დედა“.

გარდაიცვალა 1874 წ. 6 დეკემბერს („ცისკარი“, 1874. XI. გვ. 47). ცოლად ჰყავდა აზნაურ კონსტანტინე მეღვინეთხუცესიშვილის ქალი ნინო. ამათ ჰყავდათ 6 ვაჟი და 6 ქალი.

ვაყები:

1. ნიკოლოზი (ამისი მეუღლე იყო ანა ამირეჯიბი), 2. ზაქარია სამართლოს პრისტავი (ცოლად ჰყავდა სოფიო ქარუმიძე), 3. ქრისტეფორე, გენ.-მაიორი (ავტორი „ტიფლისკი ლისტოკ“-ის 1907 წ. 14 სექტემბრის ნომერში მოთავსებული წერილისა ილია ჭავჭავაძის შესახებ), 4. დიმიტრი (პოდპოლკოვნიკი, მოკლეს 1880 წ.), 5. კონსტანტინე, 6. გიორგი.

ქალები:

1. ანა (ისტორიკოს ღიმიტრი ბაქრაძის ცოლი), 2. მარიამი (გიორგი ჭაიხოსროს ძე ჯავახიშვილის ცოლი), 3. ელისაბედი (ალექსანდრე ივანეს ძე საგინაშვილის ცოლი), 4. ბარბარე, 5. დარეჯანი, 6. ელენე (დავით ღიმიტრის ძე ციციშვილის ცოლი).

იოსებ მამაცაშვილი ჩვენთვის ძვირფასია თავისი საზოგადოებრივი მოღვაწეობით. იაკობ გოგებაშვილს იგი მისი საქმიანობით წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წინამორბედად მიაჩნია. იაკობ გოგებაშვილი წერილში „როგორ დააარსდა წერა-კითხვის საზოგადოება“ შემდეგს იგონებს: 60-იანი წლების მეორე ნახევარში „იოსებ მამაცაშვილის წრეში შედიოდნენ: მისი სიძე ღიმიტრი ბაქრაძე, ღიმიტრი მუსხელიშვილი, კონსტანტინე მამაცაშვილი, დოქტორი გეგე მალალაშვილი, ვახტანგ თულაშვილი, ანტონ ფურცელაძე, ცნობილი პედაგოგი სიმონოვიჩი ნიჰიერი და განათლებული მეუღლით, რომელმაც დააარსა ჟურნალი „Детский сад“ და რომლის დაახლოებით გაცნობამ დამიბადა აზრი შემდგინა და გამომეცა „კონა“, იოსების ქალები: დარიკო, ბაბაღე და ელო, მერე შეგვემატნენ ნიკოლოზ ცხვედაძე, გიორგი იოსელიანი და ანა ბესარიონის ასული მუსხელიშვილისა, ღვიძლი და ნიკოლოზ ლოლობერიძისა. ამ წრემ სოფ. ხოვლეში გახსნა იოსების ასულის მარიამის სახელობაზე (ეს იყო გიორგი ჭაიხოსროს ძე ჯავახიშვილის მეუღლე) სკოლა 4-წლიანი კურსით, სადაც 3 წელი ქართულად ისწავლებოდა, მეოთხე წელს კი რუსულად. ამ წრეში იკრიბებოდნენ პროგრესული რუსები და ზოგი გაქართველებული სომხებიცა, აქ დარბაისლური საუბარი ხშირად გადაიქცეოდა ხოლმე კამათად სხვადასხვა საკითხების შესახებ, იკითხებოდა რეფერატები, სტატიები და წიგნები და იმართებოდა დებატები“ (ჟურნალი „განათლება“, 1911, № 2, გვ. 57—62).

იოსებ მამაცაშვილი იყო 1832 წ. შეთქმულების მონაწილე. იგი დაპატიმრეს 1832-წლის 30 დეკემბერს, პირველ ჩვენებას აძლევს 1833 წლის 4 იანვარს. იოსების ჩვენება სრულიად ემთხვევა ყიფიანისა და ავთანდილოვის ჩვენებას აზნაურთა პოზიციის შესახებ თავადების მიმართ. იგი უჩვენებს, ყიფიანს შეხვედრისას მე ვუთხარიო: — „ჩვენ, აზნაურები, მოვალენი ვართ ყოველნაირად მხარი დავუჭიროთ მთავრობას, სამუდამოდ უნდა გავანებოთ თავი თავადების სულელურ შეკრებებს“ (ფონდი.



OBD, რვ. III, 407). „მე როგორც აზნაურს, არავითარი საფუძველთაგან მაქვს უკმაყოფილო ვიყო მთავრობისა, რადგან დღეს ჩვენ მთავრობისაგან მონიჭებული გვაქვს თითქმის ისეთივე უფლებანი, რაც აქაურ თავადებს; საქართველოს მთავრობის დროს მე უეჭველად ვიქნებოდი რომელიმე ძლიერი თავადის მონა, ...დღეს კი დიდებული იმპერატორის საფარველს ქვეშ ჩვენი სამშობლო აყვავებულა“ (რვ. III, 408).

მამაცაშვილი, როგორც აზნაური, თავისთავს უპირისპირებს თავადებს, აზრს, რომ მისი სამშობლო აყვავებულა, ი. მამაცაშვილი იმეორებს თავის „თხზულებაში სამშობლოს სიყვარულის შესახებ“ (საქართველოს ცნია, ფონდი 1457, რვ. XIII, 2337).

სამშობლოზე ფიქრმა მიიყვანა ის შეთქმულებაში მონაწილეობამდე. მართალია, მისი მონაწილეობა ყაზარმობაში არ ყოფილა აქტიური, მაინც შეთქმულთა კრებებს ესწრებოდა, ხვდებოდა შეთქმულებს ცალ-ცალკე, ეკითხებოდა მათ საქმის მიმდინარეობაზე.

ი. მამაცაშვილი ყაზარმელთა იდეას გააცნო გიორგი დავითის ძე ერისთავმა (გლუხარიჩმა) 1831 წელს. გ. ერისთავმა უთხრა მას, შეთქმულთა რამდენიმე პარტია არსებობს: ზოგს მეფედ უნდა ალექსანდრე ბატონიშვილი, ზოგს კი, მაგალითად მუხრანსკებს, თვითონ უნდათ მეფობაო (რვ. III, 409). ელიზბარ ერისთავმა კი გაანდო მას, მეფედ იქნება ალექსანდრე ბატონიშვილი, მინისტრად კი დიმიტრი იულონის ძეო (VI, 992). ი. მამაცაშვილს არ გამოუთქვამს თავისი შეხედულება არც ერთ ამ საკითხზე.

ი. მამაცაშვილი არის ავტორი რამდენიმე ლიტერატურული ნაწარმოებისა:

- 1) „გვაროვნობა და ტალანტი“ (თარგმნილი ამბავი მხატვარ გოლბეინზე — „ცისკარი“, 1860, № 3, გვ. 203).
- 2) „უძღვნი მე სნელსა, ცხოვრებით სოგრატს, სწავლით პლატონსა“ (ლექსი, მიძღვნილი იოანე ერისთავისადმი) — „ცისკარი“, 1861, № 1, გვ. 139.
- 3) „მოვლისათვის ახალ მოზარდის საქონლისა დროიდან დაბადებისა სრულს აღზრდამდის“ (თარგმანი), „ცისკარი“, 1860, № 7, № 8.
- 4) „ციციანოვის გამარჯვების შესახებ ომში. მასალა საქართველოს ისტორიისათვის“. — „ცისკარი“, 1863, № 8.

მამაცაშვილი კონსტანტინე ქაიხოსროს ძე (1815—1900). კონსტანტინე ქაიხოსროს (იგივე ქრისტეფორეს) ძე მამაცაშვილი დაიბადა 1815 წელს სოფ. რუისში. მის მამას ქაიხოსროს და დედას — ელისაბედ ამაშუკელს ჰყავდათ 12 შვილი, რომელთაგან ხუთი დარჩა ცოცხალი: იოსები, ელენე, კონსტანტინე, ეკატერინე და ილია.



კონსტანტინე მამაცაშვილმა პირველდაწყებითი სწავლა გორის სასწავლებელში მიიღო. აქედან ის გადაიყვანეს თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში, სადაც მეტად დაუახლოვდა შემდეგში სახელოვან პოეტს ნიკოლოზ ბარათაშვილს. პოეტის გარდაცვალების შემდეგაც არ იფიქრებთ თავის სიყრმის მეგობარს: განჯაში სამსახურის საქმეებზე მყოფი იგი ეძებს და პოულობს თავისი მეგობრის საფლავს, იღებს ზომებს მის დასაცავად და, როცა 1893 წელს ნ. ბარათაშვილის ნეშტი ქართველობამ გადმოსვენა თბილისში, კ. მამაცაშვილმა დასტამბა თავისი მოგონება პოეტზე და მისი მშობლების შესახებ.

კეთილშობილთა სასწავლებლის დამთავრების შემდეგ კ. მამაცაშვილს გზავნიან პეტერბურგის პავლეს კადეტთა კორპუსში, რომელსაც 1837 წელს ამთავრებს და ოფიცრად გზავნიან კავკასიაში. 1840 წლიდან 1877 წლამდე იგი იარაღით ხელში იღწვის კავკასიის დაპყრობისათვის. 1840 წელს ის გაგზავნეს სამთო ბატარეასთან ერთად ჩეჩნის ჯარში. ამ ხანებშივე გაიცნო და დაუახლოვდა მ. ი. ლერმონტოვს (აღსანიშნავია, რომ ის ბრძოლა ვალერიის ნაბიჯებზე, რომელშიაც კ. მამაცაშვილმა პირველად მიიღო მონაწილეობა, მშვენივრად აქვს აღწერილი ლერმონტოვს თავის პოემა „Валерик“-ში).

კ. მამაცაშვილის სამხედრო მოღვაწეობის აღწერსხვა საკმაოდ ვრცელია. მან იმდენად ისახელა თავი კავკასიის ბრძოლებში, რომ ხშირად ორ ჯილდოს ერთად იღებდა. განსაკუთრებით თავი ისახელა 1854 წ. 4/XII-ს ჩოლოქთან ბრძოლაში. ამ ბრძოლაში იგი გურიის ჯარის არტილერიას უფროსობდა. 1877 წელს, როცა ის განჯის გუბერნიის მმართველად და ჯარის უფროსად იყო ნიკო ჭავჭავაძის მაგიერ, ნუხის ასაღებად შემოჭრილი დაღესტნელები მცირე ჯარით დაამარცხა.

1860 წელს კ. მამაცაშვილი გენერალია, 1870 წელს — გენერალ-ლეიტენანტი.

1884 წ. იგი სამხედრო სამსახურზე ხელს იღებს, ბინავდება თბილისში და მთლიანად საზოგადოებრივ მოღვაწეობაში ებმება. იგი ტფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანია, კავკასიის სატექნიკო საზოგადოების წევრი, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი, ტფილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის ზედამხედველი კომიტეტის თავმჯდომარე, წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის წევრი, თბილისის სათავადაზნაურო სასწავლებლის (შემდეგში გიმნაზიად გადაკეთებულის) დამაარსებელი (გიორგი რომანის ძე ერისთავთან ერთად), თბილისის გუბერნიის თავადაზნაუროთა საზოგადოების შეუქმლებელ მოსწავლეთა შემწე კომიტეტის თავმჯდომარე.

კ. მამაცაშვილის ღვაწლი განათლების საქმეში ფართოდაა აღნიშნული „ივერის“ 1900 წლის № 193-სა და „კვალის“ 1900 წლის № 37-ში.

კ. მამაცაშვილი დიდად გაისარჯა ჩვენში კლასიკური განათლების განვითარებისათვის, რამდენადაც სწორედ ასეთ განათლებას იძლეოდა თბილისის სათავადაზნაურო სასწავლებელი, რომლის დაარსებაში მას მცირედი ღვაწლი არ მიუძღვის. მაგრამ იყო დრო, როცა იგი საწინააღმდეგო მიმართულებით მოღვაწეობდა: აღგენდა პროექტებს აღმ. საქართველოში სოფლად სახელოსნო სკოლების დაარსების შესახებ (60-იანი წლების დასაწყისში).

1861 წლის 19 თებერვლის აქტის გამოცხადების შემდეგ მეფისნაცვალმა ბარიატინსკიმ თბილისში დაიბარა თავად-აზნაურთა წინამძღოლები და რამდენიმე წარჩინებული თავადაზნაური 1861 წლის 25 მარტს და გამოუცხადა — საქროა შევედგეთ იმპერიაში გამოქვეყნებული დებულების თბილისის გუბერნიაში გამოყენებას. მოაწყეს სათავადაზნაურო კომიტეტები და იწყეს ბატონყმობის გადაგდების შესახებ აზრების შეგროვება. კ. მამაცაშვილი ბატონყმობის საკითხში მოწინავე აზროვნების აღამიანი იყო. იგი ნომზრეა გლეხების აღგილ-მამულიანად განთავისუფლებისა, რადგან უადგილმამულო გლეხი სახელმწიფოს საფრთხეს შეუქმნისო. მისი დასკვნაა: „კომისიამ ან უსასყიდლოდ მიუჭრას გლეხებს მიწები ან შემსუბუქებით, რაოდენიც შეიძლებოდეს, ხარჯისა“.

1862 წლის „კავკაზ“-ის № 9-ში წერილის სახით დაიბეჭდა კ. მამაცაშვილის პროექტი სწავლა-განათლებისა. მანამდე ეს პროექტი მან წარუდგინა მეფისნაცვლის თანამდებობის აღმასრულებელს გრიგოლ ორბელიანს. ამ პროექტში იგი საზავდა სასოფლო-სახელოსნო სკოლების კონსტრუქციას. ეს სკოლები უნდა გახსნილიყო აღმ. საქართველოს ყოველ მაზრაში მთავრობისაგან გაღებული თანხების ხელშეწყობით. ქართველი თავადაზნაურული საზოგადოება ამ პროექტს სრული გულგრილობით შეხვდა და არც მთავრობამ აიტყია თავი, ამიტომ მას განხორციელება არ ეწერა. თვით პროექტის ავტორმაც ისე საფუძვლიანად აიყარა გული პროფესიონალური ან ტექნიკური განათლების იდეაზედაც კი, რომ 15 — 17 წლის შემდეგ იგი, ოდესღაც ტექნიკური ცოდნის მოტრფიალე, ახლა გამწარებით იბრძვის კლასიკური განათლების სასარგებლოდ. 1893 წელს ის თეორიულად ასაბუთებს კლასიკური განათლების უპირატესობას ტექნიკურთან შედარებით („კიდევ სათავად-აზნაურო სკოლის გამო“, „კვალი“, 1893, № 9).

კ. მამაცაშვილი გარდაიცვალა 1900 წელს, 3 სექტემბერს. ნეკროლოგი მის შესახებ გამოქვეყნდა „კვალში“ (1900, № 37).

კ. მამაცაშვილის მოგონებანი — საქ. ცსია, ფონდი 1106 (ს. ესაძის არქივი); აგრეთვე ლენინგრადის ლიტერატურის ინსტიტუტში (ყოფ. Пушкинский дом) «Русская старина»-ს გამოუქვეყნებელ ფონდში.





მამუჩევი ივანე. მღვდელი. ახლდა ანტონ კათალიკოსს. ანტონ კათალიკოსის ნებართვით გაემგზავრა ფარნაოზ ბატონიშვილთან (მოახსენებს რტიშჩევი სინოდის ობერპროკურორის გოლიცინს 1815 წ. 21 იანვარს, ფონდი 2, ს. 368, ფ. 24).

ივანე მამუჩევემა შეცვალა მღვდელი ონოფრე იშხნელი, რომელიც მანამდე ახლდა ფარნაოზ ბატონიშვილს (1806 წელს ვადასწერა „ვეფხისტყაოსანი“ H—2323) და შემდეგ სიონის კანდელაკი იყო (S—83).

მარიამ ბატონიშვილი (1758—1828). ერეკლე II-ს და დარეჯან დედოფლის ქალი. ცოლად ჰყავდა ქალაქის მოურავ დავით ციციშვილს (დავით ციციშვილი გარდაიცვალა 1792 წ.). ამათ ჰყავდათ შვილები:

1. ალექსანდრე (1801 წ. ცოცხალი აღარაა).
2. ევსტათი (დაიბადა 1773 წ. ცოლად ჰყავდა თალია//თალალა. ამისი შვილია დავით ციციშვილი, მეუღლე ქეთევან აბაშიძისა. დავითს ჰყავდა შვილები: ესტატე, იოანე, მარიამ). ესტატე შემდეგში ანტონ II-ის მოურავია.
3. ნიკოლოზ (დაიბადა 1779 წ. ცოლად ჰყავდა მოლარეთუხუცესის შიოშ ტუსიშვილის ქალი ეკატერინე. ამათ ეყოლათ შვილები: ალექსანდრე, გრიგოლ, ირაკლი, გიორგი)
4. იოანე (დაიბადა 1784 წ. 1835 წ. უკვე გარდაცვლილია. ცოლად ჰყავდა ელისაბედ ფავლენიშვილი. მათი შვილია ციციშვილი ლევან, რომელსაც ცოლად ჰყავდა ხიდირბეგაშვილის ქალი).
5. დიმიტრი (დაიბადა 1790 წ. ცოლად ჰყავდა ავალიშვილის ქალი. უშილონი იყვნენ)
6. ანასტასია (დაიბადა 1782 წ.).
7. ნატალია (დაიბადა 1786 წ.).

1818 წელს მარიამ ბატონიშვილმა აღძრა საქმე მისთვის პენსიის მომატების შესახებ. ყველა მისი და წელიწადში 1200 მან-ს იღებდა და დებში მხოლოდ მას ჰქონდა დანიშნული ჯერ 600 და შემდეგ 900 მანეთი წელიწადში. ახლა მარიამი ითხოვს მასაც წელიწადში 1200 მან. მისცენ. ერმოლოვმა დააკმაყოფილა მარიამის თხოვნა (საქართველოს ც. ა, ფ. 2/მ, საქმე 571).

მარიამ ბატონიშვილის თხოვნა ალექსანდრე I-სადმი ჩაწერილია ხელნაწერ S—1167-ში.

მარიამი გარდაიცვალა ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 1828 წლის 3 ნოემბერს გორის მაზრაში (საქართველოს ც. ა, ფონდი 16, საქმე 9834, ფ. 3). იგი დასაფლავებულია თბილისის სიონში.

მარიამ ირაკლის ასული იყო პოეტი. რამდენიმე მისი ლექსი დაბეჭდილია. მისი „იამბიკო“ დაიბეჭდა „მწყემსში“, 1885 წ. № 22—23-ში. მისივე ლექსი ალექსანდრე ბატონიშვილის დანიშნულ ნინოზე (რომელიც ქორწინებამდე გარდაიცვალა) „ყაბარდოს იყო იგი მზე“ დაიბეჭდა „თეატრში“, 1886, № 31. მარიამის ლექსები დაბეჭდა ლევან ასათიანმა (ძველი საქართველოს პოეტი ქალები, ლიტერატურული მემკვიდრეობა, თბ. 1935, გვ. 448); ლექსების ერთი ნაწილი დაიბეჭდა გაზეთ „ბახტრი-



ონში“ 1922 წ. № 13 და აგრეთვე ია ეკალაძის „ანთოლოგიაში“ 1928 წელს.

მარიამ ბატონიშვილის ლექსები დაცული იყო მაია თუმანიშვილთან, თამაზ ორბელიანის ასულთან (E. Такайшвили, Описание рукописей. II, 437). ხელნაწერ S — 1512-ის 321-322 გვერდებზე მოთავსებულია „მეფის ირაკლის ასულის მარიამ ბატონიშვილისაგან თქმული თურქთა კმასა ზედა სათქმელი მუხამბაზი“, „ში დამწარდეს დროთა ტკბილობა“.

ამავე ხელნაწერშია შესული მეორე ლექსი მარიამისა „მოგვსთქუამ სულთქმითა“. ორივე ეს ლექსი წარმოადგენს წარსულზე გოდებას და აწმყოთი უკმაყოფილების გამოხატულებას.

ასეთივე სულისკვეთებისაა მისი ლექსი „მიგლოვდეთ მეცა, მოყვასნო, სოფლისა განაწირებსა“ (H—2881).

**მარიამ დედოფალი (1768—1850).** საქართველოს უკანასკნელი დედოფალი. გიორგი XIII-ის მეორე მეუღლე. გიორგი ციციშვილის ქალი. გიორგი ბატონიშვილმა იქორწინა მასზე 1782 წელს. გიორგისა და მარიამის ვაჟები:

1. მიხეილ (1735—1861), 2. ჯიბრაილ — იგივე გაბრიელ (1788—1812), 3. ილია (1790—1854), 4. სვიმონ (გარდაიცვალა ბავშვობაში), 5. ოქროპირი (1795—1857), 6. ირაკლი (1799—1859).

გიორგისა და მარიამის ქალები:

1. თამარ (1789—1851), 2. ანა (გარდაიცვალა 7 წლისა), 3 ანა (მეორე. 1800—1821).

დაქვრივების შემდეგ მარიამ დედოფალს შეგნებული აქვს ქვრივი დედოფლის უმწეო მდგომარეობა და როცა გაირკვა, რომ საქართველოს სამეფო კარი რუსეთს უნდა გადასახლდეს, მარიამი 1802 წლის 10 მარტს უგზავნის თხოვნას შინაგან საქმეთა მინისტრს გრაფ ვ. პ. კოჩუბეის. იგი ითხოვს არ გადასახლონ დედოფალი და მისი შვილები, ხოლო თუ აუცილებელია მათი გადასახლება, მაშინ ადროვონ სამი წელი მაინც, „რათა სნეულება და ძუძუს მწოვნელობა შვილთა ჩემთა დაადგეს ერთსა მტკიცესა ჰაზრსა ანუ სიკვდილსა და ანუ სიცოცხლესა ზედა და მაშინ იყავნ ნებისამებრ თქუენისა“ (Канцелярия МВД по управлению Грузиею, оп. 471А, 1803г. дело № 26, лист 186).

იოსებ კალატოზიშვილმა აცნობა ციციანოვს მარიამ დედოფალი შვილებიანად ხევსურეთში აპირებს გაპარვას (პლ. იოსელიანი, ცხ. გიორგი XIII-სა, გვ. 321, პუბლია, S—1656/ბ. ფ. 23) ავლაბრის კართით.

ციციანოვმა დაავალა ლაზარეს დაეჩქარებინა დედოფლის რუსეთს გადასახლება. როცა ლაზარევი 1803 წ. 19 აპრილს დილით მივიდა დედო-



ფალთან მის რუსეთში სასწრაფოდ წასაყვანად, იგი დედოფლის მიდან ცოცხალი აღარ გამოსულა. არსებობს ლაზარევის მოკვლის ორი ვერსია — ერთი ოფიციალური, მეორე — თვით მარიამისაგან მოთხრობილი.

ოფიციალური ვერსიით, ლაზარევი 19 აპრილს, დილის 6 საათზე, რამდენიმე ოფიცრის თანხლებით შევიდა დედოფალთან და აუწყა მას რუსეთში გადასახლების ბრძანება, რაზედაც მარიამმა უარი მოახსენა. გამგზავრებაზე მის დასაყაბულებლად ლაზარევმა მასთან დასტოვა კვარტირმეისტერი სუროკოვი, რომელმაც ქართული იცოდა. როგორც კი სუროკოვი დედოფალს მიუახლოვდა, ბატონიშვილებმა—ჯიბრაილმა და თამარმა იძრეს ტანისამოსში დამალული ხანჯლები და ეცნენ სუროკოვსა და ოთახში მყოფ სხვა პირთ. ხმაურზე ლაზარევი ოთახში შემოვიდა და მივიდა დედოფალთან, რომელიც ტახტზე, ლოგინზე იჯდა. იგი თითქოს სთხოვდა დედოფალს როგორმე დაეწყნარებინა თავისი შვილები. ამ დროს მარიამმა მუთაქის ქვეშიდან ამოაძრო ხანჯალი და ჩასცა ლაზარევს გვერდში ისე მივარდა, რომ ლაზარევმა მხოლოდ რამდენიმე ნაბიჯის გადადგმა მოასწრო და კარს წინ დაეცა მკვდარი.

მარიამ დედოფლის ვერსიით, ლაზარევი 19 აპრილს დილას მოვიდა დედოფალთან ყაზახებით და ოფიცრებით. ოთხი ოფიცრის თანხლებით იგი დედოფალთან მივიდა და მოახსენა ციციანოვის განკარგულება მარიამის და მისი შვილების რუსეთში სასწრაფოდ გამგზავრების შესახებ. დედოფალმა ითხოვა დრო, ერთი საათი მაინც დამაცალეთ, ყმაწვილებმა გაიღვიძონ და გამოვალთო. ამაზე ლაზარევი გაგულისდა და უბრძანა ყაზახებს ლოგინიდან გადმოეყვანათ დედოფალი და ბატონიშვილი თამარი. ყაზახები და ოფიცრები მისცივიდნენ ამ ორ ქალს, მარიამს სტაცეს ხელი და ლოგინიდან ნახევრად ჩამოათრიეს. მაშინ ჯიბრაილმა ხანჯალი ამოიღო და იყვირა — სანამ ცოცხალი ვარ, დედაჩემს არ გათრევინებთო. თამარსაც თახჩაში ხანჯალი ეპოვა და ისიც იმუჭრებოდა. ამ დროს ლაზარევი ხმალამოღებული შემოვარდა ოთახში. მარიამმა თახჩიდან ხანჯალი ჩამოიღო. ლაზარევმა მას ხელუკუღმა ხმალი მოუქნია და დედოფალი მხარში დასჭრა. დედოფალს მეორე პრილობა კაქკაპოვმა მიაყენა. მესამე პრილობა კი — მარცხენა ხელის ზურგზე მარიამს აღარ ახსოვდა, ვისი ნამოქმედარი იყო. მარიამი გულწასული დარჩა ტახტიდან ნახევრად ჩამოთრეული. იგი მოასულეირა ქალაქის ნაცვალმა (სურგუნოვმა), ხოლო დიმიტრი ორბელიანმა საბანზე დაადებინა და გარეთ გაიყვანეს, საბანში შეხვეული ყუთში ჩადეს და მუშებმა წაიღეს. როცა ვერაზე მივიდნენ, იქ დასდევს, აქ მათ წამოეწიათ თათულა ექიმი, რომელმაც დედოფალს პრილობები შეუხვია და თანაც ამცნო ლაზარევის სიკვდილი. (Канцелярия МВД по управл. Грузиею, оп. 471 А. дело №26, л.

164—167). (დედოფალ მარიამის თხოვნა სინოდისადმი 1803 წ. 16 თვეში სისა).

ლაზარევის ნამდვილ მკვლელად თანამედროვენი აღიარებდნენ ნიკოლოზ ხიმშიაშვილს. სამეგრელოს დედოფალი ნინო (გიორგი XIII-ის ასული) სწერდა 1817 წელს ერმოლოვს, რომ ხიმშიაშვილ ნიკოლოზს სიკვდილის წინ მისთვის ეთქვა — ლაზარევი მე მოვკალიო. არქივისკომოსი პაფნუტი 1818 წელს წერდა, ლაზარევი ნიკოლოზ ხიმშიაშვილმა მოკლაო. პუპლია ორბელიანის სიტყვითაც, „დედოფალმა მარიამმა როგორ დიდსულოვნად იცისრა იმისი (ლაზარევის) სიკვდილი“ (S—1656 ბ. 23). ხიმშიაშვილმა სიკვდილის წინ აღიარა ლაზარევი მე მოვკალო (აქტები, XII, 99).

ლაზარევის სიკვდილს არავითარი გამოხმაურება არ მოჰყოლია. პეტერბურგში მაშინ ყველა გართული იყო ქალაქის დაარსების 100 წლის იუბილეთი, ხოლო მოსკოვში ერთობოდნენ აეროსტატით, რომელსაც ერთი იტალიელი უშვებდა იქ — სწერს როსტოპჩინი ციციანოვს 1803 წლის 3 ივნისს («XIX век», кн. 2-ая, п. р. II. Бартенева, с. 14).

მარიამ დედოფალი შეიღებიახად რუსეთს გადაასახლეს. იგი იმყოფებოდა კურსკის გუბერნიის ბელგოროდის დედათა მონასტერში როგორც პატიმარი.

მარიამი და მისი შვილი მიხეილი რამდენიმეჯერ წერენ თხოვნას, რათა მარიამს თავისუფალი ცხოვრების ნება მისცენ. 1811 წელს მარიამსა და მის შვილს ანასტასიას მოსკოვში გადმოსახლების ნება მისცეს. 1812 წელს მოსკოვის ხანძრის დროს მარიამი ნიჟნინოვგოროდშია. შემდეგ კვლავ მოსკოვშია.

მოსკოვში დედოფალ მარიამს ენიშნება პენსია გაცილებით უფრო მცირე, ვიდრე სამეფო ოჯახის სხვა წევრებს. ამიტომ ის ხშირად დიდ გაჭირვებაში ვარდება. ბოლო წლებში მას გაუზარდეს პენსია.

1848 წ. მარიამი ითხოვს საქართველოში დაბრუნების ნებას, რათა აქ გაატაროს სიცოცხლის უკანასკნელი დღეები და დაიმარხოს მეუღლის გვერდით. 1849 წლის აგვისტოში იმპერატორმა მარიამს საქართველოში დაბრუნების ნება მისცა (აქტები, X, № 85). მაგრამ მარიამი ველარ ელირსა სამშობლოში დაბრუნებას. იგი გარდაიცვალა მოსკოვში 1850 წლის 30 მარტს.

მარიამის ცხედარი ჩამოასვენეს საქართველოში და 1850 წლის 17 ივნისს მცხეთას დამარხეს („კავკაზ“, 1850, № 48).

მარიამ-ვარდაგ, მოლარე. დედოფალ დარეჯანის ამალის წევრი მარიამ ივანეს ასული (აქტები, II, № 180).

მოლარე ვარდაგი-მარიამ იხსენიება მრავალ ქართულ საბუთში.



ერეკლე II-ს დარჩენილი ნივთები მიიბარეს ვარდაგს (მასალა დეილიძის კონ. ისტ. III, გვ. 283).

დედოფლის მოლარენი მარიამ-ვარდაგ და თამარი თან ახლავან დარეჯანს რუსეთში. 1803 წ. 4 ნოემბერს ისინი წერილს სწერენ სტეფანე ყორღანაშვილს მოზდოკიდან და ატყობინებენ დედოფლის მგზავრობის ამბებს (საქართველოს სიძვ. III, № 413). 1806 მაისს წერილს უგზავნიან ალალო ყორღანაშვილს პეტერბურგიდან და სთხოვენ დედოფლისათვის ინა და ბასმა გამოგზავნონ (იქვე, № 414).

1812 წ. 12 მაისს იგივე მარიამი და თამარი წერილს სწერენ სტეფანე ყორღანაშვილს და ატყობინებენ „იმერეთის დედოფალ ანასთანა ვართ, თავის სახლში დაგვაყენა, შეშა და სახლი უსაყვედურო გვაქვს და პატივსაც გვცემს“ (იქვე, № 415).

1831 წ. 21 აპრილს ტარასი ალექსი-მესხიშვილი სწერს იონა ხელაშვილს „მოკითხუა არქუ, მამაო, პატივისცემით და კურთხევის მიძღვანებითა... ღვთის მოყუარს მოხუცას მარიამს, ზედწოდებით მოლარას. აქამომდე ეცოდინება თავის თამარაჲს ხოლერით გარდაცვალება. უკეთუ უწყის, ჩემ წილ.. ნუგეშითი სიტყვა ეც“ (S—388, გვ. 14—15).

როდესაც კალუგაში გადასახლებულ თეკლე ბატონიშვილს ნება მიეცა საქართველოში დაბრუნებისა, „მარია ივანუჲნა ბატონის დედოფლის მოლარე, ცრემლით იღვრებოდა თქვენთვის“ — სწერს ანასტასია ბატონიშვილი დას, თეკლეს 1835 წ. 5 მარტს (Sd—2195—S—1600).

თბილისის მეტეხის ეკლესიაში მ. ბროსეს უნახავს ხატი წარწერით: „ჩვენ მკვებალთა ღვთისათა მოლარემ მარიამ და თამარმან შევამკეთ ხატი ესე მეოხად სულთა ჩვენთა წ. 1827“ (Brosset, Voyage, II, Rapports, II, 44).

**მარიამ სოლომონ II-ის მეუღლე (17.. —1841).** სოლომონ II-ის მეუღლე მარიამ იყო კაცია II დადიანის ასული, გრიგოლ დადიანის (დავით დადიანის პაპის) და.

მარიამი სოლომონს მისთხოვდა 1791 წელს.

1811 წელს გადასახლდა რუსეთს. ჯერ ცხოვრობდა ვორონეჟში, შემდეგ, როცა მისი მეუღლე სოლომონ II თურქეთში გარდაიცვალა, მას ნება მისცეს მოსკოვში გადასახლებისა. 1817 წლიდან მოსკოვშია, ხოლო 1818 წელს პეტერბურგში, სადაც გარდაიცვალა 1841 წლის 18 მარტს (აქტები, ტ. V, გვ. III, VI; ტ. VIII, 813; ტ. XII, 97).

1812 წელს, როცა მარიამი ვორონეჟში ცხოვრობდა, მარიამმა და მასთან მყოფმა მია ანდრონიკაშვილმა (მარიამის მული — სოლომონ II-ის და, მალხაზ ანდრონიკაშვილის მეუღლე) თხოვნით მიმართეს ვორონეჟის სამოქალაქო გუბერნატორს, რათა ხაზინიდან მისცემოდათ მათ დაგვიანებული ჯამაგირი. როგორც საქმიდან ირკვევა, იმპერატორ ალექ-

სანდრე I-ს დაუნიშნავს მარიამ იმერეთის დედოფლისათვის 6000 მან. წყნარ  
ლიწადში. 1812 წელს ორი თვის მანძილზე მარიამისა და მაიასათვის  
მიეცათ თანხა. ახლა გუბერნატორის შტერნის განკარგულებით მარიამს  
მიეცა ეს დავალიანება 1500 მანეთის ოდენობით (Отчет ...Воронежской  
Ученой Архивной Комиссии. Составил Ст. Зверев, Воронеж, 1915 г.  
с. 9—10).

მაქსიმე — კათალიკოსი იმერეთისა (აბაშიძე) (1725—1795). მაქსიმე  
1768 წელს იმერეთის მეფემ სოლომონ I-მა გაგზავნა ელჩად რუსეთში  
ოსმალთა წინააღმდეგ დახმარების სათხოვნელად. კათალიკოსის ეს მისია  
რუსეთის მთავრობამ საბაბად გამოიყენა, რათა სოლომონი, და მისი დახ-  
მარებით ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II, ჩაება ოსმალეთის წინააღმდეგ  
რუსეთთან ერთად ომში. 1784 წ. მაქსიმე ხელმეორედ იყო ელჩად გაგზავ-  
ნილი; მასთან ერთად იყვნენ მდივანბეგი დავით კვინიხიძე და სახლთუხუ-  
ცესი ზურაბ წერეთელი. ამ ელჩობის მიზანი იყო ეცნობებინათ რუსეთის  
მთავრობისათვის იმერეთის ტახტზე სოლომონ I-ის ნაცვლად დავით გი-  
ორგის ძის ასვლა. ამის შემდეგ მაქსიმე სამშობლოში აღარ დაბრუნე-  
ბულა, რუსეთშივე დარჩა; ცხოვრობდა მოსკოვსა და ასტრახანს, ხოლო  
გარდაიცვალა კიევში 1795 წ. 30 მაისს.

მალალაშვილი დიმიტრი გაბრიელის ძე (?—1849). თავადი, „გუბერ-  
ნსკი სეკრეტრის“ ჩინით. 1830 წელს ცოლად ირთავს ივანე ჩოლოყაშვი-  
ლის ქალს ევგენიას (ცენტრარქივის ხელნაწერი № 531)<sup>13</sup>.

1831 წ. 10 იანვარს „სოფელ მატანს, თელავის უეზლში“ თარგმნა  
დერეჟეინის ოდა „Бор“ (H—285). მატანი — მალალაშვილის ცოლეულია,  
ჩოლაყანთ აქ ჰქონდათ მამული.

1832 წ. 12 მარტს თარგმნა „ვესტნიკ ევროპი“-დან სიტყვა, თქმული  
მოსკოვის ტაძარში ნიკოლოზის ტახტზე ასვლის გამო (H—285, აღწ. I,  
გვ. 207, 55).

1838 წ. 1 თებერვალს გადაწერა ზაქარია გაბაონის „თხოვად ღთისა  
მიმართ“, რომელიც მიუძღვნა თავის დედას კნეინა თეოქთისტეს (H—  
1364).

„ციცქრის“ 1859 წ. № 1-ში გვ. 62—64-ზე დაბეჭდილია დიმიტრი  
მალალაშვილის „რომელნიმე შემთხვეულებანი მეფე ირაკლიზე“. მისი ნაქო-  
ნი წიგნია A—1568 (აღწ. V. გვ. 82). 1825 წელს მას უსახსოვრა თავისი  
ნაქონი წიგნი ვოლტერისა „პოლიტიკური ანდერძი“ (გამოცემული პე-  
ტერბურგს 1785 წელს) ალექსანდრე ჰაეჰავაძემ (გაზ. „თბილისი“, 1965.  
№ 77, გვ. 3).

<sup>13</sup> ამ ხელნაწერით ევგენია იონავს ასული იშვა 1808 წ. 1. IV-ს მონათლეს პოლკოვ-  
ნიკმა გრიგოლ ვასილიძემ და ელისაბედ რაფიელ ერისთავის მეუღლემ (მატანს).

1844 წ. იენისში დიპ. მაღალაშვილი — კოლეგიის სეკრეტარი (იხ. „გამოცხადება“ „სინათლისა“ № 17).

1846 და 1847 წლებში იყო „დეფუტატთა ქალაქში — თავადსა, აზნაურსა და გლეხს რომ განარჩევდნენ. მაშინ ჯამაგირი ჰქონდა 52 თუმანი“ (A—1578).

1832 წ. 16 მარტს რიგით მეოთხე აწერს ხელს მოწმობას დავით ერისთავის (გლუხარჩის მამის) 1830 წ. 12 აგვისტოს გარდაცვალების შესახებ. „ლუბერნსკის სეკრეტარი თავადი დიმიტრი მაღალოვი“ (ფონდი 16, საქმე 9896, ფ. 19). ყაზარმობის საქმეში კი, რომელიც უფრო გვიან შედგა, ის იხსენიება უფრო დაბალი ჩინით — კოლეგიის რეგისტრატორად. დ. მაღალოვის ეპიტაფია — S—1571, 25r—28r.

დ. მაღალოვი გარდაიცვალა 1849 წ. 22 დეკემბერს (A—1578).

ამისი ქალი უნდა იყოს ალექსანდრა, მეუღლე დავით ივანეს ძე ერისთავისა, რომელიც გარდაიცვალა 1894 წ. თბილისში (იხ. „ნოვოე ობოზრენიე“, 1894, 8. III, № 3505).

**მაყაშვილი არსენ** (?—1815). კახეთის 1812 წ. აჯანყების მონაწილე. დასაჯეს რუსეთში გადასახლებით. 1813 წ. თებერვალში ჩაიყვანეს პერმს. იქ მალე ავად შეიქნა და 1815 წლის 15 აგვისტოს გარდაიცვალა. ამას ატყობინებს პერმის სამოქალაქო გუბერნატორი საქართველოს მთავარ-მართებელს (საქართველოს ც. ა. ფონდი 2 (8), საქმე 272, ფ. 51).

არსენ მაყაშვილის მეუღლე მელანია სთხოვეს ერმოლოვს დაუბრუნდეს მას ჩამორთმეული ყმა-მამული. მელანიას ერმოლოვის განკარგულებით დაუბრუნდა ყმა-მამული (ფონდი 16/152, საქმე 4073, ფ. 51, № 4, 30).

**მაყაშვილი იასე** კახეთის 1812 წ. აჯანყების მონაწილე. გადაასახლეს პერმს 1813 წ. თებერვალში.

1818 წ. 11 აპრილის დადგენილებით დანაშაული ეპატია და საქართველოში დაბრუნების ნება მიეცა.

**მაყაშვილი ომან**. კახეთის 1812 წ. აჯანყების მონაწილე. გადაასახლეს პერმს, სადაც ჩავიდა 28 თებერვალს 1813 წ.

1818 წ. 11 აპრილის დადგენილებით დანაშაული ეპატია და სამშობლოში დაბრუნების ნება მიეცა.

**მაყაშვილი სვიმონ**. მაყაშვილი სვიმონ ეშიკალასბაშია 1768 წ. 7 თებერვალს (საქართველოს სიძვ. III. № 6); ამ დროისათვის მას ჰყავს ერთი შვილი ალექსანდრე (იქვე).

1781 წელს სვიმონი ისევ ეშიკალასბაშია, მას ჰყავს უკვე 4 შვილი: ალექსანდრე, დავითი, იოანე (იგივე ნინია) და დიმიტრი (საქ. სიძვ. II,

550); ერეკლე II-ის გარდაცვალებაზე მან 2 თუმანი შესაწირავი შეიტანა (მას. საქ. ეკ. ისტ. III, 549).



1800 წელს გიორგი XIII უბოძებს ს. მაყაშვილს თელავის ძველი გალავნის მოურავობას (საქართველოს სიძე. II, 554).

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ აქვს შვილებთან გაუყოფელი მამული. მისი ერთ-ერთი შვილი ნინია 1812 წლის აჯანყების მონაწილეა. ამიტომ როგორც დანაშაუც მას უნდა ჩამოერთვას მამული და ხაზინას გადაეცეს. რტიშჩევის განკარგულებით შეაჩერეს ეს ჩამორთმევა, რადგან მამას უფლება აქვს სიკვდილამდე ფლობდეს შვილების მამულსაც (ფონდი 2/8, საქმე 302, ფ. 278).

1807 წელს შედგენილ „საქართველოს ჩინოვანთა ნუსხაში“ აღნიშნულია ალექსანდრე მაყავეს ჰქონდა შემოსავალი 80 თუმანი.

**მაჩაბელი დავით ბარძიშის ძე (1814—1873).** პოეტი. სწავლობდა კეთილშობილთა სასწავლებელში. იყო საუკეთესო მოწაფე. თავი გამოიჩინა მე-5 კლასში 1829 წ. 6 ივნისს საჯარო გამოცდაზე (ტიფლ. ვედომოსტი“, 1829. № 24, გვ. 1—2). იყო ს. დოდაშვილის მოწაფე და მისი ჟურნალის თანამშრომელი. გიმნაზიაში სწავლის დროს ცხოვრობდა ეფრემ ალექსი-მესხიშვილთან (გზლ. 298). 1832 წლის შეთქმულების მონაწილენი მას უნივერსიტეტში გავზავნას უპირებდნენ. სწავლა დაამთავრა 1834 წელს და მაშინვე დაიწყო სამსახური ჯერ სამოქალაქო, შემდეგ სამხედრო უბანში. 1839 წელს სამსახურს თავს ანებებს და სახლდება თავის სოფელ თამარაშენში. მამამ — ბარძიშ მაჩაბელმა (გარდაიცვალა 1839 წელს) თავისავე სიცოცხლეში დააქორწინა დავითი თავად სვიმონ წერეთლის ასულზე — ელისაბედზე. დ. მაჩაბელი საქორწილოდ წავიდა იმერეთს, იქ მცირე ხანს დარჩა, გამობრუნდა ქართლს და მის შემდეგ აღარ მიჰკარებია ცოლს. ელისაბედს ეყოლა ვაჟი აბესალომი. დ. მაჩაბელს არც შვილთან ჰქონია ურთიერთობა. ცხოვრობდა თამარაშენს მარტო და ლექსების წერით ირთობდა თავს.

1873 წ. ოქტომბერში ღამით მის სახლში შეიპარა ვიღაც ავაზაკი და მოკლა მძინარე დავით მაჩაბელი. კვალის დასაფარავად მოკლულს ცეცხლი წაუკიდა. დავითის მოკვლას მისი თანამედროვენი აბრალებდნენ მის ცოლს ელისაბედს. თითქოს მას მოუსყიდა დავითის მზარეული და მოუკვლევინებია დ. მაჩაბელი. დავითის სიკვდილის შემდეგ ელისაბედი შვილითურთ მალევე ჩამოვიდა თამარაშენში და ქმრის მამული დაიმკვიდრა.

დავით მაჩაბლის შვილი აბესალომი სწავლობდა და მსახურობდა ქუთაისში. 1873 წლის აგვისტოში დედ-მამის ნებართვით ცოლად შეირთო გრიგოლ ივანეს ძე ერისთავის ასული დარციო.



დ. მაჩაბელზე 1873 წლის ბოლო ნომერში დაიბეჭდა ი. ელიოზოვის წერილი „სამწუხარო ამბავი“. გაზეთ „დროებაში“ მოთავსებული იყო მეტეოროლოგი დ. მაჩაბელზე (1873. 44<sup>2</sup>), ხოლო ჟურნალ „ცისკარში“ ცნობა დ. მაჩაბლის გარდაცვალების შესახებ (1873. VII—VIII, გვ. 170).

დავით მაჩაბელს „დროების“ სიტყვით „ერთ უჩინარ ქართველ მოზაირეს“ ეკუთვნის რამდენიმე ლექსი და პოემა. ლექსები „პირველი მისი“, „ვარდი“, „ჩემი ლოცვა“, „ქართლო“, „ლოცვა“ და სხვ. — დაბეჭდილია „ცისკარში“. მისი პოემის „მთიული“ ავტოგრაფი 1842 წლისა ბროსეს კოლექციაში იყო (ამჟამად ИВАН F 15). აქვს მეორე პოემა „აღება აღლერისა“ (თ. ჭყონია, დავით მაჩაბლის უცნობი პოემა. გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1947, № 25).

**მაჩაბელი ლუარსაბ გიორგის ძე.** იულონ ბატონიშვილის მომხრე. 1801 წლის 1 თებერვალს კნორინგი მოახსენებს იმპერატორს, რომ იულონი იცნეს მეფედო და ჩამოთვლის 16 კაცს, რომელთაც იულონის ერთგულებაზე დაიფიცეს. ამ სიაში მეთაედ დასახელებულია მაჩაბელი ლუარსაბ გიორგის ძე (აქტები, I, № 407), რომელიც 1801 წლის 10 თებერვალს იულონ ბატონიშვილს გადაჰყვა იმერეთში ოჯახიანად (იქვე, № 229).

მონაწილეობს 1804 წლის მთიულეთის აჯანყებაში. თვითონ მიუვიდა მთავრობას (აქტები, II, № 675), პატიმრობიდან გაათავისუფლა საქართველოს მმართველმა ვოლკონსკიმ (ფონდი 16, საქმე 293, ფ. 32).

საქმეებში იხსენიება ლუარსაბ მაჩაბელის ცოლი ანა (ფონდი 2/8, საქმე 302, ფ. 326).

1812 წელს მონაწილეობს კახეთის აჯანყებაში. ამ დანაშაულისათვის იგი გადაასახლეს კოსტრომაში.

1813 წლის 10 ივნისის მიწერილობით აიძულებენ ბარძიმ მაჩაბელს დააჩქაროს შემოსავლის აკრეფა, რათა მისი გარკვეული ნაწილი გაუგზავნონ ლუარსაბ მაჩაბელს კოსტრომაში на содержание (ფონდი 2/8, საქმე 302, ფ. 245).

1815 წელს რტიშჩევი სთხოვს ტროშჩინსკის იშუამდგომლოს დ. მაჩაბლის განთავისუფლებისათვის. რადგან ლუარსაბ მაჩაბელი უფროსია გვარში და როგორც უფროსი, განაგებს მათ განუყოფელ მამულს. რტიშჩევს ჯერ კიდევ 1831 წელს მიუმართავს თხოვნით შინაგან საქმეთა მინისტრისათვის მაჩაბლის გათავისუფლების თაობაზე.

1817 წლის 31 ოქტომბერს „კნეინა სოფიო ფალაევნა“ თხოვს ერმოლოვს: „მმასა ჩემისა ლუარსაბ მაჩაბელსაც შესწამეს წიგნის მიწერა (ლევან ბატონიშვილთან), რომელსაც წერილის დაწერა, აღმოკითხვა, დაწერა ანისა და ბანის დასმა არა სცოდნია, ამისთვის უნო იგი სიბერის დროს მმა ჩემი გარდასახლეს რუსეთს კროსტროვის ქალაქში... ელირსოს... ქვეყანასე თვისსა მოქცევა“ (ფონდი 2/8, საქმე 302, ფ. 3).



იმპერატორის 1818 წლის 20 თებერვლის ბრძანების თანახმად დ. მაჩაბელი გაათავისუფლეს და იმავე წლის 1 ივნისს თბილისს ჩამოვიდნენ (იქვე, ფ. 7).

მაჩაბელი სვიმონ ფარსადანის ძე (1794—1858). გორის მაზრის მემამულე. აქვს მამულები თბილისის მაზრის სოფ. ტაბახმელაშიც.

1813 წლის 13 თებერვალს იქორწინა ქეთევან აბაშიძეზე, რომელიც მშობიარობას გადაჰყვა — გარდაიცვალა 1813 წ. 23 ნოემბერს. დარჩა ვაჟი გიორგი, დაბადებული 1813 წ. 23 ნოემბერს (მინაწერები მაჩაბლიანთ კუთვნილ საბას ლექსიკონზე. — S—1211).

ს. მაჩაბელმა შემდეგ მეორედ იქორწინა პოდპოლკოვნიკ გიორგი ამილახვრის ქალზე, რომელთანაც შეეძინა ორი შვილი.

მონაწილეობდა ოსეთში წარმოებულ ლაშქრობებში. გენ-ლეიტ. ველიამინოვის მთავარმართებლობის თანამდებობის ასრულების დროს. ერმოლოვის დროს სამჯერ იყო გაგზავნილი ახალი სახელმწიფო გზის აღმოსაჩენად.

1828 წელს იმსახურა ოსეთის მილიციაში. 1830 წელს მონაწილეობდა ოსეთის ექსპედიციაში გენ. რეინკამფის მეთაურობით.

იყო მწიგნობარი და მოღვაწე.

1832 წლის შეთქმულების გამოძღვლებისასვე პატიმრად აიყვანეს. საგამომძიებლო კომისიამ იგი სენო VII ჩგუფის დამნაშავედ (ამ ჩგუფში შედიოდნენ ისინი, ვინც იცოდა შეთქმულების ამბავი, მაგრამ არ ეთანხმებოდა მას). სამხედრო მინისტრის გრაფ ჩერნიშოვის ბრძანებით სვ. მაჩაბელი გაათავისუფლეს და სასტიკი მეთვალყურეობა დაუწესეს (მასთან ერთად 12 სხვა პირს).

მაჩაბელი გაათავისუფლეს 1833 წლის 30 აგვისტოს (ფონდი OBD, საქმე 163, ფ. 527).

საპატიმროში ყოფნისას სვ. მაჩაბელმა ლექსი მისწერა ივანე ერისთავს „თავადის სვიმონ მაჩაბლის მიერ მიწერილი ივანე ერისთავისადმი ეამსა კაზარმასა მყოფობასა“.

„აჲ აღიღე კალამი და მკვიდრ იყარ ხელოდა  
დათხზევ ესე ანბანი შენ სიმათლით მოქმელო და  
ძველი ფილოსოფოსი ამას როგორ ელოდა  
ჩვენთან შემობარბანეს, საღ წყვდიადი ბნელოდა.  
შეეხედე, მოცუეუნებს, გამეცინა მე დო,  
ესთქვე: ეს საღა გააბეს, დაცული, არ უბედია?  
აქმულა: ზღვით აღმოგადრენს საღ გიწერდეს ზედია  
ვაი თუ დაგივიწყონ რაც თავს გარდაგებია“.

(H—1196. 317 v).



ყაზარმაში ჯღომისას სვ. მაჩაბელს დაუწერია ლექსი: „საპრობოლისა შინა უეცრად ფრინველის შეფრენა და პურობილისაგან ლაბათაჲნი...“ ეს ლექსი დაიბეჭდა „ცისკარში“ (1853, № 9, გვ. 56—60).

სვ. მაჩაბლისაა ლექსი „დროსა რუსეთსა გავზაენისასა გიორგი ერისთავისაგან სემონ მაჩაბელთან მიწერილის ლექსის პასუხის მიწერა“. (H—2544). ეს ლექსი დაბეჭდილია აკაკის „კრებულში“ 1899 წ. № 11, განყ. I, ფ. 5—8 და გიორგი ერისთავის „თხზულებანი“ შ. რადიანის და ი. ბალახაშვილის რედაქციით. თბ., 1936, შენიშვნებში — გვ. 377—380.

სიმონ მაჩაბლისაა ვრცელი ლექსი (პასკვილი დაეთის), რომელიც ასე იწყება

„მკლავებსა შლი ინდოურის ფრთებსავეთ,  
 აჩქინ ბოლო გავიშვია რქებსავეთ,  
 ყველა კაცი მოგაჩნია თბებსავეთ,  
 თვით მოთხრილო, ოთხთავლებიანო,  
 რას მიქარავ, დავით აჩქებთანო“.

(H 2990)

ეს პასკვილი დაწერილია დავით დიასამიძეზე (H—2558) საქაშენელ მემამულეზე (გარდაიცვალა 1849 წ.). დიასამიძეს, საქაშეთში მოწყობილი ჰქონდა რაციონალური მეურნეობა, რომელიც დასაწყისში მეზობლების დაცინვას იწვევდა. (Д. КИВИНИ, Записки КОСХ, 1857. 1).

დავით დიასამიძის ბიბლიოთეკაში ს. საქაშეთს დიმ. ბაქრაძემ იპოვა თომა ყორღანოვის „მოგზაურობა სომხეთს 1831 წ.“ დაწერილი ქართულად. დ. ბაქრაძემ იგი რუსულად თარგმნა და დაბეჭდა „კავკაზ“-ში, 1851, № 74—78.

ს. მაჩაბელი ძალიან თავისებური კაცი იყო. თავის მოსამსახურე ბიჭებს ეტყოდა ხოლმე: „აბა გაიხედე, ბიჭო, რუსები წავიდნენ თუ აქვე არიანო“ (ძველი საქართველო, III, გვ. 11, შენ.).

როდესაც 1833 წ. აგვისტოში გათავისუფლებული ს. მაჩაბელი მამულში ბრუნდებოდა, ცხინვალის ხიდზე თავისი ებრაელი ყმა შემოხვდა და ჰკითხა:

— რაზედ დაგიჭირეს რუსებმაო. ამაზე მაჩაბელმა უპასუხა: რუსებმა ცხრა თვეში ვერ მათქმევეინეს და შენ გინდა ამ ცხინვალის ხიდზე მათქმევეინოო (იქვე).

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის H ფონდში 329 ნომრად დაცულია „გულასპიანი“, მის წინასიტყვაობაში, ს. მაჩაბელს რომ ეკუთვნის, ნათქვამია, რომ „გულასპიანი“ დაწერა სვ. მაჩაბელმა „ყამსა საქართველოსა შინა შემთხვეულისა სნეულუების ხოლერისასა, ესე იგი ჩყდ-სა წელსა (1830) მყოფმან განშორებით სახლისაგან... განსატარებლად დროისა და განსადევნელად... მწუხარებისა“. ხელნაწერი გადაწერილია 1856 წელს მღვდელ ონისიმე ხუციევის ხე-



ლით. ხელნაწერს ერთვის რამდენიმე ლექსი წამკითხველთაგან. მაგალითად რის არის თვით სვ. მაჩაბლის ლექსი, მიწერილი გრ. ორბელიანის მიერ: „თვალის სვიმონ მაჩაბლისაგან მოკითხვის ნაცვლად მიწერილი, როდესაც ოსები ჩამოართვეს. მისს ბრწყინვალებას გრივოლ დიმიტრის ძეს ორბელიანს“.

ლექსი საინტერესოა ს. მაჩაბლის ბიოგრაფიის გასარკვევად.

„მოხუცებული თავს ვიწრავ, თმათფორი დაობებული,  
ენებით ვარმოცული და ჭარბთ გაოგნებული,  
თქვენ ღმერთმან ზედნიურად ჰყოთ, არვიგან იქნეთ ვნებული,  
მე ესლა მაქვს ნუქვად, ვიქმნები თქვეთთან ზღვებული,  
თქვენს ოჯახში ვარ აღზრდილი, მინახავს კეთილდღეობა,  
აწ უსაბო კმნილს აღარ შურს ლხინი და არცა ღრეობა,  
დაძვირვებია ყოველი ძველთა ივერთა ზნეობა,  
ვინცა ამ ჭარებებს გაუძლებს, მას ეთქმის ფრიად მხნეობა,  
ღრმად მოხუცებულს შინაყლდა სრულად ღონე და ძალები,  
ყმასა და მამულს შარბევენ, თავზედ მატყდება ვალები,  
პურს ეკამდე, ფაქრი წამალებს, ცრემლათ მეყვება თვალები  
ვაცი, თქვენ ძალ გიას, მეწიე, ბიჭო, შენ ვენაყვალები.“

1858-სა წელსა, ივნისის ათსა დღესა, თბილისს“ (209r). ყმა-მამულ ჩამორთმეული მაჩაბელი თბილისშია და გრ. ორბელიანისგან ელის შევლას. იგი გარდაიცვლებოდა 1858 წ. შემდეგ.

მგალობლიშვილი დიმიტრი, აზნაური, თელავის მაზრის სოფ. ახატელიდან. 1804 წელს მონაწილეობდა მთიულეთის აჯანყებაში, რისთვისაც ის თბილისს ციხეში ჩასვეს. 1806 წლის 1 ივლისს ციხის ყარაულმა ოფიცერმა დიმ. მგალობლიშვილი გაუშვა ქალაქში სასადილოდ ყაბარდოს მუსყეტერთა პოლკის პოდპორუჩიკ ბაგრიევთან, საიდანაც მგალობლიშვილი გაიქცა. თბილისში მოახდინეს ჩხრეკა, მაგრამ დ. მგალობლიშვილი ველარსად იპოვეს. 6 ივლისს თელავის კაპიტანისპრავნიკთან გამოცხადდა სოფ. ახატელის მცხოვრები აზნაური პაატა მგალობლიშვილი, რომელმაც განაცხადა, რომ წინა ღამეს მასთან სახლში მოვიდა მისი ძმა დიმიტრი, რომელიც 1804 წლიდან თბილისის ციხეში იმყოფებოდა. პაატას გადაუწყვეტია ქალაქში წასვლა იმის გასარკვევად, თავისი ნებით წამოვიდა იქიდან დიმიტრი თუ გაათავისუფლეს. იგი ხელწერილს იძლეოდა იმაზე, რომ ისი ძმა მის დაბრუნებამდე არსად წავიდოდა.

1806 წლის 11 ივლისს თელავის კაპიტან ისპრავნიკს ებრძანა მგალობლიშვილი თბილისის კომენდანტთან მიეყვანა ყარაულით. მაგრამ დ. მგალობლიშვილის წაყვანა ვერ მოხერხდა, რადგან იგი მძიმე ავადმყოფი შეიქნა. თელავის შტაბის ექიმმა ვორონჩენკოვმა შეამოწმა დ. მგალობლიშვილს ქანმრთელობა, დაადგინა, რომ ის ავად იყო ვენერიული ავადმყოფობით და გამგზავრება არაფრით არ შეეძლო.



გამოჩანმრთელების შემდეგ თელავის კაპიტან-ისპრავნიკმა (პორუჩიკმა თულაევმა). დიმიტრი მგალობლიშვილი ყარაულის თანხლებით ზავნა თბილისის კომენდანტთან 1806 წლის 11 ნოემბერს (ფ. 16).

ბაგრატ ბატონიშვილის „ახალ მოთხრობაში“ 1813 წელს ციმბირს გაგზავნილ კახეთის აჯანყების მონაწილეთა შორის დასახელებულია მგალობლიშვილი დიმიტრი (თ. ლომოურის გამოც., გვ. 134). მაგრამ ოფიციალურ სიებში ჩანს მისი ძმა პაატა, რომელიც, როგორც კახეთის 1812 წლის აჯანყების მონაწილე, გადასახლებულია პერმს 1813 წლის თებერვლიდან. პაატა მგალობლიშვილი 1818 წლის 16 აგვისტოს განკარგულებით დატოვებულ იქნა ციმბირში თავისუფლად საცხოვრებლად შემდგომ განკარგულებამდე (აქტები, VI—I, 104). პაატა მგალობლიშვილი სხვა 17 პირთან ერთად გათავისუფლდა 1820 წ. 1. XII-ის განკარგულებით (საქმე 486, ფ. 101, 102).

**მგალობლიშვილი პაატა.** აზნაური. კახეთის 1812 წ. აჯანყების მონაწილე. გადასახლეს პერმს, სადაც 1813 წლის 1 მარტს ჩაიყვანეს.

1818 წ. 11 აპრილის მანიფესტით გაათავისუფლეს და შემდგომ ბრძანებამდე ციმბირში იქნა დატოვებული. 1820 წ. 1 დეკემბერს მიეცა ნება საქართველოში დაბრუნებისა (აქტები, VI—I, გვ. 104).

**მელიქოვი ყორხმაზ** (1798—1858). ალექსანდრე (პუპლია) ორბელიანის ცოლის ახლო ნათესავი.

1832 წლის შეთქმულების მონაწილეთა გეგმით ყორხმაზ მელიქოვის ქარვასლაში უნდა მოწყობილიყო წვეულება, რომელზედაც ამოხოცავდნენ კორპუსის უფროსს და სამხედრო და სამოქალაქო მოხელეებს (გზლ. 144). ყორხმაზ მელიქოვის ქარვასლასა და ტრაქტირში შეთქმულნი ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს (გზლ. 213. 145). „მელიქოვის ტრაქტირში ბილიერი ვითამაშეთ“ (გზლ. 213).

ყორხმაზ მელიქოვმა 1831 წ. ივლისში ვახშამი გამართა სოღანლულში თბილისის სომხური სასწავლებლის კუთვნილ ბაღში. ყორხმაზ მელიქოვი იყო კეთილი, მზიარული და განათლებული ახალგაზრდა — იგონებს თომა ყორღანოვი (Поездка в Армянскую область в 1831 г. «Кавказ», 1841-№ 74).

(თომა ყორღანოვი ნათესავად მოუდიოდა ვ. ო. ბებუთოვს და მასთან მსახურობდა სომხეთის ოლქში).

ყორხმაზ მელიქოვის ქარვასლა მდებარეობდა ხეროდინოვის ქარვასლასთან (ბნელ რიგებს ახლოს). ჰქონდა პატარა ვიწრო ეზო. ვაჭრობა ამ ქარვასლაში უფრო დუნედ მიედინებოდა, ვიდრე სხვა ქარვასლებში. აქ ჩერდებოდნენ უფრო ცნობილი ჩამოსული მრეწველები. ქარვასლას ჰქონდა სარდაფი-საწყობი, 5 დუქანი, ჩამოსულთათვის 12 ოთახი, სარდაფი კახური ღვი-

ნით და რამდენიმე სახელოსნო (И. Евлахов, Тифлисские караван-сарайи Записки КОИРГО, т. I. 169—170). ეს ქარვასლა შემდეგ ონანოვის ხელში გადასულა, 80-იან წლებში კი პარუნ-სარქისოვებს ეკირათ („ივერია“, 1887. № 20, გვ. 1).

ყორხმაზ მელიქოვი 15 წლისა 1813 წელს ავადმყოფი მიიყვანეს ს. კოდას, სადაც ამ დროს იმყოფებოდა იოსებ ორბელიანი. ამან გადასწყვიტა ყორხმაზისათვის მიეთხოვებინა თავისი ქალი თამარი, რომელიც ამ დროს რვა წლისა იყო. მელიქოვის განცხადებით ყორხმაზსა და თამარს ჯვარი დასწერეს მოტყუებით (საქ. ც. ა., ფ. 16 (152), ს. № 2671, ფურც. 7).

1820 წელს იოსებ ორბელიანის ქვრივმა თინათინმა იჩივლა ხოვენთან, რომ მისი სიძე ყორხმაზ მელიქოვი არა ცხოვრობს მის ქალთან, თუმცა მზითვეი მიღებული აქვს ფულად; იმუქრება, რომ მიატოვებს ცოლს. (იქვე, ფ. 6).

1831 წელს ხორეშან ორბელიანი წერს თავის შვილს გრიგოლს: „თამარისა და ყორხმაზის ამბავს ინებებ, რადგანაც სინოდალურ კანტორაში ყორხმაზმა თავისი პირით აღიარა — კაცი არა ვარო, ამისათვის კანტორამ ნება მისცა თამარს სხვა ქმრის შერთვისა“ (ფ. OBD, საქმე 171, ფ. 63).

ელისაბედ ორბელიანი ატყობინებს გრიგოლს 1831 წლის 26 აგვისტოს: „თამარის ანბავს იკითხავ. ნება მისცეს ჯვარის წერისა. აქ არი ახლა სოლომანს ირთავს ჰაეჰავაძესა“ (იქვე, ფ. 93).

1858 წ. 13 აპრილს გრიგოლ ორბელიანი სწერს დიმიტრი ჯორჯაძეს: „არ მახსოვს მოგწერე, რომ ყორხმაზიც დაემარხეთ“ (გრ. ორბელიანის წერილები, II. № 361).

**მელიქიშვილი მაკა ვიორჯის ასული.** საგარეჯოს მოურავს ვიორგი ჩოლაყაშვილს ცოლად ჰყავდა დიმიტრი ორბელიანის ასული ეკატერინე (მუპლიას — ალექსანდრე ორბელიანის მამიდა); ეკატერინე მონაწილეობდა კახეთის 1812 წლის აჯანყებაში და ამის გამო თავის დითურთ (გუქა ნათალიშვილითურთ) გადასახლებული იყო კურსკის გუბერნიის ბელგოროდის დედათა მონასტერში. იგი იქვე გარდაიცვალა 1817 წლის 29 მარტს.

გიორგი ჩოლაყაშვილს და ეკატერინე ორბელიანს ჰყავდათ სამი შვილი: ვაჟი თადია და ორი ქალი მაკა და ანა, იგივე ახუა.

მაკა მისთხოვდა იოანე მელიქიშვილს 1808 წლის 25 ოქტომბერს. ამათ ეყოლათ 10 შვილი:

1. დავით, დაიბადა 1810 წ. 7.VI-ს, 2. ნიკოლოზ, დაიბადა 1811 წ. 28.X-ს, 3. თამარ, დაიბადა 1814 წ. 18.IX-ს, 4. ბარბარე, დაიბადა 1815 წ. 3.I-ს, 5. ვიორგი, დაიბადა 1816 წ. 11.X-ს, 6. ეკატერინე. დაიბადა 1819 წ. 8.I-ს, 7. მიხეილ, დაიბადა 1819 წ. 30.XII-ს, 8. ქეთევან, დაიბადა 1822 წ.

4.VIII-ს, 9. იაკობ, დაიბადა 1824 წ. 26. XII-ს, 10. დიმიტრი, დაიბადა 1826 წ. 9. X-ს (A—1083).

მაია მელნიკიშვილი თან გაჰყვა თავის ბიძის ცოლს — თეკლე ბატონიშვილს კალუგაში. 1834 წ. იქიდან დაბრუნდა საქართველოში თეკლესთან ერთად.

მელნიკოვი ანდრია იაკობის ძე. თბილისის პოლიცემისტერი. 1824 წ. აქვს კოლეგიის მრჩევლის ჩინი. 1827 წლის აპრილში პასკევიჩმა გადააყენა თბილისის პოლიცემისტერის თანამდებობიდან.

ცოლად ჰყავდა ელიზბარ და დიმიტრი ერისთავების და მელანია. პუბლია (ალექსანდრე) ორბელიანი წერს: „ანდრია მელნიკოვი საშინელი ანჩხლი კაცი იყო და მიკვირს იმისთანა გიყს როგორ მისცეს ეს ქალი ერისთავი მელანია, ლუარსაბის (ორბელიანია) დისწული“, „ეს სულ ერმოლოვის ოინები იყო მირზაჯან მადათოვის ხელით ნამოქმედარი“ (H—1659, გვ. 25).

როგორც 1832 წლის შეთქმულების მონაწილეთა ჩვენებებიდან ჩანს, ა. მელნიკოვი შეთქმულების საქმის კურსში იყო და კიდევ თანაუგრძობდა მას. ა. მელნიკოვის სახლში ცხოვრობდა მისი ცოლისძმა ელიზბარ ერისთავი. ამან ერთხელ შეთქმულნი დააპატიჟა მელნიკოვის სახლში და აქ მათ საქართველოსა და თავისუფლებაზე ულაპარაკიათ (გზლ. 69). მელნიკოვის სახლში გაეცნო ალ. ორბელიანი „აქტი გონიერულს“. ლუარსაბ ორბელიანის ჩვენებით, 1831 წელს მელნიკოვმა იცოდა შეთქმულების განზრახვა, იწონებდა მას და რჩევებსაც აძლევდა შეთქმულთ (გზლ. 69). ა. მელნიკოვი სხვა შეთქმულებთან ერთად დააპატიმრეს. მართალია იგი უარყოფდა მისთვის წაყენებულ ბრალდებებს, მაინც საგამომძიებლო კომისიამ მელნიკოვი დამნაშავეთა მე-7 ჯგუფში მოაქცია (ამ ჯგუფში შედიოდნენ ის პირნი, ვინც შეთქმულების ამბავი იცოდა, მაგრამ აჯანყების მოხდენაზე არ იყო თანახმა).

როზენის ბრძანებით, 1833 წ. 7 სექტემბერს მელნიკოვი პატიმრობიდან გაათავისუფლეს (ფონდი OBD. საქმე 163, ფ. 534—535), მასზე სასტიკი მეთვალყურეობა დააწესეს.

1836 წლის 8 აგვისტოს ღამით იგი მოკლეს ქოლაგირში. მკვლელობაზე ეპვი მიიტანეს მის ყმა-გლეხებზე, მათ შორის დიმიტრი ტატიშვილზე.

მელვინეთხუციშვილი დიმიტრი კონსტანტინეს ძე (18..—1880). კონსტანტინე მელვინეთხუციშვილისა და ანა წინამძღვრიშვილის ვაჟი (ანა წინამძღვრიშვილი იყო დეკანოზ იოსების ასული; ამისი ძმა ივანე იყო მამა ნოტარიუსისა და წინანდლიანთკარში სკოლის დამაარსებელი ილია

წინამძღვრიშვილისა). (იოსებ დეკანოზმა თავის ქალს ანას მზითვად მისცა სახლი თბილისში — Qd 457).

მელვინეთხუცესიშვილი იყო სამხედრო პირი და პოეტი. მონაწილეობდა დარჩის ექსპედიციაში, რისთვისაც მიიღო სტანისლავის სახ. ორდენი. აღწერა ეს ექსპედიცია ქართულ ენაზე.

მუშაობდა გორის მაზრაში ჩინოვნიკად. იგი გაიცნო ბროსემ გორში ყოფნისას და მისი სურვილით თან წაიყვანა გორის მაზრის ჩრდილო მხარეში მოგზაურობისას. დ. მ. დიდის ხელოვნებით იღებდა წარწერებს, და ხატავდა შენობათა ხედებს. 1848 წლის ივლისში ბროსეს თხოვნით იგი გაგზავნეს თბილისის, გორის და სიღნაღის მაზრებში ისტორიულ სიძველეთა შესახებ ცნობების მოსაგროვებლად. მეცნიერებათა აკადემიის რეკომენდაციით ვორონცოვმა მას გამოუყო თანხები სომხთსა და მტკვრისა და ქოროხის სათავეებში არქეოლოგიური კვლევა-ძიების საწარმოებლად. 1849 წ. 29 მარტს ბროსეს წარდგინებით მეცნიერებათა აკადემიამ სთხოვა ვორონცოვს დაევალებინა მელვინეთხუცესიშვილისათვის ალექსანდროპოლის მაზრისა და თბილისის მაზრის მტკვრის სამხრეთი ნაწილის არქეოლოგიური გამოკვლევა, აგრეთვე ქუთაისის გუბერნიისა და ქოროხის აუზისა. ვორონცოვი დათანხმდა და ავანსად მისცა სამოგზაუროდ 200 მან. დ. მ. დაიწყო ამ მხარეების მოგლა ბროსეს ინსტრუქციების მიხედვით. 1851 წლის ბოლოს მან წარმოადგინა ამ მოგზაურობის ანგარიში. თბილისში დაბრუნებულს ვორონცოვმა სთხოვა დარჩენილიყო ქალაქში, რათა დახმარებოდა გიორგი ერისთავს ქართული თეატრის მოწყობაში. დ. მ. ამ საქმეზე დარჩა თბილისში 1852 წლის ივნისამდე.

1852 წელს დაუბრუნდა გორში სამსახურს.

1852 წლის ივლისში როცა ვორონცოვი იმყოფებოდა გორში, მან დაავალა დ. მ. დაეთვალიერებინა უფლისციხე, გადაეღო მისი ხედები და შეედგინა აღწერილობა. ამ მოგზაურობის ანგარიში დაბეჭდილია მეცნ. აკადემიის ბიულეტენებში (Brosset, Voyage, VI rapp. 92). გორის მაზრაში მის მიერ შეგროვილი მასალა იხ. Brosset, Voyage..., VI rapp. გვ 96—128.

მ. ბროსე სწერს მელვინეთხუცესიშვილს: „თქვენ კარგი მოყმე ჭაბუკი ბრძანდებით, მეცნიერება და მამული გიყვარს, სახელი გექნება ამისთანა ძიებებების გამო. და ასე მინდა წარუდგინო საქმე უფ. საფონოვსა“. 1849. 20.II. S—1258. „საისტორიო მოამბე“ VI (ცენ. არქივის გამოცემა). მელვინეთხუცესიშვილი გარდაიცვალა 1880 წელს.

მთვარელიშვილი ნიკოლოზ (1845—1923). თბილისის სემინარიის დასრულების შემდეგ იყო „ნაღზირატელად“ 1866—1869 წლებში; 1869—1873 წლებში სწავლობდა პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში. აქ სწავლის დამთავრების შემდეგ დაინიშნა თელავის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად (1873—1883). 1883 წლიდან ცხოვრობს თბი-



ლისში. იყო წ. კ. საზოგადოების მდივანი, მწერლობდა (მაგ. ეურნა რიაში“ დაბეჭდა წერილი „გაიოსი და თელავის სემინარია“). 1902 წელს დაბრმავდა. 1908 წელს გადასახლდა თელავს, აქედან 1918 წ. ურიათუბანს, სადაც გარდაიცვალა 1923 წელს. ავტოკეფალიის გამოცხადების გამო 1917 წელს თელავის ტაძარში სიტყვა თქვა დიდი ექსპრესიით.

**მირზა რაბი.** ერეკლე II-ის ვეზირი. ისპანელი. ერეკლემ 1796 წ. ოქტომბერში გაუახლა წლის ჯამაგირისა და ულუფის წიგნი, რომელიც მას ადრე დაჰკარგოდა (მასალები საქ. ეკ. ისტ. III, 108). ერეკლეს ეს საბუთი დაამტკიცა გიორგი XIII-მაც 1798 წელს.

იმპერატორისაგან მიიღო „სათი ოქროსი ჯაჭვითავე ოქროსათაჲ“ (Канцелярия МВД по управл. Грузиею 1802 г. дело № 14, л. 19—20).

მირზა რაბის ყაფს ყმები ავლაბარს (იხ. თბილისის 1803 წ. აღწერა: „საისტორიო მოამბე“, 1925, II, გვ. 102). თვითონ ცხოვრობს ქალაქის მე-3 ნაწილში (იქვე, გვ. 93. № 806).

**მირიან ბატონიშვილი** (1766—1834). ერეკლე II-ისა და დარეჯან დედოფლის მეოთხე ვაჟი. დაიბადა 1766 წლის 19 აგვისტოს.

1782 წელს ემზადება რუსეთში წასასვლელად. 1783 წლის ტრაქტატის დადების სამზადისთან დაკავშირებით ერეკლე II-მ დედოფალ ეკატერინე II-სთან გაგზავნა დელეგაცია გარსევან ჭავჭავაძის მეთაურობით. ამ დელეგაციაში შედიან ერეკლეს ვაჟები იეროდიაკონი ანტონი (შემდგომში კათალიკოსი) და მირიანი.

მირიანი 1784 წ. კვლავ გაემგზავრა რუსეთს. იგი შედის რუსეთის სამსახურში. 1787 წელს დავით გურამიშვილმა მას მიართვა თავისი „დავითიანი“ (E. Такашвили, Описание. II, 471—475).

პეტერბურგში ყოფნისას მირიანს ეხმარება გარსევან ჭავჭავაძე. მან 1795 წელს ასესხა მირიანს ასი თუმანი სახარჯოდ. მირიანს მიმოწერა აქვს საქართველოს სამეფო კართან. 1795 წლის სექტემბერში ერეკლე მას, უგზავნის წერილს, რომელშიაც ალა მამხად ხანის შემოსევა აქვს აღწერილი (A. Цагарели, Грамоты, том II, вып. II, с 106). იგი იღებს გენერალ-ლეიტენანტის ჩინს და სენატრობას. 1797 წლის დასაწყისში მას ებოძა ყაბარდოს პოლკის შეფობა (საქ. სიძვ. III, 329). ამ დროს იგი გენ-ლეიტენანტი და სენატორია. ერეკლე მეორის ავადმყოფობის ცნობის მიღებისთანავე გამოემგზავრება საქართველოსკენ მამის სანახავად. თან მოჰყავს ექიმი ჰორაკიუსი. 1798 წლის 11 იანვარს — ერეკლეს გარდაცვალების დღეს — გამოემგზავრა მოზდოკიდან. საქართველოში ის დაესწრო მამის დასაფლავებას, თავისუფლდება რუსეთის სამსახურიდან და საქართველოში რჩება. 1798 წლის მარტში დარეჯან დედოფალი სწერს იმპერატორ პავლეს: „მირიანი დაბრუნდა, რომელიც 14 წელი არ გვინახავს“.

1799 წლის თებერვალში ის ქისტაურშია (საქ. სიძე III, 358).

1801 წლის 15 მარტს სამუდამოდ წავიდა რუსეთს (აქტები, I, № 427).

თავისი ყმა-მამული და ელი განსაგებლად დაუტოვა დედას, 'დარეჯან დედოფალს' (საქ. სიძე. III, 238). რუსეთში ის დასახლდა პეტერბურგს. 1812 წელს მოსკოვშია, აქვს სენატორობა. ცეცხლმოკიდებულ მოსკოვიდან გამოიტანა სენატის არქივი და ნიჭი ნოვგოროდში წაიღო («XIX век», кн. 2-я. 114). შემდეგ ეწევა ლიტერატურულ შრომას. რუსულიდან თარგმნა „სწავლა თქმული ილია მინიატისაგან“. მირიანის ეს თარგმანი 1818 წელს გადასწერა ტარასი ალექსი მესხიშვილმა (A—1448). 1805 წელს რუსულიდან თარგმნა ბრავეს ტრაგედია „ატისტი“ (H—2321). არის რამდენიმე იამბიკოს ავტორი (A—1164; A—1762 გ; H—2541). პლატონ იოსელიანი პეტერბურგში სწავლის პერიოდში (1831—1835) ხვდებოდა მირიან ბატონიშვილს (ცხ. გიორგი XIII-სა. გვ. 362). გარდაიცვალა 1834 წ. 15 ოქტომბერს დეისტუტელნი სტატსკი სოვეტნიკის, სენატორისა და კავალერის ჩინით. დასაფლავებულია ალ. ნეველის ლავრაში (H—607).

მირიან ბატონიშვილს 1814 წლის 22 მაისს ცოლად შეურთავს დეისტუტელნი ტაინი სოვეტნიკის თ. ალექსანდრე იაკობის ძე ხილკოვის ქალი მარიამი, რომელიც ქორწინებიდან 1 წლისა და 9 დღის შემდეგ 1815 წლის 31 მაისს გარდაიცვალა. დასაფლავებულია პეტერბურგის ლაზარეს სასაფლაოზე.

**მიხეილ ბატონიშვილი** (1785—1861). გიორგი XIII-ისა და მარიამ ციციშვილის ვაჟი.

„მიხეილ ბატონიშვილი იყო კაცი დიდად განვითარებული, გონიერი და განათლებული და ამასთანავე მეტად უბრალო, თავმდაბალი, ყველასათვის ადვილად გასაცნობი, თუმცა ქონება-შეძლებით სრულიად უზრუნველი იყო, მაინც თავის თავისთვის ძლიერ ცოტას ხარჯავდა, რადგანაც ხედავდა ბევრს ვაჭირვებულს და ყველას შემწეობას აძლევდა. ძლიერ ბევრს კითხულობდა და ამას გარდა უყვარდა ფილოსოფიური სჯა-ბაასი. ამ მეცნიერი ბატონიშვილის ნათელმა მსჯელობამ მეც უფრო ნათლად შემავგებინა ეს საგანი და წამახალისა შემსწავლა რიგიანად და შეგნებით, და არა ისე უაზროდ, როგორც გვასწავლიდა ჩვენი აკადემიის მაშინდელი პროფესორი ნემეცი“. — ამბობს გაბრიელ ეპისკოპოსი (ეკლენჯერიძე, გაბრიელი, ეპისკოპოსი იმერეთისა. ქუთაისი, 1913. გვ. 32—33). ცხოვრობდა მოსკოვში 1803 წლიდან.

მოსკოვში იგი ნახა 1827 წელს ფილადელფოს კიკნაძემ. 1832 წლის შეთქმულების საგამომძიებლო მასალებში იგი რამდენიმეჯერ იხსენიება (ფონდი OBD, რვ. III, 330, რვ. III, 509).

1859—1860 წლებში შეიქმნა განსაკუთრებული კომისია, რომლის

წვერი იყო მიხეილ ბატონიშვილი, საქართველოს სამეფო კარის ნელი წარმომადგენელი.

გარდაიცვალა 1861 წ. ნოემბერში პეტერბურგში. დასაფლავებულია ალექსანდრე ნეველის ლავრის ოქროპირის ეკლესიაში.

სიკვდილის შემდეგ მისი კუთვნილი ლთისმშობლის ხატი ერგო მის ძმისწულებს — ბაგრატის ძეთ დავითს და ალექსანდრეს. ეს ხატი ნახა ე. თაყაიშვილმა გორის ახალქალაქში, ელენე გრუზინსკისთან (არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი. I, ტფ. 1907, გვ. 210).

**მიქელიშვილი ნიკიფორე მიხეილის ძე** (? — 1841). დავით მეშვიდე-რის მოძღვარი. რუსობაში მიხაილოვი. ამისი მამა მიხეილი იყო თელავის ეკლესიის მღვდელი. ნიკიფორემ სწავლა მიიღო დავით რეკტორთან და კათალიკოს ანტონი I-თან. იყო თელავის კარის ეკლესიის მღვდელი. 1802 წელს შევიდა შიომღვიმის მონასტერში. 1803 წლის 19 თებერვალს მცხეთაში მიეგება დავით მეშვიდედრეს, რომელიც რუსეთს მიემგზავრებოდა და რუსეთში თან წაყვანა სთხოვა. დავითი იმავე წლის 20 თებერვალს სწერდა მცხეთიდან ციციანოვს: „თან მიმყავს აგრეთვე ჩემი მოძღვარი— შიომღვიმის მონასტრის მონაზონი ნიკიფორე<sup>14</sup> — თუ თქვენი სურვილიც იქნება, რასაც მე დიდ წყალობად ჩავთვლი, რადგან ეს მონაზონი მწიგნობარი კაცია და წიგნის კითხვით ვაგვართობს ხოლმე ესმისა უსაქმობისასა“ (აქტები, II, 174).

მოსკოვს დასახლებული ნიკიფორე იღუმენი მუშაობს მოსკოვის ქართულ სტამბაში წიგნების დაბეჭდვაზე. 1805 წელს მოსკოვს დაბეჭდილ „სადღესასწაულოს“ აქვს ასეთი წარწერა: „ფრიაღითა შრომითა იღუმენის ნიკიფორეს თელავის კარის ეკლესიის მღვდლის მიხაილის ძის მიხაილოვისათა 1805 წ. დაიბეჭდა მოსკოვს“ (ქართული წიგნი, I, № 95. გვ. 84). ამ წიგნის ტექსტის ბოლოს მოთავსებულია დიმიტრი ბაგრატიონის ლექსათ თქმული წიგნის დაბეჭდვაზე დამაშვრალთა ჩამოთვლა:

„ღვთის შეწეებითა, ზესთა ზენითა მოსკოვს შემზადდა სტამბა ქართული, ქსნის ერისთვისა, დავითის ძისა, ვარლამის ღვაწლით არს გამართული, ...მასთან თონა, ვინ არიონა შრომის მღინარე ცენჭურობითა, მიტროპოლიტმა გვინჯ-გამჭკრიტმა გედონას ძემ ძველგვარობითა, ნიკიფორითა, მკითხველ-მსწორითა, იეულსმოდგინეს საქმარობითა, პაიჭაქემან, ვით მეტაქემან, კვართა ყოელთა სახმარობითა.“

(ქართული წიგნი I, გვ. 86).

ამ ლექსით ნიკიფორე მკითხველ-მსწორედ მოიხსენიება — ე. ი. ის ყოფილა კორექტორი.

<sup>14</sup> ამ ნიკიფორე მიქელაშვილს პლატონ იოსელიანი შეცდომათ ათანასეს უწოდებს სახელად (პლ. იოსელიანი. ცხოვრება გიორგი XIII-სა. ავ. გაწერელთა გამოც. გვ. 158).

1804 წლის თებერვალში ილუმენ ნიკიფორეს დავით ბატონიშვილი წარდგინებით აჯილდოვებენ ოქროს ჯვრით (A—1768, ფ. 159).

1806 წელს ნიკიფორე ჩადის პეტერბურგში და საქართველოში დაბრუნების ნებას ითხოვს. მალე იგი საქართველოშია და შიომღვიმის მონასტრის ილუმენის თანამდებობა აქვს. 1806 წლის 16 ივლისს იგი ითხოვს ამ თანამდებობის შესაფერისი ჯამაგირის დანიშვნას (Канцелярия МВД по управл. Грузиею. 1805 г. оп. 471, дело № 27—37, л. 240).

1814 წელს ოსეთის სასულიერო კომისიის მქადაგებელთა შორის იხსენიება იერომონახი ნიკიფორე (ლენინგრადის ცსა, ფონდი 796, აღწ. 95, საქმე 798, ნაწ. I, ფ. 231).

ნიკიფორე კვლავ მიემგზავრება რუსეთს, სადაც კათალიკოსი ანტონ II მას არქიმანდრიტად აყურთხებს.

ნიკიფორე სთხოვს იონა ეგზარქოსს (იონა საქართველოს ეგზარქოსი იყო 1821—1832 წლებში) უვადო ბილეთს პეტერბურგს წასასვლელად — მირიან ირაკლის ძე მიბარებს და ჩემი ძმისწული სოლომონ მიხაილოვი მინდა თან წაიყვანო (ფონდი OBD, საქმე 170, ფ. 231).

1832 წელს ნიკიფორე არის „შუამთის მონასტრის ყმა და მამულის განმგებელი არქიმანდრიტი“ — უჩვენებს ფილადელფოს კიკნაძე 1832 წლის შეთქმულების საგამომძიებლო კომისიას (გზლ. 346). ნიკიფორე მიქელაშვილი იყო შუამთის მონასტრის შტატვარეშე არქიმანდრიტი (წინამძღვარი ამ მონასტრისა ამ დროს იყო მეორე ნიკიფორე არქიმანდრიტი, გვარად ჯორჯაძე, რომელიც მანამდე იყო ხირსის არქიმანდრიტი, ხოლო შემდგომ გორის ეპისკოპოსი). იგი ამ ხარისხით გარდაიცვალა 1841 წლის 3 ოქტომბერს. სიცოცხლეშივე, იმავე 1841 წლის აპრილში თავისი კუთვნილი ნივთები შუამთის მონასტერს შესწირა (საქ. ცსია, ფონდი 138/489, საქმე 7434, ფ. 1).

მოსე, ეგზარქოსი (1783—1834). საქართველოს ეგზარქოსი — მოსე — იგივე მათე მიხეილის ძე ბოგდანოვ-პლატონოვი. სწავლობდა ტროიცე-სერგეევის სემინარიაში, ბერად აღიკვეცა 1808 წ. 1814 წელს დაამთავრა პეტერბურგის სასულიერო სემინარია. 1817 წელს დანიშნეს კიევის სემინარიის რექტორად, 1819 წელს — კიევის აკადემიის რექტორად. 1822 წელს მიიღო ღვთისმეტყველების დოქტორის ხარისხი. 1824 წლიდან სტარაია რუსას ეპისკოპოსია. 1827 წლიდან ვოლოგდის ეპისკოპოსია. 1828 წ. დეკემბერში გადაიყვანეს სარატოვში. 1832 წლის მარტში დაინიშნა საქართველოს ეგზარქოსად.

იყო განათლებული კაცი. მისი ზოგი ქადაგება დაბეჭდილია. მაგალითად, „სიტყვა თქმული ოტომანის პორტასთან ზავის დადების გამო“ (СП6, 1829).



გარდაიცვალა თბილისში 1834 წელს, 13 იელისს. ნეკროლოგში დაწერა კ. სპასკი-ავტონომოვმა „სევერნაია პჩელაში“ 1834 წელს. იგივე ავტორი ახსენებს მას თავის «Всход на Арарат», М., 1839. 10.

ნოსე ეგზარქოსს ახსენებს გიორგი დავითის ძე ერისთავი ფილადელფოსისადმი საიდუმლო ანბანით მიწერილ წერილში 1832 წ. 15 ივნისს: „ზომ ვიცი, ჩამოხვალთ არქიერის სანახავათ, ძალიან კარგი კაცია, კარგად გაზდილი და განათლებული. ამას აქვს ხარისხი დოქტორ ფილოსოფიისა“ (გზლ. 102—103).

**მოდერნიზვილი იოანე.** სემინარიის მასწავლებელი.

სწავლობდა სემინარიაში. სემინარიელობის დროს დაუნიშნავთ „სტარშინა-დ“ იერუსალიმის (ჯვარიმამის) უბანში.

რუსულიდან თარგმნა კატეხიზმო. დაიბეჭდა მოსკოვს 1846 წ.

**მრევლიშვილი იოსტოს (?—1832).** იეროდიაკონი. დაიბადა მცხეთაში. დავით გარეჯის მონასტერში აღიზარდა. აქვე აღიკვეცა ბერად. თავის ხელით გამოჰკვეთა კლდეში ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია. სამი სენაკი და რამდენიმე არხი მონასტრის წყალსაცავის წვიმის წყლით ასავსებდა. ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია შიგნიდან გალესილია, აქვს კანკელი და ხატები. (Тифлисские Ведомости, 1832. № 40).

1812 წელს იეროდიაკონად ხელდასმული იოსტოს წავიდა იერუსალიმს წმიდა ადგილთა მოსალოცად, იქიდან მივიდა კონსტანტინეპოლს, შევიდა აია სოფიის ეზოში, უნდოდა ტაძრის დათვალიერება, მაგრამ თურქებმა გვემით და ლანძღვით გამოაგდეს. სტამბოლიდან მოვიდა ოდესას და იქიდან პეტერბურგის ალექსანდრე ნეველის ლავრას მიაღწია 1821 წლის 13 დეკემბერს. აქ ორი დღე გაატარა ტარასი ალექსი-მესხიშვილთან და შემდეგ ქართლსავე დაბრუნდა და დავით გარეჯის უდაბნოში დაბინავდა. გარდაიცვალა 1832 წელს. დასაფლავებულია მისგანვე გამოკვეთილი ეკლესიის კარის წინ (ტარასი. მონასტერთა აღწერა).

იერუსალიმელი ბერი იოსტოს სწერს იონა ხელაშვილს 1822 წლის 11 მარტს: „მოსკოვს რა მინდა, იქვე (გარეჯას) წავალო“. (S—1532. 202. 142).

**მურასოვი ბეჟან.** თბილისელი სომეხი.

ჩათვლილი იყო სოლომონ II-ის თბილისიდან 1810 წ. გაქცევის ხელშემწყობად და ამისთვის გადაასახლეს ტობოლსკში.

მურასოვი ოჯახიანად გადაასახლეს ტობოლსკში. იმერეთის დედოფალი მარიამი შუამდგომლობს, რათა თბილისელ მოქალაქე ბეჟან მურასოვს დანაშაული ეპატიოს.

1818 წლის 18 აპრილის სენატის დადგენილების თანახმად ბეჟან მუ-

რასოვს ეპატია დანაშაული და ნება მიეცა ოჯახიანად თბილისში დაბრუნებისა.

1819 წ. 26 დეკემბერს ბეჟან მურასოვი, მისი მეუღლე ნეონილა, და კატერინა (ქეთევანი) და შვილები ევგრაფი და ივანე ასტრახანში ჩამოვიდნენ. ცოლისა და შვილების ავადმყოფობის გამო შეჩერდნენ ასტრახანში (ფონდი 2/8, საქმე 685, ფ. 9).

**მუსინ-პუშკინი აპოლოს აპოლოსის ძე (17...—1805) კამერგერი.**  
გრაფმა მუსინ-პუშკინმა სთხოვა იმპერატორ პავლე I-ს ნებართვა გამგზავრებულყო კავკასიაში როგორც მოგზაური და შეეგროვებინა მასალა იქაური ლითონის საბადოების შესახებ. 1799 წლის 17 ოქტომბერს პავლე I-მა გამოსცა ბრძანება კნორინგის სახელზე, რომლითაც კნორინგს ავალეზდა ყველანიარად ხელი შეეწყო კავკასიის ხაზზე (ლინიაზე) მუსინ-პუშკინისათვის. მუსინ-პუშკინი საქართველოში ჩამოვიდა. 1800 წელს ის ხედება გიორგი XIII-ს. 1800 წ. მუსინ-პუშკინი იმპერატორთან აგზავნის თავის მოხსენებას ახტალისა და ალავერდის საბადოების თაობაზე. იმავე წელს იგი გზავნის მოხსენებას საქართველოს მდგომარეობის შესახებ, რომელშიაც ასაბუთებს საქართველოს რუსეთთან შეერთების რუსეთისათვის სარგებლიანობას. 1801 წელს მუსინ-პუშკინმა იწყო მდინების დამუშავება. 1802 წლის 20 აგვისტოს მუსინ-პუშკინი ტროშინსკის უგზავნის ახალ მოხსენებას, რომელშიაც ის ასაბუთებს საქართველოში მშვიდობიანობის დასამყარებლად აქედან სამეფო ოჯახის ყველა წევრის გაძევების აუცილებლობას, იძლევა წინადადებებს, როგორ უნდა გაუმჯობესდეს მიმოსვლის გზები იმერეთიდან და დალესტინიდან რუსეთში, საქართველოში რუსის ჯარის ნაწილების გამრავლებაზე და სხვ.

იგი დაწვრილებით აღწერს საქართველოს მდგომარეობას ამ დროისათვის. კითხულობს, როგორ მოიქცეს: „მართალია, ჩემთვის არ დაუვალეზბიათ აქაურ საქმეებში ჩარევა, მაგრამ მრავალნი, როგორც სამეფო კარის წევრები, ისე თავადები, იმიტომ რომ მენდობიან და საერთოდ აქაურები ჩემდამი კეთილგანწყობილნი არიან, მოდიან ჩემთან და მკეითხებიან რჩევას“. მუსინ-პუშკინის ეს წინადადებები განიხილა სახელმწიფო საბჭომ 1802 წლის 29 სექტემბერს (Архив Гос. Совета, т. III, ч. II, 1218—1219).

„მუსინ-პუშკინს შეხვდა შავი ჭირი, მაგარი ჭიმოური საშუალებებით თავი მოიჩინა, მაგრამ გამუდმებული ციებ-ცხელება დასჩემდა. იმპერატორმა ნება მისცა კავკასიის მინერალურ წყლებზე წასვლისა. მაგრამ ის ისე სუსტად იყო, ქალაქიდან ერთი მილის მოშორებით იძულებული შეიქნა შეჩერებულყო მდ. ვერესთან, სადაც ის შესამე დღეს კიდევაც გარდაიცვალა“. „იგი დიდი პატივით დაასაფლავეს თბილისის ბერძნულ ეკლესიაში“. „მე მთხოვეს შემეთხზა მისი საფლავისთვის წარწერა. მარმა-



რილოს დაფაზე ამოკვეთეს ჩემს მიერ შეთხზული 4 ტაეპი რუსულში და მისი თარგმანი ბერძნულ, ლათინურ და ქართულ ენებზე

«Погасший пламенный наук и добрых дел,  
хранит в молчании Кавказских стран предел  
и не умолкнул в век гремящей славы звуки,  
доколе свет будет чтить и разум и науки».

მისი ბიბლიოთეკა, ინსტრუმენტები და მისგან შეკრებილი ბუნების იშვიათობანი გაგზავნილ იქნა პეტერბურგის აკადემიაში. მაგრამ ერთი დიდი წიგნი, რომელშიაც მოთავსებული იყო მხატვარ ველეს მიერ დიდის ხელოვნებით შესრულებული 50-ზე მეტი ხედი საქართველოსი, მუსინ-პუშკინის სიკვდილის შემდეგ რა იქნა, ცნობილი არ არის. როცა მე 1816 წ. პეტერბურგში ვიყავ, გრაფი სტროგანოვისაგან გავიგე, რომ მას ეს წიგნი ლონდონში უნახავს (Записки С. А. Тучкова, Русский Вестник, 1906, июль, 340—341).

აპოლოს აპოლოსის ძე მუსინ-პუშკინის მოძრავი ქონების მემკვიდრე იყო მატრონა ალექსის ას. ოდინოკოვა, რომელიც გუვერნანტკად მსახურობდა მასთან. მუსინ-პუშკინისაგან მას ჰყავდა ორი შვილი: ვაჟი აპოლონი და ქალი ეკატერინე. მუსინ-პუშკინი გარდაიცვალა 1805 წელს.

1805 წლის 14 იანვრის ანდერძის თანახმად, მუსინ-პუშკინმა დაუტოვა მას მთელი თავისი მოძრავი ქონება და ფული, რომელიც მას ჰქონდა როგორც აქ, თბილისში, ისე მოსკოვში თავისი დეიდის გენერალ-პორუჩიკის ქვრივის ეკატერინე მასლოვას სახლში. ამ ანდერძის შედგენისას მოწმეებად იყვნენ პროტოიერეი იოსებ ზენობის ძე წინამძღვრიშვილი და ტიტულარნი სოვეტნიკი დიმიტრი ივანეს ძე გოლცოვი (საქართველოს ც. ა., ფონდი 16, საქმე 337).

მუსინ-პუშკინმა ამ ანდერძით ოდინოკოვას დაუტოვა 2000 მან. ოქროთი (იმპერიალებით), მრავალი ძვირფასი ბეჭედი, ოქროს საათები და სხვ.

მუსირიბიშვილი გოგია, აზნაური. კახეთის 1812 წლის აჯანყების მონაწილე. დაისაჯა პერშში გადასახლებით. 1813 წლის 1 მარტს ის პერშში ჩაიყვანეს.

1818 წლის მანიფესტით გაათავისუფლეს. გზად საქართველოსაკენ ასტრახანში ავად გახდა. 1819 წლის 4 იანვარს დააწვინეს ასტრახანის ზოგად შევერდომის საგანგოს (Приказ общественного призрения) საავადმყოფოში, სადაც მას მკურნალობდნენ. გამოჯანმრთელდა და 1 მარტს გაემგზავრა (მასთან ერთად ასტრახანს ჩამოვიდა სიმონ ანდრონიკაშვილი, რომელიც ავადმყოფობით გარდაიცვალა 27 თებერვალს. — სწერს ასტრახანის სამოქალაქო გუბერნატორის მოვალეობის აღმსრულებელი კუზნეცოვი ერმოლოვს 1819 წლის 23 მარტს).



**მუხრან-ბატონი გრიგოლ ივანეს ძე (1797—1861).** იოანე მუხრან-ბატონისა და ქეთევან ირაკლი II-ის ასულის მესამე ვაჟი. დაიბადა 1797 წელს. განათლება მიიღო პაეთა კორპუსში. 1815 წელს — პრაპორშჩიკია. 1822 წელს ავადმყოფობის გამო თავს ანებებს სამხედრო სამსახურს. 1827 წელს გაჰყვა პასკევიჩის სპარსეთში. მონაწილეობს კავკასიის მთიელებთან ომებში. 1745 წ. ებოძა პოლკოვნიკობა. 1848 წელს — სტავროპოლის გუბერნიის მუსულმანების ბოქაულია. 1850 წელს ქარ-ბელაქნის უფროსის თანაშემწე გენერალ-მაიორის ჩინით.

ცოლად ჰყავდა იმერეთის სარდლის ქაიხოსრო წერეთლის ქალი მარიამი (გარდაიცვალა 1877 წელს). მარიამის ერთი და გენერალ აფხაზს ჰყავდა ცოლად, მეორე — იესე ანდრონიკაშვილს. გრიგოლ მუხრან-ბატონი უშვილო გარდაიცვალა 1861 წელს („ცისკარი“, 1861, III, გრიგოლ ორბელიანის წერილი — ზუგდიდის მუზეუმის შრომები, ტ. I, თბ., 1947, გვ. 307 წერილი № 4).

რუსულიდან თარგმნა ფსკოვის არქივრის ირინეოსის „ქეშმარიტნი და მტკიცებანი ისტორიულნი ნამდვილმყოფობისათვის ქრისტესსა ქვეყანასა ზედა“. დაბეჭდა ქართულად და რუსულად პეტერბურგს 1819 წელს. (А Царели, Сведения.. III, с 148—156).

თარგმნიდა ბერანეტეს ლექსებს. თანამშრომლობდა „ცისკარში“.

**მუხრან-ბატონი ივანე კონსტანტინეს ძე (1812—1895).** დაიბადა 1812 წ. 7 თებერვალს ავჭალაში. მამა მისი კონსტანტინე იყო შვილი ერეკლე II-ის ასულის ქეთევანისა.

1830 წ. დაამთავრა პაეთა კორპუსი და ჩაირიცხა პრაპორშჩიკად ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში. 1833 წ. გადაიყვანეს ლეიბ-გვარდიის დრაგუნთა პოლკში (მთიელთა წინააღმდეგ ბრძოლებში თავის გამოჩენისათვის). 1845 წ. მიამაგრეს ერევნის კარაბინერთა პოლკს. 1848 წ. ბატალიონის სარდალია. 1853 წ. კავკასიის სარეზერვო ბრიგადის სარდალია გენერალ-მაიორის ჩინით. თავი ისახელა ბაშ-კადიკლარის ბრძოლაში 1853 წ. 19 ნოემბერს.

1858 წ. დივიზიის მეთაურია.

1875 წ. წარმოსთქვა ბრწყინვალე სიტყვა ლივადიაში, ერევნის პოლკის ალექსანდრე II-ის შეფობის 25 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმზე.

1881 წ. 14 იანვარს სამსახურიდან გადადგა. ი. კ. მუხრან-ბატონი იყო თბილისის გუბერნიის ყველაზე მსხვილი მიწათმფლობელი. ჰქონდა 400 დესეტინა ვენახი. მოჰყავდა 20 ათასი ვედრო ღვინო წელიწადში. მოწყობილი ჰქონდა სახელოსნოები, ლამორატორია, 2 არყის სახდელი ქარხანა.

1885 წ. აირჩიეს გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლად. ორი სამწლიანი ვადის გასვლის შემდეგ უარი თქვა ამ თანამდებობაზე (1891 წ.), თუმცა ბევრს ეხვეწებოდნენ დარჩენილიყო.



გ. წერეთელმა „კვალში“ დაბეჭდა წერილი „ივანე კონსტანტინეს ძე მუხრან-ბატონი. წარსული ამბები. ბიოგრაფია და ქალის მთისწინეთის წარმოების საქმის შესახებ“ („კვალი“, 1895. № 13, 14).

1836 წ. ცოლად შეირთო ლევან დადიანის ქალი ნინო (1816—1886). მისგან ჰყავდა ერთი ვაჟი, კონსტანტინე, შემდეგში თავად-აზნაურთა მარშალი (გარდაიცვალა 1903 წ.), კონსტანტინემ 1858 წ. ცოლად შეირთო ელისაბედ ნიკოლოზის ასული ფლავიანდიშვილი, მდიდარი და დიდი ქონების მემკვიდრე. ი. კ. მუხრან-ბატონი ლეონის საწყობებს ფლობდა მუხრანსა და დიღომშიაც, სადაც შენახული ჰქონდა ძველი ღვინოები დაწყებული 1872 წლიდან.

მოსკოვის 1882 წლის გამოფენაზე მისმა ღვინომ მიიღო უმაღლესი ჯილდო, პარიზის გამოფენაზე მიიღო მედალი «Poir le mérite agricole».

1882 წ. 6 ივნისს აირჩიეს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების იავმჯდომარედ.

თავისი დიდი შამულის (აწ. მუხრანის მეურნეობის) შესაქმნელად იგი არავითარ საშუალებას არ ერიდებოდა: იერთებდა მეზობლების წვრილ თუ მსხვილ მემამულეთა მიწებს. მისი სამეურნეო საქმიანობა საზოგადოებაში თუ ერთი მხრივ აღტაცებას იწვევდა (იხ. ალ. ორბელიანის წერილი „ჩვენი საქართველოს საზოგადოება“, „ცისკარი“, 1859, № 10, გვ. 173—180). მეორე მხრივ გაკილვას იმსახურებდა. (გ. დვანაძემ ალ. ორბელიანის წერილის საპასუხოდ დაწერა ლექსი, რომელშიაც ამბობდა:

„ჩემო პუპლიავ! რა ცუდათა ჰსჯი;  
ამბობ: მიგბაძით კნიაზ ივანეს  
მშვილსა, კეთილსა, ამათანვე მხნეს,  
მაგრამ, ვა მე, რა ცუდათა ჰსცდები,  
შენ ივანეს ჰაზრს როგორ მიხედები!  
(H—132, გვ. 21—22).

ივ. მუხრანსკის პიროვნების გაკილვას შეიცავს H—575 ხელნაწერში მოთავსებული პასკვილი:

„მოითმინეთ, ივანე, დიდო მუხრან-ბატონო,  
რომ თქვენს ბრწყინვალეობას ამ ლექსით გავაგონო  
წმინდა ჭეშმარიტება თქვესზედ ჭევეწად ფენილი  
და ჩემის სუსტის კალმით ნახევრად აღწერილი.

ყველაზედ უმაღლესი გვონია შენი თავი  
ყველას მასხარად იღებ, რა გინდ იყო პირშავი,  
შენგან ქველის საქმენი არაოდეს არ ქმნილან,  
უცხონიც, ნათესავნიც, შენგან ტანჯულ უოფილან.

ჭველაფერსა კადრულობ: მძლავრობას, მტაცებლობას  
სიბილწესა, მდაბლობას და ხან მასხარაობას,  
ახლაგზრდობითიგანვე ჩვეულ ხარ ჭმებაზობას —  
ახლაც გაქირეებაში იყენებ ამ ხელობას...

ვის მიმართონ საწყალთა? სად ჰპოვონ სამართალ?  
შენგან სისხლით დაკლულთა ვინა მიხსცეს წამალ  
რომელს სასამართლოში ისმინონ მათი გლოვა?  
ვევლან, სადაც შენ ხარ, ამაო არის თხოვა\*.



ი. შ. თავისი მიზნების მისაღწევად არაფრად აგდებდა არც სასამართლოს დადგენილებებს. ამან გამოიწვია ის, რომ ახალგაზრდა ვლადიმერ სუმბათაშვილმა ესროლა ივანე მუხრან-ბატონს სასამართლოს დარბაზში. (А. Сумбатов, В мощных объятиях, Петроград, 1919 г. 32—33).

ახალგაზრდობაში, როცა ის პაეთა კორპუსში სწავლობდა, გარკვეული შეხედულება ჰქონია დეკაბრისტების შეცდომებზე და კორპუსის მოწაფეებთან ლაპარაკობდა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოწყობილიყო შეთქმულება, რომ 10—15 წლის შრომით თანდათან უნდა მომზადებულიყო მეფის სახსლის დაკავება და სახელმწიფო წყობის შეცვლა («Показания пажа кн. Алексея Долгорукова о дерзких намерениях князя Багратиона-Мухранского», ЦГИАМ, III. О., I экспедиции, 358. л № 1).

გარდაიცვალა თბილისს 1895 წლის 11 მარტს, 15 მარტს დაასაფლავეს მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში («კავკაზ», 1895, № 69).

მუხრან-ბატონი იოანე კონსტანტინეს ძე (1757—1800). ერეკლე II-ის სიძე. სახლთუხუცესი ერეკლე II-სა და გიორგი XIII-ის დროს. მამა მისი კონსტანტინე მუხრან-ბატონი, ასევე სახლთუხუცესი, მოჰკლეს ლეკებმა ღართისკარს 1756 წელს. თეიმურაზ მეფემ და ირაკლი მეფემ მუხრანს „ნუგეში სცეს ცოლსა მისსა ბარბარეს<sup>15</sup>, რომელი იყო ასული არაგვის ერისთვისა ბარძიშისა“ (ვაჟუნა, გვ. 238).

იოანე მუხრან-ბატონმა 1776 წელს იქორწინა ერეკლე II-ის ქალ ქეთევანზე (იესე ოსეს ძის ცხოვრება, გვ. 75), რომელიც ამ დროს 12 წლისა იყო.

მონაწილეობდა 1795 წელს აღა-მაჰმადხანთან ბრძოლაში.

პლ. იოსელიანის გადმოცემით, გიორგი XIII-ს არ უყვარდა ივ. მუხრან-ბატონი. იგი მას ყოველთვის ერიდებოდა, ეშინოდა სახლთუხუცესობა არ ჩამოერთმია და ორბელიანისთვის არ გადაეცა.

იოანე მუხრან-ბატონსა და ქეთევანს ჰყავდათ 5 ვაჟი და ერთი ქალი.

1. კონსტანტინე (1779—1842), 2. თეიმურაზ (1781—?), 3. გრიგოლ (1797—1861), 4. დავით (1799—?), 5. ირაკლი (1800—?), 6. ბარბარე (1790—1843. თორნიკე ერისთავის ცოლი).

<sup>15</sup> ეს ბარბარე, კონსტ. მუხრან-ბატონის მეუღლე, იყო პოეტი. ჩვენამდე მოაღწია მისმა რამდენიმე ლექსმა. ბარძიშ არაგვის ერისთავის ქალი ე. მიჭაძემ ჩათვალა ბაგრატიონად იბ. მისი „ძველი საქართველოს პოეტი ქალები“, „ლიტერატურული საქართველო“, 1955, 21. X. № 42.

იოანე მუხრან-ბატონი გარდაიცვალა გიორგი XIII-ის მეფობაში მცხეთობა დღეს. იგი ლეკების დევნიდან შემობრუნებული, ცხენით მივიდა მცხეთას, სადაც ამ დროს, მცხეთობა დღეს, გიორგი XIII-ის მეფობაში სული სალოცავად. ეკლესიის ეზოში შესვლამდე იოანე ცხენიდან გადმოვარდა და მკვდარი დაეცა. მას სისხლი ჩაქცევია, ზოგის ცნობით იმის შიშით, რომ მოულოდნელად გიორგი მეფეს უნდა შეხვედროდა, ზოგის აზრით კი ლეკების დევნივ გადაღლილა.

იოანეს სიკვდილის თარიღი სხვადასხვანაირად არის მოცემული წყაროებში. პლ. იოსელიანი უჩვენებს 1798 წელს (გვ. 253), „მასალები“ — 1800 წელს (მასალები საქართველოს ისტორიისათვის, შეკრებილი დავით გიორგის ძისა და მისი ძმებისაგან. მ. ჯანაშვილის გამოც., გვ. 56); ხოლო ეპიტაფია საფლავისა—1801 წ., მაგრამ 1801 წლის 1 ოქტომბერი (მცხეთობა) არ შეიძლება ჩაითვალოს იოანეს სიკვდილის თარიღად, რადგან ამ დროს გიორგი XIII უკვე აღარ არის ცოცხალი და თანაც 1801 წლის მარტის საბუთში (A—1763) იოანეს მეუღლე ქეთევანი უკვე ქვრივად იხსენიება.

1798 წელიც არ შეიძლება იოანეს გარდაცვალების წლად მივიჩნიოთ, რადგან 1799 წლის იანვარში ქეთევანი ორსულია (საქ. სიძვ. III, 80), არც 1799 წლის ოქტომბერში გარდაიცვლებოდა იოანე, რადგან მომდევნო, 1800 წლის თებერვლის საბუთში ქეთევანი ქვრივი არ არის (საქ. სიძვ. III, 83). დაგვრჩენია ი. მუხრან-ბატონის სიკვდილის თარიღად 1800 წ. 1 ოქტომბერი მივიჩნიოთ.

**მუხრან-ბატონი კონსტანტინე ივანეს ძე (1779—1842).** სახლთუხუცესი იოანე მუხრანბატონისა და ქეთევან ერეკლე II-ის ასულის უფროსი ვაჟი. დაიბადა 1779 წ. მამის სიკვდილის შემდეგ (1800 წ. ოქტომბერს) ებოძა სახლთუხუცესობა. 1800 წ. 26 დეკემბერს მონაწილეობა მიიღო თავადაზნაურთა თათბირში, რომელზედაც (ჯერ კიდევ გიორგი XIII-ის სიცოცხლეში) გადაწყდა მხარი დაეჭირათ რუსეთის უფლების დამყარებისათვის საქართველოში და წინააღმდეგობა გაეწიათ აქ დავითის მეფედ გამოცხადებისათვის (პლ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი XIII-ისა, გვ. 210).

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ არის რუსეთის მომხრე და ხელის შემწყობი. 1808 წლიდან პოლკოვნიკია.

ცოლად ჰყავდა ხორეშან ზაალის ასული გურამიშვილი (1786—1831). ამათ ჰყავდათ 5 შვილი:

1. გიორგი (გარდაიცვალა 1877 წ. „ტაინი სოვეტნიკის“ წინით).
2. ივანე, გენერალი (გარდაიცვალა 1895 წ.).
3. მიხეილი.
4. ალექსანდრე (გარდაიცვალა 1851 წ.). ალექსანდრეს ცოლად ჰყავდა ოქროპირ ბატონიშვილის ქალი ანა, რომელიც დაქვრივების შემდეგ მისთხოვდა იტალი-



ის კონსულს ალექსანდრე ალბიცის. გარდაიცვალა პეტერბურგს 1898 წელს.  
 5. ირაკლი.

კონსტანტინე მუხრან-ბატონი იყო გუბერნიის მარშალი. მარშლად აირჩიეს 1830 წელს. არჩევნების დროს აღ. ქავჭავაძემ მას შავი კენჭი ჩაუგდო და ხმამაღლა განაცხადა: „გამოუცდებლობის გამო იგი არ არის ღირსი გუბერნიის წინამძღოლის ადგილისა“ (გზლ. 310).

გარდაიცვალა 1842 წელს მარშლის თანამდებობაზე.

მუხრანბატონა ქეთევან კონსტანტინეს ასული — იხ. ქეთევან კონსტანტინე მუხრანბატონის ასული.

მკედლოვი გრიგოლ (აკადემიკოს შეგრენის შრომათა მზრუნველი). ასწავლიდა ოსურ ენას თბილისის სასულიერო სემინარიაში. მან ეს ენა შეისწავლა ვლადიკავკაზში, როცა იქ სასწავლებლის ზედამხედველად მუშაობდა.

მის მიერ ოსურ ენაზე შედგენილი და რუსულიდან თარგმნილი წიგნები:

- 1) მოკლე საღვთო ისტორია მოკლე კატეხიზისით,
- 2) ოსური გრამატიკა,
- 3) ვრცელი კატეხიზისი,
- 4) ფსალმუნი,
- 5) ოთხთავი.

ყველა ეს წიგნი ჯერჯერობით ხელნაწერის სახითაა. ფსალმუნი მოიწონა აკადემიკოსმა შეგრენმა (პლ. იოსელიანი, *Осетинская грамматика академика Шегрена. Закавказский Вестник, 1845, 24 мая, № 11*).

1846 წლის კავკასიის კალენდრით თბილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებლებში დასახელებულია „გუბერნიის სეკრეტარი“ გრიგოლ მკედლოვი.

ნათალიშვილი გორჯასპი გივის ძე. ფარეშთუხუცეს გივი ნათალიშვილის მეორე ვაჟი. 1789 წ. საბუთით გივი ნათალიშვილს ჰყოლია შვილები: გიორგი, გორჯასპი, გრიგოლ და სვიმონ (დოკ. სოც. ისტ. II, № 231).

1803 წელს ულუმბის მთაზეა მისული მალხაზ ანდრონიკოვთან ერთად, აქედან იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილების სახელით სოლომონ ამირეჯიბს გზავნიან სოლომონ და ესტატე თარხნიშვილებთან (აქტები, II, № 217). მონაწილეობს ბატონიშვილებთან იმერეთში თათბირის დროს. ჩადის კაწალხევში და იქიდან ხევსურეთში ბაბახანისა და ალექსანდრე ბატონიშვილის წერილებით 1805 წ. იანვარში. ხევსურეთიდან გორჯასპი მიდის დუდარუკოსთან საჩუქრებითა და ხალათებით ალექსანდრე ბატონიშვილისაგან. 1812 წელს კახეთის აჯანყების დროს, გორჯასპი

ალექსანდრე ბატონიშვილმა გააგზავნა სამხედრო გზაზე ხიდების  
რეკონსტრუქციის და ხალხის ასაჯანყებლად. გორჯასპის აგიტაციის შედეგად  
მთიელი შეიკრიბა, რომლებიც სექტემბერში სტეფანწმიდას დაესხნენ  
თავს.

ალექსანდრე ბატონიშვილს გადაჰყვება დაღესტანში და 1818 წელს  
სპარსეთში, სადაც კვდება (პუპლია, მოგონება მამაზე. გვ. 31).

გორჯასპის ცოლად ჰყავდა გუქა, დიმიტრი ორბელიანის ასული, პუპ-  
ლიას მამიდა. ამათი შვილი დავითი შემდეგში პორუჩიკია.

**ნათალიშვილი გუქა დიმიტრის ასული.** დიმიტრი ორბელიანის ასუ-  
ლი აზნ. გორჯასპი ნათალიშვილის — ფარეშთუხუცესის გივი ნათალიშვი-  
ლის ვაჟის (დოკ. სოც. ისტ. II, 144) — მეუღლე (პუპლიას მამიდა).

ალექსანდრე ჰავჭავაძე უჩვენებს: როცა ალექსანდრე ბატონიშვილი  
1812 წელს კახეთში იყო, მან სიგელით უწყალობა სოფელი ნათარეული  
თავის ფავორიტს — გორჯასპი ნათალოვს, რომელიც შემდეგ მოკვდა.  
ნათარეული კი ჩემი მთავარი სოფელი იყო (ფონდი 1457, რვ. XVI,  
2922—52).

გუქას მეუღლე გორჯასპი კახეთის 1812 წ. აჯანყების დროს ალექსან-  
დრე ბატონიშვილის მითითებების შემსრულებელია.

გუქა, როგორც აჯანყების მონაწილე, სამართალში მისცეს. სასამართ-  
ლოს სხდომა 1812 წლის 20 ნოემბერს დაიწყო. ამ სასამართლომ დამნა-  
შავედ ცნობილ გუქა ნათალიშვილს გადაუწყვიტა კურსკის გუბერნიის  
მონასტერში გადასახლება. 1816 წ. 8 მაისს გამოიცა ალექსანდრე I-ის  
ბრძანება, რომლითაც 1812 წლის აჯანყების მონაწილეთ, გარდა მონაწი-  
ლე ქალებისა (ასეთი იყო 2: ეკატერინე ჩოლოყაშვილი და გუქა ნათალი-  
შვილი), სასჯელი შეუმსუბუქდათ. გუქა კურსკის გუბერნიის ბელოგორო-  
დის დედათა მონასტერშია 1813 წლის თებერვლიდან. 1820 წელს გამო-  
იცა ბრძანება მისთვის დანაშაულის პატიების შესახებ და საქართველოში  
დაბრუნების ნება მიეცა. გუქას სიღარიბის გათვალისწინებით მთავრობამ  
გამოჰყო თანხა სახარჯოდ მის საქართველოში დასაბრუნებლად. მაგრამ  
გუქამ უარი განაცხადა ამ თანხის აღებაზე და მონასტრიდან გამოემგზავ-  
რა კერძო პირთა დახმარებით (შინაგან საქმეთა მინისტრის ცნობა 1820 წ.  
17.II, ფონდი 2/8, საქმე 486, ფ. 90).

**ნათალიშვილი დავით გორჯასპის ძე.** პორუჩიკი. ალექსანდრე ორბე-  
ლიანის მამიდაშვილი. ალექსანდრე (პუპლია) ორბელიანის მამიდა გუქა  
ცოლად ჰყავდა კახეთის აზნაურ გორჯასპი ნათალიშვილს. გორჯასპის შვი-  
ლია დავითი, თავად ვარშავსკი — გრაფ პასკევიჩ-ჟირიანსკის ფეხოსანი  
პოლკის პორუჩიკი. 1831 წელს პორუჩიკი დავით ნათალოვი ალექსანდრე  
ორბელიანის სახლში ცხოვრობდა. 1832 წ. შეთქმულების მონაწილეთა



განზრახვა იყო 4 ქართველი ოფიცრის (ნათალოვი, ჯორჯაძე, მამაცთვეთაძე, წერეთელი) საშუალებით სასწავლო ბატალიონის მოსყიდვა. ეს განზრახვა ალ. ორბელიანმა გაუმყლავნა დ. ნათალოვს, რომელიც ამაზე კარგა ხნის ჰოკმანის შემდეგ დათანხმდა (გზლ. 385).

საგამომძიებლო კომისიამ დ. ნათალოვი მე-7 კატეგორიის დამნაშავედ (ანუ ისეთ პირად, ვინც იცოდა შეთქმის ამბავი, მაგრამ არ ეთანხმებოდა მას) სცნო და სასტიკი მეთვალყურეობის ქვეშ ყოფნა მიუსაჯა.

**ნათალიშვილი ივანე გოგიას ძე.** აზნაური. კახეთის 1812 წ. აჯანყების მონაწილე. იგი გადაასახლეს ტობოლსკს. გაამგზავრეს მოზდოკისა და ასტრახანის გავლით. სახარჯოდ მისცეს დღეში 10 კაპ., თბილისიდან მოზდოკამდე 20 დღისა — 2 მანეთი; მოზდოკიდან ტობოლსკამდე 7 თვისა — 21 მან. 40 კაპ. (ფონდი 2 (8), საქმე 272, ფ. 18).

ივანე გოგიას ძე ნათალოვი 1818 წელს შეწყალებულია სიაში გამორჩათ და დარჩა ციხიბრში დრომდე.

1821 წლის 1 იანვარს მისი და პაპუა აბელოვის ცოლი ნინო თხოვნით მიმართავს თელავის მაზრის მარშალს ალექსანდრე მაყაშვილს „გამოხსნისათვის... ივანე ნათანოვისათვის“.

ტობოლსკის სამოქალაქო გუბერნატორი 1821 წლის 19 ნოემბერს აცნობებს ველიამინოვს, რომ ივანე გოგიას ძე ნათალოვი საქართველოში გამოემგზავრა (ფონდი 2/8, საქმე 486, ფ. 122).

**ნათალიშვილი სამსონ გოგიას ძე.** იყო სართიქალაში მოურავად (აქტები, I, № 157). 1812 წლის კახეთის აჯანყების მონაწილე. როგორც საქმეებიდან ჩანს, იგი ყოფილა ძმა ტობოლსკში გადასახლებული ივანე გოგიას ძე ნათალიშვილისა.

სამსონ ნათალიშვილი გადაასახლეს პერმს. 1813 წლის 1 მარტს ის პერმშია.

1821 წლის 1 იანვარს მისი მეუღლე ელენე სთხოვს თელავის მაზრის მარშალს ალექსანდრე მაყაშვილს მის განთავისუფლებას.

**ნამორაძე ნიკოლოზ ზაქარიაძე ძე (1872—1923).** დაიბადა 1872 წ. დუშეთის მაზრის აზნაურის ოჯახში. სწავლობდა თელავის სასულიერო სასწავლებელში 1883—1888 წლებში. თბილისის სასულიერო სემინარიაში 1888—1895 წლებში, აქ მიიქცია სასულიერო მთავრობის ყურადღება თავისი ნიჭით (წერდა ლექსებს) და მკვერამეტყველებით. უმაღლესი განათლება მიიღო პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში 1895—1900 წლებში. აკადემიის დამთავრების შემდეგ დაინიშნა თბილისის სასულიერო სასწავლებელში ქართული ენის მასწავლებლად. 1902 წელს ალიკვეცა ბერად ნიკოლოზისავე სახელის შენარჩუნებით და მღვდელმონაზონად

კურთხევით. 1904 წ. დაინიშნა გელათის მონასტრის წინამძღვრად და აყვანილ იქმნა არქიმანდრიტის ხარისხში. მიიღო მონაწილეობა 1905 წელს რევოლუციაში. ამისთვის იგი თანამდებობიდან გადააყენეს, აუკვეთეს მღვდელმსახურება და ხარკოვის ეპარქიის ერთ-ერთ მონასტერში გადასახლება მიუსაჯეს. ნ. ნამორაძე არ დაემორჩილა ამ განკარგულებას, გაიხადა ანაფორა და არალეგალურად ცხოვრობდა თბილისში. თავს ირჩენდა ლიტერატურული შრომით. შეეკედლა სოც.-ფედერაციული გაზეთის რედაქციას. 1908 წელს წავიდა ემიგრაციაში. ცხოვრობდა სტამბოლში ქართველ კათოლიკეთა მონასტერში.

1917 წ. თებერვლის რევოლუციის შემდეგ დაბრუნდა საქართველოში და კვლავ ჩაიკცა ანაფორა. იყო ისევ გელათის, შემდეგ მოწამეთას მონასტრის არქიმანდრიტად. გარდაიცვალა 1923 წელს.

ნ. ნამორაძის საკანდიდატო თემა იყო: «Церковное управление в Грузии до присоединения ея к России». იგი დამყარებულია სინოდის საარქივო მასალებზე, შეიცავს ცნობებს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდგომ დროზეც (დაცული იყო საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ბიბლიოთეკაში — უნივერსიტეტში, შემდეგ ეს ბიბლიოთეკა საჯაროს გადაეცა).

ალ. ჯაბაღარის ცნობით (ყურნ. „მნათობი“, 1939, № 4, გვ. 199—200), ნ. ნამორაძემ ინფორმაცია მიაწოდა 1905 წელს მეფის მთავრობის „ეკზეკუციებზე“ დასავლეთ საქართველოში უცხოეთიდან თბილისში ჩამოსულ ნეველსონსა და დრაზორსტს, რომელთაც ეს ცნობები გამოიყენეს დაჩაგრულ ერთა მფარველ ლიგაში მოხსენების წარდგენისას.

აკაკი წერეთელი იაკობ გოგებაშვილთან მიწერილ წერილში გულისხმობს ნამორაძეს: „მივიღე თამარაშვილის წერილი რომიდან... მიბარებს რომში. მე ჩასვლის დასტური მიეწერე, ჯერ ვერ წავალ, რადგანაც საგზალზე ნაკლებათა ვარ და სტამბოლიდანაც ნიკოლოზი უნდა დავიბარო, რასაკვირველია, ჩემი ხარჯით“.

**ნასიროვი აბუთურაბ.** თბილისელი მირზა აბითურაბის შვილის ბაბაშის ძე. „კალმასობის“ მიხედვით — ნასიროვის მამა ბაბაში ვეზირის ძე იყო, რომელიც „სახლობდა ტფილისის კარისკაცად“.

აბითურაბ ნასიროვის პაპას — მირზა აბითურაბს ეკუთვნოდა სახლი თბილისში ბატონის მოედანზე ჩამომავალ ქუჩაზე. ეს სახლი 1766 წ. მირზა აბითურაბის შვილებმა ბაბაშმა, ალიყულიმ და მურთუზაყულიმ გაუცვალეს რევაზ ორბელიანს (დოკ. თბ. ისტორიისათვის, I. № 246). ამ მირზა აბითურაბის შვილი ბაბაში ერეკლე II-ის დროს სხვადასხვა დიპლომატიურ დავალებებს ასრულებდა სპარსეთის ხანებთან, ხოლო მისი შვილიშვილი, პაპის მოსახელე აბუთურაბი „კალმასობის“ მიხედვით „მეფე ერეკლესაგან იყო გაზრდილი“ და მთარგმნელობაში გაწაფული.

XVIII ს-ს 90-იანი წლებიდან მსახურობს საგარეო საქმეთა კოლეჯში. აში თარჯიმნად (ფონდი *Сношение России с Грузией 1792—1796 г.* საქმე 4546, ფ. 25). აქვს ნადვორნი სოვეტნიკის ჩინი.

1804 წელს თარჯიმნა რუსულად ერეკლე II-ს სიგელი ბოძებული მი-რიანისადმი 1794 წელს (ფონდი 2, საქმე 105, ფ. 515). საქმეებში შენა-ხულია ნასიროვის ნათარჯიმნი რამდენიმე დოკუმენტი (იქვე, ფურც. 518).

**ნიკიფორე ხირსის არქიმანდრიტი** (1778—1851). გვარად ჯორჯაძე. დაიბადა საბუეში.

ბერად აღკვეცა ბოდბეში წმ. ნინოს მონასტერში იოანე ბოდბელმა 1800 წელს. მანვე იმავე წელს აკურთხა იეროდიაკონად. 1806 წელს ხელ-დასმულ იქნა მღვდელმონაზონად. 1806 წელს კათალიკოსმა ანტონ II-მ აკურთხა არქიმანდრიტად და გაამწესა ხირსის წმ. სტეფანეს მონასტერში. 1807 წელს წარადგინეს წმ. ანას II ხარისხის ორდენზე. 1826—1827 წწ. სხვებთან ერთად ესეც მიაღწინეს იმერეთში იქაური ეკლესია-მონასტრე-ბის შემოსავალ-გასავლის დასადგენად. 1842 წელს ევგენი ეგზარქოსმა და დავით მიტროპოლიტმა აკურთხეს გორის ეპისკოპოსად (ფონდი 138, საქმე 62457, ფ. 3).

1842 და 1843 წლებში არქიეპისკოპოს სოფრონის გარდაცვალების გამო ნიკიფორე დროებით განაგებდა იმერეთის ეპარქიას, რომელსაც მა-შინ ეკუთვნოდა აგრეთვე გურიის ეპარქია (შემდგომში გამოცალკევდა).

1851 წელს სინოდმა მას ჩააბარა შუამთის მონასტრის გამგებლობა. მაგრამ იმავე 1851 წ. გარდაიცვალა. გაზეთ „კავკაზ“-ში დაიბეჭდა ნეკ-როლოგი ნიკიფორეზე. ეს ნეკროლოგი ეკუთვნის გაზეთის რედაქტორს სლოვიცკის („კავკაზ“, 1851, № 94). (ნეკროლოგში არის რამდენიმე შეც-დომა).

1813 წ. ნიკიფორე იყო დავით გარეჯის მონასტერში. აქ მან ნახა ფი-ლადელფოს კიკნაძე, რომელიც თან წამოიყვანა ხირსაზე. ამანვე მიაბარა ფილადელფოსი სასწავლებლად იოსტოს ანდრონიკაშვილს ვეფინის ეკლე-სიაში.

ფილადელფოს კიკნაძის სიტყვით, ნიკიფორე სიძეა ალექსანდრე ჭავ-ჭავაძისა (გზლ. 276).

ნიკიფორეს საერო სახელი შეიძლება იყო ნოდარი. ხელნაწერ H—664-ს აწერია: „ნოდარი არქიმანდრიტი ნიკიფორესი არს ესე“ (333r.). ჯორჯაძეებში ნოდარის სახელი ძალიან მიღებული იყო და ხშირად ისინი „ნოდარი“ შეილებად იწოდებიან. ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს ხელნა-წერ S—1191-ის მინაწერი: „ნოდარი არქიმანდრიტი ნიკიფორესი არს ესე“ (237v).

**ნიკოლა პატრი.** 1792 წელს სამ კაფუცინთან ერთად რომიდან საქარ-





თველოში გამოგზავნეს პატრი ნიკოლა რუთილიანელი (მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა. გვ. 406).

ნიკოლა რუთილიანი გამოჩენილი ექიმი და მეტად მიჩნეული იყო ქართველებისაგან (იქვე 490).

პატრი ნიკოლა, რომელიც მიღებული იყო გიორგი XIII-ის კარზე, არ ურჩევდა მეფეს რუსეთთან შეერთებას. — უცხო ნათესავი. პატრონად ქვეყანისა მოყვანილი, შეექმნება ერსა მტერად და მღევნელად (პლ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი XIII-სა. გვ. 154).

პატრი ნიკოლა არ ემორჩილებოდა თავის უფროსებს და მრევლს ბოროტ მაგალითს აძლევდა. ამიტომ უნდოდათ მისი საქართველოდან გაძევება. პროპაგანდამ პეტერბურგში მინისტრს სთხოვა მთავრობას შემწეობა აღმოეჩინა მისი საქართველოდან გასტუმრებისათვის. საქართველოს მთავარმართებელმაც ამის შესახებ ბრძანება მიიღო. ბოლოს პატრი ნიკოლა დათანხმდა იტალიაში წასვლას (თამარაშვილი, გვ. 490). პატრი ნიკოლა „განაძეს ქართლით 22 ნოემბერს 1801 წელს“ (პლ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი XIII-ისა, გვ. 154). იტალიაში მიმავალი პატრი ნიკოლა გზად იმერეთში შეჩერდა. სოლომონ მეფემ და იქ მყოფმა ქართველმა ბატონიშვილებმა იულონმა და ფარნავაზმა მოინდომეს პატრის იმერეთში დატოვება. ბატონიშვილებმა წერილი მისწერეს რომის კარდინალს, რომელსაც სთხოვდნენ „მისცეთ უმაღლეს ბრძანება პატრი ნიკოლოზს ჩვენთანა ყოფნისა“ (1803 წლის 20 ივნისს). 1804 წლის 9 ივნისს რომის პროპაგანდამ ნება დართო პატრი ნიკოლას დარჩენილიყო მეფე სოლომონთან. (თამარაშვილი, გვ. 491—494).

პატრი ნიკოლა ქუთაისში დარჩა სოლომონ II-ის მკურნალად. იგი არის გრიგოლ დადიანთანაც სუჯუნაში. 1804 წელს, როცა გრ. დადიანი გარდაიცვალა, ლიტვინოვი ატყობინებდა ციციანოვს, რომ გრიგოლ დადიანმა თავისთან ექიმად მიიწვია კათოლიკე პატრი ნიკოლა, რომელსაც აბრალებენ გრიგოლის მოწამლვასო (აქტები, II, № 942).

1805 წ. 21 იანვარს ციციანოვი მიუწერს ლიტვინოვს — დაითანხმოს მეფე სოლომონი ნიკოლას თბილისში გამოგზავნაზე და თუ ნებით არ წამოვა, ძალით გამოგზავნონ (აქტები, II, № 832).

პატრი ნიკოლა თბილისში ჩაიყვანეს. აქ თითქოს დაადგინეს, რომ ნიკოლას გრიგოლ დადიანის სიკვდილში ბრალი არ ედებოდა და გაათავისუფლეს. 1805 წ. 15 ივნისს სოლომონ II სწერს ციციანოვს — გავიგე, პატრი ნიკოლა გაგიათავისუფლებიათ, ხალხი უექიმოდ არის, გამოგზავნეთ ჩვენს სამეფოშიო (აქტები, II, № 868).

„აქტების“ III ტომში 1044 ნომრად დაბეჭდილია პატრი ნიკოლას უქვეშევრდომილესი თხოვნა (უთარილო, მაგრამ ციციანოვის სიკვდილის შემდეგ დაწერილი), რომელიც მეტნაკლებად არკვევს გრ. დადიანის სიკვდილის დეტალებს.



1808 წლის იანვარში გუდოვიჩი სწერს ტორმასოვს — პატრიონის მოქუდა  
 ლა 4 თვით დამეთხოვა იმერეთ-სამეგრელოში ვალების ასაკრებად, მაგრამ  
 ავერ ნახევარ წელზე მეტია გასული და აღარ ბრუნდებოთ (აქტები, III,  
 № 273).

პატრი ნიკოლა გარდაიცვალა 1811 წ. 10 ივლისს. „პატრი ნიკოლა ე-  
 მით მოქუდა“ (H—2782).

ნიკოლაი ალექსანდრე პავლეს ძე (1821—1899). ბარონი. აღ. ჭავჭა-  
 ვაძის სიძე. დაიბადა კოპენჰაგენში 1821 წ. 25 დეკემბერს. გარდაიცვალა  
 1899 წ. 3 ივლისს ვიბორგში, ერთ-ერთ კუნძულზე; იქვეა დასაფლავებუ-  
 ლი. მისი მეუღლეა სოფიო ალექსანდრეს ასული ჭავჭავაძე (დაიბადა  
 1833 წ., გარდაიცვალა კიევს 1862 წელს).

1852—59 წლებში იყო კავკასიის სამოქალაქო ოლქის მზრუნველი.  
 1863—74 წლებში მეფის ნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსი; მისი  
 ხელმძღვანელობით ჩატარდა საქართველოში საგლეხო, სასამართლო და  
 საქალაქო რეფორმები. აქვს მოგონება საგლეხო რეფორმის შესახებ ამიერ-  
 კავკასიაში (Русский Архив, 1892, г., № 5, 6, 8).

ნიკოლაი ლეონტი პავლეს ძე. ბარონი, გენერალ-ლეიტენანტი, გენე-  
 რალ-ადიუტანტი, კავკასიის გრენადერთა კორპუსის უფროსი. მკოდნე და  
 განათლებული ოფიცერი. აუღელვებელი გაცხარებული ბრძოლის დრო-  
 საც კი. 1860-იან წლებში რელიგიურ მისტიციზმში გადავარდა, ლუთერა-  
 ნობიდან კათოლიკობაში გადავიდა, ხშირად დადიოდა თბილისის კათოლი-  
 კურ ეკლესიაში, ბოლოს, სამსახურიდან გადადგა და სამხრეთ საფრანგეთ-  
 ში ერთი ყველაზე უფრო მკაცრი, ასკეტური ორდენის წევრი გახდა.  
 А. Зиссерман, 25 лет на Кавказе, ч. II, с. 312—313).

ნინო, დედოფალი სამეგრელოსი (1772—1847). გიორგი XIII-ისა და  
 მისი პირველი მეუღლის ქეთევან ანდრონიკაშვილის ქალი. დაიბადა  
 1772 წ. 7 აპრილს. 1791 წელს მიათხოვეს კაცია დადიანის ძეს გრიგოლს,  
 რომელიც დადიანად დაჯდა 1788 წელს. გრიგოლმა ნინო „წარიყვანა დი-  
 დისა მზითვითა ოდიშს“ (ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა,  
 თ. ლომოურის გამოც., გვ. 61).

გრიგოლ დადიანი ერთი პირობა „განძეგებულ“ იყო დადიანობისა-  
 გან, იგი სხვა იმერელ თავადებთან ერთად ცდილობდა სოლომონის ტახ-  
 ტიდან გადაგდებას. ეს განზრახვა ცნობილი გახდა სოლომონისათვის და  
 გრიგოლ იძულებული შეიქნა გაქეუულიყო თელავს მეფე ერეკლესთან.  
 ერეკლე მეფემ გრიგოლი სოლომონთან გაგზავნა და მიუწერა — კვლავ  
 დადიანად დაეყენებინათ. გრიგოლი ხელახლა გადადიანდა.

1802 წელს დავით ბატონიშვილი სწერს კნორინგს: „ჩემმა სიძემ,  
 ოდიშის ბატონმა დადიანმა ჩემი და ნინო გაუშვა და თ. ჩიჩუას ქალი შე-



ირთო ცოლად. ამ საქციელით ჩემს ოჯახს დიდი სირცხვილი შეაქვია (აქტები, I, № 715). შემდეგში ნინო და გრიგოლ დადიანი შერიგდნენ. 1804 წ. გრიგოლ დადიანი გარდაიცვალა. მისი გარდაცვალების მიზეზად მოწამლვას ასახელებდნენ, ზოგი ამ მოწამლვას ნინო დედოფალს ამრალეზდა, ზოგი პატრი ნიკოლას. ალექსანდრე I-მა დადიანად დასვა გრიგოლისა და ნინოს ვაჟი ლევანი, რომელიც ქელეშ ბეგს ჰყავდა მძევლად და ამ დროს 14 წლისა იყო. ლევანს იმპერატორმა უბოძა გენერალ-ლეიტენანტობა და ანნას ორდენი. 1805 წ. 26 იანვრის რესკრიპტით სამეგრელოს მთავრის გრიგოლის ქვრივი ნინო დაინიშნა თავისი ვაჟის ლევანის მზრუნველად და სამეგრელოს მთავრად მანამ, სანამ მისი ვაჟი 20 წლისა შეიქნებოდა (აქტები, II, 498).

1809 წ. ნინო, სამეგრელოს დედოფალი, ტორმასოვის მოწერილობის თანახმად, ოდიშ-ლეჩხუმელთა ლაშქრით მონაწილეობს ფოთის ციხის აღებაში.

1810 წელს ნინო ეხმარება პოლკოვნიკ სიმონოვიჩის ჯარს სურსათის მიცემით.

ნინო გადასახლდა რუსეთში 1811 წ. (პლ. იოსელიანი).

1819 წ. ერმოლოვს ატყობინებს კოზოდავლევი რომ ნინო გიორგის ასული მიემგზავრება კავკასიის მინერალურ წყლებზე სამკურნალოდ.

1820 წ. 30 ივნისის დადგენილებით ნინო გიორგის ასული უნდა გადასახლდეს რიაზანს (აქტები, VI—I, 627).

1822 წლის დეკემბერში იმპერატორმა ნება მისცა სამეგრელოს დედოფალს ნინო გიორგის ასულს იცხოვროს იმპერიის ორსავე დედაქალაქში და აგრეთვე რუსეთის რომელ ქალაქშიაც უნდა (ფონდი 2/8, საქმე 1021, ფ. 5—6).

გარდაიცვალა 1847 წელს. დასაფლავებულია პეტერბურგის ალექსანდრე ნეველის ლავრის თევდორეს ეკლესიაში.

ნინო სამეგრელოს დედოფალს ჰყავდა 2 ვაჟი — ლევანი და გიორგი და 4 ასული: ეკატერინე (გათხოვილი შერვაშიძეზე), მარიამ (ერისთავის მეუღლე), ელენე (მიქელაძის მეუღლე), ეკატერინე (ბეგლარ ორბელიანის მეუღლე).

**ნინო, ილუმენია სამთავროსი** (1816—1905). ანა ამილახვარი ერობაში. დაიბადა 1816 წ. 6 იანვარს. გაზარდა მამიდამ — მცხეთის ილუმენიამ ნინომ (გარდაიცვალა 1839 წ.). 1855 წელს ტარასი არქიმანდრიტმა აღკვეცა მონაზონად. 1863 წელს დაადგინეს სამთავროს დედათა მონასტრის გამგედ. 1865 წელს ილუმენიად იქმნა აღყვანილი.

1866 წელს გამართა დედათა სასწავლებელი. 1880 წ. თბილისში დაარსა ქალთა საეპარქიო სასწავლებელი.

1890 წლის 2 ოქტომბერს გადაუხადეს იუბილე — ილუმენიობის 25



წლისთავი. სიტყვებით გამოვიდნენ: ნიკოლოზ იაკინთეს ძე ალექსი-მესობაშვილი (მისი დისწული), დავით ლუარსაბის ძე ამილახვარი, დუშეთის მაზრის მარშლის კანდიდატი ლევან მუხრანსკი, მისი ყოფილი მოწაფე მარიამ მახარაძე და სხვ. („ივერია“, 1890. 5 ოქტომბერი, № 211, გვ. 1—2).  
გარდაიცვალა 1905 წ. დასაფლავებულია მცხეთის სამთავროს მონასტრის ეზოში.

**ნინო (ლევან ბატონიშვილის ქვრივი).** ქაიხოსრო ანდრონიკაშვილის— („მიჯნურთ ბალის“ ავტორის) ასული. დაიბადა 1766 წლის 15 ნოემბერს. 1775 წელს მიათხოვეს ერეკლე II-ისა და დარეჯან დედოფლის პირველ ვაჟს — ლევან ბატონიშვილს.

ლევანი გარდაიცვალა 1781 წელს. ნინო, მისი ქვრივი აღარ გათხოვილა.

**ოდიე (1772—18...).** ფრანგი, დაიბადა მარსელთან ახლოს. მსახურობდა დრაგუნთა პოლკში. 1798 წელს, როცა პოლკი უნდა გაეგზავნათ ეგვიპტეში, ოდიე გამოიქცა პოლკიდან, საფრანგეთის და იტალიის სხვადასხვა ადგილებში მუშაობდა მზარეულად, ჯარების მომმარაგებლად, ტრაქტირის მებატრონედ. 1817 წელს ჩავიდა ოდესაში, აქ ჯერ იყო მზარეულად გენერალ პონსეტთან, მერე კირიაკოვის მაუდის ქარხანაში იტალიური კოლონიის ზედამხედველად. 1824 წელს ჩამოვიდა თბილისში და აქ პურის საცხობი და ტრაქტირი გახსნა. 1829—1830 წლებში რუსის ჯარის მარკიტანტი იყო ერზერუმში. 1830 წელს მობრუნდა თბილისში. აქ ჩხუბი მოუვიდა ფრანგ მილსოტთან და ორი წლით მეტეხის ციხეში ჩასვეს. ციხეში ის დაუახლოვდა იესე ფალავანიშვილს. (რომელიც მეტეხის ციხეში იჯდა გაქცევის გამო).

ციხიდან გაათავისუფლეს 1832 წლის ივნისში. შემდეგ ის მუშაობდა ბავშვების აღმზრდელად ერთ სომხის მასწავლებელთან.

1832 წლის ბოლოს მასზე ეკვი იქნა მიტანილი როგორც შეთქმულების მონაწილეზე.

ალექსანდრე ორბელიანი უჩვენებდა, თითქოს ერთ ფრანგს იესე ფალავანიშვილისათვის ეთქვა რომ ქართველებმა პოლონელების მსგავსად რევოლუცია უნდა მოახდინოთო. კომისიამ დაადგინა, რომ ეს ფრანგი ოდიე უნდა ყოფილიყო. მაგრამ ოდიემ უარყო თავის ჩვენებებში რაიმე ურთიერთობა ქართველებთან ქართულის უცოდინარობის გამო. თუ რაიმე საქმე ჰქონდა ქართველებთან, ეს იყო ვალი, რომელიც ზოგს ემართა მისი იმ დროიდან, როცა მას პურის საცხობი და ტრაქტირი ჰქონდა (საქართველოს ცსია, ფონდი 1457, რვ. IX. ფ. 1537—1538).

1832 წლის შეთქმულების საგამომძიებლო კომისიამ იგი მიაკუთვნა X კატეგორიას, ანუ ისეთ პირთ, რომელთაც არავითარი ეკვი არ ედებათ.



ონიკოვი ნიკოლოზ. უწოდებდნენ სახელად კიკოლა დიაკვანსი <sup>საქართველოს ეპისკოპოსი</sup>  
 გი XIII-ის მწერალი.

იყო მოსკოვის გიორგი XIII-საგან გაგზავნილ დეპუტაციის შემადგენლობაში. დაესწრო 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტის გამოცემას მოსკოვში.

1802 წელს მობრუნდა რუსეთიდან.

აღწერა მოსკოვისა და პეტერბურგის ღირსშესანიშნაობანი — დღევანდელი მისი მოგზაურობისა მცხეთიდან პეტერბურგამდე. ამ მოგზაურობაში მონაწილეობდნენ იოანე, ბაგრატ და მიხეილ ბატონიშვილები და მათი მხლებელი 14 კაცი. (H—2810; S—5082. საქ. ცენტრარქივი, № 326).

ნიკოლოზ ონიკოვის წიგნთსაცავი, რომელშიაც ყოფილა ძველი ქართული ხელნაწერები და ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსანი“, მის მემკვიდრეებს გაუნადგურებიათ (ყურნ. „მწყემსი“, 1887. № 21).

ნიკოლოზის ვაჟმა ალექსანდრე ონიკოვმა (გარდაიცვალა 1885 წელს „კავკაზ“, 1885. 23.IV) პლატონ იოსელიანს აცნობა, რომ მისი მამის „მოგზაურობა“ დაიკარგათ. (პლ იოსელიანი, ცხოვრება გიორგი XIII-სა, აკ. გაწერელის გამოც., 18 შენ.). ჩვენამდე მოაღწია ამ მოგზაურობის პირებმა.

**ორბელიანი ალექსანდრე (პუპლია) ვახტანგის ძე (1802—1869).** თეკ-

ლე ბატონიშვილისა და ვახტანგ ორბელიანის უფროსი ვაჟი. დაიბადა 1802 წ. 24 ივნისს (S—1659 ბ). პირველდაწყებითი სწავლა-აღზრდა მშობლების მეთვალყურეობით მიიღო. ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეში 1811 წ. 22 ოქტომბერს თეკლე წერილობით სთხოვს ტორმასოვის მაგიერ დანიშნულ ახალ მთავარმართებელს მარკიზ პაულუჩის, რომ მისი შვილი ალექსანდრე გაგზავნილ იქნეს პაეთა კორპუსში (საქართველოს ც. ა., ფონდი 8, საქმე 219, ფ. 289). მაგრამ ალბათ სამამულო ომმა და მამის ტრაგიკულმა სიკვდილმა 1812 წ. 1 მარტს, ხელი შეუშალა პუპლიას პაეთა კორპუსში გაგზავნას და ის თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში მიაბარეს.

ამ ხანებში კეთილშობილთა სასწავლებლის დირექტორად იყო უკვე ბუკრინსკი, იოანე ბატონიშვილის ერთადერთი შვილის გრიგოლის სიმამარი, ბუკრინსკი თავის დროის შესაფერისად ღირსეულად უძღვებოდა თავის საქმეს. ბუკრინსკის შესახებ თვით ალ. ორბელიანი შემდეგში წერდა: „ამან ასე კარგად ისწავლა ქართული როგორც ღრმა მსწავლულმა ქართველმა ისე, მხოლოდ გამოთქმა კი ევროპული ჰქონდა და ქართველი ქალიც ჰყუანდა ცოლად ეკატერინე“ (S—1634).

ალ. ორბელიანი მოგვითხრობს როგორ შეერქვა მას მეტსახელი პუპლია. როცა ერთხელ ის 12 წლისა სასწავლებელში შესვენების დროს ტაშის კვრის თამაშისას გამარჯვებული გამოვიდა, „დერეხტორმა მიმიყუანა

თავისთან და მიტხრა... ოო, შენა ხარ რომაელი პუბლი. მაგრამ შენმა  
გაზრდამ რომ ისწავლო, ეს უფრო კარგი იქნება შენთვის. ეცადე ისწავ-  
ლო ჩემო რომაელი პუბლი. აი პუბლია სიიღვან გამიკეთდა“ (S—1634).

15 წლის პუბლია დედის ბრძანებით სამხედრო სამსახურში შედის  
კარაბინერთა მე-7 პოლკში, რომლის უფროსი იყო ლადინსკი, ქართულის  
კარგი მცოდნე, მოხერხებული და საკმაოდ გავლენიანიც. 1817 წ. დეკემ-  
ბერში პუბლია გაამწესეს იუნკრად პირველი ბატალიონის პირველ გრე-  
ნადერთა როტაში. აქ მას თან ახლდა ლალა, მოხუცებული ბერელა და  
ბინად მისცეს ცალკე ერთი ოთახი ექიმ ჩურიკოვსკისთან, რომ მასთან  
ეკითხა რუსული წიგნები.

იმერეთის აჯანყების ხანებში 1820 წელს, როცა იმერეთისაგან გა-  
ისტუმრეს I ბატალიონი, პუბლიაც წავიდა. როგორც თვითონვე წერს  
„იმერლების არეულობის დასამშვიდებლად“.

1822 წელს პუბლია სამსახურს თავს ანებებს და მალე ოჯახს მოეკი-  
დება. ცოლად შეირთავს დავით გოსტაშაბიშვილის (ბარათაშვილის) ქალს  
ეკატერინეს, ანუ, როგორც პუბლია მას ხშირად იხსენიებს თავის ნაწე-  
რებში, კატინოს. ჰვარი დაიწერა 1823 წლის 8 ივლისს.

1826—1827 წლებში, როცა სპარსელები ანახდელად შემოიჭრნენ  
ამიერკავკასიის ფარგლებში და საქართველოსაც საფრთხე ელოდა, ალექ-  
სანდრე შედის მილიციაში და მონაწილეობას იღებს საომარ ოპერაცი-  
ებში. 1837 წელს თბილისის მაზრის თავადაზნაურობამ იგი აირჩია მარშ-  
ლის კანდიდატად, ხოლო მარშლის (მელიქოვის) გარდაცვალების შემდეგ  
ასრულებდა მის მოვალეობას ახლის არჩევამდე. 1829 წელს პუბლია  
აირჩიეს საქართველოს უმაღლესი მთავრობის სააღმასრულებო ექსპე-  
დიციის მრჩეველად. ანუ, როგორც მაშინ ეძახდნენ, სოვეტნიკად. ამ თანამ-  
დებობაზეა ის, სანამ დააპატიმრეს 1832 წ. შეთქმულებაში მონაწილეო-  
ბისათვის 11 დეკემბერს.

სავამომძიებლო კომისიამ ის დამნაშავეთა II კატეგორიას მიაკუთვნა  
(ამ კატეგორიაში შევიდნენ ის პირნი, ვინც თავისი შთავონებებით საფუ-  
ძველი ჩაუყარეს ბოროტ განზრახვას) და ხანგრძლივი პატიმრობის შემ-  
დეგ ორენბურგის გუბერნიაში გადასახლება მიუსაჯეს, იქ რომელიმე სა-  
ხაზო ბატალიონში პრაპორშჩიკად გამწესებით. ეს იყო 1834 წლის 14 ივ-  
ნისს. მას თან ახლდა ნიევეგოროდის დრაგუნთა პოლკის პორუჩიკი მინი-  
კი, რომელმაც პუბლია ორენბურგამდე ჩაიყვანა.

ორენბურგის მხარის უფროსად იყო გენერალი ვასილ ალექსის ძე  
პეროვსკი (1794—1857), ძმა იმ ალექსი ალექსის ძე პეროვსკისა, ვისაც  
სოლომონ დოდაშვილმა მიუძღვნა თავისი დაბეჭდილი „ლოგია“ (ესე-  
ნი იყვნენ გრაფ ალექსი კირილეს ძე რაზუმოვსკის უკანონო შვილები).

პეროვსკიმ ალ. ორბელიანი გაგზავნა სერგეი ვაგრილიჩ ჩილიაევის  
განკარგულებაში. ეს კი იყო პუბლიას ბიძის — ვახტანგ (ალმასხან) ბა-



ტონიშვილის ამილახერის გლახა ბაბანას ძის ქილაძის შვილი და ქართველობაში შიომის სახელით იყო ცნობილი. სერგი შიომა ქილაძე-ქილაძე შვილი ითვლებოდა ნოვო-ალექსანდროვსკის ციხე-სიმაგრის უფროსად. აი ამ კაცის ხელქვეითად გაატარა 4 წელიწადზე მეტი პუბლიამ როგორც რიგითმა ოფიცერმა — პრაპორშჩიკმა.

პუბლიაც და მისიანებიც შეამდგომლობდნენ მის უფრო სამხრეთით გადმოყვანას, მაგრამ როზენი ნაადრევად სცნობდა არა თუ საქართველოში მის დაბრუნებას, არამედ საქართველოსთან მოახლოვებასაც კი. მხოლოდ 1838 წ. შემოდგომაზე მიეცა მას ნება კავკასიის ხაზზე სამსახურისა და 2 ნოემბერს გამოემგზავრა კიდეც აქეთა ბატალიონში განწესებით. აქ „1840 წ. 28 თებერვალს — მოგვითხრობს პუბლია — შემთხვევით ვიკითხე კამენდანტის კანცელარიაში პრიკაზები, მთელი დასტა იყო და ერთ-ერთში ეწერა ჩემი ოტსტავკა, 21 იანვარს ხელმწიფეს მოეწერა ხელი, გამეხარდა დიდათ“ (S—1661, გვ. 156).

პუბლია ხელადვე შეუდგება წამოსასვლელად სამზადისს, იქირავებს „პოვოსკას“ და გამოსწევს საქართველოსკენ სამხედრო გზით. რა გრძობებით ბრუნდება პუბლია სამშობლოში, ეს მისივე სიტყვებით მოვისმინოთ: „აბა როდის მელირსება იმის ნახვა, ვისაც მოუთმენლად ველი... შენ, ჩემო მშობელო მამულო, შენ რისთვის გამომიმეტე, ამთენი წელიწადი გადამაგდე... ეხლა ნახევარკაცი ძლივს მოვდივარ. მოვალ მაგ შენს ხეობაში. შენს ქვებს მოვლოკ ჩემი ამთენი წლის დახავსებულისა გულისა განსაკურნად. შენ იქნები, მდინარეო თერგო, ჩემი პირველი უკვადვების წყარო... დარიელის ხიდს ქვემოთ თერგის პირზე ჩაველ... იქ დავიჩოქე, ერთს ქვას მოვეხვიე და იმას კოცნით მოვლოკამდი, რომელსაცა მიხაროდა და ღმერთს მადლობას შევსწირავდი: კიდეც ვნახე ჩემი მშობელი მამულის სამძღვრის პირი“ (S—1661, 164—9).

ამ სადა, მარტივი, ნახევრად გაუმართავი ქართულით, იმ მდაბიო ქართულით, რომლითაც წერდნენ და ლაპარაკობდნენ ქართველი მშრომელები, რა რიგ ლამაზი და შეუნიღბავი გრძობა სამშობლოს სიყვარულისა არის გამოთქმული. ანანურთან ფონთხელის ფოსტაში პუბლიას დახვდნენ ძმები დიმიტრი და ვახტანგ და ქალი დარია.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ პუბლია იწყებს მწერლობას: ის წერდა საისტორიო შინაარსის წერილებსა და შენიშვნებს, ლექსებს, წერდა დრამებსაც<sup>16</sup>. როცა შეწყდა გიორგი ერისთავის „ცისკარის“ გამოცემა, ის კისრულობს 1857 წლიდან ამ ჟურნალის ნიეთიერ უზრუნველყოფას. „ცისკარს“ ხელის მომწერი ძალიან ცოტა ჰყავდა და თუ ა. ორბელიანი არ ჰყოლოდა ფულით დამხმარედ, არ გამოვიდოდა“ — წერს აკაკი წე-

<sup>16</sup> პუბლიას შრომების ბიბლიოგრაფია იხ. ლ. ქუთათელაძის „ალექსანდრე ორბელიანის ნაწერები“, მეზუეუმის მოამბე, XIV, 1947, გვ. 245—279.

რეთელი. პუბლიკის ღვაწლი განახლებული „ცისკრის“ წინაშე 1872 წელს აღნიშნა პეტრე უმიკაშვილმა მ. პეტრიძის ფსევდონიმით დაწერილ წერილში „შეერთებული შრომა ჩვენის ლიტერატურისათვის“ („კრებული“, 1872, № 8—9, გვ. 264).

აკაკი წერეთელი ასე ახასიათებს ალ. ორბელიანს: „პირველად იმან (ივანე კერესელიძემ) წამიყვანა ალექსანდრე ორბელიანთან. ის ეგზარქოსის მოვლანზე იდგა საკუთარ ძველებურ სახლებში. მხიარულად მიმიღო დიდის პატივით. „პატივით და მოწიწებით მიგიღებ როგორც წერეთელსო — მიხრა — და როგორც აკაკის კი მინდა გადაგეხეიოვო“... პირველ ნახვისთანავე შემიყვარდა. ის იყო ნამდვილი ქართველი კაცი, ბევრის მნახველი, ბევრის გამგონე და ნაღვაწი. ძალიან უყვარდა საქართველო და უფრო იმერეთის იმედი ჰქონდა... პოლიტიკაში ნამეტანი ფრთხილი იყო. ბევრი რამ ძველი თუ ახალი იცოდა, მაგრამ დღისით იმასაც არას ეტყოდა, ვისთანაც გულგახსნილად იყო. ღამე, როცა მარტოკა დარჩებოდა მეგობართან, მოჰყვებოდა ხოლმე ხმის კანკალით სხვადასხვა ამბებს, მაგრამ მაშინაც სიფრთხილით სანთლებს აქრობდა“ (აკაკი წერეთელი, „ჩემი თავგადასავალი“, 1925 წ. გამოც. გვ. 84—85).

ალ. ორბელიანი გარდაიცვალა 1869 წლის დეკემბერში. დასაფლავებულია სიონში. მის გვერდით არის დასაფლავებული მეუღლე მისი ეპატერიანე დავითის ასული ბარათაშვილი, რომელიც გარდაიცვალა 1873 წელს.

მათ ჰყავდათ შვილები:

1. დარია (1832 წელს მეორე წელშია — გზლ. 333). გათხოვდა დავით ქობულაშვილზე. ამათი შვილი მარიამ (1866—1941) გათხოვილი იყო შერვაშიძეზე. დარია გარდაიცვალა 1884 წელს. 2. ვაჟი (1833 წ. იანვარში არის შვიდი თვისა.— გზლ. 333). 3. პუბლიკის ჰყავდა მეორე ქალიც მაიკო, რომელიც მალე დაეღუპა (S—1663). პუბლიამ მას უძღვნა ლექსი „უბედური მაიკო“ (S—1633).

პუბლია, 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი ორგანიზატორი და წამომწყები, ბაგრატიონთა რესტავრაციას მოითხოვს საქართველოს პირველ კაცებში იმპერატორთან შუამდგომლობის აღძვრის გზით (გზლ. 452). ურჩევდა ალექსანდრე ბატონიშვილს ელაპარაკა ამ საკითხზე თაერისში მყოფ ინგლისელებთან (ვახტ. ორბელიანის ჩვენება, გზლ. 256).

იგი თავის თავს პესტელს უწოდებდა და ელიზბარს (ერისთავს) რილევს (იასე ფალავანდიშვილის ჩვენება, გზლ. 487).

პუბლია საკანში ჯდომისას კი არ სწუხდა, არამედ ამხნევებდა მასთან ერთად ნჯდომს აფხაზს — „ჩქარჩქარის 14 დეკემბრის პლანის ლაპარაკითა“ (იასე ფალავანდიშვილის ჩვენება, გზლ. 488).

საგამომძიებლო კომისიას პუბლიამ ყველაფერი ერთბაშად უამბო, არაც უნდოდათ კიდეც მათქმევინესო“ — წერს პუბლია და თავს იმით



ინუგეშებს, რომ „როდისაც ჩემზე ეს საშინელება დაწყნარდება, მაშინ მე ვიცი როგორც ვაეამართლებ ყველას და ან როგორ გამოვიხსნოთ...“  
მიუხედავად იმისა, რომ ალექსანდრე ორბელიანი არ ბრწყინავდა განსაკუთრებული ნიჭით, მაინც მან არა ერთი რამ საგულისხმო და მნიშვნელოვანი დაგვიტოვა თავის ნაწერებში. პუბლიკის ნაწერებიდან საერთოდ, მათი შინაარსის განურჩევლად, არ ჩანს, რომ მათ ავტორს რაიმე სერიოზული ევროპული განათლება მიეღოს (ამას არც მისი ბიოგრაფია გვეუბნება). მაგრამ მაინც მის ნაწერებში მკაფიოდ ჩანს ჭეშმარიტების სიყვარული. ოჯახურ წრეებში გავონილით თუ სხვათაგან მოსმენილით პუბლიკა ცდილობს აღადგინოს ჭეშმარიტი სურათი ერეკლე II-ის და გიორგი XIII-ის მეფობის დროისა. ჭეშმარიტების დადგენაში ის ხშირად ეკამათება პლ. იოსელიანს და ააშკარაებს მის მონათხრობში ფაქტიურ შეცდომებს. მაგრამ ჭეშმარიტების მაძიებელ ისტორიკოსს ახასიათებს პროვინციალიზმიც. მიუხედავად ამისა მისი მეოხებით ჩვენ ვიცნობთ ჩვენი წარსულის არა ერთ ფაქტს. მაგ. „მარკოზაშვილის დარბაზს“. ჭეშმარიტების დადგენის სურვილით აღძრული იგი ცდილობს ობიექტური იყოს და არავინ დაზოგოს. ერეკლე II-საც უპოვნის შეცდომებს.

საინტერესოა პუბლიკის დაკვირვება ვორონცოვის ხანაზე: „დრო ვარანცოვისა საქართველოში... სულ სხვაგვარი მოსატყუებელი დრო იყო ჩვენი ვარანცოვისაგან. ბევრის კაიკაცობის ალერსითა შითომ კაიკაცობას გვიჩვენებდა, ნამეტნავად... ვინც რუსეთის ინტერესებზე იქცეოდა. ამასთან ხელგაშლილი, ჩინებს და სხვა ჯილდოს იძლეოდა, თან ბევრი შექცევა და განცხორმა ჰქონდა ხოლმე, სადაც აღტაცებულის სიხარულით. გიორგი ერისთავის კომედიებს წარმოადგენდნენ თვით გიორგი ერისთავის ზედამდევობით და ქართულს ქურნალსა „ციცკარსაც“ გიორგივე გამოსცემდა და კიდევ რამდენი რამ მოიგონა ვარანცოვმა ჩვენი მოსატყუებელი. ქართველებს ასე ეგონათ, საქართველოში სულ ეს ამბავი ასე დარჩებოდა: იმისთანა ჯილდოები, იმისთანა განცხორმა-შექცევანი, იმისთანა თიატრ-ლიტერატურობა, იმისთანა თავისუფლებანი და ამიტომ ვარანცოვის სახელს აღიდებდნენ — ეს რა ლეთიური კაცი მოგვივიდაო“ (S—1662).

1869 წ. 3 სექტემბერს (სიკვდილამდე რამდენიმე თვით ადრე) ა. ორბელიანმა დაწერა „აღსარებანი“, რომელშიაც სხვათა შორის ნათქვამი აქვს: „თუ ესეც ითქმის ჩემს ცოდვათ, კიდევ ეს არის, რომ მე რუსები საქართველოში არ მიყვარან, მინდა აქედგან ისე გადაიკარგნენ, რომ საქართველოს სუნიც იმათ ვეღარ მიედინოს და რუსეთში კი ბედნიერად იყვნენ“ (S—1659 გ, გვ. 68).

1869 წ. გაზეთ „დროებას“ № 52-ში დაბეჭდილია ნეკროლოგი ალ. ორბელიანზე — ა. ვ. ორბელიანის გარდაცვალება, ს. მესხის სიტყვა გარდაცვალებაზე.



„ილუსტრაციოვანია ვაზეტა“-ს 1872 წ. 26-ე ნომერში პირველ გვერდზე მოთავსებულია ალ. ორბელიანის პორტრეტი და ნიკოლოზ ბერძენოვის წერილი ალ. ორბელიანზე.

ლიტერატურულ მუზეუმში დაცულია სურათი მიცვალებული ალ. ორბელიანისა.

ორბელიანი ახლან ნიკოლოზის ძე (1766—18...). ეშიკაღაბაში. რევანს სარდლის შვილის ნიკოლოზის ვაჟი. 1803 წ. ლაზარევის მკვლელობასთან დაკავშირებით დაკითხულ იქნა. დაკითხვაზე უჩვენა, რომ 36 წლისაა. ე. ი. დაბადებულია 1767 წელს. მაგრამ 1766 წლის 8 ივლისის საბუთში (Hd—13004) ის უკვე იხსენიება როგორც რევანს სარდლის შვილიშვილი. აქედან — ის დაბადებულია 1766 წ.

„კალმასობაში“ ასლან ორბელიანი ასეა დახასიათებული: „იმ ეაშში სხვადასხვა ენის წიგნები მოუვიდა ასლანს. თათრული, სპარსული, არაბული, ჯალათისა და ყოველივე დაუბრკოლებლივ აღმოიკითხა. რა ესე იხილა იოანემ, სტევა: „გმადლობ შენ, უფალო, რომ ჩვენს თავადიშვილებში ვნახე სამისა და ოთხის ენის წიგნების მცოდნე და მეცნიერი“.

(კალმასობა, I, 1936, გვ. 233).

ცოლად ჰყავდა გიორგი ციციშვილის (— ხათა გოგიას) — გიორგი XIII-ის სიმამრის — ქალი.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ პოდპოლკოვნიკის ჩინი მისცეს და 297 ვერცხლის მანეთი დაუნიშნეს პენსიათ.

1804 წელს თეიმურაზ ბატონიშვილი სწერს მას: „რას უზიხარ შინა? თუ შვილებს უფრთხილდები, ისინიც ხომ წაგვგლიჯეს და რუსეთში გაგზავნეს. ტფილისში რას აკეთებ და რას მოელი? ოჰ, მართლა, ცოლი ლამაზი გყავს, გირჩევ ნუ მოშორდები“ (აქტები, II, 184).

1829 წელს სხვა თავადებთან ერთად წინააღმდეგობას უწევდა მილიციასი გაწვევას. იგი გადასცეს სამხედრო-სასამართლო კომისიის სასამართლოს, რომელიც კორპუსის შტაბთან არსებობდა (ფონდი 16 (152), საქმე 4100, ფ. 11).

ასლანის ერთი ქალი ეკატერინე ცოლად ჰყავდა შალვა რევანის ძე ერისთავს (ეკატერინე გარდაიცვალა 1877 წ.).

მეორე ქალი ანა ცოლი იყო ზურაბ მელქისედეკის ძე ჰავევაძისა.

ჰყავდა ვაჟი — ყაფლანი, პოდპორუჩიკი იყო. ცოლად ჰყავდა ელისაბედ ბარათაშვილი (ლიტ. მუზეუმი 6217/4), მაგრამ ადრე დაქვრივებულია. გრ. ორბელიანი 1839 წელს სწერს ილიას: „ყაფლან ჯერ ისევ ქვრივად არის“ (წერილები, ტ. I, გვ. 51.49).

1832 წლის შეთქმულების გამოძღვანებასთან დაკავშირებით ასლან ორბელიანი ერთხელ იქნა დაკითხული, დაპატიმრებული კი არ ყოფილა (ფონდი OBD, საქმე 163, ფ. 552).

იასე ფალავანდიშვილი მის შესახებ უჩვენებს: „როდესაც დანიშნა (პუბლიამ) სხვათა თანა შესაქრებელს ადგილას ასლან ორბელიანს მე ვუთხარ, როგორ იცი რომ გეთანხმება ეგ მოხუცი კაცი. მითხრა: მაგას რუსები არ უყვარსო და ყარაბახის ხანთან აქვს მიწერ-მოწერაო“ (გზლ. 482).

ს. დოდაშვილმა კი აჩვენა: „პოდპოლკოვნიკ ასლან ორბელიანს მე არ ვიცნობო“ (ფონდი OBD, რე. II, ფ. 220).

საგამომძიებლო კომისიამ ასლან ორბელიანი IX კატეგორიის დამნაშავედ სცნო (ამ კატეგორიაში შევიდნენ ისინი, „ვიზედაც შეიძლება ეკვის მიტანა მონაწილეობაში ან ბოროტგანზრახული საუბრის მოსმენაში“). IX კატეგორიის დამნაშავენი საქმიდან განთავისუფლებულნი იქნენ.

პუბლია ორბელიანი ასე ახასიათებს ასლანს: „ასლანს უნდოდა მითამ დავით სარდლის როლი ეთამაშა საქართველოში, გულფიცხი იყო, ტანი არა ჰქონდა მისი და სახე. არც გონება და მოხერხება. გამხდარი, არც მალალი ტანისა, გული კი წრფელი ჰქონდა“ (ს. კაკაბაძე, წერილები... გვ. 35—36).

ა. ორბელიანის გარდაცვალების თარიღი — ანუ რამდენ ხანს იცოცხლა მან 1833 წლის შემდეგ — ცნობილი არ არის.

**ორბელიანი ბეგლარ.** ზაალ ორბელიანისა და სოფიო ქსნის ერისთავის იასეს ასულის<sup>17</sup> (დავით ქსნის ერისთავის დის) მეორე ვაჟი. (ამ ცოლქმარს ჰყავდა 4 ვაჟი: დიმიტრი, ბეგლარ, ყაფლან და გიორგი. ესენი ყველა უშვილოდ გადაშენდა, მხოლოდ ყაფლანს დარჩა ერთი ქალი — სოფიო, რომელიც შემდეგ გათხოვდა როზენის ჩინოვნიკ ბეზაკზე და ერთი ქალი მარიამი, რომელიც 1798 წ. გათხოვდა ვახტანგ გიორგი გურიელის ძეზე).

ბეგლარ ზაალის ძე ორბელიანთან ერთად ზოგ რუსულ საბუთში იხსენიება პეტრე ზახარინ ორბელიანი. ორივე ეს ორბელიანი — პოდპოლკოვნიკია, ორივე — დიმიტრი ორბელიანის ძმა (აქტები, I, 328 და აქტები, VI—I, 669), ორივე ნინო გიორგის ას. დადიანის სიძეა (აქტები, V, 43 და აქტები, VI—I, 669) — ცოლად ჰყავთ ნინო სამეგრელოს დედოფლის ქალი ეკატერინე. ამ დამთხვევათა გათვალისწინებით პეტრე ორბელიანი იგივე ბეგლარ ორბელიანია.

ბეგლარ — პეტრე ორბელიანი იხსენიება 1801 წ. 21 თებერვალს კნორინგისადმი გაგზავნილ ლაზარევის მოხსენებაში. ამ მოხსენებაში ლაზარევი დაწვრილებით აღწერს საქართველოს რუსეთთან შეერთების მანიფესტის თბილისში გამოცხადების ამბებს: „პეტრე ორბელიანი — ცხენ-

<sup>17</sup> გარდაიცვალა 1802 წ. Пл. Иоселиани. Описание старого Тифлиса, 164.

ზე მკდომი ქალაქში უბან-უბან დაიარებოდა 16 თებერვალს და ქართულად კითხულობდა პავლე იმპერატორის მანიფესტს“ (აქტები, I, № 328). ამ დეტალით ირკვევა, რომ ბ. ორბელიანი მომხრე და თანამგრძნობია საქართველოს რუსეთთან შეერთებისა. ამავე დროს ლაზარევის მეორე მოხსენებიდან ჩანს, რომ ბეგლარი „დავით ბატონიშვილის პირველი მრჩეველია“. დავით ბატონიშვილი კი უკმაყოფილოა მეფობის მოსპობით (აქტები, I, 328). ბეგლარ ორბელინი თავისი შეხედულებებით დავით ბატონიშვილის დასვლია.

1801 წელს დავით ბატონიშვილმა ბეგლარი გაგზავნა საცხოვრებლად მოზდოკს, თან გაატანა დაშიფრული წერილების ამოსახსნელი და დაავალა მის მიერ იოანე ბატონიშვილთან გაგზავნილ კორესპოდენციაზე თვალყურის დევნება (А. Е. Соколов, Путешествие мое в Имеретию... გვ. 121). 1801 წლის 20 ივნისს დავითი უგზავნის მოზდოკში ბეგლარს დაშიფრულ წერილს, რომელიც გახსნა ლაზარევემა, მასში ბატონიშვილი ჩიოდა: ოთხი პლუტი და ერთი ღურაკი განაგებს საქართველოსო (აქტები, I, 305). (ეს ის დროა, როცა კნორინგმა დავითს რეგენტობა ჩამოართვა და საქართველოს მართვა ჩააბარა ბარათაშვილს, ეგნატე და სულხან თუმანიშვილებს, იოანე ჩოლაყაშვილს და ქალაქის მელიქს დარჩია ბებუთაშვილს). 1803 წ. თებერვალში ბეგლარს ებოძა კოლეჯსკი სოვეტნიკის ჩინი. მან თავი ისახელა ქარის მისადგომებისათვის ბრძოლაში და მე-3 კლასის ანას ორდენი დაიმსახურა.

1803 წ. 27 ოქტომბერს ციციანოვმა რუსეთში გადასახლებულ დარეჯან დედოფალს ბოქაულად დაუნიშნა კოლეჯსკი სოვეტნიკი ბეგლარ ორბელიანი (აქტები, II, 103). ამის გამო დარეჯანი წერდა: „შევიტყვე, რომ თანამხლებლად მოზდოკიდან პეტერბურგამდე გამოგზავნილია პეტრე ორბელიანი. მაგრამ მე ვთხოვ თ. პ. დ. ციციანოვს, რომ რუსი უფროსი დამინიშნოს. მე იმას ვერ შევუბრძვები, რომ ქართველმა გამაცილოს“. (აქტები, II, 105). ეტყობა, ციციანოვს შეუწყნარებია ეს თხოვნა, და ბეგლარი აღარ გაუყოლებია დედოფლისათვის.

1804 წლის მთიულეთის აჯანყებისას სოფ. ციხისძირსა და ქართლის ხეობას შუა 1804 წლის 13 ივნისს მომხდარ ბრძოლაში ბეგლარმა ზურაბ და დიმიტრი ორბელიანებთან ერთად დაანგრია აჯანყებულ მთიელების ხერგები, ხოლო 14 ივნისს მისი მეთაურობით რუსმა მსროლელმა ჯარისკაცებმა გაწმინდეს აჯანყებულთაგან ტყე (აქტები, II, 316).

1807 წელს ბეგლარი შეამავლობს მთავრობასა და ქსნის საერისთავოს მოსახლეობას შორის (საქართველოს ც. ა, ფონდი 1448, № 8138).

1807 წ. ის ახლავს მთავარმმართველ გუდოვიჩს, მონაწილეობს თურქებთან ბრძოლაში არაბაიზე (1807 წ. 13. VI) და ახლა მე-2 კლასის ანას ალმასის ჯვარს იმსახურებს. 1808 წელს ის პოლკოვნიკია. 1809 წ. ბეგლარი ტორმასოვმა გაგზავნა ახალციხის ფაშასთან სელიმ-ფაშა ხიმშიაშვილთან მოსალაპარაკებლად, რათა მან ფაშა რუსეთის ქვეშევრდო-



მოზის მიღებაზე დაითანხმოს და საფაშოში რუსის ჯარი შეაშვებინოს. ბევრ  
 ლარი რამდენიმე ხანს დარჩა ახალქალაქში. აქ ის ერთხელ ესტუმრა ალექ-  
 სანდრე ბატონიშვილს. შემდეგ კი ეს ბატონიშვილი „ხედება მას ფაშას-  
 თან და ძალიან აღერსიანად ეკიდებოა“ — ატყობინებს გენ. ახვერდოვი  
 ტორმასოვს (აქტები, IV, 784).

1809—1810 წლებში ბეგლარი უნათესავდება სამეგრელოს მთავრის  
 ოჯახს: ცოლად ირთავს გრიგოლ დადიანისა და ნინო გიორგი XIII-ის  
 ასულის ქალს ეკატერინეს.

1811 წელს, როცა სამეგრელოს დედოფალი ნინო პეტერბურგს გა-  
 ამგზავრეს, მას სხვებთან ერთად თან ახლავს სიძე მისი ბეგლარ ორბე-  
 ლიანი. ტორმასოვი ნინოს ატანს წერილს სახელმწიფო კანცლერთან  
 თხოვნით — ბეგლარს იმპერატორმა ჯილდო უბოძოსო (აქტები, IV, 406),  
 პაულიჩი კი უარყოფითად ახასიათებს დადიანების სიძეს: „ინტრიგანია,  
 დამოყვრების უმაღლე მთავრის საგვარეულოში დიდი უთანხმოება დაბა-  
 და, მეტად დაბალი ზნეობისაა და პეტერბურგს წამოვიდა იმ აზრით, რომ  
 სხვადასხვა ინტრიგებით მოწყალება მიიღოს თქვენი უდიდებულესობი-  
 საგანო“ (აქტები, V, 43).

1814 წელს ბეგლარი სამეგრელოშია, თავის ცოლისძმასთან ლევან  
 დადიანთან. „წელთა ჩყიდ (1814) ნოემბრის 3 დაიბადა დადიანის ლეო-  
 ნის ძე გრიგოლ და მონათლა თავადმან ორბელიანმან ბეგლარმან სასახ-  
 ლესა შინა ზუგდიდს“ (A—1488).

ბეგლარი საბუთებში ერთხელ კიდევ გვხვდება — 1818 წელს. მთა-  
 ვარმართებელს ერმოლოვს ეჭვი ჰქონდა, რომ გენერალ დიმიტრისა და  
 პოლკოვნიკ ბეგლარ ორბელიანების და მარიამი, ვახტანგ გურიელის მე-  
 უღლე, ძალიან ხშირად ხვდება ფოთის კომენდანტს და ამ კომენდანტის  
 საშუალებით ტყვიით ვაჭრობას აწარმოებსო. ამიტომ ერმოლოვმა დააე-  
 ლა ველიამინოვს თვალყური დაეპირა როგორც მარიამზე, ისე ბეგლარ-  
 ზე, რომელიც იმ ხანად დასთან ცხოვრობდა (აქტები, VI—I, 666). ველია-  
 მინოვმა ბეგლარზე ეჭვები გაუქარწყლა ერმოლოვს: ბეგლარი დიდხანს  
 იყო ოჯახური საქმეების გამო სამეგრელოში, ხოლო დასთან სულ ცოტა  
 ხანს დაპყო და იქიდან მანდეთ წამოსული ახლა სოფელ დმანისში იმყო-  
 ფებოა (1818 წ. 2.X. აქტები, VI—I, 669).

ბეგლარ ორბელიანის საქმიანობა XIX ს-ში პრორუსულია. მაგრამ  
 ასეთად არ გვევლინება ის თავის შემოქმედებაში. ბეგლარი ავტორია რამ-  
 დენიმე პოეტური ნაწარმოებისა. მისი პირველი ნაწარმოებია „თქმულნი  
 სტიხნი აღებასა ფოთისასა ბეგლარ ორბელიანისაგან წელსა 1810-სა“.  
 (S—1512, გვ. 284—288).

ეს ლექსი, როგორც თვით ტექსტიდან ჩანს, უკვე მოხუცებული ბეგ-  
 ლარის პირველი ნაწარმოებია:

„განსაცვიფროთ და დიდთა სოფლისა შემთხვევათა  
მაძულებს მოხუცი წერისა შეჩვევითა“.

ცრებული, რომელშიაც შეტანილია ეს ლექსი, 1821 წელს შეადგინა და-  
ვით რექტორმა, ლექსი კი 1810 წელს ფოთის აღების შემდეგ უმაღლეს  
არის დაწერილი. ე. ი. ლექსი დაწერილია 1810—1820 წწ. შუალედში).

ეს ნაწარმოები ყურადღებას იპყრობს პირველ ყოვლისა თავისი სიუ-  
ჟეტური აღნაგობით, კომპოზიციის ორიგინალობით, თხზულების გამართ-  
ვის თავისებური ხერხით, რომელსაც ბეგლარ ორბელიანი, რამდენადაც  
ვიციტ, ქრონოლოგიურად პირველი მიმართავს ქართულ მწერლობაში და  
შემდეგ იმეორებენ მას გიორგი იასეს ძე ერისთავი (სენატორი), რუსული  
გაზეთი „კავკაზი“ თავისი სათაურის ილუსტრაციით და, ბოლოს, ილია  
ქავჭავაძე თავის „აწრდილში“.

ჩვენს ავტორს სწადიან თავისი სიტყვა თქვას არა როგორც უცხო, **გარეშემ**, არამედ როგორც ადგილობრივმა მკვიდრმა („კავკასისა მცხოვ-  
რებმა“) თქვას „მუნებურად“, ადგილობრივი მცხოვრების თვალსაზრი-  
სით შეეხოს „განსაცვიფროთ და დიდთა სოფლის შემთხვევათა“, თქვას  
ზოგიერთის ქება, ვახსენოს სხვა „ძლევანიც“. „ვიტყვი ვიეთთ ქებასა  
და სხვაგზისცა ძლევათა“ — აი მთავარი მიზანი და აზრი ბეგლარ ორ-  
ბელიანის ამ ნაწარმოებისა.

ყურადღების მისაქცევია ამ ლექსის რეფრენიც, რომლითად ათავეს  
ხოლმე ჩვენი ავტორი თითოეულ ტაეპს:

„იბრძვის ჩრდილო დასავლით, დღეს გამოჩნდის მკედარი“. „ჩრდი-  
ლოს“ ამოცნობა სიძნელეს არ წარმოადგენს: აქ რუსეთია ნაგულისხმევი.  
დასავლეთად კი ავტორს უდავოდ ნაგულისხმევი აქვს ნაპოლეონის საფ-  
რანგეთი, რომელსაც მაშინ, ე. ი. ლექსის შეთხზვისას, ებრძოდა რუსე-  
თი. ჩვენი ავტორი გამსჭვალულია მტკიცე რწმენით, რომ „ჰსძლევეს ყო-  
ველთა როსსია და უმეტეს მხნედ არი“.

პოეტი მიმართავს მთაზე ნისლმობვეულს ქართლოსს, ქართლოსის პი-  
რით ბეგლარი გვიზიარებს თავის ნააზრევს. ის ქართლოსს ჩამოათვლე-  
ვინებს იმ ძლევათ, რაც ქართველებს მოუპოვებიათ.

ქართლოსი თავმომწონედ ამბობს:

„მე თუ დავებრდი, მყვანან ძენი მოსაწონები“ — და ჩამოთვლის  
ამ ძეთ:

„ერთმან ერანს ჰსძლია, სულ წაუღო ღონები,  
შავით ზღვით კასპიდმდე იყრა ვითა მონები“.

აქ ის, პ. ციციანოვს გულისხმობს, პეტრე ბაგრატიონი ჰყავს ნაგუ-  
ლისხმევი შემდეგ სტრიქონებში.

„მეორემ პარიჟელთა დაჰსცა სისხლის ღონები,  
გასწყვიდა მამატურად ძალის მომედარი“.



ფოთის ალბაში ავტორისა და მისი ძმის დიმიტრი ორბელიანის სახურება შემდეგნაირად აქვს გამოხატული:

„ჰყოთხეთ ევალად კვალხიდას, იმოწმეთ ზღვის კიდეები  
ფაზის მდინარემ ვითხრასთ საქმე რაც ჰქმნეს დიდები  
ორბეთით ძეთა ჩემთა დასდევს სიმზნის ზიდები,  
შავ ზღვას კარნი შევლიყეს, სხვათა მოსარიდები“.

1791 წელს ბეგლარის ძმა დიმიტრი ზაალის ძე ორბელიანი მონაწილეობდა ანაპის შტურმში, რის შემდეგაც ის გუდოვიჩმა გაგზავნა ეკატერინე II-სთან ციხის დაცემის საუწყებლად. მეორედ ანაპა ალბულ იქნა 1807 წელს. ამ ფაქტის შესახებ ლექსში ნათქვამია:

„დაღისტანის კალთებსა ახსოვსა ორბეთელნი  
ამაყობა ამათი და დასცეს მტრობის კედელნი  
ველზედ ხრმალი დაჰკიდეს, ვით ხრდილთა საგდემელნი  
ოდესმე ჰსცეს ანაფას ხრმალივე ოგ მკვეთელნი  
ესე უქმნიან ბევრჭერ, არ თუ მეორედ არი“.

ავტორის აზრით, თამარის დროს საქართველო ძლიერი იყო, მაგრამ მას ევროპა არ იცნობდა—

„თუ თამარ დიდის დროსა მკლავნი მქონდეს გრძელები  
ევროპა ვერ მიცნობდა, არც პოლშისა ველები“.

—დღეს კი, როცა საქართველო რუსეთს არის მიმდობილი

„ესრეთვე ძენი ჩემნი მიენდნენ როსის ძალსა,  
ევალხიდის სიმაგრენი დაჰსტრგუნეს და ჰვედ არი“.

ლექსის დასასრულს ქართლოსი მიმართავს ქართველებს:

„მამულსა ერთგულებით, სისხლი დასთხივეთ მხნეთა!  
დიდი მფლობელი გივისთ, ძეთა თქსთაც ამცნეთა“.

ბეგლარ ორბელიანი არის ავტორი ერთი უსათაურო მუხამბაზისა, რომელიც მოთავესებულია S ფონდის 1512, 1534 და 2464 ხელნაწერებში.

ეს მუხამბაზი ერთი გადაკითხვით სატრფიალო ლექსია. „ჩემო სიამევე, შევბავ, განცხრომისა საესებავ“ — ვკითხულობთ პირველსავე სტრიქონში. გულდასმით და ჩაკვირვებით წაკითხვა ლექსის სხვა დანიშნულებას გავვირკევებს. მელექსე აქ „გულისა ფიქრისა თვისისა საგანს“ ჩრდილოეთთან აკავშირებს, რომელსაც ნიმფები კრძალვით უნდა ემსახურებოდნენ:

„ნიმფო, კრძალვით მსახურეთ! აჭეთ, მუსთა დასებავ!  
სატრფოვ და სასალუქოვ, ჩემის ლხინის აღესებავ!“

ლექსის ობიექტს მუხათა მთელმა დასმა ხოტბა უნდა შეასხას.

„ძირთავან ჩინებულთა მშვენიერი ნაყოფი,  
სოლომონითის მტილით ბრძენი აწ ვინ სამყოფი,  
ზე იგი ცხოვრებისა, ეღმს შინა ნამყოფი,  
სხვა რებეკა და ივლით, ჩვენის შვიების სამყოფი“.

ამ ტაეპში ყურადღებას იმპყრობს „სოლომონითის მტილის“ ხსენება. ეს ქართველ მეფეთა ტიტულის ნაწილია. ე. ი. ლექსის ობიექტი სამეფო გვარეულობის წევრი ყოფილა. მაგრამ ის „ძირთავან ჩინებულთა მშვენიერი ნაყოფია“ — ე. ი. გამოჩენილი გვარის ნაწიერი და არა სამეფო ოჯახის წევრი. ამავე დროს იგი შედარებულია რებეკასა და ივლითთან. ივლითი კი — ბიბლიური პერსონაჟი — იყო თავდადებული ქვრივი ებრაელი ქალი, რომელმაც მოპკლა ოლოფერნი, ნაბუქოდონოსორის სარდალი. მერე ვინ იყო ჩვენში მეფის სარდლის მკვლელი ქვრივი ქალი „სოლომონითის მტილის“ ანუ სამეფო გვარეულობის წევრი? ასეთია გიორგი XIII-ის ქვრივი მარიამ დედოფალი, რომელმაც განგმირა რუსი გენერალი ლაზარევი. დედოფლის საქციელით მოხიბლული ავტორი — „ესთა რა აწარმოე, შენდაც ქება არსებავ“ — აღიარებს, რომ მან ყველაფერი ვერ სთქვა ლექსის ობიექტზე.

„ავრორაჲ! ბუერნი დამშინეს შენი შეაბამ თქმანი,  
გვედრი, მიიღო უნდო კრძალულებით ნათქვამნი“.  
„მეტყვიან მე: შენართ გვისრულე აღნათქვამნი,  
ადიდე ჩვენგან ქმნილი, ხელოვნებით ნაქმარნი“.

ამ ბოლო ტაეპიდან ჩანს, რომ დედოფალს მელექსისათვის შეხვედრისას ფიცი ჩამოურთმევია — ჩემგან ოსტატურად ქმნილი აღიდევო.

თუნდაც ეს მუხამბაზი მხოლოდ მიცემული ფიცის განაღდება იყოს და არა გულწრფელი ნაძღვნევი „თავისი ფიქრის საგნისადმი“, ჩვენთვის ცხადია, რომ მუხამბაზი საალერსო ფრაზებით განზრახ დაბურვილი ხობტაა რუსი გენერლის მოკვლით გამოწვეული. ეს ხობტა კი მიგვანიშნებს მელექსის მეტ-ნაკლებად ანტირეჟიმულ განწყობილებას.

ორბელიანი გრიგოლ ზურაბის დიმიტრის ძე (1804—1883) ერეკლე მეფის ქალი ელენე პირველად გათხოვილი იყო არჩილ ბატონიშვილზე, მერე ზაქარია ანდრონიკაშვილზე. ელენესა და ზ. ანდრონიკაშვილის ქალი 15 წლის ხორეშან მისთხოვდა ზურაბ დიმიტრი ორბელიანს. ამ ცოლ-ქმარს ეყოლა სამი ვაჟი: გრიგოლ, ზაქარია, ილია და ერთი ქალი ეფემია (ნიკ. ბარათაშვილის დედა).

გრიგოლ ორბელიანი იხსენიება 1832 წლის შეთქმულების საქმეებში. 1831 წელს გრ. ორბელიანიმა რუსეთს წაიყვანა კავკასიის კორპუსიდან შერჩეული ჯარისკაცები ნოვგოროდის პოლკისათვის. გზად მან მოსკოვსა და პეტერბურგს შეიარა, როცა ის ნოვგოროდს იყო. საქართველოში 1832 წ. შეთქმულება გამომკლავნდა. ზოგი შეთქმული (მაგ. ვახტ.



ორბელიანი) თავის ჩვენებაში გრიგოლსაც ასახელებდა. ამასთან რებით როზენი სწერდა ჩერნიშოვს: „სოვეტნიკ ალ. ორბელიანის და თ. ელიზბარ ერისთავის ჩვენებებიდან ჩანს, რომ გრიგოლ ორბელიანს შარშან გაანდეს შეთქმის ამბავი, მაგრამ მან უარი თქვა მასში ყოველგვარ მონაწილეობაზე; ამიტომ არა ვთვლი საჭიროდ მის აქ ჩამოყვანას. ვფიქრობ, რომ საკმარისი იქნება მისთვის ჩვენებების ჩამორთმევა (ფონდი OBD, საქმე 163, ფ. 26, 1832 წ. 29.XII). მაგრამ მარტისათვის სურათი შეიცვალა, როზენი წერს: „დღეისათვის გაიზარდა გულწრფელ ჩვენებათა რიცხვი. გიგზავნით გრ. ორბელიანის ხელით ნაწერ მის თარგმანს ნიკ. რილეევის ლექსისას „ნალივაიკოს აღსარება“ (იქვე, ფურც. 194). გრ. ორბელიანი ნოვგოროდში დააპატიმრეს და გამოგზავნეს თბილისს.

ალექსანდრე ორბელიანმა უჩვენა, რომ „ელიზბარ ერისთავმა მისცა რილეევის სტიხი გრიგოლს სათარგმნელად ქართულად, რომელიც თარგმნა ქართულად სტიხადვე“ (გზლ. 412) (1833 წ. 1 მარტს). ვახტანგ ორბელიანმა კი იმავე საკითხზე უჩვენა 1833 წ. 6 მაისს: „გრიგოლ ორბელიანოვმა წაგვიკითხა რილეევის ლექსის თარგმანი სახელწოდებით „ნალივაიკას აღსარება, რომელიც თვითონ ეთარგმნა „გივი ამილახვარის აღსარებად“ (გზლ. 459). თვით გრ. ორბელიანმა კი უჩვენა, რომ მას სრულიად არ ახსოვს როდის წაუკითხა მან სხვებს რილეევის თარგმანი (გზლ. 482).

საგამომძიებლო კომისიამ იგი VII კატეგორიის დამნაშავედ აღიარა და კავკასიის ხაზზე მოქმედ ჯარში გაგზავნეს. აქედან ის შემდეგ გაამწესეს ნევის საზღვაო პოლკში, რომელიც ვილნოში იყო დაბანაკებული. 1837 წელს ის შვებულებით ჩამოდის საქართველოში.

**ორბელიანი დიმიტრი ვახტანგის ძე** (1808—1882). თეკლე ბატონი-შვილისა და ვახტანგ ორბელიანის მეორე ვაჟი. პუპლიას ძმა. დაიბადა 1808 წელს. 1827 წელს ძმასთან — ვახტანგთან ერთად გაემგზავრა პეტერბურგს. პეტერბურგში ძმები გაჩერდნენ ლუარსაბ და დიმიტრი ბატონიშვილებთან 1828 წლის აგვისტომდე. მათ სახლში ემზადებოდნენ გამოცდებისათვის. შემდეგ შევიდნენ პაჟთა კორპუსში. გვარდიის პრაპორშჩიკის ჩინით დიმიტრი 1832 წლის ოქტომბერში თბილისს დაბრუნდა. თბილისს ჩამოვიდა ის ცოლის შესართავად.

დიმიტრი ორბელიანმა 1832 წ. ცოლად შეირთო ლუარსაბ ზურაბის ძე ორბელიანის ქალი მარიამი, რომელსაც მარიამ ივანოვნას ეძახდნენ<sup>18</sup>. თვით დიმიტრის მეტსახელად რქმევია პაჟონე (რევაზ ერისთავის დღიური, ლიტერატ. მუზეუმი. 1880—1893. გვ. 27).

როცა 1832 წლის შეთქმულება გამოემქლავნდა, „დიმიტრი ორბელიანი თავისი ნებით გულწრფელად გამოტყდა ყველაფერში. იმის საპატივ-

<sup>18</sup> რადგან მისი მამა ლუარსაბი რუსეთში ივანეს სახელით იყო ცნობილი.

ცემოდ, რომ დიმ. ორბელიანმა თავისი ნებით აღიარა დანაშაული დატოვებულ იქნა თავის სახლში უმკაცრესი მეთვალყურეობის ქვეშ. მას მხოლოდ დედის — თეკლე ბატონიშვილის მიღების ნება აქვს „მე მას თავიდანვე ვამჩნევდი, რომ მონაწილის სურვილი მასში სულ მატულობდა, და რათა მისგან მიმელო ყველაფერზე ამომწურავი ცნობები, მე მას არ ვაპატიმრებდი“ — სწერდა როზენი ჩერნიშევსკის 1832 წლის 17 იანვარს. (ფონდი OBD, საქმე 163, ფ. 64—65).

ხელისუფლებამ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ დიმიტრიმ დაკითხვამდე თავისით აღიარა დანაშაული და მისი პენზაში საცხოვრებლად გადასახლება ჩათვალა საჭიროდ (აქტები, VIII, 41).

დიმიტრი აჩვენებდა, რომ მან შეთქმულების ამბავი თბილისში ჩამოსვლის (ე. ი. 1832 წ. X-ის) შემდეგ გაიგო, იესე ფალავანდიშვილი კი უჩვენებდა „თითქოს ალექსანდრეს ეთქვას“: „როგორც კი ჭვარი დაიწერა, პირველ დღესვე გაუშლავნა ცოლს ჩვენი შეთქმულების ამბავი“ (ფონდი OBD, რკ. XII, 2268).

საგამომძიებლო კომისიამ დიმ. ორბელიანი IV კატეგორიის დამნაშავედ ჩათვალა (ანუ ისეთ პირად, ვინც შეთქმულების თანახმა იყო, მაგრამ მონაწილეობდა მასში არასაკმარისად ან ორიდან ერთ-ერთი წლის განმავლობაში; აჯანყების შესახებ კი ნაწილობრივ იცოდა) და პენზაში გადასახლება მიუსაჯა. საბოლოოდ ის კალუგაში გადასახლეს, სადაც შემდეგ აგრეთვე ჩავიდნენ მისი დედა თეკლე და უმცროსი ძმა ვახტანგი.

1835 წ. 6 თებერვალს დიმ. ორბელიანი კალუგიდან სწერს ორენბურგში ძმას პუპლიას: „ბატონიშვილი დაითხოვეს საქართველოში... მეც დამითხოვეს დროებითად, რათა განვაცილო ბატონიშვილი ტფილისამდინ და მერმე უკანვე წამოვიდე აქვე კალუგაში“ (ლიტ. მუზეუმი, ინვ. № 605).

1840 წელს დიმიტრი სამხედრო გზაზე, ანანურთან შეხვდა თავის ძმას, გადასახლებიდან დაბრუნებულ ალექსანდრეს.

დიმიტრი ორბელიანი თავის ბორჩალოს მამულში თამბაქოს პლანტაციებს აშენებს. კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოება მას დიდად ეხმარება ამ საქმეში. გამოიწერეს მისთვის რუსეთიდან გამოცდილი მეთამბაქოე ჰამბურგელი მიხაელი, რათა ესწავლებინა თამბაქოს მოვლა, გაშრობა, დახარისხება და შეფუთვა. დიმ. ორბელიანმა სამი წელი შესწირა მეთამბაქოეობას. მშვენიერი მოსავალიც მიიღო. პირველ ორ წელს თამბაქო იყიდებოდა სახელმწიფოს ენერგიული შემწეობით, მესამე წელს კი დიმიტრის მოსავლის გასაღებაში სიძნელეები შეხვდა. თამბაქო სარდაფებში გაფუჭდა და მეთამბაქოეობა საბოლოოდ შეიცვალა მამა-პაპური მებორობით (დ. ყიფიანის მოხსენება KOCX-ის 1856 წ. 27 დეკემბრის სხდომაზე).

დიმ. ორბელიანი გარდაიცვალა 1882 წლის 22 იანვარს. ამის გამო ქართული წარმოდგენა გადაიღო („დროება“, 1882, 24. I. № 17).

მისი მეუღლე მარიამი (ლუარსაბ ორბელიანის ქალი) გარდაიცვალა 1886 წელს.

დიმ. ორბელიანს ჰყავდა ერთადერთი ქალი ელისაბედი, ბების (დედის მხრით) — ლუარსაბ ორბელიანის მეუღლე ელისაბედის — თანამოსახელე. იგი დაიბადა 1836 წ. ცხოვრობდა სოფლად, თავის მამის მამულში, მიიღო საკმაო განათლება. იცოდა ფრანგული, გერმანული, ინგლისური ენები. გათხოვდა პოლკოვნიკ ვ. პ. დავიდოვზე, დასახლდა თბილისში, სადაც მისი სახლი იქცა მაშინდელი მოწინავე ახალგაზრდობის თავშეყრის ადგილად. ელისაბედი მალე გაშორდა დავიდოვს და ოდესაში გაემგზავრა. ოდესიდან საფოსტო კარგით შტაბს კაპიტან თ. ი. გვათუას თანხლებით ხარკოვს გაემგზავრა. აქ მას შეხვდა ინგლისელი პასტორი პალმერი, რომელმაც იგი 1860 წ. ინგლისში ჩაიყვანა. აქ მან ორი წელი დაჰყო, და როცა დამთავრდა საქმე ქმართან განქორწინების შესახებ, 1862 წ. ჯვარი დაიწერა კავკასიის ყოფილ მთავარმართებელ ა. ი. ბარიატინსკიზე.

ამის შემდეგ ელისაბედი ცხოვრობდა ან საზღვარგარეთ, ან სკერნევიცაში — პოლონელი მეფეების ყოფილ მამულში, რომელიც იმპერატორმა ბარიატინსკის უბოძა. ქმრის სიკვდილის (1879 წ.) შემდეგ იგი ნერვიული ავადმყოფობით დაავადდა, ეწეოდა განმარტობულ ცხოვრებას, 80-იანი წლების შუიდან ის საბოლოოდ დასახლდა ახერნში, დრეზდენის მახლობლად, სადაც გარდაიცვალა 1899 წ. 1 თებერვალს („კავკაზ“, 1899. 7. II. № 35)<sup>19</sup>.

**ორბელიანი დიმიტრი ზაქარიაძე (1750—18 . .),** დიმიტრი ორბელიანი იყო უფროსი ვაჟი ზაალ (იგივე ზაქარია) ორბელიანისა (გარდაიცვალა 1808 წ.) და სოფიო იესეს ასულ ერისთავისა (გარდაიცვალა 1802 წ.). ორლოვის პროტექციით სამხედრო სასწავლებელში მიიღეს. სამსახური დაიწყო რუსეთში 1769 წლიდან კაპრალად.

<sup>19</sup> ლიტერატურაში მოითხოვებულია, რომ „ა. ი. ბარიატინსკის ცოლად ჰყავდა დიმიტრი თომას ძე ორბელიანის ასული ელისაბედი“ (აქ ვაწერელის შენიშვნები გრიგოლ ორბელიანის „წერილებზე“; ტ. I, თბ., 1936 წ. გვ. 276, შენიშვნა 8, გვ. 304, შენიშვნა 17; აქ ვაწერელის შენიშვნები ა. დუმას „კავკასიაზე“, თბ., 1964, გვ. 503).

მაგრამ დიმიტრი თომას ძე ორბელიანს (1796—1868) და მის მეუღლეს ზაქარა ბატონიშვილის ქალს ბარბარეს ჰყავდათ ერთი ქალი — სახელად ვერა (Q—706).

ელისაბედ დიმიტრის ას. ბარიატინსკიას მამა კი არის დიმიტრი ვახტანგის ძე ორბელიანი. 1899 წ. თებერვლის „კავკაზ“-ში დაიბეჭდა ნეკროლოგი ელისაბედ დიმიტრის ასულზე, სადაც იგი მოიხსენება „დ. ვ. ჯამბაყურ-ორბელიანის ასულად და თეკლე ბატონიშვილის შვილიშვილად“. ამავე გზით დაბეჭდილია ელისაბედის უახლოესი ნათესავების მარია ვახტანგის ასულ და ნიკოლოზ ვახტანგის ძე ორბელიანების—ელისაბედის ბიძაშვილების სამკლოვიარო განცხადება.

1791 წ. მონაწილეობდა ანაპის ალბაში. გუდოვიჩმა გაგზავნა ის ეკატერინე II-სთან ციხის ალების შესატყობინებლად.

გარსევან ჭავჭავაძე 1799 წლის 18 იანვარს სწერს საგარეო საქმეთა კოლეგიას: „მისი უმაღლესობა მეფე, ხელმწიფე ჩემი.. ითხოვს, რომ საქართველოსა შინა... რუსეთს გასაგზავნელს ჯარში არაფერ იყენენ ქართველთაგანნი..., ხოლო უფროს პოლკოვნიკი თავადი დიმიტრი ორბელიანივი, რომელიცა უკეთუ აქაურითა ჯართა თანაიქმნების მუნ გაგზავნილ, შეუძლებელ არს, რომ ჩემის მეფის ხელმწიფის საეკვო და საწყენი არ იყოს“ (А. Царя-рели, Грамоты... II—2 № 171).

1807 წელსაც მონაწილეობდა ანაპის ალბაში. 1809 წ. აიღო ფოთი. იყო რუსეთის გენერალი (ბაგრატ ბატონიშვილი, გვ. 130). 1810 წელს ტორმასოვმა გაგზავნა ის ჯარით იმერეთში სოლომონ II-სთან საბრძოლველად. 1812 წელს ებრძოდა აჯანყებულ კახელებს. თავი გამოიჩინა უღმობელობით და სისასტიკით. გადასწვა ველისციხე, ფაშაანი. სდევდა ალექსანდრე ბატონიშვილს. სასტიკად დასაჯა სოფ. შილდა, რადგან შილდელებმა ორჯერ მიიღეს ალექსანდრე ბატონიშვილი. დ. ორბელიანმა შილდა გადასწვა, ვენახები გაანადგურა. დ. ორბელიანის ბრძანებით ჩამოაღრჩეს აჯანყების ზოგი მონაწილე. მან ფიცით დაარწმუნა კახელი თავადიშვილები თუ ალექსანდრე ბატონიშვილს თავს დაანებებთ და ჩემთან მოხვალთ, უვნებელნი იქნებითო. ბევრმა ირწმუნა ორბელიანის ფიცი, დ. ორბელიანმა კი ისინი გათოჯა და მთავარმართებელს გაუგზავნა თბილისში.

ცოლად ჰყავდა ანა ჩოლოყაშვილი. იყო უშვილო. სახლი ამათი თბილისში იყო მოწყობილი რუსულ ყაიდაზე (Записки Н. Н. Муравьева. Русский Архив, 1886).

ორბელიანი დიმიტრი თამაზის ძე (1796—1868). თამაზ ეშიკალაბაშის უფროსი ვაჟი. (თამაზ ეშიკალაბაშს ჰყავდა სამი ვაჟი: გენერალ-მაიორი დიმიტრი, პოდპოლკოვნიკი მამუკა, გვარდიის კაპიტანი ივანე (H—2490. გვ. 11) და ერთი ქალი ანა, ლუარსაბ ორბელიანის მეუღლე. თამაზ ორბელიანი რუსულად თომად იწოდებოდა; ამიტომ დიმიტრი რუსულ საბუთებში დიმიტრი თომას ძედ იხსენიება. დაიბადა 1796 წელს.

1811 წელს ის თავისი მამიდის იმერეთის დედოფლის ანა მამუკას (მათეს) ასულის ამალაშია. 1813—14 წლებში იმყოფება რტიშჩევთან გულისტანის ზავის დადებისას. 1819 წ. ერმოლოვთან ერთად დაღესტანში იბრძვის. 1826 წელს დაინიშნა ბორჩალოს დისტანციის მთავარ პრისტავად. 1827—1829 წლებში მონაწილეობს რუსეთ-თურქეთისა და რუსეთ-ირანის ომებში. 1830 წელს აირჩიეს თბილისის მაზრის უფროსად. 1839 წ. — თბილისის გუბერნიის თავადზნაურობის წინამძღვრად. ამ თანამდებობაზეა ის 1855 წლამდე. 1840 წელს მისცეს პოლკოვნიკობა,



1845 წ. გენერალ-მაიორობა. 1856 წ. — გენერალ-ლეიტენანტობა. 1839, 1844 და 1845 წლებში მონაწილეობდა დაღესტანისა და ჩეჩნეთის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში. გარდაიცვალა 1868 წ. 24 სექტემბერს.

ცოლად ჰყავდა ბაგრატ ბატონიშვილის ქალი ბარბარე გრუზინსკაია. ბარბარე, დიშ. ორბელიანის მეუღლე 1829 წ. 8 სექტემბერს გრუზებთან ერთად ნათლავს სოლომონ დოდაშვილის ვაჟს — ივანეს (ფონდი 489, საქმე 4420, ფ. 9). დიმიტრი ორბელიანის და მათა იყო ცოლი თუმანოვისა, მას დაცული ჰქონია მარიამ ბატონიშვილის ლექსები (E. Такашвили, Описание... 2 с. 437).

დიმიტრი და ბარბარეს ჰყავთ ასული ვერა (დაიბადა 1823 წ. Q 706).

დიშ. ორბელიანი მოიხსენიება 1832 წ. შეთქმულების საქმეში. საგამომძიებლო კომისიამ იგი დაჰკითხა, მაგრამ რაკი მისი საწინააღმდეგო ჩვენებანი ჩაითვალა სუსტად, შემდეგი გამოძიებისაგან გაათავისუფლა. (ფონდი OBD, საქმე 163, ფ. 486). კომისიამ იგი მიაკუთვნა დამნაშავეთა IX კატეგორიას და გაათავისუფლა.

შეთქმულთა ჩვენებით დიშ. ორბელიანს — მაშინ თავადაზნაურობის მარშალს — უთქვამს: „პოლშას ძალიან შეუწუხებია რუსეთი და აქაც ვაწყობთ საქმეს, რომ აქაც მოვახდინოთ რამე“ (გზლ. 276); ზაქ. ჩოლოყაშვილის თქმით, დ. ორბელიანი არც თუ ისე ერთგულია რუსეთისა, მასთან სადილად რომ ვიყავით, პირველმა დაიწყო რუსი მთავრობის ვინებაო (გზლ. 406).

სიძე-ცოლისძმა დიმიტრი და ლუარსაბ ორბელიანები, რომლებიც საუკუნო მტრები იყვნენ, ახლა შერიგდნენ ამ შემთხვევის გამო (გზლ. 226) — უჩვენებს ა. აფხაზი.

**ორბელიანი ვახტანგ დიმიტრის ძე (1769—1812).** ვახტანგ ორბელიანის მამა დიმიტრი (ელიზბარ ვახუშტის ძე ორბელიანის ბიძის, ერასტისაგან, ნაშვილების შვილი) ლევან ერეკლე II-ის ძის დაახლოებული კაცი იყო. 1778 წელს საგურამოს მახლობლად ლეკებთან შეტაკებისას დიმიტრი მოკლეს. დარჩა მას ქვრივი, ამირინდო ამილახვრის ასული თამარ და სამი ობოლი: ვაჟი ვახტანგ და ორი ქალი: ეკატერინე (შემდეგში გიორგი ჩოლოყაშვილის მეუღლე) და გუქა (შემდეგში გორჯასპი ნათალიშვილის მეუღლე). ორივე ქალი დიმიტრისა კახეთის 1812 წლის აჯანყებაში მონაწილეობისათვის გადაასახლეს რუსეთში. ვახტანგ ორბელიანი დაიბადა 1769 წ. (ეპიტაფიით ის გარდაიცვალა 43 წლისა 1812 წ.). როგორც იყო ვახტანგ ორბელიანი, ამას ვავეცნოთ მისი შვილის ალექსანდრე (პუპლია) ორბელიანის სიტყვებიდან: „მამაჩემი ობლად დარჩენილი და დიდ საპირობებაში გამოვლალი, ასე გაჭირებული იყო, როგორც ჩვენში იტყვიან: სადაც კვამლი მაღალიაო, მეც იმისი მაყარო, ისე მამაჩემი იყო. სადაც ნახავდა, რომ მომატებული სიმაღლე იყო და ძალა, მამაჩემი იმით



მიმართავდა, ეგება ამით კაცი ვაგზდო და კიდევ ეწია საწადელსა, რომ მეფის ირაკლის ასული თეკლა შეირთო“ (ალ. ორბელიანი, მეფის ირაკლის ცოცოტა ამბები... გვ. 36).

1796 წ. 15 მარტს, ერეკლე II-ის გარდაცვალების ორი თვის თავზე იოანე ნათლისმცემლის უღაბნოს არქიმანდრიტი ექვთიმე რუსეთში სწერს გარსევან ჭავჭავაძეს: „ვახტანგ ყაფლანიშვილს თეკლა მისცეს. ეს საქმე მე გამარჩევბინეს სანატრელს მეფესთან“ (დოკ. სოც. ისტ. № 312), როგორც ჩანს, ამ წელს ვახტანგს მხოლოდ დაუნიშნავს თეკლე, რადგან 1800 წლის 8 სექტემბერს ლაზარევი მოახსენებდა კნორინგს: „გუშინდელ დღეს იყო ქორწილი თეკლა ბატონიშვილისა და ვახტანგ ორბელიანისა“ (აქტები, I, № 69).

უნდა ითქვას, რომ ვახტანგ ორბელიანი ერეკლე II-ის ოჯახს დაუნათესავდა იმის მიუხედავად, რომ თავის დროზე მან ერეკლეს თავისი ერთგულება ვერ უჩვენა. პირიქით, 1795 წელს, როცა ალა-მაჰმადხანი თბილისს მოადგა და საქართველოს განადგურება ელოდა, ვახტანგ ორბელიანი ქვეყნის ერთგულ შვილთა რიგებში არ იდგა. ამას მოურიდებლივ აღიარებს მისი შვილი პუპლია თავის ერთ პატარა ნაწარმოებში, რომელსაც ასეთი გულახდილი და პირდაპირი სათაური მისცა: „მამიჩემისაგან ლალატი მეფის ირაკლისა“. პუპლია აღიარებს, რომ ალა მაჰმადხანის შემოსევის ხანებში ვახტანგ ყარაბულახს იყო თავის დასთან ეკატერინე ჩოლოყაშვილთან. კახეთიდან მოსულმა რევაზ ანდრონიკაშვილმა თავისი სიძის—გიორგი ბატონიშვილის—სახელით გამოუცხადა: „მეფე ირაკლი ხიზნით და ქალაქის მცხოვრებით გუშინ აყრილან ქალაქიდან და მთიულეთის მთებისკენ წასულან. ბატონიშვილმა გიბრძანათ თქვენც აიყარნით და ტყიანს მთაში დაიხიზნეთო. ამ ანკესს წამოვეგო ვახტანგიც და მისიანებიც და ამგვარად მეფის ორგული აღმოჩნდა, რასაც მერე მთელი თავისი სიცოცხლე ნანობდა“ („მამიჩემისაგან ლალატი...“, გვ. 5,7).

პუპლიას მიერ მამის დასახასიათებლად მარჯვედ ხმარებული ხალხური ანდაზა — „სადაც კვამლი მაღალიო, მეც იმისი მაყაროო“ — მშვენივრად ახასიათებს არა მარტო კონკრეტულად პუპლიას მამას, არამედ საერთოდ იმ დროის არა ერთს ქართველ ფეოდალს. მრავალი მათგანი, მტკიცე პოლიტიკურ რწმენას მოკლებული, კრიტიკულ მომენტში ნების სიმტკიცესაც ჰკარგავდა და რეალურ პოლიტიკას მისდევდა. უეჭველად ასეთი იყო ვახტანგ ორბელიანიც. ეს აშკარად ჩანს მისი ცხოვრების ორიოდ ფაქტიდან, რასაც ჩვენ ვიცნობთ საბუთების მიხედვით.

ახალ ჯვარდაწერილ ვახტანგ ორბელიანს გიორგი XIII-ის გარდაცვალების უმალ არჩევანი უნდა მოეხდინა იმ პოლიტიკურ დასებს შორის, რომელნიც ცდილობდნენ თავიანთებურად წარემართათ ქართლ-კახეთის პოლიტიკური ცხოვრება. იყო იულონ ბატონიშვილის დასი, რომელიც ერეკლეს ანდერძზე იდგა და 1783 წლის ტრაქტატის პოზიციებს



არ ღალატობდა. იყო დავით ბატონიშვილის დასი, რომელიც რუსეთის მიმართ მაქსიმალურ დათმობაზე მიდიოდა, მაგრამ მაინც ქართლ-კახეთის პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოტრფიალე იყო. არსებობდა მესამე დაჯგუფებაც, რომელსაც არც იულონი უნდოდა, არც დავითი და მარტო რუსეთი სურდა, ძლიერი ხელისუფლება ენატრებოდა, მშვიდობიანობის დამამყარებელი და სიცოცხლის უზრუნველმყოფელი. ამ დასს საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის შენარჩუნება აინუნშიაც არ მოსდოდა. როგორც ვხედავთ, სამივე ჯგუფი რუსეთისაკენ არის მიხრილ-მიდრეკილი. ამ დროს, ვიორგი XIII-ის სიკვდილის დღეებში, სრულიად არ ჩანს, ოდნავადაც არა შეღავნდება ანტირუსული განწყობილება. ამ გარემოებას ხაზს ვუსვამთ იმიტომ, რომ სამ ზემორე დასში არც ერთს არ ახასიათებს ანტირუსული ორიენტაცია. რაკი თითოეულ მათგანს რუსეთისაკენ მიდრეკა მეტ-ნაკლებობით ახასიათებს, მიზანშეწონილი იქნება უკანასკნელ მესამე დაჯგუფებას, საქართველოს თავისუფლების მიმართ ინდიფერენტულს, ვუწოდოთ ულტრარუსული ან უკიდურესად რუსული დასი. იულონის დასს მაშინ შეიძლება ვუწოდოთ ტრაქტატისტები, დავითის დასი კი ზომიერთა სახელით მოვნათლოთ. ვითარების სისრულისათვის ისიც უნდა ითქვას, რომ ვიორგი მეფის სიკვდილის დღეებში სამოქმედო ასპარეზზე ჩანან ტრაქტატისტები და ზომიერებიც. ულტრარუსული დასი კი გაყუჩებულია, მარჯვე დროს უცდის და მოქმედებს ფარულად.

ამ სამ დასში დავითის დასი (ზომიერთა) ყველაზე მცირერიცხოვანია და ნაკლებ პოპულარულიც. ეს დასი პოლიტიკურ ალლოიანობასაც მოკლებული ჩანს. სამაგიეროდ ტრაქტატისტებს უდავოდ ახასიათებს პოლიტიკური გამჭკრიახობა. თუმცა მასობრივად ისინი ხელმძღვანელობენ ტახტის პრეტენდენტთა მიმართ სიმპათია-ანტიპათიით და არა ღრმა და საღი პოლიტიკურ-პატრიოტული მოსაზრებებით.

ახლა ვიკითხოთ: რომელ ჯგუფს მიეკედლა ბაგრატიონთა ახალი სიძე ვახტანგ ორბელიანი?

1801 წლის იანვარში მისი პოზიცია საეცებით გარკვეულია. ეს ჩანს დავით ბატონიშვილის წერილიდან კნორინგის სახელობაზე: „საგარეჯოს მოურავობა მემკვიდრეობით ეკუთვნის 6 წლის ჩოლოყაშვილს, რომელსაც ჩემმა მშობელმა მამამ მეურვედ მიუჩინა ვახტანგ ორბელიანი, დორეჯან დედოფლის სიძე. მე ის ბიძაჩემების დასაყოლიებლად გავგზავნე, ის კი მათ მიემხრო; საგარეჯოელებს ურჩევდა — დავითის ბიძების მხარეზე გადადიოთ. ამიტომ მე ის მეურვეობას ჩამოვაცილე“ (აქტები, I, 317).

იმავე წლის თებერვალში ვახტანგი უკვე იმერეთს არის გადასული თავის ცოლისძმებთან — იულონთან და ფარნაოზთან. მაგრამ საკმარისი იყო შეეტყო, რომ დავით ბატონიშვილი სრულიად ჩამოაცილეს მმართ-



ველობას და საქართველო რუსეთს შეუერთდაო, რომ ვახტანგი ხელმძღვანელი დაბრუნებულიყო იმერეთიდან. ეს ფაქტი ნათლად გვიჩვენებს, რომ ვახტანგ ორბელიანი მაღალი პოლიტიკური იდეით კი არ იყო აღძრული იმერეთში გადასვლისას, არამედ ცალკე პირთა, ტახტის პრეტენდენტების, მიმართ სინპათია-ანტიპათიით ხელმძღვანელობდა.

ვახტანგ ორბელიანის „მაღალი კვამლის მყარობა“ უფრო მკაფიოდ ჩანს 1803 წელს, როცა საქართველოს მთავარმართველად მოვიდა გარუსებული პავლე ციციანოვი. ჩამოსვლის უმალ (—1803 წ. 1. II-ს), როგორც ნაბრძანები ჰქონდა, ციციანოვი შეუდგა დამხობილი ბაგრატიონების დინასტიის წევრთა გადასახლებას. 1803 წ. 19 თებერვალს მან ძალით გადასახლა ვახტანგ-ალმასხანი და დავით გიორგის ძე, სწორედ ის ბატონიშვილები, რომლებიც სხვებზე მეტად ხელს უწყობდნენ რუსის ჯარის საქართველოში შემოსვლა-დამკვიდრებას. 19 აპრილს გაასახლა მარიამ დედოფალი თავისი წვრილი შვილებით; მასთან ერთად გადასახლეს ბაგრატ ბატონიშვილიც. დანარჩენი ბაგრატიონები ქართლ-კახეთის ფარგლებს გარეთ იმყოფებოდნენ: ალექსანდრე და თეიმურაზი სპარსეთში, იულონი და ფარნაოზი იმერეთში. ქართლ-კახეთში იყო მხოლოდ ერთი ბაგრატიონი — ერეკლე II-ის ქვრივი დარეჯან დედოფალი, მოხუცი და ავადმყოფი. მას მერე, რაც მარიამ დედოფლის გადასახლებას შეეწირა გენერალ ლაზარევის სიცოცხლე, ციციანოვი იძულებული იყო ძალადური მეთოდები დათათბირება-დაყოლიებით შეეცვალა.

და აი სწორედ აქ დიდი სამსახური გაუწია ციციანოვს დარეჯან დედოფლის საქართველოდან გასახლებაში დედოფლის სიძემ ვახტანგ ორბელიანმა. მისი „მაღალი კვამლის მყარობა“ აქაც გამოჟღავნდა. 1803 წ. 25 ოქტომბერს მუხრანიდან რუსეთს გამგზავრა დარეჯანი, რაც ციციანოვის სიტყვით რომ ვთქვათ „ვახტანგ ორბელიანის ცდისა და მონღოლების შედეგი იყო“. „ვახტანგმა დაარწმუნა დედოფალი თავისი ნებით გადასახლებულიყო რუსეთს, სწორედ იმისი ცდის შედეგია, რომ დედოფლის გამგზავრებას არავითარი ვართულება არ მოჰყოლია“ (აქტები, II, 90). ორბელიანის ამ ამაგმა მას მოუტანა პოლკოვნიკის ჩინი და 750 მანეთი ჯამაგირი წელიწადში.

ვახტანგ ორბელიანი ამავე დროს მრისხანე ბატონი და სასტიკი ფეოდალია. ეს კარგად ჩანს ვართულებას მსახლობელის ფეიქრის სვიმონას დედის 1806 წ. არზიდან პეტრე ლიტვინოვისადმი: „ჩვენ ხელმწიფის ყმანი ვართ, ძალითა და ხარჯით ხელმწიფეს ვემსახურებით. და ვახტანგ ორბელიანი გვეჭიდება, არ ვიცით რა მიზეზით: შვიდი წელიწადი ჩემს შვილს იმსახურებს... ვახტანგ სამართალს არ უცდის: თავის ნებით თავის მსახურს დააქვრინა ჩემი შვილი, თავის სახლში ჰყავს, მკლავებ შეკრული უგდია ბნელა სახლში“ (საქართველოს ცია, ფონდი 16, საქმე 288, ფ. 4).



პუპლია ორბელიანს თავისი მამა გაორებულად გამოჰყავს. მართლაც, კი იყენენ XIX საუკ. დამდეგის ქართველები საერთოდ, პუპლიას მისივე კერძოდ, გაორებულნი? თუ პუპლიამ შეჰქმნა ეს მითი შთამომავლობის წინაშე თავისი მამის სარეაბილიტაციოდ?

პუპლიას ზემორე ნაწარმოებიდან ვიცით, რომ 1812 წლის 1 მარტს, როცა სოფ. ჩუმლაყთან რუსის ჯარს ვახტანგ ორბელიანის მონაწილეობით შეტაკება მოუხდა აჯანყებულ კახელებთან, გაორებული ცხოვრებისაგან განაწამებმა ვახტანგმა ძალათი შეაკლა თავი ერთ-ერთ აჯანყებულს. როგორ იყო ვ. ორბელიანის სინდისი დამძიმებული ამ გაორებული ცხოვრებისაგან, მისი შვილი ასე გამოახატენებს თავის მამას ჯერ მეუღლესთან და მერე შინაყმა ბერელასთან. „ის ერთი... ჩემის მეფის ერეკლეს და მამულის ლალატი არ მეყო, რომ ახლა კიდევ უნდა უღალატო როგორც ბაგრატიონებს, ისე ჩემს მამულსა? უნდა წავიდე და ქართველმა კაცმა ქართველს კაცსა თოფი ვესროლო ჩემის ხელმწიფების ბაგრატიონების შემწეთ და მამულის გამომხსნელებს, რომელთაცა კიდევ უნდათ თავისი მეფობა აღადგინონ და თუ ჩვენ იმათ თოფს არ ვესვრიო, ცოლშვილებით უნდა დაგვღუპონ სულ ერთიან, აბა რა ვქნა ამის შემდგომ, თუ არ შევწუხებდე?“ (გვ. 13).

„ბერელავ, ხომ ხედავ, ამ რუსებს ჩვენ, თავადები, როგორ შემწეობას ვაძლევთ?.. ხვალაც კიდევ უნდა ჩვენი კახელების სისხლის დაღვრა ვნახო და იმათი დამარცხება კიდევ მოულოცო რუსებს. ამდენს ჩვენს ცუდკაცობას ჩემი გული ველარ ითმენს“ (გვ. 17—18).

რა თქმა უნდა, XIX ს. დამდეგს შეგნებული ქართველის გაორება უცილობელი ფაქტია — იმათთვის, ვინც იცნობს ამ დროის ფაქტიურ მასალას. ასეთი იყო მაგ., ელიზბარ ერისთავი. რუსის მთავრობას ელიზბარ ერისთავი უნდოდა გამოეყენებინა სოლომონ მეორის წინააღმდეგ, აქაოდ ის გულნატკენი იყო სოლომონზე, რადგან მან ჩამოართვა სოლომონ I-საგან ნაბოძები სვერის მამული და გადასცა თავის დის მარიამ არჩილის ასულის ქმარს მალხაზ ანდრონიკაშვილს. რუსეთის ხელისუფლება, სიმონოვიჩისა და მერე ტორმასოვის სახით, ჩამორთმეულ მამულს უბრუნებს ელიზბარს და თანაც მძიმე საქმებსაც ავალებს: სიცოცხლე მოუსპოს სოლომონ II-ს. ელიზბარი არც უარს ამბობს ამ დავალების შესრულებაზე, არც მის განხორციელებას ცდილობს. და ეს თავისი სულიერი ტრაგედია, თავისი გაორება ელიზბარ ერისთავს გამოთქმული აქვს მუხამაზში „ვაი, დრონი, საყვედრონი, მომცემს წყენასა“.

ასეთივე გაორებული იყო სენატორი გიორგი იესეს ძე ერისთავი, რაც ძალიან მკაფიოდ ჩანს მისი დაშიფრული წერილებიდან, მაგალითად, დეკანოზ ნიკოლოზის მიმართ.

ასეთივე გაორებულია ალექსანდრე ჰავეშვაძე, რომელიც ჩუმლაყის პირას ბრძოლისას კახელ აჯანყებულებთან როგორც რუსების მომხრე



(მარკიზ პაულიჩის ადიუტანტი იყო) მემამბოხე კახელებმა მუხლში დას-  
კრეს, ნამდვილად კი დიდი პატრიოტი იყო.

ასევე გაორებულია გვეხატება მინზაში აბელ ანდრონიკაშვილი. კა-  
ხეთის აჯანყების დროს მან იხსნა ქოდალოს ციხეში შემწყვდეული 80  
რუსი ჯარისკაცი და მთავარ რაზმს გაუერთიანა (ფონდი OBD, საქმე 61,  
ფ. 141, 152). მაგრამ მერე ალექსანდრე ბატონიშვილის მხარეზე გადავი-  
და. 1813 წელს ეს აბელი, როგორც აჯანყებულთა „მთავარი მეთაური“  
ტომოლსკს გადაასახლეს, საიდანაც დაბრუნდა 1818 წ. 16 აგვისტოს გა-  
მოცემული შეწყალების შემდეგ.

არაფერია დაუჯერებელი იმაში, რომ ვახტანგ ორბელიანიც ასევე  
გაორებული ყოფილიყო. მაგრამ რომ ეს გაორება იმდენად აუტანელი  
იყო ვახტანგისათვის, რომ ძალათი შეაკლა თავი აჯანყებულს, ეს კი შეი-  
ძლება საეჭვოდ ჩათვალოს კაცმა. ამაში ჩანს ავტორის (პუბლიას) სურვი-  
ლი საზოგადოების თვალში მამის რეაბილიტაცია მოახდინოს. საგულის-  
ხმოა, რომ ის ამავე ფაქტს ამ წერილის დაწერაზე გაცილებით ადრე,  
1832 წელს, დიამეტრალურად წინაუკმოდ ხსნის. 1832 წლის შეთქმუ-  
ლებაში მონაწილეობისათვის დააბატიმრებული პუბლია საგამომძიებლო  
კომისიას უჩვენებს: ალექსანდრე ბატონიშვილთან კაცი „თუნდა გავგ-  
ზავნო, ღმერთს ვფიცავ, იმ წამს ჩემს კაცს იქ მოჰკლავს მეთქი. ეს ყვე-  
ლამ იცით მეთქი, რომ მამაჩემი იმას (—ალექსანდრეს) თოფს ესროდა  
და ამათის (—რუსების) გულისთვი თავი მოიკლა მეთქი. მე როდღია  
მენდობა და ახლა მოსისხლე არის ის ჩემი“ (გზლ. 207).

1812 წ. 1 მარტს გარდაცვლილ ვახტანგ ორბელიანს დარჩა ქვრივი  
თეკლე ბატონიშვილი (იხ.) და სამი ობოლი: ალექსანდრე (იხ.), დიმიტრი  
(იხ.) და ვახტანგი (იხ.).

ორბელიანი ვახტანგ ვახტანგის ძე (1812—1890). ვახტანგ ორბელი-  
ანისა და თეკლე ბატონიშვილის უმცროსი შვილი. დაიბადა 1812 წელს  
ტყუბ დასთან (უღღეოსთან) ერთად. მამა მისი 1812 წ. მოკლეს კახეთის  
აჯანყების დროს და შვილს მისი სახელი უწოდეს.

სწავლობდა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში. 1827 წ. პე-  
ტერბურგს გაემგზავრა და პაეტა კორპუსში დაიწყო სწავლა. ავადმყო-  
ფობის გამო პაეტა კორპუსში სწავლას თავი გაანება და 1829 წლის ოქ-  
ტომბერში თბილისს დაბრუნდა.

1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობისათვის დააბატიმრეს, საგა-  
მომძიებლო კომისიამ იგი ჩათვალა III კატეგორიის დამნაშავედ, ანუ  
ისეთ პირად, ვინც ქმედით მონაწილეობას იღებდა შეთქმულებაში და  
აჯანყების მომხრე იყო. ამ დანაშაულისათვის ვ. ორბელიანი 1833 წ. კა-  
ლუგაში გადაასახლეს. აქ 1836 წლიდან გუბერნატორის კანცელარიაში  
იწყო სამსახური. 1837 წელს სამშობლოში დაბრუნდა.

1838 წელს მიიღეს პრაპორშჩიკად ნიევეგოროდის დრაგუნთა ში. ამ დროიდან 1881 წლამდე მას არ დაუწინებია თავი სამხედრო სახურისათვის. 1842 წელს პორუჩიკია. 1858 წ. — პოლკოვნიკის ჩინით დაინიშნა ყუბანის მაზრის მმართველად. 1860 წელს გენერალ-მაიორობა მიიღო. 1863 წელს დაინიშნა თერგვის ოლქის უფროსის მოვალეობის შემსრულებლად. 1864 წ. დაინიშნა გლეხთა საკრებულოს წევრად და სხვადასხვა ადგილებში ასრულებდა „მიროვოი პოსრედნიკის“ თანამდებობას. 1881 წელს სამსახურიდან გადადგა. გარდაიცვალა 1890 წელს. დასაფლავებულია სიონში.

1842 წელს ცოლად შეირთო „სულა ი რასპრავის“ ექსპედიციის უფროსის—ვისილ ივანეს ძე ილიინსკის ქალი მარიამი. ფარნაოზ ბატონიშვილი — ვახტანგის ბიძა (დედის ძმა) სწერს დას — თეკლეს პეტერბურგიდან 1843 წელს: თქვენის შვილის ვახტანგის ქორწილს მოგილოცავთ (Sd—2245).

ვახტანგ ორბელიანს და მარიამ ილიინსკაიას ჰყავდათ ორი შვილი:

1. ნიკოლოზ. დაიბადა 1845 წ. სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტში, საიდანაც გამორიცხეს არეულობაში მონაწილეობისა გამო. მერე სწავლობდა ოდესის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. უნივერსიტეტი ბრწყინვალედ დაამთავრა. დაინიშნეს ქუთაისის პროკურორის თანაშემწედ, 1875 წ. გადმოვიდა თბილისში, ვეჭილობდა. თავი ისახელა ანდრეევსკის საქმეში — იცავდა დავით ჩხოტუას. ჰყავდა 7 შვილი, მაგრამ მანც ოჯახი მიატოვა. მის ოჯახს უვლიდა ჯერ მამა ვახტანგი, შემდეგ და მარიამი. 80 წლისა მოვიდა ცოლთან შენდობისათვის, მაგრამ ცოლმა არ მიიღო (მარიამ ვახტანგის ასულ ორბელიანის მემუარები).

2. მარიამ|მამო (დაიბადა 1852 წ. მისთხოვდა ორბელიანსავე ალექსანდრე ივანეს ძეს).

ვახტანგ ორბელიანი 1832 წლის შეთქმულების მონაწილეა. ის კურსში იყო მისი ძმის — ალექსანდრეს საქმიანობისა. იცოდა მისი მიწერ-მოწერა ალექსანდრე ბატონიშვილთან, მაგრამ ფრთხილობდა, სხვებსაც ურჩევდა თავი დაენებებინათ შეთქმულებას ფიქრისთვის. იასე ფალავანდიშვილის ჩვენებით, ერთხელ ვახტანგს ხელი უტაცნია პრაპორშჩიკ დიმიტრი ერისთავის ეპოლეტებისათვის და უთქვამს: „თუ მონობის ნიშანი“ (გზლ. 387).

ვ. ორბელიანი იყო პოეტი. პირველად მისი ლექსი „ბუღბუღი“ დაიბეჭდა ჟურნ. „ცისკარში“, 1857 წ. № 1-ში.

1887 წელს პ. უმიკაშვილმა „ივერიის“ 70-ე ნომერში დაბეჭდა მის შესახებ წერილი „75 წელი უხუცესის პოეტისა“.

1894 წელს პეტრე უმიკაშვილმა გამოსცა ვახტანგ ორბელიანის ლექსების კრებული, რომლის გამოსაცემად მომზადება ვახტ. ორბელიანს დაეწყო თავის სიცოცხლეში და შემდეგ მის ქალს მარიამ ორბელიანს და-

უმთავრებია მათი საბოლოოდ გამართვა; მანვე მიუმატა კრებულს ზოგი ისეთი ლექსი, რომელიც ავტორს არა ჰქონდა შეტანილი. ამ გამეორებას ახლავს ი. ჭავჭავაძის წერილი „მოკლე ბიოგრაფია ვახტანგ ვახტანგის ძის თავე. ჯამბაყურიან-ორბელიანისა“, რომელშიაც განხილულია ვ. ორბელიანის პოეზია და შეფასებულია ეს პოეტი როგორც „ლირიკოსი რომანტიული სკოლისა“ (ლექსები ვახტანგ ორბელიანისა, თბ., 1894, გვ. XX).

ორბელიანი ზაალ დიმიტრის ძე (17 . —1808). ასპინძის ომის მონაწილე. 1770 წ. ერეკლე II-მ გააგზავნა ის ეკატერინე მეორესთან. მას უნდა ეუწყებინა დედოფლისათვის ასპინძისთან ომში გამარჯვება, გადაეცა ზოგი რამ ნადავლ-ალაფი (ორი ტყვე ოსმალო, ერთი ლეკი და ბაი-რალეზი), ეთხოვა დაპირებული არტილერიის გამოგზავნა საქართველოში და მოეხსენებინა რომ გენ. ტოტლებენმა ბრძოლის დროს თავი მიანება ერეკლეს.

1774 წელს ზაალ ორბელიანს ამბავს მიუტანენ, რომ ერეკლე მეფე მას დაჭერას უპირებს. ზაალ ახალციხეში გაიქცა ფაშისთან. როცა იქიდან ჩამოვიდა, დაიჭირეს და მაშინ გამოტყდა: ბაკუნიშმა მითხრა, ხელმწიფე ერეკლეს უწყობდაო. მე ვუთხარი, რაკი ესეა, ან რუსს ვისმე უბოძოს ქვეყანა და ან მეფე სოლომანსაო (იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, გვ. 66—68).

მეფე ერეკლეს დროს ზ. ორბელიანი „ყო შემკრები სურსათისა“ (მასალები, საქ. ეც. ისტ. II, 146).

ზაალ ორბელიანს ცოლად ჰყავდა სოფიო ქსნის ერისთავის იესეს ქალი. ამათ ჰყავდათ 4 ვაჟი:

1. დიმიტრი (გენ. ლეიტენანტი, ცოლად ჰყავდა ანა ჩოლოყაშვილი; უშვილო). 2. ბეგლარ (პოლკოვნიკი, ცოლად ჰყავდა გრიგოლ დადიანის ქალი ეკატერინე; უშვილო) 3. ყაფლან (მაიორი, სიღნაღის კომენდანტი 1812 წ. ამისი ქალი სოფიო გათხოვდა როზენის ჩინოვნიკ ბაზაკზე. 4. გიორგი და ერთი ქალი მარიამი, რომელიც 1798 წ. გათხოვდა ვახტანგ გურიელზე.

ზაალ ორბელიანი გარდაიცვალა 1808 წელს.

საფიქრებელია, რომ ზ. ო. რუსეთის დაზვერვის თანამშრომელი ყოფილიყო (ი. ცინცაძე, რამდენიმე ცნობა. ქუთ. პედ. ინსტ. შრ. II, 1941, გვ. 90) «Соленман-паша Ахалцихский в осетинцах... всегда имел конфидентов, равно как и в самой Грузии, где подозреваем был в том кн. Заал Орбелианов». Бутков, Материалы, II, 192.

ორბელიანი თამაზ მამუკას ძე (1768—1815). ერეკლე მეორის და ანა ცოლად ჰყავდა დემეტრე ორბელიანს, დემეტრეს შვილის მამუკა

ორბელიანის შვილია თამაზ. თამაზის დედა იყო გიორგი ერისთავის ასული მიაი, ხოლო მისი დედა — გიორგი ერისთავის მეორე ასული იყო ფარნაოზ ბატონიშვილის მეუღლე. იმერეთის დედოფალი ანა მათეს (მამუკას) ასული თამაზის დაა.

ერეკლე II-ის მეფობის ბოლო წლებში და გიორგი XIII-ის მეფობაში ეშიკაღაბაში თამაზ ორბელიანი იულონ ბატონიშვილის პარტიაში იყო — 1801 წლის დასაწყისში (აქტები, I, 323).

1801 წელს თავის ბიძა (დეიდის ქმარი) ფარნაოზ და იულონ ბატონიშვილებთან ერთად გადაიხიზნა იმერეთს, საიდანაც ალექსანდრე ბატონიშვილს ეფიცება — ოლონდ გადმოდი ქართლ-კახეთში და მერე მე ვიციო (აქტები, II, 163).

როცა ფარნაოზ და იულონი იმერეთს გადაიხვეწნენ, მაშინ მათ და მათ მხლებლებზე გამოითქვა ლექსი:

„ლომნი კატურად ვარბიან ერთითა შეძახილითა  
ამილახარი მოჰყავდათ ერთითა შეძახილითა,  
იულონ თქმით, თამაზ ბანით, ფარნაოზ მოძახილითა“.

(პლ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი XIII-სა. გვ. 247. სქოლიო).

1801 წლის ბოლოდან, როცა იგებს, რომ ქართლ-კახეთის სამეფო გაუქმდა, თამაზ ორბელიანი პოზიციას იცვლის. 1802 წელს ის „სტატსკი სოვეტნიკის“ ჩინშია. ეს ჩინი შემდეგში ბრიგადირის სამხედრო ჩინად იქნა გადაქმეული. ეს ჩინი V კლასისა იყო, გენერალსა და პოლკოვნიკს შორის.

1803 წ. იანვარში ის გაგზავნეს ერევნის ხანთან მოსალაპარაკებლად დანიელის გაპატრიარქების შესახებ. როგორც დემურჩი-ასალუს მოურავს მას 1803 წ. დაავალეს ასი ცხენოსნის გამოყვანა. 1804 წ. ახლდა ციციანოვს ერევნისაკენ ლაშქრობაში. 1804 წელს, ოქტომბერში ის სდევს მთიულეთის აჯანყების შემდეგ სპარსეთისაკენ ლტოლვილ ბიძას ფარნაოზს, დაიქვრს მას და თბილისში მოიყვანს. შემდეგ იღებს გენერალ-მაიორის ჩინს. ის იყო დემურჩი-ასალუს მოურავი. ეს სამოურავო ერეკლე II-მ მზითვად გაატანა თავის დას ანას, რომელიც იყო თამაზის ბებია (მამის დედა).

1812 წლიდან არის თავადაზნაურობის საგუბერნიო მარშალი. 1813 წელს სხვა თავადებთან ერთად გაჰყვება რტიშჩევს გულისტანის ზავის დასადებად სპარსეთთან (სცია, ფონდი 2/8, საქმე 302, ფ. 340, 343).

გარდაიცვალა 1815 წ. 12 ივლისს (იქვე ფ. 133). დასაფლავებულია სიონში. ჰქონდა ქვა წარწერით: „გენ-მაიორი და კავალერი თამაზ ჯამბაყურ ორბელიანი, მამუკას ძე გარდაიცვალა 12 ივლისს, 1815, 47 წლისა“. ქვა დაადეს მეუღლემ — ქეთევანმა დავით ქობულოვის ასულმა (ოთარ და ევ-

გენი (სერგის) ქობულაშვილების დამ) და ძეთა და ასულთა (ბროსე, V-yage, V, გვ. 40).

თამაზის სიკვდილის შემდეგ მის ქვრივს ქეთევან დავითის ასულს დაენიშნა პენსია წელიწადში 2 ათასი მან. ასიგნაციებით (ფონდი 2/8, საქმე 919, ფ. 7).

თამაზ ორბელიანს რუსულ საბუთებში თომას ეძახიან. ამიტომ მისი შვილები იხსენიებიან თომას ძეებად.

სოფ. ვაშლოვანს, თეთრი წყაროს ახლოს, 1811 წელს თამაზ ორბელიანს აუგია კოშკი. კოშკს აქვს წარწერა:

„კოშკი ავაგე საღვინოდ მე თამაზ ორბელიანმა,  
თანამეცხედრე ქეთევან...  
ძეთა დიმიტრი, მაკარი, ივანემ კეთილზიანმა“.

(ვახტანგ ბერიძე. ძვ. ქართველი ხუროთმოძღვრები, გვ. 31). ამ წარწერით თამაზს ჰყოლია სამი ვაჟი: 1. დიმიტრი (იხ.), 2. მაკარი—იგივე მამუკა (იხ.), 3. ივანე (იხ.).

თამაზს ჰყავდა ქალებიც.

1. ნინა — იოანე ერისთავის მეუღლე, გარდაიცვალა 20 წლისა 1827 წ. დასაფლავებულია იკორთაში.

2. ანნა — ლუარსაბ ივანეს ძე ორბელიანის ცოლი.

თამაზის ქვრივს ქეთევანს შეუშვია A—517 სახარება, რომელსაც აქვს ასეთი წარწერა: „შევამკე სახარება ესე ლენერალ-მაიორის გამბაკურ-ორბელიანის თამაზის მეუღლემან ქობულოვის დავითის ასულმან კნეინა ქეთევან... ჩემბ წელსა, თებერვლის დღესა“. (Ф. Жордания, Описание... 11,67).

**ორბელიანი ივანე თამაზის ძე (1802—1866).** თამაზ ეშიკაღაბაშის უმცროსი შვილი (დიმიტრისა და მამუკას მომღვენო). რუსულ საბუთებში ივანე ფომიჩ. იგი მომღვენო ძმმა მამუკა ორბელიანისა, 1801 წელს დაბადებულისა. ამიტომ მისი დაბადების წელად 1802 ან 1803 უნდა ვიგულისხმოთ.

მსახურობდა ყაბარდოს პოლკში, რომელიც ერმოლოვმა 1819 წელს შირვანის პოლკად გადაარქვა. ივ. ორბელიანი იყო ერთ-ერთი უმამაცესი ოფიცერი, მრავალჯერ დაჭრილი ლეკებთან ბრძოლაში (А. Зиссерман, История 80-го пехот. Кабардинского... полка, т. II, СПб, 1881, 473—474). მას პოდპოლკოვნიკის ჩინი აქვს.

ფარნაოზ ბატონიშვილი სწერს დას თევლეს 1845 წლის 26 ნოემბერს: „იოანესა და ნინოს ქორწილი ღვთის მოწყალებით დღესასწაულის შემდეგ იქნება“ (Sd—2256/5—1631). ივანე ორბელიანმა ცოლად შეირთო თორნიკე ერისთავის ქალი ნინო (ნინო დაიბადა 1814 წელს, გარდაიცვალა

1887 წ. დასაფლავებულია სიონში, ციციანოვის გვერდით, ე. ი. სამხ. აღმოსავლეთით სალაროს ახლოს). ნინო გათხოვებამდე ცხოვრობდა თამარ იულონის ასულთან.

თვით ივანე დაბრმავდა და დიდხანს იავადმყოფა. გარდაიცვალა 1866 წლის 30 იანვარს. დასაფლავეს სიონში. დასაფლავებაზე სიტყვა უთხრა ბლალოჩინმა იოანე ინაევმა, მან ამ სიტყვაში განსაკუთრებით მოიხსენია ნინოს ღვაწლი ავადმყოფ მეუღლეს რომ უვლიდა 6 წელიწადი (H—2742, ფ. 1—4).

ნინო ორბელიანმა, ივანე ორბელიანის ქვრივმა 1877 წელს სიტყვით მიმართა ქართულ თავად-აზნაურობის ცხენოსანთა მხედრობას და დლოცა ბრძოლაში წასვლის წინ (H—2742 გ).

ივანეს და ნინოს ჰყავდათ ერთი შვილი — გიორგი (დასაფლავებულია ფერისცვალების მონასტერში).

**ორბელიანი ილია დიმიტრის ძე (1817—1853).** გრიგოლ ორბელიანის ძმა<sup>20</sup> და ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიძა, გენერალ-მაიორი.

1842 წელს ტყვედ ჩაუვარდა შამილს, ტყვეობაში 8 თვე დაჰყო და დიდი წაბეზა გამოიარა: ჩააგდეს დახშულ ორმოში, ბორკილგაყრილი და ტანისამოსშემოფლეთილი, შშიერი. ერთხელ გაიქცა, მაგრამ დაიჭირეს. ამ დროს ის პორუჩიკის ჩინით იყო. ილიამ აღწერა თავისი ტყვეობა (დაბეჭდილია „კავკაზ“-ში, 1849 წ. № 1—5).

ა. ზისერმანი მას ასე იგონებს: „ილიკო ორბელიანი გრაფ ვორონცოვის ძალიან უყვარდა. ილიკო ჩემთან ყოველთვის ქართულად ლაპარაკობდა ის თუმცა კი გაუნათლებელი კაცი იყო, მაგრამ ჰქვიანი და ერთობ სიმპატიური ყოველმხრივ შემეკული ადამიანი. იგი ბოროტად არ იყენებდა ვორონცოვის მისდამი განსაკუთრებულ განწყობილებას“ (А. Зиссерман, 25 лет на Кавказе, СПб, 1879. 110—111).

1852 წ. აპრილში მ. ვორონცოვი სწერს გიორგი რევაზის ძე ერისთავს: „გუშინ აქ ილია ორბელიანის ქორწილი იყო. მექორწილენი ქორწილის უმაღლეს თეთრ წყაროში გაემგზავრენ“ (ვეიდენბაუმის ფონდი, № 390, გვ. 38).

ილია ორბელიანს ცოლად ჰყავდა გიორგი XIII-ის შვილიშვილი ბარბარე ილიას ასული გრუზინსკაია.

ამას ეყოლა ტყუპი—ორი ვაჟი. ერთი მათგანი მაშინვე გარდაიცვალა და მამასთან ერთად დასაფლავეს ქაშვეთში. ილია გრენადერთა პოლკის მეთაური იყო გენ. მაიორის ჩინით, მონაწილეობდა თურქეთთან ბრძოლა-

<sup>20</sup> გრიგოლ ორბელიანს ჰყავდა მესამე ძმა — ზაქარია, რომელიც გარდაიცვალა ხოლერით 1847 წ.

ში და დაიჭრა ბაშ-კადიკლართან გამართულ შეტაკებაში. იგი ამ კრილო-ბით გარდაიცვალა 1853 წლის 8 დეკემბერს.

ილიას სიკვდილი აღწერილია „რუსკი ინვალიდ“-ის 1854 წლის 1, 3 და 4 ნომრებში. იგივე დაბეჭდილია ცალკე 1853 წ. ბოლოს „კავკაზ“-ში და „ზაკავკაზსკი ვესტნიკ“-ში. ილია ორბელიანის სურათი დართული აქვს „სბორნიკ იზვესტი“-ს მე-10 წიგნს.

ი. ორბელიანი ხშირადაა ნახსენები მ. ვორონცოვის დღიურში.

**ორბელიანი იოანე დავითის ძე. სარდალი.**

პლ. იოსელიანის სიტყვით, გიორგი XIII-ის გარდაცვალების წინა დღეებში, 1810 წლის 26 დეკემბერს იოანე სარდლის ბინაზე მოეწყო თათბირი, რომელზედაც იოანე სარდალს განუცხადებია: „დაშთეს მეფობა რუსეთისა, ნურღა გვინღა მეფედ დავითი!“ (ცხოვრება გიორგი XIII-სა, გვ. 171).

ალექსანდრე (პუბლია) ორბელიანი ასე ახასიათებს იოანე სარდალს: „დავით სარდლის შემდეგ რაღაც ხარახურა ხალხი დარჩა ჯამბაკურ ორბელიანები, ერთს რიგიანი ჰკუა არა ჰქონდა, სულ ფუქსავატი რაღაებიც იყვნენ. დავით სარდლის შვილი ივანე სარდალი რაღაც უბრალო ლეში იყო, მეითარ სოლომონ თარხნიშვილის მონა (ივანე სარდლის და ჰყვანდა თინათინ), რომელსაც თუ უნდა აყენებდა და თუ უნდა დასომდა, უსოლომანოთ ნაბიჯს არ გადასდგამდა, ასე დამორჩილებული იყო იმისი“ (ს. კაკაბაძე, წერილები და მასალები... თბ., 1914, გვ. 35).

ლაზარევის არაერთგზისი მოწმობით იოანე სარდალი რუსების მომხრე იყო (აქტები, I, 325, 327, 330, 418). იოანე სარდლის რუსოფილობას ადასტურებს გრიგოლ ორბელიანი — „ივანე სარდალმა ორბელიანმა ნიშნად ერთგულებისა რუსეთისადმი მოიპარსა და მრავალთა თავადიშვილთა მოაპარსვინა წვერი თავისთანავე, ასე რომ ტომრები ბალნით გატენილნი გადაყარეს მტკვარში“ (ს. ხუციშვილი, ნ. ტატიშვილი — გრიგოლ ორბელიანის უცნობი კონსპექტი „საქართველო ჩემი დროისა“. მუზეუმის მოამბე, ტ. XI—B, გვ. 228).

ორბელიანი ლუარსაბ ზურაბის ძე. ბავშვობაში თურქებს ჩაუვარდა ტყვედ. პოტიომკინმა იგი გამოისყიდა, თავისთან დაიტოვა და შემდეგ სამსახურში შეიყვანა. რუსები მას ივანეს ეძახდნენ, საქართველოში კი, რაკი პოტიომკინისაგან იყო აღზრდილი, „პოტემკინს“ უწოდებდნენ (В. Желиховский, Русский грузинам, с. 50). XVIII ს-ს ბოლოს ბრუნდება საქართველოში. 1803 წ. გენ.-მაიორ გულიაკოვის რაზმშია, აქ მან თავი ისახელა ბელაქანთან გამართულ ლეკებთან ბრძოლაში, რისთვისაც მიიღო მაიორის ჩინი და IV კლასის გიორგის ჯვარი (აქტები, II, 39). 1804 წ. ციციანოვმა გაგზავნა ის სოლომონ II-სთან წერილით — დააბრუნე კონსტანტინე ბატონიშვილი (გაქცეული ლამისყა-



ნიდან იმერეთში). 1807 წ. ებოძა პოდპოლკოვნიკობა. 1810 წ. მონაწილეობს საომარ მოქმედებებში იმერეთში.

კახეთის 1812 წ. აჯანყების დროს, როცა რუსის ჯარმა პოლკოვნიკ ზაგრინსკის მეთაურობით აიღო ხაშში, ამ რაზმს შეუერთდა მარკიზი პაულუჩი. მასთან სხვა ქართველ თავადებთან ერთად იყო ლუარსაბ ორბელიანიც (Записки Дав. Осип. Бебутова, Военный сборник, 1867, т. LX, отд. II, с. 260).

ლუარსაბ ორბელიანს ცოლად ჰყავდა ელისაბედი, რომლისთვისაც სოლ. დოდაშვილის სიდედრს ანა კობიევას უსესხებია 370 მანეთი. 1827 წ. ამის თამასუქი უყიდია სოლ. დოდაშვილს (ეს ჩანს სოლომონის მეუღლის ელენეს 1833 წ. განცხადებიდან; ამავე განცხადებიდან ჩანს, რომ 1833 წ. ელისაბედი უკვე გარდაცვლილია).

ლუარსაბსა და ელისაბედს ჰყავდათ ქალი მარიამი (მას მარია ივანოვნას უწოდებდნენ), რომელიც 1832 წ. ბოლოს მისთხოვდა დიმიტრი ვახტანგის ძე ორბელიანს (იხ.), თეკლეს ვაჟს.

**ორბელიანი ლუარსაბ ივანეს ძე (1791—1834).** სარდალ ივანე ორბელიანის ვაჟი. 1832 წ. შეთქმულების საგამომძიებლო კომისიას უჩვენა, რომ არის 39 წლისა, ე. ი. დაბადებულია 1791 წ.

სარდალ ივანე ორბელიანს ორი ვაჟი ჰყავდა: ლუარსაბი და დავითი. ლუარსაბი სწავლობდა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში.

ცოლად ჰყავდა თამაზ ორბელიანის ქალი ანა (მამუკა ორბელიანის და). ამ ანას შესახებ პუპლია ორბელიანი წერს: „მე იმისი მსგავსი მშვენიერი ქალი არ მინახავს“ (S—1659 გ. გვ. 21). „ამ დროებაში სარდლის ივანეს შვილის ლუარსაბისა და ეშოკალაბაშის თამაზის ქალის ანას (ორბე სახლი ორბელიანები) ქორწილი მოხდა თავად სულხან ბეგთაბეგის დიდ სახლს დარბაზში“ (ალ. ორბელიანი, S—1662, გვ. 1). ეს იყო ტორმასოვის დროს. ქორწილში იყო ტორმასოვიც, რომელსაც მშობლებმა პატარა პუპლია წარუდგინეს.

ტორმასოვის წარდგენით მაიორი ლუარსაბ ივანეს ძე ორბელიანი იღებს პენსიას 990 მანეთს ვერცხლით.

იგი ჩარეულია 1829 წლის ამბებში (—წინააღმდეგობას უწევდა ქართველთა გაწვევას მილიციისში).

1830 წელს გარდაიცვალა ლუარსაბის ძმა დავითი და მისი ოჯახი (მეუღლე — მანანა, შვილები, ივანე, ანასტასია და ალექსანდრე) ლუარსაბის კმაყოფაზე დარჩა. თვით ლუარსაბს ჰყავდა ორი ქალი: ელენე<sup>21</sup>

<sup>21</sup> ელენე, მეტსახელად ცაქალო, ცხოვრობდა ელექსანდრეს ბაღის პირდაპირ, ატლანტებიან სახლში. შვილისაბედ ელიზბარის ასულ ერისთავის გადმოცემით, იყო ევროპელების პასია.

(ზაქარია ერისთავის მეუღლე) და მარიამ (ნიკოლოზ ფალავანდიშვილის მეუღლე).

ლუარსაბ ორბელიანი იყო 1832 წ. შეთქმულების მონაწილე. საგამომძიებლო კომისიამ იგი III კატეგორიის დამნაშავეთ მიაკუთვნა. ამ კატეგორიას შეადგენდნენ ის პირნი, რომელნიც „აქტიურად მონაწილეობდნენ შეთქმულებაში და აჯანყების მომხრენი იყვნენ“. მას სამხედრო სასამართლოზე გადაცემა გადაუწყვიტეს. 1833 წ. 2 მაისის დადგენილებით ლ. ორბელიანს ადგილობრივ დარჩენა და პატიმრობიდან გათავისუფლება გადაუწყდა (ვზლ. 499), ამასთან მას მოესპო პენსია.

ლ. ორბელიანი გარდაიცვალა 1834 წ. ივლისში (გრ. ორბელიანის წერილები. № 22—23).

ლუარსაბის სიკვდილის შემდეგ მანანა და ანა (სარდლის რძლები) გაიყარნენ. სწერს დიმ. ორბელიანი ძმას — პუბლიას კალუვიდან 1836 წ. 8.IV-ს. (ლიტ. მუზეუმი, № 610).

**ორბელიანი მამუკა თამაზის ძე (1801—1875).** რუსულად იწოდება მაკარ ფომიჩად. თამაზ ორბელიანისა და ქეთევან ჭობულაშვილის მეორე ვაჟი.

დაიბადა 1801 წელს (თუმცა ეპიტაფია მისი სიონში უჩვენებს 1800 წელს). სწავლობდა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში. სამსახური დაიწყო 1816 წ. ერევნის კარაბინერთა პოლკში.

მამუკა ორბელიანი, პუბლიას თქმით, იყო „აჩქარებული ხასიათისა და ღვინოში ხომ კარგა ჭირვეული იყო, რომელსაც ყოველი... კაცი ერიდებოდა და რომელსაც იმისის ხასიათის გამო მომატებულს სახელს ბუილას (რუს. კამბეჩი) ეძახდნენ:... (S—1659/გ. 21). მამუკა იყო ცნობილი მოჯირითე და სახელგანთქმული ვაჟკაცი. მის ვაჟკაცობაზე ლეგენდები იოხზებოდა.

1829 წელს მონაწილეობდა მილიციაში გაწვევის წინააღმდეგობაში. იგი პასუხისგებაში მისცეს, მაგრამ გაამართლეს (აქტები, VIII). იგი გადადის სამოქალაქო სამსახურში — ელისავეტოპოლის (განჯის) მაზრის უფროსია. ამ თანამდებობაზე ყოფნისას მისი რეპუტაცია შეიღაბა. ამ დროისაა ცნობილი საქმე ფოსტის გაქურდვისა. ფოსტის გატაცებას ყაჩაღებს აბრალებდნენ, ხალხში კი გავრცელებული იყო ხმა, რომ ფოსტა თვით მამუკამ გაძარცვა და ყაჩაღებს გადააბრალა. პროცესი ამ საქმეზე დიდხანს გრძელდებოდა და დამთავრდა მამუკას თანამდებობიდან გათავისუფლებით და მისი არმიის ჩარიცხვით.

მამუკას ცოლად ჰყავდა გიორგი ერისთავისა (სენატორის) და გაიანე გიორგი XIII-ის ასულის ქალი ქეთევანი (1808—1897).

მამუკას ჰყავდა მეტად ლამაზი გარეგნობის ქალები:

1) ალექსანდრა (ლევან მელიქიშვილის—დადესტნის ოლქის უფრო-

სის მეუღლე), 2) ბარბარე (გუნების აღების გმირის—იოსებ დავითის ძე თარხან მოურავის მეუღლე).

„ჩვენი სტუმარი იქნება დღეს მამუკას ქალი, ახლად გამოხული ინსტიტუტიდამ, სახით მშვენიერი, წელით საროზე აღზრდილი. შე წყუელო ეს მაინც შეირთე“ — სწერს გრ. ორბელიანი დიმიტრი ჯორჯაძეს 1858 წ. 28. V-ს. (წერილები, ტ. 1, № 366). „მამუკას ქალი ბაბო, მშვენიერი ბაბო, დანიშნა ახლანდელის ყაზიყუმუხის ხანზე, ესე იგი იოსებ თარხანოვზე, შენ კი თვალი დავიდვა“. — სწერს გრიგოლ მასვე 1859 წ. 16 II-ს (იქვე № 374). „კვირაცხოვლობას მიწვეულნი ვართ ატენს მამუკას ქალის ქორწილში“ (იქვე, № 376). ამ ქორწილს ესწრებოდა მთავარმართ. ბარიატინსკი, ხოლო პატარძლის პაპამ — გიორგი სენატორმა გააკვირვა ყველა თავისი მოღებებით (Записки Инсарского, Русская Старина, 1894. апрель). მამუკას ვაჟებიდან დავითი ცნობილი იყო იმით, რომ პეტერბურგში სკანდალი მოახდინა მასკარადზე რეპნისკისთან, რისთვისაც გაასამართლეს (გარდაიცვალა 1875 წელს. „ტიფლ. ვესტნიკი“. 1875 № 34).

მამუკა ძმა დიმიტრი ორბელიანისა — მარშლისა და ცოლისძმა ლუარსაბ ორბელიანისა.

გარდაიცვალა 1871 წ. დასაფლავებულია თბილისის სიონში.

ორბელიანი მანანა (1808—1870). 1833 წელს 1832 წლის შეთქმულების გამოძიებისას იყო 25 წლისა, ე. ო. დაბადებულია 1808 წელს. მამა მანანასი იყო პოდპოლკოვნიკი ქსნის ერისთავი მირმანოზ, დედა — დავით აბაშიშვილის ქალი თამარ (გარდაიცვალა 1809 წელს 19 წლისა, დარჩა 1 წლის ქალი). (თამარის დედა იყო სალომე, სვიმონ მუხრან-ბატონის ასული. ე. თაყაიშვილი, იკორთის ნაქარგობანი, აკად. მოამბე, X. № 1, 1949, გვ. 62).

1824 წელს გათხოვდა ივანე სარდლის შვილზე — დავით ორბელიანზე (ლუარსაბ ორბელიანის ძმაზე). მისგან ეყოლა სამი შვილი: ივანე (დაიბადა 1805 წ. შემდეგში გენ-მაიორი, ცოლად ჰყავდა სოფიო შალვას ასული ერისთავი; გარდაიცვალა 1893 წ.), ანასტასია (დაიბადა 1826 წ. შემდეგში გაგარინის მეუღლე, გარდაიცვალა 1901 წ.<sup>22</sup> შემდეგ), ალექსანდრე (დაიბადა 1829 წ. გარდაიცვალა 1869 წ. იალტაში). 1830 წელს გარდაეცვალა ქმარი დავით ორბელიანი (დასაფლავებულია კუმისის თავს, სამების ეკლესიაში).

მანანა ორბელიანს უწოდებდნენ „ჩვენებურ მადამ რეკამიეს“. ქმრის სიკვდილის შემდეგ ცხოვრობს მაზლთან, ლუარსაბ ორბელიანის სახლში.

<sup>22</sup> 1901 წ. ანასტასია გაგარინამ მოზაიკით შოავო ანჩისხატის იტაკი. პ. კარბელაშვილი ანჩისხატი... 1902, გვ. 6.

მათი ოჯახები გაუყრელი იყო. მაზლის სიკვდილის შემდეგ 1835 წ. მაზლის ცოლები მანანა და ანა იყრებიან.

განდობილი ჰქონდა 1832 წლის შეთქმულების ამბავი. ის პირდებოდა შეთქმულებს, რომ ალ. ჭავჭავაძეს აიძულებდა ჩანადიერი განეხორციელებინა. 1833 წ. 2 მარტს როზენი სწერდა ჩერნიშევს: „დღეისათვის ცნობილი ვახდა, რომ შეთქმულების ამბავი იცოდა დავით ორბელიანის ქვრივმა მანანამ. როცა ბატონიშვილი თამარ იულონის ასული დავაპატიმრეთ, მანანა ორბელიანი თავად მოვიდა ჩემთან და გადმომცა წერილობითი ჩვენება შეთქმის შესახებ. რაკი მან ეს თავის ნებით აღიარა, არ დავაპატიმრებ, მაგრამ მისგან ჩამორთმეულ იქნება დამატებითი ახსნა-განმარტებანი. რადგან ამ ქალს ჰქონდა ძალიან ხშირი ურთიერთობანი თავ. ალ. ჭავჭავაძესთან და ალბათ კიდევ ეცოდინება მისი მონაწილეობა“ (ფონდი OBD, საქმე 163, ფ. 182).

საგამომძიებლო კომისიამ იგი ჩათვალა VII კატეგორიის დამნაშავედ, ანუ ისეთ პირად, ვინც იცოდა შეთქმულების ამბავი, მაგრამ არ ეთანხმებოდა მას და როგორც ასეთი დამნაშავე, დატოვეს სასტიკი მეთვალყურეობის ქვეშ (გზლ. 497).

მანანა გარდაიცვალა 1870 წ. 3 VI-ს. (მის შესახებ იხ. ი. ბალახაშვილი, მანანა ორბელიანი, 1941).

**ოქრიაშვილი დიმიტრი.** მღვდელი. ცნობილი ხელნაწერთა გადაწერით. 1811 წელს ის იკორთის მღვდელია. ამ დროს გადაწერს ანტონ I-ისაგან თარგმნილს ბაუმეისტერის ფილოსოფიას (H—206); ამავე 1811 წელს ის გადაწერს იოანე ელიზბარის ძე ერისთავის დაკვეთით პლატონ არქიეპისკოპოსის „მართლმადიდებლობით მოძღვრებას“, რომელიც რუსულიდან ქართულად თარგმნა გაიოზ რექტორმა თბილისში 1781 წელს (H—220). 1816 წელს გადაუწერია „ბარამ-გულანდამიანი“ (H—228). 1819 წლის 11 ოქტომბერს გორში შეადგინა და გადასწერა ლექსების კრებული (S—2806). 1820 წელს გორში გადასწერა „სასწავლო ყრმათათვის“, რუსულიდან ქართულად ნათარგმნი გაბრიელ ჩხეიძისაგან და დაბეჭდილი მოსკოვს 1739 წელს (H—347). გორშივე 1822 წელს დიმიტრი ოქრიაშვილმა გადასწერა დავით ბატონიშვილის „ნარკვევი“, დაბეჭდილი თბილისს 1800 წელს (H—23).

ამის შემდეგ, როგორც ჩანს, დიმიტრი მღვდელი იერუსალიმს მიდის და იქიდან პეტერბურგს სახლდება. 1822 წელს გადაწერილ „სჯულის კანონს“ აქვს ასეთი შინაწერი: „ოკდომბრის გ ჩყვბ წელსა აღიწერა სამ-პეტერბურგსს (!) ხელითა მღვდლის დიმიტრისათა იერუსალიმს თაყვანისცემულისათა“. (H—405; 64v). პეტერბურგშივე 1824 წელს გადასწერა „ამბავი მაჰმადისი“ — „ესე წიგნი გადმოვწერე... მღვდელმა დიმიტრი ოქრიაშვილმა სანკტპეტერბურგს, თებერვლის კდ დღესა, წელსა

ჩუკლ“ (H—258, 47—48). იმავე 1824 წელს იგი ვადმოწერს კრებულს, რომელშიაც შესულია „შემოკლებული საღმრთო ისტორია ეკლესიისა“ და „საზრდელი ყრმებივითა“ (H—346).

1826 წელს „მღვდელი დიმიტრი ოქროაძე“ გადასწერს ვახუშტის „ისტორია გიორგიისა ანუ ყოვლისა საქართველოსა“-ს (S—4545).

1818 წლის პეტრინიშნიან ქალაქზე გადაწერილ კრებულს (შეიცავს წმიდანთა ცხოვრებას და „ქართლის ცხოვრების“ ნაწილს) აქვს მინაწერი: „ვიციდუ დიმიტრი დეკანოზის ოქროვეისაგან. მივეც 1—20 ლუარსაბ მეღვინეთხუცესოვი“ (S—4975).

დიმიტრი ოქრიაშვილს გადაუწერია „ქართლის ცხოვრების“ ერთი ნუსხა (S—5314), რომელზედაც მიუწერია: „წელსა ჩუკლ (1833) თვესა იულისსა კზ (27) დღესა ხელვყავ წერად რიაზანს მეგრელის დედოფლის ნინას მოძღვარი მღვდელი დიმიტრი ოქრიაშვილი“. ამ მინაწერიდან ჩანს, რომ დიმიტრი 1833 წ. რიაზანს წაპყოლია დედოფალ ნინას, რომელიც რიაზანში იმყოფებოდა 1820 წლიდან.

**ოქრომჭედლიშვილი ნინუშკა.** რუს მხატვარს ანდრია ივანეს ძე ფედოტოვს (აკადემიკოსს) ცოლად ჰყავდა ოქრომჭედლოვის ქალი. ფედოტოვმა დახატა სურათი „დედოფალ მარიამ გიორგის ასულის ზიარება“, რომელიც მოთავსებული იყო მოსკოვში, კარის ეკლესიაში, მცირე თეატრის გვერდით.

„ფედოტოვის ქალი, ვარვარა ანდრეას ას. ფედოტოვა დედით ოქრომჭედლოვა“ (Л. Д. Лещинский, Павел Андреевич Федотов — художник и поэт. М.—Л., 1946).

ოქრომჭედლოვის ქალზე, რომელიც ფედოტოვზე გათხოვდა, სწერს მარიამ დედოფალი შვილს მიხეილს 1839 წელს: „ნინუშკა ანდრია ივანის ფედოტოვს მისცეს და ჯვარი დასწერეს. შენი ნათლულიც გათხოვდა — მაშინკა, ერთმა კეთილშობილმა შეიერთო“.

მარიამ დედოფლის ამაღლაში შედიოდნენ აზნაური იოსებ დავითის ძე ოქრომჭედლოვი და მისი მეუღლე თინათინ ნიკოლოზის ასული, რომელიც იყო ძიძა დედოფლის უმცროსი ვაჟისა (ირაკლისა) (Исадзе, Летопись Грузии, 363). ნინუშკა ამათი ქალი უნდა იყოს.

**ოქროპირ ბატონიშვილი** (1794—1857). გიორგი XIII-ისა და მარიამ ციციშვილის ვაჟი. ეპიტაფიის მიხედვით დაიბადა 1795 წ. 24 ივნისს, საკუთარი ჩვენების თანახმად კი 1794 წელს თელავში.

1803 წ. 19 აპრილს, როცა მარიამ დედოფლის სასახლეში ტრაგიკულად დაიღუპა რუსი გენერალი ლაზარევი, ოქროპირი, მაშინ 8—9 წლისა, დედასთან და დამმებთან ერთად ძალით გადაასახლეს რუსეთს. მალე

ის შიბარეს კადეტთა პირველ კორპუსში. აქ სწავლის დამთავრების შემდეგ გაამწესეს ლეიბ-გვარდიის ეგერთა პოლკში.

იმპერატორის ბრძანებით რუსეთში გადასახლების შემდეგ ილია და ოქროპირ ბატონიშვილებს დაენიშნათ თითოს 90 000 მანეთი, ოღონდ ეს თანხა საგირავნო ბანკისთვის უნდა გადაეცათ ხაზინიდან, სარგებელიც, თავის უნდა წამატებოდა, სანამ ბატონიშვილები მცირეწლოვანნი იყვნენ. 1812 წ. 1 მაისისათვის საგირავნო ბანკში მარტო სარგებელი დაგროვდა 68 592 მან. 76 1/2 კაპ. ფინანსთა მინისტრს უნდოდა მთელი ამ თანხის ბატონიშვილებისათვის მიცემა, მინისტრთა კომიტეტმა კი დაადგინა მისცემოდათ ბატონიშვილებს ყოველწლიურად იმდენი, რამდენიც მათ ესაჭიროებოდათ ახლანდელი მათი სამსახურის კვალობაზედო. ამიტომ გასაგებია, რომ ბატონიშვილები მუდმივ „მათხოვრობდნენ“ იმპერატორის კარზე.

ოქროპირი სამსახურში დიდხანს არ გაჩერებულა, პორუჩიკის ჩინით ის სამსახურიდან გადადგა. ცოლად შეირთო გრაფ პავლე ივანეს ძე კუტაისოვის (1780—1840) ქალი ანა. კუტაისოვი იყო ობერპოლკოვნიკი, სახელმწიფო საბჭოს წევრი და სენატორი. სწორედ ეს სენატორი კუტაისოვი მეჩინოვთან ერთად გამოგზავნეს კავკასიაში სარევიზიოდ იმ ხანებში, როცა ოქროპირი საქართველოში იმყოფებოდა. თბილისში ოქროპირი ჩამოვიდა 1829 წლის 1 სექტემბერს კავკასიის მინერალური წყლებიდან, სადაც ის იმყოფებოდა სამკურნალოდ. ოქროპირი აპირებდა მინერალურ წყლებზე მკურნალობის მეორე კურსის ჩატარებას, ამიტომ გადაწყვიტილი ჰქონდა ზამთარი გაეტარებინა ოდესსაში და შემდეგ მინერალურ წყლებზე წასულიყო. მაგრამ რადგან იმ დროს ოდესსაში შავი ჭირი გაჩნდა, ოქროპირი თბილისში დარჩა. თბილისში მან დაჰყო 1830 წ. 3 ივნისამდე. თბილისში ყოფნისას ის გრაფი კუტაისოვისა და ქართველი თავადების თანხლებით დადიოდა სანადიროდ თბილისის მიდამოებში. 1829 წ. 7 ნოემბერს დაესწრო სოლ. დოდაშვილის ვაჟის — ივანეს ნათლობას (S—388. გვ. 58).

შეტქმულების გამოძღვანებისას ოქროპირი ცოლშვილით უკვე მოსკოვში იყო. ზაქარია ჩოლოყაშვილის პირველსავე ჩვენებაში (1832 წ. 13.XII) ოქროპირი დასახელებულ იქნა როგორც შეტქმულების მთავარი სულისჩამდგმელი. ამ ამბის პეტერბურგში მიღებისთანავე იმპერატორის განკარგულებით მოსკოვის გენერალ-გუბერნატორმა ოქროპირს მეთვალყურე მიუჩინა. ოქროპირზე მეთვალყურეობის დაწესებამ გენერალ-გუბერნატორს ასეთი დასკვნა მიაღებინა: „ოქროპირი და მისი ორი ძმა დედასთან ერთად ცხოვრობენ მოსკოვში საკუთარ სახლში. ოქროპირი წყნარი და მორიდებული ზნისაა, საზოგადოებას ერიდება, ხვდება მხოლოდ ნათესავეებს და თანამემამულეებს. რუსეთში მას ერთგვარი განათლება მიუღია, საკმაოდ თავისუფლად ლაპარაკობს რუსულად და ფრანგულად,

კითხულობს მისტიკურ წიგნებს. მისი საუბრიდან გარკვევით ჩანს, რომ ძალიან განიცდის სამეფოს დაკარგვას და გაცირვებით ურიგდებოდა, რომ იგი აღარასოდეს არ იქნება მეფე. ოქროპირი ძალზე აძაგებს საქართველოში რუსებისაგან შეტანილ მმართველობის სისტემას. იგი აღნაგობით და ჯანმრთელობით სუსტია, ამიტომაც ვაზაფხულზე სამკურნალო წყლებზე სურს წასვლა საზღვარგარეთ (მოსკოვის ცსია, III განყოფილების ფონდი, I ექსპ. 1829 წ. საქმე 355, ფ. 24—25, 1833 წ. 9 იანვარი).

მეთვალყურეობის დაწესების შემდეგ ოქროპირი გაჩხრიკეს, ქალაქები ჩამოართვეს; გენ. ლიხოვსკიმ პირველი ჩვენებაც ჩამოართვა. პირი ამ ჩვენებისა გამოგზავნეს თბილისში — საგამომძიებლო კომისიამ ის განიხილა 1833 წ. 13 თებერვალს.

1833 წ. 28 იანვარს ოქროპირი გაიწვიეს პეტერბურგში, სადაც დაარსებული იყო საიდუმლო საგამომძიებლო კომისია 1832 წლის შეთქმულების რუსეთში მყოფ მონაწილეთა დასაკითხად.

1833 წ. 11 თებერვალს ოქროპირს სიტყვიერი ჩვენება ჩამოართვეს. პირი ამ ჩვენებისა თბილისში გამოგზავნეს. ეს ჩვენება შეამოწმა კარის მინისტრმა ადლერბერგმა. შემდეგი ჩვენებები კი მას კომისიამ ჩამოართვა. 17 მაისს ოქროპირი თბილისში გამოისტუმრეს. გზად ის შეუძლოდ იყო, წარამარა წამლებს იღებდა, ამიტომ მოჰყავდათ მხოლოდ დღისით, ღამით ასვენებდნენ. 27 ივნისს თბილისს ჩამოიყვანეს და მოათავეს ოფიცერთა ყაზარმებში, იქ, სადაც სხვა პატიმრებიც იყვნენ.

ოქროპირი დაკითხვებზე უარყოფდა თავის მონაწილეობას შეთქმულებაში, ხოლო მის საწინააღმდეგოდ მიცემული სხვათა ჩვენებები მიიჩნედა განგებ, მის სამტროდ მოგონილად. სოლ. დოდაშვილს შეთქმულთათვის ვადაუცია ოქროპირის ნათქვამი 1830 წელს თბილისიდან გამგზავრებისას: „ბატონო ქართველებო, ეცადეთ საქართველოს გათავისუფლებას. საქართველოს გათავისუფლება იმიტომ კი არ მინდა, რომ აქ ვინმე ბაგრატიონთაგანი გამეფდეს, არამედ იმისათვის, რომ საქართველო შეიქმნეს რესპუბლიკის მაგვარ სახელმწიფოდ“ (რე. IX, 1567). საგამომძიებლო კომისიამ იგი I კატეგორიის დამნაშავედ სცნო. პირველ კატეგორიაში შედიოდნენ ის პირნი, რომელთაც ჩააგონეს სხვებს შეთქმულება და დასაბამი მისცეს ბოროტ განზრახვას. ამ კატეგორიაში შეიყვანეს მხოლოდ ოქროპირ და დიმიტრი ბატონიშვილები და ორივეს გადასახლება მიუსაჯეს ერთს კოსტრომაში, მეორეს სმოლენსკში.

1 ნოემბერს გამოიცა იმპერატორის ბრძანება ოქროპირის ქ. კოსტრომაში გადასახლების შესახებ. 21 ნოემბერს ოქროპირი ჟანდარმთა კორპუსის პოდპორუჩიკ გრინფელდის თანხლებით რუსეთის გზას გაუყენეს.

1850 წლის შემოდგომაზე ოქროპირი დროებით გამოუშვეს საქართველოში. მ. ს. ვორონცოვი წერს თავის დღიურში: „1850 წ. 26 სექტემბერს დილით ვიყავით მთავარ ბეხმეი-მირზასთან გ. ე. ერისთავი, ბატონიშვილი

ოქროპირი, ეგზარხოსი და ვიკარი“ (Старина и Новизна, 1902, в. V) 1850 წლის 3 სექტემბერს ტარასი არქიმანდრიტი სწერს იოანე მოურავს: „მე გუშინ ბატონის მოედანზედ შემომხვდა პლატონ და ოქროპირ“.

ოქროპირი გარდაიცვალა მოსკოვს 1857 წ. 30 ოქტომბერს. დასაფლავებულია პოკროვის მონასტრის იონა მიტროპოლიტის ეკლესიაში. ოქროპირ ბატონიშვილი ცნობილია ლიტერატურული შრომით.

როცა ის 1829 წელს თბილისს ჩამოვიდა „დასწერა ლექსი კავკასიის ხილვისას და საქართველოში ჩამოსვლისას, აგრეთვე უსტარი ლექსად დიმიტრი ბატონიშვილს“. ლექსები რუსულად მქონდა დაწერილიო, უჩვენა ოქროპირმა 1833 წლის 30 აპრილს (ფონდი OBD, რკ. XX, 3858).

ოქროპირი ავტორია ტრაგედიისა, რომელიც დაიბეჭდა მოსკოვს ასეთი სათაურით: „ოქროპირ ბატონიშვილი. ვეფხისტყაოსანი. ტრალედია, თქმული მეფის ძის ოქროპირისაგან. მოსკოვს ივანე სერგიოვის სტანბაში. 1853“.

ოქროპირის მეუღლე ანა, გრაფ პავლე კუტაისოვის ქალი, დიდხანს ცხოვრობდა საზღვარგარეთ. ახლო მეგობრობა ჰქონდა პრუსიის სამეფო კარის წევრებთან. იყო განათლებული. ფრანგულ ენაზე სთხზავდა ლექსებს, რომელთაც დიდი მოწონება ჰქონდათ. თხზავდა რომანსებსაც. მეიერბერი ამბობდა მის ზოგ რომანსზე — სიამოვნებით ვიქნებოდი მათი ავტორიო. ახალგაზრდობაში გატაცებული იყო თეატრით. მის სახლში იდგებოდა წარმოდგენები, რომლებშიაც თვითონაც მონაწილეობდა. გარდაიცვალა 1868 წ. მის დასაფლავებაზე უამრავი ხალხი მოვიდა, ისე რომ ლუბლიანკის მოედანი (მოსკოვში), სადაც დედოფლის კარის ეკლესია მდებარეობდა, ეკიპაჟებით და ხალხით იყო სავსე. („კავკაზ“, 1868 წ. № 20. 16 თებერვალი).

ვენგეროვის მიერ შედგენილ რუს მწერალთა ლექსიკონში შეტანილია „გრუზინსკაია, დედოფალი ანა პავლეს ასული, დრამატული მწერალი“ (Венгеров, Источники словаря русских писателей, т. II, СПб, 1910, с. 147).

ოქროპირისა და ანას შვილები:

- 1). ანა, გათხოვილი იყო ალექსანდრე კონსტანტინეს ძე მუხრან-ბატონზე, რომელიც 1851 წ. გარდაიცვალა. შემდეგ ის მითხოვდა იტალიის კონსულს ალექსანდრე ალბიცის. ანა იყო ლამაზი და ჰკვიანი, ბარიატინსკის დროს მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საზოგადოებაში; გარდაიცვალა 1898 წ. პეტერბურგში, დასაფლავებულია ნოვგოროდის მაზრის სოფ. ბობინოს ეკლესიასთან. (დონდუკოვ-კორსაკოვის მოგონებანი).
- 2). გიორგი ოქროპირის ძე. 3). პავლე ოქროპირის ძე. ცოლად ჰყავდა ანასტასია დოლოგორუკოვა. გარდაიცვალა 1875 წ., დასაფლავებულია მოსკოვის პოკროვის მონასტრის მიტროპოლიტ იონას ეკლესიაში.



პაიჭაძე გიორგი (17.. — 1831). მესტამბე. მესტამბის ხელობა ისწავლა რუსეთში. სოლომონ II-ის დავალებით გამართა სტამბა ქუთაისში. სტამბისათვის სახმარი მასალა ჩამოიტანა მოსკოვიდან. ქუთაისის სტამბაში გიორგი პაიჭაძემ დაბეჭდა „დავითნი“. ბეჭდვა დაიწყო 1800 წლის 7 ნოემბერს, დაამთავრა 1801 წლის 25 აპრილს (ქართული წიგნი. I. 84. გვ. 77).

გ. პაიჭაძესთან სოლომონ II-ეს შართლამის წიგნი (—პირობის წიგნი, ხელშეკრულება) დაუდვია წიგნის ბეჭდვის თაობაზე. ამ ხელშეკრულებით გიორგი პაიჭაძესთან ერთად წიგნის ბეჭდვაზე მუშაობს ზაქარია არქიმანდრიტი. ბეჭდვის შემოსავლის  $\frac{3}{4}$  ბატონისაა,  $\frac{1}{4}$  პაიჭაძისა და ზაქარიასი ერთად. ეს ხელშეკრულება ნახსენებია 1803 წლის 3 მარტის საბუთში. (მასალები საქ. ეკ. ისტ. III. გვ. 557). ცხადია, ხელშეკრულება ამაზე ადრე დაიდებოდა.

1803 წლის 15 ივნისს ქუთაისში გიორგი პაიჭაძის მეოხებით დაიბეჭდა კიდევ „სახარება ვნებისა კვირიაკისა“ (ქართული წიგნი. I. 94. გვ. 83).

მაგრამ პაიჭაძეს „უპოვარების“ გამო ველარ გაუგრძელებია სტამბის მუშაობა. ამიტომ სოლომონმა მასთან ადრე დადებული ხელშეკრულება გააუქმა და ახლა — 1803 წლის 17 ნოემბერს სახლთხუცესს ზურაბ წერეთელს დაავალა სტამბისათვის საჭირო ხარჯის გაღება. „სტამბის მუშაობას გიორგი ქართველი შეგვიპირდა და შართლამის წიგნი გამოგვართვა, მაგრამ უპოვარების მიზეზით ველარ შეიძლო და ის უწინდელი გარიგება ...მისთვის დაეაყენეთ“. წერს სოლომონი თავის საბუთში. (Ad—1205).

ამის შემდეგ გ. პაიჭაძე მოსკოვში გამართავს სტამბას, სადაც ოთხი წლის განმავლობაში (1805—1808 წლებში) ბეჭდავდა 802 გვერდიან „სადღესასწაულოს“ (ქართული წიგნი, I. გვ. 86).

1801 წელს თბილისში დააარსეს სასულიერო სტამბა. სტამბის მეთვალყურედ დაინიშნა გ. პაიჭაძე 300 მან. ხელფასით წელიწადში. (აქტები, IV, 150).

ვარლამ ეგზარქოსისადმი რტიშჩევის 1813 წლის მიწერილობიდან ჩანს, რომ „იმერელი აზნაური პაიჭაძე 1810 წელს დაუნიშნიათ თბილისის მესტამბეთ, მაგრამ ის აქამდე პეტერბურგში იყო, ბატონიშვილის სახლში ცხოვრობდა და მას საქმეებში ეხმარებოდა, ესლა კი ის გამოემგზავრა თბილისისაკენ თავისი თანამდებობის დასაკავებლად“ (საქართველოს ც. ა., ფონდი 2/8, საქმე 302, ფ. 185). რტიშჩევი ავალებს სიმონოვიჩს, რომ როგორც კი პაიჭაძე თბილისში ჩამოვა, მასზე მეთვალყურეობა დააწესოს და თვალი ადევნოს რას გააკეთებს იგი აქ და ვისთან ექნება კავშირი (იქვე, ფურც. 184).



1827 წლის 9 ივნისს სოლ. დოდაშვილი მოსკოვიდან წერილს ზაენის იონა ხელაშვილს პეტერბურგში და ამ წერილით მოკითხვას უთვლის გიორგი პაიჭაძეს (ს. დოდაშვილის წერილები. მსკი, 1944. ნაკვ. II — თბ., 1945, გვ. 88). ს. დოდაშვილი, როცა მას გაზეთის გამოცემა დააიკისრეს, ძალიან სწუხს, რომ „გიორგი პაიჭაძე აქ არ იმყოფებოდა“. (1828 წ. 4. VIII-ს წერილი; იქვე, გვ. 116).

გრიგოლ ბატონიშვილის ანთოლოგიაში (H—2130) მოთავსებულია იარალი შანშიაშვილის მუხამბაზი პაიჭაძე გიორგიზე, სადაც სხვათა შორის ვკითხულობთ:

„შე საწყალო პაიჭაძე, რა ხარო?  
სახლი აღარ ვაქვს, ახლა სად ხარო?“  
„მიყვირს ესე, თუ საწყენი რაი ქმენ,  
სიბერის დროს საწიხლავი რად იქმენ?  
პეტრებულში სასადალო შექენ“.

გიორგი პაიჭაძე სამ წელიწადს მუშაობდა ი. ხელაშვილთან, მისი ხელითაა გადაწერილი იონა ხელაშვილის ნაწერებისა და მიწერ-მოწერის კრებულის ზოგი ფურცელი (H—2226). იონა ზრუნავს პაიჭაძეზე და აგრეთვე მის შვილზე: „ეგრეთვე შვილისა შენისათვის მივაწერინე ველიკი კნიაზთან და მიიღო კორპუსში და დღეს გამოუშვებ აფიცრად“ (H—2226, გვ. 8).

ვ. პაიჭაძე გარდაიცვალა 1831 წელს (ნიკო ნიკოლაძის არქივის კატალოგი. გვ. 59. № 518).

**პაუშენკო დიმიტრი პავლეს ძე** (1792—1834-ის შემდეგ). 1832 წლის შეთქმულების მონაწილე. საგამომძიებლო კომისიას უჩვენა, რომ 40 წლისაა, ე. ი. დაბადებულა 1792 წ. ვაკრის ოჯახიდან, ტიტულარული სოვეტნიკის ჩინით. 1832 წ. იყო დუშეთის კაპიტან ისპრაენიკი. იგი დააპატიმრეს 1832 წ. დეკემბერში. დაპატიმრებისას იყო ცოლიანი, ჰყავდა ერთი ქალი.

იგი, როგორც შეთქმულების არსებობის მცოდნე, დაასახელეს გიორგი დავითის ძე ერისთავმა და პუბლია ორბელიანმა.

ალ. ორბელიანის (პუბლიას) ჩვენებით პაუშენკო არიგებდა შეთქმულთ როგორ უნდა მოესყიდათ ჯარები, ქართველ ოფიცრებს უნდა მიეზიდათ ჯარისკაცები, მოსყიდული ჯარები უნდა დაეყენებინათ იმ ადგილებში, საიდანაც რუსის ჯარის შემოსვლა იყო მოსალოდნელი. პაუშენკოს აზრით საჭირო იყო ხმების დაყრა დიდკაცობაში, ვითომც მთავრობა მათ რუსეთში გადასახლებას აპირებს — ამის გაგონებაზე დიდკაცობა თვითონ აჯანყდება.

თვით პაუშენკო კი აჩვენებდა, რომ ის რასაც ალ. ორბელიანი მას



მიწერს, სინამდვილეში ალ. ორბელიანისაგან იყო თქმული, პაუშენკო კი მას მხოლოდ უსმენდა (გზლ. 66).

1833 წ. 15 აპრილს პაუშენკო ითხოვს მისცენ დღეში ერთი საათით საყნიდან ჰაერზე გამოსვლისა და აგრეთვე მახლობლების ნახვის ნება. პაუშენკოს საგამომძიებლო კომისიამ (ბაიკოვის, ვოლზოვსკის, ჩევეკინის და ტრიტელევიჩის შემადგენლობით) ჰაერზე გამოსვლის ნება მისცა, მახლობლების ნახვაზე კი უარი უთხრა (გზლ. 455).

საგამომძიებლო კომისიამ პაუშენკო IV კატეგორიის დამნაშავედ სცნო და ასტრახანში გასახლება მიუსაჯა.

1834 წლის 27 ივნისს პაუშენკო ასტრახანს გაასახლეს.

**პეტრიაშვილი ალექსი — იხ. ათანასე არქიმანდრიტი.**

**პორფირი ბერი** (? — 1830). მღვდელმონაზონი.

ოქროპირ ბატონიშვილის მოძღვარი. პუპლია ორბელიანის თქმით დავით ბარათაშვილის ნაყმევი (1646/გ).

დიღხანს იყო რუსეთში, ბატონიშვილებთან. ხშირად ხვდებოდა ოქროპირს, როგორც მისი მოძღვარი. თბილისში დაბრუნების შემდეგ ფერისცვალების მონასტერში გამწესდა. აქ მასთან ერთად სენაკში იყო ფილადელფოს კიკნაძე. ფილადელფოსის ჩვენებით პორფირი ბერმა ჯერ კიდევ ოქროპირ ბატონიშვილის საქართველოში ყოფნისას (1829—1830 წწ. შორის). მას გადასცა რვეული ფარული საზოგადოების წესდებით, რომლის მიხედვითაც ფილადელფოსმა შეადგინა „აქტი გონიერული“. ეს რვეული ფილადელფოსის ჩვენებით პორფირისთვის მიეცა დავით ბატონიშვილს (გზლ. 417—419).

პორფირი ბერი გარდაიცვალა ხოლერისაგან 1830 წელს. იგი გამოყვანილი ყავს იოანე ბატონიშვილს „კალმასობაში“ (თავი 85).

პორფირის 1794 წელს გადაუწერია მაქსიმე აღმსარებლის „სწავლანი სულიერნი“ (S—1350).

**პრიბილი ივანე ანტონის ძე** (1782—1866). ექიმი. ეროვნებით ჩეხი. დაიბადა 1782 წელს პრალაში. გადმოსახლდა რუსეთში. ჩაერიცხა ტულის გუბერნიის აზნაურებში.

1808 წელს საქართველოში ჩამოვიდა.

1816 წელს — საქართველოს საექიმო სამმართველოს ინსპექტორია. 1822 წ. — თბილისის სამხედრო ჰოსპიტალის მთავარი ექიმი. 1840 წ. გამოცდის გარეშე დამტკიცებული იქნა მედიცინის და ქირურგიის დოქტორიის წოდებაში. 1849 წელს — სამხედრო-სამედიცინო სამეცნიერო კომიტეტის მუდმივი წევრი და ამავე დროს კონსულტანტი თბილისის ჰოსპიტალთან.



გარდაიცვალა 1866 წლის 24 თებერვალს. დასაფლავებულია ძველი კათოლიკურ სასაფლაოზე სოლოლაკში.

ცოლად ჰყავდა აზნაური ოსიზ ყარაევის ქალი ეკატერინე (აქტემი, X, გვ. XXIX). ოსიზ ყარაევი — ოსეთა ყარაშვილი, კათოლიკე, გიორგი XIII-ის კარის ექიმი იყო. ეკატერინე ოსიზის ასული პრიბილი იყო წევრი წმ. ნინოს სახელობის ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების თბილისის განყოფილებისა (კავკასიის კალენდარი. 1865 წ. გვ. 52).

ივანე და ეკატერინე პრიბილებს ჰყავდათ ვაჟი — ნიკოლოზ ივანეს ძე პრიბილი, ტაინი სოვეტნიკი, მეფის ნაცვლის საბჭოს წევრი. გარდაიცვალა 1907 წელს. ნეკროლოგი დაიბეჭდა ვაზ. „კავკაზ“-ის 1907 წლის №158-ში.

(«Московский некрополь»-ის III წიგნის 296-ე გვ.-ზე იხსენიება პრიბილი, დეისტეიტელნი სტატსკი სოვეტნიკი პრიბილის ქვრივი, კნაიენა ელისაბედ ასლანის ასული წერეთელი. გარდაიცვალა 1891 წ. 8 აგვისტოს. დასაფლავებულია მოსკოვში ალექსის ქალთა მონასტერში. შეიძლება ექიმ ივანე პრიბილის მეორე შვილის ქვრივი იყოს).

**რაზმაძე სოლომონ გივის ძე (1797—1860).** დაიბადა 1797 წელს. 1832 წლის შეთქმულების საგამომძიებლო კომისიას უჩვენა, რომ 35 წლისა (ე. ი. დაბადებულია 1797 წელს) თეიმურაზ ბატონიშვილმა 1810 წელს პეტერბურგს თან წაიყვანა 12 წლის სოლომონ რაზმაძე. სოლომონი პეტერბურგში იზრდებოდა თეიმურაზ ბატონიშვილის ხარჯზე. აქ მან 22 წელი დაჰყო. როგორც საგამომძიებლო კომისიას უჩვენა შემდეგში, პეტერბურგში მიიღო მან მცირეოდენი განათლება თეიმურაზ ბატონიშვილის ხარჯით (ფონდი OBD, VII, 1195—1198).

თეიმურაზ ბატონიშვილის ცოლისდა ანა ოთარ ამილახვრის ასული, ცოლად ჰყავდა გრაფ სიმონიჩს. თეიმურაზმა სთხოვა თავის ქვისლს ეპატრონებინა სოლომონ რაზმაძისათვის. როცა სიმონიჩი დანიშნეს რუსეთის მინისტრად სპარსეთის კარზე, თეიმურაზმა ს. რაზმაძე თავრიზში თან წაიოიყვანა.

ს. რაზმაძე პეტერბურგიდან თავრიზს მიმავალი თბილისის ჩამოვიდა 1832 წლის 21 მარტს, აქედან გაემგზავრა თავრიზისკენ 13 აგვისტოს. თბილისში ყოფნისას (მარტი-აგვისტო) იგი ხვდებოდა შეთქმულთ, გაიგო მათგან შეთქმულების მომზადების ამბავი.

როდესაც შეთქმულება გამოძეღვნდა, ალექსანდრე ორბელიანმა უჩვენა, რომ სოლომონმა იცოდა შეთქმულების ამბავი და თანახმა იყო მიეღო მასში მონაწილეობა. მაშინვე სიმონიჩს აცნობეს თავრიზში, რომ ს. რაზმაძე უნდა დაეპატიმრებინათ და ყარაულ ქვეშ გამოგზავნათ თბილისში. 1835 წლის 10 იანვარს ს. რაზმაძე მკაცრი ყარაულით თავრიზიდან გამოისტუმრეს. 27 იანვარს რაზმაძემ სომხეთს მოაღწია და 2 თებერ-



ვალს უკვე თბილისშია (ფონდი OBD, საქმე 163, ფ. 94—95) მაძეს თავრიზში ჩამოართვეს 18 ხელნაწერი, რომლებიც შემდეგ მომძიებლო საქმეში აღმოჩნდა.

საგამომძიებლო კომისიას რაზმადე უჩვენებდა, რომ მან თუმცა კი იცოდა შეთქმულების მზადების ამბავი, მაგრამ მასში მონაწილეობის მიღებას არ დათანხმებულა (რე. XXVII, ფ. 219).

საგამომძიებლო კომისიამ იგი IV კატეგორიის დამნაშავედ სცნო (ამ კატეგორიაში შევიდნენ ის პირნი, ვინც შეთქმულების თანახმა იყო, მაგრამ მასში მონაწილეობდა არასაკმარისად, ან მისი არსებობის ორი წლიდან მხოლოდ ერთ წელიწადს და მხოლოდ ნაწილობრივ იყო აჯანყების მომხრე) და პენზაში სამუდამო საცხოვრებლად გადასახლება მიუსაჯეს.

1834 წლის 24 ივნისს ს. რაზმაძე და სოლ. დოდაშვილი პორუჩიკ ფილიპოვის მეთვალყურეობით გაუდგნენ გზას გადასახლებისაკენ. 17 ივლისს ისინი პენზაში ჩავიდნენ.

1834 წ. 11 აგვისტოს ს. რაზმაძე სამსახურში მიიღეს სამოქალაქო გუბერნატორის კანცელარიაში „კობიისტის“ თანამდებობაზე. 1835 წ. 30 ივნისს „პოდკანცელიარისტის“, ხოლო 1836 წ. 3 იანვარს „კანცელიარისტის“ ადგილი მისცეს. 1837 წ. 29 მაისიდან ის „გუბერნიის რეგისტრატორია“.

1839 წ. 22 ივნისს აკმაყოფილებენ ს. რაზმაძის თხოვნას ავადმყოფობის გამო სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ. 1841 წელს ს. რაზმაძეს ნება დართეს შესულიყო სამსახურში, სადაც უნდა იქ, გარდა ორივე დედაქალაქისა. 1842 წელს ის იწყებს სამსახურს პენზის დეპუტატთა საკრებულოს არქივარიუსად. 1850 წელს მას დანაშაული ეპატია და ორივე დედაქალაქში ცხოვრების ნება მიეცა. მაგრამ ს. რაზმაძეს არ უსარგებლია ამ უფლებით და პენზაშივე განაგრძობს სამსახური და სხვადასხვა დაწესებულებებში სამსახურის შემდეგ 1855 წელს ისევ დეპუტატთა საკრებულოს არქივარიუსობას უბრუნდება.

ს. რაზმაძე გარდაიცვალა 1860 წლის 18 მარტს პენზაში „კოლეგიის სეკრეტრის ჩინით (ნ. ალანია, სოლომონ რაზმაძე პენზაში. „ლიტერატურული გაზეთი“, 26.IV. 1957. № 17).

1839 წელს ს. რაზმაძემ ცოლად შეირთო პენზელი ელისაბედ ივანეს ასული მეშკოვა (დაბადებული 1817 წელს). ამ ქორწინების შედეგად სოლომონს 1845 წელს შეეძინა ვაჟი ალექსანდრე (შემდეგში კომპოზიტორი, მოსკოვის კონსერვატორიის პროფესორი).

ს. რაზმაძე წერდა და თარგმნიდა ლექსებს. ხელნაწერთა ინსტიტუტის A ფონდის № 1184 ხელნაწერი წარმოადგენს ს. რაზმაძის ნაწარმოებთა კრებულს, გადაწერილს 1882 წელს. მასში შესულია ს. რაზმაძის ლექსები, დაწერილი გადასახლებამდე და გადასახლებაში, აგრეთვე რამ-

დენიმე რუსულიდან თარგმნილი. ასეთივე კრებულებია A—1263; A—1284.

1831 წლის 20 იანვარს სთარგმნა რუსულიდან პრეფექტ ოდილიონ ბარროს სიტყვა (ეს სიტყვა მას დიმიტრი ბატონიშვილთან უნახავს). ოდილიონ ბარროს სიტყვის თარგმანი შეთქმულების საქმეში მოხვდა (ფონდი 1457. რვ. XIII. გვ. 2359), მაგრამ ამ საქმეში არ არის ის ლექსი, რომელიც ს. რაზმაძემ თავის თარგმანს წარუშქვავია:

„ვინა ვალა თავის დაღება  
მამულსათვის ყოელ ის კაცისგან,  
მის გამო მეცა კალნიურქმნილმან  
ესთარგმნე ეს წიგნი რუსთა ენიკან.  
დაბეჭდვასაცა არაა მრიდა,  
რომ ივერიელთ ისწავლონ მისგან  
და მით მწე ექმნან მამულსა თვისსა  
და თავი იხსნან სკეით დეს ზოტისგან“.

(ალ. ჭავჭავაძე, თბუღებანი. XI).

1832 წელს ს. რაზმაძეს დაუწერია ლექსი „დიანას მეჯლისი“ (ლექსი მისი დროის 12 მშვენიერ ქართველ ქალზე). ეს ლექსი დაიბეჭდა „ცისკრის“ 1858 წლის მე-12 ნომერში ალ. ორბელიანის წერილითურთ რედაქტორთან ლექსის მოკლე ისტორიით.

1835 წლის 7 აპრილს პენზაში წერს ლექსს:

„ნეტამც, მამულო, არ მომდებოდა  
შენის ხილვისა სურვილის ალი...“

1841 წლის აპრილში ამავე მოტივებზე სწერს ლექსს:

„მშვენიერი ხარ ეპა, სო-ელო!  
მაგრამ შენ, გულო, სხვისგან მოკლულო“.

1841 წელს, როცა ს. რაზმაძეს ნება მისცეს სადაც უნდა იქ ეცხოვრა (გარდა დედაქალაქებისა), ეტყობა მას წერილი გაუგზავნია თეიმურაზ ბატონიშვილისათვის და უთხოვია მისთვის ცარსკოე სელოში ან პეტერპოფში დასახლება. ამაზე ბატონიშვილს მიუწერია:

„...პენზიდან მისის 17-ს წიგნი რომ მოგეწერა, რომელშიც იწერები რომ შემიძლიანო ან ცარსკისელოს ან პეტერლოფში მოვიდეო. ეს არის პასუხი სოლომონავ შენის მოწერილობისა: ეგ ჩემი საქმე არ არის... აქაც რომ იყო, ჩემთან საქმე არ გაქვს. არც ჩემს სახლში შემოგვიშვებ და არც ჩემთან მოგიშვებ. გაგზარდე, ამაგი დაგდეგ, კარგს გზაზე დაგაყენე და შენ ეშმაკის გზაზედ დადეგ. ამას გარდა მადლობის მაგიერად კიდეც მიჩივლე... (საქართველოს ც.ა., ფონდი 226, № 6994).

რატიშვილი გაბრიელ ბეჟანის ძე (1770—1821 შემდეგ, 1842 წლამდე). ანნა და ბეჟან რატიშვილების შვილი. დაიბადა 1770 წელს.



იოანე ბატონიშვილის „თანაზრდილი“ და ემიკალაბაში. 1801 წელს როცა გადაწედა ბატონიშვილების იოანეს, ბაგრატისა და მიხეილის რუსეთს გადასახლება, იოანე ბატონიშვილის ამაღლაში წაირიცხა ბატონიშვილის „აბუტანტი“ გაბრიელ რატიშვილი. იოანე ბატონიშვილს გაბრიელის გარდა ახლდნენ იოანე ქობელაშვილი, ზაზა ანდრონიკაშვილი, ნიკოლოზ ონიკოვი.

გაბრიელ რატიშვილმა იოანე ბატონიშვილთან ერთად იმგზავრა თბილისიდან პეტერბურგამდე.

1801 წ. 20 სექტემბერს დაესწრო საქართველოს რუსეთთან შეერთების მანიფესტის გამოცხადებას.

1802 წლის დასაწყისში ითხოვა იოანე ბატონიშვილისაგან ნება საქართველოში დაბრუნებისა. 1802 წლის 6 მარტს იოანე ბატონიშვილი სწერს ს. ლ. ლაშქაროვს: „...რატიევი... დღეს შეთხოვება საქართველოსა შინა თვისსა სახლსა წარსასვლელად და მეცა ვაძლევ ნებასა წარსვლისასა რამეთუ აქვს მიზეზი, რომ ორნი მოხუცებულნი მშობელნი უვის და გარდა ამისა არავინ იპოვების სახლსა ამისსა“.

1802 წლის 31 მარტს გაბრიელს ებოძა კოლეცკი ასესორობა. 30 აპრილს იგი საქართველოსკენ გამოემგზავრა. ასტრახანში 9 დღე დაჰყო და მოზდოკს მოვიდა. აქაურმა კომენდანტმა ივ. მაკარიჩ პროტოპოპოვმა რატიევი მოზდოკიდან აღარ გაუშვა, რადგან კნორინგი იმ დროს იქ არ იყო და უიმისოდ არავის უშვებდნენ საქართველოსკენ. ბოლოს პროტოპოპოვმა დართო ნება გამგზავრებისა, გაატანა 50 კაცი მოზდოკით ანანურამდე.

რუსეთიდან დაბრუნებულ გაბრიელს დედა გარდაცვლილი დახვდა (დედა მისი ანა გარდაიცვალა 1802 წ. 27 იანვარს)<sup>23</sup>.

1803 წელს გარდაეცვალა მამა ბეჟანი.

ცოლად ჰყავდა ჭიმითის მოურავის (როსებ ჯანდიერის) ქალი მარიამ. ამისგან შეეძინა რამდენიმე ვაჟი და ერთი ქალი.

1794 წელს — გიორგი, 1796 წელს — დიმიტრი, 1798 წელს — ანასტასია, 1801 წელს — იოსებ, 1804 წელს — ბეჟან.

1821 წლის 16 VI-ს იხსენიება „რატიევი გაბრიელი, სასამართლოსა და განსჯის ექსპედიციის სოვეტნიკი“ (А. Цагарели, Сведения... вып. III, 16). იგი 1821 წელს სწირავს წმ. გიორგის ხატს ყანჩაეთის ღირსმშობლის ეკლესიას.

აღწერა თავისი მოგზაურობა თბილისიდან მოსკოვამდე სათაურით „მცირედი რაიმე მოთხრობა როსიისა“ (S—2910). ამ მოთხრობას თან

<sup>23</sup> თუმცა ის თავის მოგონებებში 1801 წელს უჩვენებს, მაგრამ ეს კალმის შეცდომაა რადგან 1801 წ. იანვარში გაბრიელი ჯერ იქვე რუსეთში იყო.

ახლავს გაბრიელის 17 ლექსი და ქრონიკალური ცნობები რატიშვილის ოჯახის შესახებ (S—2910 — მინაწერები). !



როგორც ჩანს, ეს შრომა დაწერილია გაბრიელის რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ, მაგრამ არა უადრეს 1804 წლისა, რადგან ამ შრომას დართული ქრონიკალური ცნობებიდან ყველაზე გვიანი არის 1804 წლისა. გაბრიელის ამ შრომაზე სხვა ხელით მიწერილია ლექსი:

„ამ წიგნის აღწერისათვის ვაძლენი სასუფეველსა,  
ვარჯის საქმისა მჭონეს, შენს მტერისა მძლეველსა“.

ამ ლექსს მიწერილი აქვს: „1842 წელსა, იანვრის 1-სა დღესა, თ. სვიმონ რატივეი უძღვნის ორიოდ სიტყვას მდაბიურს ლექსს, ნეტარხსენებულს მამასა თვისსა თ. გაბრიელ რატივეს“ (S—2910. 119r). აქედან ჩანს, რომ გაბრიელს ჰყოლია კიდევ ერთი ვაჟი — სვიმონი, დაბადებული 1804 წლის შემდეგ.

**რიფსიმე ბატონიშვილი (1780—1847).** გიორგი XIII-ისა და მისი პირველი მეუღლის ქეთევან ანდრონიკაშვილის ქალი.

იყო მეუღლე დიმიტრი ჩოლოყაშვილისა. საქართველოს რუსეთთან შეერთების დროს ჰყავდა ერთი წლის ვაჟი — ზაქარია. შემდეგ ეყოლა კიდევ ვაჟი — ალექსანდრე. 1804 წელს დაქვრივდა<sup>24</sup>. 1807 წლის დეკემბერში იხსენიება მოსკოვს გამგზავრებულთა სიაში.

1828 წელს მარტში თბილისშია. მასთან ცხოვრობს მისი მეორე ვაჟი გადამღვარი პოდპორუჩიკი ალ. ჩოლოყაევი.

გარდაიცვალა 1847 წლის 27 მაისს პეტერბურგში. დასაფლავებულია ალექსანდრე ნეველის ლავრის თევდორეს ეკლესიაში.

**რუსიშვილი ივანე.** 1832 წლის შეთქმულების საგამომძიებლო კომისიის საქმეებში იხსენიება პრაპორშჩიკი, რომელიც არ მსახურობს, ივანე რუსიშვილი.

ს. დოდაშვილმა მის შესახებ უჩვენა, რომ იგი საერთოდ არ იცნობდა ივანე რუსიშვილს (ფონდი OBD, II, 220).

საგამომძიებლო კომისიის საქმეებში იგი იხსენიება როგორც სამსახურს გარეშე მყოფი პრაპორშჩიკი რუსიშვილი.

ი. რუსიშვილი IX კატეგორიის დამანაშავედ სცნეს (ამ კატეგორიაში შევიდნენ ის პირნი, რომლებზეც შეიძლებოდა ეპკის მიტანა შეთქმულებაში მონაწილეობაზე და არაკეთილგანზრახვითი სიტყვების მოსმენაში) და როგორც ამ კატეგორიას მიკუთვნებული, გაათავისუფლეს.

<sup>24</sup> მისი მეუღლე დიმიტრი ჩოლოყაშვილი, ფშავბევსურეთს პრისტავე მოკლეს თიანეთში 1804 წ. 23 მაისს. მის მკვლელობაში ბრალი ედებათ ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის გლეხებს (ფონდი 16, საქმე 189, ფ. 10).





სააკაძე დავით დიმიტრის ძე (17...—1805). თბილისის კომენდანტი. დიმიტრი სააკაძის შვილი. დიმიტრი ვასილის ძე სააკაძე რუსეთში გაჰყვა ბაქარს და სამუდამოდ დასახლდა მოსკოვს. აქ მას შეეძინა შვილი დავით, რომელმაც სწავლა-აღზრდა მიიღო მოსკოვში.

1803 წლის 7 მარტს დავითი დაინიშნა თბილისის კომენდანტად. მან შეცვალა თბილისის კომენდანტი ჩერნოვი (კოვალენსკის დისწული). ამ პოსტზეა ის 1805 წლის აპრილამდე. აპრილში ის იხსენიება როგორც ყოფილი კომენდანტი (აქტები II, 1062). ამ დროისათვის მას აქვს პოდპოლკოვნიკის ჩინი. თბილისის კომენდანტად კი არის კომენო (იქვე).

1805 წლის 20 მაისს გარდაიცვალა (საქართველოს ც.ა., ფონდი 213, საქმე 1168, ფ. 57), დარჩა მეუღლე და შვილი (პეტრე).

საქართველოს ცსია, 226-ე ფონდში 6722 ნომრად დაცულია დავით სააკაძის წერილი, რომლითაც კომენდანტი ნებას რთავს ზაზა ბარათაშვილს დაასაფლავოს ცოლი თბილისის სიონში. ეს საბუთი დაბეჭდილი აქვს ს. კაკაბაძეს (საისტორიო კრებული, II, 86—87).

საბინინი მიხეილი (გობრონ) პავლეს ძე (18...—1900). რუსი მამით და ქართველი დედით. დედა მისი იყო გვარად მირზაშვილი. თბილისის საფოსტო განყოფილების მოხელე გიორგი პანოვის შვილობილი (ეს პანოვი ტიტულარული სოვეტნიკის ჩინით გარდაიცვალა 1876 წელს).

საბინინი პეტერბურგის სასულიერო აკადემიის სტუდენტია. თბილისის გამოემგზავრა 1876 წლის ოქტომბერში.

საბინინის მემკვიდრემ ალექსანდრა გიორგის ასულმა მირზაშვილმა შესწირა საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას მიხ. საბინინის ნაქონი ხელნაწერები და წიგნები (ძველი საქართველო, III, გვ. 8).

საბინინი გარდაიცვალა 1900 წ. („კვალი“, 1900. № 20) საბინინის ღვაწლის დადებითი შეფასება იხ. თ. ჟორდანიას, ქრონიკები, II, 55.

საგინაშვილი დიმიტრი. აზნაური. კახეთის 1812 წლის აჯანყების მონაწილე. 1813 წლის 1 მარტს გადაასახლეს პერშში. 1815 წლის სექტემბერში პერშში გადასახლებული 12 ქართველი განცხადებას სწერს პერშის სამოქალაქო გუბერნატორის ბოგდან ჩერმესის სახელზე. ამ განცხადებით ისინი ითხოვენ მათთვის ფულის გადმოცემას თბილი ტანისამოსის და საცვლების შესაძენად (საქართველოს ც.ა., ფონდი 2/8, საქმე 272, ფ. 55). ამ განცხადებას მე-12 ნომრად ხელს აწერს დიმიტრი საგინოვი.

1818 წელს (აგვისტოში) გამოიცა მანიფესტი ციმბირს გადასახლებულ კახეთის აჯანყების მონაწილეთა განთავისუფლების შესახებ. ამ მანიფესტით განთავისუფლდნენ ისინი, ვინც მხოლოდ პირველ გამოსვლაში მონაწილეობდნენ. მეორე და მესამე გამოსვლის მონაწილენი კი, როგორც უფრო მძიმე დანაშაულის ჩამდენნი, გათავისუფლდნენ პატიმრო-

ბიდან და ციმბირში სამუდამო დასახლება მიესაჯათ (1820 წელს ამათადრებულ მიეცათ ნება სამშობლოში დაბრუნებისა).

დიმიტრი საგინაშვილი არ აღმოჩნდა არც განთავისუფლებულთა და არც ციმბირის დატოვებულთა სიაში. ციმბირის გენერალ-გუბერნატორი ეკითხებოდა პოლიციის მინისტრს რანაირად მოქცეოდა ამ სიებში გამოჩენილ 9 ქართველს. ამის თაობაზე შინაგან საქმეთა მინისტრმა კოზოდავლევმა 1819 წ. 8 თებერვალს შევითხვა გაუგზავნა საქართველოს მთავარმართებელს, რომელმაც უპასუხა: „არ შევიდნენ სიაში იმიტომ, რომ გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლ გენერალ-მაიორ ბაგრატიონს მთავარმართებელისადმი წარდგენილ სიაში არ ჩაუწერია ეს 9 ქართველი“ (ფონდი 2/8, საქმე 486, ფ. 85).

1820 წლის ივნისში გამოიცა ბრძანება ციმბირის გადასახლებულ იმ ქართველების შესახებ, რომლებიც არც ერთ სიაში არ შესულან. რაკი ისინი უფრო მძიმე დანაშაულის მომკმედნი არიან, დატოვებულ იქნენ ციმბირს თავისუფლად საცხოვრებლად შემდგომი ბრძანების გამოცემამდე. დატოვებული ქართველთა შორის არის დიმიტრი საგინაშვილიც. (ფონდი 2/8, ს. 486, ფ. 101—102).

**საგინაშვილი რევაზ აზნაური.** კახეთის 1812 წლის აჯანყების მონაწილე: ამ დანაშაულისათვის გადასახლებულ იქმნა პერმს.

გადასახლებიდან გაათავისუფლეს 1818 წლის მანიფესტით. განთავისუფლების შემდეგ ჩავიდა მოსკოვში. აქედან უნდოდა პეტერბურგს წასვლა. მოსკოვის პოლიცია 1818 წლის 10 დეკემბერს აცნობებს ერმოლოვს — უმჯობესია, პირდაპირ საქართველოში გაემგზავროსო (საქ. ც. ა., საქმე 486, ფ. 54).

**სავანელი გიორგი ივანეს ძე (ბაქრაძე).** მოზდოციდან გადმოსახლებული დუშეთს. თავისი ნამდვილი გვარი შეინარჩუნა, არ დაუკარგავს დავით ხმალაძესავე, რომლის გვარი მის ჩამომავლებს „მოზდოკელად“ გადაუკეთდათ.

ივანე ბაქრაძეს ცოლად ჰყავდა რუსელი ქალის კონია ფირანის (—სპირიდონის) ასულ ფანიაშვილის უფროსი ქალი ხორეშანი. ივანე დუშეთს ჯერ მასწავლებლად იყო, შემდეგ მღვდლად. მერე გადმოიყვანეს თბილისში, სიონის დეკანოზად.

ივანე ბაქრაძესა და ხორეშანს ჰყავდათ შვილები:

- 1) ალექსანდრე სავანელი, დუშეთის მომრიგებელი მოსამართლე ილია ჭავჭავაძის მერე, „ცისკრის“ თანამშრომელი.
- 2) ხარლამპი სავანელი (1842—1890). ცნობილი მუსიკოსი, ბარიტონი, თბილისის მუსიკალური სკოლის დამაარსებელი. მსახურობდა პოლტავაში, შემდეგ პეტერბურგში, სადაც კიდევაც გარდაიცვალა 1890 წ. („ნოვოე ობოზრენიე“, 1890. № 2302).

3) ვასილ სავანელი, პედაგოგი, ილიას ამხანაგი გიმნაზიით დაარსებული პერიტიტით.

4) მარიამი გათხოვდა ქსოვრულ შემამულზე გიორგი რატიშვილზე. ამათი შვილი ივანე გიორგის ძე რატიშვილი იყო ქართული გიმნაზიის მასწავლებელი.

**სავარსამიძე ლეონტი იაკობის ძე (1778—1838).** გენერალ-მაიორი, დაიბადა მოზდოკში, მოზდოკში მცხოვრებ ქართველი ღარიბი თავადის ოჯახში.

1804 წლის 1 იანვრიდან ყაბარდოს პოლკის კაპიტანია. 1818 წელს — პოლკოვნიკი. 1827 წლიდან გენ.-მაიორი. 1832 წელს მონაწილეობდა ქარის ოლქის დაწყებაში. ასრულებდა ქარ-ბელაქანის ოლქის უფროსის მოვალეობას. გარდაიცვალა 1838 წელს. იყო მამაცი, მიღებული ჰქონდა 5 ჰრილობა. საკუთარი ძალით გაიყვლია გზა. თუმცა სპეციალური განათლება არა ჰქონდა მიღებული, სამხედრო მოქმედებებზე მსჯელობდა როგორც გამოცდილი მხედართმთავარი (Записки Н. Н. Муравьева-Карского, Русский Архив, 1886. 1).

ცოლად ჰყავდა ზაალ გურამიშვილის ასული სიდონია, თადეოზ გურამიშვილის (ილია ჭავჭავაძის სიმამრის) და სიდონია მამიდაშვილი იყო მარიამ დედოფლისა. ოქროპირ ბატონიშვილმა თბილისიდან გამგზავრებისას 10 ღამე გაათია ავჭალას, სავარსამიძის სახლში.

სიდონიას, ქმრის სიკვდილის შემდეგ, დაენიშნა პენსია 1500 ვერცხლის მანეთი წელიწადში.

**სალომე, რევაზ ამილახვრის ასული, იულონ ბატონიშვილის მეუღლე (1766—1827).** დაიბადა ს. ქალაში 1766 წ.

1772 წელს ივლისის 28-ს ცოლად წაყვა იულონ ბატონიშვილს, „იულონ ბატონიშვილს ქორწილი უყვეს“ (Qd—839); სალომესა და იულონს ჰყავდათ 4 შვილი:

1. ლევან (დაიბადა 1785 წ. მოჰკლეს 1811 წ.) 2. ლუარსაბ (დაიბადა 1788 წ., გარდაიცვალა 1850 წ. 23/XII-ს პეტერბურგს). 3. თამარ (დაიბადა 1791 წ., გარდაიცვალა 1857 წ. 6.X. თბილისში) 4. დიმიტრი (დაიბადა 1803 წ., გარდაიცვალა 1845 წ. პეტერბურგს). სალომე ოთარ ამილახვრის და იყო. იგი ნათლულია იესე ოსეს ძისა. (იხ. მისი „თავგადასავალი“, გვ. 119). გადასახლდა რუსეთს მეუღლესთან — 1810 წ. მარტში. (S—1400. 50r).

გარდაიცვალა 1827 წ. 2 თებერვალს პეტერბურგში. დასაფლავებულია ალ. ნეველის ლავრის ხარების ეკლესიაში.

**სალომე ფარნაოზის ასული (1797—1860).** ფარნაოზ ბატონიშვილი-

სა და მისი მეუღლის ანა გიორგი (ქსნის) ერისთავის ასულის უფროსი ქალი. დაიბადა 1797 წელს.

წმობლებთან ერთად გადასახლდა რუსეთს. 1825 წ. ებოძა ფრეილი-ნობა შესაბამისი თანხის დაწესებით (S—1532; 89).

სალომეს პეტერბურგში ხვდებოდნენ ელიზბარ ერისთავი და დიმიტრი ბატონიშვილი, რომლებიც მას შეთქმულების მომზადების ამბებს უამბობდნენ.

გარდაიცვალა 1860 წელს. დასაფლავებულია ალექსანდრე ნეველის ლავრის თევდორეს ეკლესიაში.

სიბერეში თვალთ დააკლდა და ბოლო წლებში უსინათლო იყო.

**სამარლანაშვილი ნიკოლოზ.** მღვდელი. 1820 წ. და მის უწინარეს კავკასიის მთებში ქადაგებდა ქრისტიანობას. სარგებლობდა დიდი პატივისცემით მთაში. 1820 წელს დაეხმარა ყაბარდოს მხრიდან, კავკასიის მთებში გამოგზავნილ მაიორ კერშენს კავკასიის ჩრდ. კალთებზე გზის დაზვერვაში (Записки А. П. Ермолова, ч. II, 145). ერმოლოვის ინიციატივით წარმოებდა ახალი გზის გაყვანა კავკასიის ქედიდან „ლინიამდე“ (Архив кн. Воронцова, книга 36., 1890. გვ. 227).

1820 წლის ნოემბერში პროტოიერეი ნიკოლოზ სამარლანიშვილი 10 დღეზე მეტს ატარებს ვლადიკავკაზში, აქ იგი ელოდება რუს ინეინერს, რომელსაც უნდა დაეხმაროს გზის შერჩევაში ცხინვალამდე. ნიკოლოზი ცნობილია როგორც ქრისტიანული სარწმუნოების გამაგრებელი ინგუშებში (აქტები VI-ს, 404).

**სანკოვსკი პავლე სტეფანეს ძე (1798—1832).** განსაკუთრებულ დავალებათა ჩინოვნიკი საქართველოს მთავარმართებლის სამოქალაქო ნაწილში; „ტიფლისკიე ვედომოსტი“-ს მთავარი რედაქტორი.

წარმომობით უკრაინელი აზნაური პოლტავის გუბერნიიდან. მამა მისი სტეფანე ანდრეას ძე სანკოვსკი იყო რუსეთის რეზიდენტი ჩერნოგორიის მმართველთან. განათლება პ. ს. სანკოვსკიმ მიიღო საზღვარგარეთ. თავისუფლად ფლობდა ფრანგულსა და გერმანულ ენებს. 1823 წლიდან საქართველოშია, სადაც რჩება სიკვდილამდე. გარდაიცვალა უდროოდ. 1832 წლის ოქტომბერში ელისაბედ ორბელიანი სწერს გრიგოლ ორბელიანს: „ახლა სანკოვსკი მოკვდა, თამარის მახლი, პავლე სტეფანიჩი, რომელიც გაზეთებს ბეჭდამდა“ (ფონდი OBD, ფ. 96).

1828 წლის 2 მარტს დამტკიცდა პროექტი თბილისში პერიოდული გამოცემის დაარსებისა. „ტიფლისკიე ვედომოსტი“-ს გამოცემა დევალათ კოლეგიის სეკრეტარს ფალავანდოვს, კოლეგიის ასესორს სანკოვსკის, პოდპოლკოვნიკ ბებუთოვს, შტაბსკაპიტან სუმბატოვს, თბილისის სამ-



ხედრო გუბერნატორის ადიუტანტს პორუჩიკ ნილაევს (საქ. ც. აღმდგენის განყოფილება) დი 16 (152), საქმე 3823. ფ. 3).

გაზეთში უნდა დაბეჭდილიყო განცხადებები ქართულ, სომხურ და თათრულ ენებზე (იქვე, ფ. 6); საქართველოში ამ გაზეთის ფასი იყო 3 მანეთი წელიწადში.

1828 წლის 4 ივლისიდან გაზეთი გამოდიოდა რუსულ და ქართულ ენებზე. სანკოვსკის მოადგილეები გაზეთში იყვნენ ს. დოდაშვილი და დეკაბრისტი ვ. დ. სუხორუკოვი.

სანკოვსკი ბეჭდავს საინტერესო სტატიებს, რომლებშიაც ამჟღავნებს საქართველოს ცოდნას.

პუშკინი, თბილისში ყოფნისას, შეხვდა სანკოვსკის, რომელიც მას ესაუბრა საქართველოს შესახებ.

1830 წელს სუხორუკოვი, როგორც არასაიმედო, თბილისიდან ფინეთში გაასახლეს. მის ადგილს გაზეთში იჭერს გ. გორდევი.

სანკოვსკიმ ცოლად შეირთო უბრალო ქალი (მარია პავლოვნა), რომელიც ყუბანზე ტყვედ ჩაიგდეს და პოლკოვნიკ კრაკოვსკისთან იმყოფებოდა. სანკოვსკიმ კრაკოვსკისაგან გაანთავისუფლა ეს ქალი და ცოლად შეირთო. სანკოვსკის სიკვდილის შემდეგ მისი ქვრივი 3 წლის გოგონათი დიდს გაჭირვებაში ჩავარდა, იგი დასახლდა თბილისის გარეთ და ნათესავთა დახმარებით არსებობდა (В. Шадури, Декабристическая литература и грузинская общественность Тб., 1958. 258).

3. სანკოვსკის ჰყავდა ძმა ანდრია სტეფანეს ძე სანკოვსკი, რომელიც აგრეთვე საქართველოში მსახურობდა ა. სანკოვსკი 1820 წლიდან იწყებს სამხედრო სამსახურს. მონაწილეობს სპარსეთის და თურქეთის კამპანიებში (აბას-აბადის, სარდარ-აბადის, ერევნის, ყარსის, ახალქალაქის, ახალციხის, ერზერუმის და სხვ. ალებში). 1838 წ. პოლკოვნიკობა მიეცა. გარდაიცვალა 1859 წელს. ცოლად ჰყავდა იაკობ ორბელიანის ქალი თამარი.

იაკობ ორბელიანს დარჩა ოთხი ქალი: თამარ, ბარბარე, ეკატერინე და სოფიო. თამარ შეირთო პოლკოვნიკმა სანკოვსკიმ, ბარბარე შეირთო არტილერიის კაპიტანმა აპაჩინინმა (Опочинин), ეკატერინე შეირთო მაიორმა ივანოვმა. „სამნივ დიახ უცხო კაცნი არიან. სამნივ რუსები არიან. სოფიო კი ჯერ გაუთხოვარია“ — წერს ალ. ორბელიანი 1845 წელს (H—2490.ფ. 10) სოფიოც შემდეგში მისთხოვდა რუსს — დ. ი. სვიატოპოლკ-მარსკის.

**სარაჯიშვილები.** 1777 წლის 16 ივნისს თბილისის სიონის ყმა მამულაანთ ოსეფას შვილი პაპა მიჰყიდის სახლს დალაქ ბერუას შვილს გიორგის (Hd—1648).

ეს გიორგი, დალაქ ბერუას შვილი, 1784 წლის საბუთში სახელდება-

ლია როგორც „მოქალაქე, დალაქ ბერუას შვილი სარაჯი გოგია“ (Hd—1647), რომელსაც ჰყავს ორი შვილი — დავითი და მიქელი.

1794 წლის საბუთში უკვე ჩანს სარაჯ გოგიას შვილი დავითა და მისი შვილი გრიგოლ (Hd—1671).

სარაჯი გიორგის შვილი დავითი ჩანს 1803 წლის საბუთშიც. Hd—14000). 1817 წლის საქმეში (საქ. ცხია, ფონდი 5, საქმე 1481, ფ. 5—9). მოცემულია სარაჯ გოგიას შვილების დავითის და მიქელის ოჯახის წევრთა სია, რომელშიაც მათ გვარად სარაჯევი ეწოდებოთ. ამ სიით დავით გიორგის ძე სარაჯევს ჰყავს შვილები: გრიგოლ, გიორგი, გაბრიელი, სოსია, ზაქარია, სოლომონი (დავითის მეხუთე შვილი ზაქარია არის მამა ცნობილი დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილისა). მიხეილ გიორგის ძე სარაჯევს კი ჰყავს ორი შვილი: შალიყო, თევდორე.

1824 წლის საბუთში სარაჯ გოგიას შვილი დავითი წოდებულია „თბილისის მოქალაქე დავით გიორგის ძე სარაჯევად“ (Hd—7104).

დავით გიორგის ძე სარაჯიშვილი საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ხელს უწყობდა რუსეთის სამხედრო და სამოქალაქო პირთ სხვადასხვა საგნებით მომარაგებაში. მან პირველმა გახსნა ვაჭრობა რუსეთთან კავკასიის მთებით.

1804 წელს, მთიულეთის აჯანყების წინ, როდესაც პურის ფასი 25 მან. გახდა, დავით სარაჯიშვილმა იყისრა შეძლებისდაგვარად დაეკმაყოფილებინა ხალხის გასაჭირი.

1812 წელს როცა პურის გასაჭირი გაჩნდა, მან მთავრობას მიჰყიდა შელავათიან ფასებში 500 ჩეტვერტი პური (აქტები, V, 237).

მისი შემწეობით თბილისში აშენდა ქვის შენობა — მთავარი ჰაუბტვახტა და სახლები გენერლებისათვის. მთავრობას სხვადასხვა საქმეებისათვის 1814 წლისათვის შესწირა 20 ათასი ვერცხლის მანეთი (აქტები, V, 237).

გარდაიცვალა 1847 წელს. მისი სიკვდილის გამო გაზ. „ზაკაკაზსკი ვესტნიკი“ 1847 წლის № 6-ში წერდა: „გარდაიცვალა პირველი ქართველი ვაჭარი. 1800—1820 წლებში მისი სახლი შეძლების მხრივ პირველი იყო და დაფუძნებული იყო პატიოსნულ ვაჭრობაზე“.

სილამონიძე ივანე (ნინია) ელიაზარის ძე (1779—1806 წ. შემდეგ) დავით ბატონიშვილის მსახური. 1806 წელს მასზე ნათქვამია, რომ ის 27 წლისაა. ე. ი. დაბადებულია 1779 წელს. დაიბადა სოფ. წილკანში, მამა მისი ელიაზარი და დედა თამარი გარდაცვლილნი არიან 1806 წლისათვის. წილკანში დარჩა ერთი ძმა სილამონი და ორი შიძაშვილი თომა და გიორგი. 1803 წელს დავითი ბატონიშვილს გაჰყვა რუსეთში. იგი იყო დავითის მსახური (კამერდინერი რუს. საბუთებით). ორი წელი გაატარა დავითთან პეტერბურგში და 1805 წ. მარტში გაემგზავრა მოსკოვს,

რათა მოსკოვის სტამბაში დაემზადებინა ქართული სასტამბო ნიშნები<sup>25</sup> მთელი წელიწადი მოუნდა ამ ნიშნების დამზადებას. 1806 წ. გამოემუშავა თბილისს, თან წამოიღო ეს ნიშნები საქართველოში წიგნების საბეჭდად (ფონდი 2/8, საქმე 105, ფ. 494, 497).

სიდამონიძე ზაქარია შიოს ძე (1763—1833). სწავლობდა თელავში. იცოდა ქართული, სომხური, თათრული და რუსული ენები. ერეკლე II-ის დროს ასრულებდა მდივნის მოვალეობას. 1796 წელს კათალიკოსმა აკურთხა თბილისის კარის ეკლესიის მღვდლად. 1801 წელს კათალიკოსმაც აკურთხა დეკანოზად — 1801 წელს წაჰყვა მიხეილ ბატონიშვილს პეტერბურგს. იმპერატორმა ის დაასაჩუქრა ოქროს ჯვრით და ფულადი ჯილდოთი. 1802 წლის იანვარში დაბრუნდა და დაენიშნა ჯამაგირი 500 მან. ვერცხლით. 1804—1814 წლებში ასწავლიდა ქართულ ენას თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში და იყო ზედამხედველი. 1814 წელს ამ თანამდებობიდან განთავისუფლდა თავისივე თხოვნის თანახმად<sup>25</sup>.

1816 წელს გადაყვანილ იქნა თელავის ტაძარში. გარდაიცვალა 1833 წელს. დასაფლავებულია თელავის ღვთაების ეკლესიის გალავანში. დაჯილდოებული იყო ორი ჯვარით. ამიტომ „ორჯვარა დეკანოზს“ ეძახდნენ. ჰქონია ენჭერიც, რომელიც გამოხატულია მის საფლავის ქვაზე ორ ჯვართან ერთად.

ზაქარია სიდამონიძე უნდა იყოს ზაქარია ლალიხანაშვილი (იხ. „მცირე უწყება“, გვ. 43, § 105). „მასალებში“ ბაგრატ და მიხეილ ბატონიშვილებთან პეტერბურგს გადაყოლილ ქართველებში დასახელებულია „მღვდელი დეკანოზი კარის, ზაქარია ლალიხანისშვილი თელაველი“ (მასალები... გვ. 61). მღვდელი ზაქარია ლალიხანაშვილი გამოყვანილია „კალმასობაში“ (ზ. ჭიჭინაძის გამოც., გვ. 258—259).

ზაქარია სიდამონიძის მამად ჩანს „სიდამონიძე ვახტანგის შვილი შიო, კარისა ჩვენისა მღვდელი“, თავის „სამკვიდროს მამულიდან გადმოვარდნილი“, რომელსაც გიორგი XIII-მ 1800 წელს უბოძა ყმა და მამული გრემის ნაქალაქარში. ამ საბუთის რუსულ თარგმანში იხსენიებიან შიოს შვილები — ზაქარია, ვასილი, იეროთე და დიმიტრი სიდამონ ერისთავები. რუსულს საბუთს ხელს აწერს ზაქარია დეკანოზი. (საქ. ცნია, ფონდი I, საქმე 609. ფურც. 71 და 78).

ზაქარიას ერთ-ერთი ძმა იეროთე სიდამონოვი მარიამ ღვთაფლის

<sup>25</sup> ამ საკითხის გამო სემინარიის მმართველობის დადგენილებაში ნათქვამია: „ხსენებული ზედამხედველი დეკანოზი სიდამონოვი ვერ უძღვება მისდა ჩაბარებული სასწავლებლის ვერც სასწავლო და ვერც ეკონომიურ მეურვეობას. სამასწავლებლო საქმეს ვერ უძღვება რუსულის სუსტი ცოდნისა გამო, ამასთან არა სკეპო გამოცდილების მქონე ვერ მოქმედობს ეგზარქოსის მიერ მოცემული პროექტის მიხედვით (ცნია, თბილისის სემინარიის საქმე 1819 წ. 23 IX).



მღვიანია. იგი იხსენიება ლაზარევის მოკვლის საგამომძიებლო საქმეში (აქტები, II, 43, 117, 118).

**სივერიჩი.** 1828 წ. კაპიტნის ჩინით მეთაურობდა ქართველთა პოლკის როტას, რომელიც ყვარელში იდგა. ცოლად ჰყავდა ქართველი ქალი — დიმიტრი ზაქარიას ძე ორბელიანის გერი (დ. ზ. ორბელიანს ცოლად ჰყავდა ანა გერასიმეს ასული ჩოლოყაშვილი, რომელსაც პირველი ქმრისაგან ისაი ვასილის ძე ახვერდოვისაგან ჰყავდა ქალი. ეს ქალი შეურთავს სივერიჩს).

სივერიჩი 1831 წ. მაიორია.

იგი ზშირად მარტო მაიორად იხსენიება. ეს სივერიჩი, მაიორი რამდენჯერმეა ნახსენები ვრ. ორბელიანის დღიურში (გვ. 170, 178, 182, 183, 184 რედ. შენ. 522—524).

**სიმონიჩი ანა ოთარის ასული (1800—1866).** ოთარ ამილახერის ქალი. თეიმურაზ ბატონიშვილის ცოლის და.

პირველად გათხოვილი იყო ყაფლან ზაალის ძე ორბელიანზე, ჰყავდა მისგან შვილი სოფიო (რომელიც შემდეგ გათხოვდა სახელმწიფო საბჭოს წევრ ბეზაჯზე. დაქვრივების შემდეგ ანა ამილახვარი მისთხოვდა გრაფ სიმონიჩს, რუსეთის ელჩს სპარსეთში).

გარდაიცვალა 1866 წელს მოსკოვში. დასაფლავებულია მოსკოვის ალექსის ქალთა მონასტერში (Московский некрополь, т. III, СПб., 1908, 103).

**სიმონიჩი ივანე ოსიპის ძე (17.. —1850).** გრაფი. წარმოშობით დაღმაცელი. მსახურობდა საფრანგეთის არმიაში კაპიტნად. 1812 წელს კრასნისთან ჩაეარდა ტყვედ და სხვებთან ერთად ყაზანში იქნა მიყვანილი. აქ მან რუსეთის სამსახურში შესვლა ირჩია, დაიწყო სამსახური ერთ-ერთ პოლკში, მისცეს მაიორის ჩინი და ამ პოლკთან ერთად 1819 წელს ჩამოვიდა საქართველოში. აქ გადაყვანილ იქნა ქართველ გრენადერთა პოლკში, სადაც ბატალიონის სარდალი იყო.

შემდეგ სიმონიჩი დაინიშნა პოლკის მეთაურად და პოდპოლკოვნიკის ჩინიც მისცეს. ცოლად შეირთო ქართველი ქალი — ოთარ ამილახერის ასული ანა, ყაფლან ორბელიანის ქვრივი.

სიმონიჩი იყო მოხერხებული და საქმიანი კაცი. როგორც უცხოელი იგი ცდილობდა უფროსების მოხიბლვას და თანამშრომელთა გულის მოგებასაც. ის მასპინძლობდა თავის სახლში ყველას, ვინც კი სამსახურის საქმეში გამოადგებოდა. გაშალა დიდი მეურნეობა: აიშენა თბილისში ქვის დიდი სახლი, რომელიც მას საკმაო შემოსავალს აძლევდა, იჯარით აიღო ფოსტა, ფოსტას იგი ახმარდა პოლკის ცხენებს და სახაზინო ხალხს,





ჰქონდა მამულები, ჯოგები; ზაფხულობით ყიდდა ყინულს თბილისში. ერთი სიტყვით ყოველნაირად ცდილობდა თავისი ქონების გაზრდას.

პასკევიჩმა იცოდა ყველა მის მიერ ჩადენილი დარღვევა, უნდოდა პასუხი ეგებინა მისთვის ფოსტის იჯარისა და სახლის უკანონოდ აშენებაზე, მაგრამ ამ დროს სიმონიჩი დაიჭრა ელისავეტოპოლთან ახლოს. ამ ქრილობამ იგი პასუხისგებას გადაარჩინა (Н. Н. Муравьев, Записки, Май 1828 г. Русский Архив, 1893. кн. III, 325). 1831 წელს სიმონიჩმა თავი დაანება თბილისში სამსახურს და პეტერბურგისაკენ გაემგზავრა. (7 აგვისტოს 1831 წ. „ღრაფ სიმონიჩმა დავგვატიყა გამოსალმების სადილზე, რომლის შემდეგ გვაკოცა და გაემართა პეტერბურგისაკენ“. — წერს გრ. ორბელიანი თავის „დღიურში“ („მნათობი“. 1940. № 2. გვ. 84). ,

ამ დროისათვის სიმონიჩს აქვს გენ.-მაიორის ჩინი. 1832 წელს დაინიშნა რუსეთის სრულუფლებიან მინისტრად სპარსეთის კარზე. ამ თანამდებობაზე დაჰყო მან 1838 წლამდე.

დასაწყისში მასთან მდივნად მუშაობდა სოლ. რაზმაძე.

სიმონიჩს ეკუთვნის ცნობა გრიბოედოვის სიკვდილზე. ეს ცნობა დაიბეჭდა გაზ. „მოსკვა“-ში 1867 წლის № 145-ში, სათაურით: «Смерть Грибоедова. Извлечение из записок ген. лейт. Ив. Осип. Симонича, бывшего русским полномочным министром при персидском дворе». (Полное собрание сочинений А. С. Грибоедова, т. III, п. р. Н. К. Писканова, Петроград, 1917. с. 316—317). სიმონიჩი გარდაიცვალა 1850 წელს. „კავკაზსკი სბორნიკის“ 22-ე ტომში დაბეჭდილია «Записки графа Симонича».

**სიმონოვიჩი თევდორე ფილიპეს ძე (17.. —1815).** გენერალ-მაიორი. საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორი. წარმოშობით სერბი. 1810 წელს დაინიშნა იმერეთის მმართველად. 1813 წელს დაინიშნა საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორად, ამავე დროს ჰქონდა სამხედრო გუბერნატორის უფლებებიც. იგი წერდა ტორმასოვს: „მიინც და მიინც არ შემეძლია თავი ვიქო იმერლები ძალიან მენდობიან მეტქი, თუმცა ჩემი მხრით სულ ვცდილობ მათი ნდობა მოვიპოვო; მაგრამ ამის იმედი აღარ უნდა მქონდეს მას შემდეგ, რაც თუმცა ხალხის თანდასწრებით მეფეს ხატზე და სახარებაზე დაუფიცე — არ დაგატყვევებთ მეტქი, მეფე მიინც დავატყვევეთ, ის კი პატიმრობიდან გაიქცა; — სწორედ ასევე დედოფალ მარიამსაც ფიცით ვარწმუნებდი, რომ ის თბილისში იცხოვრებდა, ამავე დროს კი მას უკვე რუსეთს აგზავნიან. ვინც ჩვენ გვეხმარებოდა და ერთგულებას გვიჩვენებდა, რისთვისაც ბევრი მათგანი მკაცრად დაზარალდა, იმათ მე ვპირდებოდი შენდობასა და ჭილღობებს, რაც მათ აქამდე არ მიუღიათ“ (აქტები, IV. № 501).

სიმონოვიჩი გარდაიცვალა დამბლით 1815 წლის 2 ნოემბერს (ტეზი, V. № 315).

სიმონოვიჩმა ცოლად შეირთო ქართველი გლეხი ქალი — დედაბრძული ბარბარე გიორგის ასული (რუსულად ვარვარა ეგოროვნა) სოფ. ხილისთავიდან. ეს ქალი სიმონოვიჩმა პირველად ნახა გორის ბორანზე, როცა ის თავისი რაზმით მდინარის მეორე ნაპირზე გადადიოდა.

სიმონოვიჩს დარჩა სამი მცირეწლოვანი თბოლი: 2 ქალი (რომლებიც ამ დროს კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტში სწავლობდნენ) და 5 წლის ყრუ-მუნჯი ეგორი. სიმონოვიჩის ქვრივს დაენიშნა პენსია 4200 მან. ასიგნაციებით. სიმონოვიჩის ქვრივი 1827 წელს მეორედ გათხოვდა თავად პაატა ციციშვილზე. გარდაიცვალა 1861 წელს თბილისში. შვილი ამათი ეგორი „ნადვორნი სოვეტნიკის“ ჩინით თხოულობს მისთვის პენსიის დანიშვნას 1000 მან. რაოდენობით.

ეგორ სიმონოვიჩს 1847 წელს ეყოლა შვილი სპირიდონი. სპირიდონ ეგორის ძე სიმონოვიჩი სწავლობდა თბილისის გიმნაზიაში, 1865 წ. შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტში, 1870 წელს საზღვარგარეთ გაემგზავრა. 1871 წელს — ციურხის უნივერსიტეტის დოქტორია გეოლოგიასა და პალეონტოლოგიაში. გარდაიცვალა 1905 წელს, დასაფლავებულია თბილისის ალექსანდრე ნეველის ეკლესიის ეზოში.

სპირიდონ სიმონოვიჩმა 1861 წელს ანჩისხატს შესწირა განსაზღვებული (პ. კარბელაშვილი, ანჩისხატი, გვ. 35).

**სოლოლაშვილი მართა.** სილამაზით განთქმული ახალგაზრდა ქალი. ცნობილი იყო გრძელი თმებით. 1842 წელს იმ საღამოებზე, რომელსაც აწყობდა ალ. ქავკავაძე თავის სახლში, მართა სოლოლაშვილი ეცეკვოდა სამხედრო მინისტრ ალექსანდრე ჩერნიშევთან. (Воспоминания А. М. Фадеева, Одесса, 1897 ч. II, 117).

შემდეგში მართა სოლოლაშვილი გათხოვდა ალექსანდრე შანშეს ძე ერისთავზე.

**სოკოლოვი ალექსანდრე ეგორის ძე (17.. —1819).** 1793 წლიდან ლეიბ-გვარდიის პრეობრაჟენსკის პოლკის კაპტენარმუსი. 1796 წელს სამხედრო სამსახურიდან გათავისუფლდა კაპიტნის ჩინით. 1796 წლის მაისში სამსახური დაიწყო საგარეო საქმეთა კოლეგიაში კოლეგიის წევრ გრაფ ბეზბოროდკოსთან. 1802 წლის მაისში გაგზავნეს საქართველოში. ივლისში იმერეთის სამეფოს საზღვრებს მიაღწია. 25 ივლისს სოლომონი II-მ მიიღო. 5 აგვისტოს სოკოლოვი ჩავიდა ს. ხონწყაროში (ცხუშის ციხესთან), აქ ის შეხვდა ს. ლეონიძეს. მას დავალებული ჰქონდა ჩაეყვანა პეტერბურგში ვახტანგ და დავით ბატონიშვილები და დედოფალი ქეთევან კონსტანტინეს ასული.

სოკოლოვს საგარეო საქმეთა კოლეგიიდან ჰქონდა კიდევ საიდუმლო დავალება — შეეტყო რამ გამოიწვია საქართველოში მთავრობის უკმაყოფილება.

ა. სოკოლოვის ჩანაწერები გამოქვეყნებულია სათაურით:

„Путешествие мое в Имеретию, мое там у царя пребывание“

ა. სოკოლოვმა თავი მოიკლა 1819 წელს.

სოფრონ არქიმანდრიტი, ერობაში სარიდან. არაგვის ერისთავის ბეჟან სარიდანის ძის ერთ-ერთი შვილი. ბეჟანს ჰყავდა 4 ვაჟი 1) იოსებ (1812 წლის აჯანყებისათვის გადასახლებული), 2) რაფიელ (მოკლული 1812 წელს, პოეტ რაფიელ ერისთავის პაპა), 3) გიორგი, 4) სარიდან (სოფრონ არქიმანდრიტი) და ერთი ქალი ანა (ვათხოვილი მაყაშვილზე, დედა გაბრიელ მღვდელმონაზონისა. H—168).

1841 წელს სოფრონი უძღვნის „არჩილიანს“ თავის დას ანას, მიცვალბულ გაბრიელ იერომონახის დედას (კარიჭაშვილის კატალოგი, 57. გვ. 98).

სოფრონ არქიმანდრიტს თბილისში ჰყავს 20-მდე მოწაფე, რომელთაც ასწავლის გალობას.

1832 წლის შეთქმულების საგამომძიებლო კომისიას გიორგი დავითის ძე ერისთავმა უჩვენა; დავით ერისთავი ატყობინებდა ფილადელფოს კიკნაძეს, რომ მისი თხოვნით თითქმის მისი (დავითის) ბიძა სოფრონ არქიმანდრიტი გადაყენებულია წინამძღვრობიდან. რაც არ აღმოჩენილა მართალი (გზლ. 306).

სოფრონ ცოცხალია 1869 წელს — იგი იღვწის დავით გარეჯში (A—1590); იგი გარეჯის წინამძღვარია (კავკასიის კალენდარი, 1869. გვ. 48).

სულხანიშვილი ალექსანდრე ზაქარიას ძე (1809—1874). აზნაურთაგანი. ამისი პაპა, მეტეხის დეკანოზი იესე, იყო ერეკლე II-ის მოძღვარი. იესე დეკანოზს და მის მეუღლე ნინოს ჰყავდათ 3 ვაჟი: ზაქარია, პართენი და იოსები. ამათგან ზაქარია თევკლე ბატონიშვილის მოძღვარი იყო. შვილი ამისი ალექსანდრე დაიბადა 1809 წელს. წარმატებით სწავლობდა თბილისის სასულიერო სასწავლებელსა და სემინარიაში. 1823 წ. 18 ოქტომბერს იგი დანიშნეს თბილისის სასულიერო სასწავლებელში I კლასის მასწავლებლად, ზოლო 1828 წელს სამაზრო სასწავლებელში გადაიყვანეს და აქვე მიიღო მან პირველი ჩინი (XIV კლასისა). ალექსანდრემ 1829 წელს თავი გაანება მასწავლებლობას და ქართველთა ლაშქარში შევიდა. მთავარმმართველმა პასკევიჩმა თურქეთთან ომის დროს ის დანიშნა საგანგებო დავალებათა მოხელედ დეისტვ. სტ. სოვ. ვლანგალისთან. ომის მერე ის დანიშნეს თარჯიმნად ჯერ სახაზინო ექსპედიციაში, მერე

ქართველ თავად-აზნაურთა დეპუტატების საკრებულოში, ხოლო აქედან ახალციხის საოლქო მმართველობაში. ახლად შემოერთებულ ახალციხის მხარეში ალ. სულხანიშვილმა იმსახურა 1832 წლის 15 სექტემბრამდე, მერე ის ჩარიცხეს საქართველოს საშოკალაქო გუბერნატორის კანცელარიაში. ახალციხის საოლქო მმართველობისაგან მიცემული ატესტატის თანახმად იგი იქ იყო რუსულ, თურქულ, თათრულ, სპარსულ და ქართული ენების თარჯიმნად.

1832 წ. 19 დეკემბერს მას მიეცა „გუბერნსკი სეკრეტრის“ ჩინი. 1834 წ. 4 ივნისს, როცა ის მსახურობდა საქართველოს უზენაესი მთავრობის სააღმსრულებლო ექსპედიციაში, სულხანიშვილმა ითხოვა სამსახურიდან გათავისუფლება და პასპორტი პეტერბურგამდე დაუბრკოლებლივ წასვლისათვის. მთავარმმართველმა მისი თხოვნა შეიწყნარა: სამსახურიდან დაითხოვა და პასპორტიც მისცა, ოღონდ მაშინ მიღებული წესის თანახმად ხელწერილი ჩამოართვა — იმპერატორი თხოვნით არ შეაწუხო.

ამის მერე ა. სულხანიშვილი პეტერბურგშია — მსახურობს საგარეო საქმეთა სამინისტროს სააზიო დეპარტამენტში ქართული ენის თარჯიმნად.

1839 წელს, როცა დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონი ჯერ კიდევ იბეჭდებოდა, ალექსანდრემ გამოსცა თავისი „მეტოდური ლექსიკონი ქართულ-ფრანციულ-რუსული, მპყრობელი ლექსთა ყოველთა ნაწილთა სიტყვისათა, უმეტეს ხმარებულთა და განწყობილთა საგანთაებრ, რიცხვით ვიდრე ოთხი ათასთა“<sup>26</sup>.

1839 წელი ა. სულხანოვმა პეტერბურგში გაატარა. აქ მას მიუღია შემდგომი (IX) ჩინი „ტიტულარნი სოვეტნიკისა“.

1839 წელს 30 ნოემბერს პლატონ იოსელიანი სწერს ბროსეს პეტერბურგში: „ალექსანდრე სულხანოვისა ცა მომივიდა წერილი და მასცა მალე მოვქსწერ წერილსა“ (S—4797. წერილი № 19).

1840 წელს კი სულხანიშვილი უკვე თბილისშია. ამ წლის ნოემბერში ნ. ჩუბინაშვილი სწერს ბროსეს თბილისიდან: „სულხანოვი მას უკან მოვიდა ს. პ.-ბურღს, ისწავლა ფრანციული წიგნი და ლაპარაკი, ახლა აქ მოვიდა, მალე იშოვა სამსახურის ადგილი 120 თუმნით თეთრის ჯამაჯირით“. სამწუხაროდ ნ. ჩუბინაშვილი არ ასახელებს სულხანიშვილის სამსახურის ადგილს. ზაქარია ფალავანდიშვილისაგან ბროსესადმი მიწერილი წერილიდან ვიცით, რომ ალექსანდრემ 1842 წელს სამსახური

<sup>26</sup> საქართველოს წიგნის პლატის რეგისტრში ეს წიგნი შეცდომით შეტანილია 1830 წლის პროდუქციაში და გამოცემის თარიღადც მას 1830 აქვს („ქართლი წიგნი“. ტ. I. 1629—1920. თბ., 1941. № 161). წიგნს კი თარიღად 1839 წელი უბის. (ეს წიგნი დაცულია თბილისის საჯარო ბიბლიოთეკაში).

გამოიკვალა: დაიწყო სამსახური საბაჟოში მიხეილ ბარათაევის ხელმძღვანელობაში (წერილი № 14). ამავე ხანებში ცოლიც შეირთო. სულხანოვი სამსახურში წინაურდება. 1845 წ. 26 ოქტომბერს პლ. იოსელიანი სწერს ბროსეს: „სულხანოვი კარგად არის. ახლა ჩლენია ტამოყნისა აქ, თფილისში, უცხო ადგილი იშოვნა და ჯამაგირიც დიდი აქვს“ (S—4747. № 38). იგი ამ საბაჟოს შერჩება თითქმის ბოლომდე. ყოველ შემთხვევაში 1865 წელს ის ისევ ამ უწყებაშია კოლეჯსკი სოვეტნიკის ჩინით. („კავკასკი კალენდარი“, 1865. გვ. 71). ამავე ჩინში ის გარდაიცვალა 1874 წ. 22 დეკემბერს და დასაფლავებული იქმნა მანგლისის სიონის ვალავანში საკურთხევლის სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს. საფლავზე ადგა რუხი ქვის სვეტი წარწერით:

„ღვთაებრივსა განებასა ვერვინ შესცვლის კაცთაგანი  
მოსასვლელი აღსრულებს ჩვენთვის ხედრად დანაშნული,  
მორჩილობენ ღვთის ნებასა გენიოსნი, ბრძენთა ბრძენნი,  
ძლიერნი და შეძლებულნი, მეფენი და ქვეშევრდომნი.“

ხედრი ესე მეც მხვდა წილად და აწ მხედავთ მიწად ქმნილსა  
ალექსანდრე ზაქარის ძე, გვარტომობით სულხანოვსა,  
ეკალთ შორის ამა ქვეყნის ტანჯვით და კმუნვით აღზრდილსა,  
მისთვის ვთხოვ ზე ქვეყანას ვარდთ შორის განსვენებასა.

გარდაიცვალა დეკემბრის 22-ს 1874 წელსა 65 წლისა. Коллежский советник Александр Захариевич Сулханов скончался 22-го декабря 1874 года 65-ти лет от рождения».

საქართველოს ცენტრარქივში დაცულია ა. სულხანიშვილის მიერ 1828 წელს ნათარგმნი „ფანაა-ბახტიარნამა“<sup>27</sup> (№ 367).

ა. სულხანიშვილს ეკუთვნის კიდევ ორი ორიგინალური წერილი: 1) „აზრი აღზრდასა ზედა ყრმათათა დასავლეთის ევროპაში“ და 2) „მეცხრამეტე საუკუნეში მცხოვრებლის ქართველის მხედველობა“ (დაბეჭდილია „ცისკარში“ 1861 წლის № 5 და № 7-ში). სულხანიშვილს უთარგმნია ერთი რუსული მოთხრობაც (დაბეჭდილია „ცისკარში“ 1860 წ. № 7). შემონახულია მისი ლექსების ერთი წყებაც (H—855).

ბ. ჩუბინოვი ასე ახასიათებს სულხანიშვილს: „სულხანოვი შევიდა სამსახურში 14 წლისა, მას აქეთ ჯამაგირს იღებს და ჩინები ეძლევა. სულხანოვმა მოიარა ოსმალოს ადგილები, ისწავლა აზიური ენები; სულხანოვმა ააშენა ტფილისში საკუთარის მონაგებით ათი ღუქანი, რომლიდანაც იღებს წელიწადში 40 თუმანამდინ თეთრს ფულს და, თუნდა სამსახური გაუშვას, იმითი შეუძლია ცხოვრება. სულხანოვი მას უკან მოვი-

<sup>27</sup> ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში დაცულია ამ თარგმანიდან 1840 წელს გაკეთებული ნუსხა (E. 58). Р. Орбели, Собрание грузинских рукописей Института востоковедения, Ученые записки Института востоковедения, т. IX М.—Л., 1954. с. 56—57.



და პეტერბურღს, ისწავლა ფრანციცული წიგნი და ლაპარაკი. ახლათაჲს მოვიდა, მალე იშოვა სამსახურის ადგილი 120 თუმნით თეთრის ჯამაგირით; მას ეხვეწებიან ცოლის შერთვას, 500 თუმ. თეთრს შვითვად აღლევენ და არა ნდომობს, ამისათვის, რომ, კეთილშობილურის გრძნობით იმას ეთაკილება ცოლის შვითვით თავის შენახვა. მას არა ყოლია არც ბიძები, არც პროტექტორები, თავის საქმე სულ თავისის ჳკუით და გარჯით გაურჩეგბია. სულხანოვისაგან არავის გაუგონია კვეხნა და ტრაბახი, არც უმადლობა, ვისაც იმისთვის კეთილი უქნია!“ (S—4797. გვ. 5).

ა. სულხანოვის მიერაა 1825 წელს გადაწერილი სულხან-საბა ორბელიანის „სამოთხის კარი“ (S—2396).

ა. სულხანიშვილს ჰყავდა ძმები: ივანე (მღვდელი), სოლომონ (მღვდელი) და იესე. ეს იესე ზაქარიას ძე სულხანოვი 1846 წელს არის ნახიჩევანის მაზრის უფროსის მოვალეობის აღმსრულებელი (კავკასიის კალენდარი, 1846. გვ. 170). მის შესახებ მიხეილ ხელთუბნელი წერს: „დღეს სულხანოვი ნახიჩევანს გავისტუმრეთ ნაჩაღნიკათ ლევანის (მელიქიშვილის) ადგილას. ის და ტატო (ბარათაშვილი) აქავ მოდიან“ (მიხ. ხელთუბნელი, წარსულიდან..., გვ. 50).

სულხანიშვილი პაატა. აზნაური. კახეთის 1812 წლის აჯანყების მონაწილე. გადაასახლეს პერმს 1813 წლის 1 მარტს.

კელმეჩურის მუჯალამას აწერს ხელს (აქტები, I, 387).

1818 წლის მანიფესტით დანაშაული აპატიეს და გადასახლებიდან დაბრუნეს (აქტები. VI—1, 104).

ტალიაშვილი გრიგოლ რომანოზის ძე (1807—1833 წ. შემდეგ).

სასულიერო ყმათაგანი. აღ. ორბელიანის ჩვენებით 1831 წლის ბოლოს ტალიაშვილი იქნებოდა 24 წლისა. დაახლოებით (გზლ. 433), ე. ი. დაბადებულია დაახლოებით 1807 წელს.

მისი მამა რომანოზი იყო მღვდლად ქიზიყში. გაიქცა სპარსეთში აღექსანდრე ბატონიშვილთან.

ტალიაშვილი გრიგოლი 1821—1823 წლებში სწავლობდა სიღნაღის სასულიერო სასწავლებელში. მისი მასწავლებელი იყო სოლ. დოდაშვილი.

შემდეგ იგი ბოდბეში, წმ. ნინოს მონასტერშია იოანე მიტროპოლიტთან. 1831 წელს იოანე მიტროპოლიტმა ტალიაშვილს გამოატანა წერილი სოლომონ დოდაშვილთან, რომელსაც სთხოვდა ხელი შეეწყო ტალიაშვილისთვის პეტერბურგში სასწავლებლად წასვლაში. ს. დოდაშვილმა უშუამდგომლა ტალიაშვილს ოქროპირ ბატონიშვილთან. მანამდე ტალიაშვილი ყოფილა სპარსეთში — თავის მამა რომანოზ მღვდელთან. იქ ის შეხვედ-

რია ალექსანდრე ბატონიშვილს, რომელსაც მისთვის წერილები გამოუტანებია ფარნაოზ და ქეთევან ბატონიშვილებისათვის გადასაცემად.

ტალიაშვილი (ალ. ორბელიანის ჩვენებით, კარგად ჩაცმული და კარგი შესახედაობისა) ს. დოდაშვილთან დასახლდა რუსეთში წასვლამდე (გზლ. 432). ქეთევან ბატონიშვილს არ მიუღია ტალიაშვილი და არც წერილი გამოუთრამევია მისთვის. ს. დოდაშვილმა და ალ. ორბელიანმა მას გაატანეს წერილი ფარნაოზ ბატონიშვილთან და სიტყვიერად დააბარეს, გადაეცა ბატონიშვილისთვის, რომ „საქართველოში ახლა საზოგადოება არის, რომ ვცდილობთ საქართველოს განთავისუფლებას“ (გზლ. 433).

გრ. ტალიაშვილი პეტერბურგს გაემგზავრა და იქ სემინარიაში დაიწყო სწავლა.

როდესაც 1832 წლის შეთქმულება გამოიმტკიცდა და საგამომძიებლო კომისიამ დაადგინა ამ შეთქმულებაში ტალიაშვილის მონაწილეობა, ტალიაშვილი პეტერბურგიდან გამოიწვიეს. „სემინარისტი ტალიევი მიჰყავთ თბილისში 1833 წლის 11 მაისის მოწერილობისდა თანახმად“ (ფონდი OBD, საქმე 163, ფურც. 383). 5 ივნისს ტალიევი თბილისს ჩამოიყვანეს (იქვე, ფურც. 385) და ყაზარმაში ჩასვეს პატიმრად.

პლ. იოსელიანს პეტერბურგში სწავლისას 1833 წლის აპრილში მისმა ამხანაგმა პეტერბურგის აკადემიის ღვთისმეტყველების განყოფილების სტუდენტმა იოანე დოსითეოსის ძე კომაროვმა აჩუქა დიდროსა და დალაშხერის ენციკლოპედიის მე-7 ტომი (ფრანგულ ენაზე გამოცემული 1779 წელს). ამ წიგნზე პლ. იოსელიანს მიუწერია: „ამავე წელსა (1833) მაისის 12-სა დღესა წარიყვანეს გრიგორი ტალიევი სასწავლებლიდამ საქართველოს“ (ეს წიგნი ამჟამად დაცულია თბილისის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში).

საგამომძიებლო კომისიამ მას ჩვენება ჩამოართვა (იქვე, რვ. XX). კომისიამ იგი VI კატეგორიის დამნაშავედ სცნო (ამ კატეგორიაში შევიდნენ ის პირნი, ვინც იცოდა შეთქმულების ამბავი და რომლებზედაც შეიძლებოდა ეჭვის მიტანა რომ ეთანხმებოდნენ შეთქმულებას). ტალიევს მიესაჯა რუსეთის რომელიმე გუბერნიაში სამოქალაქო სამსახური საქართველოში დაბრუნების უფლების აღკვეთით (გზლ. 496).

მაგრამ იმის გამო, რომ ტალიაშვილმა გამოძიების მსვლელობაში მონაწილეობა ციხიდან გაქცევა (შემდეგ იგი უკან დააბრუნეს), მას ეს სასჯელი უფრო მკაცრი სასჯელით შეუცვალეს: „გაქცევის შემდეგ ის არ არის ღირსი ასეთი ღმობიერებისა და გაგზავნილ იქნეს რუსეთში რიგით ჯარისკაცად“ (აქტები, VIII, 414).

ტარახი ბერი — ის. ალექსი-მესხიშვილი ტარახი სოლომონის ძე

**ტოკარევი გაბრიელ ალექსის ძე** (18.. — 1854). ნადვორნი სივეტნიკი. მსახურობდა მეფისნაცვლის სამოქალაქო კანცელარიაში. მოაწყო თბილისის საჯარო ბიბლიოთეკა, რუსეთის იმპერატორის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების მუზეუმი — იყო ამ მუზეუმის დირექციის მდივანი.

სიცოცხლის ბოლო წლებში ცდილობდა გაემართა ამიერკავკასიაში სწორი წიგნის ვაჭრობა და დაეარსებინა საჯარო სამკითხველო. მაგრამ ვერ მოასწრო ამ ჩანაფიქრთა განხორციელება. გარდაიცვალა უეცრად, უბედური შემთხვევის გამო 1854 წლის აგვისტოში („კავკაზ“, 1854. № 62. გვ. 246).

ტოკარევი ავტორია რამდენიმე ლიტერატურული ნაწარმოებისა, რომლებიც მის სიცოცხლეშივე დაიბეჭდა: რომანი «Сила воли», დრამა «Фарадела» და მრავალი სტატია; მაგრამ ყველა ეს უფრო ლიტერატურული გართობის შედეგი იყო, ვიდრე მისი მოღვაწეობის არსებითი ნაყოფი.

დაუმთავრებელი დარჩა «История Ериванской губернии», მან პირველმა შეადგინა «Библиография Кавказоведения» (აქტები, XI, 967).

1854 წლის მარტში ტოკარევემ ვახსნა პირველი რუსული წიგნის მალაზია თბილისში — კომენდანტის ქუჩაზე (ეხლ. გრიბოედოვის ქ.) აბიმელიქოვის სახლში (აქტები, XI, 967).

„კავკაზ“-ის 1851 წლის 96-ე ნომერში (18.XII) დაიბეჭდა ცნობა: „თბილისის საჯარო ბიბლიოთეკა ბ-ნ ტოკარევის ღვაწლის წყალობით გაიხსნება თენახევრის შემდეგ“.

**ტრიფილე არქიმანდრიტი** (17.. — 1815 წლის წინ). აღზრდილი ანტონ კათალიკოსისა. ცნობილი ხელნაწერი წიგნების სწრაფად და კარგად გადაწერით. „მწერალი უცხო და ჩქარი: გარდაწერნა წიგნი ვიდრე ხუთასსა ზედა უმეტესნი. და უკანასკნელ მიიღო არხიმანდრიტობა მეორისა კათალიკოსისა ანტონისაგან და მოხუცებულობითა იქმნა ბრმა“ (კალმასობა, II, 193).

გვარად იყო ჩერქეზიშვილი.

1761 წელს ქალაქ ვლადიმირშია, დიაკონ-მონაზონის ხარისხით და ანტონ I-ის ბრძანებით გადასწერს „თთვენს“ (H—348).

1772 წელს ხუცეს-მონაზონის პატივით ასტრახანშია და აქაც გადასწერს ხელნაწერს (კარიჭაშვილის კატალოგი, XI, 2).

1774 წელს ის ყიზლარშია ილუმენად და რუსულიდან თარგმნის „სავედრებელ პარაკლისს“ (H—1218), იქვე იწვებს ის ხელნაწერ A—348-ის გადაწერას.

1791 წლიდან იხსენიება არქიმანდრიტად („ქართული წიგნი“, I, 70/67).





ტრიფილეს ხელითაა გადაწერილი მრავალი ხელნაწერი წიგნი (H—1374; H—2185; S—3657; S—3731; S—363; S—139). ამავე დროს ის მონაწილეობს წიგნების სტამბურად ბეჭდვაში. იგი არის „რუსულსა ზედა შემამოწმებელი“ („ქართული წიგნი“ I, 38—62) და „რუსულსა და ბერძნულსა შემამოწმებელი (იქვე, 63/64; 73/68; 75/70; 74/69, 76/71, 70/67).

1799 წელს რუსის ჯარის შემოსვლის გამო სთქვა იამბიკო ქებითი (პლ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი XIII-სა“.).

1801 წლის 21 თებერვალს ამბობს ქადაგებას გიორგი XIII-ის გარდაცვალების გამო.

საქართველოს რუსეთთან შეერთების მანიფესტი ქართულად წაიკითხა ტრიფილე არქიმანდრიტმა (იქვე, გვ. 299).

1804 წელს დიკასტერიის წევრია (იქვე, გვ. 48).

„მამადავითის ეკლესია 1810 წელს გაანათლა არქიმანდრიტმა ტრიფილემ“ (Пл. Исселиани, Описание древностей г. Тифлиса, 46).

პლ. იოსელიანი არქიმანდრიტ ტრიფილეს გარდაცვალების თარიღად უჩვენებს 1808 წელს (ცხოვრება გიორგი XIII-სა, გვ. 144). ეს ეწინააღმდეგება მის მიერ რუსულად მოტანილ ცნობას, რომ ტრიფილემ 1810 წელს გაანათლა მამადავითის ეკლესია. თუ კი მან მართლა გაანათლა ეს ეკლესია, მაშინ ტრიფილე უნდა გარდაცვლილიყო 1810 წლის შემდეგ, მაგრამ 1815 წლამდე, რადგან პლ. იოსელიანისავე ცნობით, ტრიფილე დასაფლავა დომენტიმ ნათლისმცემლის მონასტერში. დომენტი კი გარდაიცვალა 1815 წელს.

**ტუსიშვილი დურმიშხან.** ლომიანსხევეში, სოფ. მარმაზეთის კოშკის დამცველი რაზმის მეთაური 1810 წელს. 1810 წელს არაგვისხეობის ოსები დურმიშხან ტუსიშვილის მეთაურობით ისეთ წინააღმდეგობას უწევდნენ რუსის ჯარს, რომ რუსის ჯარი იძულებული შეიქმნა აეფეთქებინა სოფ. მარმაზეთის კოშკი. კოშკის ნანგრევებს ქვეშ მოჰყვა ყველა მისი დამცველი მათი მეთაურით დურმიშხან ტუსიშვილითურთ 1810 წლის 29 სექტემბერს.

В. Потто, История 44-го драгунского полка, т. II. СПб., 1893. с. 105.

**ტუსიშვილი პაატა.** 1812 წლის კახეთის აჯანყების მონაწილე. 1813 წლის 1 მარტიდან გადასახლებულია ქ. პერმს.

1815 წლის სექტემბერში 12 სხვა ქართველთან ერთად პირველი აწერს ხელს თხოვნას პერმის სამოქალაქო გუბერნატორის ჩერმესისადმი, რომლისგანაც მოითხოვენ ფულს თბილი ტანისამოსისა და საცვლების შესაძენად (ფონდი 2/8, საქმე 272, ფ. 66—67).

გადასახლებიდან გათავისუფლდა 1818 წლის მანიფესტით.

**ფალავანდიშვილი ელიაზარ იესეს ძე** (1759—1824). გიორგი XIII-ის მდივანი და ელჩი პეტერბურგში. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ჰქონდა „სტატსკი სოვეტნიკის“ ჩინი.

ელიაზარ ფალავანდიშვილი, როგორც „პასლანიკი“ გამოყვანილია „კალმასობაში“ (გვ. 52).

გიორგი XIII-მ გაგზავნა ის პეტერბურგს. პეტერბურგიდან ჩამოვიდა 1801 წლის იანვარში, როცა მეფე ცოცხალი აღარ იყო (საქ. სიძვ. III, 286).

ცოლად ჰყავდა პუბლია ორბელიანის „სიმამრის და ბარბარე“ (S—1646/გ. გვ. 6). პუბლიას სიმამრი იყო დავით დიმიტრის ძე ბარათაშვილი გოსტაშაბიშვილი. ამისი და, ბარბარე გოსტაშაბიშვილი ყოფილა ელიაზარის მეუღლე. ელიაზარის მეუღლე გამოყვანილია „კალმასობაში“ (გვ. 65—66).

ელიაზარ მდივანი იხსენიება მრავალ ქართულ საბუთში (მას. საქ. ეკ. ისტ. III, 291; 480; საქ. სიძვ. III, 286).

გარდაიცვალა 1824 წელს 65 წლისა. დასაფლავებულია ქაშვეთის ვალაგანში (E. Такаишвили, Еще один из источников истории царевича Вахушта, СПб., 1893).

**ფალავანდიშვილი ზაქარია მიხეილის ძე** (1818—1845). დაიბადა 1818 წელს. მამა მისი მიხეილი, პროფესიით თარჯიმანი, მოწოდებით კი მწიგნობარი იყო. მიხეილი იყო იოსებ გიორგის ძე ფალავანდიშვილისა და თინათინ ზაქარიას ასული მიქაძის (ამბროსი ნეკრესელის<sup>28</sup> ქალის) უფროსი ვაჟი. ამ ცოლ-ქმარს მიხეილის გარდა კიდევ სამი ვაჟი ჰყავდათ: ნიკოლოზი (გუბერნატორი), ზებედე (ტყვეობაში დაკარგული) და იესე (1832 წ. შეთქმულების გამცემი).

ზაქარია ფალავანდიშვილს მამა ადრევე გარდაეცვალა (1821 წელს, დასაფლავებულია მთაწმინდაზე) (Brosset, Voyage... V rapport..., 42). მისი აღზრდა იკისრა ბიძამ ნიკოლოზმა (შემდეგში სამოქალაქო გუბერნატორმა) 1830-იან წლებში ზაქარია მოსკოვშია, სწავლობს აღმოსავლურ ენათა ლაზარაანთ ინსტიტუტში. ეს სასწავლებელი მაშინ წარმოადგენდა მხოლოდ კეთილშობილთა პანსიონს და არაავთარი უფლება-უპირატესობით არ სარგებლობდა. უფლებრივად იგი გიმნაზიებს გაუთანასწორდა მარტო 1835 წელს, როცა ზ. ფალავანდიშვილს აქ სწავლა უკვე დაემთავრებინა. ზაქარია სწავ-

<sup>28</sup> ამბროსი ნეკრესელი, ერობაში ზაქარია მიქაძე იყო ბიძაშვილი იესე ოსეს ძისა. „თავდასავალის“ ავტორისა.

ლობდა თავისი ხარკით და დიდი წარმატებით: მისი გვარი ოქროს დაფაზე იყო დაწერილი<sup>29</sup>.

ლაზარიანთ ინსტიტუტის შემდეგ ზაქარია მოსკოვის უნივერსიტეტში სწავლობს, საიდანაც 1839 წელს შემოდგომაზე გადადის პეტერბურგის უნივერსიტეტში და აქ ამთავრებს უმაღლეს განათლებას 1840 წელს.

მოსკოვში სწავლისას ზაქარიამ ზრუნავდა მისი ნათლია გიორგი ავალიშვილი.

ზაქარიას ხანმოკლე ცხოვრება პეტერბურგში ორი მნიშვნელოვანი ფაქტით აღიბეჭდა — დაბეჭდა რეცენზია დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონზე და ბროსესთან და დ. ჩუბინაშვილთან ერთად წამოიწყო „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემა.

1841 წლის 1 იანვარს ზაქარია თბილისში ჩამოვიდა და ნათესავების მოთხოვნით აქვე დარჩა. 10 იანვრიდან იგი სამსახურს იწყებს „სახელმწიფო საქონებელის საქართველო-იმერეთის პალატაში“, მერე კი გადადის მთავარმართებლის კანცელარიაში.

ზაქარია სიყრმიდანვე მწიგნობრულ გარემოში ტრიალებდა. თბილისში მისი ბიძის ნიკოლოზის ოჯახი და მოსკოვში ნათლის გიორგი ავალიშვილის ბინა სავსე იყო ქართული ხელნაწერი წიგნებით. მათ შორის იყო „ქართლის ცხოვრების“ ერთი ნუსხა, მეცნიერებაში დღეს ცნობილი „ფალავანდოვის ნუსხის“ სახელით, რადგან ის ეკუთვნოდა ყოფილ გუბერნატორს ნიკოლოზ ფალავანდოვს (ზაქარიას ბიძას), ნამდვილად კი ეს ნუსხა მიქაძისეულია — მისი გადამწერი და სამ ნუსხასთან შემჯერებელი „ცოდვილი ზაქარია ძე დეკანოზისა, უღირსი მღვდელი“ არის სიონის დეკანოზის გაბრიელის ძე, მღვდელი ზაქარია მიქაძე, — შემდეგში ამბროსი ნეერესელი. ზაქარია ფალავანდიშვილის ბებიის მამა. ეს და სხვა ქართული ხელნაწერები უეჭველია ხელს შეუწყობდა ზაქარიას გონებრივ ზრდა-მომწიფებას.

მართლაც მისი პირველივე წერილი ბროსესადმი, 1838 წ. 28 სექტემბრის თარიღით, 20 წლის ზაქარიას წარმოგვიდგენს როგორც სერიოზულს, მშვენივრად მომზადებულ და ბეჯით ახალგაზრდას. ამ წერილში ზაქარია აუწყებს ბროსეს ვახუშტის ბიოგრაფიულ დეტალს, ნათლისაგან გადმოცემულს და აუწერს ვახუშტის ხელნაწერ კრებულს (H—108). ამავე დროს, ზაქარია ბეჯითად მეცადინეობს საუნივერსიტეტო საგნებზეც, პარალელურად ფრანგულ ენასაც სწავლობს და ფრანგულში გაწაფვის მიზნით დასახლდება ფრანგი პუარეს ოჯახში, რომელიც მოსკოვში, დიდი თეატრის წინ ზომიაკოვის სახლში ბინადრობს. ფრანგულში ის საკმაო წარმატებას აღწევს — ბროსესთან მიმოწერას გამართული ფრანგულით აწარმოებს. ასე მომზადებული

<sup>29</sup> Исторический очерк Лазаревского института восточных языков СПб., 1855, с. 95, 103.



ზაქარია მალე საჯაროდ იმარჯვებს კალამს და სწერს რეცენზიას ბინაშვილის ლექსიკონზე. რეცენზია დაიბეჭდა ЖМНП-ის 1840 წლის ოქტომბრის ნომერში და ხელმოწერილია «князь П.»<sup>20</sup>.

პეტერბურგში ყოფნისასვე გადაწყდა „ვეფხისტყაოსნის“ მეორედ გამოცემა ბროსესა და დავით ჩუბინაშვილთან ერთად ზ. ფალავანდიშვილის მონაწილეობით. ამ გამოცემაში, რომელიც 1841 წლის მეორე ნახევარში გამოქვეყნდა, ზ. ფალავანდიშვილი სამგან არის მოხსენიებული: დედიკაციაში, პოემის ტექსტის ბოლოს და ბროსეს წინასიტყვაობაში. „ვეფხისტყაოსნის“ ანუ, როგორც ზაქარია უწოდებს წერილებში, „ტარიელის“ გამოცემის ირგვლივ ფალავანდიშვილის საქმიანობა სამი ხაზით წარმოგვიდგება: 1) სახსრის გაღება დაბეჭდვისათვის, 2) პოემის ძველი ხელნაწერების (ვარიანტების) მოძიება და 3) გამოცემის გავრცელება-გაყიდვა საქართველოში.

ზაქარიას ჩამოსვლის უმაღლეს „ტარიელის“ დაბეჭდვის ხმამ ქართველობაში სრული კმაყოფილება გამოიწვია, უნდოდათ ტარიელის სურათიც ყოფილიყო გამოხატული და წიგნს ყლაც ჰქონოდა. მაგრამ როცა საქმე საქმეზე მიდგა, გამოცემის სწრაფი გასაღების ილუზია ზაქარიას გაუქრა და 1842 წ. 8 იანვარს ის ურჩევს ბროსეს გავრცელების ამგვარ ხერხს: „საქართველოში ძალიან ცოტაა, ვინც თავისით ყიდულობს... გამომიგზავნეთ წერილი აქაურ სამოქალაქო გუბერნატორთან — მისი სახელია ალექსანდრე სკალონი... მას უნდა ეთხოვოს — დაგზავნოს მაზრებში ას-ასი და მეტი ცალი... მაზრებში დაგზავნა ჩვენ არაფერი არ დაგვიძღვება“ (ზაქარიას წერილი ბროსეს, № 14).

საარქივო საქმეებიდან ჩანს, რომ ზაქარიას წერილობითი მიმართვის საფუძველზე ვიცე-გუბერნატორს დე-სიმონს თელავის მაზრაში გაუგზავნია 120 ცალი, გორისაში — 60 (საქ. ც. ა., ფონდი 16. ს. 6798. ფ. 1), მაგრამ ვერც ეს ხერხი აღმოჩენილა უებარი. 1847 წელს თელავის მაზრაში ჯერ კიდევ გაუყიდავი იყო 52 ცალი, ხოლო გორის მაზრაში — 29 (იქვე, ფურც. 38, 39).

ასეთ პირობებში ჩაყენებული ზაქარია იძულებულია ბროსეს აცნობოს: „ჩვენი ტარიელი მთლად მივიწყებულია: სამოქალაქო გუბერნატორმა ორჯერ გაუშეორა თავის განკარგულებანი მაზრის უფროსებს“ (1843 წ. 26.III-ის წერილი № 17), ხოლო ერთი წლის შემდეგ უმწუოდ ჩივის ბროსესთან: „გუბერნატორმა ნახა, რომ ქართლსა და კახეთში ტარიელი არ იყიდება და უარი მითხრა თხოვნაზე გაეგზავნა წიგნები გურიისა და იმერეთშიო“ (№ 21).

<sup>20</sup> П-ს ინიციალის ქვეშ ამოფარებული ზ. ფალავანდიშვილის ვინაობა ამოხსნა ბროსეს ანალიტიკურა ბიბლიოგრაფიის შემდგენელმა ლაერენტი ბროსემ (Bibliographic analytique des ouvrages de M. Brosset. s. Pb. 1887. p. 150, 667).



„ვეფხისტყაოსნის“ დედიკაციაში „დამბეჭდველი ბროსეტი“ ფალავანდიშვილი, დ. ჩუბინოვი“ მარტივად უტიტულოდ არიან აღნიშნულნი. ეს შენიშნა პლ. იოსელიანმა და 1841 წ. 21 ნოემბერს ბროსეს მისწერა „ზაქარია ფალავანდოვი არ ჯავრობს, რომ არ მოიხსენეთ იგი თავადად. ესე ლექსი არ უნდა დაგვედოთ“ (S—4797). ამ საკითხზე ზაქარია ასე ესიტყვება ბროსეს: „თქვენ მწერთ, თითქოს მე უკმაყოფილება გამომეთქვას ჩემი თავადური წოდების გამოტოვების გამო. ღმერთმა დამიფარა ამისგან. ეს მოგწერათ ჩვენმა პლატონმა, რომელიც მთელ ქვეყანას თავისი ადლით ზომავს“ (№ 13).

ზ. ფალავანდიშვილის წერილებში ბროსესადმი ხშირად ისენიება „ახალგაზრდა თავადი ბარათოვი“, რომელიც ი. ენიკოლოფოვმა პოეტ ნიკოლოზ ბარათაშვილად გამოაცხადა („კომუნისტი“, 1945. № 192). ენიკოლოფოვის ეს აზრი გაიზიარა პ. ინგოროყვამაც და შეიტანა პოეტის ბიოგრაფიაში (ნიკ. ბარათაშვილი, აკადემიური გამოცემა, 1945. გვ. XL), მაგრამ ფალავანდიშვილთან ნახსენები „le jeune prince Barathoff“ არის არა ნიკოლოზი, არამედ სულხან ბარათაშვილი (რომ „თავადი ბარათოვი“ არ არის პოეტი ნიკ. ბარათაშვილი, ჩანს შემდეგიდან: 1842 წლის 25 სექტემბერს, ფალავანდოვი სწერს ბროსეს: „ახალგაზრდა ბარათოვი არაა თბილისში, ამის გამო არ შემეძლო მეთქვა, რომ წიგნი გამოეგზავნა თქვენთვის“. ამ დროს კი—1842 წ. სექტემბერში პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი თბილისშია — იგი იმავე ზაქარიასა და სხვებთან ერთად ხელს აწერს თბილისში კერძო ბიბლიოთეკის დაფუძნების განცხადებას სწორედ 1842 წლის სექტემბერში. სულხან ბარათოვი კი 1842 წ. 19 აგვისტოს ჩაირიცხა პრაპორშჩიკად მეგრულთა პოლკში, რომელიც ალბულახში იდგა. ფალავანდოვი სწერს ბროსეს 1841 წ. 16 ივნისს: „ახალგაზრდა თავადი ბარათოვი ჯერ არ ჩამოსულა თბილისში“. ნიკოლოზ ბარათაშვილი კი ამ დროს არსად არის წასული, თბილისშია, „სულა ი რასპრავის“ ექსპედიციაში მუშაობს და ადგენს ოფიციალურ ქალაქდებს. შ. ჩხეტიას „მასალებში ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ“ მოყვანილია ნ. ბარათაშვილის მიერ შედგენილი საბუთების ნუსხა — სწორედ იმ ხანებში — 1841 წლის ივნისში — როცა ფალავანდიშვილი საიდანაც მოელის ბარათოვის თბილისში ჩამოსვლას. სულხან ბარათოვი კი 1841 წლის გაზაფხულზე პეტერბურგში პავლეს კადეტთა კორპუსს ამთავრებს. 1843 წ. 18 ივნისს ზ. ფალავანდიშვილი სწერს ბროსეს: „სულხან ბარათოვმა გენერალ-ანშეფს (ე. ი. მთავარ-მართებელს ნეიდჰარდტს) მიართვა საქართველოს ისტორია ოფიციალური, დაწერილი რუსულად“. — აი ეს ყოფილა „ახალგაზრდა თავადი ბარათოვი“ მრავალგზის ნახსენები ფალავანდიშვილის წერილებში).

ზ. ფალავანდიშვილი აქტიურ მონაწილეობას იღებს თბილისის კერძო საჯარო ბიბლიოთეკის დაარსებაშიც. ზაქარია იყო ამ ბიბლიოთეკის ერთ-ერთი სამ დირექტორთაგანი. მას ებარა ბიბლიოთეკის დამაარსებელ-

თა შორის აკრეფილი თანხა და იგივე იწერდა ბროსეს დახმარებით ტერბურგელ მეწიგნე-ვაჭრებისაგან (ოლხინის, იუნგმესტერის, პოლვეთის, ისაკოვისაგან) ბიბლიოთეკისათვის საჭირო წიგნებს. საკმარისია კაც-მა გადაიკითხოს ზაქარიასაგან დაბარებული წიგნების ნუსხა, რომ დარწმუნდეს, თუ რა ენთუზიაზმსა და ენერგიას იჩენდა ფალავანდიშვილი ამ კულტურული მნიშვნელობის საქმეში.

ზ. ფალავანდიშვილის აზრით ბიბლიოთეკას უნდა ეზრუნა ქართული ხელნაწერების შექმნასა და გამოქვეყნებაზეც.

ზაქარიას აქტიური მონაწილეობით 1845 წლიდან იწყო გამოსვლა ქართულმა გაზეთმა სახელწოდებით—„კავკასიის მხარეთა უწყებანი“. ეს იყო მაშინ ჩვენი ერთადერთი პერიოდული გამოცემის „ზაკავკასკი ვესტნიკ“-ის ოფიციალური ნაწილის ქართული დუბლეტი. რედაქტორად ითვლებოდა პლ. იოსელიანი, ფაქტიურად კი საქმეს უძღვებოდა ზ. ფალავანდიშვილი. გაზეთი გამოდიოდა კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით, და ღირდა წლიურად ხუთი მანეთი, როგორც გვაუწყებს ერთადერთი გადარჩენილი მისი ცალი № 11, ისიც დეფექტური (აკლია გვ. 79—82; პაგი-ნაცია უწყვეტი ჰქონდა, როგორც მაშინდელ „ზაკავკასკი ვესტნიკ“-ს და მერე „კავკაზ“-საც). შინაარსი იყო ოფიციალური, მაშასადამე უინტერესო. მაინც მისი გამოცემა იმის საწინდრად ჩანს, რომ მარჯვე პირობებში ზ. ფალავანდიშვილი კალამს უფრო მნიშვნელოვანი საქმისათვის მოიმარჯვებდა.

ზაქარია უარყოფითად აფასებს ძველ თაობას, კერძოდ ქართველ ბატონიშვილებს. 1842 წ. 20 სექტემბრის წერილში ვკითხულობთ: „ნურაფრის მოლოდინი ნუ გექნებათ ძველ ქართველთაგან. მათ არაფერი გააჩნიათ ისეთი, რომ შეძლონ ევროპულ შეგნებულობასთან შეგუება. თქვენ დამნაშავე ხართ, რომ ჯერ ვერ გიცვნიათ ბატონიშვილები, მეტადრე ცბიერი თეიმურაზი“ (№ 15).

ზაქარია არ იყო ჯანმრთელი. ბროსესადმი წერილებში ის ხშირად ჩივის ავადმყოფობაზე. 1845 წლის 10 ივლისს იგი უეცრად გარდაიცვალა თავისი დის, სარაჯიშვილის ცოლის, სახლში. დაასაფლავეს მთაწმინდაზე.

პ. იოსელიანმა დაბეჭდა ნეკროლოგი („ზაკავკასკი ვესტნიკ“; 1845. 19.VII, № 15, 152). თბილი სიტყვებია დაბეჭდილი მოულოდნელად წასული დიდი იმედების მომცემი ქართველი ინტელიგენტის შესახებ „კავკაზ“-ის 1846 წლის № 7-ის 25-ე გვ.-ზე.

მარი ბროსემ სამძიმრის წერილი გამოუგზავნა ზაქარიას ბიძას ნიკოლოზ ფალავანდიშვილს 1845 წ. 30 სექტემბერს.

ზაქარია ფალავანდიშვილი თბილისში ცხოვრობდა ბიძასთან ნიკოლოზთან ერთ სახლში, ატამანის ქუჩაზე (აწ. კეცხოველის ქუჩა).



ფალავანდიშვილი იასე იოსების ძე (1803—1857). 1832 წ. შექმნილია

მელების გამცემი. „ოტსტაენოი კოლეესკი რეგისტრატორი თავადი ვესევი იოსების ძე ფალავანდოვი“, როგორც ის იხსენიება ოფიციალურ საბუთებში, 1832 წ. შექმნულების გამოძიების ქამს — 1833 წ. თებერვალში ჯერ კიდევ არ იყო სრული ოცდაათი წლისა (რვ. VIII, 1327). მაშასადამე ის დაბადებულა 1803 წ. თებერვლის მომდევნო თვეებში.

იასეს მშობელთა ისტორია უადრესი ინტერესით არის აღსავსე. მისი დედა თინათინი ეკუთვნოდა ქართველ მწიგნობართა ოჯახს: იგი იყო შვილი ამბროსი ნეკრესელისა (ერისკაცობაში ზაქარია გაბრიელის ძე მიქაძე). ამბროსი ნეკრესელს ორი ძმა ჰყავდა. ერთი — კირილე არქიმანდრიტი, რომელიც ამბროსისავე სიტყვით რომ ვთქვათ, გარდაიცვალა „მოსკოვს ნა პრესნას“, მეორე სიონის დეკანოზი ნიკოლოზი იყო (H—1334, ფურც. 221). თვითონ ამბროსი თავის თავს იხსენიებს მიქაძე-ამბროსოვის გვარით, მისი ძმა კი, კირილე არქიმანდრიტი, თავს უწოდებს ამირანის ძეს (A—1486). ძმათა გვარების სხვაობა საქმეში ჩაუხედავ ადამიანს გაუგებრობას უქმნის, მაგრამ ეს გაუგებრობა ხელათვე გაირკვევა, თუ გვეცოდინება, რომ ამ ღვიძლ ძმათა წინაპარი იყო ამბროსაშვილი ამირანი. ამირანი და მისი შვილები იყვნენ „სიონის საყდრის ყმები“, ხოლო ერთი მათგანი ამბროსაშვილი იესე უკვე 1684 წ. სიონის დეკანოზის ხარისხით არის მოსილი (საქ. სიძე. II, 144). იგი არის ბიძაშვილი ცნობილი „თავგადასავალის“ ავტორის იესე ოსეს ძე მიქაძისა, რომელიც შემდეგ ბარათაშვილი შეიქნება, მისი ბიძაშვილები კი შეინარჩუნებენ მამაპაპულ გვარს — ამბროსაშვილს და მას მიქაძის გვარსაც წაუმატებენ.

ამბროსაშვილ-მიქაძეთაგან კირილე არქიმანდრიტი და ნიკოლოზ დეკანოზი უშვილონი იყვნენ. მათ ძმას ამბროსი ნეკრესელს კი ჰყავდა ვაჟი გაბრიელ, პაპის მოსახელე, მაგრამ პატარაობაშივე მოუკვდა და დარჩა მარტო ქალი, სახელად თინათინი. მამამ იგი შერთო იოსებ გიორგის ძე ფალავანდიშვილს, რომელიც მანამდე ამბროსის ძმამ — სიონის დეკანოზმა ნიკოლოზმა იშვილა და თავის მემკვიდრედ აქცია. ამის ძალით იოსები ატარებდა ორ გვარს: მიქაძე-ფალავანდიშვილს. იოსებ მიქაძე-ფალავანდიშვილი შემდეგ სიონის დეკანოზი გახდა (გარდაიცვალა 1831 წ.).

იოსებ დეკანოზის შვილები მიხეილ და ნიკოლოზ ფალავანდიშვილები 1812 წ. თავადობას ეძიებდნენ. მაშინ ვახტანგ დიმიტრის ძე ორბელიანმა საჩივარი შეიტანა — ეგენი თავადები არ არიან, მათი მამა იოსები მოვაჭრე ყონჩიას შვილიაო; უფრო გვიან პუბლია აღნიშნავს ერთ თავის მოგონებაში: „იმათი პირველი გვარი გლეხნი იყვნენ და გვართ ყონჩაშვილები ერქოთ. ახლანდელს დროში ...ნიკოლოზ თავის ეშმაკურის და გაიძვერა ხასიათით ჯერ აზნაურიშვილი შეიქნა და გვართ მიქაინი დაირქო, მასუკან თავადად იწოდა და გვართ ფალავანდოვი შეიქნა“.



პუბლიკას, აღრე კი მისი მამის, განცხადების სისწორეს ადასტურებს  
 ორი საბუთი: ერეკლეს დროის საბუთი 1794 წ. დეკემბრისა, რომელშიც  
 იხსენიება „სიონის მღვდელი იოსებ ყარჩიშვილი“ (აქტები, II, 1142).  
 მეორე საბუთი უფრო ვრცლად ადასტურებს დეკანოზ იოსების ყორჩი-  
 შვილობას. ეს გახლავთ ტორმასოვის განმარტება, თუ რატომ არ აღმო-  
 ჩნდა სინოდისა და კაბინეტის საქმეებში იმის ცნობა, რომ სინოდის დეკანო-  
 ზი იოსებ მიქაძე-ფალავანდიშვილი 1804 წ. ხორელობის დროს გაწეული  
 შრომისათვის დაჯილდოებულ იქმნა ოქროს ძეწკვიანი ჯვრითო:  
 „ამის მიზეზი ისაა, რომ იგი ამ დროს იწოდებოდა არა ფალავანდოვად,  
 არამედ ყორჩიშვილად. ეს მომდინარეობს საქართველოში რუსეთის მმარ-  
 თველობის გახსნამდე არსებული წესიდან. იოსებ დეკანოზის მამა იყო  
 ყორჩი, პაპა კი ყორჩიბაში. თანამდებობის აღმნიშვნელი ეს სახელები მა-  
 შინ გვარსაც გამოხატავდნენ“ (ფონდი 8, საქმე 219, ფ. 38—39). საბუ-  
 თებით ისიც დასტურდება, რომ ყორჩიშვილების გვარი უკუაგდეს და მი-  
 ქაძის გვარი დაირქვეს (ეს მას შემდეგ, რაც ერთ-ერთი ყორჩიშვილი  
 „ეშვილა“ მიქაძეს). 1802 წ. 24 მაისს კათალიკოსმა ანტონ II-მ განუახლა  
 სიგელი დეკანოზ იოსებს, რომელიც ამ საბუთით ერთდროულად იწოდებ-  
 ბა მიქაძედ და ფალავანდიშვილად, თანაც განმარტებულია, რომ ამთავან  
 პირველი შემკვიდრეობით მიღებული გვარია, მეორე კი მამაპაპეული.

ჩვენს ხელთაა 1808 წ. 22 სექტემბრის საბუთი, რომელსაც ხელს  
 აწერს „ნიკოლოზ მიქაძე“ (საქ. ც. ა., ფ. 226, № 5834). შემდეგში არა ერ-  
 თი საბუთი გვხვდება, სადაც მიქაძე-ფალავანდიშვილი ორმაგი გვართაა  
 წარმოდგენილი. მაგრამ თანდათან ამ გვარის წევრები უარს ამბობენ ორმაგ  
 გვარზე და საბოლოოდმ ხოლოდ ფალავანდოვებად იწოდებიან. თვით  
 იოსებ დეკანოზიც თავის ეპიტაფიაში (სიონის ტაძრის ეზოში) იხსენიება  
 „ივერიის თავადთაგან ფალავანდოვად“.

იოსებ და თინათინ მიქაძე-ფალავანდიშვილებს ჰყავდათ 4 ვაჟი (მი-  
 ხეილ, ნიკოლოზ, ზებედე და იასე) და ქალი (გათხოვილი სარაჯიშვილზე).  
 იოსები თავისი შვილებით 1795 წ. ტყვედ წაუყვანია ალა მაჰმადხანს, შემ-  
 დეგ იოსები თავისი ორი ვაჟით მიხეილით და ნიკოლოზით დაბრუნებულა,  
 ზებედე კი ტყვეობაში დაკარგულა (ე. შილდელი, შილდა. „მოამბე“,  
 1895. IV, გვ. 24).

იოსებმა იასე, თავისი ბოლონა ვაჟი, 1803 წ. მონათვლინა 17 წლის  
 ალექსანდრე ჭავჭავაძეს.

იასე სასკოლო ასაკისა რომ შეიქმნა, მიაბარეს თბილისის კეთილმო-  
 ბილთა სასწავლებელში (მაშინ თბილისში სხვა სასწავლებელი არც იყო).  
 აქ იასე სწავლობდა პუბლიკასთან ერთად, როგორც ეს დასტურდება უკა-  
 ნასკნელის ჩვენებით. იასე თავის თავზე წერს, რომ კურსი დავამთავრეთ.  
 მაგრამ მისი რუსული და ქართული ნაწერები გვიჩვენებენ, რომ ის მთლად  
 წიგნიერი არა ყოფილა.



მოიწიფა თუ არა, იასე ძმამ ნიკოლოზმა სასულიერო უწყებაში წააწყო — საქართველოს ეგზარქოსის კანცელარიაში თარჯიმნად. შემდეგ მან წელი დაჰყო.

როგორც ირკვევა, იასე არ ყოფილა მადლიერი თავის ბედისა. მისივე სიტყვით, მამა რუსთ ხელმწიფისაგან უხვად იყო დაჯილდოვებული, უფროს ძმას მიხეილს გულმკერდი ორდენებით ჰქონდა დამწვევებული, მეორე ძმა ნიკოლოზი ასევე სამსახურში დაწინაურებული იყო, იასე კი სულ დაბალი ჩინია, XIV კლასის ჩინის, კოლეესკი რეგისტრატორის პატრონი იყო. ამიტომ სწადია მას სამხედრო სამსახური. ერთს თავის ჩვენებაში იგი აღნიშნავს: პატარაობიდანვე მსურდა სამხედრო სამსახურში შესვლა. ჩემმა ძმამ და მამამ კი ამის ნება არ მომცეს. შემდეგ მე არაერთხელ მიუვუგზავნენ მამაჩემს ჩემი მოძღვარი... ვთხოვე ფულადი დახმარება რუსეთს წასასვლელად, მაგრამ ცხონებული არ დათანხმდაო (რკ. VIII, 1327).

იასე თავიდანვე დაუდევარი და მოუსვენარი ხასიათისა იყო. იგი ჯერ მთებში გაიქცა, მერე კი ახალციხის გზით ოსმალეთს გადავიდა. აიღო წარმოშობის ქალაღი, ეგზარქოსის კანცელარიიდან ატესტატი ანუ დახასიათება, ნამსახურობის ნუსხა და ჩავიდა ახალციხეს. აქ, რაკი ის ევროპულად იყო ჩაცმული, ჯაშუშად მიიღეს, მაგრამ იმერეთის ბატონიშვილმა ვახტანგმა რა შეიტყო მისი ქართველობა, გამოესარჩლა და თან წაიყვანა ტრაპიზონს, აქედან კი იასე 1826 წ. 10 მაისს ჩავიდა სტამბოლს. 15 მაისს მან რუსეთის რწმუნებულს სტამბოლში მიწაყის სთხოვა: ოდესაში გამგზავნენ სამხედრო საიდუმლოება მაქვს გასამხელიო. როდესაც იასე ოდესაში ჩავიდა, იქ ის კარანტინში გააჩერეს. იმ დროს ოდესის გენერალ გუბერნატორი მიხეილ სიმონის ძე ვორონცოვი იქ არ იყო და მისმა ნაცვალმა ოდესის „გრაღონაჩაღნიკმა“ პალუნმა გაგზავნა იასესთან კანცელარიის გამგე ლევსი, რომელმაც ჩამოართვა ჩვენება ი. ფალავანდოვს. იასემ აჩვენა, რომ დადიანი რუსეთის უჩუმრად კავშირს იჭერს ოსმალეთში მყოფ იმერეთის ბატონიშვილ ვახტანგთანო. რაკი იასეს ჩვენება არ იყო ინტერესს მოკლებული, ამიტომ დედნები იმპერატორს გაუგზავნეს, პირი კი ერმოლოვს. ერმოლოვმა კიდევ იმერეთის მმართველს ვასილ იოსების ძე ბებუთოვს დაავალა საიდუმლო გამოძიება, მართლა აქვს კავშირი დადიანს ოსმალეთში მყოფ ვახტანგ ბატონიშვილთან თუ არა. ამავე დროს ერმოლოვს მოუვიდა იმპერატორის ფიცხელი განკარგულება: გამოიძიეთ საქმე და თუ ფალავანდიშვილის ჩვენება ტყუილი აღმოჩნდება, მიეცით სამხედრო სასამართლოსო, როგორც მოღალატეო; ხოლო თუ დადასტურდა, შეიძლება ჯილდოც მიეცესო.

ბებუთოვის საიდუმლო ძიებით გამოირკვა იასეს დასმენის სიცრუე. მაშასადამე, ის სამხედრო სასამართლოსათვის უნდა გადაეცათ. მაგრამ ერმოლოვმა მსუბუქად შეხედა საქმეს. ალბათო, — მოახსენებდა ის დიბიჩს 1827 წ. 2 თებერვალს, — ვახტანგი იასეს თავისავე გამოგონილ

წერილებზე აწერინებდა პასუხებსო. ამიტომ ვერც ფალავანდოვს დაე-  
 დება ბრალი ყალბ დასმენაში, საზღვარგარეთ გაქცევისათვის კი 1 წლით  
 დავაპატიმროთო. ასე იოლად გადაჩა იასე, თუმცა ერმოლოვისათვისაც  
 ცხადი უნდა ყოფილიყო, რომ დადიანის და სხვათა სახელით შედგენილი  
 ყალბი წერილების ავტორი თვით იასე იქნებოდა. იასეს იოლად გადარ-  
 ჩენაში ალბათ მის ძმას ნიკოლოზ ფალავანდოვსაც მიუძღვის წვლილი. ნი-  
 კოლოზ ფალავანდოვი სარგებლობდა ერმოლოვის ნდობით და სიმპათი-  
 ით; ერმოლოვი მის უკითხავად და მასთან მოუთათბირებლად თითქმის  
 არაფერს აკეთებდა (როგორც ეს ჩანს ნ. ნ. მურავიოვის მოგონებები-  
 დან). ამიტომ ნიკოლოზისათვის ძნელი არ იქნებოდა ერმოლოვისათვის  
 ეთხოვა ძმის მსუბუქად დასჯა.

შემდგენი იასე არა თუ არ მალავდა თავის დანაშაულს, პირიქით თა-  
 ვი მოჰქონდა კიდევ. ვახტანგ ორბელიანმა 1833 წ. 5 მაისს საგამომძიებ-  
 ლო კომისიას განუცხადა: „ფალავანდოვმა. თქვა: მე თუ დავინახე ვისიმე  
 ხელით ნაწერი, მაშინათვე მივამსგავსებ; ამიტომ ალექსანდრე ბატონი-  
 შვილთან გასაგზავნ წერილებზე ყველა თავადის ხელწერას შევძლებო.  
 ამის საბუთად იასემ გვიამბო — რუსებმა რომ დამიჭირეს, მაშინ ვითომც  
 დადიანის სახელით წერილი დავწერე; იმით ვიწვევდი იმერეთის ბატონი-  
 შვილს — იმერეთში ჩამოდი, დაგეხმარები, იმერეთი აჯანყდება და შენ  
 გამეფდები. აი ბატონებო, თქვა იასემ, დადიანს ისე აუწუწუე საქმეები,  
 რომ კინაღამ არ გადაასახლეს რუსეთშიო“ (რგ. XV, 2800).

ასე აღიარა ყაზარმელების კრებაზე თავისი ავანტურისტული მოქმე-  
 დება დადიანის მიმართ იასე ფალავანდოვმა. ეს ბევრის მეტყველი  
 ფაქტია. ეს არაა მარტო ავანტურისში, ესაა სრული უქონლობა ზნეობ-  
 რივი ნორმებისა. ამის შემდეგ არცაა გასაკვირი და მოულოდნელი ის  
 სააუტო როლი, რომელიც იკისრა იასე ფალავანდიშვილმა ყაზარმელთა  
 მიმართ.

1832 წ. შეთქმულების ფინალის დროისათვის იასეს ძმასთან — ნი-  
 კოლოზთან არა ჰქონდა ნორმალური ურთიერთობა. ამ გარემოებას იასე  
 ძალიან ხშირად უსვამს ხაზს თავის ჩვენებებში. ერთგან ის წერს: „ზოგ-  
 ჯერ თვე ისე გავიდოდა, ძმას სრულიად არა ვხედავდი“. „ზალიკა ყორ-  
 ლანოვმა ნამდვილად იცის, რომ მე ძმა ისე შექცეოდა, რომ არ შემეძლო  
 მისთვის რამე მომეხსენებინა ან მეთხოვა“ (რგ. XVIII, 3332). რასაკვირ-  
 ველია, იასეს განმარტება არაა დამაჯერებელი, მაგრამ მოტივაცია კი,  
 ძმას ვერაფერს მოვასხენებ და ვერაფერს ვთხოვო, ეს სარწმუნოა და  
 გვიჩვენებს, რომ ძმათა შორის ურთიერთობა არ იყო ნორმალური. ასეთ  
 ვითარებაში ძნელია იმის დაშვება, თითქოს იასე ძმას გამოუტყდა, ამან  
 კი როზენს გადასცა.

ეს აზრი გამოთქვა პირველად იონა მეუნარგიამ 1880-იანი წლების  
 ბოლოს თავის დაუმთავრებელ ნარკვევში „ალექსანდრე ჭავჭავაძე“ (გვ.



34—35). ამასვე იმეორებს გ. გოზალიშვილი — „შეშინებული იასველი“  
 ლად აიძულა ძმამ, რათა მოღალატის როლში გამოსულიყო“ (გზლ. 94).

საგამომძიებლო მასალის ანალიზი კი სხვანაირი დასკვნის გამოტანას გვაძლავს. ანტონ აფხაზის ჩვენებიდან (1832 წ. 21 XII) ვიგებთ, რომ ანტონი აღრევე ეუბნებოდა იესეს უეჭველად ეცნობებინა ძმისთვის შეთქმულების ამბავი. „მაგრამ ვინ იცოდა, დასძენს ან. აფხაზი, რომ იესე ფალავანდოვი თავის ღვიძლ ძმას დაუმალავდა ამ ამბავს და ამით მისი მტერი შეიქნებოდა? (რვ. II, 195). მტერი შეიქნა იასე თავისი ძმისა, იმით, რომ მან შეთქმულების ამბავი აღწომა არა თავის ძმას — სამოქალაქო გუბერნატორს, არამედ სამხედრო შტაბს.

თვით იასე კი ასე მოახსენებს კომისიას 1833 წ. 8 იანვარს: „ამ ეამში მთავარმართებელი იყო პახოლში და აქ ვერავის ვენდობოდი, თუმცა აქ იყო ღრაქდანსკი გუბერნატორი და დივიზიის კამანდირი. პირველს (ე. ი. ღვიძლ ძმას) ამიტომ არ გამოუცხადე, რომ იმ ჩემს ჩვენებაში ურევია იმისთანა გვამნი, რომ არის ამათი დიდი შეგობარი და იმათგანიცა (ე. ი. ლუარსაბ ორბელიანი) იყო სიმამრი და ვწიშობდი რომ არ მივეცე პასუხისმგებლობაში, ვითარცა არა ერთგვის ვარ მისგან უბედურად დაშენილი...“ (რვ. III, 468).

როგორც ვხედავთ, აქ იასე პირდაპირ აცხადებს „ღრაქდანსკი გუბერნატორს“ ე. ი. ჩემს ძმას არ გამოუცხადე ეს ამბავიო. ამასვე უკავშირდება კომისიაში მოწოდებული თბილისელი მოქალაქე გიორგი ამირალოვის 1833 წ. 8 II-ის ჩვენება: „დასმენამდე 6 დღით აღრე ვნახე იესე ფალავანდოვი, რომელიც ქალაქს აღგენდა ექვს ფურცელზე. მან მითხრა, რომ თავადებს შორის შეთქმულება მზადდება. და რომ იგი ახლა აღგენს ქალაქს ამ ამბის მთავრობისათვის შესატყობინებლად“ (რვ. VI, 1010). ამირალოვის ამ ჩვენებაზე იასეს მიუწერია: „...ჩემი „ღონოსის“ შესახებ ამირალოვთან ვილაპარაკე არა ექვსი დღით აღრე, არამედ ორი კვირით აღრე“. რაკი დასმენა იასეს ორი კვირით აღრე ჰქონია დამზადებული, ეს გვაფიქრებინებს, რომ დასმენა მოხდება არა ვინმეს ძალდატანების თუ შიშის შედეგად, არამედ წინასწარ მომზადებულად და გამიზნულად.

გამომძიება დამთავრდა 1833 წ. 20 სექტემბერს. სასამართლოში მიცემულ იქნა 13 მთავარი დამნაშავე. „იასე ფალავანდოვი — სწერდა როზენი გრაფ ჩერნიშოვს 1833 წ. 2. IX-ს — ვითვალისწინებთ რა მის მიერ დასმენას, სასამართლოსა და შემდგომი სასჯელის მიუცემლად დაინიშნოს უნტეროფიცრად რუსეთში განლაგებულ რომელიმე პოლკში. ამასთან არც აზნაურობა ჩამოერთვას... ამ საკითხის შესახებ ხელმწიფის გადაწყვეტილების თანახმად, იასე ფალავანდოვი „დაინიშნა უნტეროფიცრად ფინეთში განლაგებულ ერთ-ერთ პოლკში“ (1833 წ. I.XI).



ფინეთის ბატალიონში რამდენიმე წლის სამსახურის შემდეგ ი. ფალავანდიშვილი დაიწყო ჟურნალისტიკაში. აქ დაიწყო მუშაობა არხანგელსკის გუბერნიის სამაზრო ქალაქ უსტ-ცილმაში. აქ დაიწყო მუშაობა და აქვე 20 წლის სამსახურის შემდეგ ჩააყარა თავისი ძეგლები. აქ ინახულა და გაიცნო იგი ყირიმის ომის შემდეგ ცნობილმა რუსმა ეთნოგრაფმა სერგი ვასილის ძე მაქსიმოვმა (1831—1901), რომელმაც საგანგებო წერილიც კი უძღვნა იასეს სათაურით «Печорский князь» (Русская мысль, 1887, № 12, გვ. 168—208) და მოიხსენია ის თავის წიგნში «Год на севере».

იასე ფალავანდოვი გარდაიცვალა მაქსიმოვის ევროპული რუსეთის ჩრდილოეთში მოგზაურობისას 1857—1858 წლებში.

ფალავანდიშვილი ნიკოლოზ იოსების ძე (17.. —1855). ნიკოლოზის გენეალოგია იხ. იასე ფალავანდიშვილის ბიოგრაფიაში. ერთი პირობა ატარებდა თავისი პაპის (დედის მხრით) გვარს „მიქაიჩის“ ფორმით. სწავლობდა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში. 1805 წ. ციციანოვმა გაიყვანა ის სასწავლებლიდან და თავის კანცელარიაში მოაწყო. ლიტვინოვის მმართველობაში თარგმნიდა ქართულიდან რუსულად. 1808 წ. მისცეს გუბერნიის სეკრეტრის ჩინი. ახვერდოვის მმართველობაში ასრულებდა ადიუტანტის მოვალეობას. 1810 წ. ანტონ კათალიკოსი რუსეთს გადაასახლეს, ნიკ. ფალავანდოვი მას პრისტავად გააყოლეს. პეტერბურგში ნიკოლოზი დაუახლოვდა ქართველ ბატონიშვილებს, ცდილობდა გაეგო მათი აზრი საქართველოს მდგომარეობაზე და მოგროვილი ცნობები შემდეგ მთავარმართველ რტიშჩევს შეატყობინა (ЦГВИА, ფონდი ВУА, საქმე 4271, ფ. 1—6). 1811 წ. მიიღო ტიტულარული სოვეტნიკის ჩინი. 1812 წ. — რტიშჩევის კანცელარიაში მსახურობს კოლეგიის ასესორის ჩინით.

1812 წ. მან დავით ბატონიშვილის წერილი მიიღო, ეს წერილი შეიცავდა რჩევებს თუ როგორ უნდა მოქცეულიყო ქართველობა კახეთის აჯანყების შემდეგ. ეს წერილი ნიკოლოზმა მთავარმართველს წარუდგინა (იქვე, ფ. 3—4).

1812 წ. ის გაგზავნეს ალექსანდრე I-თან ლენქორანის აღებისა და ლენქორან-თალიშის სახანოების შემოერთების ცნობის შესატყობინებლად. მაგრამ იმპერატორი პეტერბურგში აღარ დახვდა — იგი მისდევდა მოსკოვიდან ლტოლვილ ნაპოლეონს. ფალავანდიშვილიც გაემართა იმპერატორის კვალდაკვალ და მხოლოდ პარიზში წამოეწია მას და მოხსენება წარუდგინა.

1813 წ. გენ. ახვერდოვმა გაგზავნა ის აბას-მირზასთან საზავო მოლაპარაკების საწარმოებლად. გულისტანის ზავის დადებისას 1813 წ. ის გულისტანშია, 1814 წ. გაიგზავნა იმპერატორთან სპარსეთთან საზავო ხელშეკრულების რატიფიკაციისათვის. 1815 წ. მისცეს ნადვორნი სოვეტ-



ნიკის ჩინი. 1818 წ. დანიშნა თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულოს საქმეთა მმართველად. 1822 წ. დანიშნეს წევრად თბილისში დაარსებული კომისიისა, რომელსაც ქართული კანონების შედგენა და თარგმანა ევალებოდა. 1826 წ. დანიშნა განსაკუთრებულ დავალებათა ჩინოვნიკად ერმოლოვთან. 1827 წ. მუსულმანური პროვინციების მომწყობის კომიტეტის წევრია. 1831 წ. მისცეს დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკის ჩინი.

ნ. ფალავანდიშვილი იყო მალალი ტანისა, ჰქონდა საუცხოო მეხსიერება. ბევრს კითხულობდა, იყო კარგი მქვერმეტყველი. დიდი ნდობა და გავლენა ჰქონდა მოპოვებული ქართლ-კახეთის, იმერეთის, გურიის, სამეგრელოს, აფხაზეთის და მაჰმადიანური პროვინციების პრივილეგიებულ წოდებებში. პასკევიჩის იგი ხშირად თან მიჰყავდა ლაშქრობებში და ყოველთვის ეკითხებოდა მართვა-გამგებლობის რა წესები დაემყარებინა დაპყრობილ ქვეყნებში.

ბარონი როზენიც ყველაფერში ეთათბირებოდა მას. 1832 წ. მან ფალავანდიშვილი საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორად დანიშნა. როცა როზენი პეტერბურგს გაემგზავრა, ფალავანდიშვილს ჩააბარა საქართველოსა და კავკასიის მთავარმართებლობა. შემდეგ აღარ ისურვა სამსახურის გაგრძელება. 1838 წ. გათავისუფლდა გუბერნატორის თანამდებობიდან და სოფ. ტაბახმელას დასახლდა.

1851 წ. ვორონცოვმა იგი დანიშნა კავკასიის მეფის ნაცვლის განსაკუთრებულ დავალებათა შემსრულებლად. ვორონცოვი მას 1804 წლიდან იცნობდა, განსაკუთრებით კი დაუახლოვდა 1813 წ. პარიზში ყოფნისას. 1853 წ. დანიშნეს ამიერ-კავკასიის მთავარმართებლის საბჭოს წევრად.

გარდაიცვალა 1855 წ. 24 თებერვალს.

ნ. ფალავანდიშვილი დანიშნული იყო ომან ხერხეულიძის ქალ ეკატერინეზე, რომელიც ქორწინებამდე გარდაიცვალა 1820 წელს (A—1083. ფ. 69). 1832 წ. ცოლად შეირთო ლუარსაბ ივანეს ძე ორბელიანის ქალი მარიამი (მაიკო). ამის თაობაზე გრიგოლ ორბელიანს სწერს მისი დედა ხორეშანი: „ნიკოლოზს ფალავანთ ეხლა ღრუბერნატორი არის ხომ და ჩვენი სიძეც არის, ლუარსაბის ქალი შეირთო მაიკო. რატომ არ მიულოცე? იამებოდათ“ (საქ. ც. ა., ფონდი OBD, საქმე 171, ფ. 81).

მაიკო ორბელიანი გარდაიცვალა 1851 წ. 13 ოქტომბერს. დასაფლავებულია სოფ. კუმისში. მას და ნიკ. ფალავანდოვს დარჩათ ერთი ქალი—ელისაბედი, რომელიც მამის სიკვდილის შემდეგ 1856 წ. მისთხოვდა კონსტანტინე ივანეს ძე მუხრან-ბატონს (გრ. ორბელიანი, წერილები, II, გვ. 235—237).

ფარნაოზ ბატონიშვილი (1775—1852). ერეკლე II-სა და დარეჯან დედოფლის შერვე ვაჟი. ეპიტაფიით ის 1777 წელში დაბადებულად არის მოხსენიებული, მაგრამ ეს თარიღი შეცდომით უნდა იყოს ნაჩვენები, რადგან 1776 წ. 11 იანვრის საბუთში ის უკვე იხსენიება ერეკლეს შვილებს შორის. (საქ. სიძვ. II, № 137).

1795 წლის ივლისში მამის ნებართვის გარეშე ცოლად შეირთო გიორგი ქსნის ერისთავის (ყულარაღასის) ქალი ანა.

1801 წელს, გიორგი XIII-ის გარდაცვალების შემდეგ, ფარნაოზი მომხრეა იულონ ბატონიშვილის მეფედ გამოცხადებისა და წინააღმდეგია დავით გიორგის ძის გამეფებისა (ე. ი. ის მომხრეა ერეკლე მეორის ანდერძისა). იულონ, ვახტანგ, შირიან და ფარნაოზ ბატონიშვილები 1801 წლის იანვარს შეგროვდნენ დუშეთს და აქედან მუხრანის გავლით აპირებდნენ მცხეთაში მისვლას და იულონის დაგვირგვინებას. დავით მეშკვიდრის რჩევით ლაზარევმა მათ წინააღმდეგ გაგზავნა ჯარი. ბატონიშვილები კახეთს გადავიდნენ, აქ ლეკების მომხრობა სურდათ, არ გამოუვიდათ ეს განზრახვა და უკან, დუშეთისაკენ, დაბრუნდნენ. დავით ბატონიშვილი მათ წინააღმდეგ რუსის ჯარის გამოყვანას აპირებდა, ამიტომ იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილები იმერეთს გადავიდნენ სოლომონ II-სთან.

ფარნაოზის ბრძოლა სამეფო ხელისუფლების აღდგენისათვის 1804 წლამდე გრძელდებოდა.

1804 წელს ის იულონ ბატონიშვილთან ერთად ცდილობს აჯანყებული მთიულეთისაკენ გაქრას, რასაც ვერ ახერხებს და უკან იმერეთში ბრუნდება. იმერეთიდან აწყურისა და ახალციხის გავლით ბაშბაქში მოვიდა, სადაც ამ დროს ბაბახანი და ალექსანდრე ბატონიშვილი იმყოფებოდნენ. ბაბახანმა ბატონიშვილ ფარნაოზს ჯარი მისცა და არაგვის ხეობის ჩაკეტვა დაავალა. ერთი პირობა მას მხარს უჭერენ არაგველნი და თავაურ-ქურთაულნი. მაგრამ შერე, როცა ბაბახანი აიყარა და სპარსეთში წავიდა, ციციანოვი კი ერევნის ციხიდან თბილისს მობრუნდა, ფარნაოზ ბატონიშვილი მიატოვა მასთან მყოფმა ხალხმა და იგიც იძულებული გახდა არაგვიდან წამოსულიყო და კვლავ სპარსეთისაკენ გაეწია. გზათ ყაზახში, ყაზახის მოურავის სოლომონ ავალიშვილის მეთაურობით, თავს დაესხნენ მძინარეს და დააპატიმრეს 1804 წლის 30 ოქტომბერს (აქტები, II, 143).

1805 წელს ფარნაოზ ბატონიშვილი გადასახლეს რუსეთს. თავდაპირველად ის ვორონეჟში ცხოვრობდა, როგორც პატიმარი. 1806 წელს გაათავისუფლეს პატიმრობიდან, შემდეგ იგი ცხოვრობდა ჯერ მოსკოვში, შემდეგ პეტერბურგსა და პეტერგოფში.

პეტერბურგში ყოფნისას მის სახლში იგებს თბილისში შეთქმულების მოწყობის ამბავს გიორგი ერისთავი (გზლ. 170). ბირთველ თუმანი-



შვილის ჩვენებით, შეთქმულების „დამწყობი და დამრიგებელი“ ფარნაოზი იყო (გზლ. 255).

სამხედრო მინისტრი ჩერნიშოვი 1833 წლის 18 თებერვალს სწერდა ბარონ როზენს: „საგამომძიებლო კომისიის მოქმედება უნდა შემოიფარგლოს დაკითხვით მხოლოდ იმ პირთა, რომელთაც თბილისელი შეთქმულები თავიანთ ჩვენებებში ასახელებენ, ვარდა ფარნაოზ ბატონიშვილისა, რომლის შესახებაც ჩვენებები არა ჩანან მაინც და მაინც მნიშვნელოვნად“ (ფონდი OBD, საქმე 163, ფ. 200).

ფარნაოზ ბატონიშვილს სიბერეში თვალთ დააკლდა და ბოლოს სულ დაკარგა მხედველობა. 1847 წლის 29 აგვისტოს ის სწერს თავის დისწულს ალ. ორბელიანს: „თვალის აქიმიისა მოგეწერათ, დიდათ გმადლობ რომ აგრე ვახსოვართ და დაუეიწყარი ვართ თქვენგანა. როდესაც ეგ ბუხარელი კაცი აქეთ წამოვა, ეგების ის დრო შევიტყოთ, დიახ, კარგი იქნება“ (Sd 2265, S—1631).

ფარნაოზი რუსეთში ყოფნიას ეწევა ლიტერატურულ შრომას. რუსულიდან თარგმნა კარამზინის „რაისა“ (А. Чагарели, Сведения. III, 214). რუსულიდან თარგმნა პეტრე ანდრიევისაგან ფრანგულიდან ნათარგმნი „პაზრნი ეან ეაკ რუსოსანი სხვადასხვათა საგანთათვის“ (H—3121).

ფარნაოზ გარდაიცვალა 1852 წლის 30 მარტს, დასაფლავებულია პეტერბურგის ალექსანდრე ნეველის ლავრის თევდორეს ეკლესიაში. მისი მეუღლე ანა გიორგის ასული გარდაიცვალა 1851 წელს.

მათ ჰყავდათ შვილები: 1. სალომე (1797—1860), 2. ელენე (1799—1867), 3. ელისაბედ (1801—1818), 4. ნინო (დადიანის მეუღლე) (1802—1828).

**ფიცხელაური დიმიტრი** იხ. დოსითეოს არქიეპისკოპოსი.

**ფიცხვეროვი (დიმიტრი თუში)** — იხ. ცისკარიშვილი დიმიტრი.

**ფურცელაძე დავით ზურაბის ძე** (18.. —1839). დავითის მამა ზურაბი. 1815 წელს იხსენიება როგორც დოსითეოს არქიმანდრიტის ბიძაშვილი (საქ. ცსია, ფონდი 2/8, საქმე 368. ფ. 14).

მათარგმნელი. 1838 წ. რუსულიდან თარგმნა „ათინაიდა“ (S—1357, Q—740). — ამის შესახებ იხ. „ივერია“, 1889. № 139. ი. საჯავახოელის წერილი.

თარგმნა რუსულიდან ვოლტერის „ზაირა“ (იხ. პუპლია ორბელიანი, S 1659/გ. გვ. 137—138). „ზაირას“ ფურცელაძისეული თარგმანი ვინმე არსაბს გადაუგზავნია ელიზბარ ერისთავისათვის (H—1733. აღწ. IV. გვ. 161).

დავით ფურცელაძის ძმთა პრაპორშჩიკი სოლომონ ფურცელაძე, საფლავებულია ს. მერეთის ეკლესიაში. აქვს ასეთი წარწერა.

„აქა დაფლულ არის პრაპორშჩიკი აზნ. სოლომონ ზურაბის ძე ფურცელაძე, რომელმან ღვაწლითა თვისითა ცხოვრება თვისი მოიყვანა კეთილ-მდგომარეობასა და მოელოდა რა დატკობასა მისგან, მაშინ ღელვამან სოფელთამან 44-ის წლისა დასცა იგი განსაცდელთა მოღალატეთა მიერ 16-ს თებერვალს 1854-სა წელსა, ხოლო გამწარებულად დაშთომილი მეუღლე მისი ნინა მცირეწლოვანი შვილებითურთ ცრემლით და ვალებით დასდებენ ლოდსა ამას საყვარელსა ზედა თვისსა, რათა ყოველნი თანაწარმაველნი იტყოდეთ: განუსვენე უფალო სულსა მონისა ამის შენიხასა“.

ფურცელაძე დამიტრი პეტრეს ძე (1825—1891). ს. ვეჯინის მღვდლის შვილი. დაიბადა 1825 წ. 8 მარტს. მონათლა რუსეთიდან ჩამოსულმა გრაფმა სამუილმა.

სწავლობდა თბილისის სემინარიაში, სემინარია დაამთავრა 1845 წ. 1849 წელს კიევის სასულიერო აკადემიის დამთავრების შემდეგ დაინიშნა მასწავლებლად თბილისის სასულიერო სასწავლებლის უმაღლეს განყოფილებაში. 1851 წელს მიიღო კანდიდატის ხარისხი და დაინიშნა თბილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებლად. 1853 წ. თხოვნისამებრ ამოირიცხა სასულიერო წოდებიდან, მიიღო ტიტულარნი სოვეტნიკის ჩინი და მაგისტროსის ხარისხი. 1860 წელს — ამიერ და იმიერ კავკასიის დროებითი განყოფილების რედაქტორის თანაშემწეა. მთავრობის დავალებით დაათვალიერა ეკლესიები და სამღვდლოება მთიულეთში. იყო წევრი მთიულ ხალხთა აღწერის კომისიისა. 1864 წელს მეფის ნაცვლის განსაკუთრებული მოხელეა. მეფის ნაცვალმა მას მიანდო ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების საქმეთა მართვა, შემდეგში ამავე საზოგადოების რჩევის მმართველის თანამდებობას ასრულებს. 1872 წელს იმპერატორმა დაინიშნა ამ საზოგადოების ნამდვილ წევრად. 1875 წ. კავკასიის საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარეა. ბოლოს სამსახურიდან გათავისუფლდა თავისივე თხოვნით. პქონდა დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკის ჩინი.

მისი შრომებია: „ქართული საეკლესიო გუჯრები“, «Дворянские акты», «Крестьянские акты», „ქახეთის უმთავრესი საქიროებანი და მოთხოვნებიანი“ „ბოდბის მონასტრის აღწერა“. „დღესასწაულნი საქართველოს ეკლესიისა“, „ანდერძი ანტონ კათალიკოსისა“<sup>31</sup>, „თახედი“ („ცისკარი“, 1862, №12), „წავედა ის დრო“ („ცისკარი“, 1863, № 6) და სხვ. ხშირად აქვეყნებდა „კავკასში“ წერილებს. როგორც სიღნაღის მაზრის მება-

<sup>31</sup> ფაქტიურად ესაა ანტონის—ზონის მღვდელმთავრის—ანდერძი.



მულე ყურადღებას აქცევდა ადგილობრივ აზნაურთა ინტერესებს, ცდილობდა და აქ სოფლის მეურნეობისა და სწავლის საქმის კარგ გზაზე დაყენებას.

იყო წევრი არქეოლოგიური კომისიისა, წევრ-კორესპონდენტი მოსკოვის ძველ ნაშთთა საზოგადოებისა.

გარდაიცვალა 1891 წელს. 25 მაისს დაასაფლავეს დიდუბეში. ნეკროლოგი მის შესახებ დაიბეჭდა „მწყემსში“ (1891 წ. № 11. გვ. 3—4), „ივერია“-ში (დ. ი. ჩუბინაშვილისა), „კავკაზ“-ში (1891. № 133); „კავკაზ“-იდან გადაბეჭდილია ნეკროლოგი ქურნალში: Прибавления к Духовному Вестнику Груз. Экзархата. 1891. №8. გვ. 20—21

ქართველიშვილი იოანე ოთარის ძე (1772—1816). დაიბადა 1772 წ. 20 სექტემბერს სოფ. ფხვენისში. მამა მისი, ოთარ ქართველიშვილი, ბატონიშვილთა ნაყმევი, ყმობიდან გათავისუფლებული მდგარა ს. გომიჯვარში, აქედან აყრილა და მისულა სამშვილდეს აბდულაბეგთან. აბდულაბეგს (იესე მეფის შვილს) მიუცია ოთარისა და მისი ძმისათვის მამული და თავის კარზე უმყოფებია. სამშვილდის აკლუბის შემდეგ ოთარი და მისი ძმა შიდა ქართლში გადმოსულან, ოთარი სოფ. ფხვენისში დასახლებულა, აქ იგი თავს ირჩენდა სხვადასხვა სამუშაოებით. გარდაიცვალა მაშინ, როცა იოანე ჯერ კიდევ ბავშვი იყო. დედამ თამარმა თავს იდვა მისი აღზრდა. იგი შვილს თავიდანვე სამღვდელოდ ამზადებდა. იოანე დედამ მიაბარა სასწავლებლად ჯერ ფხვენისის მღვდელს, შემდეგ ს. შინდისის მღვდელს და ბოლოს ცხინვალისას. 12 წლის იოანე დედამ თბილისში ჩამოიყვანა და კალოუბნის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელს იოანეს მიაბარა.

1787 წ. ივნისში დედამ იგი დანიშნა ტრიფილე ილუმენის მისწულზე. ამ დროს 15 წლის იოანე იპოდიაკვანად მსახურობს თბილისის სიონში და თან სწავლას განაგრძობს — იგი ახლა იწყებს მხედრულის სწავლას — მანამდე იგი მხოლოდ ხუცურად იყო განსწავლული.

1788 წელს იოანემ ჯვარი დაიწერა არა ტრიფილეს მისწულზე, არამედ ლეკყოფილ დიმიტრის ქალ მარიამზე. ამავე წელს ის აყურთხეს მთავარდიაკონად.

1791 წელს იოანე სთხოვს კათალიკოს ანტონ II-ეს მიაბაროს ის სასწავლებლად არქიმანდრიტ ვარლამ ერისთავთან. ვარლამთან სწავლობს იოანე რიტორიკას, გრამატიკას, კატეგორიას, ლოგიკას, მეტაფიზიკას 1794 წლამდე. 1794 წელს უკვე მღვდლად ხელდასმული და ორი შვილის მამა იოანე განაგრძობს სწავლას სიონის პროტოპოპ იოანე ოსეს ძესთან.

1794 წლის ოქტომბერში იულონ ბატონიშვილმა მოიხზო იოანე და თავისი შვილების მასწავლებლად დააყენა. ამის შემდეგ იოანეს ცხოვრება მჭიდროდ დაუკავშირდა იულონ ბატონიშვილს.

გიორგი XIII-ის გარდაცვალების შემდეგ იულონ ბატონიშვილი შეიქნა მეფობის ერთ-ერთი უაქტიურესი მამიებელთაგანი. იოანე ქართვე-

ლიწვილი ახლა მას მწერლად ჰყავს და იმდენ წერილებს აწერინებენ რომ ავადმყოფი დედის სანახავად წასასვლელი დროც არ რჩება. იოანე და-ჰყვება იულონსა და მის ჯარს მუხრანიდან მარტყოფში, აქედან ქიზიყ-ში, ქიზიყიდან იორ-სართიჭალა, მუხრანი, ჭალა, ჯარიაშენის გავლით იმე-რეთს გადადის — 1801 წლის 29 აპრილს იულონი ქუთაისს ჩააღწევს. იოანე აქ რუსეთში გასაგზავნ წერილებს უწერს სოლომონ მეფესა და იულონს.

1802 წლის იანვარში იულონის ნებართვით იოანე მოდის თბილისში თავის დიდი ხნის უნახავ ცოლშვილთან. მაგრამ იოანეს ცოლშვილი პა-ტარძელში წასული დახვდა. ლაზარევმა არ მისცა მას ნება პატარძელში გამგზავრებისა და იოანემაც ცოლშვილი თბილისში გამოიძახა. პატარძე-ულიდან ჩამოსული იოანეს ოჯახი დარეჯან დედოფალმა ავლაბარს და-ასახლა, იოანეს მან ულუფა დაუწესა და თბილისში ყოფნა გააძღვინა. იოანე დაესწრო 8 მაისს თბილისში ვუბერნიის გახსნას და კოვალენსკის საქართველოს განმგებლად დაყენებას. იოანე ველარ ახერხებს იმერეთში, იულონ ბატონიშვილთან წასვლას და დარეჯან დედოფალთან რჩება.

პავლე ციციანოვი 1804 წლის იანვარში იოანე ქართველიშვილს ნიშ-ნავს თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში ქართული ენის მასწავ-ლებლად. სასწავლებლის დირექტორს ალექსი პეტრიაშვილს ევალება სახელმძღვანელოების თარგმნა. ამ საქმეში იგი იხმარს იოანე ქართველი-შვილს.

1806 წელს სასწავლებელში წარმატებით მუშაობისათვის ქართველი-შვილს აჯილდოებენ ოქროს ჯვარით და ჯამაგირს უმატებენ.

1810 წელს ტორმასოვი ახვერდოვის პირით სთხოვს ქართველიშვილს როგორმე აიძულოს მისი აღზრდილი ლევან იულონის ძე ნებაყოფლობით ჩაბარდეს რუსეთის მთავრობას. იოანემ ეს მისია ვერ შეასრულა.

იოანე ქართველოვი, უკვე დეკანოზი, გარდაიცვალა 1816 წლის 9 თე-ბერვალს (ფონდი 16/152. საქმე 1874. ფ. 2).

იოანეს დარჩა ნაშრომები „ქართული ღრამატიკა, შეთხზული ტფი-ლისის საკეთილშობილოს სასწავლებლის მოძღურის პროტოპოპის იოანე ქართველოვისაგან სახმარად მისვე სასწავლებლისა 1809 წელსა ტფი-ლისს“<sup>32</sup>.

ჩვენამდე მოაღწია ამ შრომის ორმა ნუსხამ: ერთი დაცულია ხელნა-წერთა ინსტიტუტში (S—4432), მეორე პარიზის ნაციონალურ ბიბლიო-თეკაში (ე. თაყაიშვილი, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელთნაწერები... პარიზი, 1933. გვ. 60).

<sup>32</sup> „ქართული წიგნი“ შედგომით უჩვენებს დაბეჭდილი „ქართულ გრამატიკის“ ავტორად იოანე ქართველოს („ქართული წიგნი“, I, №№ 106, 142). სინამდვილეში ამ ნაბეჭდი „ქართული გრამატიკის“ ავტორი არის დეკანოზი იესე ჩუბინოვი (1780—1821), რომელიც 1817—1818 წლებში იყო თბილისის ახლად გახსნილი სასულიერო სასწავ-ლებლის მასწავლებელი.

1801—1802 წლებში ის წერს თავის მემუარებს — ავტობიოგრაფიას „ვითარებათა აღწერას“. ეს მემუარები დაცული იყო იოანეს უმცროსი შვილის, შემდეგში სიონის დეკანოზის და ქართლ-კახეთის სინოდალური კანტორის წევრის გაბრიელის (1800—1866) ოჯახში. შემდეგ იგი გაბრიელის ვაჟის დავითის საკუთრებად იქცა. დავით ქართველიშვილის ოჯახიდან მემუარები პოლ. კარბელაშვილის ხელში მოხვდა. ამან კი გადასცა „ივერიის“ რედაქციას, რომელმაც იგი დაბეჭდა 1889 წლის შემდეგ ნომრებში №№ 203, 204, 205, 253, 255, 262, 266, 273. ქართველიშვილის მოგონებების ის ნაწილი, რომელიც ალა-შაჰნაღანის შემოსევას და თბილისის აოხრებას ეხება, როგორც მემუარების ნიმუში, დაბეჭდეს თავის „სიტყვიერების თეორიაში“ არქიმ. კრონმა და გრიგოლ ყიფშიძემ 1898 წელს (გვ. 170—177). 1952 წელს ავთ. იოსელიანმა გამოსცა „ვითარებათა აღწერა“, რომელსაც იგი მემუარებს უწოდებს და თან დაურთო იოანეს „შემოსავლის ნუსხა“.

ავტოგრაფი ქართველიშვილის ამ შრომისა დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში (A—1196). ეს შრომა მიუხედავად ვიწრო ოჯახური დანიშნულებისა (ქართველიშვილი ამ შრომას წერდა შვილებისათვის — უნდოდა გაეცნო მათთვის რა სიძნელებები ნახა მან ცხოვრებაში), მნიშვნელოვანი ძეგლია სწავლა-აღზრდის დაყენების შესასწავლად XVIII საუკუნის ბოლო წლების საქართველოში, იძლევა მდიდარ მასალას XVIII—XIX სს. მიჯნაზე საქართველოში არსებულ პოლიტიკური დასების შესახებ და სხვ.

ქებაძე პეტრე ივანეს ძე (17.. —1852). ქ. გორის მკვიდრი. სიყრმიდანვე ახლდა მროველ მიტროპოლიტს იონა გედევანიშვილს, „მიმოსლვის“ ავტორს. მონაწილეობს 1820 წელს მოსკოვში ქართული ლოცვანის დაბეჭდვაში. მწერლობაშიაც უდგას ფეხი — გადმოკეთებული აქვს სუმაროკოვის პიესა „სინავ და ტრუვორ“.

ქებაძე დიდად ეხმარებოდა მოსკოვში ჩასულ აკად. ბროსეს ქართულ სიძველეთა, უმთავრესად წარწერათა მოძიებასა და წაკითხვაში. ბროსეს შემწეობით დაინიშნა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის კომისიონერად მოსკოვში და სინოდის სტამბაში ნაბეჭდი ყველა ქართული გამოცემის კორექტორად. ქებაძის სამსახურში მოწყობის გამო 1839 წ. 6 თებერვალს ზაქარია ფალავანიშვილი მადლობას უხდის ბროსეს: „პეტრე ქებაძის სამსახურში მიღებამ დიდად მასიამოვნა, ამისათვისაც თქვენი ვალდებულნი ვართ ყოველნი ივერნი“. თვით ბროსე ამ ჩუმ მუშავეს ასე ახასიათებს დიმი. მელვინეთუხუცესთან მიწერილ წერილში: „ქებაძის საქმე წარვადგინე აკადემიაში... შევატყობინე რაოდენის პატიოსნებით, გულსმოდგინებით, თვისისა სასარგებლოს უძიებლობით ჩვენი საქმე იგულსმოდგინა (S—1258. წერილი 1852 წ. 29 აგვისტოს თარიღით).

პ. ქებაძეს ჰქონდა კოლეესკი რეგისტრატორის ჩინი.

**ქეთევან, ბატონის რძალი (1750—1782).** ქეთევან, გიორგი ერეკლე II-ის ძის პირველი მეუღლე. პაპუნა ანდრონიკაშვილის — ქიზიყის მოურავის ასული.

გიორგი ბატონიშვილმა იგი ნახა და მოიწონა ს. ვეჯინში. მისი ძმის რევაზ ანდრონიკაშვილის სახლში (მამა ამ დროს აღარ ჰყავდა ცოცხალი). ჯვარი დაიწერა მასზე 1763 წლის 20 სექტემბერს თბილისში. ქეთევანი ამ დროს 13 წლისა იყო.

ქეთევან იყო მხნე და გამრჩე ქალი, იყო უსაყვარლესი რძალი ერეკლე II-სა.

1778 წელს 300 ცხენოსნის თანხლებით ქართლში მიმავალ ქეთევანს შეტაკება მოუხდა ლეკის 500-კაციან ჯართან. ღართის კარის ვიწროებში იგი თვით გაუძღვა ცხენოსნებს და სძლია ლეკის ჯარს. ერეკლე II-მ გამარჯვებულ რძალს სადღესასწაულო მიღება გაუმართა თბილისში — ზარბაზნების სროლით და ჩირაღდნებით შეხვდა ქალაქი ქეთევანს.

ქეთევანსა და გიორგი ბატონიშვილს ეყოლათ 4 ვაჟი და 5 ქალი:

1. დავით (1767—1819), 2. იოანე (1768—1830), 3. ბაგრატ (1776—1841), 4. თეიმურაზ (1782—1846), 5. ბარბარე, 6. სოფიო (1769—72 წწ. შუალედში — 1836) — ლუარსაბ ივანეს ძე თარხნიშვილის მეუღლე, 7. ნინო (1772—1847) — დადიანის მეუღლე, 8. რიფსიმე (1780—1847) — დიმ. ჩოლოყაშვილის მეუღლე, 9. გაიანე (1781—1820) — გიორგი ერისთავის მეუღლე.

ქეთევანი გარდაიცვალა 1782 წლის 3 ივნისს თეიმურაზ ბატონიშვილის მშობიარობაზედ. დაასაფლავეს დავით გარეჯის მონასტრის იოანე-მახარებლის ეკლესიაში.

**ქეთევან ბატონიშვილი (1764—1840).** ერეკლე II-სა და დარეჯან დედოფლის ასული. დაიბადა 1764 წლის სექტემბერში. 1776 წლის 28 ოქტომბერს იქორწინა იოანე კონსტანტინეს ძე მუხრან-ბატონზე (იესე ბართაშვილის ცხოვრება-ანდერძი, გვ. 75). ქეთევანი ამ დროს 12 წლისა იყო. მისი მეუღლე იოანე სახლთუხუცესი იყო ერეკლე მეორისა და გიორგი XIII-ის დროს (1757—1800).

ქეთევან ბატონიშვილსა და იოანე მუხრან-ბატონს ჰყავდათ 5 ვაჟი და ერთი ქალი:

1. კონსტანტინე (1779—1843) — გენ.-მაიორი, 2. თეიმურაზ (1781—18..), 3. გრიგოლ (1787—1861) — გენ.-მაიორი, 4. დავით (1799—18..), 5. ირაკლი (1800—?), 6. ბარბარე (1790—1843) თორნიკე ერისთავის მეუღლე.

1810 წლის მარტში რძალთან — იულონის მეუღლე სალომესთან

ერთად გადასახლდა რუსეთს (S—1400. 50r). გარდაიცვალა 1840 წელს.  
დასაფლავებულია სვეტიცხოველში.

**ქეთევან, კონსტანტინე მუხრან-ბატონის ასული (1746—1808).**  
ერეკლე II-ის ვაჟის ვახტანგ (კარგის) ქვრივი. 1801 წლისათვის 55 წლისაა, ე. ი. დაბადებულია 1746 წელს.

ვახტანგ კარგი ერეკლე II-ის უფროსი ვაჟი იყო ერეკლეს პირველი მეუღლის ქეთევან გიორგი პეტრეს ძე ფხვიძის ასულისაგან. ვახტანგი დაიბადა 1742 წელს. გარდაიცვალა ყვავილით 1760 წელს. დარჩა ქვრივი ქეთევან.

როდესაც ერეკლე II-ს 1762 წელს ეყოლა ვაჟი (დარეჯან დედოფლისაგან), მას ქეთევანის თხოვნით ვახტანგი დაარქვეს. ერეკლეს პირშშოს, ვახტანგისაგან განსხვავებულად, მეორე სახელად აღმასხანს უწოდებდნენ.

ქეთევან ბატონის რძალმა ითხოვა ნებართვა აღმასხანი აღეზარდა. როდესაც ვახტანგ (აღმასხან) ბატონიშვილი რუსეთს გადასახლეს, მას თან წაჰყვა მისი აღმზრდელი ქეთევანი.

ქეთევანი გარდაიცვალა 1808 წელს პეტერბურგში. დასაფლავებულია ალექსანდრე ნეველის ლავრაში ლაზარეს სასაფლაოზე.

**ქიშიშვიეი ალექსანდრე იოსების ძე (1845—1914).** ცენზორი. დაიბადა თბილისში 1843 წ. 10 სექტემბერს. სწავლობდა პეტერბურგის ლაზარევის ინსტიტუტში და მოსკოვის უნივერსიტეტში. მსახურობდა ამიერკავკასიის მხარის ადმინისტრაციაში. 1891—1907 წლებში იყო კავკასიის საცენზურო კომიტეტის უფროსი ცენზორი. თანამშრომლობდა სომხურ გაზეთებსა და ჟურნალებში, წერდა ფელეტონებს, რომანებს, დრამატულ ნაწარმოებებს.

1909 წელს დაინიშნა „ტიფლისკი ლისტოკ“-ის რედაქტორად. გარდაიცვალა 1914 წელს. დასაფლავებულია ხოჯაენაქის სასაფლაოზე.

**ქობულაშვილი ევგენი დავითის ძე (1773—1842).** შვილი ერეკლეს დროის მდივან დავითისა. იწოდება მეორე სახელითაც — სერგი. ფშავ-ხევსურეთის მთავარი პრისტავი. მაიორი. 1838 წელს იყო 65 წლისა, ე. ი. დაბადებულა 1773 წელს. 1812 წლის კახეთის აჯანყების ჩახშობაში მონაწილეობისათვის მიეცა პირდაპირ მაიორობა.

1820 წლის 10 სექტემბერს ითხოვს „გვარშთამოების წიგნში“ შეტანას თავისას და თავის ძმისას — კოლეესკი სოვეტნიკის ოთარ ქობულაშვილისას (საქ. ცსია, ფ. 213. საქმე 149).

1840 წელს დაენიშნა პენსია 300 მან. რაოდენობით 1839 წლის ექსპედიციაში მონაწილეობისათვის (ფ. 16. საქმე 6677): მისი სიკვდილის



შემდეგ 1842 წელს ამ პენსიის დანიშვნას ითხოვს მისი ქვრივი სიდორია (იქვე).

„1840 წელსა, იანვრის კვ. (27)-ს რიცხვსა გარდაიცვალა მაიორი და კავალერი სერგი დავითის ძე ქობულაძე წლისა 66-ის“ (S—1155, გვ. 507).

იყო თელავის მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლი.

ჰყავდა შვილები (1842 წლისათვის):

1. დავითი — ნიქეგოროდის დრაგუნთა პოლკის პორუჩიკი 29 წლისა (1842 წლისათვის), 2. ზაქარია — ქართველთა ქვეითი პოლკის პრაპორ-შჩიკი 22 წლისა, 3. ივანე — შემახის პოლიციაში სამოქალაქო სამსახურში — 25 წლისა, 4. მიხეილი, 5. ნიკოლოზი (21 წლისა). ეს ნიკოლოზი შემდეგში მილიციის კაპიტანი გახდა. 1850 წელს მოკლეს საინგილოში ლეკების დევნისას. 6. ადამი (24 წლისა), 7. ელისაბედ (18 წლისა), 8. ნინა (ქვრივი 36 წლისა).

ქობულაშვილი ოთარ დავითის ძე (17.. —1830). ძე ერეკლე II-ის მდივნის დავით ქობულაშვილისა. შვილიშვილი ოთარ მდივნისა. თვითონაც მდივანი. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ თელავის მაზრის მოურავი.

კახეთის 1812 წ. აჯანყებისას არის აჯანყებულთა ერთ-ერთი მეთაური.

პაულუჩიმ გამოსცა პროკლამაცია, რომლითაც პირდებოდა აჯანყებულებს — თუ ვინმე აჯანყებულთაგანი თავისი ნებით ჩაბარდებოდა მთავრობას და დანაშაულს მოინანიებდა, მთავრობა მას დანაშაულს აპატიებდა. სხვებთან ერთად მთავრობას დანებდა ო. ქობულაშვილიც. მაგრამ რადგან მას მძიმე დანაშაული ჰქონდა ჩადენილი, პაულუჩიმ გადაწყვიტა სხვების სამაგალითოდ მისი დასჯა. 1812 წ. 6 მარტს პაულუჩი მას სწერდა: „აჯანყების დაწყებისთანავე თქვენ იყავით კახეთში მომზადარი ამ არეულობის მთავარი მიზეზი, წინამძღოლობდით აჯანყებულებს იმპერატორის ჯარების წინააღმდეგ; დაივიწყეთ თქვენი მოვალეობა და იმპერატორის ის წყალობანი, უხვად რომ გეფინებოდათ, და რაც თქვენ უფრო მეტად გავალებდათ ყოფილიყავით იმპერატორის ერთგული. მე ამ დანაშაულისათვის აგყრით ჩინებს, მოვისპობთ პენსიას. ამ მიწერილობის მიღებიდან 24 საათის გასვლის უმაღლ გვეალებათ თქვენი ოჯახიანად გემგზავროთ თბილისს, რადგან თქვენი აქ ყოფნა საშიშია ამ მაზრის საზოგადოებრივი მშვიდობისათვის“ (ფონდი 8, საქმე 265, ფ. 7—8).

რტიშჩევის ბრძანებით ოთარ ქობულაშვილს აჰყარეს ჩინები. მოუხსნეს პენსია და აეკრძალა თბილისიდან გასვლა (ფონდი 16, საქმე 1392, ფ. 1).

1813 წ. რტიშჩევა ის დროებით დანიშნა თელავის თავად-აზნაუ-



რობის წინამძღოლის სერგის ქაბულოვის (სერგის, იგივე ევგენი, ფაფაძის ძმა) თანაშემწედ. (იქვე, ფ. 2).

1815 წლის ნოემბერში ო. ქობულოვი ითხოვს „მარშლის შემწის“ თანამდებობისაგან გათავისუფლებას (იქვე, ფ. 2). 1816 წელს ის ამ თანამდებობიდან გაათავისუფლეს (იქვე, ფ. 4).

1823 წელს ნადვორნი სოვეტნიკ ოთარ ქობულოვს, რომელიც იყოფებოდა იმერეთის დედოფალ ანასთან, დაენიშნა პენსია 396 მან. ასიგნაციებით (ფონდი 16. საქმე 4100. ფ. 6).

ოთ. ქობულოვს ცოლად ჰყავდა ომან ხერხეულიძის ქალი ბარბარე. ოთარის და ქეთევანი იყო მეუღლე თამაზ ორბელიანისა.

**ქობულაშვილი სიმონ იოანეს ძე** (1765—1807). მღვიანი. 1802 წ. შეადგინა კახეთის თავადთა მუჯალამა იმპ. ალექსანდრე I-ის სახელზე (აქტები, I, 385), მონაწილეობდა მთიულეთის 1804 წ. აჯანყებაში. გადაასახლეს პერმში 1807 წ. მარტს. ივნისში ჩაიყვანეს პერმს და მაშინვე გარდაიცვალა (H—1257).

**ქუთათელაძე არისტიდ ვასილის ძე** (1847—1912). დაიბადა ქ. ხონში 1847 წელს. პირველდაწყებითი სწავლა მიიღო ოჯახში. შემდეგ შევიდა მისივე მამის მღვდლის ვასილის მიერ დაფუძნებულ სამრევლო სკოლაში, რომელსაც განაგებდა იმ დროს ცნობილი მწიგნობარი და მგალობელი სიმონ ფირცხალავა.

სწავლა განაგრძო ქუთაისის გიმნაზიაში. 1870 წელს, გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, გაემგზავრა მოსკოვში. 1871 წ. გადავიდა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტზე. უნივერსიტეტი დაამთავრა 1874 წელს.

თბილისში დაბრუნების შემდეგ მუშაობდა ნ. ნიკოლაძის „ობზორ“-ის რედაქციაში. 1880 წელს დანიშნეს ქართული ენის მასწავლებლად გორის საოსტატო სემინარიაში. აქედან გადავიდა ხონის სასულიერო სასწავლებელში და ბოლოს თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში ქართული ენის მასწავლებლად.

სამსახურს თავი გაანება 1906 წელს. გარდაიცვალა 1912 წ.

ა. ქუთათელაძის შრომები:

I. სახელმძღვანელოები:

1. „წყარო“ — ორ ნაწილად.
2. „ქართული გრამატიკა“, გამოვიდა 1885 წ.
3. ქართული ზმნების კლასიფიკაცია. 1897 წ.

II. წერილები სხვადასხვა ეკლესიების და მონასტრების სიძველეთა შესახებ.



**ქრისტესიაშვილი ექვთიმე.** მღვდელი ს. მატაწვი. კახეთის 1812 წ. აჯანყების მონაწილე.

გადასახლებულ იქნა ტობოლსკში. 1818 წლის მანიფესტი გათავისუფლების შესახებ მას, როგორც მღვდელს, არ შეეხო. მთავრობის განკარგულებით „იგი არ მოერიდა თავის წოდებასა და მოვალეობებს, მონაწილეობა მიიღო სამივე აჯანყებაში და ხალხს უბიძგებდა კანონსაწინააღმდეგო მოქმედებებისაკენ“ (აქტები, VI-ს, 104). ამიტომ ე. ქრისტესიაშვილი სამუდამოდ დატოვეს გადასახლებაში.

**ყაზბეგი იოსებ.** გაბრიელ ყაზბეგის ძმისწული. 1804 წელს, მთიულეთის აჯანყებისას იოსებ ყაზბეგი თავის ბიძას — გაბრიელს ედგა მხარში აჯანყებულებთან ბრძოლაში. გაბრიელ ყაზბეგმა, იმ დროს მაიორმა, გაიღო 1000 მან. საკუთარი ფული იოსებისაგან რუსი ტყვეების გამოსასყიდათ და უარი თქვა ამ თანხის ანაზღაურებაზე. გაბრიელს ეხმარებოდა მისი ძმისწული იოსები. ამისათვის ციციანოვის წარდგინებით იოსებს მიეცა კაპიტნის ჩინი და დაენიშნა ჯამაგირად 250 მან. წელიწადში (აქტები, II, 1062).

შემდეგში კაპიტანი ყაზბეგი გაიქცა სპარსეთში ალექსანდრე ბატონიშვილთან. 1813 წელს დაბრუნდა, დანაშაული მოინანია და ითხოვეს პატიებას. რტიშჩევის განკარგულებით მას ეპატია დანაშაული და მიენიჭა უფლება მიცემული წოდების ტარებისა (ფონდი 2/8, საქმე 302, ფ. 265—266).

**ყარაშვილი (ყარაევი) ივანე იოსების ძე.** ექიმი. 1801 წლის 5 ნოემბერს ყარაევი წერს ასეთ თხოვნას: „განუცხადებ ამას მაღალმსვლელობასა თქვენსა, რომელ გარდაცვალებულის მეფის ერეკლესაგან წელიწადში ორმოცი თუმანი ჯამაგირი გვქონდა და ქალაქში ხუთი ღუქანი გვებოძა და მეფე ირაკლი რომ გარდაიცვალა, გიორგი მეფემაც ისივ ჯამაგირი მოგვცა და ექვსი ღუქანიც იმან გვიბოძა, რომელიც დღესაც ხელში გვიჭირავს. ახლა რადგან ისინი გარდაიცვალნენ, ვითხოვ თქვენის მაღალმსვლელობისაგან, რომ ეს მეფეთაგან ბოძებული წყალობა და ჩვენი ნასყიდი და უსყიდი რაცა გვქონდეს, ისინი იმის დიდებულებას უღწყო წყალეს ხელმწიფეს დაგვიმტკიცებინოთ“ (ლენინგრადის ცია, ფონდი II. II. C., 1801 წ., საქმე 266. ფ. 91).

ექიმი ივანე ყარაევი, რომელიც კახეთში, სოფ. რუისპირში იმყოფებოდა, დარეჯან დედოფლის თხოვნით გააყოლეს მას რუსეთში გადასახლებისას — 1803 წელს. მანამდე — 1801 წ. ის ახლდა ივანე და ბაგრატ ბატონიშვილებს რუსეთში გამგზავრებისას.

ივანე ყარაევის მამა იოსები, ასევე ექიმი, იყო შვილი ექიმ ანტონ ყარაევისა. ანტონ ყარაევმა ექიმობა ისწავლა კათოლიკებისაგან, იტალი-





ურ ენაზე. მან ექიმობა შეასწავლა თავის ვაჟს იოსებს. იოსებმა კი შესწავლა ლობა შეასწავლა თავის ორ ვაჟს ივანეს (რომელიც ზოგან იონასად იწოდება) და ანდრიას.

გიორგი XIII-ის 1799 წლის სიგელში იხსენიებიან ექიმ ანტონას შვილი ექიმბაში იოსები, მისი შვილი იოანე, პეტრე, ანდრია და ანტონი. (Hd—13170).

ყარაშვილები კათოლიკეები იყვნენ.

იოსებ ყარაევის ქალი ეკატერინე (და ივანე ყარაევისა) ცოლად ჰყავდა ექიმ ივანე ანტონის ძე პრიბილს (აქტები X, გვ. XXIX).

1818 წელს ქართველმა თავადაზნაურობამ აღრესი მიართვა ერმოლოვს 1812 წლის აჯანყებულთა ციმბირიდან დაბრუნებისათვის მადლობის ნიშნად. ამ აღრესს სხვებთან ერთად ხელს აწერს კოლეჯსკი ასესორი ივანე ყარაევი.

ივანე ყარაევს ჰქონია გიორგი XIII-ის პორტრეტი გეტინგის მიერ ტილოზე შესრულებული 1799 წელს. ყარაევს ეს სურათი 1858 წელს მიუერთმევია ბაგრატ ბატონიშვილის ვაჟ დავითისათვის.

1826 წელს „საექიმო გამგეობამ“ აუკრძალა პრაქტიკა ივანე და ანდრია ყარაევებს. ამის გამო თავადაზნაურობის წინამძღოლი შუამდგომლობს „მიეცათ ძველებურად პრაქტიკის ნება აჭაური ექიმის — განსვენებული თათულა აქიმოვის მსგავსად აზნაურ კოლეჯის ასესორ ივანეს და კოლეჯის რეგისტრატორს ანდრია ყარაევებს. ყარაევებს საექიმო ცოდნა შათმა მამამ იოსებ ყარაევმა მისცა. ივანე როგორც ექიმი 3-ჯერ იყო წარგზავნილი პეტერბურგს: კნორინგის მიერ — ბაგრატ ბატონიშვილსა, ციციანოვის მიერ — დედოფალ დარეჯანსა და ტორმასოვის მიერ — თეიმურაზ ბატონიშვილთან ერთად სამგზავროდ. ანდრიაც ყოფილა ერთხელ რუსეთში და კოლეჯის რეგისტრატორის ჩინი მისცეს“ (აქტები, VI—I, 277—278).

„იოანე აქიმი ყარაევი“ გამოყვანილია „კალმასობაში“ (კ. კეკელიძის და ა. ბარამიძის გამოც., 1936, გვ. 272).

1821 წ. 9 მარტს დაიწყო საქმე ყარაევების გვარის აზნაურულ წარმოშობაზე (ფონდი 2/8, საქმე 942). ივანე, ანდრია და ანტონ ყარაევები ითხოვენ მათ აზნაურობაში დამტკიცებას. თხოვნაში წერენ, რომ მათი პაპა ანტონ ყარაშვილი ჩამოსულა იტალიიდან იმერეთში მეფე ალექსანდრესთან, იქიდან გადასულა ქართლში, მეფე თეიმურაზთან. ალექსანდრესაც და თეიმურაზსაც მისთვის აზნაურობა უბოძებიათ. მაგრამ ეს საბუთები მათ დაჰკარგვიათ აღამაჰმადხანის შემოსევისას. ყარაევებმა წარადგინეს დარეჯან დედოფლის მოწმობა.

ყიფიანი დავით ქაიხოსროს ძე (1835—1892). დაიბადა 1835 წელს. დამთავრა თბილისის კლასიკური გიმნაზია. გიმნაზიის დამთავრების შემ-



დევ სახელმწიფო ხარჯით გაიგზავნა პეტერბურგის უნივერსიტეტში. აქ სწავლა დაამთავრა 1861 წელს — კანდიდატის ხარისხით (მისი დისერტაციის თემა: მეფე ვახტანგ VI-ის სამართალი). უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ დაბრუნდა თბილისში, გახსნა კერძო სასწავლებელი პანსიონით. 5 წლის შემდეგ იძულებული შეიქნა მიეტოვებინა სასწავლებელი.

1868 წელს რაქის მაზრაში დაინიშნა მომრიგებელ მოსამართლედ. 1870 წ. გადაიყვანეს ქუთაისში მომრიგებელ მოსამართლედ. 1871 წ. — თბილისის მაზრის მოსამართლედ. 1876 წლიდან იყო თბილისის ნოტარიუსი.

იყო სათავადაზნაურო ბანკის ზედამხედველი კომიტეტის წევრი, მონაწილეობდა ქართულ იმერლობაში — ბეჭდავდა წერილებს „საქართველოს მოამბესა“ და „ივერიაში“, „საქართველოს მოამბეში“ ითვლებოდა „სხვადასხვა“ განყოფილების ხელმძღვანელად.

გარდაიცვალა ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ქვიშხეთში 1892 წლის ოქტომბერში.

ბოლო წლებში ისწავლა ინგლისური ენა — თარგმნა შექსპირის კომედია „დიდი ალიაჰოთი სულ არარაოდ“, ფრანგულიდან სთარგმნა ეორე ზანდის „არაკები“.

ყიფიანი დიმიტრი ივანეს ძე (1811—1887). დიმიტრი ყიფიანი გამოჩენილი ფიგურაა წარსული საუკუნის ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მის შესახებ ბევრი დაწერილა, წიგნებიც დაბეჭდილა, რომელთა შორის გამოირჩევა არჩილ ჯორჯაძის წერილთა სერია 1913 წლის „სახალხო გაზეთში“ და სიმონ ხუნდაძის მონოგრაფია „დიმიტრი ყიფიანი“, გამოცემული 1936 წელს ავტორის გარდაცვალების შემდეგ. ასე რომ ამ სახელოვანი ქართველის საყოველთაოდ ცნობილი ბიოგრაფიის გამეორება ზედმეტია.

თუმცა შეიძლება ორიოდე კორექტივი შევიტანოთ მის ბიოგრაფიაში. დიმიტრი ყიფიანის დაბადების თარიღად 1814 წლის 14 აპრილია მიღებული, დამყარებული დიმიტრის ვაჟის — ნიკოლოზის მოგონებაზე. (ს. ხუნდაძე, დიმიტრი ყიფიანი, 1936, გვ. 19). 1814 წელი უთუოდ შესწორებას მოითხოვს. 1833 წლის თებერვლის ჩვენებაში დ. ყიფიანი აცხადებს, რომ ის 22 წლისაა (რვ. VI, 1113). ამ განცხადების ძალით დიმიტრი ყიფიანის დაბადების წელი 1811 წ. გამოდის. ასევე არ არის მართალი ს. ხუნდაძისაგან მოთხრობილ ბიოგრაფიაში ცნობა იმის შესახებ, რომ დ. ყიფიანს ბავშვობაში დედა მოჰყვდომია. 1833 წლის თებერვალში მიცემული ჩვენებით კი დიმიტრის დედა ამ დროს ცოცხალია.

მამით დაობლებული დიმიტრი იშვილა პორუჩიკმა ნიკიფორე ფედოროვმა, რომელსაც ცოლად ჰყავდა ყიფიანის ქალი — მარია ივანოვნა — დიმიტრის ახლო ნათესავი.

დომ. ყიფიანი 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობით არის ჩამოთვლილი. პირველსავე ჩვენებაში ის აღიარებს „მე გადავწყვიტე არ ჩამოვინილიყავ მათ“ (შეთქმულებს) (რკ. I, 61). მან იცის საიდუმლო ანბანი (III, 375), ხალისით თანხმდება რუსეთში წავიდეს ბატონიშვილებთან ამბების წასაღებად (I, 63. XI, 2278). დომ. ყიფიანი სხვებსავე ცდილობს ბრალი სხვას დასდოს — იმათ ჩამოთრიეს შეთქმულებაში, მაგრამ, ცხადია, ამგვარ გატრაფარტებულ თავის მართლებას საგამომძიებლო კომისიის თვალში ფასი არ ჰქონდა. ამიტომ იყო, რომ კომისიამ იგი მეოთხე კატეგორიის დამნაშავეთა რიცხვს მიაკუთვნა, ე. ი. იმათ, ვინც „განზრახვებზე თანხმდებოდა და მონაწილეობას იღებდა შეთქმულების არსებობის მანძილზე ერთ-ერთ წელს, ოღონდ არა ქმედითად, ხოლო აჯანყების განზრახვა იცოდა ნაწილობრივად“. დომ. ყიფიანი 1834 წელს ვაგზავნეს ქ. ვოლოგდაში იქაური საგუბერნიო სამმართველოს კანცელარიის მოხელედ, მომდევნო წელს კი ის მდივნად იქნა დანიშნული, მერე კი სამოქალაქო გუბერნატორის კანცელარიის მმართველის თანამდებობას ასრულებდა. 1837 წელს ის უკვე საქართველოშია — აღმასრულებელი ექსპედიციის შტატში და საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორის კანცელარიაზეა მიწერილი.

ს. ხუნდაძე თავის მონოგრაფიაში „დომიტრი ყიფიანი“ 1832 წლის შეთქმულების მონაწილეებში გამოჰყოფს აზნაურულ ინტელიგენციას (გვ. 66—67), რომელშიაც შეჰყავს დ. ყიფიანი. ეს აზნაურული ინტელიგენცია „მოითხოვდა ხელისუფლების კურსის შეცვლას, მომხრე იყო სასამართლოს გაჯანსაღებისა და ხალხთან მიახლოების, ქართული ენის დაცვის, ადგილობრივ ზნე-ჩვეულებებისა და წესის პატივისცემის“... (გვ. 71). მაგრამ დ. ყიფიანს არ მოუთხოვნიდა არსებული სისტემის გაუმჯობესება-გაჯანსაღება. სასამართლოში ქართული ენის შემოღებას, მოხელეთა პასუხისმგებლობას, ქართული ადათ-წესების პატივისცემას თუ მოითხოვდა ვინმე, მოითხოვდა ისევ და ისევ ს. დოდაშვილი, რომელიც სასულიერო წოდების შვილი იყო, წინათ გლახთა კატეგორიას ეკუთვნოდა და არცა ყოფილა აზნაური.

დ. ყიფიანის ჩვენებებში მოიპოვება ჩვენი კულტურის ისტორიის თვალსაზრისით უდავოდ ღირებული ფაქტები. მაგ., ამ ჩვენებებით ვიგებთ, რომ პრაპორშჩიკ ღამაზოვს დაუწერია რუსულად ვოდევლი „XIX საუკუნის ქართველები ანუ მარჯვე ნიშნობა“ და დომიტრისათვის უთხოვნია მისი ქართულად თარგმნა (რკ. I, 59). ვახტანგ ორბელიანს ქართულად უთარგმნია კომედია-ვოდევლი «Знакомые незнакомцы». ორივე ეს ფაქტი გვიჩვენებს, ჩვენს ინტელიგენციაში თეატრისადმი ინტერესის არსებობას.

საყურადღებოა დ. ყიფიანის ჩვენებაში დაწვრილებით გადმოცემა იმ მსჯელობისა, რაც ყაზარმელებს ჰქონიათ გიორგი ერისთავის (გლუხარი-



ჩის) „ოსური მოთხრობის“ ირგვლივ, ან კიდევ ელიზბარ ერისთავისა და სიტყვის გადაკვრა მისი ბიძის „მოწოდების“ ფარულ აზრზე.

თვით დ. ყოფიანმა „ფრანციკულიდან“ თარგმნა აღფრედ მიუსეტის პიესა „ბაბალუს თითისტარი“ (H—1430).

დ. ყოფიანი მისი ვაჟის — კოტეს ჩვენებით, გადასახლებაზე ცხოვრობდა თავისი მამობილის ფედოროვის სახლში გრაფის ქუჩაზე (აწ. ფურცელადის ქუჩა). გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ ეს სახლი დ. ყოფიანმა იყიდა თავისი დედობილისაგან (ამ დროისათვის დაქვრივებული-საგან). როცა ცოლი შეირთო (გ. ჭილაშვილის ქალი), აქვე დაბინავდა. ათიოდე წლის შემდეგ ეს სახლი მან მიჰყიდა ჩინოვნიკ ლობანოვ-ჩერნიშევსკის.

ყოინსძე (მიქაძე) ნიკოლოზ გაბრიელის ძე (17.. —1769). დეკანოზ გაბრიელის ძე. სიონის დეკანოზი, ძმა ზაქარია ამბროსი წილკნელ-ნეკრესელისა: „მცირე უწყების“ ავტორის სიტყვით, საუკეთესო კალიგრაფი.

მისი გადაწერილი წიგნები აღწერილი აქვს თ. ჟორდანიას (Описание рукописей... № 347, 389) და მ. ჯანაშვილს (№ 848).

დეკანოზი ნიკოლოზ იყო ათანასე თბილელის (ამილახვრის) ამაღაში 1752 წელს მოსკოვს. მოსკოვში დარჩა ის 1754 წლის აგვისტომდე. მოსკოვში ყოფნისას 1753 წელს მან გადაწერა ხელნაწერი A—20 (ჟორდანიას, Опис... I, 18), ამავე დროს ის იქ არის სვიმონ ბატონიშვილის მეუღლის ანა პაატას ასულის მოძღვარი.

სიონის დეკანოზად იყო 1746—1752 და 1754—1767 წლებში.

როგორც ჩანს, 1767 წლის შემდეგ ნიკოლოზი ისევ რუსეთს წასულა, იგი მიიღვა იანვარს 1789 წ. ბოგოიაველენცის მონასტერში — წერს მისი ძმა ამბროსი ნეკრესელი (H—983).

შარიშანაშვილი სტეფანე არტემის ძე (1766—1836). იგივე ლოინოვი. სარწმუნოებით კათოლიკე. პროფესიით ექიმი.

1804 წელს იმპერატორს სთხოვეს მისცეს ექიმობის პრაქტიკის ნება თბილისში (აქტები, II, 1056). ამ თხოვნაში იგი ყველა თავის ბიოგრაფიას. თხოვნის დაწერისას ის 38 წლისა ყოფილა, ე. ი. დაბადებულა 1766 წელს.

პატარაობიდანვე მას სამედიცინო მეცნიერებას ასწავლიდნენ მისი ნათესავეები ანტონ ყარაევი და მისი შვილი იოსები — თეიმურაზის, ერეკლეს და გიორგის კარის ექიმები. წავიდა ავსტრიაში და ქ. ტრიესტში, წმ. მოწამეთა მონასტერში საექიმო თეორია შეისწავლა ლათინურ და სომხურ ენებზე. მერე პრაქტიკულად მეცადინეობდა პეტრე ერმესიანთან. შემდეგ ვენციის უნივერსიტეტში სწავლობდა. ბოლოს სტამბოლში 6 წლის მანძილზე — როცა იქ შავი ჭირი მძვინვარებდა — საექიმო პრაქ-



ტიკას მისდევდა. გიორგი მეფის მოთხოვნით საქართველოში მობრუნდა და ექიმობდა როგორც თბილისში, ისე შირვანში — იქაურ ხანს მუსტაფას მეფე გიორგის ბრძანებით. შემდეგ განჯას გაემგზავრა და იქ ჯვეთხანსა და მის ოჯახს მკურნალობდა. განჯაში ყოფნისას ალექსანდრე ბატონიშვილმა წერილობით დაიბარა ის თავისთან, მაგრამ შარიმანაშვილი თბილისს დაბრუნდა და ალექსანდრეს წერილი ციციანოვს წარუდგინა.

შარიმანაშვილი 1818 წელს ასწავლიდა თურქულს ნ. ნ. მურავიოვს (Русский Архив, 1894. 1, 33).

მან შეადგინა სამკურნალო მცენარეთა მცირე ბოტანიკური ლექსიკონი, რომელიც იოანე ბატონიშვილმა დაურთო თავის ლექსიკონს.

პლ. იოსელიანის ცნობით შარიმანაშვილი გარდაიცვალა 1836 წელს თბილისში (ცხოვრება გიორგი XIII-სა, ფ. 240).

შარიმანოვი სტეფანე არტემი იხსენიება S—1155-ის გვ. 507-ზე.

**შატბერაშვილი ზებედე.** აზნაური. 1812 წ. კახეთის აჯანყების მონაწილე.

შატბერაშვილი ზებედე კავთისხევში იყო მღვდლად. იგი ქართლის მრავალ მცხოვრებს აჯანყებისაკენ მოუწოდებდა. იქამდე აიყოლია ხალხი, რომ ბევრმა ფიცი დასდო — არ დამორჩილებოდა რუსეთის მთავრობას და არ მიეყიდა მთავრობისათვის სურსათი. ზებედე არწმუნებდა მათ, რომ ალექსანდრე ბატონიშვილი თავისი მომხრეებით დაიცავდა მათ. ზ. შატბერაშვილს სურდა დაეხოცათ ის ჩინოვნიკები, რომლებიც მთავრობას გაეგზავნა სოფლებში აკრეფილ სურსათის წილ ფულის დასარიგებლად. კავთისხევსა და მის მიდამოებში აჯანყებულებმა ამოხოცეს რამდენიმე სამხედრო პირი მთავრობისაგან აჯანყებულთა დასამშვიდებლად წარგზავნილნი. ეს დანაშაული ზებედე მღვდლის შთაგონებულად ჩათვალეს.

ალექსანდრე ბატონიშვილმა 1812 წლის ზაფხულში „გარდმოვლო მთა თრიალეთისა, ჩამოვიდა ქსილისის მთაზედ, მუნ მიგებნენ კავთისხეველნი და მოურავი მათი ივანე შატბერაშვილი<sup>33</sup>, განიყვანეს მტკვარსა კოწახურის ფონზედ, განვლეს მუხრანი... აღვიდა თიანეთს“ (მასალები... გვ. 112). ალექსანდრე ბატონიშვილს მიგებებულ კავთისხეველებში იყო ზებედე მღვდელიც.

პუპლია ორბელიანი თავის მოგონებაში მამაზე ემყარება თათარ თამაზ ყული-ალას (ეს ახლდა ალექსანდრე ბატონიშვილს, როცა კოწახურის ფონით მტკვარი გადმოლახა) მონათხრობს. თამაზ ყული-ალა უსახელებს

<sup>33</sup> ივანე შატბერაშვილს ასახელებს დავით ბატონიშვილი. კახეთის აჯანყების მონაწილეთა შესახებ სარქიოო საქმეებში კი ეს სახელი არ ჩანს. ივანე შატბერაშვილი იყო მწერალ გიორგი შატბერაშვილის პაპის პაპა.



მას კავთისხვეულ მღვდელს, რომელიც ალექსანდრე ბატონიშვილს დაეხმარა. ამ მღვდლის სახელი პუბლიკის გაუშვიტრა ნიკოლოზ ელიოზაშვირმა.

ზებედე მღვდელს აზნაურობა აპყარეს და ციმბირს გადაასახლეს. 1813 წლის 1 მარტს ის პერმშია.

**შატერაშვილი ფილიპე (17.. —1813).** აზნაური. 1812 წელს კახეთის აჯანყების მონაწილე.

ფილიპე შატერაშვილი და მისი ძმა ზებედე მღვდელი პირველი მეთაურები იყვნენ ქართველების აჯანყებისა. ის უშლიდა ქართველებს მიეყიდათ პური მთავრობისათვის. აქეზებდა ბევრს მათგანს იარაღით ებრძოლათ მთავრობის რაზმთან, რომელიც სოფლებში სურსათის შესაძენად იყო გაგზავნილი. ფილიპე შატერაშვილის საქმიანობის შედეგად ბევრმა ფიცი დასდო არ დამორჩილებოდა მთავრობას. ფილიპეს აზნაურობა ჩამოართვეს და გადაასახლეს ციმბირს.

1813 წლის 6 იანვრის განკარგულებით ფილიპე გადაასახლეს ტობოლსკში.

ტობოლსკის სამოქალაქო გუბერნატორის 1813 წლის 10 მაისის მოხსენებაში წერია: „ასტრახანიდან სხვა გადასახლებულთაგან განსხვავებით ცხრა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დამნაშავე ასტრახანიდან სხვებისაგან განცალკევებით საფოსტო ეტლით გამოგზავნეს. ამ ცხრიდან მხოლოდ რვა დამნაშავე მოიყვანეს ტობოლსკს, მეცხრე კი — ფილიპე შატერაშვილი — არ მოუყვანიათ“ (ფონდი 2/8, საქმე 272, ფ. 4).

საქ. ც. ა. ფონდ 2/8 -ში შესულია საქმე № 272 სათაურით «О соде-  
ржании сосланных в Сибирь». ამ საქმეში ჩამოთვლილია 62 პირი, გვერდზე მიწერილი აქვს სადაა თითოეული მათგანი გადასახლებული და რა თანხა გაიცა მათ გადასასახლებლად. ფილიპე შატეროვის გასწვრივ სწერია „ტობოლსკში პირველი თებერვლიდან“. ფრჩხილებში კი მიწერილი აქვს „помер“, ე. ი. ფ. შატერაშვილი გადასახლების ადგილზე მისვლამდე მოშკვდარა.

**შერვაშიძე კონსტანტინე გიორგის ძე (1812—1883).** აფხაზეთის მფლობელის საფარბეი შერვაშიძის ვაჟი. საფარბეის ნათლობის სახელი იყო გიორგი. ცოლად ჰყავდა კაცია დადიანის ასული თამარ. (იმერეთის მეფის სოლომონ II-ის ცოლის — მარიამ დედოფლის და), ამ ცოლქმარს ჰყავდა სამი ვაჟი: დიმიტრი (გარდაიცვალა 1822 წ.), მიხეილ და კონსტანტინე. საფარბეის სიკვდილის შემდეგ (1821 წ.) აფხაზეთის მთავარია დიმიტრი.

კონსტანტინე შერვაშიძემ პაეტა კორპუსში სწავლა დაასრულა 1831 წელს. შემდეგ მსახურობს პრაპორშჩიკად ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში. მონაწილეობს ჩეჩნიის ექსპედიციაში, სადაც კონტუზია მიიღო.



1832 წელს ის თბილისში ჩამოვიდა. აქ ის დააბატიმრეს 1832 წელს შეთქმულებაში მონაწილეობისათვის.

პეტერბურგში სწავლისას ის თავისი დედის — იმერეთის მეფის სოლომონ II-ის მეუღლის — მარიამ დედოფლის სახლში ზღვებოდა ქართველ ბატონიშვილებს, აქ იგებდა ის შეთქმულების ამბებს.

საგამომძიებლო კომისიამ იგი მერვე კატეგორიის დამნაშავედ სცნო (ამ კატეგორიაში შევიდნენ ის პირნი, ვინც იცოდა შეთქმულების არსებობა და ვისზედაც შეიძლება მიტანილ იქნეს ექვი, რომ თანაუგრძნობდნენ ამ შეთქმულებას) და გადაიყვანა ვიურტემბერგის გუსართა რაზმში იმ პირობით, რომ მას არ მიეცეს კავკასიაში დაბრუნების უფლება საქართველოს უზენაესი მთავრობის ნებართვის გარეშე. კ. შერვაშიძეს, მისი დედის თამარ შერვაშიძის ერთგულების გათვალისწინებით, ჯამაგირს გარდა დაენიშნა 1500 მან. ასიგნაციებით წელიწადში.

1867 წელს სამსახურიდან გამოვიდა მაიორის ჩინით. 1870 წლიდან დასახლდა მოსკოვში, სადაც გარდაიცვალა 1883 წ. 18 ნოემბერს. სიკვდილამდე ორი დღით ადრე იმპერატორს არზით სთხოვა დამმარხეთ ჩემს დედ-მამასთან აფხაზეთშიო. სანამ ამ თხოვნაზე ნებართვა მოვიდოდა, კ. შერვაშიძე დროებით დამარხეს მოსკოვის პოკროვის მონასტრის ეზოში. „მოსკოვსკი ლისტოკ“-ის ცნობით, იმპერატორმა შერვაშიძის თხოვნა შეიწყნარა და მალე მას გადაასვენებენ სამშობლოშიო.

კ. შერვაშიძეს დარჩა ორი მცირეწლოვანი ვაჟი: ალექსანდრე და ვლადიმერი.

„დროების“ 1884 წ. 18 იანვრის ნომერში დაბეჭდილია ნეკროლოგი კ. გ. შერვაშიძეზე.

**შუხაშვილი იოანე.** მღვდელი ს. ენისელში. 1812 წლის 26 მარტს მღვდელ იოანე შუხაშვილს გლეხმა გოგია ასანაშვილმა ცისკრის ლოცვის შემდეგ, როცა მღვდელი ეკლესიიდან გამოვიდა, გადასცა ალექსანდრე ბატონიშვილის წერილი. მღვდელი ეკლესიაში შებრუნდა, თან შეპყვნენ ასანაშვილი და სხვა იქაური გლეხები. მღვდელმა მათ წაუკითხა წერილი მერე ასანაშვილის ხელით მოურავ ივანე ჯორჯაძეს გაუგზავნა. ი. ჯორჯაძემ კი ეს წერილი ნაჩხატიშვილის ხელით იმავე საღამოს ს. შილდაში გაგზავნა. შემდეგ რა იქნა ეს წერილი, შუხაშვილმა არ იცის.

როცა ეს ამბავი თელავის კომენდანტმა შმატოვმა პაულუჩს მოახსენა, პაულუჩის ბრძანებით შუხაშვილს მღვდლობა აჰხადა ვარლამ ეგზარქოსმა, თბილისში ჩამოიყვანეს და სამხედრო სასამართლოში მისცეს. პაულუჩის ბრძანებით გაგზავნეს ზერსონის გუბერნიაში ციხის მშენებლობაზე დასასაქმებლად. რა ბედი ეწია შემდეგ შუხაშვილს, არ ჩანს (ფონდი 16, საქმე 1448).



**ჩახტაური გიორგი.** მღვდელი ს. შილდიდან. 1812 წელს აჯანყების მონაწილე. „ერთი მღვდელი გიორგი ჩახტაურაშვილების საგვარეულოდან, როგორც გამიგია, პირველ მოთავედ ყოფილა შილდის აჯანყების დროს რუსების წინააღმდეგ. ამისთვის იგი სხვა მოთავეებთან ერთად ციმბირში გაუგზავნიათ და იქვე გარდაცვილია“ (ე. შილდელი, შილდა, ქერნ. „მოამბე“, 1895 წ., № 4, გვ. 19—20).

გიორგი ჩახტაური 1813 წ. 1 მარტს პერმში გადასახლეს. 1818 წლის მანიფესტით კახეთის აჯანყების მონაწილეთა ერთი ნაწილი გაათავისუფლეს, მეორე ნეწილი (ვინც მეორე და მესამე ჯანყშიაც მონაწილეობდა) დატოვებულ იქნენ თავისუფლად ციმბირში შემდგომ განკარგულებამდე (აქტები, VI—I, 104).

ციმბირის გადასახლებული ოთხი მღვდელი კი—შილდელი ჩახტაურა, შატანელი ექვთ. ჭრისტესიაშვილი, კახატურელი (?) ნიკოლოზი და ზემოხოდაშნელი ზულიაშვილი—როგორც მღვდლები, „რომელნიც არ მოერიდნენ თავის წოდებასა და ამ წოდებისგან გამომდინარე ვალდებულებას, მონაწილეობა მიიღეს სამსავე აჯანყებაში და სხვებსაც უბიძგებდნენ უკანონო მოქმედებისაკენ“ გათავისუფლებას არ იმსახურებენ და სამუდამოდ რჩებიან გადასახლებაში.

მაგრამ გიორგი ჩახტაური ამ მანიფესტის გამოსვლამდე გარდაცვილია. იმ სიაში, რომელიც ციმბირის გადასახლებულ კახეთის აჯანყების მონაწილეთა და მათ გადასახლებლად გაწვეულ ხარჯებს შეიცავს, ჩახტაურის გვარის ვასწვრივ აწერია „номер“.

**ჩეკვინი კონსტანტინე ვლადიმერის ძე (1802—1875).** გენერალ-მაიორი.

დაიბადა 1802 წ. რიაზანის გუბერნიაში. სწავლობდა პეტია კორპუსში. დიბიჩმა ის თავის თანამშრომლად აირჩია და მასთან ერთად 1827 წ. თებერვალში თბილისს ჩამოვიდა. მონაწილეობდა სპარსეთის კამპანიაში. სექტემბერში ის მონაწილეობს პასკევიჩის რაზმთან ერთად ერევნის ალყასა და ალებაში, აგრეთვე თავრიზის ლაშქრობაში. სპარსეთთან ზავის პირობებზე მოსალაპარაკებლად გაგზავნილი იყო ჩეკვინიც. 26 ნოემბერს ჩეკვინი ვაგზავნეს იმპერატორთან საზავო პირობების მოსახსენებლად.

1828 წ. მონაწილეობდა ბრაილოვისა და ვარნას ვარემოცვაში, აგრეთვე ბალკანეთზე გადასვლასა და ადრიანოპოლის ალებაში. პოლონეთის აჯანყების ჩახშობისას მონაწილეობდა ოსტროლენკაში და ვარშავაზე მიტანილ იერიშებში, აგრეთვე მოლდინის ალებაში.

1833 წელს ჩეკვინს დაევალა 1832 წლის შეთქმულების გამოძიება. 1833 წლის 22 იანვარს ის თბილისში ჩამოვიდა (ფონდი ОВД, ს. 16ა, ფ. 86). ჩეკვინის წინადადებით საგამომძიებლო კომისიამ დაპატიმრებულ





შეტქმულებს წარუდგინა საერთო დაკითხვის პუნქტები (კითხვები პუნქტისაგან შედგებოდა), რათა უკეთ გამორკვეულიყო შეთქმულების სხვა მონაწილენიც. ჩეკვინი თანამედროვეთა თქმით, იყო ჭკვიანი და შრომისმოყვარე, ერთობ განათლებული. იყო დაბალი ტანისა და ამასთან კუზიანი. ამიტომ მას უწოდებდნენ „ზღარბს მუნდირში“.

ჩეკვინმა შეადგინა მოხსენებითი ბარათი, რომელშიაც ის განსაზღვრავდა როგორ ესახებოდა მას 1832 წ. შეთქმულების გამოძიება. იმპერატორი კმაყოფილი დარჩა ჩეკვინის საქმიანობისა და მას წმ. სტანისლავის I ხარისხის ორდენი უბოძა (Русская старина. 1877. № 5 с. 94)

დიმ. ყიფიანის მოვონებით, ჩეკვინს ჰქონდა ფიზიკური ნაკლი. გამოძიების დროს ამან შემოიღო დამნაშავეებთან უხეში ლაპარაკი, ფეხის ბრაბუნე, ცარიელ პურზე დასმა და სხვ. დიმ. ყიფიანი მას აბრალებს გამოძიების გაჭინანურებას (დიმ. ყიფიანი, მეშუარები თბ., 1830, გვ. 132).

1834 წ. დაინიშნა სამთამადნო ინჟინერთა კორპუსის შტაბის უფროსად. 1836 წ. იყო საზღვარგარეთ უცხოურ სამთამადნო მრეწველობის დასათვალისწინებლად.

გარდაიცვალა 1875 წ.

**ჩელიშვილი პლატონ ივანეს ძე.** პოლკოვნიკი. კარგი კარიკატურისტი. 40-იან წლებში მსახურობდა ქართულ გრენადერთა პოლკში. ხატავდა კარიკატურებს თავის თანამოსამსახურეებზე. მის თანამედროვეთ საუკეთესოდ მიაჩნდათ მისი კარიკატურა გენერალ ნეიდჰარდტზე (А. Зиссерман, «25 лет на Кавказе», ч. II, 425).

ჩელიშვილის კარიკატურები დაბეჭდილია „ლიტერატურული მატრიანს № 1—2-ში (1940 წ.).

**ჩერნოვი** თბილისის პირველი კომენდანტი. პოდპოლკოვნიკი. იყო საქართველოს მმართველის პეტრე ივანეს ძე კოვალენსკის დისწული.

1802 წელს მას დაევალა თბილისის მოსახლეობის აღწერა. იგი წერს რამდენად ძნელი არის თბილისის მოსახლეობის აღწერა: გვემუქრებიან, გვეწინააღმდეგებიან, არ გვიშვებენ სახლებში, სწორ ცნობებს არ გვაძლევენ და მეც არ მინდა ხალხში ახალი მთავრობის მიმართ უკმაყოფილება დაეზადო (აქტები, II, 2).

ციციანოვმა ჩერნოვი გადააყენა თბილისის კომენდანტობიდან და 1803 წლის მარტში მის ადგილზე დიმიტრი სააკაძე დანიშნა (იქვე, 27).

**ჩერქეზიშვილი ბარძიმ.** 1812 წ. კახეთის აჯანყების მონაწილე. დავით ბატონიშვილის სიტყვით, ბარძიმ ჩერქეზიშვილი თითქოს 1812 წელს მივიდა დიმიტრი ორბელიანთან და სთხოვა მას ჯარი ალექსანდრე ბატონიშვილის ხელთ ჩასაგდებათ. ბარძიმისთვის მიცემული ჯარი თითქოს ლეკებს შეეტაკა (მასალები, გვ. 115).

ბარძიმ ჩერქეზიშვილი ციმბირს გადასახლეს. 1813 წლის 12 აბანაშვილი  
ვარს ის ვორონეჟში ჩაიყვანეს. გიორგიშვილი

ვორონეჟში გადასახლებულ ბარძიმ ჩერქეზიშვილისა და ვიორგი  
ციციშვილის შესანახად რტიშჩევმა გავზავნა 1814 წლის 26 მაისს 92  
მან. ასიგნაციებით.

ბარძიმი იყო მაღალი ტანის და ჰერკულესის აგებულებისა (Кавказ-  
ский сборник, т. XXIII, 57).

1818 წ. 16 აგვისტოს მანიფესტით დანაშაული ეპატია და სამშობ-  
ლოში დაბრუნდა.

ჩერქეზიშვილი ნინია (ივანე) ალადაღის ძე (17...—1818) კაკაბეთის  
მოურავი. 1812 წ. კახეთის აჯანყების მონაწილე. გადასახლეს ტობოლ-  
სკს. ტობოლსკში ჩაიყვანეს 1813 წლის 9 მაისს (ფონდი 2/8, საქმე 272,  
ფ. 4).

1818 წლის მანიფესტით გაათავისუფლეს, მაგრამ იგი მანამდე, ტო-  
ბოლსკშივე გარდაიცვალა.

მისი ქვრივი კონია ჩერქეზიშვილი სთხოვს ველიამონოვს 1818 წლის  
ივლისში: „უკვე მეორე წელია, ჩემი ქმარი გარდაიცვალა გადასახლებაში.  
მამული ჩემი 10 კომლი გლეხკაცისაგან შედგება. მათგან მიღებული შე-  
ნოსავალი საკმარისია მხოლოდ ჩემი და ჩემი ერთი ვაჟის და 3 ქალის  
ულარბესად შესანახავად“ (ფონდი 16, საქმე 2163, ფ. 1), ამიტომ ის  
დახმარებას ითხოვს.

ჩერქეზიშვილი ნინიას შვილებია: ვიორგი, ნინო, სოფიო, ანა (იქ-  
ვე, ფ. 124).

ჩერქეზიშვილი ფირან (17...—1804). იულონ ბატონიშვილის ბოქა-  
ულთუხუცესი. 1795 წელს აღამაჰმადხანის შემოსევისას გადაარჩინა თბი-  
ლისის სიონის ნივთები.

1801 წელს, როცა იოლონ და ფარნაოზ ბატონიშვილები იმერეთს  
გადავიდნენ, ფირან ჩერქეზიშვილს მიჰქონდ-მოჰქონდა ბატონიშვილის  
წერილები ქართლის თავადაზნაურობასა და ოსებთან (აქტები, I, 394).  
ლაზარევმა ბრძანება გასცა მისი დაქერის შესახებ.

როცა 1804 წ. ზაფხულში იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილები  
იმერეთიდან სპარსეთში გაქრას აპირებდნენ, სურამის გზაზე მათ თავს  
დაესხა ვეგერთა როტა (გოგი რამინის ძე ამირეჯიბის მეთაურობით). რო-  
ტასთან შებრძოლებისას „მოსწყვიტნეს მისთანა თარხნიშვილი ტეტია,  
ძე ბეღიასი, და ჩერქეზიშვილი ფირან და კეხელი დათუა ძითურთ თვი-  
სით“ (მასალები...გვ. 73). ამ შეტაკებისას იულონ ბატონიშვილი შეიპყ-  
რეს.



**ჩიქოვანი მიაი (მარიამ) პეტრეს ასული (1779—1847).** ხელნაწერთა  
 ვადამწერი, კალიგრაფი. მიაის მამა პეტრე ჩიქოვანი 1803 წელს თბი-  
 ლისში ცხოვრობს. ამ წელს ჩატარებული თბილისის აღწერით ქალაქი  
 მეორე ნაწილში ცხოვრობს კათოლიკე თავადი პეტრე ჩიქუანი (საის-  
 ტორიო მოამბე, 1926. 11. გვ. 58, №52). პეტრე ჩიქოვანის ქალი მიაი ასე-  
 ვე კათოლიკე ყოფილა, რადგან იგი დასაფლავებულია პეტერბურგის კა-  
 თოლიკეთა სასაფლაოზე.

მიაი ჩიქოვანი XIX ს. დასაწყისიდან პეტერბურგშია. იგი ქართველ  
 ბატონიშვილებთან მუშაობს როგორც ხელნაწერთა გადამნუსხავი.  
 1817 წ. 4 აგვისტოს მან დაამთავრა დავით ბატონიშვილის მიერ თარგ-  
 მნილი „ანსილონის“ გადამნუსხვა (H—333).

ავთანდილ თუმანიშვილმა პეტერბურგში შეთხზა პატარა მოთხრო-  
 ბა მაგრატ ბატონიშვილის ცოლისდაზე კნეინა სოფიო ჩოლოყაშვილ-  
 ზე. ამ მოთხრობაში გადმოცემულია ასეთი სცენა: კნეინა სოფიოსთან  
 თავი მოიყარეს პეტერბურგში მცხოვრებმა ქართველმა ქალებმა გაბას  
 ქალმა, მაგრატ ბატონიშვილის გამდელმა გულდასტამმა, კნეინა დარე-  
 ჯანის გოგო გულისაბამ და მათ შორის ასეთი ლაპარაკი გაიმართა:

„გულისაბ: დიახ, აქამდე ელოდა ჩემი ბატონი დარია კნეინა რომ  
 შეეყვანა. მაგრამ ვილაც ის მ ა ი ა მოთრეულა, ასე მოგახსენებენ, ვითომ  
 ის შეუყვანიაო და თავის სახლში ჰყავს.

გაბას ქალი: მართლა შეიყვანა, მაგრამ სხვა რიგად ხომ არა ჰყავს,  
 მ წ ე რ ლ ა თ ა ჰყავს.

გულისაბ: დედაკაცის მწერლობაც ეხლა გავიგონე გენაცვალეთ, თო-  
 რემ რა მართებულია მეფის ძეს ქალი მწერლათა ჰყვანდეს? საბოზკუროთ  
 მოსული აქა, თორემ რა ხელი აქუს აქა?“ (H 2130, ფ. 123).

აქ მოხსენიებული მიაი მეფის ძეს რომ მწერლად ჰყავს, უნდა იყოს  
 მიაი ჩიქოვანი.

მიაი ჩიქოვანი შემდეგ იმერეთის დედოფალს ანა მათეს (მამუკას)  
 ასულს ახლავს და მისი დავალებით წარწერებს უკეთებს ვახუშტის რუ-  
 კების ასლებს (ეს რუკები შესრულებულია 1823 წ. ჭვირნიშნიან ქა-  
 ლალდზე) (ინახება ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტ-  
 ში — p. 4.).

ვახუშტის რუკების ეს ასლი იმერეთის დედოფალ ანას საკუთრება  
 იყო. დედოფლის გარდაცვალების შემდეგ (1832 წ.) მისმა ვაჟმა კონს-  
 ტანტინემ დედოფლის კუთვნილი ხელნაწერები დაჰყიდა. ვახუშტის რუ-  
 კების ასლი მიჰყიდა სააზიო მუზეუმს. ატლასის ამ ასლზე მე-17 რუკა-  
 ზე ვახუშტისეულ ლეგენდას ვადამწერი მიაწერს: „უმაღლესი ანა დე-  
 დოფლის ბრძანებით ვადამწერე ეს ქარტინები, რღც 21 ბოლოს ქარტი-  
 ნაში იხილეთ“. 21-ე ფურცელზე მოთავსებულ რუკის ლეგენდაში ვკი-  
 თხულობთ: „21 ქარტინა ქართლის ცხოვრებისა მე თ/ავად/ ჩ/იქოან/ს



პეტრეს ასულმა მაიამ გადავწერე. თუ ნაკული ანუ შეცთომა ნუ გეწყვეთ“.

რუკების წარწერების გამკეთებელი მაია ჩიქოვანი გარდაიცვალა 1847 წ. 30 ოქტომბერს 69-ე წელში გადამდგარი. ე. ი. ის დაბადებულია 1779 წელს. დასაფლავებულია პეტერბურგის კათოლიკეთა სასაფლაოზე ვევედენსკის მთებზე. აქვე წარწერა პოლონურ ენაზე: „ჩიქუნი მაია იმერეთის კნიაჟენა, გარდაიცვალა 30 ოქტომბერს სამოცდამერვე წელში“ (Б. С. Эсадзе, Летопись Грузии, 365).

**ჩოკაშვილი დავით, ჯანდიერი.** 1812 წ. კახეთის აჯანყების მონაწილე. ამ აჯანყებაში მონაწილეობისათვის იგი დასჯილ იქნა ციმბირს გადასახლებით. 1813 წ. 1 თებერვალს ჩაიყვანეს ტობოლსკში ბორკილებ დადებული. „1813 წლის 16 ივლისს ოხანსკიდან პერმში ჩაიყვანეს ცხრა გადასახლებულ ბორკილდადებულ ქართველ თავადთან ერთად დავით ჩოკოვი, რომელზედაც ნათქვამია, რომ ის მოჰყავთ დოკუმენტების გარეშე პერმში“ (ფონდი 2/8, საქმე 272, ფ. 6).

მეოთხე დღეს—1813 წ. 20 ივლისს ჩოკაშვილი დავით მომკვლარა. პერმის სამოქალაქო გუბერნატორი იტყობინება: „დავით ჩუკაევი 20 ივლისს 1813 წელს გარდაიცვალა“ (იქვე, ფ. 16). ჩოკაევის ნამდვილი გვარია ჯანდიერი.

დავით ჩოკაევეს ჰყავდა ვაჟი გარსევანი, რომელიც წავიდა სპარსეთს ალექსანდრე ბატონიშვილთან და დარჩა მასთან (აქტები, VIII, 404). ეს გარსევან იხსენიება 1832 წ. შეთქმულების გამოძიების მასალებში. ალექსანდრე ორბელიანმა კომისიას უჩვენა 1832 წ. 19 დეკემბერს: „თათარ მაჰმადას ხელით ერთხელ მომივიდა ალექსანდრე ბატონიშვილია წერილი. მოლა ზამანამ მოიყვანა ჩემთან ეს კაცი მაჰმადა, რომელიც ალექსანდრე ბატონიშვილის მიერ თავად გარსევანთან ერთად (ეს უკანასკნელი მას გზაში ჩამორჩა) გაგზავნილი იყო ყაზი მოლასთან“ (გზლ. 216). თავადი გარსევანი გ. გოზალიშვილს ახსნილი ჰყავს ჯორაშვილად. მაგრამ ეს ჩოკაშვილია.

**ჩოლაყაშვილი ალექსანდრე დიმიტრის ძე** (1803—1833). დიმიტრი ჩოლაყაშვილისა და რიფსიმე ბატონიშვილის (გიორგი XIII-ის ასულის) მეორე ვაჟი. დაიბადა 1803 წ. 8 აგვისტოს. გადამდგარი პოდპორუჩიკი. სწავლობდა პეტერბურგს. იყო „განსწავლული ყ“დ ვეროპელთა ენითა და წერილითა“ (H—2108).

1827 წელს, როცა სოლ. დოდაშვილი პეტერბურგიდან თბილისს მომავალი შეჩერდა მოსკოვს, აქ ის ოქროპირ ბატონიშვილის სახლში შეხვდა ალექსანდრე ჩოლაყაშვილს. სოლომონი და ალექსანდრე ერთად გამოემგზავრნენ თბილისისაკენ. ერთად იმგზავრეს „ლინიაშვილ“, აქედან



ს. დოდაშვილი საქართველოსკენ გამოემართა, ალექსანდრე კი დიმიტრი სამკურნალოდ გორიაჩევოდსკში. აქ მკურნალობის შემდეგ ალ. ჩოლაყაშვილი თბილისში მოდის. თბილისში ის ჩერდება ს. დოდაშვილის სახლში. აქ მათ საუბარი აქვთ დიმიტრი ბატონიშვილსა და სოლ. რაზმაძის შესახებ. ამასთან ორივენი ოცნებობენ თავისუფლებაზე (ს. დოდაშვილის ჩვენება 1833 წ. 18 მარტისა). თბილისიდან ჩოლაყაშვილი გაემგზავრა კახეთს თავის ნათესავებთან. იქიდან დაბრუნებული თბილისში გაჩერდა თავის დედასთან—რიფსიმე ბატონიშვილთან, რომელიც 1828 წლის მარტში თბილისში იმყოფებოდა. მაისში ალ. ჩოლაყაშვილი ისევ გორიაჩევოდსკს გაემგზავრა, იქიდან კი პეტერბურგს.

1832 წ. შეთქმულების გამომჟღავნების შემდეგ დაპატიმრებულ ს. დოდაშვილს ქალაქებში უპოვეს ალ. ჩოლაყაშვილის წერილი, მოწერილი მასთან პეტერბურგიდან 1828 წ. 1 აგვისტოს (ამ დროს მას უცხოვრია თეიმურაზ ბატონიშვილთან ვასილის კუნძულის მეცხრე ლინიაზე) (ლენინგრადის ფონდი, საქმე 171, გვ. 256). საგამომძიებლო კომისიამ ამ წერილზე დაყრდნობით ალ. ჩოლაყაშვილი შეთქმულების კურსში მყოფად მიიჩნია. 1833 წ. 16 მარტს მინისტრ ჩერნიშოვს როზენი სწერდა: „თავი მოეყაროს თბილისში (შეთქმულთ) და გამოიგზავნონ აქ ოქროპირ ბატონიშვილი, დიმიტრი ბატონიშვილი, გ. ორბელიანი, ალექსანდრე ჩოლაყაშვილი, სემინარიის მოწაფე ტალიევი“ (გზლ. 507).

ალ. ჩოლაყაშვილს ჩვენება ჩამოართვეს 1883 წ. 22 აპრილს. ჩვენებაში მან უარყო დოდაშვილთან თავისუფლებაზე ლაპარაკი.

საგამომძიებლო კომისიამ იგი VIII კატეგორიის დამნაშავედ სცნა (ამ კატეგორიაში სულ 9 კაცი მოხვდა) და საიდუმლო მეთვალყურეობა დაუწესა.

ალ. ჩოლაყაშვილი გარდაიცვალა 1833 წ. 19 ივნისს (H—507). დასაფლავებულია პეტერბურგის სმოლენსკის სასაფლაოზე (Brosset, Inscripti-  
ons titul. géorg.).

**ჩოლაყაშვილი გიორგი გივის ძე (1773—1806).** ერეკლე მეორის სიძე. ცოლად ჰყავდა ერეკლესა და დარეჯან დედოფლის ასული ეკატერინე (1773—1818). ერეკლეს დროს იყო სახლთუხუცესი. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ მიეცა პოლკოვნიკობა.

„1795 წელს დარეჯან დედოფალი სახლულებით გაჩერდა მთიულეთიდან თიანეთის გზით წამოსული ახმეტას, თავის სიძის თ. გიორგი ჩოლაყაშვილის სახლში“ (თეიმურაზ ბატონიშვილი, გიორგი მეცამეტის მეფობა, „ცისკარი“, 1862, № 10, გვ. 160).

თიანეთში ჰყავდა 15 კომლი ყმა. იყო ბახტრიონის მოურავი (აქტები, II 86). დარეჯან დედოფლის ამაღლება (იქვე, № 180).



გარდაიცვალა 1806 წელს. დასაფლავებულია ალავერდის ტაძარში დასავლეთ პორტიკოში, ადევს მარმარილოს ქვა წარწერით: „აქა განისვენებს გვაში პოლკოვნიკის და კავალერის თავადის გივი სალთხუცის ძის გიორგის სალთხუცის ჩოლაყოვისა, რომელიც მღელუარესა სოფელსა ამას შინა არსებდა შობითგან თვისსა ოცდაცამეტ წელნი კეთილდღეობითა და ბედნიერობითა... ზოლო უკანასკნელ ქაშა ახალყვავილოვნებისა სიკბატუცისა მისისა რა დროსა მძვინვარისა მანგლისა მიერ მოსხლულ იქმნა და დაფარულ ლოდსა ამას ქვეშე, რომელმანცა დაუტევა საყვარელი მეუღლე კეთილმორწმუნე მეფის ირაკლის ასული ეკატერინა და სამნი ჩჩვილნი ძენი თვისი მწუხარენი, რომლისათვისაცა შეუქმნა ნიში ესე სახსოვრად ძემან მისმან აფიცარმან თავადმან ლუარსაბ ჩოლაყოვმან და შენ ჰოი, ღმერთო, განუსვენე სულსა ამისა მუნ მართალთა თანა. ნოემბრის ი—ს, წელსა ჩყკ—ს.“

ეს თარიღი 1820 წ. 10 ნოემბერი ქვის დადების თარიღია. პლ. იოსელიანს კი ეს თარიღი მის გარდაცვალების წლად მიუჩნევია (Род князей Челокеевых, გვ. 11). ეპიტაფიით გ. ჩოლაყაშვილის სამი ჩვილი ძე დარჩენია, „სახსოვარ ნიშს“ კი უქმნის მისი ძე აფიცერი ლუარსაბი—1820 წელს. გ. ჩოლაყაშვილი კი ამ წელზე გაცილებთ ადრე გარდაიცვლებოდა. მართლაც, 1907 წ. 25 იანვრის თარიღით ჩაწერილია: „ჩოლაყოვის გიორგის საწირავი მივიღე 1 მანეთი“ (A—1196, ფ. 8). აქედან უნდა დავასკვნათ, რომ გ. ჩოლაყაშვილი 1807 წ. 25 იანვარზე ადრე გარდაცვლილა, მაგრამ დიდი ხნით ადრე არა, რადგან საწირავი შეიძლება აღებულიყო მიცვალებულის გარდაცვალებისას, ორმოცზე ან წლისთავზე. მაშასადამე გ. ჩოლაყაშვილი გარდაიცვლებოდა 1806 წელს. ეპიტაფიით იგი გარდაცვლილა 33 წლისა ე. ი. დაბადებულა 1773 წელს.

დარჩა სამი ძე და ერთი ასული:

1. ივანე, მაიორი (გარდაიცვალა 1860 წ. უშვილო).
2. დავითი (გარდაიცვალა 1820 წ.)
3. ლუარსაბი, ვადამდგარი პორუჩიკი (გარდაიცვალა 1864 წ.). ამისი ქალი ეკატერინე, გათხოვილი ჭავჭავაძეზე, გარდაიცვალა 1867 წ. პიტიგორსკში (ქართული წიგნი. I, № 345).
4. ნინა.

ჩოლაყაშვილი დავით ჯიმშერის ძე (17..—1811 წ. შემდეგ). დივანბეგი. თეიმურაზ ბატონიშვილი ასე ახასიათებს მას ბროსესადმი მიწერილ წერილში: „ეს დავით მეფეებისგანაც პატივცემული და დიახ განსწავლული კაცი იყო საკვირველის უცხო ზნებისა. მზიარული, მოხუმარა და უცხო პიტიკოსი. ამან სხვა ენებიც კარგა იცოდა ქართულს გარდა. ჩემს ყმაწვილობაში ჩემთანაცა და ჩემს ძმებთანაც დიახ შემოჩვეული იყო და ბატონებისაგან ბძანებაცა ჰქონდა რომ ჩვენთვის ზნეობა ეს-

წავლებინა. ბევრს რასმე კარგს გვასწავლიდა და დიდის მხიარულებითა და ზნეკეთილობითის სუმრობით დროს გვატარებინებდა“ (Институт Во-стоковедения АН СССР, А—861).

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ მიეცა მაიორის ჩინი. კარგად იცოდა რუსული, ამიტომ მას დაევალა ვახტანგ VI-ის კანონების რუსულად თარგმნა. ამ საქმეში მას 1808—1809 წლებში ეხმარებოდა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის მასწავლებელი ნიკოლოზ დავითის ძე ჩუბინოვი<sup>34</sup>. მანამდე, ციციანოვის დავალებით დ. ჩოლაყაშვილმა თარგმნა ვახტანგ VI-ის კანონების ნაწილი (ი. დოლიძე, საქართველოს ჩვეულებითი სჯული, დანართი, გვ. 183. 185—192).

ვახტანგის კანონების თარგმნაში დ. ჩოლაყაშვილს დაუნიშნეს წელიწადში 4000 ვერცხლის მანეთი. მან თარგმნა დაასრულა 1810 წლის ოქტომბერს; ამის შემდეგ ტორმასოვის შუამდგომლობით მას შეუნარჩუნეს პენსიის ნახევარი სიკვდილამდე (აქტები, IV, 957).

1795 წელს მას დაუწერია ტრაგედია „ეფიგენია“, ამის შესახებ იხ. Л. С. Шепелева, Из истории русско-грузинских культурных связей в XVIII в. («Ефигения» Давида Чолакашвили), XVIII век. Сборник IV, 1959. с 355—371, 302.

დ. ჩოლაყაშვილი გამოყვანილია „კალმასობაში“ (ზ. ჭიჭინაძის გამოც., გვ. 249, 291—295, 309—317). დ. ჩოლაყაშვილი ცოცხალია 1811 წ. მარტში (აქტები, IV, 957).

დ. ჩოლაყაშვილს ერთი პირობა მიაწერდნენ ალ. ჭავჭავაძის ლექსს „სიყვარულო ძალსა შენსა“ (იხ. ალ. ჭავჭავაძე, თხზულებანი. ი. გრიშაშვილის რედაქციით, 1940, გვ. 271—273).

**ჩოლაყაშვილი დიმიტრი** (17...—1819). კახეთის 1812 წ. აჯანყების მონაწილე. ის და მისი შვილი იოსები ერთად დაიჭირეს და გადაასახლეს პერმს. 1818 წ. მანიფესტით დატოვებულ იქნა ციმბირს თავისუფლად საცხოვრებლად შემდგომ განკარგულებამდე (აქტები, VI—I, 104).

დ. ჩოლაყაშვილი ციმბირს გარდაიცვალა. აქვე გარდაიცვალა მისი შვილი იოსებიც. საქართველოში დარჩენილი იოსების ქვრივი ანა 1820 წ. ითხოვს დაუბრუნონ მამამთილისა და ქმრის მამული მასა და მის ორ მცირეწლოვან შვილს. იმპერატორის 1820 წ. 11 სექტემბრის განკარგულებით იოსებ ჩოლაყაშვილის ქვრივს ანას დაუბრუნდა ქმრისა და მამამთილის მამული (ფონდი 2/8, საქმე 837. ფ.9).

**ჩოლაყაშვილი ეკატერინე დიმიტრის ასული** (1772—1817). დიმიტრი ორბელიანის ასული. პუბლია ორბელიანის მამიდა. სავარჯესო მო-

<sup>34</sup> А. Цагарели. Сведения. вып. III, 28.

ურავის გიორგი ჩოლაყაშვილის მეუღლე. კახეთის 1812 წ. აჯანყების მონაწილე.

ალექსანდრე ბატონიშვილის გამოჩენისას მცხოვრებთ მოუწოდებდა აჯანყებულებას, თავის ხელქვეითებს ემუქრებოდა, თუ არ აჯანყდით, დაგარბევთო. მისი ვაჟიშვილი თადია, ერთ-ერთი უპირველესი მემამბოხე-გაიქცა სპარსეთს და იქ დარჩა. მთავრობამ ეკატერინე დააპატიმრა, მასთან ერთად დააპატიმრეს თადიას ცოლი ქეთევანი, ელიზბარ ერისთავის ასული და თვით ეკატერინეს ასული ანა (იგივე ახუა), თ. ბეჟან გურგენიძის ცოლი. რძალ-მული (ქეთევანი და ანა), როგორც უდანაშაულონი, რტიშჩევმა გაათავისუფლა. ქეთევანი მან ჩააბარა ვარლამ ეგზარქოსს, როგორც მის ნათესავს, მაშასთან მისაგვრელად, ოღონდ იმ პირობით, რომ მაშისათვის ხელწერილი ჩამოერთმიათ—ჩემს ქალს არავითარი კავშირი არ ექნებაო ქმართან (ფონდი 2, საქმე 302, ფ. 53, 86). ქეთევანი გარდაიცვალა 1821 წელს 30 წლისა (A—1083).

ეკატერინე ჩოლაყაშვილს თავად-აზნაურული ღირსება აპყარეს და გაგზავნეს კურსკის გუბერნიის ბელგოროდის დედათა მონასტერში ხაზინიდან სამონაზნო სარგოს დანიშვნით. ეკატერინეს ბელგოროდის ზნა-მენსკის მონასტერში მეთვალყურედ დაუნიშნეს გოროდნიჩი ლეონტიევი. 1814 წ. თებერვალში კურსკის სამოქალაქო გუბერნატორი ნელიდოვი წერს: ეკ. ჩოლოკაევა და აზნაურის ცოლი გუქა ნათალოვას ორი მსახური ქალით ჩამოიყვანეს მხოლოდ საზაფხულო კაბების ამარა, არაჰქონდათ გამოსაცვლელი ხელი, ეს კაბები შემოაცვდათ და ახლა დიდს გაჰირეებაში არიან თბილი ტანისამოსის უქონლად (ფონდი 2, საქმე 272, ფ. 12).

1815 წ. ნოემბერში გუბერნატორი ნელიდოვი სთხოვს რტიშჩევს გამოგზავნოს ფული ეკ. ჩოლაკაევისა და გუქა ნათალოვას შესანახად. რტიშჩევმა მათ შესანახად 1815 წ. 1 სექტემბრიდან 1816 წ. 1 მარტამდე გაუგზავნა 460 მანეთი (იქვე, ფ. 64).

ეკ. ჩოლაყაშვილი გარდაიცვალა 1817 წ. ბელგოროდის მონასტერში შობიდან 45 წლისა (A—1083), ე. ი. ის დაბადებულა 1772 წ.

ჩოლაყაშვილი ზაქარია დიმიტრის ძე (1799—1851 წ. შემდეგ) ფშავ-ხევსურეთის მოურავის დიმიტრი ჩოლაყაშვილისა და გიორგი XIII-ის ასულის რიფსიმე ბატონიშვილის უფროსი ვაჟი. საბუთებში ზოგჯერ ის იხსენიება ზურაბის ან ზაალის სახელით (მაგ. აქტები, V, 107). დაიბადა 1799 წ. რადგან 1833 წ. თებერვალში ის უჩვენებს რომ 33 წლისაა (რგ. XI, 1095).

\*\*\* გუქა, ნათალიშვილის ცოლი, იყო დიმიტრი ორბელიანის ასული და ეკატერინე ჩოლაყაშვილის და.





ზაქარიას მამა მოუკლეს 1804 წ. დედის თხოვნით 1811 წ. იანვარს ის ჩარიცხეს პაეთა კორპუსში, სადაც სწავლა დაამთავრა 1819 წ. 20 მარტს და დაინიშნა ავსტრიის იმპერატორის სახელობის გრენადერთა პოლკში პრაპორშჩიკად. 1820 წ. 14 აპრილს მიიღო პოდპორუჩიკობა. 1821 წ. 24 იანვარს გადაიყვანეს ლეიბ-გვარდიის „სემიონოვის“ პოლკში, რომელიც ცნობილი იყო მემამბოხეობით. ამ პოლკში მსახურობდა ის დაპატიმრებამდე (1832 წ.). 1823 წ. მან მიიღო პორუჩიკის ჩინი, 1827 წ. — შტაბსკაპიტნის ჩინი, ხოლო 1832 წ. კაპიტნობა. სამხედრო სამსახურში ყოფნისას მონაწილეობდა ვარნის აღებაში (1828 წ. 13 სექტემბერს), აგრეთვე პოლონეთის აჯანყების ჩაქრობაში 1831 წელს ვარშავის აღებამდე. ბრძოლებში გამოჩენილი ვაჟკაცობისათვის დააჯილდოვეს ორდენებით.

1832 წ. აიღო ოთხი თვის შევებულება და წამოვიდა საქართველოში თავისი მამულების საქმეების მოსაგვარებლად. შეთქმულების საქმეში ჩაება, როგორც თვითონ უჩვენებს კომისიას 18 ოქტომბრის შემდეგ, — როცა გიმნაზიაში აქტი შესდგაო (რე. XXIII, 3480). მაგრამ სხვათა ჩვენებანი გვიდასტურებენ, რომ შეთქმულებთან კავშირი მას აღრევე ჰქონია. ზაქარია დააპატიმრეს 1832 წ. დეკემბერში.

ზაქარია ჩოლაყაშვილმა სხვა ყაზარმელთა შორის პირველმა თავის პირველსავე ჩვენებაში, როგორც შეთქმულების მთავარი მომწყობი, დაასახელა თავისივე ბიძა ოქროპირ ბატონიშვილი (აქტები, VIII, 393). ამანვე ცხადყო ალექსანდრე ჰავჭავაძის შეთქმულებაში მონაწილეობა (ალექსანდრე ჰავჭავაძის ცოლი მისი ნათესავი იყო).

თავის პირველ ჩვენებაში 13 დეკემბერს ზაქარია კომისიას მოახსენებს: „დოდაშვილს ვკითხე: ცოლშვილის პატრონი ხარ და საიდან გავჩინდა შეთქმულების აზრით? ნუ თუ ღმერთისა არ გემინიაო. მისი პასუხი იყო: ყველაფერი ეს ბიძა თქვენმა ოქროპირ ბატონიშვილმა ჩამაგონა, როცა ის აქ იყო. მთხოვდა, რამენაირად ჩამგონებინა ეს ჩემი მოწაფეებისთვისაც. მე ძალიან შევწუხდი ამ პასუხით, რომ ოქროპირ ბატონიშვილი, რომელიც მე მფარველობდა, ამ საქმეში გარეული ყოფილა“ (რე. I, 35—42).

ზაქარიას ამ გულახდილობას ის მოჰყვა, რომ იმპერატორმა „მოსკოვში მცხოვრებ ოქროპირ ბატონიშვილზე—შეთქმულების უმთავრეს წამომწყებზე—მეთვალყურეობის დაწესება“ ბრძანა (აქტები, VIII, 393).

ზაქარია კომისიას უჩვენებს, რომ ალ. ჰავჭავაძე არ თანაუგრძობდა ყაზარმელთა განზრახვას მოწყობილიყო აჯანყება, რომ ალ. ჰავჭავაძე „მზად იყო უმალ რუსებისათვის მომკვდარიყო, ვიდრე დაეშვა ქართველებისაგან რაიმე უწესრიგობის წამოწყება“ (რე. XXIII, 4632).

ამ გულახდილი და დაუფარავი ჩვენებების გამო იყო, რომ ბარონმა როზენმა ზაქარიას მსჯავრის დადებისას მისი ქცევა ასეთი სიტყვებით



შეაფასა: „წარსულში მისი უზადო და სანაქებო სამსახურის საპატრუ-  
საცემლად კაპიტანი ჩოლაყავი, რომელმაც თავისი გულახდილი და ყოველგვარი მივიზ-მოკიზვას მოკლებული აღიარებით დიდი სამსახური გა-  
უწვია საქმის გამოძიება-გამოაშკარაებას, დაინიშნოს რომელიმე ქვე-  
ითა პოლკში სამსახურში“.

ს. დოდაშვილი მის შესახებ უჩვენებს: „ზაქარიასთან მე სხვებზე უფრო მეტი ახლობლობა მქონდა ჯერ კიდევ პეტერბურგში, მაგრამ მე მისთვის არაფერი მიტყვამს. ერთნაწილში მისვლა-მოსვლა გვქონდა, მაგ-  
რამ ვსაუბრობდით მხოლოდ განცხებულ თემებზე“ (რვ. II, 160).

კომისიამ ზაქარია VI კატეგორიის დამნაშავედ სცნო (ამ კატეგორი-  
აში შევიდნენ ის პირნი, ვინც იცოდა შეთქმულების ამბავი და ვიზუდაც შეიძლება ეკვი იქნას მიტანილი, რომ თანახმა იყო შეთქმულებისა). ზა-  
ქარია ქვეითა პოლკში გაამწესეს 1833 წ. 4 ნოემბერს.

1836 წ. მიიღო მაიორობა. 1837 წ. იანვარში ავადმყოფობის გამო სამსახურიდან გათავისუფლდა, მაგრამ ნოემბერში დაბრუნდა დრაგუნ-  
თა პოლკში. 1843 წ. ქართულ გრენადერთა პოლკში იწყებს სამსახურს. 1844 წ. მთიელებთან ბრძოლაში თავის გამოჩენისათვის მიეცა პოდპოლ-  
კოვნიკობა. 1846 წელს—პოლკოვნიკია.

1845 წ. ცოლად შეირთო სოფიო ორბელიანი. ამავე წლის 24 აგ-  
ვისტოს ფარნაოზ ბატონიშვილი პეტერბურგიდან სწერს დას თეკლეს:  
„ზაქარიას ცოლის შერთვა გეზძანათ. — დიახ მიამა. ღმერთმან ბედნიე-  
რად წარუშართოს. ჩემთან მოგეწერათ რომ თქვენს ძმისწულს რივისმას თქვენ მაგიერ მიულოცო. კარგა ხანია, მე ის აღარ მინახავს. ასე გავიგო-  
ნე, რომ დიდათ თურმე წყინობს ზაქარიასაგან ცოლის შერთვასა“  
(Sd. 2243. S. 1631).

1851 წ. ზაქარია სამსახურიდან გადადგა. იგი წიგნის მოყვარული ჩანს. პლატონ იოსელიანმა 1842 წ. პეტერბურგში იყიდა ზაქარიას ნაქონი აბატ დე  
ლა პორტის «Всемирный путешественник» (1800 წ. გამოცემული). 1835  
წ. ზაქარიამ ხელი მოაწერა პლუშარის ენციკლოპედიურ ლექსიკონზე. პლუ-  
შარის ენციკლოპედიური 17-ტომიანი ლექსიკონი გამოვიდა 1835—1841  
წლებში.

ჩოლაყაშვილი თადია გიორგის ძე (1790—1833 წ. შემდეგ). გაი-  
ორგი ჩოლაყაშვილის—საგარეჯოს მოურავისა და სუფრაჯის და ეკატე-  
რინე დიმიტრის ასულ ორბელიანის ვაჟი. დაიბადა 1790 წ. 7 აპრილს.  
გიორგი სუფრაჯი, თადიას მამა, გიორგი XIII-ის მეფობაში გარდა-  
იცვალა. მის მაგიერ საგარეჯოს მოურავად მეფემ ვახტანგ დიმიტრის ძე  
ორბელიანი დანიშნა (აქტები, I, 317). „თადიამ იქორწინა ქსნის ერისთა-  
ვის ელიზბარის ასულზე ქეთევანზე 1808 წელსა ივნისის 6“ (S—1224).

ეყოლა ორი ქალი: ანა — 1810 წელს და ნინო — 1812 წელს 1831 წ. მისთხოვდა მიხეილ ჩოლაყაშვილს). (ნინო  
გაბრეხაძის  
განაჩინება)

პუბლია ორბელიანის სიტყვით „თადია გაერია კახეთის არეულობაში და ძალიანაც ხელი გამოიღო რუსებზე. მერე გადავარდა სპარსეთში ერმოლოვმა მოაყვანინა საქართველოში“ (მოგონება, გვ. 31).

სპარსეთში გაქცეული თადია საქართველოში დააბრუნეს და სასამართლოს გადასცეს. მაგრამ იმპერატორის 1814 წ. 30 აგვისტოს განკარგულებით იგი სასამართლოდან გაათავისუფლეს (ფონდი 16, საქმე 9881, ფ. 20).

შემდეგში თადია თბილისის სამხედრო გუბერნატორის განკარგულებით დაუშვეს არჩევნებში და თავად-აზნაურობამ იგი თელავის მაზრის წინამძღოლად აირჩია (იქვე, ფ. 19).

1830 წ. მას სენატორ ვრაჟ პავლე კუტაისოვის სახელზე დაუწერია თხოვნა, რომელშიაც იგი სხვათა შორის ასხენებს, რომ სათავადაზნაურო საკრებულოს არჩევნებში დაშვებული ყოფილან და შემდეგ არჩეული და დამტკიცებული ის პირნი, ვინც 1804 და 1812 წწ. აჯანყებებში მონაწილეობდა (იქვე, ფ. 15).

1830 წელს თელავის მაზრის უფროსის რაპორტით თადია სასამართლოზე იქნა გადაცემული გომბორზე ყარაულების გამოუყვანლობია გამო. ამავ დროს მას ბრალად ედება მილიციაში გაწვეულთაგან ქრთამის აღება.

1832 წ. შეთქმულების იესე ფალავანდიშვილის დასმენაში (1832 წ. 11 დეკემბერს) შეთქმულების თანამზრახველთა შორის დასახელებულია თადია ჩოლაყაშვილიც (გზლ. 131). შეთქმულების მონაწილენი მას ასახელებენ როგორც შეთქმულებაში განდობილს. ბიძინა ერისთავის ჩვენებით თადიას თითქოს ეთქვას, რომ ის შეთქმის თანახმა არ იქნება, სანამ მუხრან-ბატონი, ალ. ჭავჭავაძე, დიმიტრი და ლუარსაბ ორბელიანები თანახმა არ გახდებიანო (გზლ. 177).

საკამომძიებლო კომისიამ იგი VII კატეგორიის დამნაშავედ აღიარა (ამ კატეგორიაში შევიდნენ ის პირნი, ვინც იცოდა შეთქმულების ამბავი, მაგრამ არ ეთანხმებოდა მასში მონაწილეობის მიღებას) და სასტიკი მეთვალყურეობის ქვეშ ყოფნა დაუწესა.

ჩოლაყაშვილი ივანე ჭიმშერის ძე (17...—1821). მდივანბეგი. მდივანბეგად დაინიშნა 1798 წ. მაისში მდივანბეგ თეიმურაზის ადგილას (ფონდი 2/8, საქმე 49, ფ. 263). საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ იყო ფშავ-ხევსურეთის მოურავი და ატარებდა პოლპოლკოვნიკის ჩინს.

გარდაიცვალა 1812 წ. იანვარში. მისი გარდაცვალებიდან მე-7 თვეს დაებადა შვილი ანა. დარჩა ქვრივი მართა და 5 მცირეწლოვანი შვილი:



1. მიხეილ, დაიბადა 1802 წ. 16 ივნისს. 2. მარიამ, დაიბადა 1802 წ. 27 დეკემბერს (ეს მარიამი 14—15 წლისა ლექსებს წერს. „ჩოლოყის კნიაზ იონანე პოლკოვნიკის, ფშავისა და ხევსურეთის მოურავის ასულის მარიამისაგან ნაწერია და მისივეა... მაისი 20 დღესა, წელსა 1819“. A—1574ა). 3. ევგენია, დაიბადა 1808 წ. 1 აპრილს. 4. ეკატერინე—ნატალია, დაიბადა 1811 წ. 8 ივნისს. 5. ანა, დაიბადა მამის სიკვდილის შემდეგ 1812 წ. აგვისტოში. მონათლა სტეფანე ტიხანოვსკიმ (საქ. ც. ა. ხელნაწ. № 213).

ივანეს ქვრივი მართა ჩოლაყაევი 1813 წელს ითხოვს პენსიის დანიშვნას მისი და მისი 5 მცირეწლოვანი შვილის შესანახად (ფონდი 2/8, საქმე 302, 283).

ჩოლაყაშვილი იოსებ დიმიტრის ძე (17...—1816). დიმიტრი ჩოლაყაშვილის, 1812 წ. აჯანყების მონაწილის, შვილი, თვითონაც აჯანყების მონაწილე. სოფ. ახმეტიდან. იოსებ ჩოლაყაშვილი ჩანს აგრეთვე მთიულეთის 1804 წ. აჯანყებაშიც (აქტები, II, 138).

რტიშჩევი 1812 წ. 10 ივლისს სწერს გუბერნატორ მალინსკის: „დიმიტრი ჩოლაყაევის შვილი იოსებ, ომან ჩოლაყაევი და გარსევან ჩოკააშვილი თითქოს ალექსანდრე ბატონიშვილთან წასულან. მათი მამები კი — თავადები დიმიტრი ჩოლაყაევი და დავით ჩოკააშვილი ახმეტაში ცხოვრობენ“ (საქ. ც. ა., ფ. 152, საქმე 1286, ფ. 2).

როგორც აჯანყების მონაწილე, იგი გაასამართლეს და პერმს გადასახლეს, მამასთან—დიმიტრისთან ერთად. ორივე მამაშვილი გადასახლებაში გარდაიცვალა.

საქართველოში დარჩა მას ცოლი ანა და ორი მცირეწლოვანი ვაჟი. 1819 წ. მისი ქვრივი ანა ითხოვს ჩამორთმეული მამულის დაბრუნებას. იმპერატორის 1820 წლის 11 სექტემბრის განკარგულებით (ამ განკარგულებას იმპერატორმა ვარშავაში მოაწერა ხელი) ანას დაუბრუნეს მამული.

ჩოლაყაშვილი იოსებ დურმიშხანის ძე. „კოლეცკი ასესორი“. თუშთმოურავის დურმიშხანის შვილი. ბავრატ ბატონიშვილის ცოლის — ეკატერინეს ძმა.

კახეთის 1812 წ. აჯანყების მონაწილე. გადასახლებულ იქნა ტობოლსკს. 1818 წ. მანიფესტით გაათავისუფლეს. განთავისუფლების შემდეგ მას სიმონ ჯანდიერთან ერთად ჯერ უნდოდა ტობოლსკიდან პირდაპირ საქართველოში წამოსვლა. შემდეგ კი გადაწყვიტა წასულიყო ჯერ მოსკოვს, იქიდან კი პეტერბურგს. ჯანდიერთან ერთად ის მხოლოდ ყაზანამდე იმგზავრებდა—ატობინებს ერმოლოვს ტობოლსკის სამოქალაქო გუბერნატორი 1818 წ. 16 ნოემბერს (ფონდი 2/8, საქმე 486, ფ. 53). ტო



ბოლსკიდან წამოსულ იოსებს პეტერბურგში უნდა შეველა ალბათ და სიძესთან.

**ჩოლაყაშვილი მიხეილ ივანეს ძე (1802—1847).** ფშავ-ხევსურეთის მოურავის ივანე ჩოლაყაშვილის უფროსი ვაჟი. დაიბადა 1802 წ. 19 ივნისს (საქ. ც. ა., ხელნაწ. 213).

მიხეილი ზაქარია და ალექსანდრე ჩოლაყაშვილების ბიძაშვილია. 1831 წ. ცოლად შეირთო თადია ჩოლაყაშვილის ქალი ნინო (პუპლიას ჩვენება, რე. VIII, 659). ა. ზისერმანის სიტყვით, მიხეილის მეუღლე ყოფილა მეტად ლამაზი (А. Зиссерман, «Двадцать пять лет на Кавказе», I, 22).

1833 წ. ის თუშეთის პრისტავია, შემდეგ თუშ-ფშავ-ხევსურეთის ოკრუგის უფროსი, მაიორის ჩინით. 1844 წ. ივლისში მასთან სტოლონა-ჩალნიკად დაინიშნა ა. ზისერმანი. ზისერმანის სიტყვით, მ. ჩოლაყაშვილი იყო „გაუნათლებელი, მაგრამ თავისებურად ძალიან ჰკვიანი“ (იქვე, გვ. 22). მიხეილ ვორონცოვმა 1846 წელს დანიშნა საგამომძიებლო კომისიის თავმჯდომარედ. ამ კომისიას უნდა გამოერკვია საფოსტო კარეტიდან მდ. იორში ჩავარდნილი საფოსტო ჩემოდნის საქმე. ამ ჩემოდანში 48 ათაჟი მანეთი იყო და მის მოტაცებას თავად ანდრონიკოვსა და ადგილობრავ პოლიციელებს აბრალებდნენ (ზისერმანი, გვ. 79).

მ. ჩოლაყაშვილი გარდაიცვალა 1847 წ. ზაფხულში ნაწლავების ანთებით.

მიხეილის შვილი უნდა იყოს ჯიმშერ მიხეილის ძე ჩოლაყაშვილი, რომელიც 1887 წ. 9 მაისს „ივერიაში“ (№ 93) აცხადებს თავისი სიდედრის ვედუქსია მიხეილის ასულის, გენერალ-მაიორის სვიმონ იოსების ძე შალიკაშვილის ქვრივის, გარდაცვალებას.

**ჩოლაყაშვილი ქაიხოსრო გრიგოლის ძე (17..—1805).** სახლთუხუცეს გრიგოლ ჩოლაყაშვილისა და ქიზიყის მოურავის აბელის ასულის მარიამის მეორე ვაჟი. ახმეტის ჯვარპატიოსნის ეკლესიის დასავლეთი კარის თავზე მოთავსებულ 1756 წლის წარწერაში იხსენიებიან გრიგოლ და მისი სამი ძე: ვივი, ქაიხოსრო, აბელ (თ. ბარნაველი, კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები, 1961, გვ. 35, № 46). ქაიხოსრო დაიბადებოდა დაახლოებით 1750 წელს.

ერეკლე II-ის დროს კახეთის სახლთუხუცესია.

გიორგიევსკის ხელშეკრულების დანართს 1784 წ. 24 იანვარს ხელს აწერს დავით ორბელიანთან ერთად ქაიხოსრო ჩოლაყაშვილი (H—2073 ბ).

1791 წ. ქაიხოსრო ჩასულა მოსკოვს (აქ მას სხვათა შორის შეუძენია ვეფხისტყაოსანი, რომელზედაც გაუკეთებია წარწერა — ვინც ეს წაიკითხოთ, მოგონებულ მყავით. S—335). ქაიხოსრო მოსკოვს დარჩენილა



1795 წლამდე. 1799 წ. დეკემბერში გიორგი XII-მ მას კახეთის სახლთუხუცესობა მისცა. ამის შესახებ სიგელში ნათქვამია: „შენ აქამდე რუსეთში იყავ და ახლა, როცა დაბრუნდი, კახეთის სახლთუხუცესობა გიბოძეთო (შ. მესხია, მასალები... გვ. 8).

მოსკოვიდან ჩამოუტანია ქ. ჩოლაყაშვილს და ახმეტას თავის სასახლეში დაუდგია საბას ლექსიკონი (Q 953) და „სიტყვანი და სწავლანი სამეცნიერანი“ (S—2434).

1801 წ. ქაიხოსრო წინააღმდეგია დავით და ბაგრატ ბატონიშვილებისა. ამ წლის 2 იანვარს ბაგრატ ბატონიშვილი ატყობინებს ლაზარეცს: „სახლთუხუცესი ქაიხოსრო და გიორგი ჩოლოყაყეები ჩემს ბიძებთან წავიდნენ“ (აქტები, I, 315).

1804 წ. 29 იანვარს ქაიხოსრომ მიიღო კოლეჯსკი სოვეტნიკობა. (აქტები, II, 315).

ქაიხოსრო და მისი შვილები ჩათვლილ იქნენ მთიულეთის 1804 წ. აჯანყების მონაწილედ. 1804 წ. 4 ნოემბერს ციციანოვი ცხინვლიდან უთვლის ვოლკონსკის წამოიყვანოს კახეთიდან ყოფილი სახლთუხუცესი ქაიხოსრო თავისი შვილებით გრიგოლით და აბელით. წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში ძალაც იხმარონ მათზე (ფონდი 16, საქმე 9711, ფ. 7).

ქაიხოსრო ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე წამოჰყვა თელავის კაპიტან ისპრავნიკს სოლომკას, ასევე მისი ვაჟი აბელი. მეორე ვაჟი გრიგოლი კი ამ დროს სოფელში იყო წასული. თელავიდან 12 ვერსიკ არ ჰქონდათ გამოვლილი, რომ ქაიხოსროს ცხენი წაეჭკა, იგი დაშავდა იმდენად, რომ შტაბის ექიმმა ვორონჩენკომ შეუძლებლად სცნო მისთვის მგზავრობის გაგრძელება. ქაიხოსრო ს. ხოდაშენში დატოვეს, მისი ვაჟი აბელი კი დავითგარეჯის მონასტერში მიიყვანეს. იგი აქ ყარაულქევშ დააყენეს (იქვე, ფ. 10). ქაიხოსრო გამოჯანმრთელების შემდეგ თბილისს ჩამოიყვანეს 1804 წ. დეკემბერში და ასევე მკაცრი ყარაულობა დაუწესეს. ქაიხოსრო პატიმრობაში მოკვდა. „ქაიხოსრო მოკვდა ერთგულად ნამსახური ტუსალობასა შინა რუსთავან ტფილისს“ (მასალები. გვ. 117), „თავადი ქაიხოსრო ჩოლაყაყეი მოკვდა“ (ფონდი 16, საქმე 293, ფ. 32). ი. ქართველოვის ჩანაწერში 1805 წ. 7 ივნისის თარიღით ნათქვამია: „ჩოლოყაშვილი ქაიხოსროს საიმტყერიო მივიღე ერთი მანეთი“ (A 1196/1234, ფ. 7). ქაიხოსრო გარდაიცვლებოდა 7 ივნისის წინა დღეებში.

ქაიხოსრო გამოყვანილია „კალმასობაში“ (გვ. 246—247). მას ჰყავდა ხუთი შვილი:

1. გრიგოლ, გარდაიცვალა 1831 წელს<sup>36</sup>. 2. აბელ. 3. ქრისტეფორე ჯერ შუამთის ბერი, მერე არქიმანდრიტი. 4. ატატო-ანასტასია, სარდალთან იონანე ორბელიანის მეუღლე. 5 ანა, ცოლი ჯერ ისაია ახვერდოვისა, მერე გენერალ დიმიტრი ზაალის ძე ორბელიანისა.

ციმაკურიძე სიმონ. აზნაური. კახეთის 1812 წ. აჯანყების მონაწილე. გადაასახლეს ტობოლსკს 1813 წ. მაისიდან.

1818 წ. მანიფესტის გამოცემისას მისი გვარი არ იყო შეტანილი არც განთავისუფლებულთა და არც ციმბირს საცხოვრებლად დატოვებულთა სიაში. არ იყო შეტანილი იმიტომ, რომ მისი გვარი გამორჩა გუბერნიის მარშალ ბაგრატიონ-მუხრანსკის მთავარმართველისადმი წარდგენილ სიაში (ფონდი 2/8, საქმე 489, ფ. 85).

1819 წ. 18 იანვარს დამატებითი განკარგულების მიღების შემდეგ ირკუტსკის გენერალ გუბერნატორმა სიმონ ციმაკურიძე სხვა 9 ქართველთან ერთად თბილისისაკენ გამოამგზავრა (იქვე, ფ. 68).

ცისკარიშვილი დიმიტრი ივანეს ძე (1779—1841). იგივე ფოცხვეროვი დიმიტრი — დიმიტრი თუში. 1832 წ. შეთქმულების საგამომძიებლო კომისიას სოლომონ დოდაშვილმა 1832 წ. 16 დეკემბერს უჩვენა: „ერთხელ სტუმრად ვიყავი პეტერბურგიდან ჩამოსულ კაპიტან ჩოლაყაევთან. ცოტა ხნის შემდეგ მასთან მოვიდნენ ერთი მღვდელი, ბატონი ფოცხვეროვი და ერთი პრაპორშჩიკი. ჩაის ვსვამდით“.

ამავე შემთხვევის გამო ალ. ორბელიანმა უჩვენა: „ზაქარია ჩოლაყოვი ჩემი ახლო ნათესავი არის... მივედი. პატარა ხანს უკან დიმიტრი თუშს რომ ეძახიან, სიონის კანდელაკი და პრაპორშჩიკი იოსელიანი შემოვიდნენ“ (გზლ. 213).

ს. დოდაშვილის ჩვენების „ერთი მღვდელი“ ყოფილა ალ. ორბელიანის ჩვენებებს „სიონის კანდელაკი“. „ერთი პრაპორშჩიკი“ — „პრაპორშჩიკი იოსელიანი“, ხოლო „ბატონი ფოცხვეროვი“ — „დიმიტრი თუში“.

დიმიტრი თუში, ფოცხვეროვი, სინამდვილეში იყო გვარად ცისკარიშვილი. მწერალი დიმიტრი ცისკაროვი შედის იმ ამაღალში, რომელიც დარეჯან დედოფალს ახლდა რუსეთს გადასახლებისას (აქტები, II, 107).

დიმიტრი ცისკარიშვილს აქვს გუბერნსკი სეკრეტრის ჩინი. მის შესახებ რტიშჩევი სწერს შინაგან საქმეთა მინისტრს 1815 წ. 30 აპრილს: „რაც შეეხება გუბ. სეკრეტრის ცისკაროვის დაჯილდოვებას, რომელმაც თავი გამოიჩინა ერთგული სამსახურით კახეთის ამბოხების დროს, მისი ღვაწლის დასაფასებლად ვფიქრობ, რომ იგი უნდა დაჯილდოვდეს მე-4

<sup>36</sup> გრიგოლ ჩოლაყაშვილი, კაპიტანი, გარდაიცვალა თბილისს 1831 წ. აპრილში (გზლ. 246). წაასვენეს ახმეტაში; მის დასაფლავებაზე შეხვდა ფლადელფოს კივანძე გიორგი დავითის ძე ერთთავს და ფარული საზოგადოების არსებობა გაუჟღავნა (გზლ. 261).

ხარისხის ვლადიმერის ორდენით; რაც გამოდგება ნუგეშის საცემლად მისი მოხუცებული მამისათვის, რომელიც აგრეთვე გამოირჩეოდა თუშებში იმპერატორის ტახტისადმი ერთგულებით“ (ფონდი 2/8, საქმე 368, ფ. 73).

ნიკოლოზ ჩუბინოვი სწერს საქართველოს ეგზარქოს თეოფილაქტეს 1820 წ. 4 ივნისს: „მდივანი ცისკაროვი, რომელიც სამეგრელოს დედოფლის ამაღაშია, ცნობილია როგორც საუკეთესო კალიგრაფი და ქართულ დამწერლობას ხელოვნად დაუფლებული. ის ცოტა ხნის წინათ თბილისში იყო და სიამოვნებით დათანხმდა ჩემს წინადადებას გადაწეროს ათონის მთაზე დაცული ქართული ბიბლია“ (А. Цагарели, Сведения, вып. III, 24).

დიმიტრი ცისკაროვი პეტერბურგში ახლავს სამეგრელოს დედოფალს ნინო გიორგის ასულს (ფონდი 2/8, საქმე 533). 1827 წ. იონა ხელაშვილი წერილს მოსწერს დიმიტრი იოანის ცისკარიშვილს პეტერბურგიდან (H—2226, ფურც. 336). 1831—1832 წლებში ის თბილისში ჩანს.

ბროსეს ცნობით, „დიმიტრი ცისკაროვი, იოანეს ვაჟი, გუბერნიის სერკეტარი და ორდენებით დაჯილდოებული, გარდაიცვალა 62 წლსა 10 აგვისტოს 1841 წელს. იგი დიდხანს ახლდა პეტერბურგში დედოფალ ნინას“ (Voyage, I rapp, 82). რაჟი ის 1841 წელს 62 წლისა ყოფილა, მას დაბადებულია 1779 წ. დასაფლავებულია ზემო ალვანში — სამების ეკლესიაში.

ხელნაწერთა გადამწერლებს შორის ჩანან სხვა ფოცხვეროვებიც. დიაკონ იოსებ ფოცხვეროვს გადაუწერია 1823 წელს ეკატერინე II-ის ნაკაზი (H 460); ხოლო 1821 წელს ხელნაწერი H—796 და H—1292. 1821 წ. იოანე ფოცხვეროვმა გადაწერა „არითმეტიკა“ (კარიჭაშვილის კატალოგი, № 4950).

ციციშვილი გიორგი ვახტანგის ძე (17...—1806). სარდალი. მეტსახელად ხათა გოგია. გიორგი XIII-ის სიმამრი. მისი ქალი მარიამი მეფე გიორგის მეორე მეუღლე იყო.

გიორგი ციციშვილს ცოლად ჰყავდა ელენე გიორგის ასული გურამიშვილი (გარდაიცვალა 1817 წ.)<sup>37</sup>. მათ ჰყავდათ შვილები:

1. მარიამ დედოფალი. 2. ედიშერ (ედიშერის მეუღლეა გუშა გიორგის ას. ავალიშვილი. ამათი შვილები: გიორგი, კირილე). 3. თემურ—თეიმურაზ (თეიმურაზის მეუღლეა ქეთევან დავითის ასული ორბელიანი. ამათი შვილები: ნიკოლოზ, დიმიტრი, ანასტასია).

გიორგი ციციშვილს „ლალატობისათვისა ყურები დასხებილი ჰქონდა და ხელსახოცით ახვეული იყო ხოლმე“ (მუპლია. ს. კაკაბაძის „წე-

<sup>37</sup>დასაფლავებულია რუისის ეკლესიაში (ე. თაყაიშვილის არქ. მოგზაურობანი და შენიშვნები. წ. I. ტფ. 1907. გვ. 207 სქოლიო — ეპიტაფიის თარიღის გასწორება იხ. წინასიტყვიანის შერე, I გვერდზე).



რილები და მასალები“, გვ. 38). „ასოთა მიღებით დასჯა არა ნიშნადღიერთა ვადის ღირსების ახდას. ამის მრავალი მაგალითია საქართველოში. მაგ. გიორგი ციციშვილი ყურების მოჭრით იყო დასჯილი, მაგრამ შემდეგ მეფე გიორგის სარდალი იყო, მეფემ კი მისი ქალი ცოლადაც შეირთო. საქართველოში ქაღალდები არ არსებობდნენ, ამიტომ ქაღალდის მოვალეობას შეასრულებდა ის თავადი ან აზნაური, რომელსაც მეფე უბრძანებდა“ (გენ. მაიორის ს. ტუჩკოვის ბარათი 1805 წ. ბოლოს იმპერატორისადმი წარსადგენი).

1801 წ. გ. ციციშვილმა შეადგინა თავისი შემოსავლისა და სარჩოს ნუსხა (6700 მან.), რომელსაც ბოლოს მიაწერა: „ეს არის ჩემი შემოსავალი და ნება მათის დიდებულებისა არის. ამას ვევედრები მოხუცებულნი, რომ ჯამაგირი და ნიშანი მებოძოს და ხელმწიფის დღე ვითხოვო მოხუცებულმა სარდალმა გიორგიმ ციციანოვმა“ (ლენინგრადის ცნია, იმპერატორის აუცილებელი საბჭოს ფონდი 1801 წ. საქმე № 266, ფ. 86).

1800 წ., მარიამ დედოფალმა მამას უბოძა სიგლით სოფ. ახილო, მარიამისათვის ერეკლესაგან პირის სანახავად ბოძებული (საქ. სიძვ., III, 343). ეს სიგელი მარიამმა 1806 წ. გამოუგზავნა რუსეთიდან მამას, მაგრამ პ. ციციანოვის სიკვდილის გამო ის ვერ ჩაბარდა გიორგი ციციშვილს. ეს საბუთი გუდოვიჩმა, რაკი ამასობაში გ. ციციშვილი გარდაიცვალა, გადასცა მის შვილებს (Архив Гос. Совета, т. III, ч. II, с. 193). ე. ი. გიორგი ციციშვილი გარდაიცვალა 1806—1807 წლებში.

ციციშვილი გიორგი უთრუთის ძე. კახეთის 1812 წ. აჯანყების მონაწილე. გადაასახლეს ვორონეჟს 1813 წ. თებერვალში. ვორონეჟში ჩასვლამდე გ. ციციშვილი გზაში გარდაიცვალა (ფონდი 2/3, საქმე 272, ფ. 53). გიორგის მამა უთრუთი რტიშჩევს სთხოვს—ნუ ამიწერენ ჩემს კუთვნილ მამულს შვილის დანაშაულისათვისო. რტიშჩევი აღმასრულებელ კომისიას უბრძანებს—გამოიძიეთ და თუ მამული გაუყოფელია, კანონისამებრ დააკმაყოფილეთ უთრუთის (იქვე, გვ. 179).

ციციშვილი დავით ესტატეს ძე. დავით ფანასკერტელი-ციციშვილი. შვილიშვილი ერეკლე II-ის ასულის მარიამისა და დავით ციციშვილისა. ავტორი თხზულებისა „შემოკლებული მოთხრობა ქევეათა და ჩვეულებათათვის ქართულთა ერთა და ჟამითიჟამად ცულილებათათვის მათთა. შეთხზული თავადის დავით ფანასკერტელ-ციციანოვისაგან 1849-სა წელსა“ (S—1489).

ამ თხზულებაში დ. ციციშვილი სხვათაშორის ამბობს: „უკეთუ რომელიმე ქართული უბნობს ქართუელისა თანა, მაშინ შორის ათთა ქართულთა ლექსთა იტყვის ოთხთა რუსულად“ (9v).

თხზულების ტექსტი დაიბეჭდა „ივერიის“ 1891 წ. 13 ივნისის ნომ.



მერში (№ 122). დავითის მეუღლე იყო ქეთევან აბაშიძე, ამათ შვილები სამი შვილი: ესტატე, იოანე, მარიამი.

**ციციშვილი დავით ზაქარიას ძე** (დაიბ. 1781 წ. აღრე—გარდ. 1820 წ. შემდეგ).

ერეკლე მეორის მოღალატის ზაქარია ციციშვილის ვაჟი. როცა ზაქარია ახალციხეს გადავიარდა, ერეკლემ მის შვილებს ყმა-მამული ჩამოართვა. ამ მამულიდან ზაქარიას შვილებს შემდეგ მხოლოდ ერთი სოფელი დაუბრუნა — ქარელი (აქტები, I, 218).

ზაქარიას შვილთაგან დავითი საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ რუსეთის მომხრედ და ხელისშემწყობად ჩანს. 1809—1810 წლებში ის აირჩიეს გორის მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღვრად. ამ ხანებში ლევან ბატონიშვილი მთიელებს აჯანყებდა რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ. დავით ციციშვილი ეხმარებოდა რუსის ჯარს ლევან ბატონიშვილთან ბრძოლაში. ამ დახმარებისათვის მას მაიორის ჩინი მისცეს. 1810 წელს ლევან ბატონიშვილს ალექსანდრე ბატონიშვილმა გაუგზავნა ახალციხიდან სანდო კაცი დოლაძე. როცა დავით ციციშვილს აცნობეს დოლაძის ქართლში ჩასვლა, მან მაშინვე „ღვენა უყო დოლაძესა, შეიპყრა იგი და მიჰგვარა რუსთა გორსა“ (ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, გვ. 108).

მაიორი დავით ციციშვილი 1817 წ. ითხოვს დაუბრუნონ მას ის მამული, რომელიც ერეკლე II-მ მის მამას ზაქარიას ჩამოართვა.

დ. ციციშვილი ზაქარიას ხუთ შვილში 1781 წ. საბუთში რიგით მეორეა დასახელებული. ე. ი. ის ზაქარიას მეორე ვაჟი ყოფილა და რადგან 1781 წ. დაბადებულად ჩანან მისი მომდევნო სამი ძმა, უნდა ვიფიქროთ, რომ ის დაბადებული იქნებოდა 1777 წ. მაინც (ამ საბუთით ზაქარიას ჰყავს ძენი: იოანე, დავით, ედიშერ, ელიზბარ, სოლომონ. ს. კაკაბაძე, ისტ. საბუთები, V, 100). ამას ეწინააღმდეგება ფონდი 2/8, საქმე 480-ის ჩვენება ზაქარიას ახალციხეში გაქცევისას — 1789 წ. დავითი ექვსი წლისა იყო.

ე. თაყაიშვილის წერილში „პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ოცი ქართული საიდუმლო დამწერლობის ნიშანი“ მოტანილია ერთი ხელნაწერი წიგნის ფურცელზე დატანილი ჩანაწერები (გვ. 51). როგორც ჩანს, ეს ჩანაწერები დავით ციციშვილის საოჯახო ქრონიკაა. ამ ქრონიკით ვიგებთ, რომ მაიორ დავით ციციშვილს ჰყოლია 8 შვილი:

1. ზაქარია (დაიბადა 1803 წ. 8 სექტემბერს).
2. იერონიმე (დაიბადა 1806 წ. და იმავე დღეს გარდაიცვალა).
3. იესე (დაიბადა 1807 წ. გარდაიცვალა 1812 წ.).
4. იოანე (დაიბადა 1810 წ. გარდაიცვალა 1812 წ.).
5. გიორგი (დაიბადა და გარდაიცვალა 1813 წ.).
6. დარია (დაიბადა

1814 წ.) 7. სარდიონი (დაიბადა 1818 წ. ქარელში). 8. მიხეილი (დაიბადა 1820 წ. გორში).

დავით ციციშვილს რვა შვილიდან ოთხი ბავშვობაშივე გარდასცვლია. ამ ქრონიკით ვტყობილობთ: „1809 წელსა აგვისტოს 12 დღესა მკობრის თავადის დავით ციციანოვის პატრეთი (ე. ი. პორტრეტი) დაიბატა ტფილისს“

რადგან ამ სიით 1820 წელს დაბადებულა დავითის უმცროსი შვილა მიხეილი, დავითის გარდაცვალების წელი 1820 წ. შემდეგ არის საძებნი.

**ციციშვილი დავით (17..—1792).** ქალაქის მოურავი. ერეკლე II-ის სიძე. ცოლად ჰყავდა ერეკლე II-ისა და დარეჯან დედოფლის ქალი მარიამი (იხ.).

ქალაქის მოურაობა ებოძა 1784 წ. 25 თებერვალს (საქ. სიძვ. III, № 13). 1792 წ. 27 აპრილს იგი სწერს მიშკარბაშ იოსებს: „რა წამს თქვენი წიგნი მაშივიდა, მაშინვე ბატონს გავუგზავნე და მეც წიგნი ვაახელ და რაც თქვენ მოგეწერათ, ყველა მოვახსენეთ; თუ მე ჩემს ქეიფზე ვყოფილიყავ, თვითონ მე წამოვიდოდი... მაგრამ მე არ შემიძლია“ (საქ. სიძვ. III, 63). ვტყობა დავითი უქეიფოდ არის. იგი მალე, იმავე 1792 წ. გარდაიცვალა.

დავით ციციშვილსა და მარიამ ერეკლეს ასულს ჰყავდათ 7 შვილი (ალექსანდრე, ევსტათი, ნიკოლოზ, იოანე, დიმიტრი, ანასტასია, ნატალია).

**ციციშვილი დიმიტრი პავლეს ძე (1724 წ. შემდეგ —1777).** მთავარმართებლის პავლე ციციანოვის მამა. დიმიტრი ციციშვილის მამა პაპუნა (სხვა წყაროთი პაატა) ზაზას ძე რუსულად იწოდებოდა პავლე ზაქარიას ძედ. იგი 1724 წ. გადაჰყვა ვახტანგ VI-ს რუსეთს, რუსეთში იწყო მან სამსახური და რუსეთშივე გარდაიცვალა 1740 წელს. რუსეთშივე დაებადა მას შვილი დიმიტრი, რომელსაც ანტონ კათალიკოსი ასე ახასიათებს:

„ამან ჰქმნა წიგნი გეომეტრია რუსთაებრ,

ესე ენათა ლათინ, ფრანცის, გერმანთა,

ხოლო რუსთაცა და ქართველთა მეცნიერ“

(ანტონ კათალიკოსი, წყობილსიტყვაობა, თბ., 1853. გვ. 293).

დიმიტრი პავლეს ძე ციციანოვი განათლებული კაცი ყოფილა. 15 წლისამ ფრანგულიდან თარგმნა ქ. ვიტენბერგში დაბეჭდილი არითმეტიკა, „რომელსა რომაელნი სახელსდებენ „ტევეტონიკად“ (H — 2115). ეს თარგმანი მან მეფე ბაქარს მიართვა.

დიმიტრი იყო მოსკოვში ათანასე თბილელის დაარსებული ქართული სტამბის ზედამხედველი. იქ 1762—1768 წლებში დასტამბულ 9 წიგნიდან 5 მისი მონაწილეობით არის დაბეჭდილი. ამათგან ერთი „სამო-



ციქულო“ (1765 წ) არის „შემოწმებული რუსულსა ეკლესიათა ხმარებულსა სამოციქულოსა თანა, შეწვენითა სხვათა ენათაცა, კნიაზ დიმიტრი ციციანოვისაგან“ („ქართული წიგნი“ 1941. გვ. 56).

დიმიტრი იყო პირველი ავტორი გეოდეზიისა რუსეთში. მან 1757 წ. გამოსცა პეტერბურგში «Изъяснение (краткое математическое) межево-го землемерия; соч. князем Дмитрием Цициановым; с фигурами». СПб. 1757.

ცოლი დიმიტრი ციციშვილისა ელისაბედ მიხეილის ასული გარდაიცვალა 1774 წ. თვით დიმიტრი გარდაიცვალა მოსკოვს 1777 წ. და დასაფლავებულია ვსესვიატსკოეს ეკლესიაში (B. Brosset, Inscriptions, 23 № 69). დიმიტრი და ელისაბედ ციციშვილებს ჰყავდათ 7 შვილი:

1. გიორგი, პოლკოვნიკი; გარდაიცვალა 1792 წ.
2. პავლე, საქართველოს მთავარმართებელი, მოკლეს 1806 წ.
3. პეტრე, სტატსკი სოვეტნიკი; გარდაიცვალა 1826 წ.
4. დიმიტრი, პოლკოვნიკი; გარდაიცვალა 1822 წ.
5. იოანე, ბრიგადირი; გარდაიცვალა 1820 წ. (დარჩა შვილები: დიმიტრი, პავლე).
9. მიხეილი, ტაინი სოვეტნიკი, სენატორი; გარდაიცვალა 1841 წ.
7. მარიამი, პოეტ დიმიტრი ბაგრატიონის ცოლი; გარდაიცვალა 1808 წ.

ციციშვილი ზაქარია ივანეს ძე. ზემო ციციშვილი. დარეჯან დედოფლის სახლთუხუცესი. მეუღლედ ჰყავს ქსნის ერისთავის ასული მაკრინა, რომელთანაც შესძენია ხუთი ვაჟი: იოანე, დავით, ედიშერ, ელიზბარ და სოლომონ (ისტ. საბ. V. 100. 1781 წ. 10 XII-ის საბუთი).

სახლთუხუცესი ზაქარია ციციშვილი იხსენიება 1776 წ. 24 მაისის საბუთში. ბუტკოვის ცნობით იგი სპარსეთშია 1786 წ. ზაფხულიდან. გარსევან ჰავჭავაძე 1786 წ. 12 სექტემბერს მოახსენებს გრიგ. პოტიომკინს: „კნიაზ ზახარ ივანიჩი ციციანოვი ღოფმარშალი, რომელიც რომ წასული იყო საქართველოდამ სპარსეთში თავის ნათესავების სანახავად, იმ ვამად ეს კნიაზ ციციანოვი სარდალს ალა მაჰმად ხანს მის სიმაღლე მეფესთან გამოუსტუმრებია.. და ამის პირობას აძლევს მეფეს რომ აღრიბეჯანიოვან რომელიც რომ საქართველოს მხარე ალაგი იყოს, მიერთვით. რუსებსა და ჩემს შუა საქმის დამწყობი მისი სიმაღლე (—ერეკლე II) ბჰანდებოდეს“ (ი. ცინცაძე, 1783 წ. მფარველობითი ტრაქტატ. გვ. 253).

1789 წ. ზაქარია ციციშვილი, ერისთვიანთ სიძე, და მიხეილ, მირმანოზ და ელიზბარ ერისთავები ახალციხიდან ლეკის ჯარს გადმოუძღვნენ. დაეცნენ ხელთუბანს, ყარაღაჯს. დავით ბატონიშვილის სიტყვით, ერისთვიანთ „ენებათ მეფობა“ ზაქარია ციციშვილისა (მასალები...გვ. 36—37).

1790 წ. ერეკლემ ზაქარია ციციშვილს როგორც მოღალატეს მული ჩამოართვა. ჩამორთმეული ყმა-მამულნიდან ერთი ყმა გასიტაშვილი რუისის ეკლესიას შესწირა (Д. Пурцеладзе. Церковные гуджары, გვ. 45), ზაქარია სპარსეთს გადაეარდა და სამუდამოდ დარჩა იქ.

**ციციშვილი ზაქარია (დავითის ძე) (1805—?)** 1832 წ. შეთქმულების საგამომძიებლო კომისიას უჩვენა, რომ ის 27 წლისაა. ე. ი. დაბადებულა 1805 წ.

პრაპორშჩიკი. ცოლად ჰყავს იოანე ამილახვრის ქალი თინათინი<sup>38</sup>. 1832 წ. შეთქმულებაში მონაწილეობისათვის დაპატიმრებისას ჰყავს ორი შვილი— ვაჟი იესე და ქალი დარია, დედა და ორი მცირეწლოვანი ძმა (რგ. VII, 1189).

პუბლია ორბელიანის ჩვენებით, როცა შეთქმულებმა თითოეულ თავადს შეაწერეს გარკვეული რაოდენობით ხალხის გამოყვანა, ზაქარია ციციშვილს უთქვამს: „ჯერ თქვენ ქალაქებმა მოახდინეთ ბუნტიო და მას უკან ჩვენ ჯარით მოვალთო ქართლიდან“. ზ. ციციშვილმა პუბლიას ეს ჩვენება უარპყო (გზლ. 464).

ზ. ციციშვილი კომისიამ VII კატეგორიის დამნაშავედ სცნო (ამ კატეგორიაში შევიდნენ ის პირნი, ვინც იცოდა შეთქმულების არსებობა, მაგრამ წინააღმდეგი იყო მასში მონაწილეობის მიღებისა). საგამომძიებლო კომისიის მოხსენების თანახმად ზაქარია გაათავისუფლეს 1833 წ. 31 აგვისტოს (ფონდი OBD, საქმე 163, ფ. 527).

**ციციშვილი მიხეილ (18...—1895).** საკმაოდ შეძლებული თავადო სოფ. ხვედურეთიდან. იყო სამხედრო პირი. 1860 წლიდან მსახურობდა ნუხაში მაზრის უფროსად. შემდეგ სამსახურს თავი გაანება, დასახლდა თავის მამულში, ს. ხვედურეთში. გარდაიცვალა 1895 წ.

ამას ჰყავდა სამი ვაჟი და რამდენიმე ქალი. ერთერთი მისი ქალი — მარიამი 1877 წ. მისთხოვდა სხვიტორში დავით როსტომის ძე წერეთელს, აკაკის უფროს ძმას. მიხეილის ვაჟმა ლევანმა ცოლად შეირთო თადეოზ გურამიშვილის ქალი ცაცო, იგივე ხორეშან, რომელიც თადეოზს შეეძინა მეორე ცოლისაგან — მარიამ დავითის ასულ დიასამიძისაგან. ე. ი. ეს ცაცო არის ილია ქავჭავაძის მეუღლე ოლღას ნახევარდა; ხოლო ლევან ციციშვილი — ილიასა და დიმიტრი სტაროსელსკის ქვისლი.

თადეოზ გურამიშვილის ქონების სამი მეზუთედი ლევან ციციშვილსა და მის მეუღლეს ცაცოს ეკუთვნოდა. ლ. ციციშვილი შეძლებულად ცხოვრობდა. მამულები ჰქონდა არაშენდას, ხვედურეთში; სახლები —

<sup>38</sup> ეს უნდა იყოს ის თინათინ ციციშვილი, რომელიც 1844 წ. იენისში ზელს აწერს ჟურნალ „სინათლის“ გამოცხადებას 24-ე ნომრად.

თბილისსა და ავჭალაში. ლევან ციციშვილის მეუღლე ხორეშან (გ. 1806) ე. ვაბაშვილის მოგონებით, არ იყო სრული გონებისა (ლიტერატურული მატრიანე, წ. 1—2. გვ. 107—112); (იხ. ციციშვილის შვილიშვილის ვასილ წერეთლის „წერილი რედაქციას“, „ლიტერატურული გაზეთი“, 1962. № 6).

კ. გრიგოლია „ახალი ქართლის ცხოვრებაში“ ახსენებს ვასილ დავითის ძე წერეთელს (მიხეილის შვილიშვილს) და მის ნაამბობს სხვიტორულ „ქართლის ცხოვრებაზე“ (გვ. 147). „ქართლის ცხოვრების“ ამ ნუსხის შინაწერებში კ. გრიგოლიას შეხედრია სავარსამიძეები (ე. ი. სავარსამიძეები). სხვიტორული „ქართლის ცხოვრება“ წარმოშობით გურამიანთია, ხოლო სავარსამიძეები მის შინაწერებში იხსენიებიან იმიტომ, რომ თადეოზ გურამიშვილის ერთი და სიღონია ცოლად ჰყავდა ლეონტი სავარსამიძეს.

ციციშვილი პავლე დიმიტრის ძე (1754—1806). მთავარმართებელი პავლე დიმიტრის ძე ციციანოვი. პაპა ამისი პაპუნა ზახას ძე ციციშვილი (იხ.) რუსეთში გადაჰყვა ვახტანგ მეექვსეს, აქ მას შეეძინა შვილი დიმიტრი (იხ.) — პავლე ციციანოვის მამა.

პავლე ციციანოვი დაიბადა მოსკოვში 1754 წელს. სამსახური დაიწყო პრეობრაჟენსკის პოლკში; მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის ომში 1786 წელს, სადაც თავი გამოიჩინა და მალე გენერალ-მაიორის ჩინი მისცეს. მისი პოლკი ჩააყენეს დასავლეთ გუბერნიებში—ქ. გროდნოში. აქ მან დასაწყისშივე ჩააბზო აჯანყება, რომელიც ვარშავის შემდეგ სხვა ქალაქებშიც ვრცელდებოდა. მონაწილეობს ზუბოვის ხელმძღვანელობით ჩატარებულ სპარსეთის ლაშქრობაში. ერთი პირობა იყო ბაქოს კომენდანტი. პავლე I-ის მეფობაში სამსახურიდან იყო გადამდგარი. ალექსანდრე I-მა მას გენერალ-ლეიტენანტის ჩინი მისცა და 1802 წ. 11 სექტემბერს დანიშნა საქართველოს მთავარსარდლად.

1803 წ. მან დაიწყო ბრძოლა ვანჯის ხანის—ჯავად ხანის წინააღმდეგ. 1804 წ. 2 იანვარს ვანჯა აღებულ იქნა და სახანო რუსეთისათვის შემოერთებული. იმპერატორმა მას ამისათვის ინფანტერიის გენერლობა მისცა. ციციანოვის წინადადებით კი ვანჯას ალექსანდრე I-ის მეუღლას პატივსაცემად ელისავეტროლი დაერქვა.

1806 წ. 30 იანვარს რუსის ჯარი ციციანოვის ხელმძღვანელობით ბაქოს სახანოს საზღვრებშია. 8 თებერვალს ბაქო დეცა. ციციანოვი მცირე რაზმით გაემართა ქალაქისაკენ, რათა ბაქოს ხანის ჰუსეინ ყული ხანისაგან ბაქოს გასაღები მიეღო. სანამ ციციანოვი ქალაქს მიუახლოვდებოდა, მას ესროლეს და იგი იქვე დაეცა მკვდარი. ჰუსეინ ყული ხანის მხლებლებმა ციციანოვის გვამი აკურწეს—მოჭრილი თავი და მარჯვენა ხელი ვაგზავნეს არდებილში, იქიდან კი შაჰს გაუგზავნეს თეირანს.

სხეული მისი კი ბაქოს ციხის კარებთან დამარხეს. როცა 1806 წ. 2-ე ნისს რუსის ჯარმა ბულგაკოვის მეთაურობით ბაქო აიღო, მათ ნოვის გვამი ბაქოს სომხურ ეკლესიაში გადასვენეს. 1812 წ. მარკიზმა პაულუჩიმ ციციანოვის ნეშტი ბაქოდან ჩამოასვენა და თბილისის სიონში დამარხა.

ხელნაწერთა ინსტიტუტის S ფონდში 1446 ნომრად დაცულია პ. დ. ციციანოვის ბიოგრაფია, დაწერილი 34 ფურცელზე, რომელთაც ჰვირნიშნად 1844 წ. უზის. ბიოგრაფიას ბოლოში დართული აქვს ლექსი მიძღვნილი პ. დ. ციციანოვისადმი. ლექსში ციციანოვი შემკულია „სახელსატროფო, მამაცო, მხნეო, სიბრძნისა ზღვაო“ და სხვა ეპიტეტებით. როგორც ამ ლექსიდან ჩანს, ბიოგრაფია ქართულად უთარგმნია ციციანოვის შესახები ნაშრომების წაკითხვით ციციანოვის საქებრად აღძრულ ჩვენთვის უცნობ ქართველს (ბიოგრაფია უთარგმნია ვორონცოვის ხანაში).

**ციციშვილი ფარსადან თეიმურაზის ძე (1786—1845).** მდივანბეგ თეიმურაზ ციციშვილისა და სახლთუხუცეს ჩოლოყაშვილის ასულის ანას უფროსი შვილი. დაიბადა 1786 წ.

ხელნაწერთა ინსტიტუტის Hd ფონდში 6377 ნომრად დაცულია 1801 წ. 26 ნომბრის ნასყიდობის წიგნი, მიცემული მდივანბეგ თეიმურაზის შვილების ფარსადანისა და დავითისაგან გიორგი ვახტანგის ძე ციციშვილისა და მისი შვილებისადმი. ამ საბუთს მიწერილი აქვს ფარსადანის დედის ანას მოწმობა: „ქ. მე ამათს დედას ჩოლოყაშვილის სახლთუხუცესის ასულს ანას ამ სიგელის ყაბული მაქვს ჩემის შვილებით. ამათ ბეჭედი არ ჰქონდათ და ეს ჩემი ხელი არის. არც წიგნი იცოდნენ და ეს ჩემი ხელი არის“. საინტერესოა, რომ 15 წლის ფარსადანმა ჯერ წერა-კითხვა არ იცის საკმარისად (პლ. იოსელიანის მიერ დაწერილ ფარსადანის ნეკროლოგში ნათქვამია, რომ ფარსადან გარდაიცვალა 1845 წ. 50 წლისა. ე. ი. ის დაბადებულა 1786 წ.). ცოტა ხნის შემდეგ კი ფარსადანი ქართულ-რუსულად განსწავლული გვევლინება.

მამა ფარსადანისა თეიმურაზი ელჩად იყო წარგზავნილი ჯერ ეკატერინე II-სთან, შემდეგ ორჯერ თურქეთის სულთანთან. 1782—1795 წლებში ის განჯის სახანოს განაგებდა. ზემომოყვანილ 1801 წ. საბუთში ის უკვე ცოცხალი აღარაა, მის მაგიერ მისი შვილები იძლევიან ნასყიდობის წიგნს.

ფარსადანმა სამსახური დაიწყო 1808 წ. საქართველოს ეგზარქოსმა თეოფილაქტემ დაავალა მას რუსის, ურბნისის, ნიჟნისა და სამთავროს ყოფილ საეპისკოპოსოებში აღენუსხა საეკლესიო შემოსავალი. ამავე დროს თეოფილაქტემ მას თარჯიმნის მოვალეობაც დააკისრა საეკლესიო

გლეხების შემმოწმებელ კომისიაში (ეს კომისია იკვლევდა საეკლესიო გლეხებს ალავერდის, ნინოწმინდის, ნეკრესის, ხარქაშოს საეპისკოპოსოებში). ასეთსავე სამუშაოს ასრულებდა ის იმერეთის საეპისკოპოსოებში. პარალელურად ის ინიშნება ოსეთის კომისიის კაზაკების გუნდის უფროსად (ფონდი 488, საქმე 2, ფ. 2—6).

1820-იანი წლების მეორე ნახევარში ის პეტერბურგშია. ახლო ნაცნობობა ჰქონდა იონა ხელაშვილსა და სოლომონ დოდაშვილთან. 1827 წ. სოლომონი იონას პირით მოკითხვას უთვლის ფარსადანს თბილისიდან პეტერბურგში (ს. დოდაშვილის წერილები, გვ. 80—90, 177, 160, 167).

ფარსადანი ერთხანს კათალიკოს ანტონ II-სთანაც მსახურობს. კათალიკოსის სიკვდილის შემდეგ 1828 წ. ყველა იმ პირს, ვინც კათალიკოსთან მსახურობდა, სამუდამო პენსია დაენიშნა. მათ შორის ფ. ციციშვილს 500 მან. წელიწადში.

თბილისის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში შესულია თბილისის სასულიერო სემინარიის ბიბლიოთეკა. ამ ბიბლიოთეკაში ყოფილა 6 ტომი «Словарь Академии Российской», რომელიც 1789—1794 წლებში გამოდიოდა. ლექსიკონის ყოველ ტომს აწერია, რომ ეს წიგნი ფარსადანის საკუთრებაა: „ფარსადან ციციშვილისა“ ან «Сия книга принадлежит князю Парсадану Цицианову». ამავე დროს ამ წიგნზე გაკეთებულია სხვა წარწერებიც: «Подарена от г-на Мальгина». «Из книг Тимофея Мальгина». როგორც ჩანს, მალგინი, რომელსაც ეს წიგნები ფარსადანისათვის უჩუქებია, ახლო ნაცნობი ყოფილა ციციშვილისა. ტიმოთე სერვის ძე მალგინი (1752—1819), აკადემიის წევრი 1791 წლიდან, აკადემიას აწვდიდა ცნობებს ძველი სიტყვების მნიშვნელობებისა და სისამართლოს წარმოებაში ხმარებული ძველი გამოთქმების შესახებ. რაკი მალგინი 1819 წ. გარდაიცვალა, ფარსადანის მასთან მეგობრობა 1815—1819 წლებშია საგულჯი (მანამდე ფარსადანი საქართველოში იყო).

1810 წ. ფარსადანს ეგზარქოსი ავალებს საეკლესიო ქონების გამოკვლევას იმერეთში. მის ამ საქმიანობის შესახებ მაიორი ტიტოვი მოახსენებდა ველიამინოვს (1820 წ. 18 თებერვალს): „ფარსადან ციციანოვი იმერეთში რომ მოგზაურობს მასზე დაკისრებულ დავალებათა შესასრულებლად, ძალიან დიდ სიმკაცრეს იჩენს და ხშირად ლანძღავს კიდევ ხალხს, რითაც ამ ხალხში დიდ უკმაყოფილებას თესავს“ (აქტები, VI—1, 581).

1833 წ. ფ. ციციშვილი დაინიშნა დეპუტატად კომიტეტში, რომელსაც ამიერკავკასიის მხარის მიწების გამიჯვნის წესების შემუშავება ჰქონდა დაკისრებული. 1837 წ. აირჩიეს საქართველო-იმერეთის სათავადაზნაურო საკრებულოს დეპუტატად. 1843 წ. სამხედრო მინისტრის ჩერნიშოვის წარდგინებით ვლადიმერის IV ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა. 1842 წ. იმპერატორმა დაამტკიცა საქართველო-იმერეთის სამო-





ქალაქო გუბერნატორის წარდგინება გორის თავადაზნაურობის დეპუტატის ფარსადან ციციშვილისათვის დამატებით 500 მან. პენსიის ღირებულების შესახებ (ფონდი 16, საქმე 7236, ფ. 1).

ფ. ციციშვილი ცნობილია როგორც მაშენებელი ქალაქის ცალკეული უბნებისა. მან გააჭრევინა გზა რიყიდან ავლაბრისაკენ კლდიან ფერდობზე. გზის გაჭრა დამთავრდა 1845 წ. დასაწყისში. ამ გზას „ციციანოვის აღმართს“ უწოდებდნენ.

1824 წ. ფარსადანმა მტკვრის პირას დავით ციციშვილისა და მუხრან ბატონის სახლებს შორის ეკლესიის მიწაზე სინოდალური კანტორის ნებართვით ააშენა ორსართულიანი სახლი (ფონდი 16, საქმე 6441). შემდეგში მას მოსთხოვეს დაეგრია ამ სახლის ორი კიბე, ფიცრული ფანჩატური და საწყობი, რადგან მიწა ეკლესიას დასჭირდა. ფარსადანის ეს ნაგებობანი აიღეს მისი სიკვდილის შემდეგ 1845 წ. აგვისტოში (იქვე, გვ. 20).

ლეთისმშობლის სახ. ეკლესია, აშენებული თბილისში ვახტანგ V-ის ქალის ელენეს მიერ, 1795 წ. ალა მაჰმად ხანის შემოსევების შედეგად დაინგრა და იგი დიდხანს გაუქმებული იყო. ფ. ციციშვილმა ეს ეკლესია განაახლა (Пл. Иоселиани, Древние памятники Тифлиса, СПб., 1844, 28) „1835 წ. ფარსადან ციციანოვმა დააქერა კედლები: საყდარი ესე დაჰყვა სახლსა შინა მისსა“ (S—3034).

ი. მუხარგაის ჩაწერილი აქვს ფარსადანის მოსწრებული გამოთქმა. როცა საქართველო მარტებად დაჰყვეს, პეტერბურგელ რევოზორს უკითხია ფარსადანისათვის, როგორ მოგწონთ ეს преобразование-ო, ფარსადანს უპასუხნია: сначала нужно образование, а потом преобразование („მნათობი“, 1949, № 8, გვ. 173).

ფარსადანი გარდაიცვალა 1845 წ. ივნისში. პლ. იოსელიანმა გამოაქვეყნა ნეკროლოგი „ზაკავკაზსკი ვესტნიკის“ 1845 წ. მე-12 ნომერში (გვ. 108—109).

ფარსადანი უშვილოდ გარდაიცვალა. იგი იყო ბიძაშვილისშვილი პავლე ციციანოვისა. ხელნაწერ S—1446-ში, რომელიც პ. ციციანოვის ბიოგრაფიას წარმოადგენს, მოცემულია ციციშვილების გენეალოგიური სქემა (შედგენილი დავით ესტატეს ძე ციციშვილის მიერ 1849 წ.), რომლიდანაც ვიგებთ, რომ პავლე ციციანოვის პაპა — პაპუნა და ფარსადანის პაპა — ქაიხოსრო ძმები ყოფილან.

ძულიაშვილი იოსებ (17...—1821). ზემოხოდაშენელი მღვდელი. კახეთის 1812 წ. აჯანყების მონაწილე. გადაასახლეს ტობოლსკს. 1818 წ. მანიფესტი ციმბირს გადასახლებულთა განთავისუფლების შესახებ იოსებ ძულიაშვილს, როგორც მღვდელს, არ შეეხო. იგი დატოვებულია სამუდამო გადასახლებაში ციმბირს. გარდაიცვალა 1821 წ. 15 სექტემბერს.

წერეთელი გრიგოლ ზურაბის ძე (1787—1843). იმერეთის სახლ-  
უხუცესის ზურაბ ქაიხოსროს ძე წერეთლის (გარდაიცვალა 1823 წ.)  
თამარ დადიანის ასულის (გარდაიცვალა 1823 წ.) უფროსი შვილი. ზუ-  
რაბ წერეთელს გრიგოლს გარდა ექვსი შვილი ჰყავდა: სეიმონ, დავით  
(მიტროპოლიტი), მარტა (ლევან დადიანის მეუღლე), მაკრინა (დავით  
თარხან-მოურავის მეუღლე), ქეთევან (გიორგი XIII-ის შვილის იოანე  
ბატონიშვილის მეუღლე) და პუპი (დიმიტრი შერვაშიძის მეუღლე).

გრიგოლი გაზრდილი იყო ზაქარია არქიმანდრიტისა და ანტონ კა-  
თალიკოსისა. ამათი მოგროვილი ძველი ხელნაწერები და ქართული წიგ-  
ნები გრიგოლმა შეიძინა, ზოგი კი თავისი ორი დი—ქეთევანისა და მარ-  
ტას—და მამიდის სიმონ გურიელის მეუღლე მარინა ქაიხოსროს ასულის  
შემწევობით ხელში ჩაიგდო. როდესაც ივანე აბაშიძე ახალციხეს გადა-  
ვარდა, გრიგოლმა დაინარჩუნა მისი ნაქონი წიგნებიც. ამავე დროს თვი-  
თონაც უყვარდა ხელნაწერების გადაწერა. ამრიგად შეიქმნა მან მდიდარ  
ბიბლიოთეკა (ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში შესულია გრი-  
გოლის ნაქონი მრავალი ხელნაწერი, რომელთაგან ბევრი გრიგოლის  
დაკვეთით არის ნათარგმნი და გადაწერილი).

1821 წ. გრიგოლს პოდპოლკოვნიკობა მისცეს, 1838 წ.— პოლკოვ-  
ნიკობა (S—368. მინაწერი 4, 10). ქუთაისის მუზეუმში დაცული № 291—  
ხელნაწერის მინაწერი გვაძნობს: „1843 წელს მიიღვალა ახალქალაქს  
პოლკოვნიკ-კავალერი გრიგოლ წერეთელი დეკემბრის 20-ს“.

გრ. წერეთელს ჰყავდა სამი ვაჟი: 1. ალექსანდრე, რომელსაც ცოლად  
ჰყავდა ეკატერინე ერისთავი—ივანე ფილოსოფოსის ასული. გარდაიცვა-  
ლა 1872 წ. დასაფლავებულია იკორთაში—ცოლის მამულში. 2. დიმიტ-  
რი; ამისი ვაჟი იყო ნესტორი, შემდეგში გენერალი. 3. სამსონი, „იმეა  
1812 წ. 10 დეკემბერს“ (ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერი № 197). დაიჭ-  
რა ოსმალეთთან ბრძოლაში ქობულეთთან 1829 წ. აპრილში და ქრილო-  
ბისაგან გარდაიცვალა (იქვე, ხელნაწერი № 65).

გრიგოლის სიკვდილის შემდეგ მისი ბიბლიოთეკა მემკვიდრეობით  
დარჩა მის უფროს ვაჟს ალექსანდრეს. ალექსანდრეს გარდაცვალების  
შემდეგ მთელი მისი ქონების (მათ შორის წიგნების) მემკვიდრე შეიქნა  
მისი ძმისწული გენერალი ნესტორ წერეთელი. ნესტორ წერეთელმა  
„ცეცხლი წაუკიდა თურმე მთელს ზანდუკს წერილებისას. ამან მიიღო ეს  
წერილები სხვა მემკვიდრეობასთან ერთად“ („მოამბე“, 1896. № 4, გვ.  
86). ზოგი ხელნაწერი დაწვას გადაარჩინა ბესარიონ ლოლობერიძემ და  
1884 წ. დიმიტრი ბაქრაძეს გადასცა წ. კ. საზოგადოებაში დასაცავად.  
იმ დროს ქართულ პრესაში იბეჭდებოდა წერილები, რომლებშიაც  
გამოხატული იყო შემფოთება გრ. წერეთლის მემკვიდრეებთან დაცულ  
ქართული ხელნაწერების ბედით.

აკაკი წერეთელმა „დროების“ 1871 წ. 17 ივლისის ნომერში (№ 28) გამოაქვეყნა წერილი „უფალო რედაქტორო! (გრიგოლ წერეთლის შეგუბილი ვილი მდიდარი ბიბლიოთეკა და მისი შვილის ალექსანდრეს უპასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე)“. ამ წერილში აკ. წერეთელი, სხვათა შორის, წერდა — ბევრი ძველი ქართული წიგნი ალექსანდრესა აქვს და არავის ასარგებლებსო. 1873 წ. 25 მაისს „დროებაში“ დაიბეჭდა წერილი „ჩვენ შევიტყუეთ (განსვ. ალ. წერეთლის ქართული ხელნაწერების ბიბლიოთეკის ბედი)“, სადაც ნათქვამი იყო, რომ გარდაცვილ ალ. წერეთლის ქართული წიგნების ბიბლიოთეკის მემკვიდრე ნესტორ წერეთელი ითხოვს კატალოგი შეუდგინონ ამ ბიბლიოთეკას.

„დროების“ 1879 წ. 21 თებერვლის ნომერში დაიბეჭდა კოტოჩის „წერილი რედაქტორთან“, რომელშიაც ლაპარაკია ძველი ქართული ხელნაწერების, მათ შორის „ვეფხისტყაოსნის“ არსებობის შესახებ ალექსანდრე წერეთლის მემკვიდრეებთან. იმავე 22 ივლისს „დროებაში“ ი. ჭყონია წერილით „უფალო რედაქტორო!“ აცნობდა მკითხველებს ალ. წერეთლის ბიბლიოთეკის საზოგადოებისათვის გადაცემის აუცილებლობას. 1880 წ. 21 დეკემბერს არქიმანდრიტი ამბროსი აქვეყნებს წერილს ალ. წერეთლის ოჯახში დაცული „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერის შესახებ.

1884 წ. გრ. წერეთლის ბიბლიოთეკის ნაწილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გადაეცა.

წინამძღვრიშვილი იოსებ ზენობის ძე (17...—1821). დეკანოზი. „იყოდა ქართული, რუსული, თათრული, სომხური ენები. გავზავნილ იყო ს. ვართაშენში უღინების მისიონერად“ (აქტები, VI—I, 381).

1802 წ. გამოიცა სინოდის დადგენილება იოსებ წინამძღვაროვის საქართველოს სამთო ექსპედიციის მე-17 პოლკის დეკანოზად დანიშვნის შესახებ (Материалы по истории горной промышленности, I, 1936. 120).

1820 წ. შედგა სია საქართველოს სამთო ექსპედიციის უწყების იმ ხელოსანთა და ჩინოვნიკთა, რომელნიც ქარხნების მუშაობის შეწყვეტასთან დაკავშირებით აღარ არიან საჭირონი. ამ სიაში შეტანილია „სამთო ეკლესიის დეკანოზი იოსებ წინამძღვაროვი“, რომელსაც წელიწადში ჯამაგირი ჰქონია 300 მანეთი (იქვე, გვ. 525).

1821 წ. მაისში კარნისკი ატყობინებს სამთო ექსპედიციის უფროსს ეიხფელდს, რომ დეკანოზი წინამძღვაროვი გაარდაიცვლა (იქვე, გვ. 551).

იოსების ძმაა გაბრიელ ზენობის ძე წინამძღვრიშვილი, რომელიც გარდაიცვალა 1812 წ. 15 დეკემბერს და დასაფლავებულია პეტერბურგის სმოლენსკის სასაფლაოზე (Brosset, Inscriptions, № 112, გვ. 53).



წინამძღვრიშვილი პარმენ დომენტის ძე (1784—1846). დეკანოზი. უფროსი ძმა დეკანოზ პანტელეიმონისა<sup>39</sup>. პარმენი ძმაზე 20 წლით უფროსი იყო. დაიბადა 1784 წ. მარიაშ დედოფალმა 1813 წელს დაიბარა მოსკოვს. იქვე შერთო ცოლი და 1815 წ. მღვდლად აკურთხებინა. 1816 წ 11 მარტს თავის მოძღვრად დაადგინა. 1818 წ. 27 ივლისს პარმენს გარდაეცვალა მეუღლე მაკრინა, რომელმაც მის მეუღლეობაში მხოლოდ სამი წელი გაატარა და ამ დროს მხოლოდ 15 წლისა იყო (დასაფლავებულია მოსკოვის პოკროვის მონასტრის სასაფლაოზე). პარმენმა 1826 წ. მიიღო ჭვარი. მოღვაწეობდა მოსკოვის ქართულ სტამბაში. წერდა ლექსებს.

გარდაეცვალა 1846 წ დასაფლავებულია მოსკოვის პოკროვის მონასტერში (Московский Некрополь, т. III, 297). მისი სიკვდილის წელსვე მისმა სიდედრმა გამოუგზავნა პარმენის ძმას პანტელეიმონს სიყვრებით პარმენის ნაქონი წიგნები და ხელნაწერები. მათ შორის იყო გალექსილი, 12 თვის სენაქსარი და ყდაში ჩასმული ლექსების კრებული. გზაში ავაზაკებს ეს სიყვრები გაუძარცვათ და პარმენის ლექსები დაკარგულა („საქართველოს სასულიერო მახარებელი“ 1866 წ. ოქტომბერი. გვ. 106—107). შემორჩენილია პარმენის ლექსი ღომზე.

„მე შინაზავს საჭმელი რამე, სხვა საჭმელთან არ სადარი, მეცა შინა თვალისასა მოსახარშ-მოსამზადარი, მევესეულადვე მოეგების, ვინ არის იმითი მაძლარი, მენავეთა კეთილ-საგძალი, ჭართათვის ცული რამ არის“.

წურინოვი. თბილისელი მოქალაქე. თბილისში წურინოვს რამდენიმე სახლი ჰქონდა. მის ერთ-ერთ სახლში, რომელიც მღვდელ ეფრემ ალექსი-მესხიშვილის სახლის გვერდზე მდგარა, ერთმანეთს ხვდებოდნენ 1832 წ. შეთქმულების მონაწილენი. ერთ საღამოს ამ სახლის პატარა ოთახში ერისთავი გიორგი იესეს ძე (სენატორი) ელაპარაკებოდა შეთქმულთ სახლის პატრონის მოხუცი წურინოვის თანდასწრებით.

წურინოვის ერთი ორსართულიანი სახლი იდგა აწ. პუშკინის ქუჩაზე. ამ სახლში მოთავსებული იყო „რესტორაცია მატასი“, რომელშიაც 1829 წ. გაჩერდა ალ. პუშკინი.

ქავჭავაძე ალექსანდრე გარსევანის ძე (1786—1846). ალ. ქავჭავაძის ბიოგრაფია კარგად არის შესწავლილი. ჩვენ ორიოდ კორექტივი შეგვაქვს მასში.

<sup>39</sup> პანტელეიმონ წინამძღვრიშვილი გორის სობოროს დეკანოზი იყო. ამან მონათლა 1864 წ. 19 თებერვალს სოლომონ კრისტეფორეს ძე ხახანაშვილის სახლში ბავშვი ალექსანდრე — შემდეგში პროფესორი (ს. შვალაბაძის შვილი, შოგონებანი, გვ. 229—230). პანტელეიმონ გარდაეცვალა 1871 წ.



„1786 წელს დაიბადა პეტერბურგში. მიმრქმელი მისი იყო ეკატერინე II. 1795 წ., მიიბარეს ბამანის კერძო პანსიონში (პეტერბურგში)... 1799 წ. ჩამოიყვანეს თბილისში“. ასე მოგვითხრობს ი. გრიშაშვილი ალექსანდრე ჭავჭავაძის ბავშვობის ფაქტებს მის მშვენიერად დაწერილ ბიოგრაფიაში, ალ. ჭავჭავაძის თხზულებათა აკადემიურ გამოცემას რომ წარუძღვარა. აკად. მ. ვ. ნეჩკინას სიტყვითაც ალ. ჭავჭავაძე საქართველოში პირველად 1799 წ. ჩამოვიდა (Грибоедов и декабристы, М. 1951, 205).

გამოდის, რომ პოეტს ბავშვობა გაუტარებია პეტერბურგში და საქართველო მას პირველად მხოლოდ 13 წლისას უნახავს. მაგრამ ეს სინამდვილეს არ შეეფერება. თვითონ პოეტი 1833 წ. უჩვენებს 1832 წ. შეთქმულების საგამომძიებლო კომისიას: „პეტერბურგში დავიბადე 1786 წელს. ბავშვი თბილისში ჩამომიყვანეს. 1795 წელს კვლავ პეტერბურგს დამაბრუნეს. 1799 წელს ისევ თბილისში ჩამომიყვანეს“ (საქ. ცენტრ. არქივი, საისტორიო მოამბე, ტ. 2, თბ., 1946. საბუთი № 47. გვ. 238). აქედან ჩანს, რომ ალექსანდრე მარტო 1795—1799 წლებშია პეტერბურგში. 9 წლამდე კი (1795 წლამდე) ბავშვობას თბილისში ატარებს.

ამ ფაქტს ადასტურებენ გარსევან ჭავჭავაძის შესახებ საბუთებიც. 1786, წ. 24 დეკემბერს გარსევანი საქართველოში დაბრუნების ნებას მიიღებს (А. Цагарели, Грамоты, II. вып. II, №40). 1787 წ. 5 თებერვალს იგი საქართველოსკენ გამოემგზავრა, თან მოჰყავს ცოლი, მცირეწლოვანი ვაჟი, ცოლისძმა და მსახურები (იქვე, № 42). მაგრამ გზად ცოლი ავად გაუხდება და ამიტომ წამოსვლა უბრკოლდება. გარსევანი საქართველოს მოაღწევს მხოლოდ 1788 წლის შემოდგომაზე (H—609). მაშასადამე, ალექსანდრე ორი წლის ყოფილა, როცა ის მამამ ჩამოიყვანა თბილისში პირველად. ამის შემდეგ გარსევანი ოჯახიანად თბილისშია, სამშობლოშია. ერეკლე II-მ ელჩად გაისტუმრა რუსეთს 1793 წ. 12 დეკემბერს. მისი ოჯახი კი (მეუღლე და ვაჟი) გარსევანთან წავა მხოლოდ 1795 წლის ზაფხულს. ამჯერად გარსევანი პეტერბურგს რჩება 1799 წლამდე. 1799 წ. მაისში მისი ოჯახიც საქართველოსაკენ მოემგზავრება.

ამრიგად ალექსანდრეს საქართველოში გაუტარებია თავისი ბავშვობა 2-დან 9 წლამდე.

ალ. ჭავჭავაძე ბავშვობაში ზედება თავისი მამის ბიძაშვილის შვილს დიმიტრი ვახვახიშვილს (იხ. ), შემდეგ მასთან ერთად მონაწილეობს 1804 წ. მთიულეთის აჯანყებაში, აჯანყების დამარცხების შემდეგ მასთან ერთად აპატიმრებენ 1804 წ. 29 ოქტომბერს, ყაზახში, როცა ისინი ლამობდნენ ფარნაოზ ბატონიშვილთან ერთად სპარსეთში გადასვლას.

ალექსანდრე ჭავჭავაძემ დიმიტრი ვახვახიშვილს უძღვნა ლექსი „მხოლობის და მოცლის ნაყოფს კალმითა მდარით..“, რომელიც წარ-



მოადგენს ლექსის „კავკასია“-ს შესავალს. ეს ლექსი ავტოგრაფის მიხედვით პირველად დაბეჭდა ი. გრიშაშვილმა (ალექსანდრე ჭავჭავაძე, თბზუ-ლებანი, თბ., 1940. გვ. 76). ი. გრიშაშვილი ფიქრობდა, რომ ამ ლექსის ადრესატი „დიმიტრი ვ.“ თეკლე ბატონიშვილის მეორე ვაჟი დიმიტრი ვახტანგის ძე ორბელიანი იყო. ლექსის ადრესატი კი, როგორც ეს თვით ლექსიდან ჩანს, ავტორთან „შეერთებულია“ „სიყრმიით ვიდრე დღევანდლამდე“. ასეთად კი 1807 წ. დაბადებული ვახტანგ ორბელიანი, ალექსანდრეზე 20 წლით უმცროსი, არ შეიძლება ჩაითვალოს. ლექსის ადრესატს პოეტთან ერთად განუცდია „განცხრომა გულის, შეშლა ქამის, ღალატი ბედის“; პოეტს მასთან ერთად განუცდია „ცთომა“ „განუსჯელი სიკბულის“ ქამს. ასეთად უნდა ვიგულისხმოთ დიმიტრი ვახვახიშვილი, პოეტის მამიდის დარეჯან სულხანის ასულ ჭავჭავაძე-ვახვახიშვილის ვაჟი. ლექსი „დიმიტრი ვ.“ იწყება სიტყვებით:

„მხოლოდობისა და მოცლის ნაყოფს კალმითა მდარით  
მეგობარს გიძღვნი, ვთხოვ მიიღო პარათ მღიმარით.“

**თავდება კი ასე:**

„ამა მთის სახე დიდებული მსურს დავიხატო  
თუ არ შემოიკრთა გლახ კალამი მისითა ზარით“.

ამ სიტყვებს მართლაც მოჰყვება კავკასიის მთის აღწერის შემცველი ლექსი „კავკასია“. აქედან უნდა დავასკვნათ, რომ ლექსი „დიმიტრი ვ.“ წარმოადგენს შესავალს ანუ დედიკაციას ლექსისას „კავკასია“. ორივე ამ ლექსის ავტოგრაფი დაწერილია ქალაქდზე, რომელსაც ჰერინიშნად 1824 წელი უზის. ამავე დროს 1833 წ. მ იანვარს შეამთაში აპატიმრებენ ბერ ფილადელფოს კიკნაძეს, რომლის ჩამორთმეულ ქალაქდებს შორის არის აგრეთვე ლექსის „დიმიტრი ვ. -ს“ პირი (ეს ლექსი ჩაკერებულია OBD ფონდის 170-ე საქმეში მე-20 ფურცლად). აქედან ცხადი ხდება, რომ ლექსი „კავკასია“ და მისი დედიკაცია 1832 წ. დეკემბერში უკვე დაწერილი ყოფილა. მისი დაწერის ხანა 1824—1832 წლების შუალედით უნდა შემოიფარგლოს. რამდენადაც ამ ლექსში ბუნების აღწერილობასთან ერთად ალ. ჭავჭავაძეს მოცემული აქვს სამოქალაქო მნიშვნელობის სტროფებიც, სადაც რუსეთი, როგორც საქართველოში განათლების შემომტანი, დადებითად არის შეფასებული: „განისხნა გზა და ეშვათ ივე-რელთ სასოება, რომე მუნით შევიდეს მათ შორის განათლება“.

ამდენად ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისათვის მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ სახელდობრ როდის დაიწერა „კავკასია“ და მისი დედიკაცია.

ამ თარიღის დასაზუსტებლად მეტად მნიშვნელოვანია დედიკაციის შემდეგი სიტყვები: „კავკასს შენ მანდეთ შესცქერი და მე ვმზერ ამ



მხრით“. აშკარაა, რომ ლექსის შეთხზვის მომენტში პოეტი შესცქერის „ამ მხრით“—ჩრდილოეთიდან, ლექსის ადრესატი კი—„მან-დით“, სამხრეთიდან, ე. ი. საქართველოდან უყურებს კავკასიონს. თუ ვაირკვევა 1824—1833 წლების შუალედში როდის იყო ალ. ჭავჭავაძე კავკასიის მთის ჩრდილოეთით, მაშინ ლექსის დაწერის თარიღიც დაზუსტდება<sup>40</sup>.

ალ. ჭავჭავაძის ნამსახურობის სია, ე. წ. ფორმულარი გვამცნობს, რომ ძირითადი სამსახურის გარდა კავკასიის კორპუსში ალ. ჭავჭავაძეს ერმოლოვისაგან დავალებული ჰქონდა ტარკის ციხე-სიმაგრეში ჯარის უფროსობა და სიმაგრე ბურნაიას აგება. ეს დავალება ალ. ჭავჭავაძეს 1824 წ. 13 ივნისს მიუღია და მის ასრულებას იმავე წლის ნოემბრამდე მოსდომებია. 1826 წ. 31 დეკემბერს კი იმავე ერმოლოვმა ჭავჭავაძე დანიშნა ყუბანში განლაგებული ჯარის უფროსად (ცენტრ. არქივი, საისტორიო მოამბე, 1946. №2. გვ. 357). მაგრამ ფორმულარში მოცემული მეორე თარიღი არ უნდა იყოს ზუსტი. 1826 წ. 14 ოქტომბერს ერმოლოვი წარადგენს ალ. ჭავჭავაძეს გენერალ-მაიორის ჩინზე. ამ წარდგინებაში ნათქვამია: „კავკასიის კორპუსში სამსახურისას არმიის პოლკოვნიკი თავადი ჭავჭავაძე გამოყენებულ იყო ყუბანში განლაგებული ჯარის უფროსად, იგი ამ თანამდებობას სამაგალითო მონდომებით ასრულებდა“ (Записки А. П. Ермолова, ч. II, 1816—1827 г. М., 1868. Приложения, 295). აქედან ჩანს, რომ ეს დროებითი მოვალეობა ყუბანის ჯარის უფროსობა — ჭავჭავაძეს ერმოლოვის წარდგინების დროს (1826 წ. 15 ოქტომბერს) უკვე მომთავრებული ჰქონდა, დაწყებით კი, როგორც ერმოლოვის ჩანაწერებიდან ჩანს, 1826 წ. ივნისში დაუწყია. 4 ივნისის ჩანაწერში ერმოლოვი აღნიშნავს: „ყუბანზე მარჯვენა ფლანგის ჯარების უფროსად დანიშნე პოლკოვნიკი თ. ჭავჭავაძე (იქვე, გვ. 190).

ასე რომ, ალ. ჭავჭავაძე კავკასიის მთის მიდამოებში (ჩრდილო მხრიდან) ჩვენთვის საინტერესო პერიოდში ყოფილა ორჯერ: 1824 წ. ივნის-ნოემბერში ტარკში და 1826 წ. ივნის-სექტემბერში ყუბანის მარჯვენა ფლანგზე, თერგის მიდამოებში. საფიქრებელია, რომ 1826 წელს, როცა პოეტი სარდლობდა თერგის მიდამოებში განლაგებულ ჯარებს, მოსელოდა მას სურვილი კავკასიის მთების აღწერისა, სწორედ აქ გაახსენდებოდა მას კავკასიის მთაზე დაბმული პრომეთე, „ჩრდილოს ვაშტნი“ ე. ი. რუსის ჯარი, რომელიც თერგის იწროებში შეიჭრება და აქ გასჭრის გზას—საქართველოს სამხედრო გზას:

„განიხსნა გზა და ეშვათ ივერულთ სასოება,  
რომე მუნით შევიდეს მათ შორის განათლება“.

<sup>40</sup> ი. ბოცვაძე „კავკასიას“ 1833—1834 წლებში დაწერილ თვლის. სუბუქის პედ. ინსტიტუტის შრომები, V. სუბუქი, 1949, გვ. 237.

ამიტომ ვფიქრობთ, რომ ლექსი „კავკასია“ და მისი დედიკაცია „ლიმიტრი ვ.“ დაიწერებოდა 1826 წ. ივნის-სექტემბერში.

ლექსში „ლიმიტრი ვ.“ ალ. ჭავჭავაძე იგონებს პოეტისა და ლექსის აღრესატის ღიმიტრი ვახვახიშვილის სიჭაბუქეში ჩადენილ „ცდომას“.

— ეს „ცდომა“ 1804 წ. მთიულეთის აჯანყებაში მონაწილეობის მიღებაა.

„ორნივე ერთჟამად აღვიშთენით ქმნად კეთილისა...  
თანამღებობის უმეცარი და შემსჭვალულნი  
ვალსა საღმთოსა ვეძებდით გზითა შემცდარით“.

მთიულეთის აჯანყება ამ სიტყვებით ჩათვლილია „ქმნად კეთილისა“, „საღმთო ვალად“, „თანამღებობად“ ანუ მოვალეობად. შრომა საქართველოს თავისუფლებისათვის, ბრძოლა „დაკარგული სამკვიდროს“ მოპოვებისათვის პოეტს მიაჩნია „საღმთო ვალად“, „თანამღებობად“. მაგრამ მთიულეთის აჯანყებაში მონაწილეობა მის მიერ 1826 წლისათვის ჩათვლილია „თანამღებობის უმეცრებად“ ანუ მოვალეობის შეუგნებლობად. „საღვთო ვალის“ შემცდარი გზით ძიებად.

„ზვირთთა ვებრძოდით განსასვლელად შრომა უხნარით  
ვითარ განკვეთდნენ მკლავნი სუსტნი მას ზღვასა? მარამ“.

არ გვესმოდაო, რომ ჩვენ სუსტ ძალას („მკლავნი სუსტნი“) არ შეეძლო გაეკვეთა ზღვა, ანუ ძლიერი რუსეთის იმპერიით. ახლა, 1826 წ. პოეტი თვლის, რომ „კეთილის ქმნისას“ საქიროა მებრძოლმა გამოიჩინოს ჭკუის მიხვედრილობა, შეადგასო საკუთარი და მოწინააღმდეგის ძალა. ალ. ჭავჭავაძე ახლა იდეური ბრძოლის მომხრეა და არა შეიარაღებულისა. ასეთსავე პოზიციას ინარჩუნებს ის 1832 წ. შეთქმულებაში: ის თანაუგრძნობს თავისუფლებისათვის ბრძოლის იდეას, მაგრამ აჯანყებას შემცდარ გზადა სცნობს.

ჭავჭავაძე გარსევან რევაზის ძე (1757—1811). ეშიკალასბაში. მეორე სახელია მისი დავითი. 1784 წ. მისში ერეკლე II-მ გაგზავნა ის ეკატერინე II-ს კარზე ტრაქტატის მე-5 პუნქტის თანახმად. იმავე წლის 20 სექტემბერს შედგა გარსევანის ეკატერინესთან აუდიენციის ცერემონიალი.

1786 წ. 10 იანვარს გარსევანი სთხოვს პოტიომკინს რამდენიმე ხნით საქართველოში გაუშვას. ივნისში მასთან ჩადის მისი ოჯახი. ერეკლე II გრიგოლ პოტიომკინს სწერს 1786 წ. 22 სექტემბერს — გარსევანი „თავისუფალ ჰყოს მინისტრობის თანამღებობისაგან და დაუგვიანებლად ინებოს წარმოგზავნა მაგისი.“ 24 დეკემბერს ნება მიეცა საქართველოში დაბრუნებისა. 1787 წ. 5 თებერვალს მიეცათ გამოსაშვები ფურცელი (საშვი) გარსევან ჭავჭავაძეს, მის მეუღლეს, მის მცირეწლოვან ვაჟს, ცოლისმამას ავალოვს და სხვებს. ოსტერმანი ავალებს გარსევანს მოგი-





ლიოვში ეახლოს პოტიომკინს. მაგრამ 2 მარტს გარსევანს ცოლი პეტერბურგში ავად და ოსტერმანის დავალებას ვეღარ ასრულებს. 1787 წ. ივლისში ჰაუჰენჰაიმე კრემენჩუგშია. აქედან იგი ატყობინებს ერეკლე II-ს: „აქ ჩურჩულით ომს ამბობენ ამათსა და თურქის ქვეყანას შორის. ჩვენ საქმე მძიმეთ დავიჭიროთ“. ივლისშივე გარსევანი საქართველოს მოაღწევს. მასთან ერთად საქართველოში ბრუნდება ერეკლეს ძე ანტონი, მასინ ალავერდელი მიტროპოლიტი.

გიორგი ბატონიშვილი (შემდეგში მეფე გიორგი XIII) იაკობ რენეგსს სწერს თბილისიდან პეტერბურგს 1788 წ. 1 ნოემბერს: „თქვენი მშვიდობის ამბავი კნიაზ ჰაუჰენჰაიმე მანდატურთუხუცესმა გარსევან მიამბო“ (H—609, 121.) გარსევანი საქართველოში რჩება 1789, 1790, 1791, 1792 წლები. 1793 წ. 12 დეკემბერს ერეკლე სწერს ეკატერინე II-ს: „წარმოგვზავნე პოლნომოჩნი მინისტრი გარსევან ჰაუჰენჰაიმე“.

1794 წ. 27 თებერვალს გამოიცა იმპერატორის ბრძანება გეორგიევსკიდან გენ. ადიუტანტ გ. ჰაუჰენჰაიმისა და მისი ამაღლის უმაღლეს კარზე წარგზავნის შესახებ (Сношения России с Грузией 1794—1796 гг. фонд 4546, л. 3). აპრილში გარსევანი უკვე პეტერბურგშია. იგი მოათავსეს საგარეო საქმეთა კოლეგიის სახლში ვასილის კუნძულის მე-13 ხაზზე, ხოლო, 7 მაისს მას დაუქირავეს ბინა საადმირალოს მხარეს ნადვორნი სოვეტნიკის ეფრემოვის სახლში. ბინა დაქირავებულ იყო 150 მანეთად თვეში (იქვე, ფონდი 454 6, ფ. 23).

გარსევანის ცოლისძმა გიორგი ავალოვი, რომელიც მას ახლდა საქართველოში გამგზავრებისას, ამჯერად გეორგიევსკში დარჩენილა. აქ ის 1794 წ. 27 თებერვალს თარგმნის „რქის მატარებელს“ (S—II). გარსევანის ოჯახი კი ამჯერად საქართველოში დარჩა. გარსევანის მეუღლე მიახ||მარიამი იწერება: „რა ხანია ჩემის კნიაზისა არა ვიცი რა, არცა ჩემის ძმის გიორგისა“.

1794 წ. 21 მაისს გარსევანს ეკატერინესთან ჰქონდა აუდიენცია. მალე ამის შემდეგ გადაწყდა გარსევანის ოჯახის პეტერბურგში გამოწვევა. ამასთან დაკავშირებით მირიან ბატონიშვილი პეტერბურგიდან სწერს იოსებ ყორღანაშვილს 1795 წ. იანვარში: „გარსევან ჰაუჰენჰაიმის კნეინა აწწამოსასვლელია და ესოდენ შორს გზას თეთრი დასჭირდება. ამისათვის გთხოვ შეგობრობით, ... ბატონებთან სიტყვა გაატარო როგორმე რომ ის თეთრი (—გარსევანისაგან მირიანისათვის გასესხებული) ამის კნეინას მიაბარონ“ (საქ. სიძვ. III, გვ. 330).

გარსევანის მეუღლე 1795 წ. აგვისტოში რუსეთისაკენ გამგზავრა. ოქტომბერში ის უკვე პეტერბურგშია. ნოემბერში გარსევანი იქიდან იწერება: „ახლა ფამილიით ვცხოვრობ პეტერბურგს“.

1796 წ. 27 მარტს ეკატერინე II-მ თანხმობა განაცხადა გარსევანის სამშობლოში დაბრუნებაზე. 1796 წ. 5 აპრილს გარსევანი იტყობინება:

„მეუღლე ჩემი შთების აქა“. პეტერბურგს დარჩენილ მეუღლეს მთავრობამ დაუტოვა იგივე თანხა, რაც გარსევანს ეძლეოდა. 1796 წ. 5 მაისს ალექსანდრე ლოპოვი (საგარეო საქმეთა კოლეგიის თანამშრომელი) თარჯიმან აბუთურაბ ნასიროვის თანხლებით ეახლა გ. ჭავჭავაძეს და გადასცა მას იმპერატორის ბრძანება მისთვის სამგზავროდ 3000 მანეთის მიცემისა და მისი ცოლისათვის პეტერბურგში გარსევანის კუთვნილი ჯამაგირის დატოვების შესახებ (ფონდი 454, ფურც. 142).

1796 წ. 9 მაისის პასპორტით გარსევანი უკან ბრუნდება მოსკოვ-ვორონეჟ-ჩერკასკზე გავლით. მდივნად მას დაუნიშნეს გ. ავალოვი. ივნისში გარსევანმა გეორგიევსკს მიაღწია. მეორე დღეს ის აქედან მოზდოკს გაემგზავრა. მოზდოკიდან გარსევანი აღმასხან ბატონიშვილს დღე-ღამეში უგზავნის წერილს, რომელიც ბატონიშვილმა 30 ივნისს მიიღო (ეურნ. „მომბე“, 1894. № 1; S 1631). 1796 წ. ივლისში თბილისელი სტეფანე ტერ-შმოვანოვი სწერს მანუჩარ თუმანიშვილს: „გარსევან ეშვიკალსბაში ჯერ არ მობრძანებულა, დღეს-ხვალ მოელიან, მშვიდობით მოვიდეს. ვნახოთ, ქალაქისთვისაც წყალობა იქნება რამე“ (საქ. ც. ა., ფონდი 1448, № 3386).

მოზდოკიდან გარსევანი ჩავდა გრაფ ზუბოვთან ძველ შემახაში, ქუროთ ბულაკის ბანაკში. აგვისტოში გარსევანი ნუხის ხან სელიმ-ხანთან არის. აქ ის იღებს წერილებს ერეკლე II-საგან. სელიმ ხანმა თავისი დესპანის ხელით ზუბოვს საჩუქარი გაუგზავნა. სანამ ეს დესპანი ზუბოვისაგან მობრუნდებოდა, სელიმ ხანმა გარსევანი, როგორც მძევალი, თავისთან დააკავა (Бутков, Материалы. II, 399). „გარსევანის დაჭერის ამბავს შეიტყობდით. ისევ აუშვიათ. ყაზახის ჯარი დაებარებინა. დღეს ხუთი დღე არის რომ წავედნენ. ღოთ ამ სამსაოდ დღეში უნდა გაჩნდეს“—ატყობინებს დარჩია ბებუთოვი მანუჩარ თუმანოვს 1796 წ. 30 აგვისტოს

1796 წ. 19 სექტემბერს გარსევანი თბილისს ჩამოდის და 21-ში თელავს მიემგზავრება ერეკლესთან (მასალები საქ. ეკ. ისტ. III, 294).

1797 წ. 5 თებერვალს გარსევანი ერეკლემ ხელახლა გაგზავნა პეტერბურგს. მარტის ბოლოს ის მოზდოკიდან გაემგზავრა (საქ. სიძვ. III, 311). მალე ის პეტერბურგშია.

გიორგი XIII თავის ელჩად პეტერბურგში ნიშნავს იქ მყოფ გარსევან ჭავჭავაძეს (1798 წ. ოქტომბერში). მომდევნო წლის თებერვალში გარსევანი ოჯახიანად საქართველოში დაბრუნების ნებას ითხოვს. 1799 წ. 22 აპრილს ვიქტორ კოჩუბეი მოახსენებს მეფე გიორგის, რომ გარსევანი პეტერბურგიდან მოემგზავრება და მასთან ერთად მოდის სტატსკი სოვეტნიკი კოვალენსკი. გარსევანი ჩქარობდა მეფესთან ჩამოსვლას, ამიტომ ოჯახს გაუსწრო და თბილისს ჩამოვიდა უკვე 1 ივლისს. კოვალენსკიმ კი თბილისს მიაღწია მხოლოდ 8 ნოემბერს (აქტები, I, 98).

1800 წ. იანვარში გიორგი მეფე კვლავ აგზავნის გ. ჰავჭავაძეს რუსეთს: „ეს ჩვენი ეშიკაღაბაში გარსევან და ჩვენი მდივანი ელიზაბარ დიდებულის ხელმწიფის კარზედ გავგზავნეთ“. და თავაურებს ავალებს „სიფრთხილით და მშვიდობით გარდააცილონ“ (საქ. ც. ა., ფონდი 1448, № 3613). გზად გარსევანი ავად გახდა და სტეფანწმინდას შეჩერდა. აქ მას მკურნალობდა მეფისაგან თბილისიდან გავგზავნილი თათულა აქიმი 1800 წ. დეკემბერში (საქ. სიძვ. III, 85).

როცა 1801 წ. სექტემბერში გამოქვეყნდა მანიფესტი საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ, გარსევანი წერდა: „რაც კი დანაბარები მქონდა მეფისაგან რუსეთის ხელმწიფისადმი საქართველოს მოწყობის შესახებ, არც ერთი არ ასრულდა. სახელმწიფო ვააუქმეს, არც ჰეშევი-რლომებათ მიგვიღეს“ (აქტები, II, 304).

გიორგი XIII-ის სიკვდილის შემდეგ გარსევანის მისია, როგორც საქართველოს მეფის „პოლნომოჩნი“ მინისტრისა, თავისთავად დასრულდა. შას მისცეს დეისტეიტელნი სტატსკი სოვეტნიკის ჩინი და საქართველოში გამოაბრუნეს. 1802 წ. ოქტომბერში გარსევანი საქართველოში მოვიდა.

1803 წ. 15 იანვარს ლაზარევი ატყობინებს ციციანოვს, რომ გარსევან ჰავჭავაძის აზრით, საქართველოს გამგებლად რომელიმე ბატონიშვილი უნდა დანიშნოსო (აქტები, 303).

სამშობლოში დაბრუნებულ გარსევანს მოსახლეობამ დაახვედრა საჩივრები რუსეთის მმართველობაზე. გარსევანს ყველა ეს საჩივარი იმპერატორის ყურამდე უნდა მიეყვანა. იგი არწმუნებდა ახალ მთავრობას, რომ მის საქმიანობას შეიძლება აჯანყება გამოეწვია. გ. ჰავჭავაძე ყაზახის მოურავად იყო დანიშნული. მას აბრალებდნენ, თითქოს ის ურჩევდა ყაზახის თათრებს აღარ დამორჩილებოდნენ რუსეთის მთავრობას და შეერთებოდნენ ალექსანდრე ბატონიშვილის დასახმარებლად სპარსელებს (საქ. ც. ა. ფონდი 2, საქმე 91, ანაწ. I, ფ. 49). ყოველივე ამის შედეგად კოვალენსკიმ მას მოლაღატეობა დასწამა, კნორინგმა კი იგი ყაზახის მოურავის თანამდებობიდან გადააყენა და დააპატიმრა. გარსევანი საჩივარს სწერს იმპერატორთან. იმპერატორი უბრძანებს ციციანოვს (რომელმაც ამ დროისათვის შეცვალა კნორინგი) გამოიკვლიოს გარსევან ჰავჭავაძის საქმე. ციციანოვის წარდგინებას იმპერატორმა მიაწერა: „გადაეცით თ. გ. ჰავჭავაძეს რომ მე არასოდეს არ შემპარვია ეჭვი მის ერთგულებაში“.

გარსევანი გაათავისუფლეს და 1803 წ. მაისში გუბერნიის თავდაზნაურობის მარშლად აირჩიეს (აქტები, II, 192). ამავე დროს ის აღადგინეს ყაზახის მოურავადაც. მაგრამ გ. ჰავჭავაძე აგრძელებდა ბატონიშვილებთან ურთიერთობას. 1804 წ. მთიულეთის აჯანყებას თუმცა ის აშკარად არ მიმხრობია, მაგრამ მთავრობისათვის ცხადი იყო, რომ ის ეწე-

ოდა გაორებულ ცხოვრებას. საბოლოოდ ციციანოვიც მის წინააღმდეგ განეწყო და როცა მისი ვაჟი ალექსანდრე ფარნაოზ ბატონიშვილთან გაიქცა, გარსევანის რეპუტაცია საბოლოოდ იქნა კომპრომეტირებული. ციციანოვმა მისი გაჩერება საქართველოში არასასურველად სცნო. გარსევანმა სამუდამოდ რუსეთში გადასახლების ნება ითხოვა აქაური მამულების რუსეთის სოფლებზე გაცვლის პირობით. 1805 წ. 23 აპრილს იგი გამოიძახეს რუსეთს მამულების გაცვლის შესახებ მოსალაპარაკებლად. 3 ნოემბერს გარსევანმა სამუდამოდ დატოვა საქართველო. ცოლი მისი, მათა ავალიშვილი, ავადმყოფობის გამო დროებით დარჩა საქართველოში. ვაჟი ალექსანდრე კი ამ დროს ტამბოვს იყო სამი წლით გადასახლებული.

გ. ჭავჭავაძე გარდაიცვალა 1811 წ. 7 აპრილს პეტერბურგში. დასაფლავებულია ალექსანდრე ნეველის ლავრაში.

გარსევანის უმცროსი თანამედროვენი უარყოფითად აფასებდნენ მას. დავით ბატონიშვილისათვის ის „მამულის ორგულია“ (მასალები.. გვ. 97); ალექსანდრე ორბელიანისათვის—„რუსეთის აგენტი საქართველოს მიტაცებისათვის“ (S—1662). სიმონ წერეთელი მას გრიგოლს სწერს 1810 წელს: „თავისობას სირცხვილში ყოფნას ბევრათ სჯობს სახელიანათ სიკვდილი. უნდა გითითებდეს ხელს ყოველი კაცი გარსევან შვიკალაბაშსავით: ამან დაკარგა მეფეო“ (Sd—1414).

ჭავჭავაძე დიმიტრი. კახეთის 1812 წ. აჯანყების მონაწილე. გადასახლეს პერმს, 1813 წ. თებერვალში. 1815 წ. სხვებთან ერთად აწერს ხელს თხოვნას გადასახლებულებისათვის თბილი ტანისამოსის შესაძენად ფულის გამოყოფის შესახებ.

გადასახლებიდან მისი დაბრუნების შესახებ ცნობები არ არის.

ჭავჭავაძე მარიამ (მაია) ივანეს ასული (1758—1836). თავად იოანე ავალიშვილის ასული, გიორგი ავალიშვილის და. დაიბადა 1758 წ. 1 აპრილს (A—1418). 1780 (?) წ. მისთხოვდა გარსევან ჭავჭავაძეს. 1784 წ. მიემგზავრება პეტერბურგს ქმართან ერთად. იქ 1786 წ. ეყოლა ვაჟი ალექსანდრე. 1788 წ. ის საქართველოში ბრუნდება. პეტერბურგში ატარებს 1795—1799 წლებს. შემდეგ სულ საქართველოშია. როცა გარსევან ჭავჭავაძე 1805 წ. სამუდამოდ რუსეთს გადასახლდა, მარიამი ავადმყოფობის მიზეზით დროებით საქართველოში დარჩა. მაგრამ არც გამოჯანმრთელების შემდეგ წასულა რუსეთში. გარდაიცვალა 1836 წ. 19 მაისს. დასაფლავებულია შუამთაში.

1836 წ. 21 მაისს თელავის ოკრუჟნიო ნაჩალნიკი კაპიტანი იაკუბოვიჩი სწერს შუამთის ხაზინადარს ბერს ქრისტეფორეს: ეგზარქოსმა ნება დართო კნენა მარია ივანოვნა დასაფლავდეს შუამთაში. არქიმანდრი-



ტი სოფრონი თიანეთშია და უმისოდ ნება მიეცი ნაფარეულის მოქმედებასა  
ქაიხოსრო მიხეილაშვილს საფლავი გასჭრასო. მიცვალებულს ხვალ მო-  
ასვენებნო (Hd—11163).

**ქვეყავაძე პაატა.** პაატა ქვეყავაძის პიროვნებას კარგად ახასიათებს  
იოანე ბატონიშვილის 1801 წ. 30 იანვრის საბუთი: „ესე წყალობის სი-  
გელი... გიბოძეთ შენ, ...თავადს ქვეყავაძეს გრიგოლს, ძმასა შენსა პაა-  
ტას, ძმისწულსა შენსა დემეტრეს, შვილსა შენსა სოლომონს.. ასრე და  
ამა პირსა ზედა, რომელ ბიძა ჩვენებმა ჯარი შეიყარეს და კახეთში მო-  
ვიდნეს კახთ დასაჭერად და ჩვენს წინააღმდეგ. მაშინვე ბებურისშვი-  
ლი ნინია და იმისი შვილი გარსევანიც იმათთან მივიდნენ და იმათ ეთან-  
ხმებოდნენ და მრავალი წინააღმდეგობა და ამბოხება გვიჩვენეს. და  
შენ შეძლებისამებრ შენისა ერთგულად და თავდადებით იმსახურე და  
ჩვენცა ამა სამსახურის სანუჭყოთ გიბოძეთ ამ ბებურიშვილის ნინიას  
და გარსევანის ნაქონი სამოურაო კუჭატანი“ (საქ. ც. ა., ფონდი 1448,  
№ 6817).

ლაზარევი მოახსენებს კნორინგს 1802 წ. 29 ივლისს: „გულიაკოვმა  
25 ივლისს მომახსენა, რომ სოფ. ყვარლის მცხოვრები თავადები გრი-  
გოლ და პაატა ქვეყავაძეები გაურკვეველი მიმართულებით გაქცეულან“  
(აქტები, I, 366).

გულიაკოვი კი ციციანოვს მოახსენებს 1803 წ. 20 თებერვალს: „არ  
შეიძლება გარკვევით იმის თქმა რომ თავადთაგან ვინმე რუსეთის მხა-  
რეზეა. განსაკუთრებით ეს ითქმის სოფ. ყვარლის გრიგოლ და პაატა ქვე-  
ყავაძეებისა და პეტრე მღვდლის შესახებ. ესენი ყველაზე სახიფათო, მშ-  
ვილობიანობისათვის მავნე ხალხია, გამუდმებით ადგენენ გაბედულ შეთქ-  
მულებებს და ცხოველი მიმოწერა აქვთ ალექსანდრე ბატონიშვილთან“  
(აქტები, II, 155).

იოანე ბოდბელის 1802 წ. 31 ივლისის ჩვენებით ვიგებთ: „ოცდა-  
ოთხს ჩვენ დავებარებინეთ და ხიზიყის მოხეელები. ოცდახუთს... კელმე-  
ჩურზედ ვადმოვიდნენ, ხიზიყის ხალხი მოვიდა სოფლიდამ და დაიფი-  
ცეს ჯერ ხელმწიფის ერთგულებაზე და მას უკან იულონის მემკვიდრეო-  
ობაზე, რადგან მეფის ირაკლის ანდერძი ასე არის, თუ იმის დიდებულე-  
ბა ინებებსო. ამის წიგნი ვალმაც ვაგზავნეს ვავაზ-ყვარელში, თქვენც  
ასე დაიფიცეთ და რუსეთშიაც ვალმა პაატა ქვეყავაძეს ვაატარეს  
და იმის პირი ერთი შიგნით კახეთში“ (აქტები, I, 391).

კახეთის 1812 წ. აჯანყების დროს პაატა ქვეყავაძის თაოსნობით დე-  
ისტე. სტატსკი სოვეტნიკს ქვეყავაძეს გაუნადგურეს 60 საპალნე ლვინო  
(ფონდი 2/8, საქმე 302, ფ. 152).



პულუჩიმ 1812 წ. მარტში დაავალა ზაზა ანდრონიკოსს, ვაჩნაძე<sup>სა</sup> და პაატა ჭავჭავაძეს ანწუხიდან გრიგოლ ბატონიშვილის ჩამოყვანა. გრიგოლ ბატონიშვილი დაპყვა ამ თავადების რჩევას და პულუჩის მიუვიდა (აქტები, V, 45).

ჰაროევი პეტრე ივანეს ძე. ექიმი. ამას უწოდებდნენ აგრეთვე პეტრე ოპანეზაშვილს. ექიმი თვითონაც და ამისი მამაც — ოპანეზა (ივანე) გიორგი XIII-ის დროს.

1801 წ. 4 ნოემბერს ის წერს ასეთ თხოვნას: „სანატრელად გარდაცვალებულის მეფის ჩვენის გიორგის საფარველს ქვეშ აღზრდილი მონათ და მოსამსახურეთ მყოფნი ვიყავით ექიმობით მამაჩემიც და მეც. მათგან ჩვენი შესაფერი მოწყალება მქონდა წელიწადში 40 თუმანი ჯამაგირი. ამას გარდა გვიბოძა ერთი კომლი კაცი ყმა და ქალაქში ერთი დუქანი და ერთი სახლი, რომ დღეს ხელში გვიჭირავს თავის სიგელეზბით. და გთხოვ თქვენის მაღალმსვლელობისაგან, რომ მეფის წყალობის წიგნები რომ გვაქვს ყ-დ მოწყალე ხელმწიფისაგან დაგვიმტკიცდეს მათი დიდებულებით იმ ქვეყანაში ვიცხოვროთ“ (ლენინგრადის ცსია აუცილებელი საბჭოს ფონდი, 1801 წ. საქმე № 266, ფ. 90).

ჩანს, ჰაროევი რუსეთშია და საქართველოში გაბრუნების ნებას ითხოვს. ჰაროევი რუსეთს წავიდა 1801 წ. მარტში. რუსეთს გადასახლებული ბატონიშვილების ივანეს, ბაგრატის და მიხეილის ამაღლაში იხსენიება „ჰარუაშვილი პეტრე ექიმი“ („მასალები“... გვ. 61).

„აქტების“ I ტომში 1132 ნომრად მოთავსებულია დაჯილდოებულთა სია. ამ სიით ორასი მანეთით დაჯილდოებულა პეტრე ჰაროევი.

ჰილაშვილი ბორის გაბრიელის ძე (1798—1850). ქართულად ბაბანა გლახას ძე. გლახა ჰილაძის, ჰილაშვილის მესამე ვაჟი. დაიბადა 1798 წ. სამსახური დაიწყო ოფიცრად 1816 წლიდან. დიდხანს მსახურობდა კავკასიის კორპუსში. 1828 წ. დაინიშნა საქართველოს სამხედრო გზის მიდამოებში მცხოვრები მთიელების მმართველად. 1839 წ. დაინიშნა თბილისის პოლიციის მეთაურად პოდპოლკოვნიკის ჩინით. 1840—1841 წლებში ქართულ გრენადერთა პოლკის უფროსია, 1847—1849 წლებში თბილისის პოლკის უფროსი. 1848 წ. მისცეს გენერალ-მაიორობა. 1849 წ. დაინიშნა ქარ-ბელაქანის სამხედრო ოლქის და ლეკეთის საკორდონო ხაზის უფროსად. ამ თანამდებობაზე გარდაიცვალა 1850 წ.

ბაბანა (ბორის) ჰილაშვილს ცოლად ჰყავდა იაგორ ანტონის ძე ქეთხუდოვის ქალი ნინა. ნინა ქეთხუდოვა იყო ულამაზო, დიდმზითვიანი და ნასწავლი ქალი. იგი ჰილაშვილმა ცოლად შეირთო 1831 წ. ამათ ეყოლათ სამი შვილი:

1. ევატერინე, 1870-იან წლებში მისთხოვდა მიხეილ ბეჟანის ძე ბუჟყიაშვილს, რომელიც 1877 წ. მოკლეს ყარსის აღებისას.

2. ელისაბედი, გათხოვდა გაქართველებულ რუსზე — იოსებ შარტი-ნის ძე სერაფიმოვიჩზე (სერაფიმოვიჩის დედა ჯორჯაძე იყო).
3. გაბრიელი, უფროსი ვაჟი, ოფიცერი; მსახურობდა ჯერ თბილისში, შემდეგ იყო ივანე გივის ძე ამილახვრის ადიუტანტი. გარდაიცვალა 1914 წ. დასაფლავებულია ღუშეთში.

**ქილაშვილი გლაზა ბაბანას ძე (1762—1818).** ქილაშვილი გლაზა ბაბანას ძე — იგივე გაბრიელ ქილაძე — საბუთებში ხშირად მამის სახელითაც გვხვდება — ბაბანაშვილად. იგი დაიბადა 1762 წ.

გლაზას მამა ბაბანა ქილაშვილი ვახტანგ (ალმასხან) ბატონიშვილმა, რომელსაც ამ დროს არაგვის საერისთავო ეპყრა, 1782 წ. თავის მილახვრად დანიშნა და თანაც უბოძა „რუსეთს მიმავალის და იქიდან მომავალის ვაჭრის ბაჟის აღება და აგრეთვე ჩერქეზიდან მოსულის ცხენების მებაჟეობა“ (საქ. სიძე. 1, № 193). ეს სხელო ბაბანას შემდეგ მის შვილზე—გლაზაზე გადმოვიდა. მას ამ თანამდებობიდან შემოსავალი ასი თუმანი თეთრი ჰქონდა (Sd 5339).

თუმცა გლაზა ქილაძე აზნაურიშვილი იყო, საქართველოში იგი შეძლებითა და გავლენით ერთ-ერთ თავკაცად ითვლებოდა. „საქართველოში დიდი კაცის შვილი კი არ ვიყავ არც მე და არცა მამაჩემი, მაგრამ დიდნი კაცნი თუ ჩემს ცხოვრებას არ შემონატროდნენ, მე არავის შევნატროდი“. — წერს გლაზა 1816 წელს (Sd 5486).

გლაზა ვახტანგ ბატონიშვილთან დაახლოებული პირი იყო. ის თვალსაჩინო როლს თამაშობდა იმ ისტორიულ მომენტში, როცა ქართლ-კახეთის სამეფო სულს ლაფავდა. დავით ბატონიშვილი ასე ახასიათებს მის მოღვაწეობას ამ ხანაში: „გლეხთა სტყვევნიდა და აოხრებდა... ძმა მეფისა გიორგისა ვახტანგი, რომელი იყო მამფოთებელი ძმათა, რომელსაცა აბირებდა ბაბანაშვილი გლაზა არაგველი, თანაშეზღილი მისი და მისანდო, რომელი ესე იყო თავი ყოვლისა ბოროტებისა და სიცბილისა ძმათა შორის, რომლისა მიზეზისა გამო დაეცა ტახტი სამეფო ბაგრატიონთა“ („მასალები“. გვ. 55). 1801 წ. გლაზა დანიშნეს „ზასედატელად“ ღუშეთის სამაზრო სასამართლოში.

რუსული საბუთებიდან ჩანს, რომ გლაზას მოწყობილი იყო თავაურელთა თავდასხმა გენ. კნორინგზე, როცა ის საქართველოდან კავკასიის ხაზზე ბრუნდებოდა აქ მანიფესტის გამოცხადებისა და რუსული წესების დამყარების შემდეგ (აქტები, I, 269). ამ თავდასხმისას კნორინგს რამდენიმე კაცი მოუკლეს და 18 გრენადერი დაუჭრეს. შედეგად ამ თავდასხმის, საქართველოსა და კავკასიის ხაზს შორის 5 კვირით კავშირი შეწყდა<sup>41</sup>, რის გამოც კნორინგი იძულებული შეიქნა თავაურელებთან ხელშეკ-

<sup>41</sup> მუსინ-პუშკინის მოხსენება ტროიჩინსკისადმი. (Архив Гос. Совета, т. III. ч. II. СПб., 1878. с. 1223).

რულება დაედო. რუსის ჯარმა კი გენ. ტუჩკოვის მეთაურობით გლაზა  
ქილაძის სახლი აიკლო და მისი ცოლ-შვილი საკმაოდ შეავიწროვა.

1803 წ., როცა გლაზას მწყალობელი ალმასხან ბატონიშვილი დავით  
მეშვედრესთან ერთად ციციანოვმა რუსეთს გადაასახლა, გლაზა ქილა-  
ძეც ალმასხანს თან წაჰყვა პეტერბურგს. მალე გლაზა ისევ საქართველო-  
სკენ გამობრუნდა. მთიულეთის აჯანყების დროს ის საქართველოშია და-  
ციციანოვი მასზე თვალყურის ჰქრას მოითხოვს (საქ. ც. ა., ფონდი 16,  
საქმე 176, 1).

1807 წ. გლაზა ისევ პეტერბურგშია და ცხოველ მიმოწერას აწარ-  
მოებს საქართველოში დარჩენილ ნათესაებსა და მეგობრებთან (იგი ამ  
წერილების შავებს აკეთებდა. წერილების შავებისაგან შემდგარი დავ-  
თარი ღღეს ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული S—427/ბ). ამ წერილე-  
ბით გლაზა ქილაძე ჩვენ გვგზავნის როგორც ახალი ტიპის ბატონი, შე-  
გუებული ახალ პოლიტიკურ ვითარებასთან.

გლაზა შეძლებულია, ფულის პატრონი. ბევრისათვის აქვს ფული  
სესხად მიცემული საკმაოდ მაღალი პროცენტით. 1799 წ. ფული ასესხა  
ზურაბ ტერ-შმოვანოვს, 1804 წ. — შირმანოვ ერისთავს, მანამდე ალ-  
მასხან ბატონიშვილს. მისი მოვალეა გლაზას ბიძაც დედის მხრით — ბეცია  
გედევანიშვილი. წერილებით იგი ითხოვს ვალის დაბრუნებას, იმუქრება  
სასამართლოთი, უარზეა გირაოს აღებისა, მხოლოდ ნაღდს მოითხოვს და  
ა. შ.

გლაზა ქილაძე უპირატესად შემამულეა, მაგრამ განსხვავებით თავის  
მომქმეთავან ის, როგორც ფულიანი კაცი, არ სჯერდება მხოლოდ მამუ-  
ლის მოსავალს, მოსურნეა აქაც პატარა ფულის დაბანდებით თაოსნობა  
გამოიჩინოს და მეტი მოგება-შემოსავალი ნახოს (1811 წ. ის უთვლის  
თავისიანებს: „ჩვენს წისქვილთან არყის ქარხანას ეცადე. ღვთის მოწყა-  
ლებით დიდი ჯარები გადმოვა რუსისა და ხომ სულ იმ გზაზედ ჩამოივ-  
ლის და არაყს კარგი ფასი ექნება“. Sd 5380).

გლაზა ცდილობს კარგი აღზრდა-განათლება მისცეს თავის შვილებს.  
სამი უფროსი ვაჟი—გრიგოლ, გიორგი და ბაბანა თან წაიყვანა რუსეთს  
და იქ ასწავლის (გრიგოლი მოუკვდება ყმაწვილობაში 1808 წ.), უმც-  
როსები კი—კონსტანტინე და შიოში საქართველოში დასტოვა და პეტერ-  
ბურგიდან ხელმძღვანელობს მათ სწავლას. 1808 წ. მაგ., ის სწერს მღვ-  
დელს გიორგი ახალშენიშვილს: „კონსტანტინესა და შიოშის წიგნის კი-  
თხვაზე ბეჯითი ბანდებოდე“ (Sd 5355).

გლაზა ქილაძის წერილებში მიმოხეულია საზოგადოებრივი ინტე-  
რესისა და მნიშვნელობის ცნობები, მეტადრე პეტერბურგში მობინადრე  
ბატონიშვილებისა და სხვა ქართველების შესახებ. ამავე დროს ამ წერი-  
ლებში მოიძიება შეხედულებანი საზოგადო ვითარებაზე — ამას კი გარ-





გლახას ბიოგრაფიიდან ვიცით, რომ ის, სანამ რუსში ხელდავდა საქართველოს შემწესა და მფარველს, სხვებსავეთ მისი საქართველოში გადმოსვლისათვის იღვწოდა. მერე, როცა ნახა, რომ ეს შემწე ძალა მის სამშობლოს თავისუფლებას ართმევდა, მან პოზიცია იცვალა: თავაუურელები აამხედრა და კნორინგი გასაქირში ჩაავდო. შემდეგში, 1807 წლიდან ის პრორუსული ორიენტაციისად ჩანს. „ამისთანა ღვთის მოწყალეობა მოგვადგა, რომ მისი დიდებულება იმპერატორი ალექსანდრე პირველი უსაშუალოთ ბატონათა გვყავს“ — წერს ის 1808 წ. (Sd 5341). „ამაზე მეტი სიგიყე რაღა იქნება, რომ მისის დიდებულების ალექსანდრე პირველის უსაშუალოდ ყმობიდან კაცს გამოსვლა უნდოდეს და სხვა ბატონს დაეძებდეს“ (Sd, 5347).

გლახა არიგებს თავის სიძეს იოანე შერვაშიძეს: „შენ რაც შეგეძლოს, რუსების ერთგულებას ეცადე“ (1812 წ. Sd 5405). „სანამ საქართველოში ერთი საღდათი არის, მე მაგათს ერთგულებას ვერაინ მომაშლევიანებს“ (Sd 5408). იგი ასე აყალიბებს თავის შეხედულებას: „რუსიცა ვარ და ქართველიც! ჩემზე მეტი სამსახური ხელმწიფის არც რუსს შეუძლიან ჩემს ტოლ კაცსა და არც ქართველსა“ (1815 წ. Sd 5475).

ამ საგულისხმო ფორმულას—„რუსიცა ვარ და ქართველიც“—საუკუნის ერთი მესამედის შემდეგ იმეორებს გლახა ჭილაძის შვილიშვილის ქმარი—დიმიტრი ყიფიანი: „მე რუსი ვარ ჩემის სამსახურით, ლუკმა პურით, რომელსაც ვჭამ, და ჩემის აზრის მიმართულებით. მე ქართველი ვარ გვარტომობით და მოძმეთა ენით“ (დამ. ყიფიანი, მემუარები. ტფ., 1930. ს. ხუნდაძის შესავალი წერილი, გვ. XXIV).

გ. ჭილაძის პრორუსული აზროვნება და განწყობა კარგად იცოდა რუსეთის ცენტრალურმა ხელისუფლებამაც. და აი მას ვხედავთ რუსი მთავრობის აგენტად. ეს აგენტობა შეეხებოდა ალექსანდრე ბატონიშვილის რუსეთში გადმობირებას (აქტები, V, 41).

1818 წ. გლახა პეტერბურგიდან საქართველოში წამოსულა. იგი ავად გამხლარა თავის სოფელში. 1818 წ. 7 დეკემბერს ალალო ყორღანაშვილი „გაბრიელ მილახვრის წიგნით იოანე აქიმოვს“ აძლევს სამ თუმანს და გლახას სააქიმოდ ისტუმრებს (მასალები საქ. ეკ. ისტორიისათვის. II: გვ. 465). იმავე ალალო ყორღანაშვილის ანგარიშის წიგნიდან ვგებულობთ, რომ გლახა ჭილაძის შვილს ბაბანას 1819 წ. 24 იანვარს რიგის გადასახდელად მიუღია ყორღანაშვილისაგან 5 თუმანი (იქვე). აქედან ჩანს, რომ გლახა გარდაცვლილა თავის სოფელში 1818 წ. დეკემბერში.

გლახა ჭილაძეს ჰყავდა 5 ვაჟი და 4 ქალი:

1. გრიგოლი, რომელიც ახლდა ქეთევან ბატონიშვილს და გარდაიცვალა ყმაწვილობაში რუსეთს 1808 წ. 2. გიორგი—იაგორი; პროკურორი



(1790—1838). 3. ბაბანა, შემდეგ ბორისად გადანათლული, გენ.-მაიორი (1798—1850). 4. კონსტანტინე—სამხედრო პირი. 5. შიოში, სერგიად გადანათლული. გენ.-მაიორი (1803—1864). 9. ბარბარე, გათხოვილი მთიულეთის მოურავის ზაალის ძე გიორგი ტერიშვილზე 7. სოფიო, გათხოვილი დავით ამილახვარზე (ისტორიკოს დუბროვსკის ბებია) 8. სალომე, გათხოვილი ყოფილა მამუკაზე (გვარი გ. ჭილაძის წერილებიდან არ ირკვევა), გარდაცვლილა 1816 წ. 9. გაიანე.

გლახას ჰყოლია და მაკრინე, გათხოვილი იოანე შერვაშიძეზე (გლურჯიძეზე). ეს იოანე არის გლახას მამულების მზრუნველი და მისი წერილების ძირითადი აღრესატი.

**ჭილაძე იაგორ (გიორგი) გაბრიელის (გლახას) ძე (1790—1838).** რუსულად ეძახდნენ ეგორ გაბრიელის ძე ჩილაევს. საქართველოს უზენაესი მთავრობის პროკურორი. მწერალი და მთარგმნელი. დაიბადა საქართველოში 1790 წ. 14 თებერვალს. ვახტანგ ბატონიშვილის გაზრდილი. 1807 წ. მამამ ის რუსეთს წაიყვანა. იაგორ ჭილაშვილის მამა გლახა 1811 წ. 10 მარტს სწერს თათულა აქიმს: „გიორგი უშინაგანესმა მინისტრმა კოზოდავლეშმა ოსეფ პეტროვიჩმა თავის სეკლატრათ მიიღო. ჯერ შტატი არ გამოსულა, რომ საქმე მიზარდეს. დიდად სწყალობს“ (Sd, 5382).

იაგორი (გიორგი) ჯერ კიდევ ბავშვობაში დანიშნეს ახმედ დუდარუკოვის ვაჟის თაუსულთანის ქალზე გაბრიელ ყაზბეგისა და გლახა ჭილაძის მონღომებით (აქტები, I, 269). შემდეგში, როცა გიორგი და მისი დანიშნული წამოიზარდნენ, თაუსულთანი აჩქარებს ჭილაძეებს ჯვარის წერას. 1813 წ. გლახა სწერს გაბრიელ ყაზბეგს: „გიორგი სამსახურში შევიდა და მანდ (ე. ი. საქართველოში) წამოსვლა უგვიანდება. თაუსულთანს გამოუცხადე, როგორც მართებული, ეგ ქალი გაათხოვოს. მაგრამ ისევე მოყვარეთ უნდა ვიყვნეთ. მაგას თუ სხვა ქალი ჰყავს, ერთს სხვა ჩემს შვილს შეერთავ“ (Sd 5423). იმავე დროს გლახა ატყობინებს თავის სიძეს შერვაშიძეს: „მინისტრი არ მოეშვა და გიორგის ცოლი შერთო. გიორგის არ უნდოდა, მაგრამ უარი ვეღარ უთხრა“ (Sd 5424).

გიორგი ჭილაშვილმა ჯვარი დაიწერა 1813 წ. 23 აპრილს პრასკოვია პეტრეს ასულ პოპოვაზე. 1815 წ. მარტში მათ შეეძინათ ვაჟი ფედენკა, რომელიც 1817 წ. მოუყვდათ. 1816 წ. ეყოლათ მეორე ვაჟი მიხეილი. პრასკოვია პეტროვნამ ისწავლა ქართული ლაპარაკი და წერაკითხვა იმდენად, რომ მულსაც ქართულად სწერს წერილს (Sd 5441).

1815 წ. სექტემბერში ჭილაშვილი შევიდა მოწაფედ ა. თ. ლაბზინის მასონთა ლოჯიაში „მომაკვდავ სტინქსში“ (ჭილაშვილის ცოლი ლაბ-



ზინის ნათესავი იყო)<sup>44</sup>. იყო ამ საზოგადოების ერთ-ერთი თავდადებული წევრი და ლაბზინის დიდი თაყვანისმცემელი. 1816 წ. გახდა ამ ლოკაში „ამგანავი“, 1817 წ. „ოსტატი“, 1818 წ. — „რიტორი“. 1821 წ. „მეთვალყურე“. 1821 წლიდან იწყებს სამსახურს კავკასიაში. ჯერ არის საქართველოს უზენაესი მთავრობის პროკურორი, შემდეგ ექსპედიტორი იუსტიციის სამინისტროს დეპარტამენტის პირველი ექსპედიციისა (1826—1827), თბილისის სამხედრო გუბერნატორის კანცელარიის მმართველი (1830 წ.), მთავარმართებლის განსაკუთრებულ დავალებათა აღმასრულებელი ჩინოვნიკი (1832 წ.).

1821 წ. იყო წევრი ვახტანგის კანონების შემსწავლელი და მთარგმნელი კომისიისა. 1828 წ. იყო წევრი მუსულმანური პროვინციების მომწყობი კომიტეტისა და ამ კომიტეტის საქმეთა მმართველი. 1831 წ. მისცეს სტატსკი სოვეტნიკის ჩინი.

1831—1832 წლებში ი. ჭილაევი პეტერბურგშია. 1832 წ. თებერვალში ლუარსაბ ბატონიშვილი სწერს თბილისში თავის დას თამარ იულონის ასულს: „გიორგი აპირებს დღეს წამოსვლას. არ ვიცი, მართალია თუ არა. რა ქმნას, ამას კაცი ვერ დაემღურება: დილის 6 საათზე დგება, პირველს საათამდინ სულ ვიზიტშია, ვერ მოიცილს წიგნის მოწერას. პრასკოვია პეტროვნა არ უნდა დაემღუროს ამის მიზეზითა (გზლ. 106). ეტყობა, თბილისს დარჩენილი მისი მეუღლე ჩივის, რომ ჭილაევი პეტერბურგიდან წერილს არ იწერება.“

1837 წ. მას სტატისტიკური კომიტეტი ავალებს შეადგინოს თბილისის სტატისტიკური აღწერა.

1832 წ. შეთქმულების გამომჟღავნების შემდეგ, როდესაც გაირკვა, რომ შეთქმულნი ჭილაევის მინისტრად დანიშნნას აპირებდნენ— შეთქმულთა ერთი ფრთა მას სახავდა შინაგან საქმეთა და განათლების მინისტრად (გ. რ. ერისთავის ჩვენება — გზლ. 167). იაგორ ჭილაევის კარიერა თავქვე დაეშვა. ის გადაიყვანეს ლენქორანში, სადაც კიდევაც გარდაიცვალა 1838 წ. იქვე დაასაფლავეს.

„აქტებში“ დაბეჭდილია მისი წერილები „მთიელი ხალხები საქართველოს სამხედრო გზაზე“ (1827 წ.) და „ვაჭრობა სამხედრო გზაზე მთებში“. დაბეჭდილია აგრეთვე მისი თარგმანები ფრანგულიდან რუსულად.

ჭილაშვილის შესახებ ცნობები მოიპოვება ა. ა. ლაბზინას (მასონ ლაბზინის, 1822 წ. გადასახლებულის, ქალის) „მოგონებებში“ (გამოც. პეტერბურგში 1903 წ. რუსულად).

იაგორ ჭილაშვილის ერთი ქალი ნინო ცოლად ჰყავდა დიმიტრი ყი-

<sup>44</sup> Н. А. Державин, Ученик мудрости; Александр Федорович Лабзин и его литературная деятельность. Исторический Вестник, 1912. июль. с. 152.



ფიანს, მეორე—თბილისის კერძო ბიბლიოთეკის ერთ-ერთ დამაარსებელს  
 ი. ი. ნაზაროვს (ფონდი 156, ფურც. 33). ვაჟი — მიხეილი შემდეგში ტაი-  
 ნი სოვეტნიკია (იხ.).

**ქილაშვილი მიხეილ ეგორის ძე** (1816—188..). იაგორ (გიორგი) ქი-  
 ლაშვილისა და პრასკოვია პოპოვას ვაჟი. დიმიტრი ყიფიანის ცოლისძმა.  
 დაიბადა პეტერბურგში 1816 წ. სწავლობდა სამართლისმცოდნეობის  
 სასწავლებელში. 1848 წ. იყო მეფის ნაცვლის განსაკუთრებულ დავალებათა  
 აღმასრულებელი. 1872 წ. არის ტაიი სოვეტნიკი.

ცოლად ჰყავდა მეფის ნაცვლის კანცელარიის დირექტორის მიხე-  
 ილ პავლეს ძე შჩერბინინის ქალი მარიამი. მიხეილი გარდაიცვალა უშ-  
 ვილოდ 1880-იან წლებში. დასაფლავებულია მილახვრიანთკარში.

**ქილაშვილი სერგეი გაბრიელის ძე** (1803—1864), გლახა (გაბრიელ)  
 ქილაშვილის უმცროსი ვაჟი შიოში. გადანათლული სერგეიდ. დაიბადა  
 1803 წ. სამსახური დაიწყო იუნკრად ფინლანდიის პოლკში. 1820 წ. ნი-  
 ეფგოროდის დრაგუნთა პოლკის პრაპორშჩიკია. მონაწილეობს რუსეთ-  
 სპარსეთის და რუსეთ-თურქეთის ომებში. ყარსის აღებისას მისცეს  
 შტაბსკაპიტნობა. 1834—35 წწ. ნოვო-ალექსანდროვის ციხის უფროსია  
 ორენბურგის მხარეში. 1839 წ. მონაწილეობს ხივის ექსპედიციაში.  
 1842 წ. როტმისტრის ჩინით დაინიშნა განსაკუთრებულ დავალებათა აღ-  
 მასრულებლად საფოსტო დეპარტამენტის მთავარსარდალ ადლერბერგ-  
 თან. 1844 წ. კვლავ კავკასიაში გადმოიყვანეს. მონაწილეობს შამილის  
 წინააღმდეგ ბრძოლებში. იმავე წელს მიეცა პოლკოვნიკობა. 1850 წ.  
 გენ.-მაიორი და შემახის სამხედრო გუბერნატორია. ამ თანამდებობაზე  
 დაპყო მან 1857 წლამდე.

გოლოვინისა და ვორონცოვის დროის განსაკუთრებულ დავალებათა  
 ჩინოვნიკი ვლადიმერ სერგის ძე ტოლსტოი იგონებს: „1852 წ. შემახი-  
 ისაკენ მივემგზავრებოდი. შევხვდი იქაურ გუბერნატორს სერგეი გაბრი-  
 ელის ძე ქილაევს. იგი ტომით ქართველია, ისე კი სავსებით ევროპიელი“  
 („რუსკი არხივ“, 1884, წ. 2. გვ. 55—56).

ს. გ. ქილაევი გარდაიცვალა 1864 წ. დასაფლავებულია დუშეთ-  
 ში. შთამომავლობა არ დარჩენია.

**ქრელაშვილი ვრიგოლ დავითის ძე** (1800—1876). დაიბადა 1800 წ.  
 მღვდლის ოჯახში. სწავლობდა თბილისის სემინარიაში. 1822 წ. ხელთ-  
 დაუსხამთ სიონის მთავრად. 1822 წ. ჯვარისმამის ეკლესიის მღვდლად.  
 1851 წ. შეუმოსავთ დეკანოზის პატივით და 1868 წ. მიუციათ იმ დრო-  
 ისათვის იშვიათი ჯილდო—ენჭერი. ამიტომ მას ენჭეროსან დეკანოზს



ეძახდნენ. 1859 წ. გადმოიყვანეს ქაშვეთში. გარდაიცვალა 1876 წ. დაკრძალულია ქაშვეთში.

1838—1867 წლებში იყო საეკლესიო გუჯრების გამრჩევი კომისიის წევრი. 1837 წლიდან არის წევრი სამღვდელთების ქვირე-ობოლთა სამზრუხველოსი. მის დროს მოუშლიათ ქაშვეთის კოშკები და გაუქმებიათ „ახალი ვალავანი“. მის დროსვე დაუბრუნდა ქაშვეთს გრიგოლ ეპისკოპოსის მიერ შეწირული მამული. ჭრელაშვილის ხელმძღვანელობით აშენდა პეტრე-პავლეს ეკლესია ავლაბარში 1846—1849 წლებში.

იცოდა კარგად ქართული ენა. 1853 წ. ეგზარქოსს წარუდგინა ნოტებზე გადაღებული წირვა. რა ბედი ეწია ამ ნოტებს, ცნობილი არ არის. პ. კარბელაშვილის გადმოცემით („ქართული კილოები“ გვ. 91—92), ეპისკოპოსმა ალექსანდრე ოქროპირიძემ 1877 წ. თბილისის სემინარიის სამმართველოში შეიტანა 500 მანეთი ჯილდოდ იმისათვის, ვინც საუკეთესოდ გადაიღებდა ნოტებზე ქართულ საგალობლებს. სამმართველოში წარუდგენიათ „ბ. ჭრელაშვილის ნაწერი“, რომელიც კომისიას დაუწუნებია. პ. კარბელაშვილთან ნახსენები „ბ. ჭრელაშვილი“ შეიძლება გრიგოლ ჭრელაშვილი იყოს. მართლაც, „დროების“ 1878 წ. 11 აგვისტოს ნომერში (№163. გვ. 3) მოთავსებულ კორესპონდენციაში „წერილი რედაქტორთან“ (წერილი ხელმოწერილია სახელით „კომიტეტის წევრი“) ეკითხულობთ, რომ „ქაშვეთის მღვდელმა ჭრელაევმა თვისის მამის დეკანოზის გრიგოლ ჭრელაევისგანთ გადაღებული“ ნოტები კომისიას წარუდგინა.

გრ. ჭრელაშვილი იყო წიგნების გადამწერიც. 1825 წ. მას გადაუწერია რუსულ-ქართული ლექსიკონი — „ალიწერა ლექსიკონი ესე ტფილისის ქალაქსა შინა, სიონის სობოროს დიაკონის გრიგოლ ჭრელაევისაგან, დეკემბრის 5-ს, წელსა 1825“ (H—1285); 1826 წ. გადაუწერია „სწავლანი სულიერნი“: „ალიწერა წიგნი ესე ტფილისის ქალაქსა შინა, სიონის სობოროს დიაკონის გრიგოლ ჭრელაევისაგან“ (H—1296).

სოლომონ დოდაშვილი უჩვენებს, რომ მასთან ერთად იზრდებოდა მღვდელი ჭრელაევი. გრიგოლ ჭრელაშვილი სოლომონის ახლო მეგობარი იყო. ამას მონათვლინა სოლომონმა თავისი მეორე ვაჟი კონსტანტინე. 1835 წ. სოლომონი ვიატიკიდან იწერება „ჩემი მეორე ვაჟი კონსტანტინე დაიბადა 1832 წ. დეკემბერში; იგი მონათლა მღვდ. გრიგოლ ჭრელაევმა“ (ფონდი 489/188, საქმე 4420, ფ. 9) და ითხოვს კონსტანტინეს დაბადების მოწმობას. ამასთან დაკავშირებით „1838 წ. 22 ივლისს საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის თანდასწრებით თბილისის ჯვარიმამის ეკლესიის მღვდელმა გრიგოლ ჭრელაევმა ფიცით უჩვენა, რომ მან ნამდვილად მონათლა გიმნაზიის ყოფილი მასწავლებლის სოლომონ დოდაევის ვაჟი. ნათლობას ესწრებოდნენ პოდპორუჩიკი გიორგი თევდო-

რეს ძე ახვერდოვი, რექტორი არქიმანდრიტი სერგი, დეკანოზი ალექსეევი“ (იქვე, ფ. 17).

გრ. ჭრელაშვილს ცოლად ჰყავდა ეკატერინე ივანეს ასული, რომელიც 1892 წ. გარდაიცვალა და დასაფლავებულია ქაშვეთში. ჰყავდა ორი შვილი: ქალი სოფიო, გათხოვილი სოლომონ დოდაშვილის ვაჟ ივანეზე და ვაჟი დავითი, სამღვდლო პირი, მამის სიკვდილის შემდეგ 1876 წლიდან ქაშვეთის ეკლესიის წინამძღვარი. გარდაიცვალა 1891 წ. ნეკროლოგი მასზე დაბეჭდილია რუსულ ჟურნალ „საქართველოს ეგზარქატის სასულიერო მოამბის“ 1897 წ. № 3-ში (გვ. 21—23).

**ხელაშვილი იონა გიორგის ძე (1775/?—1837).** ი. ხელაშვილი მართალია ტერიტორიულად საქართველოს მოწყვეტილი იყო 1805 წლიდან, მაგრამ მას გამუდმებული კავშირი ჰქონდა თავისი ქვეყნის შვილებთან. მას მიმოწერა ჰქონდა სხვადასხვა წრის ქართველებთან როგორც თვით პეტერბურგსა და მოსკოვში, ასევე საქართველოში მცხოვრებთან. თავისი დროისათვის კარგად ნაკითხი და განსწავლული იგი ჩვენთვის უცნობი დარჩებოდა, რომ არა ჰქონოდა ორი შენი: წერის ხალისი და ნაწერთა კონცეპტირების ჩვევა. იონა თავს უყრიდა ყველა მასთან მოწერილ და მისგან გაგზავნილ წერილს და შეჰქონდა თავის ჟურნალში—ასე უწოდებდა ის წერილთა კრებულებს. მისი ამ ხნის წყალობით ჩვენამდე მოაღწია იმ დროის გამოჩენილ პირთა კორესპონდენციამ.

საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია იონას 34 ხელნაწერი, თითქმის ყველა ღვთისმეტყველური შინაარსისაა და მოწმობს იონას ღვთისმეტყველურად და ფილოსოფიურად განსწავლულობას.

იონას დაბადების წელი ზუსტად არ არის ცნობილი. თვითონ ის უჩვენებს 1775 და 1778 წლებს, ეპიტაფიაში 1772 წელია ნაჩვენები, ხოლო ხელნაწერ H 607-ში—1770.

იონას ერობის სახელი იოანეა, იგი დაიბადა ქიზიყის დაბა ვაჭირში. „წინველობის ქაშ“, ე. ი. 10—15 წლისა მიაბარეს ვაჭირის ეკლესიის მღვდელს მოჯამავირედ. იონა აღძრული იყო მღვდელთმსახურად გახდომის სურვილით, იგი გამოეპარა მშობლებს და თბილისს მომავალ მგზავრებს აეკიდა. იგი თბილისს მოვიდა ერეკლეს კარზე. აქ იგი ჩააბარეს მზარეულთუხუცესს მსახურად. როცა ერთხელ იონა გაუბედავს მეფეს მოახსენოს თავისი სურვილი მღვდელთმსახურად გახდომის თაობაზე, მეფე მას იესე შეტეხის დეკანოზს მიაბარებს. აქ იონამ სამ დღეში შეისწავლა ანბანი, ხოლო ერთ კვირაში გაბმით კითხვა. 1795 წ. 20 წლის იონას მამა მოუკვდა და იგიც ანაგელ მეურმეებს გაჰყვა სახლში. როცა ერთხელ ერეკლე თელავს იყო, იონა ეახლა მას, ერეკლემაც იონა თავის კარის მღვდელს იოანეს ჩააბარა. ერეკლეს სიკვდილის შემდეგ იონა ახლა გიორგი მეფეს მიმართავს და ესეც მას დავით რექტორთან გაამწესებს სას-



წავლებლად. 1800 წ. იონა თბილისის ჩამოდის, შემოივლის დავით აღმაშენებლის, შიო მღვიმის მონასტრებს და ბოლოს ქვათახევის მონასტერში ბერად აღიკვეცება. აქ იგი დაჰყოფს 1801—1804 წლებს. შემდეგ თბილისში მოდის და ციციანოვისაგან რუსეთს გამგზავრების ნებას იღებს. იგი გაჰყვება ფარნაოზ ბატონიშვილს და მასთან ერთად 1805 წ. 31 მაისს ჩავა ვორონეჟში. აქედან ფარნაოზსავე გაჰყვება მოსკოვში, მოსკოვიდან კი მარტო გაემგზავრება პეტერბურგს (1806 წ.).

პეტერბურგში მას ბატონიშვილები შეეწვევიან ნივთიერადაც და სულიერადაც. მიხეილ ბატონიშვილმა აუხსნა მას გრამატიკა, ანტონ კათალიკოსმა ლვთისმეტყველება, იოანე ბატონიშვილმა—ფილოსოფია.

დავით ბატონიშვილის შუამდგომლობით იონა მიიღეს სასულიერო სემინარიაში, რომელსაც დაასრულებს 1812 წ. იმავე წლის ოქტომბერში იონა აყურთხეს ხუცესმონაზონად. დავით ბატონიშვილმა იგი გამოითხოვა კარის მოძღვრად. მაგრამ კარის ეკლესიის უქონლობის გამო დავითმა იონა დაუთმო ანა იმერეთის დედოფალს (მამუკა ორბელიანის ასულს). ამასთან იონამ დაჰყო სამი წელი, მერე გადავიდა თეიმურაზ ბატონიშვილის კარის ეკლესიაში, სადაც იმსახურა 1824 წლამდე. ამის შემდეგ იონა სიკვდილამდე (1837 წ.). მსახურობდა იმერეთის მეორე დედოფალთან — მარიამ კაციას ასულთან. თავის მსრივ იონა მფარველობს პეტერბურგში ჩამოსულ ქართველებს, მაგ. სოლომონ დოდაშვილს განსაკუთრებით.

კარის მოძღვრად ყოფნის დროს იონა ლიტერატურულ საქმიანობას ეწეოდა. მას დაწერილი აქვს ამ ხანებში 44 ნაწარმოები, რომელთა ნუსხა მოცემულია S 273 და S 285 ხელნაწერებში.

იონა გადაგებულია თავის ძმებსა და ძმისწულებზე. 1820 წ. მას აღეძრა სურვილი აზნაურობის წოდების ძიებისა, რათა ამ გზით ცხოვრება გაუადვილოს თავის ძმისწულებს. 1820 წ. 3 მარტს ის მიიღებს ორ მოწმობას (ერთს აძლევენ ფარნაოზ, იოანე, ბაგრატ, თეიმურაზ, ილია, ოქროპირ და ლუარსაბ ბატონიშვილები, მეორეს კი იმერეთის დედოფლები ანა და მარიამი), რომ იონა და მისი ძმები სოლომონ, გიორგი და იოსებ „სქესით არიან აზნაურნი“ და ზემოხოდაშენსა და თელავში მცხოვრები აზნაურის მიქელაშვილის სახლისშვილები (H 2226, ფ. 325, 326). მიქელაშვილები კი 1883 წ. ტრაქტატში იყვნენ შეტანილნი კახეთის აზნაურთა შორის, რადგან მათ აზნაურობა ჰქონდათ ნაბოძები 1777 წ. ერეკლე II-ის მიერ.

1832 წ. შეთქმულების გამოძევების შემდეგ მან დაწერა „რონინი“ მის ამ ნაწარმოებსა და სხვადასხვა პიროვნებებთან მიწერილ წერილებში დაცული ცნობებით შესაძლებელი ხდება იონას საზოგადოებრივი მსოფლმხედველობის წარმოდგენა. მის აზროვნებაზე არ შეიძლება გავლენა არ მოეხდინა ფეოდალური საქართველოს დამხობის ფაქტს



და ბაგრატიონთა დამხობილი დინასტიის ნაცვლად აქ ცარისტული სუფლებსი დამყარებას.

იონა დადებითად აფასებს ერეკლე II-სა და გიორგი XIII-ის მოღვაწეობას. უარყოფითად უყურებს ბატონიშვილებს—ერეკლეს ძეგებს და გიორგის ძეგებსაც. ასევე არ მოსწონს მას ბატონიშვილების გარემოცვა—უწოდებს მათ უწიგნოს, უსვინდისოს, ორენას, პირმოთენსა და ბრუქიანებს (ლოთებს). არ მოსწონს მას არც თავად-აზნაურთა კლასი საერთოდ, რადგან მათ თავი მოაქვთ უცხოური წარმოშობით, რითაც აიხსნება ის, რომ ყოველი მათგანი თავისი ინტერესებისათვის იღვწის და საერთო საქვეყნო საქმეზე არა ზრუნავს. საქართველოს რუსეთთან შეერთება იოხასათვის მოვლენათა ბუნებრივი განვითარების შედეგია. საქართველოს დაუძღურებას სამი მიზეზი აქვს: მოსახლეობის რიცხვის შემცირება, განათლების დაცემა და გარეშე მტრებთან განუწყვეტელი ბრძოლა. დაუძღურებული საქართველოს არსებობა ძლიერი მფარველის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. ამიტომ საქართველოს რუსეთთან შეერთებით, რაც გიორგი მეფის „კეთილი გონების“ ნაყოფი იყო, „განვისვენეთ აჩრდილსა ქვეშე ჯვარიანისა სკიპტრისასა“ (H—2226, ფ. 245). „მცირე ერი ხარ და არ ძალგიძს თავისა თვისისა დაცვა თვინიერ მფარველისა“ („რონინი“, გვ. 115).

იონა რუსეთის ორიენტაციისა იმიტომაც, რომ ახალმა მთავრობამ „იწყო გამოხურება ბრძმედში“ ყველასი, განურჩევლად ჩამომავლობისა და უპირატესობას აძლევს მხოლოდ პირად დამსახურებას.

რუსეთის ორიენტაციის იდეურად მომხრე და რწმენით მონარქისტი ხელაშვილი ამავე დროს გულწრფელი ქართველი მამულიშვილია. — მოსურნეა საქართველოს ზრდა-წარმატებისა და გონებრივი პროგრესისა სწავლა-განათლების ფართოდ დანერგვის გზით. ამასთან იგი ხაზს უსვამს თავად-აზნაურობის პარაზიტუზმს და გული სტკივა გლეხობისათვის. იონა მებრძოლი არ არის. პირიქით, სავსებით ლოიალური რუსეთის მთავრობის მიმართ, ის მოუწოდებს სხვათაც (ყერძოდ, თავის აღზრდილს. დოღაშვილს) იყვნენ მორჩილნი მთავრობისა („ნაჩალნიცისა, ე. ი. თაონისა“), ეძიონ მფარველად „ჩვენი გამომხსნელნი რუსნი“.

იონას წერილები, და საერთოდ მისი შემოქმედება, დაწერილია ღვარჯინილი ენით — გრძელი პერიოდებით და ცნებების გართულებულად გადმოცემით. ამ წერილებში უხვადაა ცნობები პეტერბურგის ქართველთა კოლონიის სულიერი და მატერიალური ყოფის შესახებ (მაგ., სოლომონ II-ის მეუღლე მარიამის კარის ეკლესიაში სლავური ვალობა უკეთ ყოფილა დაყენებული, ვიდრე ქართული).

იონა ხელაშვილი გამოყვანილი ჰყავს იოანე ბატონიშვილს „კალმასობაში“. დაბადების ტოლა წიგნსა წერს ჩემზეო ბატონიშვილი, — ამბობს იონა ერთ-ერთ თავის წერილში: „დაბადების ოდენი წიგნი დაწერა,





12 წელიწადი ჰყერს იოანე ბატონიშვილი ჩემს სახელსა ზედა, ე. ი. მაგალი პარაკებს ყოველსავე სწავლასა, სულიერსა და ხორციელსა“ (S=1532, ფ. 97—99).

იონას შეუდგენია ლექსიკონი, რომელიც ს. დოდაშვილისათვის გამოუტანებია თბილისში დასაბეჭდად. სოლომონის დაპატიმრების შემდეგ იონა წერილებში ჩივის მასზე, რომ მან არ მიხედა მის ლექსიკონს. „ათის წლისა ნამუშავევი ლექსიკონი ჩემი წარვიტანე და მივეც ზვასტავი დაბეჭდვად“ — სწერს ის თავის ამისწულს 1833 წ. 17 ივნისს. — სოლომონმაო „ლექსიკონი დაუბეჭდელი დაუტევა, რომლისა ნაცვლად ჟურნალნი ბეჭდნა“ (H—2226, ფ. 102—104). ეს ლექსიკონი ს. დოდაშვილის ოჯახში იყო დიდხანს. ამჟამად ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული. კარგა ხანს მის ავტორად იოანე ბატონიშვილი მიაჩნდათ.

**ხელაშვილი ნიკოლოზ გიორგის ძე (1777—1844).** იგივე თეოდოსი არქიმანდრიტი. დავით რექტორის აღზრდილი. იყო შვილი გიორგი მაგალობელისა, რომელიც 1782 წ. უკვე დეკანოზის პატივითა ჩანს.

1840 წ. შედგენილი ფორმულარით ის 63 წლისაა, ე. ი. დაბადებულა 1777 წ. სწავლობდა თელავის სემინარიაში დავით რექტორთან. დიაკვნად აკურთხეს 1801 წ. 1802 წ. მაისში გაამწესეს მღვდლად თელავის მიძინების ტაძარში. 1804 წ. დეკანოზია.

1812 წ. კახეთის აჯანყებისას იმყოფებოდა რუსის ჯართან და ასრულებდა მათთან მღვდელთმსახურებას.

1814 წ. დაინიშნა ქართული სიტყვიერებისა და საღვთო სჯულის მასწავლებლად თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში. ამ თანამდებობაზე დაჰყო მან 1824 წ. დეკემბრამდე—განთავისუფლდა საკუთარი თხოვნის თანახმად. 1824 წ. დაენიშნა სამუდამო პენსია 500 მან. ასიგნაციებით წელიწადში.

1826 წ. უბოძეს იისფერი ხვევრდის კამილაკვა. იმავე წელს ჩააბარეს საეკლესიო ქონების განმგებლობა კახეთში. იყო თელავის სასულიერო სასწავლებელთა ზედამხედველი.

1827 წ. აღიკვეცა ბერად თეოდოსის სახელით და დაინიშნა ნათლისმცემლის უდაბნოს წინამძღვრად არქიმანდრიტის ხარისხით. გარდაიცვალა 1844 წ. დარჩა გაუთხოვარი და — ელისაბედ გიორგის ასული, თელავს მცხოვრები (ფონდი 138/489. საქმე 9457, ფ. 1—5).

„ივერიის“ 1886 წ. № 243-ში დაიბეჭდა წერილი „ი. ნათლისმცემლის უდაბნო. ცნობები მღვდ. ნიკ. ხელაშვილის ბიოგრაფიიდან“.

6. ხელაშვილი იყო საუცხოო მწიგნობარი, მაგალობელი და კალიგრაფოსი. თავისუფალ დროს წერაში ატარებდა. სიკვდილის შემდეგ დარჩა ორი არშინის სიგარძე ყუთი, სავსე საკუთარი ნაწერებით. ეს ხელნაწერები 25 მანეთად შეუძენია ერთ-ერთ დეკანოზს.

1831 წ. როგორც ჩანს, ის გადაყენებული ყოფილა თელავის სასულე-  
ლიერო სასწავლებლის ზედამხედველის თანამდებობიდან, რადგან ამითვე  
რიდით ზედამხედველი სოლოდოვნიკოვი ატყობინებს სასულეიერო სემი-  
ნარიის სამმართველოს, რომ ზედამხედველ თეოდოსი არქიმანდრიტს ჯერ  
არ ჩაუბარებია საქმეები ინსპექტორისათვის.

**ხერუშოვი არისტარქე. თარჯიმანი.** 1831 წ. მასზე დააწესეს პოლი-  
ციის მეთვალყურეობა. ს. დოდაშვილი უჩვენებს 1832 წ. შეთქმულების  
საგამომძიებლო კომისიას: „ჩემთან ერთად იზრდებოდა ჩემი ახლო ნაც-  
ნობი სიღნაღელი არისტარხ ხერუშოვი. 1831 წ. აგვისტოში მე სიღნაღში  
ვიყავ. ამ დროს პოლკოვნიკი ანდრონიკოვი იმ მაზრის სხვა თავადებთან  
ერთად ყოფილი თარჯიმანის არისტარხ ხერუშოვის სახლში იყო“ (რე.  
VI, 1032).

„კოლეგიის რეგისტრატორი ხერუშოვი თბილისის სამხედრო გუბერ-  
ნატორის განსაკუთრებული მოწერილობის გამო მეთვალყურეობის ქვეშ  
იმყოფება. ცხოვრობს სიღნაღში, რაიმე სამსახური არა აქვს, სახლი და  
ნათესავეები მისი სიღნაღში არიან“ (ფონდი 16, საქმე 4158, ფ. 16).

**ჯავახიშვილი ესტატე (1772—1833 წ. შემდეგ).** 1832 წ. შეთქმულე-  
ბის საგამომძიებლო მასალებში ნათქვამია, რომ ესტატე ჯავახიშვილი  
1832 წ. არის 60 წლისა, ე. ი. დაბადებულა 1772 წ.

საქართველოს სამხედრო გუბერნატორი მალინსკი 1811 წ. 13 ნო-  
ემბერს ატყობინებს პაულუჩის, რომ ზურაბ მანაბელი, ესტატე ჯავახიშ-  
ვილი, ნიკოლოზ და იორამ თარხანოვები გაგზავნილ არიან ვლადიკავ-  
კაზში სამხედრო სამსახურში განსაწესებლად (ფონდი 2/8, საქმე 234,  
ფ. 41).

ესტატე ჯავახიშვილმა სამსახური დაიწყო 1812 წ. პავლოგრა-  
დის ჰუსართა პოლკში. სამხედრო სამსახურში დარჩა საფრანგეთთან  
ომის დამთავრებამდე, შემდეგ სამსახურიდან გადადგა პორუჩიკის ჩინით  
და პეტერბურგში დასახლდა.

1823 წ. იოანე ბახლაძემ ბაგრატ ბატონიშვილის თხოვნით რუსუ-  
ლიდან თარგმნა 1815 წ. მოსკოვში დაბეჭდილი „ლაშქრობა ნაპოლეო-  
ნისა“. ეს თარგმანი 1824 წ. ბაგრატ ბატონიშვილმა გადაწერა (160  
ფურცელი), ამ შრომას ერთვის სია იმათი, „რომელნიცა ქართუელნი  
დაესწრნენ ბრძოლასა ამას შინა“ (H—2105. ფ. 150—152). ამ სიაში შე-  
ტანილია ე. ჯავახიშვილიც.

პეტერბურგში ის ხვდებოდა შეთქმულების მონაწილეებს. ისმენდა  
მათ საუბარს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ. თუმ-  
ცა ჩვენებებში ის ამბობდა, რომ ცნობით იცნობდა ყველას, ვინც კი მი-  
სი საწინააღმდეგო ჩვენება მისცა, მაგრამ შეთქმულების შესახებ არავი-

სვან არაფერი სმენია და არც თითონ ულაპარაკნია (რვ. XX, 3998).  
გამომძიებლო კომისიის მიერ შედგენილ „შესაკითხ პუნქტებზე“, რომელიც ზედაც შეთქმულთ წერილობით უნდა გაეცათ პასუხები, ე. წ. ჭავჭავიძის პასუხობს ქართულად, თუმცა ასონაკლულად (რვ. XX, 3968). პეტერბურგში ის იცინოდა დიმიტრი ბატონიშვილის მონათხრობზე და უწოდებდა მას ლოთრანს, ე. ი. ვოლტერს.

ვახტანგ ორბელიანის ჩვენებით, ზაქარია ჩოლაყაშვილს ესტატესაგან გაუგონია — საქართველო რომ განთავისუფლდეს და ხელმწიფემ მე ჩამაბაროს ბატონიშვილების საქართველოში წაყვანა, მე მათ კავკავამდე მოვიყვანდი და იქ ყველას თერგში გადავყრიდიო (გზლ. 442).

საგამომძიებლო კომისიამ „პეტერბურგში მყოფი პორუჩიკი“ ესტატე IX კატეგორიას მიაკუთვნა.

ესტატეს ცოლად ჰყავდა იოანე ორბელიანის (სარდლის) ქალი ელისაბედი. (ლუარსაბ ორბელიანის და). სტეფანე ფეშანგოვს გამოთქმული აქვს ლექსი ესტატე ჭავჭავიძის ცოლზე ელისაბედზე (H—2130. ფ. 56). ალ. ჭავჭავაძის ნათარგმნ ვოლტერის „ალზირას“ ხელნაწერს აწერია: „ორბელიანის სარდლის იოანეს ასულის ელისაბედისა ვარ“ (ალ. ჭავჭავაძე, თხზულებანი, 1840 წ. გვ. 342).

ესტატესა და ელისაბედს ჰყავდათ ორი შვილი: ალექსანდრე და მიხეილი. მიხეილ ესტატეს ძე ჭავჭავიძის „სამსახურის გარეშე მყოფი პრაპორშჩიკი“ შეთქმულთა ჩვენებებით 1831 წლიდან იყო განდობილი შეთქმულებაში. მაგრამ რაკი მის საწინააღმდეგო ჩვენებებში გაურკვეველობა იყო, იგი სამართლაში არ მიუციათ. მიხეილს, მეტ სახელად „პრუწუნეს“, ცოლად ჰყავდა ორბელიანის ქალი, რომელიც უშვილო იყო. მიხეილს თავის მოახლისაგან ადამაშვილის ქალისაგან ეყოლა შვილი, რომლის ჩამომავალია ჩვენი მწერალი მიხეილ ადამაშვილი—ჭავჭავიძის.

**ჯანდიერი დიმიტრი.** კახეთის 1812 წ. აჯანყების მონაწილე გადაასახლეს პერმს 1813 წ. 1 მარტს. 1815 წ. თებერვალში ხელს აწერს პერმში გადასახლებულ ქართველთა განცხადებას, რომლითაც ისინი ითხოვენ თანხას თბილი ტანისამოსის შესაძენად.

დ. ჯანდიერი 1818 წ. მანიფესტით განთავისუფლებულ იქნა.

**ჯანდიერი ედიშერი ივანეს ძე.** კახეთის 1812 წ. აჯანყების მონაწილე. გადაასახლეს პერმს 1813 წ. 1 მარტს. 1815 წ. თებერვალში ის ხელს აწერს პერმში მყოფი ქართველების განცხადებას, რომლითაც ისინი ითხოვენ თანხას თბილი ტანისამოსის შესაძენად.

ე. ჯანდიერი 1818 წ. მანიფესტით განთავისუფლდა; სურვილი ჰქონდა საქართველოში დაბრუნებამდე გამგზავრებულიყო მოსკოვსა და პე-



ტერბურგს, მაგრამ ერმოლოვის განკარგულებით მას ებრძანა პირდაპირად საქართველოში წასულიყო (ფონდი 2/8, საქმე 486, ფ. 54).

ჯანდიერი სიმონ როსების ძე. მამა ამისი როსები 1799 წ. ს. კალაუ-რის მოურავად ჩანს (შილა, „მოამბე“, 1895. IV. გვ. 21). შემდეგში ის ჯიშითის მოურავია (Sd 5502). როსებ ჯანდიერი კოვალენსკიმ დააბატონრა—ქალაქში რომ ჩამოხველ და შემხვდი, რატომ არ წამომიდექიო (აქტები, II, 18). როსებს ცოლად ჰყავდა დავით ანდრონიკაშვილის ქალი (ამ დავით ანდრონიკაშვილის მეორე ქალი იყო ვახტანგ, იგივე აღმასხან ბატონიშვილის მეუღლე).

სიმონ ჯანდიერი მონაწილეობას იღებს კახეთის 1812 წ. აჯანყებაში, მისი მამა როსები კი შთავერობის მხარესაა. 1812 წ. 14 მაისს რტიშჩევმა აჯანყებულებთან ვაგზავნა ოთხი თავადი, მათ შორის როსებ ჯანდიერი, და თან ვაატანა პროკლამაცია აჯანყებულთათვის დანაშაულის პატიების შესახებ (აქტები, V, 460).

სიმონი აჯანყებაში მონაწილეობისათვის გადაასახლეს პერმს. იქ გადასახლებულ სხვა ქართველებთან ერთად 1815 წ. თხოულობს თანხას თბილი ტანისამოსის შესაძენად.

1817 წ. მისმა დეიდამ აღმასხან ბატონიშვილის ქვრივმა მარიამ დავითის ასულმა ანდრონიკაშვილმა თხოვნით მიმართა შინაგან საქმეთა მინისტრს, რათა დანაშაული ეპატიებინათ მისი ძმის დიმიტრი ანდრონიკაშვილისა და დისწულ სიმონ ჯანდიერისათვის (ფონდი 2/16, საქმე 1974, ფ. 1). იმავე წლის 22 ივნისს გლაზა კილაძე ისაია ფითუნოვსა სწერს პეტერბურგიდან თბილისში: „თუ ჯანდიერი ჯიშითის მოურავი როსებ მანდ იყოს, შენ გამოუცხადე: ბატონის რძალმა თავის ძმისა და მავის შვილის განთავისუფლება სთხოვა ხელმწიფესა და ასეთი საცოდაობის წიგნი მისწერა, უთუოდ იმედი გვაქვს რომ ინებოს“ (Sd 5502).

სიმონ ჯანდიერი გადასახლებიდან გათავისუფლდა 1818 წ. მანიფესტით. იგი საქართველოში მოემგზავრება იმავე წლის ნოემბერში (ფონდი 2/8, საქმე 486, ფ. 53).

ჯორჯაძე დავით ივანეს ძე (1810—1866 წ. შემდეგ). 1832 წ. შეთქმულების საგამომძიებლო კომისიას უჩვენა, რომ იგი არის 22 წლისა, ე. ი. დაბადებულა 1810 წ.

სწავლობდა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში. 1825 წ. ის მე-4 კლასში ყოფილა, როცა გაუგზავნიათ სასწავლებლად პეტერბურგის მეორე კადეტთა კორპუსში (ფონდი. 16, საქმე 3322, ფ. 5). პეტერბურგს უნდა ვაგზავნათ ესტატე თარხნიშვილთან ერთად, მაგრამ ფეხი იტკინა და ჩამორჩა; დავითის პეტერბურგში წაყვანა იკისრა ანასტასია ბატონიშვილმა, რომელსაც იქ თავისი შვილიც გიორგი ერისთავი

მიჰყავდა. დავით ჯორჯაძისა და გ. რ. ერისთავის სამგზავრო და შესანახადი ფული 1825 წ. 31 აგვისტოს მიუღია კოლეგიის ასესორს ნიკ. ჩუბინოვს (იქვე, ფ. 17).

დ. ჯორჯაძემ პეტერბურგს დაჰყო 1825—1830 წლები. ბინა ჰქონდა ლუარსაბ და დიმიტრი ბატონიშვილებთან — უქმე დღეებსა და იმ დღეებს, როცა კადეტთა კორპუსიდან უშვებდნენ ხოლმე, დავითი მათთან ატარებდა. იგი მოწმე იყო იმ საუბრებისა, რომელთაც წამოიწყებდა ხოლმე თავისუფლებათა დიმიტრი ბატონიშვილი. ამ საუბრებს ესწრებოდნენ ლუარსაბ და ალექსანდრე ჩოლაყაშვილები, სოლომონ რაზმაძე, ელიზბარ, დიმიტრი და ზაქარია ერისთავები, დიმიტრი და ვახტანგ ორბელიანები, ივანე ჩოლაყაშვილი, იარალი შანშიევი და ესტატე ჭავჭავიძე. დიმიტრი და ლუარსაბ ბატონიშვილებთან მუდმივი ბინა ჰქონდა აგრეთვე მამაცაშვილს (რე. X, გვ. 1755).

1830 წ. 24 დეკემბერს დ. ჯორჯაძე პეტერბურგიდან გამოემგზავრა და საქართველოს მოაღწია 1831 წ. 3 თებერვალს (რე. VI, 1083). საქართველოში მან სამსახური დაიწყო „უჩებნი“ ბატალიონში პრაპორშჩიკად.

საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ ცოლად ირთავს ლუარსაბ ქსნის ერისთავის ქალს. 1831 წ. ცხოვრობს ალ. ორბელიანის სახლში. ამან ის მალე შეთქმულების კურსში შეიყვანა. თავის ცოლისძმასთან — ლევან ერისთავთან საუბრისას გამოსთქვამდა აზრს, რომ ჭანყის მოხდენა შესაძლებელი და აუცილებელიაო (გზლ. 385). მას, როგორც „უჩებნი“ ბატალიონში მომსახურეს, შეთქმულნი ავალებდნენ ბატალიონის მოსყიდვას. დ. ჯორჯაძე ეუბნებოდა ხოლმე ლევან ერისთავს: „მე მაგათ (რუსების) ჯარში ნამყოფი ვარ, მე უფრო ვიცი, თუ მალე მოვახდინეთ ეს აღრეულობა, ჩვენ ვაჯობებთო“ (გზლ. 388).

დ. ჯორჯაძე დააპატიმრეს 1832 წ. დეკემბერში.

საგამომძიებლო კომისიამ იგი VI კატეგორიის დამნაშავედ სცნო და გაგზავნა კავკასიის ხაზზე მე-5 ქვეითა პოლკში სამსახუროდ, მასზე მეთვალყურეობის დაწესებით.

დიმიტრი ყიფიანის ჩვენებით „პრაპორშჩიკი ჯორჯაძე მხიარულა ხასიათისაა“ (რე. V, 864).

დ. ჯორჯაძე 60-იან წლებში გამოჩნდა ქართულ პრესაში. „გუთნის დედის“ 1866 წ. მე-3 ნომერში ის ბეჭდავს ნათარგმნ წერილს. იმავე წლის „ცისკრის“ მე-12 ნომერში კი იუმორისტულ მოთხრობას: „მეგობრული ჩვენი სახლის ძველძულიანობა (ფანცა-ფუნცი)“.

# МАТЕРИАЛЫ К ИСТОРИИ ГРУЗИНСКОЙ ОБЩЕСТВЕННОСТИ ПЕРВОЙ ПОЛОВИНЫ XIX ВЕКА



## II

### Резюме

Предлежащий труд представляет собой продолжение изданной в 1980 г. первой книги «Материалов к истории грузинской общественности первой половины XIX века». В нем в алфавитном порядке внесены материалы к биографическому словарю грузинских деятелей конца XVII и первой половины XIX века. В книгу вошли около четырехсот биографий лиц, принимавших какое-то участие в общественной жизни и политических движениях Грузии первой половины XIX века. Особое внимание уделяется участникам заговора 1832 года. Роли и значению этого заговора в общественной жизни Грузии первой половины XIX века посвящается помещенная в начале книги статья «О сущности «Казармоба».

შემოკლებათა ახსნა

აქტები — Акты Кавказской Археографической Комиссии.

აღწ. — საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. ხელნაწერთა ინსტიტუტი. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა.

გზლ. — გ. ვოზალიშვილი, 1832 წ. შეთქმულება, ტომი, I, თბ., 1935.

ისტ. საბ. — ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, წწ I—V. ტფ., 1913.

კარიჭაშვილის კატალოგი — დ. კარიჭაშვილი, კატალოგი ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთსაცავისა, თბ., 1911.

„მასალები“ — დავით ბატონიშვილი, მასალები საქართველოს ისტორიისათვის, შეკრებილი ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მისი ძმებისა. გამოცემა მ. ჭანაშვილისა, თბ., 1905.

მას. საქ. გვ. ისტ. — მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წწ I, II, III, გამოსცა ნ. ბერძენიშვილმა.

მსკი — მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის.

საქ. ც. ა. — საქართველოს ცენტრალური არქივი.

შ. მესხია, მასალები — შ. მესხია, მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის ისტორიისათვის, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 26, თბ., 1948.

პაპუნა — პაპუნა ორბელიანი, აშბავი ქართლისა; საქართველოს ცხოვრება მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძის მიერ. თბ., 1913.

პუპლია — ალექსანდრე (პუპლია) ორბელიანი, გამოუქვეყნებელი შრომები დაცული ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში.

რგ. — „საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი“, ფონდი OBD, რვეული.

საქ. სიძგ. — „საქართველოს სიძველენი“, გ. თაყაიშვილის გამოც., წწ. I, II, III,

ფონდი — საქართველოს სსრ ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი.

A — ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერთა A ფონდი.

H — ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერთა H ფონდი.

Q — ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერთა Q ფონდი.

S — ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერთა S ფონდი.

Sd — ხელნაწერთა ინსტიტუტის დოკუმენტთა Sd ფონდი.

ЖМНП — Журнал Министерства Народного просвещения.

ЖКордания, Описания — Ф. Жордания, Описания рукописей Тифлисского Церковного Музея, кн. № 1, 2.

КОИРГО — Кавказское Отделение Императорского Российского Географического Общества.

ОБД — საქართველოს სსრ ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი. Особо  
Дел.

РА — «Русский Архив».

Такайшвили, Описание — Е. Такайшвили, Описание рукописей Общества распро-  
странения грамотности среди груз. населения, т. I—III.

Цагарели, Грамоты — А. Цагарели, Грамоты и другие исторические документы от-  
носящиеся до Грузии, т. I, II.

Цагарели, Сведения — А. Цагарели, Сведения о памятниках грузинской письме-  
нности т. I, II.



შინაარსი

რედაქციის აგან	3
ყაზარმობის რაობისათვის	5
მასალები ბიოგრაფიული ლექსიკონისათვის	18
ვანაძე ადამ	18
ვანაძე ასლან	18
ვანაძე გორჯასპი	18
ვანაძე სიმონ სოლომონის ძე	19
ვახვახიშვილი დარეჯან სულხანის ას.	19
ვახვახიშვილი დიმიტრი (ანწუხელი)	21
ვახვახიშვილი დიმიტრი	21
ვოლხოვესკი ვლადიმერ დიმიტრის ძე	25
ზაგურსკი ლეონარდ პეტრეს ძე	26
ზაველიესკი პეტრე დემიანის ძე	26
ზალდასტანიშვილი პატარაკაცი	27
ზამანა მოლა	27
ზარაპოვი ილია აბრამის ძე	27
ზეზემანი ედუარდ ედუარდის ძე	28
ზისერმანი არნოლდ ლევის ძე	28
ზუბალაშვილი ზაქარია მიქელის ძე	28
თაბუკაშვილი კაციელა	29
თამარ, გიორგი XIII-ის ასული	29
თამარ, დავით მეფის ასული	30
თამარ, ერეკლე II-ის ასული	30
თამარ იულონის ასული	31
თარხნიშვილი დავით ზაზას ძე	31
თარხნიშვილი დიმიტრი გლაზას ძე	32
თარხნიშვილი დიმიტრი ზაზას ძე	33
თარხნიშვილი ესტატე ლუარსაბის ძე	33
თარხნიშვილი იორამ	34
თარხნიშვილი სოლომონ ზაალის ძე	34
თეიმურაზ ბატონიშვილი	35
თეკლე ბატონიშვილი	37
თუმანიშვილი ბირთველ გიორგის ძე	40
თუმანიშვილი გიორგი ვგნატეს ძე	41
თუმანიშვილი დიმიტრი იოსების ძე	41
თუმანიშვილი ვგნატე ბაინდურის ძე	42
თუმანიშვილი იესე ვგნატეს ძე	43

თუმანიშვილი ისაკ შიომის ძე	43
თუმანიშვილი მინერა გორჯასპის ძე	43
თუმანიშვილი სულხან გორჯასპის ძე	44
თუმანიშვილი შიომ სულხანის ძე	44
თუხარული ამოლიტე	45
იალღუზიძე ივანე	45
ილია ბატონიშვილი	46
ილიინსკი ვასილი ივანეს ძე	47
იოაკიმ არქიმანდრიტი	48
იოაკიმ ეპისკოპოსი	48
იოანე ბატონიშვილი	49
იოანე, ეპისკოპოსი გორისა	50
იოანე, მიტროპოლიტი ბოდბელი	50
იოანე ნეკრესელი	50
იოანე ოსეს ძე	51
იოანე წილენელი	52
იოანე, ჭვარის დეკანოზი	52
იოანე მროველი	53
იოსებ დეკანოზი	54
იოსებ ეპისკოპოსი	55
იოსებ მისკარბაში (მებუთაშვილი)	55
იოსებ სამეხელი და წილენელი	56
იოსელიანი ვგნატე ონისიმეს ძე	57
იოსელიანი პლატონ ვგნატეს ძე	57
იოსელიანი როსტომ	59
იულონ ბატონიშვილი	59
იაკუშაძე პეტრე	60
კალატოზიშვილი დავით	61
კალატოზიშვილი იოსებ ანდრეას ძე	61
კახანოვი ამოლონ ვასილის ძე	61
კეჭერაშვილი (ბადრიძე) ქრისტეფორე	62
კიკნაძე ფილადელფოსი	64
კობიაშვილი ზაალ	68
კოვალენსკი პეტრე ივანეს ძე	68
კოლუბიანსკი კონსტანტინე მიხეილის ძე	69
კომაროვსკის მეუღლის სახლი	70
კონსტანტინე დავითის ძე	70
კოტოვი	71
კრუპსკი იაკობი	72
ლადინსკი	72
ლაზარევი ივანე პეტრეს ძე	73
ლაშქარევი სერგი ლაზარეს ძე	74
ლევან ბატონიშვილი, ერეკლეს ძე	75
ლევან ბატონიშვილი, იულონის ძე	76
ლეონიძე სოლომონ	77
ლემელიე ვიქტორი	79

ლიხოვსკი ივანე	. . . . .	81
ლორისმელიქოვი სტეფანე	. . . . .	82
შადათოვი ვალერიან გრიგოლის ძე	. . . . .	82
შამაცაშვილი იოსებ ქაიხოსროს ძე	. . . . .	85
შამაცაშვილი კონსტანტინე ქაიხოსროს ძე	. . . . .	88
შამუჩევი ივანე	. . . . .	88
შარიაშვილი ბატონიშვილი	. . . . .	89
შარიაშვილი დედოფალი	. . . . .	91
შარიაშვილი ვარდგ. მოლარე	. . . . .	92
შარიაშვილი, სოლომონ II-ის მეუღლე	. . . . .	93
შაქსიმე კათალიკოსი	. . . . .	93
შალაშვილი დიმიტრი გაბრიელის ძე	. . . . .	94
შაყაშვილი არსენი	. . . . .	94
შაყაშვილი იასე	. . . . .	94
შაყაშვილი ომან	. . . . .	94
შაყაშვილი სვიმონი	. . . . .	95
შაჩაბელი დავით ბარძიმის ძე	. . . . .	96
შაჩაბელი ლუარსაბ გიორგის ძე	. . . . .	97
შაჩაბელი სვიმონ ფარსადანის ძე	. . . . .	99
შვალობლიშვილი დიმიტრი	. . . . .	100
შვალობლიშვილი შაატა	. . . . .	100
შელიქოვი ყორხმაჯ	. . . . .	101
შელიქოვილი მავა გიორგის ასული	. . . . .	102
შელნიკოვი ანდრია იაკობის ძე	. . . . .	102
შელვინეთხუციშვილი დიმიტრი კონსტანტინეს ძე	. . . . .	103
შთვარელიშვილი ნიკოლოზი	. . . . .	104
შირზა რაბი	. . . . .	104
შირიაშვილი ბატონიშვილი	. . . . .	105
შიხელი ბატონიშვილი	. . . . .	106
შიქელიშვილი ნიკოფორე შიხელის ძე	. . . . .	107
შოსე, ეგზარქოსი	. . . . .	108
შიძღერიშვილი იოანე	. . . . .	108
შირველიშვილი იოსტოსი	. . . . .	108
შირასოვი ზეჟანი	. . . . .	109
შისინ-პუშკინი აპოლოს აპოლოსის ძე	. . . . .	110
შიშრინიშვილი გოგია	. . . . .	111
შიხრან-ბატონი გრიგოლ ივანეს ძე	. . . . .	111
შიხრან-ბატონი ივანე კონსტანტინეს ძე	. . . . .	113
შიხრან-ბატონი იოანე კონსტანტინეს ძე	. . . . .	114
შიხრან-ბატონი კონსტანტინე ივანეს ძე	. . . . .	115
შიქედლოვი გრიგოლ	. . . . .	115
ნათალიშვილი გორჯასპი გივის ძე	. . . . .	116
ნათალიშვილი გუჯა დიმიტრის ასული	. . . . .	116
ნათალიშვილი დავით გორჯასპის ძე	. . . . .	117
ნათალიშვილი ივანე გოგეას ძე	. . . . .	117
ნათალიშვილი სამსონ გოგეას ძე	. . . . .	117
ნამორაძე ნიკოლოზ ზაქარეას ძე	. . . . .	117

ნასიროვი ამითურაბ	118
ნიკიფორე, ზირსის არქიმანდრიტი	119
ნიკოლა პატრი	119
ნიკოლაი ალექსანდრე პავლეს ძე	121
ნიკოლაი ლეონტი პავლეს ძე	121
ნინო, დედოფალი სამეგრელოსი	121
ნინო, ილუმენია სამთავროსი	122
ნინო, ლევან ბატონიშვილის ქვრივი	123
ოდე	123
ონიკოვი ნიკოლოზი	124
ორბელიანი ალექსანდრე (მუპლია) ვახტანგის ძე	124
ორბელიანი ასლან ნიკოლოზის ძე	129
ორბელიანი ბეგლარ	130
ორბელიანი გრიგოლ ზურაბის ძე	135
ორბელიანი დიმიტრი ვახტანგის ძე	136
ორბელიანი დიმიტრი ზაქარაიას ძე	138
ორბელიანი დიმიტრი თამაზის ძე	139
ორბელიანი ვახტანგ დიმიტრის ძე	140
ორბელიანი ვახტანგ ვახტანგის ძე	145
ორბელიანი ზაალ დიმიტრის ძე	147
ორბელიანი თამაზ მამუკას ძე	147
ორბელიანი ივანე თამაზის ძე	149
ორბელიანი ილია დიმიტრის ძე	150
ორბელიანი იოანე დავითის ძე	151
ორბელიანი ლუარსაბ ზურაბის ძე	151
ორბელიანი ლუარსაბ ივანეს ძე	152
ორბელიანი მამუკა თამაზის ძე	153
ორბელიანი მანანა	154
ოქრიაშვილი დიმიტრი	155
ოქრომედილიშვილი ნინუშკა	156
ოქროპირ ბატონიშვილი	156
პაიჭაძე ვიორჯი	160
პაუშენკო დიმიტრი პავლეს ძე	161
პორფირი ბერი	162
პრიბილი ივანე ანტონის ძე	162
რაზუაძე სოლომონ გივის ძე	163
რატისვილი გაბრიელ ბეჟანის ძე	165
რიფსიმე ბატონიშვილი	167
რუსიშვილი ივანე	167
სააკაძე დავით დიმიტრის ძე	168
საბინინი მიხეილ პავლეს ძე	168
საგინაშვილი დიმიტრი	168
საგინაშვილი რევაზ	169
საევანელი ვიორჯი ივანეს ძე	169
საევარსაშიძე ლეონტი იაკობის ძე	170
სალომე, იეღონ ბატონიშვილის მეუღლე	170
სალომე ფარნაოზის ასული	170

სამარტანაშვილი ნიკოლოზი	171
სანკოესკი პავლე სტეფანეს ძე	172
სარაჯიშვილები	173
სიღამონიძე ივანე ელიაზარის ძე	174
სიღამონიძე ზაქარია შიოს ძე	175
სივერიჩი	175
სიმონიჩი ანა ოთარის ასული	176
სიმონიჩი ივანე ოსიპის ძე	176
სიმონოვიჩი თევდორე ფილიპეს ძე	177
სოლოლაშვილი მართა	177
სოკოლოვი ალექსანდრე ეგორის ძე	178
სოფრონ არქიმანდრიტი	178
სულხანიშვილი ალექსანდრე ზაქარიას ძე	181
სულხანიშვილი პაატა	181
ტალიაშვილი გრიგოლ რომანოზის ძე	183
ტოკარევი გაბრიელ ალექსის ძე	183
ტრიფილე არქიმანდრიტი	184
ტუნიშვილი ღურამიშხანი	184
ტუნიშვილი პაატა	185
ფალავანდიშვილი ელიაზარ იესეს ძე	185
ფალავანდიშვილი ზაქარია მიხეილის ძე	190
ფალავანდიშვილი იასე იოსების ძე	195
ფალავანდიშვილი ნიკოლოზ იოსების ძე	197
ფარნაოზ ბატონიშვილი	198
ფურცელაძე დავით ზურაბის ძე	199
ფურცელაძე დიმიტრი პეტრეს ძე	200
ჭართველიშვილი იოანე ოთარის ძე	202
ჭებაძე პეტრე ივანეს ძე	203
ჭეთევან, ბატონის რძალი	203
ჭეთევან ბატონიშვილი	204
ჭეთევან, კონსტანტინე მუხრან-ბატონის ასული	204
ჭიშმიშევი ალექსანდრე იოსების ძე	204
ჭობულაშვილი ევგენი დავითის ძე	205
ჭობულაშვილი ოთარ დავითის ძე	206
ჭობულაშვილი სიმონ იოანეს ძე	206
ჭუთათელაძე არისტიდ ვასილის ძე	207
ჭრისტესიაშვილი გქვთიშე	207
ყაზბეგი იოსები	207
ყარაშვილი ივანე იოსების ძე	208
ყიფიანი დავით ქაიხოსროს ძე	209
ყიფიანი დიმიტრი ივანეს ძე	211
ყონისძე ნიკოლოზ გაბრიელის ძე	211
შარიშვილი სტეფანე არტემის ძე	212
შატბერაშვილი ზებედე	213
შატბერაშვილი ფილიპე	213
შერვაშიძე კონსტანტინე გიორგის ძე	214
შუხაშვილი იოანე	214

ჩახტაური გიორგი	216
ჩეკინი კონსტანტინე ვლადიმერის ძე	216
ჩელიძე პლატონ ივანეს ძე	216
ჩერნოვი	216
ჩერქეზიშვილი ბარძიმ	217
ჩერქეზიშვილი ნინია ალადალის ძე	217
ჩერქეზიშვილი ფირან	218
ჩიქოვანი მაია პეტრეს ასული	219
ჩოკაშვილი დავითი, ჟანდიერი	219
ჩოლაყაშვილი ალექსანდრე დიმიტრის ძე	220
ჩოლაყაშვილი გიორგი გვიის ძე	221
ჩოლაყაშვილი დავით ჯიმშერის ძე	222
ჩოლაყაშვილი დიმიტრი	222
ჩოლაყაშვილი ეკატერინე დიმიტრის ასული	223
ჩოლაყაშვილი ზაქარია დიმიტრის ძე	225
ჩოლაყაშვილი თაღია გიორგის ძე	226
ჩოლაყაშვილი ივანე ჯიმშერის ძე	227
ჩოლაყაშვილი იოსებ დიმიტრის ძე	227
ჩოლაყაშვილი იოსებ ღურმიშხანის ძე	228
ჩოლაყაშვილი მიხეილ ივანეს ძე	228
ჩოლაყაშვილი ჭიხოსრო გრიგოლის ძე	230
ციმაკურიძე სიმონი	230
ციხარიშვილი დიმიტრი ივანეს ძე	231
ციციშვილი გიორგი ვახტანგის ძე	232
ციციშვილი გიორგი უთრუთის ძე	232
ციციშვილი დავით ესტატეს ძე	233
ციციშვილი დავით ზაქარიას ძე	234
ციციშვილი დავითი	234
ციციშვილი დიმიტრი პავლეს ძე	235
ციციშვილი ზაქარია ივანეს ძე	236
ციციშვილი ზაქარია დავითის ძე	236
ციციშვილი მიხეილი	237
ციციშვილი პაულე დიმიტრის ძე	238
ციციშვილი ფარსადან თეიმურაზის ძე	240
ძულიაშვილი იოსებ	241
წერეთელი გრიგოლ ზურაბის ძე	242
წინამძღვრიშვილი იოსებ ზინობის ძე	243
წინამძღვრიშვილი პარმენ დომენტის ძე	243
წერინოვი	243
ჭავჭავაძე ალექსანდრე გარსევანის ძე	247
ჭავჭავაძე გარსევან რევაზის ძე	251
ჭავჭავაძე დიმიტრი	251
ჭავჭავაძე მარიამ ივანეს ასული	252
ჭავჭავაძე პაატა	253
ჭაროვეი პეტრე ივანეს ძე	253
ჭილაშვილი ბორის ვაბრიელის ძე	254
ჭილაშვილი გლაზა ბაბანის ძე	254



რეცენზენტები: ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატები — ვ. ო რ ჯ ო ნ ი კ ი ძ ე,  
ნ. ნ ა ე ც ლ ი შ ვ ი ლ ი

სბ 2199

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

რედაქტორი მ. ზერძნიშვილი  
გამომცემლობის რედაქტორი დ. ბაქრაძე  
მხატვრული რედაქტორი გ. ლომიძე  
ტექნიკური რედაქტორი ც. ქამუშაძე  
კორექტორი ნ. ფიფია

გადაეცა წარმოებას 21.12.1982; ხელმოწერილია დასაბეჭდად 20.12.1983;  
ქაღალდის ზომა 60×90<sup>1</sup>/<sub>16</sub>; ქაღალდი № 1; ნაბეჭდი თაბაზი 17,5;  
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბაზი 15.5;

უც 01043.

ტირაჟი 3000.

შეკვეთა № 4196.

ფასი 2 მან. 20 კაპ.

---

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

---

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19



Максим Давидович Бердзнишвили

МАТЕРИАЛЫ К ИСТОРИИ ГРУЗИНСКОЙ  
ОБЩЕСТВЕННОСТИ ПЕРВОЙ ПОЛОВИНЫ XIX ВЕКА.

II

(на грузинском языке)

